სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences
Shota Rustaveli National Science Foundation

SPACE, SOCIETY, POLITICS

Scientific Works

№1

International Scientific Conference
Dedicated to the 70th Birthday Anniversary of
Professor Revaz Gachechiladze

3-5 June, 2013

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

სამეცნიერო შრომების კრებული

№1

პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლის იუბილესადმი
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

3-5 ივნისი, 2013

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

აღნიშნული პროექტი (საკონფერენციო გრანტი CF/14/2-222/13; საგრანტო ხელშეკრულება №25) განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

სამეცნიერო რედაქტორები:

თამარ დოლბაია
კორნელი კაკაჩია
რევაზ ჯორბენაძე
მანანა შამილიშვილი

Editors:

Tamar Dolbaia
Revaz Jorbenadze
Korneli Kakachia
Manana Shamilishvili

ტექნიკური ჯგუფი:

მარეხ დევიძე
მირანდა მიქაძე

Technical group:

Marekh Devidze
Miranda Mikadze

© თსუ გამომცემლობა, 2013
ISBN 978-9941-13-332-9

სარჩევი

ზვიად აბაშიძე
მულტიკულტურალიზმის პერსპექტივები საქართველოში 13

დავით აბესაძე
ისლამური მოძრაობის ტრანსფორმაცია თურქეთში:
ნაქშიბენდისა და ნურჯულუკის მაგალითზე 24

მარინა ბურძენიძე, მარინე ქევხიშვილი
განათლებისა და დასაქმების ფაქტორის მნიშვნელობა
ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და
რეინტეგრაციის პროცესში 40

მარეხ დევიძე-მამულაიშვილი
კონფლიქტში მონაწილე აქტორთა მიმართებების
კვლევა ქართულ მედიასივრცეში 56

თამარ დოლბაია
შავი ზღვის აუზის პორტების რანჟირება
და შედარებითი ანალიზი 63

ნათელა დონაძე
ერიჰ ფრომის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია 75

სალომე დუნდუა
ეროვნული უმცირესობები და საგანმანათლებლო
პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი 88

კორნელი კაკაჩია, თამარ პატარაია
სოციალური ქსელების გავლენა ქართულ პოლიტიკაზე 100

გიორგი კვინიკაძე
მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია
და ეკონომიკური გეოგრაფია 120

თამარ ლეკიაშვილი
საქართველოს საზღვრების საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის
ძირითად და დამატებით ხელშეკრულებებში 134

თეონა მატარაძე
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში
მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია
(ტყიბულის რაიონის მაგალითი) 141

მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი,
ლუიზა არუთინოვი, ნათია მესტვირიშვილი
მოქალაქეობის ტიპი როგორც სოციოკულტურული იდენტობა 164

დავით მაცაბერიძე
კონფლიქტის მოგვარების ქართული და აფხაზური
პროექტები აფხაზეთის საკითხის
პოლიტიკური დარეგულირებისათვის –
ინსტიტუციური ჩიხი? (1990-იანი და 2000-იანი
წლების დასაწყისი) 186

მალხაზ მაცაბერიძე
პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარება
ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსის მიხედვით 202

ვალერიან მელიქიძე
„საზოგადოების განვითარების“ სწავლების
კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის მცდელობა
საუნივერსიტეტო განათლების სამაგისტრო დონეზე 210

ვახტანგ ნადარეიშვილი
განწყობის ფუნქცია ნებელობითი აქტივობის რეგულაციაში ... 224

დალი ნიკოლაიშვილი, რევაზ თოლორდავა
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის
ისტორიული ტრანსფორმაციების განმსაზღვრელი
გეოგრაფიული ფაქტორები 239

ლალი სურმანიძე
გენდერული ცნობიერების ზოგიერთი
ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტის შესახებ
(შვილები და მშობლები) 257

ნანა ტალახაძე
იდეოლოგიური დისკურსი ქართულ ფუტურისტულ პრესაში ..270

მაია ტორაძე
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“
XX საუკუნის 30-იან წლებში 285

ჯაბა ურუტაძე
საქართველოს საპენსიო პოლიტიკა
და ალტერნატიული მოდელები 301

ეკატერინე ფირცხალავა
მუსლიმი მესხების ინტეგრაცია საქართველოსა
და ამერიკის შეერთებულ შტატებში 324

მანანა შამილიშვილი
პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში 341

თამარ ჩარკვიანი
მერიტოკრატიული პრინციპები საჯარო სამსახურში 355

ვლადიმერ ჩხაიძე
მიწის კადასტრი და რეგისტრაცია საქართველოში.
საზოგადოება, გეოგრაფია და ინფორმაციული
ტექნოლოგიები 376

რევაზ ჯორბენაძე
ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“
პროცესი განწყობის თეორიაში 387

მარი წერეთელი
მე-19 საუკუნის ევროპელ მოგზაურ-ავტორთა
პუბლიცისტურ-დოკუმენტური ნარატივი საქართველოს
შესახებ და მისი თანამედროვე ინტერპრეტაცია 403

ალექსანდრე წურწუმია
გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრალურობის
დადებითი და უარყოფითი მხარეები 418

Contents

Zviad Abashidze
Multiculturalism and Georgia..... 13

David Abesadze
The Transformation of Islamic Movement in Turkey:
Case of Nakşibendî and Nurculuk 24

Marina Burdzenidze, Marina Kevkhishvili
The Importance of Education and Employment Factors
in Offenders' Rehabilitation and Reintegration Process 40

Marekh Devidze-Mamulaishvili
Actor Relations Research – Conflict Participants
in the Georgian Media Space 56

Tamar Dolbaia
Comparative Analysis and Ranking of the Black Sea Basin Ports 63

Natela Donadze
Erich Fromm's Typology of Social Character 75

Salome Dundua
Ethnic Minorities and Some Aspects of Education Reform 88

Korneli Kakachia, Tamar Pataraia
Georgian Political Parties and Online Social Network: Politics as usual?...100

Giorgi Kvinikadze
The World's Geoeconomic Transformation
and Economic Geography 120

Tamar Lekiashvili
The Issue of Georgia's Borders in
Brest-Litovsk -Basic and Supplementary Articles.....134

Teona Mataradze
"Realization of Citizens' Political Rights during the Elections of
Self-Governmental Body, Case of Tkibuli district" 141

Maia Mestvirishvili, Luisa Arutinov,
Khatuna Martskvishvili, Natia Mestvirishvili
Citizenship Identity: Socio-Cultural Perspective 164

David Matsaberidze
The Abkhazian and Georgian Conflict Resolution Projects
for the Political Settlement of the Abkhazian Problem
- An Institutional Deadlock?.....186

Malkhaz Matsaberidze
The Development of the Post-Soviet Georgia According
to Vanhanen's Democratization Index.....202

Valerian Melikidze
Creating Conceptual Framework for Development
Related Subjects at University Graduate Level 210

Vakhtang Nadareishvili
The Role of Set in the Regulation of Voluntary Activity 224

Dali Nikolaishvili, Revaz Tolordava
Determining Geographical Factors of Historic
Transformation of the State Border of Georgia..... 239

Lali Surmanidze
Some Psycho-anthropological Aspects of
Gender Awareness (Children and Parents) 257

Nana Talakhadze
Ideological Discourse in Georgian Futuristic Press..... 270

Maia Toradze
The newspaper "Tbilisi University" in the 1930s..... 285

Jaba Urotadze
Pension Policy of Georgia and Alternative Models 301

Ekaterine Pirtskhalava
Integration process of Muslim Meskhetians
in Georgia and in the USA 324

Manana Shamilishvili
Political Satire in Georgian Cyber Writings 341

Tamar Charkviani
Meritocratic Principles in Public Service 355

Vladimer Chkhaidze
Land Cadastre and Registration in Georgia 376

Revaz Jorbenadze
Process of Objectivity and "Subjectivity" through SET Theory 387

Mari Tsereteli
Nineteenth Century European Traveler-Authors
Publicistic-Documentary Narrative about
Georgia and its Modern Interpretation..... 403

Alexander Tsurtsumia
Positive and Negative Sides of Centrality of Geopolitical Space..... 418

სამეცნიერო შრომების კრებული ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის – გეოგრაფისა და აღმოსავლეთმცოდნის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორის, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობითი პრემიის ლაურეატის – რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლის იუბილეს.

წინამდებარე კრებულში იბეჭდება იმ მასალების ნაწილი, რომელიც წარმოდგენილი იყო 2013 წლის ივნისში ჩატარებულ I საერთაშორისო კონფერენციაზე „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი (აშშ, ისრაელი, პოლონეთი, რუსეთი, იტალია, ბულგარეთი და სხვ.) მეცნიერები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა შრომებში ასახულია სივრცე, საზოგადოება და პოლიტიკა: საზოგადოება არსებობს გეოგრაფიულ სივრცეში და პოლიტიკას ახორციელებს საზოგადოება – ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული.

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – ეს ტრიადა რევაზ გაჩეჩილაძემ პირველად გამოიყენა თავისი წიგნის ქვესათაურად, რომელიც 1995 წელს გამოვიდა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში „The New Georgia: Space, Society, Politics“. შემდგომაც მან არაერთგზის გამოიყენა ანალოგიური მიდგომა თავის სხვა წიგნებში (მაგალითად, „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე. ხალხი და პოლიტიკა“, 2003, 2008, 2011 წლების გამოცემები).

კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც ამ კრებულის ავტორები არიან, აერთიანებდათ საერთო იდეა – ინტერდისციპლინურ დონეზე წარმოედგინათ შრომები და ემსჯელათ თავიანთ კოლეგებთან ერთად. ამჟამად მათ შრომებს უფრო ფართო მკითხველს ვთავაზობთ.

The collection of scholarly articles is dedicated to the 70th jubilee of Revaz Gachechiladze – a prominent Georgian scholar, Geographer and Orientalist, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, Visiting Professor at Oxford University, President of the Geographical Society of Georgia, Georgian State Prize and Vakhushti Bagrationi Prize in Geography winner, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary.

This collection includes some materials delivered at I International Conference "Space, Society and Politics" which took place at Tbilisi State University in June 2013 and with the participation of Georgian and foreign scholars from the USA, Poland, Russia, Israel, Italy, Bulgaria and other countries. It also contains articles by the scholars from Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Ilya State University. The works are about space, society and politics: society exists and acts in geographical space, politics is carried out by society – everything is interconnected. The structure and scholarly life of the Faculty of Social and Political Sciences of TSU, which encompasses Human Geography, demonstrates the viability of such an approach.

Revaz Gachechiladze first used the abovementioned triad as a subtitle to his book "The New Georgia: Space, Society, Politics" published in 1995 in the UK and USA. Later he continued to use a similar approach in his other monographs (e.g. "The Middle East: Space, People and Politics", several editions of which were published in Georgian in 2003, 2008 and 2011).

The participants of the Conference, the authors of this Collection, were united by a common idea – to deliver their works on interdisciplinary level and to discuss them with their colleagues. This time their works are presented to a wider audience.

ზვიად აბაშიძე

მულტიკულტურალიზმის პერსპექტივები საქართველოში

უკანასკნელ ხანებში, საქართველოში მულტიკულტურალიზმი, როგორც იდეა, ხდება გარკვეული დისკურსის საგანი,[1] თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისეთივე პოპულარულია, როგორც დასავლურ სამყაროში.[2] ხშირია ფაქტებიც, როცა მულტიკულტურალიზმის ცნება არცთუ ადეკვატურად გამოიყენება და შორს დგას მისი ჭეშმარიტი არსისგან. მაგრამ, მიერთებულია რა საქართველო ევროპის უმცირესობათა უფლებების დაცვის ჩარჩოკონვენციას და კიდევ სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულაციებს, შესაძლოა მის წინაშე წამოიჭრას კიდეც მულტიკულტურული პოლიტიკის გატარების მოთხოვნა, და ეს განსაკუთრებით, თუკი საქართველო საბოლოოდ მიუერთდება უმცირესობების ენების დაცვის ევროპულ ქარტიას.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია მიმოვიხილოთ ე.წ. „მულტიკულტურალისტული“ დისკურსი და გავიაზროთ მისი პირდაპირი დამკვიდრების ავკარგიანობა. იმის მიუხედავად, რომ „მულტიკულტურალიზმი“, როგორც პოლიტიკური დისკურსი, ჯერ კიდევ სიახლეა საქართველოში, მისი გარკვეული გამოვლინებები უკვე გვაქვს პრაქტიკაში (ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა უმცირესობებისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების მოთხოვნილება) და, შესაბამისად, მისი უკეთ გააზრება კარგ სამსახურს გაგვიწევს სამომავლო პერსპექტივაში. ამასთანავე, წარმოდგენილი სტატიის მთავარი მიზანია მულტიკულტურალიზმის ეთნიკური ურთიერთობების ჭრილში გააზრება.

---

[1] იხ.: შოთა ხინჩაგაშვილი. *მულტიკულტურალიზმის გამოწვევები, სოლიდარობა*, „სახალხო დამცველი“ ჟურნალი, № 6 (33), გვ. 23-32, http://ombudsman.ge/files/downloads,ge/jhvtmqxbtrhnwfqqefkq.pdf

[2] დასავლეთში ეს მასობრივი ემიგრაციით წარმოშობილმა პრობლემებმა განაპირობა. საქართველოში ჯერჯერობით საამისო პირობები არ არსებობს.

1. მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკური დისკურსი

ერი-სახელმწიფოს საყოველთაო ზეობის ხანად მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ითვლება. მოცემულ პერიოდში, ერი-სახელმწიფოს და ნაციონალიზმის იდეების განვითარებამ ძირი გამოაცალა მსხვილი იმპერიების არსებობას და სათავე დაუდო შედარებით პატარა ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულების არსებობას, რომელიც უკვე საკუთარი მოსახლეობის ერთიანობას და პოლიტიკურ-კულტურული ერთგვაროვნების პროექტს გვთავაზობდა.[3]

მოცემული პოლიტიკური პროექტი და თეორიული წიაღსვლები გაბატონებულ პარადიგმას წარმოადგენდა გასული საუკუნის 60-70 წლებამდე, მაგრამ დასავლურ სივრცეში ე.წ. „ახალი სოციალური მოძრაობების" (ფემინისტური, მწვანეთა, შავკანიანთა, სექსუალურ უმცირესობათა მოძრაობები) წარმოშობამ და ემიგრაციის ინტენსიფიკაციამ ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკური ფილოსოფიის კრიტიკა გამოიწვია, რომელიც პრაქტიკაში ე.წ. „მულტიკულტურული" პოლიტიკის დანერგვასა და თეორიულ დისკურსში გამოიხატა. მოცემული თეორიული კრიტიკა დაიწყო 1979 წელს აშშ-ში, რომელსაც ეწოდა დავა ე.წ. „კომუნიტარებს" და „ლიბერალებს" შორის. აღნიშნული დავა განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში გახდა თვალში საცემი.[4]

„კომუნიტარები" (მაიკლ სენდელი, ჩარლზ ტეილორი, მაიკლ უოლცერი, უილ კიმლიჩკა და სხვები) აკრიტიკებდნენ ტრადიციულ ლიბერალურ „მოქალაქე-ინდივიდის" კონცეფციას. კრიტიკის მიხედვით, მოცემული კონცეფცია დაცლილი იყო ინდივიდთა კულტურული იდენტობის აღიარების მოთხოვნისგან და „მეობა" (Self) მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური იდენტობისგან წარმოდგებოდა. შესაბამისად, საყოველთაო გულგრილობამ „მოქალაქე-ინდივიდის" კულტურული გარემოს მიმართ, სოციეტალურ ურთიერთობათა დონეზე ახალი უთანასწორობა წარმოშვა, რომელიც ამჯერად არა იმდენად ეკონომიკური კატეგორიებით აღიწერებოდა, არამედ ე.წ. „განსაკუთრებულ," „უმცირესობათა" კულტურების მიმართ ინდიფერენტიზმით და ასიმეტრიული დამოკიდებულებით. „კომუნიტარებს" მიაჩნდათ, რომ ის მიკროსო-

---

[3] The theory of Stein Rokkan; State formation, nation-building and mass politics in Europe; Comparative European politics; Edited by Peter Flora; Oxford University Press. 1999. pp. 72-87.

[4] **Robert E. Goodin** / *Liberal Multiculturalism: Protective and Polyglot* / Political Theory, Vol. 34, No. 3 (Jun., 2006), pp. 289-303; **Steven S. Lee**, /"*Borat," Multiculturalism, "Mnogonatsional'nost"* / Slavic Review, Vol. 67, No. 1 (Spring, 2008), pp. 19-34.

ციოკულტურული გარემო, რომელშიც ხდებოდა ადამიანის პირველადი სოციალიზაცია, წარუშლელ კვალს ტოვებდა მასზედ და, შესაბამისად, მისი „მეობის“ (Self) ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამიტომაც, ადამიანის სამოქალაქო ღირსებაც მისი კულტურული „მეობისგან“ წარმოდგებოდა, რაც, თავის მხრივ, კულტურული მრავალფეროვნების საჯარო-პოლიტიკურ აღიარებას და დაცვას მოითხოვდა. „კომუნიტარების“ აზრით, ტრადიციული ლიბერალური ერი-სახელმწიფო საზოგადოების გაერთგვაროვნების პოლიტიკურ პროექტს ახორციელებდა და მობილობის მხოლოდ ერთ, ვერტიკალურ გზას გვთავაზობდა, მაშინ როცა, თანამედროვე საზოგადოება კულტურულად მრავალფეროვანი გახლდათ და მობილობის განვითარებას უკვე ჰორიზონტალურ სიბრტყეზეც მოითხოვდა, რომელიც უფრო მრავალგანზომილებიანი უნდა ყოფილიყო.[5]

ტრადიციული ერი-სახელმწიფოსთვის ხომ სამოქალაქო აქტივობას მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური მოღვაწეობა და პასუხისმგებლობა წარმოადგენდა. არადა, მოქალაქის პასუხისმგებლობას და იდენტობას არა მხოლოდ მისი პოლიტიკური ლოიალობა განსაზღვრავდა, არამედ მისი კულტურული იდენტობაც. ამიტომაც, „კომუნიტარების“ აზრით, დასავლურ საზოგადოებებს უარი უნდა ეთქვათ ტრადიციულ მოდერნულ, მკაცრად ინდივიდუალისტურ რაციონალიზმზე და გადართულიყვნენ პოლითეის კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კომუნიტარების“ მიხედვით, ტრადიციული მოდერნის პროექტი, რომელიც პოლიტიკური და კულტურული ლოიალობის ურთიერთდამთხვევას ნორმატიულად მოითხოვდა, სინამდვილეში ვერ პასუხობდა არსებული ვითარების მოთხოვნებს და ყავლი ქონდა უკვე გასული. შესაბამისად ამისა, სადემარკაციო ხაზი უნდა გაგვევლო თანამედროვე პოლიტიკურ და კულტურულ ლოიალობას შორის. მოქალაქენი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე საკუთარი კულტურული იდენტობით უნდა წარმდგარიყვნენ, რომელიც ხშირად განსხვავდებოდა მათი პოლიტიკური ლოიალობისგან. „კომუნიტარების“ მიხედვით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არათუ რაიმე ტრადიციიდან გადახვევას მოასწავებდა, არამედ,

[5] მოცემული დისკურსი კონტინენტურ ევროპაში და, განსაკუთრებით, საფრანგეთში „პოსტ-მოდერნიზმით“, „პოსტ-სტრუქტურალიზმით“, „სოციალური დეკონსტრუქციით“ და კიდევ სხვა მრავალი „პოსტ“ მიმართულებებით გამოიხატა ისეთი მოაზროვნეების მიერ, როგორებიც არიან: მიშელ ფუკო, ჟაკ დერიდა, ჟან ბოდრიარი და კიდევ სხვა მრავალი.

პირიქით, ლიბერალური სამართლიანობის სულისკვეთების შემდგომი განვითარებით იყო ნაკარნახევი.[6]

„კომუნიტარებს“ მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდათ მაშინვე, თუმცა მათმა იდეებმა რეალურ პრაქტიკაში გარკვეული განხორციელება მაინც მოახერხეს და მხარდამჭერიც მრავალი პოვეს როგორც აკადემიურ, ისე სოციალ-პოლიტიკურ წრეებში.[7]

2. მულტიკულტურალიზმი კონკრეტულ პრაქტიკაში

მულტიკულტურალიზმი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკური პროექტი, წარმოიშვა 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც დასავლური სამყარო მოიცვა მასობრივმა ემიგრაციამ. შესაბამისად, დასავლურმა ქვეყნებმა ნელ-ნელა უარი თქვეს მოდერნის მიერ განსაზღვრულ ასიმილაციასა და ერთგვაროვანი ეთნოკულტურული საზოგადოების ქმნადობაზე და ყურადღება უფრო ინტეგრაციაზე გაამახვილეს. საზოგადოება უკვე განიხილებოდა არა როგორც ერთგვაროვანი კულტურული წარმონაქმნი, არამედ სხვადასხვა ეთნოკულტურული და რელიგიური ერთობების თანასწორუფლებიან გაერთიანებად. მოცემული პროცესი დიდწილად 60-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის წარმატებებით იყო განპირობებული. ჩრდილოეთ ამერიკის შემთხვევაში ე.წ. „აფირმატიული ქმედების“ (Affirmative Action) შედეგად მრავალი რამ გაკეთდა საზოგადოების რასობრივი და სხვა ტიპის ჯგუფობრივი სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად როგორც განათლების, ისე სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და სხვა მრავალი კუთხით.[8] ამავე დროს, საზოგადოების მსგავსმა პლურალისტულმა ხედვამ ხელი შეუწყო უფრო ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას და სოციალური გარიყულობის აღმოფხვრას, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის განვითარებასაც უწყობდა ხელს.[9]

---

[6] ჩარლზ ტეილორი. „ლიბერალების და კომუნიტარების დებატები“, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი, 1996. გვ. 635-672.

[7] იანოშ კიში. შესავალი, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი 1996. გვ. 6-67, Amartya Sen, The Idea of Justice , Penguin Books, 2010 pp. 31-124.

[8] Marcel Coenders and Peer Scheepers /The Effect of Education on Nationalism and Ethnic Exclusionism: An International Comparison / Political Psychology, Vol. 24, No. 2, Special Issue: National Identity in Europe (Jun., 2003), pp. 313-343.

[9] Владимир Малахов , Вызов национальному государству / Скромное обаяние расизма и другие статьи. Москва 2001 Стр.42-43.

კანადური მოდელი. კანადა პირველი ქვეყანა გახდა 1971 წელს, პრემიერ-მინისტრ პიერ ტრიუდოს დროს, როდესაც მულტიკულტურალიზმი ოფიციალურ იდეოლოგიად და სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. საამისოდ კანადას მრავალი წინაპირობა ქონდა. აშშ-ისგან განსხვავებით, კანადა არასდროს არ აღიქვამდა თავს ჰომოგენურ ერად და იმის გამო, რომ ის ყოველთვის განიცდიდა ეთნოლინგვისტურ დიფერენციაციას (ანგლოფონებისა და ფრანკოფონების არსებობა), მისთვის უცხო იყო „სადნობი ქვაბის" ტრადიცია და, რაც მთავარია, კანადა უკვე დიდი ხნის შეგუებული იყო ეთნოფედერალიზმის მოდელს და ტრადიციებს.

კანადის ამგვარი რეალობა დიდწილად განაპირობა ეთნოდემოგრაფიული სურათის ცვლილებამ (როგორც დასავლური სამყაროს სხვა ქვეყნებში). ადგილობრივმა მოსახლეობამ იწყო კლება და მოსახლეობის რაოდენობა ძირითადად ემიგრანტების ხარჯე იზრდებოდა. კანადაში სამუდამო საცხოვრებლად ყოველწლიურად დაახლოებით 260 ათასი ადამიანი მიემგზავრება (28 მილიონი მოსახლეობის პირობებში). კანადის მოსახლეობის 16% კანადის გარეთ დაბადებულ მოქალაქეებს წარმოადგენენ. ემიგრანტების რაოდენობა განსაკუთრებით აზიური ქვეყნების ხარჯზე მატულობს. იმის გამო, რომ კანადა ტრადიციული ტოლერანტობით გამოირჩეოდა კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, შესაბამისად, მოსახლეობის ეთნოკულტურული იდენტობაც მეტად ფრაგმენტირებული იყო. ამავე დროს, კანადა უცხოელთათავის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების სიმარტივითაც გამოირჩევა აშშ-ს და დასავლეთი ევროპის ქვეყნებისგან. კანადის მოქალაქედ გახდომა არ მოითხოვს ავტომატურად ძველ მოქალაქეობაზე უარის თქმას. ოფიციალურ დოკუმენტაციებში არსად არაა დაფიქსირებული მოქალაქეობის მიღების თარიღი, რათა არ მოხდეს „ახალი" მოქალაქის „ძველი" მოქალაქისგან დისკრიმინაცია. [10]

ამის მიუხედავად, კანადაში იდილიური ვითარება ნამდვილად არ არის. მულტიკულტურალიზმმა საზოგადოების ეთნოკულტურული დიფერენციაცია კიდევ უფრო გააღრმავა. ეს განსაკუთრებით კვებეკის ფრანგულენოვან პროვინციაში გამომჟღავნდა. მულტიკულტურული ოფიციალური პოლიტიკის შედეგად, კვებეკის ხელმძღვანელობამ მოითხოვა ყველა ოფიციალური დოკუმენტაციის და საქმის წარმოების ფრანგულად შესრულება კვებეკის ტერიტორიაზე. სამსახურებში თუ 50

[10] Ibid: Стр.44-45.

კაცზე მეტი მუშაობდა, მაშინ სამუშაო ენა ფრანგული უნდა ყოფილიყო.[11] კვებეკელ მოქალაქეებს მხოლოდ ფრანგულად მოუწევდათ განათლების მიღება, იმის მიუხედავად, ისინი მოცემულ მომენტში ცხოვრობდნენ თუ არა კვებეკის ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო უარს ამბობდა განათლების პროგრამების უზრუნველყოფაზე. [12]

მოცემულმა პოლიტიკამ, იმის მაგივრად, რომ ლიბერალური თანასწორი შესაძლებლობების პრაქტიკა განევითარებინა, უპირატესობა ეთნოცენტრისტულ მსოფლმხედველობას და წარმომავლობის ესენციალისტურ მიდგომას მიანიჭა. ყოველივე ამის შედეგად, გაღრმავდა საზოგადოების ახალი ფრაგმენტაცია და სტრატიფიკაცია უკვე არა ტრადიციულ პროფესიულ-გილდიურ, არამედ ეთნოკულტურულ საფუძველზე.

ავსტრალიური მოდელი. ავსტრალიაც ემიგრანტული ქვეყანაა კანადის მსგავსად. მეორე მსოფლიო ომამდე ემიგრანტთა ძირითადი ნაკადი ანგლოსაქსური სამყაროდან მოედინებოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი შემადგენლობა ძალზედ შეიცვალა და მოიცვა უკვე რამდენიმე კულტურული სივრცე და, შესაბამისად, ემიგრაციაც უკვე კულტურულად მრავალწევრიანი გახდა. ავსტრალიამ მყისიერი რეაქცია მოახდინა მოცემულ რეალობაზე და მაშინვე დაიწყო ზრუნვა „თანაბარი ხელმისაწვდომობის და თანასწორობის" პრაქტიკულ რეალიზაციაზე. მთავარი ყურადღება დაეთმო უმცირესობების კონსტიტუციური უფლებების გარანტირებას და აქცენტი განსაკუთრებით სოციალურ უფლებებზე გადავიდა. ავსტრალიური მულტიკულტურალიზმი რამდენიმე პრინციპით შეიძლება გამოიხატოს:

ა) კულტურული იდენტობა
ბ) სოციალური სამართლიანობა
გ) ეკონომიკური ეფექტურობა

კულტურული იდენტურობის შენარჩუნება და რეალიზაცია ყველა მოქალაქის უფლებადაა გამოცხადებული ისე, რომ მოქალაქეს კანადის მსგავსად წინდაწინვე არ მიეწერება რომელიმე ეთნოკულტურული ჯგუფის წევრობა. ეს უფრო არჩევანის საკითხია. მეორე პუნქტი გულისხმობდა თანასწორობის სამართლებრივად უზრუნველყოფას, რომელმაც უნდა აღმოფხვრას კანის ფერის, სქესის, კონფესიური

[11] იხ: Taylor Charles. *Multiculturalism: examining the politics of recognition*. Ed.A. Gutman, Princeton, NJ; Princeton University Press, 1994.

[12] Владимир Малахов, *Вызов национальному государству* / Скромное обаяние расизма и другие статъи. Москва 2001 Стр. 46.

კუთვნილების და ა.შ. მიხედვით არსებული სოციალური დისკრიმინაცია. მესამე პუნქტი ითვალისწინებდა ადამიანის ნიჭიერების წახალისებას, რომელიც უკეთესი იქნებოდა განხორციელებულიყო, რა თქმა უნდა, ჰუმანური მიდგომის თვალსაზრისით, მაგრამ, უკეთესი იქნებოდა დაფუძნებოდა ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპებსაც. კანადისგან განსხვავებით, ავსტრალიური მულტიკულტურალიზმი გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა. მისთვის უცხო იყო კანადისმაგვარი სოციალური ფრაგმენტაცია ეთნოკულტურული კუთვნილების ფონზე. კანადისგან განსხვავებით, ავსტრალიას არ გააჩნია სპეციალური სამართლებრივი აქტი მულტიკულტურალიზმის შესახებ. ის უბრალოდ სარგებლობს რასიზმის და ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრის კანონმდებლობით. ამავე დროს, ავსტრალიაში არ არსებობს მულტიკულტურალიზმის საქმეთა სპეციალური უწყება და მას პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტი განაგებს.[13]

ემიგრანტების სოციალური ინტეგრაციის საკითხებს ერთმანეთში ინაწილებენ დასაქმების, განათლების, პროფესიული გადამზადების დეპარტამენტი და კიდევ სხვა მრავალი უწყება. ამავე დროს, ყველა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც მსგავს საკითხებს ემსახურება.[14]

იმის მიუხედავად, რომ ავსტრალიური საზოგადოება ტოლერანტიზმის მაღალ დონეს ამჟღავნებს დღემდე და აგრესიულობით ნამდვილად არ გმოირჩევა „უცხოთა“ მიმართ, მულტიკულტურალიზმმა მაინც წარმოშვა პრობლემები. ერთი, რომ მან თავიდან ვერ აიცილა საზოგადოების ეთნოცენტრული ხედვა და, მეორე, რომ ხელი შეუწყო ეთნოელიტების ფორმირებას, რომელთაც უკვე სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი გავლენის ზრდაზე დაიწყეს ზრუნვა. იმის მიუხედავად, რომ მოცემული ეთნოელიტები ხშირ შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან საკუთარი ეთნოკულტურული თემის თვითმყოფადობის შენარჩუნებით და მასზედ მზრუნველობითაც გამოირჩევიან, რეალურად ხშირად მათ მოცემული თემა საკუთარი ძალაუფლებისთვის სჭირდებათ და, რაც მთავარია, სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში ძალაუფლების ამგვარი ეთნოკულტურული სიმბოლიზაცია საზოგადოების ეთნოკულტურულ საფუძველზე დისკრიმინაციას უწყობს ხელს.[15]

---

[13] Ibid: Стр.48-50
[14] Ibid: Стр.48-50
[15] Ibid: Стр.48-50

აშშ-ის მოდელი. ამერიკამ, სადაც ყოველთვის რელიეფურად ჩანდა „მე“-ს და „სხვა“-ს დიქოტომია, უარი თქვა მულტიკულტურალიზმის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებაზე და ემიგრანტების სოციალური ინტეგრაცია მათ კერძო საქმედ დატოვა, ისე როგორც ეს ტრადიციულად იყო. ამის მიუხედავად, 80-იანი წლებიდან, ეთნოდემოგრაფიული ვითარების ცვლილების ფონზე, ამერიკულ საზოგადოებაში მაინც შეაღწია მულტიკულტურალისტურმა დისკურსმა. გამალებულმა ემიგრაციამ, რომელმაც მოიცვა აშშ, ის დააყენა გამოწვევის წინაშე, რომ გადაეხედა მისი ტრადიციული პოლიტიკისათვის, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების საქმეს ეხებოდა. ეს განსაკუთრებით ლათინოამერიკელი ემიგრანტების გაძლიერებას მოჰყვა, როდესაც ესპანური ენა დაემუქრა ინგლისურს ლინგვისტურ ბატონობაში. ამიტომაც, მრავალი ამერიკელი მოაზროვნე შეაშფოთა აღნიშნულმა ვითარებამ და საუბარიც კი დაიწყეს ამერიკული საზოგადოების კვდომაზე.[16] იმის მიუხედავად, რომ აშშ ყოველთვის ეთნოკულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ერი, რომელიც ტრადიციულად ამერიკაში გაგებული იყო, როგორც „სადნობი ქვაბი“ (Melting Pot), ცოტა არ იყოს, ეწინააღმდეგებოდა მულტიკულტურალიზმის იდეებს. 80-იან წლებში ერის „სადნობ ქვაბად“ გაგება შეცვალა ახალმა მეტაფორამ, – „ერი“, როგორც „სასალათე თასი“ (Salad Bowl). „სასალათე თასში“ ხომ, „სადნობი ქვაბისგან“ განსხვავებით, მისი ინგრედიენტები და კომპონენტები უკეთ მოჩანან და მკაფიოდ გამოხატავენ იდეას: – ერთიანობა მრავალფეროვნებაში.[17]

კანადის და ავსტრალიისგან განსხავებით, აშშ-ში მულტიკულტურალიზმის იდეები აღმოცენდა აგრესიული ფემინიზმის და სხვა მსგავსი ტიპის მოძრაობებიდან, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ბატონობის ტრადიციული ურთიერთობების ფუნდამენტურ ცვლილებებს. ამის გამო იყო, რომ ამერიკული მულტიკულტურალიზმი გაცილებით მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდა, ვიდრე ეს კანადის და ავსტრალიის შემთხვევაში იყო. მულტიკულტურალისტების მთავარი სამიზნე სოციალური გარიყულობის ტრადიციული მექანიზმების ცვლილება იყო.

მულტიკულტურალიზმი განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემას შეეხო. 80-იანი წლების ბოლოს ბევრ ამერიკულ უნივერსიტეტში

---

[16] იხ. A. Schlezinger Jr. The Diuniting of America: Reflexions on a Multicultural Society. Knoxvill, Ten., Whittle Books, 1991.
[17] Ibid: Стр. 51-52.

დამკვიდრდა მულტიკულტურალისტული პარადიგმა. ზოგიერთმა ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა იმდენად რადიკალურად შეცვალა საგანმანათლებლო გეგმები, რომ საზოგადოების აღშფოთებაც კი გამოიწვია. ეთნიკურ უმცირესობათა აქტივობის „მოდად“ ქცევამ საზოგადოების რღვევის საშიშროება გააჩინა. საბოლოოდ ტერმინი „მულტიკულტურალიზმი“ უარყოფით ცნებად გადაიქცა. ამერიკული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად საშიში და არაეფექტურია სოციალურ სივრცეში არსებული მრავალწახნაგოვანი განსხვავებები კულტურულ განსხვავებულობებად წარმოვაჩინოთ, ანუ საზოგადოებრივი კონფლიქტების, სოციალური განსხვავებების და ურთიერთობების კულტურიზაცია მოვახდინოთ. [18]

დასკვნა

როგორც ვნახეთ, მულტიკულტურალიზმის ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე უნდა აღიაროს ქვეყნის კულტურული მრავალწევრიანობა და, შესაბამისად, იზრუნოს კიდეც მის წახალისებასა და დაცვაზე (როგორც ეს, მაგ., კანადასა და ავსტრალიაში ხდება). შესაბამისად, სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფს სპეციალურ სახსრებს საიმისოდ, რომ მოხდეს კულტურული მრავალწევრიანობის წახალისება. საჯარო სამსახურებსა და დაწესებულებებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში და ა.შ ხდება კვოტების დადგენა და წარმომადგენლობითობაც მხოლოდ გარკვეული ჩარჩოების საშუალებით და კვოტირებითაა შესაძლებელი. თუმცა, მულტიკულუტურალისტული პოლიტიკის გარკვეული სტრატეგია შესაძლოა განახორციელოს სახელმწიფომ, მაგრამ, ამავე დროს, ის არ აქციოს ოფიციალურ პოლიტიკად. დღევანდელ ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობა ამ უკანასკნელ ვარიანტს უფრო ამჯობინებს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეთნოკულტურული დანაწევრების მაღალ დონეს, სამოქალაქო ინტეგრაციის სისუსტეს, დემოკრატიული საჯარო-პოლიტიკური სივრცის სიმყიფეს, აღმოვაჩენთ, რომ მულტიკულტურალიზმი სახელმწიფოებრიობის რღვევის პროცესს თუ შეუწყობს ხელს. იმის მიუხედავად, რომ ქართულ სახელმწიფოს აუცილებლად

[18] Ibid: Стр. 52-53.

მოუწევს მულტიკულტურალიზმის ზოგიერთი ელემენტის განხორციელება (როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაშია), მისი ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება მხოლოდ უარყოფით შედეგებს თუ გამოიღებს.

მულტიკულტურალისტული დისკურსის ზოგიერთი ქვეყნის მიერ ოფიციალურ პოლიტიკად აღიარება, მათი მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო და მათ წინაშე მდგარი პრობლემების გამოძახილს წარმოადგენდა. მაგრამ ისინი ამ ნაბიჯზე, საქართველოსგან განსხვავებით, მძლავრი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის პირობებში წავიდნენ. თუმცა, 100% სიკეთე არც მათთვის მოუტანია. პირიქით, ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს მის ოფიციალურ პოლიტიკად აღიარებაზე და მის გარკვეულ ელემენტებს ახორციელებენ მხოლოდ. მისი ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება სულ რამდენიმე სახელმწიფომ თუ გაბედა.

საქართველო, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუციების და სახელმწიფოებრიობის მრავალი სავალალო ნიშნით გამოირჩევა, ვერ გაუძლებს მულტიკულტურალიზმის ოფიციალურ პოლიტიკას. ამიტომაც, ალბათ, უმჯობესია მულტიკულტურალიზმის (რომელსაც საქართველოს ბევრი საერთაშორისო ვალდებულება ითვალისწინებს) გარკვეული ელემენტების გამოყენებაზე ზრუნვა და მის მოდიფიკაციაზე ქართულ რეალობაში, ვიდრე მულტიკულტურალიზმზე, როგორც ოფიციალურ პოლიტიკად გადაქცევაზე, ფიქრი. ეს უბრალოდ სამწუხარო არარეალობა იქნებოდა, რომელიც ისედაც მრავლად გააჩნია საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულს.

ლიტერატურა:

1. შოთა ხინჩაგაშვილი. *მულტიკულტურალიზმის გამოწვევები, სოლიდარობა*, „სახალხო დამცველი“, ჟურნალი, № 6 (33), http://ombudsman.ge/files/downloads/ge/jhvtmqxbtrhnwfqqefkq.pdf
2. ჩარლზ ტეილორი. „ლიბერალების და კომუნიტარების დებატები“, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი, 1996.
3. იანოშ კიში. შესავალი, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი, 1996.

4. The theory of Stein Rokkan; State formation, nation-building and mass politics in Europe; Comparative European politics; Edited by Peter Flora; Oxford University Press. 1999
5. Robert E. Goodin / *Liberal Multiculturalism: Protective and Polyglot*/Political Theory, Vol. 34, No. 3 (Jun., 2006)
6. Steven S. Lee, /"*Borat," Multiculturalism, "Mnogonatsional'nost'*" / Slavic Review, Vol. 67, No. 1 (Spring, 2008)
7. Marcel Coenders and Peer Scheepers /The Effect of Education on Nationalism and Ethnic Exclusionism: An International Comparison / Political Psychology, Vol. 24, No. 2, Special Issue: National Identity in Europe (Jun., 2003)
8. Taylor Charles. *Multiculturalism: examining the politics of Recognition*. Ed.A. Gutman, Princeton, NJ; Princeton University Press, 1994
9. A. Schlezinger Jr. The Diuniting of America: Reflexions on a Multicultural Society. Knoxvill, Ten., Whittle Books, 1991
10. Владимир Малахов, Вызов национальному государству / Скромное обаяние расизма и другие статъи. Москва, 2001. Стр.42-43

Zviad Abashidze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Multiculturalism and Georgia

Resume

The article analyses the process of implementation of Multicultural policy in Georgia. A special interest has been dedicated to the analysis of actual practice against the background of the European Charter of Regional and Minority Languages and other international obligations. The author argues in favor of perils of multicultural policy implementation from the perspective of territorial integrity of the state.

Dr. David Abesadze

The Transformation of Islamic Movement in Turkey: Case of Nakşibendî and Nurculuk

Introduction

Significance of this study is determined by the following factors: Firstly, Geographical: Turkey is one of the most important neighboring states, and at the same time important trade-economic and political ally of Georgia. Due to Geographical proximity, social, economic, and political processes in Turkey can have significant impact on the situation in Georgia and in the Black Sea region, in general; Secondly, Structural: Generally speaking, there are some similarities in basic internal development factors - strengthening democratic institutions, and market economy - and in the foreign policy orientation of Georgia and Turkey. Therefore, in general study the experience of Turkey would have a positive significance for Georgia.

Georgia's social-economic and political problems increase the risk for the strengthening of religious movement in the country. Recent events in Georgia, in particular, activation of religious groups, to some extent can be seen as the rudiment of this danger. Further strengthening of religious movement will significantly hinder Georgia's further development, towards the strengthening of liberal-democratic institutions in the country.

In-depth study and analysis of the above-mentioned topic, based on the experience of Turkey - that is a transformation of religious movement and their inclusion into democratic political system - can have a significance for mitigating the above-mentioned risks. In-depth knowledge of those issues would help: 1) to asses more adequately the potential risks, coming from the religious movement; and 2) to lead the process towards their inclusion into the liberal-democratic political system.

In the paper I focus on one of the main actors of Islamic movement in Turkey: Nakşibendi order and Nurculuk, using the theoretical framework developed by one of the leading scholars of Islam and politics Professor Daniel

Brumberg. Conclusions of this paper were basically drawn on the basis of the field research in Istanbul: observations of the Islamic parties of Turkey [Justice and Development Party - Adalet ve Kalkınma Partisi; and Felicity Party - Saadet Partisi], organisations connected to Islamic movement [Independent Industrialists and Businessmen's Association - Müstakil Sanayici ve İşadamları Derneği; Association for Defense of Human Rights and Support for Oppressed People - İnsan Hakları ve Mazlumlarla Dayanışma Derneği], and in-depth interviews with their representatives and supporters.

Nakşibendi Order

The Nakşibendî is one of the most famous Sufi orders, the *tarikat*[1] that posed the most dangerous threat to secularism in Turkey.[2] Their strict anti-secular activity got its roots from the ambiguous and limited secularising policies of young Turks during the Ottoman Empire.[3] Their strict anti-secular movement continued in the 1920s and 1930s, aiming to destroy the "sinful" republican regime.[4] It is worth adding that the weakening of the ulema, the formal religious teaching, and absence of alternative religious activity, made fertile ground for the Nakşibendî to play a distinctive role in the rise of the fundamentalist religious movement during the single-party period in Turkey.[5]

---

[1] *Tarikat* literally means "way." As David Shankland broadly defines, "a *tarikat* is a number of believers united by the respect that they show for a particular person or lineage, whom they regard as different from other human beings by virtue of their being favored by God." *Tarikat* is a hierarchical, often exclusive organisation that differs from configuration of the worship at a mosque. In a mosque, the *imam* is the prayer-leader, who is not qualitatively different from other male worshippers. *Tarikat* is a way of organising Islamic ideas assuming that God can be reached from within or through a person. An orthodox position argues that, "God is transcendent, beyond the reach or comprehension of believers." "[In the Ottoman Empire], the orthodox clergy, the *ulema,* sought to take control through their proximity to the governing power, whilst the *tarikats,* with their charismatic leader and mobile followers often became a focus for rebellion and direct assault on the center." See Gellner (1981). For general introduction to the brotherhoods in Islam see Trimingham (1971). In David Shankland, "Islam and Society in Turkey," The Eothen Press, 1999, pp. 64-64.

[2] Şerif Mardin, "The Nakşibendî Order in Turkish History," Richard Tapper Ed., *Islam in Modern Turkey: Religion, Politics and Literature in a Secular State,* I.B. Tauris & Co Ltd. Publishers, London. New York, 1991, p. 121.

[3] Ibid.

[4] Ibid., p. 122.

[5] Sencer Ayata, "Patronage, Party, and State: The Politization of Islam in Turkey," *The Middle East Journal,* Winter 1996, Volume 50, Number 1, p. 48.

Because the secular state saw them as dangerous, they were banned in 1925, along with other tarikats, by the republican government. However, the Nakşibendî order (tarikat) did not stop functioning and tacitly always represented a refuge for those people who opposed the state secular reforms, and who supported the creation of a state based on *Sharia* (Islamic Holy Law).[6]

As we have witnessed, in the early 1970s the Nakşibendî order changed its strategy, turning from organising mass revolts to participating in the established political system. Nakşibendî played an important role in Turkish politics by incorporating in their list leading political actors (among their members were leading politicians such as Turgut Özal, later the president of Turkey and Necmettin Erbakan, leader of the NOP, NSP and WP parties, along with many others), and creating its own Islamist political party that actively participated in Turkey's electoral politics (the Nakşibendî order was one of the founders of the National Salvation, and National Order parties).[7] from the 1970s onwards, Nakşibendîs have developed powerful and active business networks, mass media, and social and welfare services.[8]

Now, the Nakşibendîs follow a peaceful and gradualist political strategy. They try to avoid open confrontation with secular state institutions.[9] "In the second half of the 1990s, the leaders of the influential religious brotherhoods, movements, and sects, and the leading Muslim intellectuals appear to be fairly well integrated into the Turkish secular democratic state and display even more moderate views than the RP (RP means Refah Partisi, Welfare Party)."[10] once the leading religious brotherhoods (the Nakşibendîs and Nurcus) made a tacit pact with secularist political parties in exchange for leaving the religious brotherhoods alone, they would in turn support them. But later, the brotherhoods became lobbies for those business sectors, such as textiles, construction and banking, that

---

[6] David Shankland, "Islam and Society in Turkey," The Eothen Press, 1999, pp. 63-64.

[7] Ibid., p. 68.

[8] Sencer Ayata, "Patronage, Party, and State: The Politization of Islam in Turkey," *The Middle East Journal,* Winter 1996, Volume 50, Number 1, pp. 48-49.

[9] Sencer Ayata, "The Rise of Islamic Fundamentalism and Its Institutional Framework," Atila Eralp, Muharrem Tunay, and Birol Yeşilada ed., *The Political and Socioeconomic Transformation of Turkey*, Praeger, Westport, Connecticut, London, 1993, p. 54. For more information on this argument see H. Algar, "Der Nakşibendî Order in der republikanischen Turkei." In Jochen Blaschke and Marlin van Bruinessen, eds., *Islam und Politik in der Turkei. Express edition. Berlin.*

[10] Metin Heper, "Islam and Democracy in Turkey: Toward a Reconciliation?" *The Middle East Journal,* Volume 51, Number 1, Winter 1997, p. 38.

are established by Islamist groups.[11] Thus, "religious leaders of these brotherhoods, movements, and sects became heads, and the leadership cadres of those economic ventures became laymen."[12] It is useful to recall that religious brotherhoods, in the beginning, supported religious parties – among them the Welfare Party – but after they figured out that religious parties' confrontational strategy prompted military intervention, that support become especially disadvantageous (unprofitable) for them. Consequently, they gradually changed their minds and gave up their support, claiming that religious parties threatened the future of democracy in Turkey,[13] by which they would benefit in the future. "… several religious orders withdrew their support from the RP (Welfare Party) starting in the early 1990s, and even sent word to the National Security Council that they had terminated their link with that party."[14] We know that "During recent decades, two Nakşibendî shaykhs, Kotku and his successor, the present Shaykh Mahmud Esad Cosan, a professor of theology and the late Kotku's son-in-law, have disapproved of the fundamentalist interpretations of Islam by some radical brotherhoods."[15] Nakşibendîs have adopted an evolutionary rather than a revolutionary line on the Islamization of everyday life in Turkey.[16]

Nurculuk[17]

The Nurculuk represents the modern Turkish religious movement that is named after its founder and leader, Bediuzzaman Said Nursi (1876-1960).[18] He received his education in the Nakşibendî circle, in Bitlis.[19] "… [Nursi's] outlook was also shaped by the presence of an Ottoman administration modeling itself

---

[11] Sencer Ayata, "Patronage, Party, and the State: the Politization of Islam in Turkey," *The Middle East Journal,* Winter 1996, Volume 50, Number 1, p. 45. In Metin Heper, "Islam and Democracy in Turkey: Toward a Reconciliation?" *The Middle East Journal,* Volume 51, Number 1, Winter 1997, p. 38.

[12] Metin Heper, "Islam and Democracy in Turkey: Toward a Reconciliation?" *The Middle East Journal,* Volume 51, Number 1, Winter 1997, p. 38.

[13] Ibid.

[14] Ibid., p. 39.

[15] Ibid.

[16] Ruşen Çakır, *"Ayet ve Slogan,"* Istanbul: Metis Yayınları, 1990), p. 23.

[17] Here I analyze the original *Nurcu* Movement of Said Nursi and the "neo-Nurcu" movement of Fethullah Gülen.

[18] Şerif Mardin, "Nurculuk," in Ed. In Chief, John L. Esposito, "The Oxford Encyclopedia of the Modern Islamic World," New York Oxford, Oxford University Press, Volume 3, p. 255.

[19] Ibid.

increasingly on Western Europe."[20] After realising that the Turkish modernisation movement endangered his backward region, Said Nursi decided to take part in defence of his region. Initially he supported the Young Turk Revolution of 1908, but after he saw their ambivalence toward Islam he changed his position. Then he supported the Kemalist national resistance movement, but when his ideas on Islam came into conflict with the secularist Atatűrk's intentions, he was forced into exile. During his life, he was exiled and imprisoned several times by the state, on the grounds that he had established his own religious order which was forbidden by law.[21] The Nurculuk represented a religious movement of rural areas and provincial towns, gradually spreading to larger cities. Among its members were highly educated people, including university professors. The major activity of the movement was publishing the works of Said Nursi, and brochures on the foundation of modern science. They were also publishing the newspaper Yeni Asya (New Asia).[22] Nursi's readers throughout the country, mostly in industrialised cities, formed public reading circles (dershanes), where people, primarily students of several universities usually gathered to read the writings of Nursi. Today in Turkey, the total number of dershanes is more than 5000.[23] The Said Nursi movement is regarded as the most powerful text-based faith movement in Turkey.[24] It is difficult to find any documents that prove the Nurcu movement's active participation in uprisings like the Nakşibendî.

The main difference it has with other Islamic movements, as prominent Turkish scholar Hakan Yavuz asserts, lies in its understanding of Islam, and its strategy for the transformation of society. "Nursi offers a conceptual framework for a people undergoing the transformation from a confessional community (gemeinschaft) to a secular national society (gesellschaft).[25] Nursi's work responded to the debates of his time. He tried to show that science and rationalism were completely compatible with religious belief by trying to contemporise Islam by Islamising science. He argued that Islam and democracy (which he said is a necessary condition for a just society) were compatible to

[20] Ibid.
[21] Ibid.
[22] Ibid., p. 256.
[23] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, A Journal of International Affairs, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 120.
[24] M. Hakan Yavuz, "Towards an Islamic Liberalism?: The Nurcu Movement and Fethullah Gűlen," *Middle East Journal,* Volume 53, Number 4, Autumn 1999, p. 586.
[25] Ibid.

each other.[26] Nevertheless, he did not aim to give up his idea of an Islamic state, asking the new Grand National Assembly of Republican Turkey to obey Islamic precepts, and strictly opposing Kemalist reforms.[27] He was offering a bridge from traditional to modern society.[28] He had a gradual transformation program that included three steps: (a) raising individual Muslim consciousness; (b) the implementation of faith in everyday life; (c) the restoration of the shari'a.[29]

As we see, Nursi's whole strategy was directed towards a Sharia ruled society.[30] Nevertheless, the Nurcu movement expressed a positive attitude towards Turkey's membership in NATO, and supported the idea of Turkey's integration into the European Union.[31]

After Said Nursi's death, the movement divided into several groups.[32] Among them the most powerful is the neo-Nurcu movement, or the so-called Fethullah Gűlen community. This and other neo-Nurcu movements are far from positioned as anti-state; they all pursue a statist position.[33] The leader of the most powerful neo-Nurcu movement, Fethullah Gűlen, began his career in 1953. In the beginning, he was a preacher. In 1958, he became a teacher at one of the mosques. In 1971 he was accused of clandestine religious activities (organising summer camps to disseminate Islamic ideas) and was arrested in a 1971 military intervention. Because of the military's relative tolerant attitudes towards Islam in the 1980s, Gűlen. regardless of police prosecution, avoided arrest.[34] In those days, his activity was basically focused on writing about religious philosophy.[35]

---

[26] Ibid., pp. 586-587.
[27] Ibid., p. 588.
[28] Ibid., p. 591.
[29] Bediüzzaman Said Nursi, "Kastamonu Lâhikası," *RNK II,* p. 1641. In M. Hakan Yavuz, "Towards an Islamic Liberalism?: The Nurcu Movement and Fethullah Gűlen," *Middle East Journal,* Volume 53, Number 4, Autumn 1999, p. 591.
[30] Ibid.
[31] Bediüzzaman Said Nursi, "Lem'alar," *RNK I,* p. 643. In M. Hakan Yavuz, "Towards an Islamic Liberalism?: The Nurcu Movement and Fethullah Gűlen," *Middle East Journal,* Volume 53, Number 4, Autumn 1999, p. 592.
[32] M. Hakan Yavuz, "The Construction of Islamic Identity in Turkey, 1960-1997," (Unpublished Dissertation, University of Wisconsin-Madison, 1998,) pp. 347-364. In M. Hakan Yavuz, "Towards an Islamic Liberalism?: The Nurcu Movement and Fethullah Gűlen," *Middle East Journal,* Volume 53, Number 4, Autumn 1999, p. 592.
[33] Ibid.
[34] Bülent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 23.
[35] Ibid., p. 24.

Gűlen's movement is mainly made up of young urban men – especially doctors, academics,[36] journalists, businessmen (Anatolian entrepreneurs), and students, who's estimated number varies from 2 to 4 million.[37] The movement opposes political Islam and is involved in sponsoring summer camps, universities, cultural facilities, colleges, student dormitories, classrooms, and communication organisations. The movement set up several organisations to propagate Gűlen's ideas, including the Turkish Teachers Foundation that publishes several monthly and academic journals.[38] The economic liberalisation of the 1980s created spaces for the neo-Nurcu movement,[39] which established a large media empire network including a TV channel, *Samanyolu,* a radio station, *Burc FM,* the daily newspaper, *Zaman*; the movement also produced a lot of videos and cassettes to propagate Gűlen's ideas.[40] As well as the scientific journal *Sızıntı*, *Ekoloji* (an environment-related magazine), the movement also founded *Fountain* (an English-language newspaper).[41] Among frequent guests to their media outlets are well-known intellectuals from the elite secular universities of Turkey: Bosphorus and Bilkent universities.[42] As Turkish scholars argue, the Nurcus media network is more democratic than most other Islamist, and even Kemalist groups, in the sense that it allows more freedom for debate and criticism.[43] Besides, the community owns several business organisations (among them is the powerful, non-interest bearing bank Asya Finans, that has over half of a billion dollars in capital[44]); and

---

[36] Bűlent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 25.

[37] *Tempo,* February 7, 1997, pp. 46-50. In Bulent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 25.

[38] Ibid., p. 26.

[39] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 119.

[40] Bűlent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 26.

[41] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 123.

[42] Bűlent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 26.

[43] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 123.

[44] Ibid.

one of them, is the Alarko Group, run with Jewish co-founders.[45] As Turkish scholars conclude, the process of economic liberalisation in the 1980s resulted in openings for several organisations to play crucial roles in the moderation of Islamic groups, such as the neo-Nurcus movement.[46]

Duty to the community and obedience plays important role in hierarchical management of the movement's day-to-day activity.[47] Gűlen is well aware of the power of the market and the opportunities available in a free market economy. As Turkish scholars assert, the neo-Nurcu movement upheld the Western values of free market capitalism and liberal democracy, even more than did the state bureaucratic establishment.[48] For the neo-Nurcu movement, free market leads to producing economic wealth that will support and improve a modern educational system, and empower Muslims in Turkey. By improving the free market and modern education, Islam's face changes as well). Gűlen's philosophy, therefore, is very much in tune with this growing business community. He stresses education and engagement in the market economy. Gűlen's activities are aimed at molding a cohesive and disciplined community through education, mass media, and financial networks. Gűlen's movement sees Islam as subordinate to Ottoman culture and Turkish nationalism.[49] The movement has a special interest in spreading Turkey's influence in Turkic republics, by trying to promote Turkish business and establish schools that would promote philosophical ideas on Turkish nationalism rather than on Islam. Gűlen is very cautious towards the military establishment of Turkey. Instead of antagonising the relationship with them, he does his best to persuade the military that his movement's interest is not in conflict with the existing political order, but rather maintains the status quo.[50] He has said that, if necessary, he would grant his schools to the state.[51]

There are strained relations between Gűlen's movement and the Welfare Party. Erbakan accuses Gűlen's community of cooperating with the government against the Welfare Party. Gűlen as well often criticises the Welfare Party's

---

[45] Bűlent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 26.

[46] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 119.

[47] Ibid., p. 123.

[48] Ibid., pp. 118-119.

[49] Ibid., pp. 123-125.

[50] Ibid., p. 27.

[51] *Milliyet,* December 30, 1997. In Bulent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, pp. 26-27.

policies and activities. Gűlen's antagonistic attitude towards the Welfare Party even pushed him to support the Welfare Party's removal from office and closure by the military in 1998. Because of such disputed relations between Gűlen's movement and Welfare Party, the former usually gave their support to the secular party instead of Welfare Party.[52] The same strategy was continued after the Virtue Party replaced the Welfare Party. Gűlen did not support the Virtue Party, criticising their demand to "instrumentalise" religion in politics.[53] Here, in order to see clearly the transformation of the old Nurcu movement, we can recall the completely antagonistic attitude of the old Nurcu group, when it sharply criticised Islamist, National Salvation Party's leader, Erbakan, for making coalition governments with the center-left, and center-right political parties, and leaving the Islamist party in 1970's.[54] Gűlen has good relations with liberal intellectuals, who state that by reaching consensus with Gűlen's "soft" Islamic movement they see a solution to Turkey's problems.[55] As Turkish scholar Ruşen Çakır asserts, "The [secular] parties are promoting him as an alternative to Welfare. They're using their enemy's weapon against their enemy."[56] Among Gűlen's aims we see that he wants to recreate a legitimate link between state and religion, emphasize democracy and tolerance, and encourage links with the Turkic republics."[57]

As it seems, the Nurcu movement is more interested in involving in the fields of spirituality, education, stability, and developing its business activities, rather than seeking political power, and creating its own political party.[58]

The neo-Nurcu group was more imaginative in regard to societal transformation than the Virtue Party. "Gűlen's group is better organised and more in tune with Turkish statism than the Virtue-led Islamic forces. When the

---

[52] Bülent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, pp. 27-28.

[53] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, p. 126.

[54] Birol A. Yeşilada, "The Virtue Party," *Turkish Studies,* Volume 3, Number 1, Spring 2002, p. 67.

[55] Bülent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 28.

[56] Alistair Bell, "Turkish Islamic leader defies radical label," Reuters, August 7, 1995. In Bülent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 28.

[57] Bülent Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* September 1998, Volume V: Number 3, p. 29.

[58] Ibid.

Turkish government was seeking to counterbalance the political Islam of the Welfare Party, Gűlen never hesitated to ally himself with the statist forces. Gűlen represents pluralisation and moderation of the Turkish Islamic movements. Gűlen's community implicitly argues that Islam is the religion of the nation and should not be reduced to being the identity of one party."[59]

The main religious actors of Turkey, regarding their key characteristics, can be placed within the theoretical framework that was developed by Daniel Brumberg. He classifies Islamist movements in three broad ideal types: "radical or militant fundamentalism," "reformist or moderate fundamentalism" and "strategic modernism or Islamic liberalism."[60] By "radical or militant fundamentalism" he means a movement that rejects peaceful means (elections) and demands the establishment of an Islamic state (a state that is based on Islamic laws "Shari'a") by means of coercive action. The second type of Islamist movement, reformist or moderate fundamentalism, in terms of its ultimate goal, is similar to the first type. They both demand the creation of an Islamist state, although they use different means to achieve this goal. Unlike the radical or militant fundamentalism, reformist fundamentalism is moderate in its tactic; instead of coercive action, it uses peaceful means (i.e. elections for achieving their goal to establish an Islamic state. We could say, in other words, that reformist or moderate fundamentalism uses democratic means (elections) in order to subvert and replace incumbents. By the third category, strategic modernism or Islamic liberalism, Brumberg means an Islamist movement that can be regarded as democratic, and similar to the Christian Democratic parties of Western Europe. This type of movement is similar to the second type of Islamist movement, reformist or moderate fundamentalism, in terms of using peaceful means (elections) to achieve their ultimate goal. But unlike reformist or moderate fundamentalism, this goal does not demand the creation of an Islamic state, but instead demands co-existence in the existing secular and pluralistic order.[61]

Actors in Turkey vary from illiberal, radical fundamentalists (the Nakşibendî order), and moderate fundamentalists (the Nurcus, National Order Party, National Salvation Party, Welfare Party, Virtue Party, and Felicity Party), to liberal, democratic strategic modernists, (the Nakşibendîs, Neo-nurcus, and Justice and Development Party). (See figure)

---

[59] M. Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gűlen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Winter-Spring 1999, Volume XIX, Number one, pp. 126-129.
[60] Ibid.
[61] Ibid..

Figure. Classification of the main Religious actors of Turkey.



Conclusion

By considering these main religious actors from a historical, chronological perspective, one inevitably will see a natural two-step transformation process from "radical fundamentalism" to "moderate fundamentalism", and from "moderate fundamentalism" to "strategic modernism", encompassing the period from the 1920s to the beginning of the 21st century.

As my research has shown, the very state of the situation in Turkey[62] left no

[62] Firstly, as we know, in Turkey the owners of the religious issue, religious orders, unlike their European counterparts, were creators of religious political parties. Taking into account the very nature of the creator-creation relationship, the creator is more entitled and most probably has a better chance to subordinate its creation, as compared to someone who has not created it. Thus, it was more difficult in the Turkish case for the religious party to detach from the actor that was its creator. In other words, here, detachment from the religious issue was not a proper means of gaining independence from the religious orders. Secondly, the very nature of the religious order resembles a typical mass organisation giving it opportunity for more control of the party, as compared to the Catholic Church. The reasons for this are manifold: a) The lay

room for religious parties to act as independent actors. Instead, religious parties were actors dependent on religious orders, that even had their members in these parties. Thus, considering the dependent nature of the Turkish religious parties, the only hope the parties' had for transformation was through the religious orders, whose interest would play an instrumental role in this process. I argue that they acquired such interest as a result of the long learning process that started in the 1920s and lasted until the beginning of 2000. Their character was transformed from radical fundamentalism to liberal modernism. The learning process was not linear and various factors played various roles at different periods of time.

For example, the Nakşibendî order was forced by the secular state establishment to transform from "radical fundamentalism" to "moderate fundamentalism". Several factors played a decisive role in the transformation of the Nakşibendî and Nurcu religious groups from "moderate fundamentalists" to "strategic modernists":

Firstly, the deliberate strategy of secularisation in terms of education reform had an important impact on the transformation of religious orders. Here, one decisive factor was the abolition of important religious learning centers (medreses) by the secular state in 1924.[63] Due to those circumstances, the number of competent Islamic scholars gradually decreased.

Secondly, in addition to the above-mentioned, the economic liberalisation program that was imposed at the beginning of the 1980s had a decisive impact

---

character of the mass organisation gives it more freedom in comparison to the Catholic Church, whose spiritual nature restricts its involvement in politics, which is regarded as one of the lay domains; b) The mass organisation, just like a broadly understood political party, consists of lay people. In terms of personal relationships, barriers between them are much less significant than in the case of the relationship between the Catholic Church and a political party. This latter case is due to barriers between the clergy-lay people relationship. Hence it gives rise to misunderstanding that provokes conflict and desire for detachment. The possibility of such a scenario is much lower when the relationship is between the mass organisation and a political party because of their similar nature; c) detachment was not even desirable because often the borders between religious orders and religious parties in Turkey were obscure and interpenetrated; here we can recall the case of the leader of the Welfare Party, Erbakan, who was a member of Nakşibendî order. Thirdly, considering that about four-fifths of the population of Turkey are Sunni Muslims, and the state establishment always had a negative attitude towards religious issues, Issue of Islam has never lost its importance in Turkey. Dissimilarly, in Western Europe, religious parties were expected to dismiss the religious issue.

[63] Binnaz Toprak, "The Religious Right," in *Turkey in Transition: New Perspectives,* ed. Irvinc Schick and Ertuğrul Ahmet Tonak, New York, Oxford, Oxford University Press, 1987, p. 223.

on the transformation of Islam. A new generation of Islamists who did not obtain a competent Islamic education was more vulnerable to structural changes imposed by the secular Turkish state. The post-1980, neo-liberal era created favourable conditions for the significant rise in Islamic capital or Islamic bourgeoisie in Turkey.[64] Considering the fact that the secular state still retained powerful means in economic relationships, confrontation with the state was disastrous for Islamic business. Thus, rationally, it made more sense for Islamists to choose a conciliatory relationship with the secular state, that was more focused on their economic activities and gaining profit, than taking care of the Islamic resurgence. These factors played a crucial role in the gradual transformation of Islam's identity to market Islam, and required moderate fundamentalists to take up a more moderate, strategic modernism posture.[65]

Thirdly, another factor that played a decisive role in the moderation process of the Islamic orders, was the pressure imposed on Islamists by means of institutional constaints. They included the possibility of military intervention and triggered a fear of legal closure by order of the courts.[66]

As to the fourth factor, external context played an instrumental role. Today, as Öniş argues, domestic politics of the nation states are more dependent on external global norms than they were before. In this respect, norms of the European Union played an important role in the moderation of anti-state, anti-democratic religious orders that look at the EU as a natural source of protection from the secular state establishment. Looking at the EU as an actor who has power to defend the rights of Islamic groups, forced the latter to quit the fundamentalist stance and instead act according to the rules of the EU, that is democracy.[67]

Considering the transformation of religious-political movement of Turkey the following conclusions can be drawn. As we saw in the Turkish case, the sponsor organisations (religious orders) played an instrumental role in the moderation process. It is worth mentioning that in Turkey moderation of religious-

---

[64] Ziya Öniş, "The political economy of Islamic resurgence in Turkey: the rise of the Welfare Party in perspective," *Third World Quarterly,* Volume 18, Number 4, 1997.

[65] Ibid., See See Hakan Yavuz, "Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gulen, the Virtue Party and the Kurds," *SAIS Review*, *A Journal of International Affairs*, Volume 19, Number 1, Winter-Spring 1999; B. Aras, "Turkish Islam's Moderate Face," *Middle East Quarterly,* Volume 5, Number 3, September 1998.

[66] Ziya Öniş, "Political Islam at the Crossroads: From Hegemony to co-existence" (September 2001). Website: http://home.ku.edu.tr/~zonis/polislam.PDF. p. 21.

[67] Ibid.

political movements was the result of a long, two-step learning process, that involved several external constraints from the secular state establishment, and systemic changes in the Turkish economic and social systems (here I mean liberalisation of the Turkish economy, and abolishment of the religious educational system). In turkey the main actors more or less were informed about the outcome and the democratic legitimacy was generated exogenously.

Bibliography

I am particularly grateful to Dr Zsolt Eneydi, my research supervisor, for his extremely valuable and constructive suggestions during the planning and development of this research work. I would like to offer my special thanks to Dr Revaz Gachechiladze, my teacher and supervisor, for his professional guidance and valuable advices and support. His willingness to give his time so generously has been very much appreciated. I would also like to extend my special thanks to Dr Marine Shonia, my long time teacher for her enthusiastic encouragement and useful contribution and critique of this research work. My grateful thanks are also extended to Dr Miklos Sukosd, Dr Ziya Oniş, Dr Huricihan Islamoğlu, Dr Ersin Kalaycioğlu, and Dr Ali Çarkoğlu for their useful recommendations and time sincerely devoted to my research.

1. **Aras, Bülent.** Turkish Islam's Moderate Face. *Middle East Quarterly.* Vol. 5, No. 3, September 1998
2. **Ayata, Sencer.** The Rise of Islamic Fundamentalism and Its Institutional Framework. Atila Eralp, Muharrem Tünay, and Birol Yeşilada, ed., *The Political and Socioeconomic Transformation of Turkey*. London: Praeger, Westport, Connecticut, 1993
3. **Ayata, Sencer.** Patronage, Party, and State: The Politicization of Islam in Turkey. *The Middle East Journal.* Vol. 50, No. 1, Winter 1996
4. **Çakır, Ruşen.** *Ayet ve Slogan.* İstanbul: Metis Yayınlari, 1990
5. **Esposito, John**. ed., *The Oxford Encyclopedia of the Modern Islamic World.* Vol. 3, New York Oxford: Oxford University Press, 1995
6. **Heper, Metin.** Islam and Democracy in Turkey: Toward a Reconciliation. *The Middle East Journal.* Vol. 51, No. 1, Winter 1997
7. **Irvin Schick C. and Ertuğrul Tonak.** ed., with translations by Rezan Benatar, Irvin C. Schick, Ronnie Margulies, *Turkey in Transition: New Perspectives.* Oxford University Press, 1987

8. **Mardin, Şerif.** *The Nakşibendî Order in Turkish History*. Edited by Richard Tapper. *İslam in Modern Turkey: Religion, Politics and Literature in a Secular State.* London. New York: I.B. Tauris & Co Ltd. Publishers, 1991
9. **Mecham, Quinn R.** From the Ashes of Virtue, A Promise of Light: The Transformation of Political Islam in Turkey. *Conference paper of the Middle Eastern Studies Association (MESA),* Washington, D.C., November 2002, website:http://comparativepolitics.stanford.edu/Papers2002-03/Mecham-Dec2-2002.pdf
10. **Öniş, Ziya.** The Political Economy of Islamic Resurgence in Turkey: the Rise of the Welfare Party in Perspective. *Third World Quarterly,* Vol. 18, No. 4, 1997
11. **Öniş, Ziya.** "Political Islam at the Crossroads: From Hegemony to coexistence." Contemporary Politics, Vol. 7, No. 4, 2001.
12. **Shankland, David.** *Islam and Society in Turkey*. The Eothen Press, 1999
13. **Yavuz, Hakan M.** Search for a New Social Contract in Turkey: Fethullah Gülen, the Virtue Party and the Kurds. *SAIS Review*, *A Journal of International Affairs.* Vol. XIX, No. 1, Winter-Spring 1999
14. **Yavuz, Hakan M.** Towards an Islamic Liberalism?: The Nurcu Movement and Fethullah Gülen. *Middle East Journal.* Vol. 53, No. 4, Autumn 1999
15. **Yeşilada, Birol A.** The Virtue Party. *Turkish Studies.* Vol. 3, No. 1, Spring 2002

დავით აბესაძე

ისლამური მოძრაობის ტრანსფორმაცია თურქეთში: ნაქშიბენდისა და ნურჯულუკის მაგალითზე

რეზიუმე

ნაშრომში შესწავლილია თურქეთში ისლამური მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი რელიგიურ-პოლიტიკური აქტორები – ნაქშიბენდისა და ნურჯულუკთა ჯგუფები. მათ შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია ისლამისა და პოლიტიკის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერის, პროფესორ დანიელ ბრუმბერგის მიერ შემუშავებული თეორიული საფუძველი. თურქეთის ერთ-ერთი მთავარი რელიგიური აქტორე-

ბის ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჭრილში შესწავლის საფუძველზე ჩანს „რადიკალური ფუნდამენტალიზმიდან“ „ზომიერ ფუნდამენტალიზმამდე“ და „ზომიერი ფუნდამენტალიზმიდან“ „სტრატეგიულ მოდერნიზმამდე“ ორსაფეხურებრივი, ბუნებრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც 1920-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს.

თურქეთის რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის შესწავლის საფუძველზე შემდეგი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი: თურქეთის შემთხვევაში სპონსორმა ორგანიზაციამ (რელიგიურმა ჯგუფებმა) მოძრაობის მოდერაციის პროცესში განმსაზღვრელი როლი შეასრულა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თურქეთში რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის მოდერაცია ხანგრძლივი, ორსაფეხურებრივი შესწავლის პროცესის შედეგი იყო, რომელიც თურქეთის სეკულარული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ევროკავშირის გარეგანი სახის ზემოქმედებას, ასევე თურქეთის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არსებულ სისტემურ ცვლილებებს მოიცავდა. თურქეთის შემთხვევაში მთავარი მოქმედი პირები მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი იყვნენ შედეგის თაობაზე და დემოკრატიული ლეგიტიმურობა ეგზოგენური სახით წარმოიქმნა. ნაშრომის დასკვნები ძირითადად სტამბოლში ჩატარებულ საველე კვლევას ეყრდნობა, რომლის ფარგლებში თურქეთის ისლამური პარტიები და ისლამურ მოძრაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები იყვნენ შესწავლილნი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ზემოხსენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან და მხარდამჭერებთან.

მარინა ბურძენიძე
მარინე ქევხიშვილი

განათლებისა და დასაქმების ფაქტორის მნიშვნელობა ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში

სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ამ თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში გარკვეული ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, დღის წესრიგში რჩება და კვლავაც აქტუალურია სასჯელაღსრულებით სისტემაში ჰუმანიზაციასა და სოციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები. მათი გადაჭრა კი შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პირობებში, რომლებიც მსოფლიო პენიტენციურ პრაქტიკასა და აღიარებულ პრიორიტეტებს ეფუძნება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად (1989 წლის 13 ოქტომბერი), პატიმართათვის განათლების უფლება მიჩნეულია როგორც ფუნდამენტური უფლება, რამდენადაც ის ჰუმანურს ხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებას, აუმჯობესებს პატიმრობის პირობებს, პატიმართა საზოგადოებაში დასაბრუნებლად ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ყველა პატიმრისთვის განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს (იგულისხმება საბაზისო და პროფესიული განათლება, კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული აქტივობები, სოციალური განათლება და ბიბლიოთეკა); პროფესიული განათლება მიზნად უნდა ისახავდეს პიროვნების ზოგად განვითარებას და შეესაბამებოდეს არსებული შრომის ბაზრის პირობებს, ასევე, უნდა გატარდეს ღონისძიებები იმისათვის, რომ პატიმრებმა განათლების მიღება გათავისუფლების შემდეგაც განაგრძონ და ა.შ.

წლების წინ, არცთუ შორეულ წარსულში, საბჭოთა რეჟიმის საპატიმრო სისტემა ტოტალიტარიზმისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, რამდენადაც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირებდა როგორც რეპრესიული მანქანა. შემ-

დგომ დადგა მისი რეფორმირების აუცილებლობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უკეთესობისკენ, თუმცა წარსულის მანკიერებებიდან თავის დაღწევა ვერ მოხერხდა, რამაც გამოძახილი საზოგადოებაში პოვა. ასეთმა ვითარებამ დღეს კიდევ უფრო აქტუალური გახადა და მძაფრად დააყენა სასჯელაღსრულების სისტემის ჰუმანიზაციის საკითხი.

თავისუფლების აღკვეთის და დასჯის ალტერნატიული საშუალებები და მეთოდები, რომლებიც დასავლურ სისტემაში დეკლარირებულია, ჩვენთან ჯერაც არ დამკვიდრებულა. ასეთ ზომებს მიეკუთვნება: გამოსასწორებელი ცენტრები, საპატიმრო სახლები, შინაპატიმრობა; **მსჯავრდებულთა კანონმორჩილი ქცევის ახალი პრინციპების შემუშავება და დანერგვა.** რამდენადაც კოლექტიური და შრომითი აღზრდის პრინციპები არაეფექტური აღმოჩნდა და ვერ გაამართლა, შესაძლებლად მიიჩნევა მისი ჩანაცვლება საზოგადოებაში სოციალური ადაპტაციის გზით, აგრეთვე, სოციალურ-ფსიქოლოგიური მუშაობით ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე; **გამოსასწორებელი დაწესებულებების ღიაობისა და გამჭვირვალობის** უზრუნველყოფა. ასეთი ნოვაციები, ორგანიზაციულ ძალისხმევასა და ფინანსურ რესურსთან ერთად, რეფორმირების სტრატეგიის კონცეპტუალურ შემუშავებას მოითხოვს და ერთი უწყების ძალისხმევით ვერ განხორციელდება.

სასჯელაღსრულებითი სისტემის ძირეული რეფორმირების პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული/აღიარებული, რომ ეროვნული პენიტენციური სისტემის ნორმები და პრაქტიკა შესატყვისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან, რადგან ნებისმიერი რეფორმა საერთაშორისო სამართლის ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს.

თუ საკითხს ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, ერთა ლიგამ მიიღო პატიმრების მოპყრობის წესები (1934 წ.), რომელთა მომზადება, 1872 წლიდან მოყოლებული, პირველ პენიტენციურ კონგრესებზე დაიწყო. აღნიშნული წესების მიღებისას ერთა ლიგამ აღიარა, რომ „მოცემული სახელმწიფოს სამართლებრივი, საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის მიუხედავად, ყველა პენიტენციურ სისტემაში“ მათი გატარება აუცილებელი იყო. სწორედ ეს წესები დაედო საფუძვლად პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შემუშავებას, რომე-

ლიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ოცი წლის შემდეგ მიიღო და დაამტკიცა. მართალია, მინიმალური სტანდარტები რეკომენდაციებად ჩაითვალა, თუმცა, მათ იურიდიული ძალა არ ჰქონდა. 1973 წელს ევროპის საბჭომ მოამზადა და მიიღო საკუთარი ევროპული საპატიმროების წესები, რომლებსაც თოთხმეტი წლის შემდეგ აქტუალური ნოვაციები დაემატა.

ევროპული და გაეროს წესები უმრავლესი ნორმების მიხედვით თანხვედრაშია ერთმანეთთან. დროთა განმავლობაში მათ შორის პრიორიტეტებში განსხვავება გამოიკვეთა: გაეროს წესები ხელახალი/თავიდან აღზრდის, ხოლო ევროპული – ნორმალიზაციის იდეას ემყარება.

2006 წლის იანვარში ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტმა ევროპის პენიტენციური წესების ახალი რედაქცია დაამტკიცა, რომელშიც შევიდა ევროპული ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აპრობირებული თანამედროვე, ახალი დებულებები. მასში პრიორიტეტულად არის მიჩნეული საპყრობილეების ღიაობის პრინციპი და გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის უფლებას ციხის ცხოვრებაში. ასევე მნიშვნელოვანია ცვლილება პატიმართა შრომისადმი დამოკიდებულების კუთხით და ის გულისხმობს, რომ შრომა არასოდეს უნდა გამოიყენებოდეს სასჯელის ფორმად (წესი 26.1). ეს ნიშნავს, რომ იძულებითი შრომა არასასურველად მოქმედებს ადამიანზე, თანაც გასათვალისწინებელია, რომ გამოსასწორებელ დაწესებულებებში სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის გამო აუცილებელი შრომის პირობა შეიძლება ვერ შესრულდეს. პოზიტიური უნარ-ჩვევების შეძენა ადამიანს სასურველი სამუშაოს არჩევის შემთხვევაში შეუძლია. 2006 წელს მიღებულმა წესების კონცეფციამ წარმოდგენები საპატიმროს სისტემის მომავლის, მიზნებისა და საშუალებების შესახებ მნიშვნელოვნად შეცვალა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია პენიტენციური მსოფლმხედველობის ევოლუციის გზაზე.

სტანდარტული წესების როლი მეტ მნიშვნელობას იძენს იმ ქვეყნებში, სადაც ინერგება ჰუმანიზაციისა და სოციალური დოქტრინები, რომლებიც მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებაზეა ორიენტირებული. მორალური და პოლიტიკური ვალდებულებები სტიმულს აძლევს ქვეყანას/სახელმწიფოს გადახედოს თავის პრაქტიკას და სრულყოს პენიტენციური სისტემა.

პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრავენ, რომ მათ აქვთ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობის უფლება, რომელიც პიროვნების განვითარებას ემსახურება. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში პრიორიტეტულია ხარისხიანი განათლების სისტემა. უწიგნურთათვის და ახალგაზრდებისთვის უნდა ორგანიზდეს დაწყებითი სავალდებულო განათლება. ამას გარდა, სწავლება უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსახელმწიფოებრივ განათლებას, რათა ბრალდებულებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება გათავისუფლების შემდეგ. ამისათვის მათ უნდა შეეძლოთ წიგნების, გაზეთების შეძენა, ბიბლიოთეკით სარგებლობა. გამოსასწორებელი დაწესებულებების ადმინისტრაციამ კი შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყოს საშუალო და უმაღლეს პროფესიულ განათლებას.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში (კონკრეტულად, ქსნის მე-15 ღია და დახურული ტიპის და ქალთა მე-5 დაწესებულებებში) საბაზისო და პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით 2011-2012 წელს განხორციელდა პროექტი „განათლებისა და სამუშაო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდა მსჯავრდებულთათვის“, რომელიც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო-პროფესიული პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებდა მსჯავრდებულთა მიერ გარკვეული ხელობების დაუფლებას: მამაკაცთათვის – მეფილემომპირკეთებელი და მებათქაშე; ქალთათვის – არტფლორა-დიზაინი, საკომუნიკაციო ქართული ეთნიკური უმცირესობებისათვის; ზოგადი ინგლისური დამწყებთათვის; ზოგადი ინგლისური გახსენებისათვის. პროგრამაში 96 ბენეფიციარი მონაწილეობდა და, საბოლოოდ, ის შეტანილ იქნა განათლების სამინისტროს სტრატეგიაში.

პროგრამა მიზნად ისახავდა მსჯავრდებულთა უნარ-ჩვევების განვითარებას, ახალი პროფესიების დაუფლების ხელშეწყობას. ან, თავის მხრივ, გარკვეულწილად უნდა უზრუნველყოს სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დატოვების შემდეგ რეციდივის, დანაშაულის ხელახლა ჩადენის ალბათობის შემცირება, დასაქმების ალბათობის ზრდა და სასჯელმოხდილ პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.

სასწავლო და პროფესიული პროგრამების დასრულების შემდეგ ქსნის № 15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის და № 5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული, თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებებში ბენეფიციართა შორის ჩატარდა სოცი-

ოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანიც იყო ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამებისადმი მათი განწყობებისა და დამოკიდებულებების შესწავლა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ორი კვლევა (ორ ჯგუფთან) – 29 მამრობითი და 48 მდედრობითი სქესის ბენეფიციართან. აღნიშნული ჯგუფები დაკომპლექტდა მსჯავრდებულთა სურვილისა და ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე (პროგრამით შეთავაზებული პროფესიების გათვალისწინებით). აქვე აღვნიშნავთ, რომ კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კონკრეტულად, ანკეტირების მეთოდით. აღნიშნული მეთოდი, ჩვენი ვარაუდით, მეტად უზრუნველყოფდა პატიმართა მხრიდან გულახდილობას. შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი. იგი შედგებოდა ღია, დახურული და ნახევრად ღია ტიპის კითხვების, ასევე, დემოგრაფიული ბლოკისაგან.

პროგრამაში ჩართულ მამაკაცთა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 25 წლიდან 55 წლამდე, ხოლო ქალთა შორის – 18-დან 45-წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე ნაწილდება. ასაკის მატებასთან ერთად ორივე სქესის წარმომადგენლებში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად კლებულობს.

ბენეფიციართა დიდი უმრავლესობა როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შორის ქართველი ეროვნების წარმომადგენელია.

ოჯახური მდგომარეობის მხრივ: ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ორივე სქესის წარმომადგენლებში დაოჯახებულთა კატეგორიაზე მოდის.

განსხვავებას იძლევა განათლების ცვლადი სქესის მიხედვით: ქალთა შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი – დაახლოებით 44.0% – უმაღლესი განათლების, ხოლო მამაკაცებში – საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებზე მოდის.

საინტერესო იყო იმის დადგენა, რამდენად კმაყოფილია საკვლევი კატეგორია პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო პროცესით და რა მოსწონთ ყველაზე მეტად. კვლევის მონაცემებიდან გამოვლინდა, რომ უკმაყოფილება არც ერთ ბენეფიციარს არ გამოუხატავს. მსჯავრდებულ მამაკაცთა შორის 93.1% სრულ, ხოლო დანარჩენი – მეტ-ნაკლებ კმაყოფილებას გამოთქვამს სასწავლო პროცესის მიმართ.

ქალთა წარმომადგენლები კი განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამენ სწავლების მეთოდის (45,8%), სწავლების ხარისხის

(64.4%), პედაგოგების (68.8%), სწავლების პროცესის (56.3%) მიმართ.[1] პატიმარი ქალები მოტივირებულები არიან გააგრძელონ სწავლა ცოდნის გაღრმავების მიზნით (50.0%)), რამდენადაც ეს პროცესი სიამოვნებას ანიჭებთ (დაახლოებით 28%) და იმედოვნებენ, რომ მიღებული ცოდნის გამოყენებას ისინი გათავისუფლების შემდეგ შეძლებენ (56.3%). ყოველივე განხილული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისადმი მსჯავრდებულთა მხრივ განწყობები პოზიტიურია.

მამაკაცთა შორის წინა შეკითხვის ანალოგიური შედეგები დაფიქსირდა მოლოდინებთან დაკავშირებით – რამდენად დაეხმარება სწავლების შედეგად ათვისებული უნარ-ჩვევები მათ თავიანთ სამომავლო საქმიანობაში გათავისუფლების შემდეგ? როგორც კვლევის მონაცემები გვიდასტურებს, უკმაყოფილო არც ერთი მსჯავრდებული არ არის და იმედოვნებენ, რომ მიზნებს გათავისუფლების შემდეგ მიაღწევენ.

ოპტიმისტური ტენდენცია გამოვლინდა რესპონდენტთა დამოკიდებულებაში შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენების ასპექტით იმ საქმიანობებში, რომელსაც ისინი მომავალში, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გეგმავენ. მხოლოდ ერთი რესპონდენტია სკეპტიკურად განწყობილი და ნაკლებად აქვს იმედი, რომ შეძლებს მიღებული გამოცდილების გამოყენებას. თუმცა, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევას სხვა კითხვასთან მიმართებაში (კითხვა №13 – იქნებით თუ არა კონკურენტუნარიანი პროგრამის გავლის შემდეგ?) განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ მსგავსი დამოკიდებულება აიხსნება რესპონდენტის ასაკითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით. ზოგადად, კვლევამ დაადასტურა ბენეფიციართა მიერ პროგრამის მოწონების ფაქტი.

რაც შეეხება ქალთა კატეგორიის წარმომადგენლებს, მათ 21.0%-ს ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, რის გაკეთებას აპირებს მომავალში, ხოლო 63.0% ახლა ფიქრობს ამის შესახებ.

---

[1] ***შენიშვნა:*** ვინაიდან სამიზნე ჯგუფის წევრებს ერთზე მეტი პასუხის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ, ამდენად პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს აღემატება.



გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს სურს დასაქმდეს, თუმცა გაურკვევლობაშია და არ იცის ამ ინფორმაციის მისაღებად ვის მიმართოს – კერძო პირს, რომელიმე სააგენტოს თუ სახელმწიფოს.

მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევაც, თუ რა შემატა შეძენილმა უნარებმა და პრაქტიკული პროფესიის ცოდნამ საკვლევი ჯგუფის წევრებს, რა ღირებულებებზე არიან ისინი ორიენტირებული პროგრამის გავლის შემდეგ. ამ მიზნით, მათ შევთავაზეთ დებულებების ჩამონათვალი, რომელიც შეეძლოთ გაეზიარებინათ ან უარეყოთ. მათ, ასევე, საშუალება ჰქონდათ, შეკითხვის ფარგლებში საკუთარი მოსაზრებებიც გამოეხატათ. შედეგად მიღებული მონაცემები ოპტიმისტურია და ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ შეფასებას გამოხატავს (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

№	ჩამონათვალი	**კაცები**	**ქალ-ები**
		დიახ	დიახ
1	მომემატა საკუთარი თავის რწმენა	82.8 %	77.1%
2	უფრო იმედიანად ვუყურებ მომავალს	93.1 %	85.4%
3	გათავისუფლების შემდეგ გამიიოლდება საზოგადოებასთან ურთიერთობა (ადაპტაცია)	96.6 %	79.2%
4	სასწავლო პროგრამები აუცილებელია, რადგან ისინი ხელს უწყობს სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას	100%	87.5%
5	სხვა პატიმრებსაც გაუჩნდათ სასწავლო-პროფესიულ პროგრამებში ჩართვის სურვილი	89.7 %	95.8%
6	დადებითი ხასიათისაა ოჯახის წევრებისა და ახლობლების დამოკიდებულება საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ	100 %	79.2%
7	კარგი იქნება, თუ გაგრძელდება პროგრამა	20.7 %	75.0%

გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით 65.5% მიიჩნევს, რომ იგი სრულყოფილად ეუფლება არჩეულ პროფესიას. საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს 10.3% (3 რესპონდენტი), ხოლო რესპონდენტთა მეოთხედი აღნიშნავს, რომ 4 თვე არ არის საკმარისი პროფესიის დასაუფლებლად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი პასუხის შემთხვევაში ისინი ძირითადად გულისხმობენ საკუთარ რესურსებს, შესაძლებლობებსა და მონდომებას, ყველანაირად ცდილობენ სრულყოფილად აითვისონ მათ მიერ არჩეული პროფესია.

ამ მოსაზრებას ამყარებს მომდევნო შეკითხვის პასუხებიც, რომლის თანახმად გამოკითხულთა დაახლოებით სამი მეოთხედი (75.9%)

ფიქრობს, რომ აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ იგი იქნება კონკურენტუნარიანი, 6 რესპონდენტი კი პესიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ვერ იქნება კონკურენტუნარიანი; თუმცა, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, მათგან ერთი ბენეფიციარი ამას ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობით ხსნის. ერთ რესპონდენტს კი უჭირს პასუხის გაცემა. თუ ამ უკანასკნელი ორი კითხვის მონაცემებს გავაანალიზებთ, გამოჩნდება, რომ ისინი ლოგიკურად არიან დაკავშირებული და მათში წინააღმდეგობრივი არაფერია.

პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფილად ასათვისებლად და სასჯელის მოხდის შემდეგ შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად რესპონდენტები მხარს უჭერენ პროგრამების გაგრძელებას. 62.1%-ია მათი ხვედრითი წილი, ვინც აუცილებლობად მიიჩნევს მის გაგრძელებას და გამოკითხულთა 37.9%-ს მოიცავს ის სეგმენტი, რომელიც ამ ქმედებას სასურველად მიიჩნევს. ფაქტობრივად, მთელი შერჩევითი ერთობლიობა (100%) პროგრამების გაგრძელების მომხრეა.

მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, ექმნებათ თუ არა პროგრამაში ჩართული ჯგუფის მონაწილეებს პრობლემები სწავლის პროცესში და, თუ ექმნებათ, რას უკავშირდება და რა ხასიათის არის ეს პრობლემები?

აღნიშნულ შეკითხვაზე მამაკაც რესპონდენტთა მიერ დაფიქსირდა პრობლემების მეტ-ნაკლები ხარისხით არსებობა ან პრობლემების არარსებობა. დაახლოებით 79.0% პროგრამის ფარგლებში არანაირ პრობლემას არ აწყდება, 17.2% ხაზგასმით გამოთქვამს კმაყოფილებას ლექტორებით, რომლებიც, მათი აზრით, „მაქსიმალურად იხარჯებიან“ და, აქედან გამომდინარე, მასალის ათვისება არ უჭირთ. მცირე პროცენტული მაჩვენებლები ნაწილდება ისეთ პასუხებზე, როგორიცაა: წიგნების არქონა, კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად კომპიუტერების რაოდენობის გაზრდა, არაქართული (კონკრეტულად, რუსულზეა მითითება) განათლების გამო წერა-კითხვის ბარიერი და მასთან დაკავშირებული სიძნელეები, სწავლის ვადის/ხანგრძლივობის გაზრდა და ა.შ.

ქალთა კატეგორიაში კი დაახლოებით 92 პროცენტი პრობლემებს არ აფიქსირებს.



გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი – 51.7% მართებულად მიიჩნევს სწავლის გაგრძელებას, რამდენადაც თვლის, რომ პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა დასაქმებისთვის აუცილებელი პირობაა. 44.8% სიამოვნებით გააგრძელებდა სწავლას. მხოლოდ ერთი პასუხია ნიჰილისტური განწყობის გამომხატველი და ის ამგვარად არის ფორმულირებული – *გაგრძელებას აზრი არა აქვს, მაინც ვერ ვიშოვი სამუშაოს.* აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხების ამგვარი განაწილება მოწმობს, რომ პროგრამაში ჩართულ სუბიექტებს აქვთ გარკვეული მოტივაცია, რასაც ადასტურებს მათი სამომავლო გეგმების განხორციელების რწმენა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათი სწავლის გაგრძელების სურვილს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ბენეფიციართა მიერ გარკვეული ხელობების/პროფესიების შესწავლასა და დაუფლებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მათ რესოციალიზაციას და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფას, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გაგვეგო მათი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა აინტერესებთ მათ, რის შესწავლაზე არიან ძირითადად ორიენტირებულნი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, იმ პროგრამის გარდა, რომელიც მათთან ფუნქციონირებს, აქვთ თუ არა სურვილი დაეუფლონ სხვა ტიპის საქმიანობას; როგორია მათი არჩევანი და ინტერესთა სფერო. აქედან გამომდინარე, ჩვენ მათ შევთავაზეთ ჩამონათვალი,

საიდანაც რესპონდენტებს სამი არჩევანის გაკეთება შეეძლოთ, ასევე საშუალება ჰქონდათ, საკუთარი ვარიანტები შემოეთავაზებინათ (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილი №2

№	***ჩამონათვალი***	*%*
1	ინფორმატიკა	57.5
2	ინგლისური ენა	34.5
3	ქართული ენა	6.8
4	პურის მცხობელი	20.7
6	მზარეული	3.4
7	ბუღალტერი	10.3
8	მეფილე-მომპირკეთებელი	34.4
9	მებათქაშე	31.0
10	ძერწვა-ქანდაკება	10.2
11	ხეზე კვეთა	30.9
12	მინანქარი	17.2
13	მართვის მოწმობის აღება/კატეგორიის ამაღლება	10.3
14	სხვა (ელექტრიკოსი, არსებული პროგრამის გაგრძელება)	

შენიშვნა: თითოეულ რესპონდენტს საშუალება ჰქონდა აერჩია პასუხის სამი ვარიანტი. შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური რაოდენობა აღემატება 100 %-ს.

გამოკითხულთა საერთო ერთობლიობიდან, როგორც მონაცემებიდან ჩანს, დაახლოებით 76.0% მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება. თანაბარი ხვედრითი წილით (10.3%) აღინიშნა მათი მაჩვენებელი, ვინც თვლის, რომ აქვს მცირე გამოცდილება, ან არა აქვს ის.

შესაბამისად, მაღალია ბენეფიციართა იმ სეგმენტის პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც სასჯელის მოხდის შემდეგ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების სურვილი აქვს და ისინი 69.0%-ს შეადგენენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძირითადად ესენი იმ კატეგორიის წარმომადგენლები არიან, ვინც იდენტიფიკაციას საკმარისი გამოცდილების მქონესთან ახდენს. მართალია, მათ სურვილი აქვთ, მაგრამ არ იციან, როგორ შეძლებენ მის განხორციელებას. ეს კატეგორია გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს შეადგენს (20.7%). დანარჩენი პროცენტული მაჩვენებლები (10.3%) ნაწილდება შემდეგნაირად: ითხოვენ დასაქმებაში ხელშეწყობას, სურთ ადგილზე შეძენილი პროფესიით იმუშაონ, წამოიწყონ თონის პურის ბიზნესი, ან ჯერ გარკვეული პასუხი არ გააჩნიათ.

საკვლევი ჯგუფის წევრებს სასჯელის მოხდის შემდეგ განსხვავებული გეგმები აქვთ. ბენეფიციართა ყველაზე დიდი ნაწილის პროცენტული მაჩვენებელი – 37.9% კონცენტრირებულია პასუხზე, რომლის თანახმადაც ისინი საკუთარი საქმიანობის/ბიზნესის წამოწყებას გეგმავენ. 31.0%-ს დასაქმების სურვილი აქვს, თუმცა არ არის გარკვეული, ვის შეიძლება მიმართოს ინფორმაციის მიღების მიზნით – კერძო პირს, სააგენტოს, სახელმწიფო სტრუქტურებს თუ რომელიმე სხვა უწყებას. გამოკითხულთა მეხუთედზე ოდნავ მეტი პროფესიული განვითარების გაგრძელებას გეგმავს. 10.3%-თვის მნიშვნელობა არა აქვს დასაქმების ადგილს, მისთვის მთავარია სამუშაო ჰქონდეს. მინიმალურია მათი ხვედრითი წილი, ვისაც მიზანმიმართულად უნდა მეფილე--მომპირკეთებლის საქმიანობით დაკავდეს და ვინც ჯერ არ იცის, რას იზამს გათავისუფლების შემდეგ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მათი სოლიდური ნაწილი, ძირითადად, საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებზე არიან ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანია ის რაოდენობაც, რომელიც საკუთარ ძალებს არასაკმარისად მიიჩნევს, დაბნეულია და ცდილობს, გაერკვეს და მოიძიოს ისეთი სტრუქტურა, ვინც მის ხელშეწყობას შეძლებს.

საინტერესო იყო განმარტებები იმის თაობაზე, თუ როგორ აპირებენ ბენეფიციარები თავიანთი გეგმების განხორციელებას სასჯელის მოხდის შემდეგ. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, თუ როგორ უყურებენ ისინი აღნიშნულ საკითხს (ცხრილი №3).

ცხრილი №3

№	მოსაზრებები	%
1	სამსახურისთვის მივმართავ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სააგენტოს, კერძო პირს	10.3
2	ჯერჯერობით არ ვიცი როგორ მოვიქცევი და პრაქტიკულად როგორ განვახორციელებ ჩემს გეგმებს	17.2
3	ვფლობ რამდენიმე პროფესიას (საქმიანობებში დასახელებულია: რესტორანში მუშაობის გამოცდილება, თაბაშირით ძერწვა, მძღოლობა, დისტრიბუცია) და ფინანსურად სადაც უკეთ ვიქნები, იქ მსურს დასაქმება	10.3
4	მსურს წვლილი შევიტანო საზოგადოების ცხოვრებაში, მივხედო და ვარჩინო ოჯახი	13.8
5	შევეცდები, გამოვიყენო აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება	10.3
6	ჩემი ძალებით უნდა ავამუშაო ჩემი ბიზნესი	3.4
7	პროფესიით საქმიანობა, რამდენადაც მაქვს ამის გამოცდილება	24.0
8	მიჭირს პასუხის გაცემა	13.8
9	სხვა (მინდა სხვა პროფესიებსაც დავეუფლო, სახელმწიფო თუ დაგვეხმარება, მადლობელი ვიქნები)	6.8

შენიშვნა: თითოეულ რესპონდენტს საშუალება ჰქონდა აერჩია პასუხის 2 ვარიანტი. შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური რაოდენობა აჭარბებს 100 %-ს.

საჭიროებენ თუ არა ბენეფიციარები კონსულტაციებით მომსახურებას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით?

საკვლევი ერთობლიობის 55.2% იწონებს ამ იდეას, თუკი მას ამის შესაძლებლობა ექნება. გამოკითხულთა 20.7% აუცილებლობად მიიჩნევს კონსულტაციას, 17.2% ადამიანი კი ამის საჭიროებას ვერ ხედავს. მცირე პროცენტული მაჩვენებლით, მაგრამ პასუხებში მაინც გამოიკვეთა აზრი, რომელიც გულისხმობს დასაქმების პროგრამის შექმნას ახლად გათავისუფლებული პატიმრებისთვის, რაც სამომავლო პრევენციას ნიშნავს, რათა უსახსრობის გამო თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებებში არ მოუხდეთ უკან დაბრუნება.

ძირითადი დასკვნები:

საკვლევ ჯგუფში გამოიკვეთა იმის მზაობა, რომ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში მიეცეს საშუალება, მიიღოს ან გაიღრმავოს განათლება და შეიძინოს პროფესიული უნარ-ჩვევები, ჩაერთოს აქტივობებში (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ საქმიანობებში), რაც ხელს შეუწყობს მის მომზადებას საზოგადოებაში დასაბრუნებლად და მის უმტკივნეულო ადაპტაციას.

არსებული პროგრამის მიმართ მსჯავრდებულთა განწყობა საკმაოდ პოზიტიურია. მათთვის მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომლითაც პროგრამის ფარგლებში არიან დაკავებული, რასაც მოწმობს მათი სამომავლო გეგმები, რომლებსაც ისინი გათავისუფლების შემდგომი პერიოდისთვის სახავენ. თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებას ისინი თავიანთ სამომავლო საქმიანობებსაც უკავშირებენ.

დადებითი ტენდენციები ვლინდება სასწავლო პერსონალის მიმართ (ლექტორები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები), რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ამ პროცესში.

პროგრამის ბენეფიციარები მიუთითებენ იმ ცვლილებებზე, რაც პროგრამაში მათ ჩართვას მოჰყვა. ცვლილებები დადებითი ვექტორის მიმართულებით ფიქსირდება და ამას მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს. აქ მოიაზრება როგორც მათი პიროვნული სახის ცვლილებები (საკუთარი თავის რწმენის ზრდა, ოპტიმისტური დამოკიდებულება მომავლისადმი და სხვ.), ისე ოჯახისა და ახლობელთა წრის კმაყოფილება.

გამოკვეთილია მათი საგანმანათლებლო ინტერესებისა და აქტივობების ზრდა, იმის რწმენა, რომ ციხეში ნაყოფიერად გამოიყენა დრო და ორიენტირებულია, თავისუფლების პირობებშიც უქმად არ დახარჯოს ის.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ბენეფიციარ მამაკაცთა და ქალთა კატეგორიების კვლევამ გამოავლინა, რომ მსგავსი პროგრამები დიდწილად უზრუნველყოფს პატიმართა მოტივაციის ზრდას და ოპტიმიზმის გამოვლინებას სამომავლო დასაქმების ასპექტით (საკუთარი ბიზნესის წამოწყება, საკუთარი პროფესიით ან ნებისმიერი სხვა პროფესიით დასაქმება); რომ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებში (როგორც სასწავლო, ისე პროფესიული ხასიათის) საპატიმროში მყოფ პირთა ჩართულობა ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საფრთხეებისა და დესტრუქციული ქცევების დაძლევას და, მეორე მხრივ, მათ წარმატებულ რესოციალიზაციას და ინტეგრაციას საზოგადოებაში.

Marina Burdzenidze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Marine Kevkhishvili
Teacher
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Importance of Education and Employment Factors in Offenders' Rehabilitation and Reintegration Process

Resume

The penitentiary system reform is one of the criteria for democratic development in Georgia.

Also several effective steps have been taken in this country to improve the situation, prison humanization and socialization issues remain active. The solution of these issues must be based on the world's penitential practices, recognized priorities and international standards.

Council of Europe recommendation No R (89)12, under the terms of Article 15.b of the Statute of the Council of Europe considers that: the right to education is fundamental, education in prison helps to humanize prisons,

improves the conditions of detention, and it is an important way of facilitating the return of a prisoner to the community. Therefore, education opportunities should be available to all prisoners (including basic and vocational education, cultural-artistic, sporting activities, etc.). Vocational education should be closely linked to labor markets. Measures should be taken to enable prisoners to continue their education after release.

A number of positive initiatives have taken place in Georgia by offering Educational and Vocational programs inside prisons within the framework of the project "Ensuring Access to Education and Employment Opportunities for Prison Youth". The programs - *Stone and Tile Flooring; Plastering; Art of Floral Design; Communicational Georgian Language for Ethnic minorities; General English (Starter); General English (Remedial study)* - were provided in "Ksani" establishment #15 and in women's prison #5.

In order to study prisoners' (both male and female inmates') expectations and attitudes towards education as a form of self-improvement and its subsequent usage in the future, we have conducted a research in the above mentioned prisons. The survey was based on questionnaires.

The results of the investigation have shown that improved skills assist to bridge the gap in education and enable prisoners to realize that they have capabilities, talents and self-esteem to conduct a positive change in their lives. Most of the respondents hope that they can have prospect for employment after release and a choice for meaningful work, a possibility to build a law-abiding career and a better life for their families and communities, which will decrease their chances of committing criminal act again.

მარეხ დევიძე-მამულაიშვილი

კონფლიქტში მონაწილე აქტორთა მიმართებების კვლევა ქართულ მედიასივრცეში

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები კონფლიქტური დამოკიდებულებების ფონზე ვითარდება. კონფლიქტური სიტუაციები განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების აქტორებს შორის წლების განმავლობაში დაძაბულ სახეს იღებდა და აისახებოდა მასმედიაში.

განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ისეთი კონფლიქტები, რომლებშიც ცნობილი და ცნობადი სახეები, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები იყვნენ ჩართულნი. ასეთი ტიპის კონფლიქტები აქტიურად შუქდებოდა მასმედიის საშუალებებით და მიეწოდებოდა საზოგადოებას.

მასმედიაში კონფლიქტების აღწერის დიდი მასალა დაგროვდა.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს კონფლიქტების ძირითადი მიმართებების განსაზღვრა დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

საკვლევ მასალად გამოვყავი ბეჭდური მედიიდან: „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, ხოლო სამაუწყებლო მედიიდან: „იმედი“ და „რუსთავი-2“. საკვლევი მასალა 2011-2013 წლების პერიოდით განვსაზღვრეთ.

კონფლიქტების მართვის თეორიებზე დაყრდნობით (დოიჩი მ., ბარტონი ჯ. და ბოულდინგი კ.ე.), კვლევისათვის კონფლიქტში მონაწილე მხარეთა კრიტერიუმები გამოვყავი, სადაც ვაფიქსირებდი მასში ჩართულ აქტორებს შორის მიმართებებს: პიროვნება-პიროვნება, პიროვნება-ჯგუფი, ჯგუფი-ორგანიზაცია, ორგანიზაცია-ორგანიზაცია. მქონდა დაშვება, რომ ასეთი სახის კონფლიქტები საზოგადოების თანაცხოვრების მიკრო- და მაკროდონეებს მოიცავენ. მაგალითად, კინოსერიალ „შუა ქალაქის“ ყოფილ მსახიობებსა და სერიალის შემქმნელებს შორის დავა, „იმიჯ-ცენტრისთვის“ სილამაზის კონკურსის ჩატა-

რების უფლების ჩამორთმევით გამოწვეული დაპირისპირება („ალია“, 2011 წ., № 78, გვ. 2), ხელისუფლებას და ტელეკომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებელს შორის დაპირისპირება („ალია“, 2011 წ., № 79, გვ. 10), ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყოფილ ვიცეპრეზიდენტსა და ამავე ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს შორის დავა („კვირის ქრონიკა“, 2013 წ., №1, გვ. 11), ტელემაუწყებელ „რუსთავი 2-ის“ მეპატრონეთა კონფლიქტები და სხვა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ორგანიზაციებში გადამოწმებისას წავაწყდი სირთულეებს, რადგან ორგანიზაციის წარმომადგენლები, მართალია, კონფლიქტებს აღიარებდნენ, მაგრამ ერიდებოდნენ პრესასა და ტელევიზიაში უკვე გაშუქებული ფაქტების ხელახლა გახმაურებას. მსგავსადვე მოქმედებდნენ პიროვნებები სხვა პიროვნებების მიმართ საუბრისას.

უმეტესი წილი კონფლიქტებისა, რომლებიც მსხვილ ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის მოხდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ (2012 წლის ოქტომბერი), ნაწილობრივ აღმოიფხვრა ან რეაბილიტაციის პროცესშია. წარმოიშვა და გამძაფრდა ახალი კონფლიქტები ყოფილ ხელისუფლებასა და ახალს შორის. ძნელია იპოვო ჯგუფი, ორგანიზაცია, სასწავლო, კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულება, სადაც კონფლიქტები გამძაფრებული არაა. სოციალურმა გაჭირვებამ, უმუშევრობამ, სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში ხალხთა ფართო გაწევრიანებამ, ან, უბრალოდ, პოლიტიზებამ ასევე გაამძაფრა კონფლიქტები როგორც სახელმწიფოსთან, ასევე თვით აქტორებს შორის. რაც უფრო ძლიერია მთავრობის წევრებს შორის (პოზიცია-ოპოზიციას შორის) კონფლიქტები, მით მეტი დაძაბულობაა საზოგადოებაში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ კონფლიქტების პიკს მიაღწია არჩევნების პერიოდში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია კონფლიქტები, რომლებიც უმეტესწილად ჩემ მიერ გამოყოფილ პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას, რეგილიურ უმცირესობას, მართლმადიდებლურ მრევლს, ან სქესობრივ უმცირესობათა წარმომადგენლებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის არსებობდა.

საკვლევ მასალაში (2012-2013 წწ.) დიდი ნაწილი დათმობილი ქონდა წინა ხელისუფლების კრიტიკას („ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრების, ყოფილ თუ ჯერ კიდევ თანამდებობაზე მყოფთა შემოსავლების განხილვას და მათ ფულად პრემიებს (ფულადი პრემიების გაშუქებისას არც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები იყ-

ვნენ გამონაკლისი), პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დარჩენილ თვეებს და მის ვოიაჟებს, საქართველოს საგარეო ურთიერთობებს და სხვა). თემები, რომლებიც კონფლიქტის ჭრილში უნდა ყოფილიყო გაშუქებული, მოწოდებული და განხილული, ზედაპირული, უკმაყოფილების ან, უბრალოდ, ინფორმაციული ხასიათის იყო, მაგრამ შევძელი საერთო სურათის გამოყოფა, რაც ძირითად კონფლიქტებს უკავშირდება, ესენია:

„პიროვნება-პიროვნება“ ტიპის კონფლიქტი საზოგადოების ყველა ფენისთვისაა დამახასიათებელი და საქართველოში ძალიან ხშირია.

საქართველოში პიროვნებებს შორის დავა ჯერ კიდევ უმეტესწილად ძალისმიერი გადაწყვეტით ან ხანგრძლივი დაპირისპირებით მთავრდება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეზობლებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს შორის დაპირისპირებები, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ძალისმიერი ჩარევის გარდა მთავრდება ე.წ. „დამდურებით“, „მოკვეთით“, შემდეგ თაობებზე სიძულვილის გადაცემით და ერთმანეთთან ყოველი შეხვედრისას სიტყვიერი შეურაცხყოფით.

სასამართლოს მიერ განიხილული პიროვნებებს შორის კონფლიქტი არ მთავრდება ერთი ან ორი მოსმენით და შეიძლება იყოს ხანგრძლივი, თუნდაც, სასამართლო სტრუქტურიდან გამომდინარე.

უმაღლეს სასწავლებლებში **„პიროვნება-ორგანიზაცია“** ტიპის კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში „პიროვნება-პიროვნება“ ტიპის კონფლიქტით მთავრდება. აქ კონფლიქტის მიზეზი უმეტესწილად სამსახურიდან გათავისუფლებაა. რიგ შემთხვევებში, როდესაც პიროვნება ორგანიზაციასთან დავას აგებს, ის კონფლიქტში შედის ორგანიზაციის თანამშრომლებთან. 2013 წლის მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსმა კონფლიქტებმა არა მარტო სასამართლოში იპოვა გზა, არამედ მასმედიაშიც. პიროვნებებმა თავიანთი კონფლიქტები თვითონვე გაასაჯაროეს.

საჯაროდ გამოტანილი კონფლიქტების მოგვარებაში ხშირად ერევიან არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი როლი განსაკუთრებით ოჯახურ კონფლიქტებთან, ბავშვებთან და მოხუცებულებთან მიმართებაში ჩანს.

ასევე ხშირია, როცა „პიროვნება-ორგანიზაცია“ ტიპის კონფლიქტებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ეხმიანება და თანადგომას უცხადებს.

თუ „პიროვნება-ორგანიზაცია“ კონფლიქტის ძირითადი მიზეზი შრომის ანაზღაურება ან სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება იყოს, **„ჯგუფი-ორგანიზაცია“** ტიპის კონფლიქტის შემთხვევაში არა მხოლოდ შრომის ანაზღაურება, არამედ შრომის პირობების გაუმჯობესებაცაა მნიშვნელოვანი. მსგავსმა კონფლიქტებმა მასშტაბური ხასიათი და, ხშირ შემთხვევაში, გაფიცვების სახე მიიღო (მაღაროს მუშები, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები, ფოთის ნავსადგურის თანამშრომლები და სხვა).

„ორგანიზაცია-ორგანიზაცია“ ტიპის კონფლიქტი უმეტესწილად გამოწვეულია ტერიტორიისა და სივრცის, ბაზრის არათანაბრად ათვისებით და წილთა არასწორად გადანაწილებით.

საკვლევ მასალაში იყო **სხვა ტიპის კონფლიქტებიც**, მაგალითად, „ჯგუფი-პიროვნება“, რომელიც გამოწვეული იყო ჯგუფის დაპირისპირებით არა უბრალოდ პიროვნებასთან, არამედ როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელთან.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე საარქივო მასალებზე დაყრდნობით შევეცადე მეჩვენებინა ბოლო სამი წლის მანძილზე არსებული კონფლიქტები, რომლის ტიპოლოგია და განვითარების დინამიკა სქემაზეა წარმოდგენილი.



დამუშავებული მასალების მიხედვით პროცენტები შემდეგნაირად გადანაწილდა: 31 % „პიროვნება-ორგანიზაცია“, 27 % „პიროვნება-პიროვნება“, 18 % „ჯგუფი-ორგანიზაცია“, 15 % „ორგანიზაცია-ორგანიზაცია“ და 9 % სხვა ტიპის კონფლიქტები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონფლიქტები არ შემოიფარგლება მარტო ზემოთ ნახსენებ მიმართებებს შორის, მივიღეთ შედეგი, რომ ყველა სახის კონფლიქტი აქტორთა მიმართებების გათვალისწინებით აისახება პრესაში და სატელევიზიო გადაცემებში. ეს მიმართებები დროითი ფაქტორის გათვალისწინებითაა გადმოცემული და არა მხოლოდ სენსაციური მასალის სახით, რაც კონფლიქტების ესკალაციისა და დეესკალაციის ინტენსივობას გვიჩვენებს.

კვლევა გრძელდება, მასალის მოცულობის შემდგომი გაზრდა და მიმართებებისადმი დინამიკაში დაკვირვება უფრო სიღრმისეულ ხასიათს მიიღებს.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ალია“ – 2011 წლის საგაზეთო ნომრები: № 78-დან № 101-ის ჩათვლით.
2. გაზეთი „ალია“ – 2012 წლის საგაზეთო ნომრები: № 1-დან № 98-ის ჩათვლით.
3. გაზეთი „ალია“ – 2013 წლის საგაზეთო ნომრები: № 1-დან № 22-ის ჩათვლით.
4. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 2011 წლის საგაზეთო ნომრები: № 1-დან № 52-ის ჩათვლით.
5. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 2012 წლის საგაზეთო ნომრები: № 1-დან № 52-ის ჩათვლით.
6. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 2011 წლის საგაზეთო ნომრები: № 1-დან № 11-ის ჩათვლით.
7. Deutsch, M. (1973), The Resolution of Conflict: Constructive and Destructive Processes. New Haven, CT: Yale University Press.
8. Boulding K. E. (1975), International Systems: Peace, Conflict Resolution, and Politics, Colorado Associated University Press.
9. Burton, John W. 1969. Conflict and Communication: The Use of Controlled Communication in International Relations. London: Macmillan and New York: Free Press.

10. Burton, John W. and Dennis J.D. Sandole. 1986. "Generic Theory: The Basis of Conflict Resolution." Negotiation Journal, Vol. 2, No. 4, October, pp. 333-344.
11. http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2
12. http://www.rustavi2.com/news/indexg.php?ct=5&wth=0
13. http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=imedi
14. http://imedi.ge/index.php?pg=prs&id=20

Marekh Devidze-Mamulaishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Actor Relations Research - Conflict Participants in the Georgian Media Space

Resume

Since the day of gaining independence by Georgia, the country's political and socio-economic processes have been developing against the background of conflicting attitudes. The conflicts between the actors of political parties, organizations, governmental institutions with different views have taken the stressful form and have been reflected in the mass media for many years. Particularly notable became such conflicts in which well-known and recognizable celebrities, politicians and state officials were involved. These types of conflicts were actively covered by mass media and provided to the public.

The goal of our research is to determine the basic relations of the conflict between the opposing parties. We selected the material for the research out of the printed media: the “Alia” and the “Weekly Chronicle”; and the broadcast media: “Imedi” and “Rustavi-2” . We determined the research material for the period of 2011-2013.

Based on the theories of conflict management (Deutsch M., Burton J., and Boulding C.E), we specified the criteria of the conflicting parties for the research, where the relations between the involved actors are recorded: person-person, person-group, group-organization, organization- organization. We

assumed that such conflicts include micro and macro levels of the society co-existence.

According to the processed materials, the percentage was distributed as follows: 31% person-organization, 27 % person-person, 18 % group-organization, 15% organization-organization and 9% other types of conflicts.

Despite the fact that the conflicts in Georgia are not limited to only between the above-mentioned relations, we obtained the result that all kinds of conflicts with the consideration of the actors' relations are reflected in the press and TV shows. These relations are provided with the time factor, and not only in the form of sensational material which shows the intensity of conflict escalation and de-escalation .

The research is still continuing, further increase in the amount of the material and observation of the above-mentioned relations in dynamics will acquire a more in-depth character.

თამარ დოლბაია

შავი ზღვის აუზის პორტების რანჟირება და შედარებითი ანალიზი

ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე მისი საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. ევროკავშირი აქტიურად მოქმედებს რეგიონული პოლიტიკის ხელშესაწყობად სატრანსპორტო სისტემების განვითარების უზრუნველყოფის გზით.

შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საყრდენი საზღვაო საპორტო სისტემებია, რომლებიც, თავის მხრივ, სახმელეთო ინფრასტრუქტურის გენერირებასაც უწყობენ ხელს და მსოფლიო ვაჭრობის შემადგენელი ნაწილები და ეკონომიკების დამაკავშირებელი რგოლებია.

2009 წელს ESPO-ს შეკვეთით ანტვერპენის უნივერსიტეტში ჩატარდა ევროპის საპორტო სისტემების ეკონომიკური ანალიზი, სადაც პორტები დაჯგუფებულია კლასტერებად მსგავსი ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურისა და გადასაზიდი ტვირთების რეგიონალიზაციის საფუძველზე. ანალიტიკოსებმა გამოყვეს 12 საპორტო რეგიონი. მათ შორისაა დასავლეთ შავიზღვისპირეთი (კონსტანცა, ბურგასი, ვარნა), რომლის წილი ევროპის კონტეინერთბრუნვაში 2010 წელს ნულიდან 1,8%-მდე გაიზარდა. კლასტერიზაციაში არაა შავი ზღვის აუზის საპორტო სისტემები – დიდი ოდესა, სანკტ პეტერბურგი, ბალტიისპირეთის პორტები. ალბათ იმიტომ, რომ არცერთ მათგანს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ჰაბისა და საზღვაო ჭიშკრის როლზე საერთო ევროპული სატრანსპორტო სისტემის ექსპორტ-იმპორტულ საკონტეინერო ნაკადებში. ამ ფონზე ქართული პორტები საერთოდ არ განიხილება.

ვაჭრობის გლობალიზაციისა და ევროპის ისტორიისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო ევროკავშირი ძლიერაა დამოკიდებული საზღვაო ტრანსპორტზე. ექსპერტთა უმრავლესობა საუბრობს ერთიანი ევროპული საზღვაო სივრცის შექმნის აუცილებლობაზე, რაც მიიღწევა ტვირთისა და გემების გადაადგილების გამარტივებით. ევროპა

შავი ზღვის რეგიონს უყურებს, როგორც პერიფერიას, მოშორებულს ძირითადი სატრანსპორტო-ეკონომიკური კვანძებიდან.

შავი და აზოვის ზღვების აუზში 40 პორტია: 18 უკრაინული, 5 რუსული, 10 თურქული და 2-2 ბულგარული, რუმინული და ქართული.

უდიდესი სავაჭრო პორტებია: ნოვოროსიისკი, კონსტანცა, ოდესა, ილიჩევსკი.

საკრუიზო პორტებია: ოდესა, კონსტანცა, ვარნა, სოჭი, ტრაპიზონი, ბათუმი.

რეგიონში საბორნე გადაზიდვები დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში და მოქმედებს ჩვენ მიერ საკვლევ ობიექტებად არჩეულ ყველა პორტში.

საკონტეინერო გადაზიდვებში შავი ზღვის აუზის ყველა პორტია ჩართული.

ჩვენი კვლევის მიზანია შავი ზღვის აუზის პორტების შედარებითი ანალიზი და რანჟირება.

საკვლევ ობიექტებად ავიღეთ შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის უდიდესი პორტი: საქართველოს პორტები – ბათუმი და ფოთი; ბულგარეთის პორტი – ბურგასი; რუსეთის პორტი – ნოვოროსიისკი, უკრაინის პორტები – ოდესა და ილიჩევსკი; რუმინეთის პორტი – კონსტანცა და თურქეთის პორტი – სამსუნი.

ზემოთ ჩამოთვლილი პორტების შეფასებისთვის გამოვყავით მახასიათებლები (პარამეტრები), ესენია:

I. ინსტიტუციური პარამეტრი:

1. საკუთრების ფორმა – კერძო, სახელმწიფო.

II. მოცულობითი პარამეტრები:

1. პორტის სიმძლავრე – მლნ.ტ/წ
2. პორტის დატვირთვის ხარისხი – %
3. პორტის ტვირთბრუნვა – მლნ.ტ/წ
4. გემთბრუნვა – გემების რაოდენობა
5. საწყობების ფართობი – ღია, დახურული, კვ.მ.
6. მგზავრთბრუნვა – კაცი
7. კონტეინერთბრუნვა – TEU
8. კონტეინერების სიმძლავრე – TEU
9. კონტეინერების დატვირთვის ხარისხი – %
10. ტვირთის ტიპები
11. ბორანი

III. ჰიდროტექნიკური პარამეტრები:

1. ნავიგაცია – თვეების რაოდენობა
2. პორტის ფართობი – ჰა.
3. სანაპიროს სიგრძე – კმ.
4. მისადგომების რაოდენობა
5. მისადგომების სიღრმე – მ.
6. გემების წყალწყვა – dwt

IV. ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრები:

1. დასაქმება – კაცი
2. ხელფასი – აშშ დოლარი
3. ქალაქის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი – %
4. მოგება – აშშ დოლარი
5. ტარიფი – საპორტო მომსახურებაზე – აშშ დოლარი
6. ტარიფი – ტვირთის ჩატვირთვა-გადატვირთვაზე – აშშ დოლარი
7. საბაჟო რეჟიმი
8. თავისუფალი ეკონომიკური ზონა (პორტო-ფრანკო)

V. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმის ხარისხი

1. პორტზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები
2. პორტზე გამავალი საერთაშორისო მილსადენები
3. პორტის ჰინტერლანდი

პორტების საქმიანობა შერჩეული პარამეტრების მიხედვით ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (2012 წ. მონაცემები მოპოვებულია პორტების ადმინისტრაციებიდან).

პორტი	**ნოვო-როსიისკი**	**ბურგასი**	**კონს-ტანცა**	**ოდესა**
საკუთრების ფორმა-კერძო	80.0%	0.0%	0.0%	0.0%
საკუთრების ფორმა სახელმწიფო	20.0%	100.0%	100.0%	100.0%
პორტის სიმძლავრე მლნ.ტ/წ	100,000,000	15,000,000	100,000,000	38,000,000
პორტის დატვირთვის ხარისხი %	81.6%	30.8%	61.8%	91.0%

ტვირთბრუნვა	83000000	4616000	61838000	34562000
გემთბრუნვა	2,088	2,000	5,055	1,200
საწყობის ფართობი, კვ.მ, ღია	188,800	310,000	342,200	215,000
საწყობის ფართობი, კვ.მ, დახურული	62,200	75,000	103,800	78,800
მგზავრთბრუნვა	-	18,000	34,010	82,000
კონტეინერთბრუნ-ვა,TEU	381,000	37,756	684,059	572,140
კონტეინერების სიმძლავრე	500,000	150,000	1,700,000	700,000
კონტეინერების დატვირთვის ხარისხი	76%	31%	81%	82%
ბორანი, რო-რო ტერმინალი	3	3	1	1
პორტის ფართობი	95.5	129.4	3926.0	133.3
მისადგომების რაოდენობა	43.0	28.0	156.0	38.0
მისადგომების სიღრმე, მეტრი	24	16	19	13
სანაპიროს სიგრძე, კმ	9.2	4.8	29.8	9.0
გემების წყალწყვა, ტ.დედვეიტი	250,000	125,000	220,000	100,000
ხელფასი	765.03	462.88		92.54
დასაქმება	4493	1050	6000	2400
მოსახლეობა	228243	226000	721896	1081000
დასაქმებულთა წილი	2.0%	0.5%	0.8%	0.2%
მოგება/შემოსავა-ლი, ათასი აშშ დოლარი	95,700.0	38,970,588.2	91,252,500.0	42,253,521,126.8
ტარიფები საპორტო მომსახურებაზე	1.75	0.38	3.21	46.97
ტარიფები ტვირთის გადამუშავებაზე	32.42	155.35	39.70	369.88
ტარიფები სულ	34.17	155.73	42.90	416.85
ნავიგაცია, თვე	10	12	12	12

თეზი	0	1	1	1
ტვირთის ტიპები	2	4	3	5
პორტებზე გამავალი მილსადენები	2	2	2	1
პორტებზე გამავალი საერთაშორისო-სატრანსპორტო დერეფნები	3	3	6	5

პორტი	**ილიჩევსკი**	**სამსუნი**	**ფოთი**	**ბათუმი**
საკუთრების ფორმა – კერძო	0.0%	0.0%	100.0%	100.0%
საკუთრების ფორმა სახელმწიფო	100.0%	100.0%	0.0%	0.0%
პორტის სიმძლავრე მლნ.ტ/წ	30,000,000	3,000,000	10,000,000	19,000,000
პორტის დატვირთვის ხარისხი %	63.0%	79.3%	80.8%	37.4%
ტვირთბრუნვა	18900000	2380000	75000000	7900000
გემთბრუნვა	750	1,093	2,189	1,215
საწყობის ფართობი, კვ.მ, ღია	575,000	200,000	65,976	173,000
საწყობის ფართობი, კვ.მ, დახურული	28,000	25,000	9,852	-
მგზავრთბრუნვა კაცი				8,464
კონტეინერთ-ბრუნვა TEU	670,556	40,000	284,559	73,095
კონტეინერების სიმძლავრე,TEU	250,000	5,000	200,000	300,000
კონტეინერების დატვირთვის ხარისხი, %	268%	800%	105%	3%
ბორანი, რო-რო ტერმინალი	2	2	2	2

პორტის ფართობი, ჰა	346.0	14.0	49.0	22.2
მისადგომების რაოდენობა	32.0	10.0	15.0	11.0
მისადგომების სიღრმე, მეტრი	13	12	13	12
სანაპიროს სიგრძე, კმ	6.0	1.7	2.8	2.3
გემების წყალწყვა, ტ.დედვეიტი	100,000	50,000	50,000	120,000
ხელფასი, აშშ დოლარი	92.54	383.23	479.04	449.10
დასაქმება, კაცი	10000	398	1266	1256
მოსახლეობა	63000	1187536	47500	122500
დასაქმებულთა წილი, %	15.9%	0.0%	2.7%	1.0%
მოგება/შემოსა-ვალი, ათასი აშშ დოლარი	35,000,000.0	-5,308,110.0	21,788.0	კონფიდენ-ციალურია
ტარიფები საპორტო მომსახურებაზე, აშშ დოლარი	46.97	0.50	239.58	469.43
ტარიფები ტვირთის გადამუშავებაზე, აშშ დოლარი	369.88	1000.00	672.65	46.80
ტარიფები სულ, აშშ დოლარი	416.85	1000.00	912.23	516.23
ნავიგაცია, თვე	112	12	12	12
თეზი	0	1	1	0
ტვირთის ტიპები	4	2	4	4
პორტებზე გამავალი მილსადენები	0	0	0	0
გამავალი საერთაშორისო-სატრანსპორტო დერეფნები	4	2	2	2

პორტების რანჟირება მოვახდინეთ ზემოთ ჩამოთვლილი პარა-მეტრების მიხედვით. პირველი/უმაღლესი რანგი მიენიჭა იმ პორტს, რომელსაც ჰქონდა მაქსიმალური (საუკეთესო) მაჩვენებელი ამა თუ იმ მახასიათებლის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა მაჩვენებელი თავისი

სიმცირით განსაზღვრავდა პორტის უპირატესობას, შეფასებისას პირველი/უმაღლესი რანგი მიენიჭა იმ პორტს, რომელსაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა (მაგალითად, ტარიფები).

საერთო რანგული მაჩვენებლის მიხედვით პორტები დალაგდა შემდეგნაირად:

საერთო რეიტინგი	1.0	კონსტანცა
	2.0	ნოვოროსიისკი
	3.0	ოდესა
	4.0	ბურგასი
	5.0	ილიჩევსკი
	6.0	სამსუნი
	7.0	ფოთი
	8.0	ბათუმი



შავი ზღვის აუზში პორტები რეიტინგით დალაგდა სრულიად კანონზომიერად. კონსტანცა და ნოვოროსიისკი რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი პორტებია. კონსტანცის პორტი ევროკავშირის „ჭიშკარია“ შავი ზღვის აუზში და მომსახურების ხარისხით ყველა პორტის-

გან გამორჩეულია. ის ლიდერობს როგორც მშრალი, ასევე საკონტეინერო ტვირთის გადამუშავებაში და ერთადერთი არასაბჭოთა და ევროკავშირში ყველაზე ღარიბი ქვეყნის პორტია, რომელიც შავ ზღვაზე კონტეინერების გამანაწილებელ „ჰაბს“ წარმოადგენს. კონსტანცა 2005 წლიდან დღემდე უდიდესი საკონტეინერო ტერმინალია რეგიონში. საოკეანო ხაზებიდან კონსტანცაში გადმოტვირთული ტვირთი ნაწილდება ნოვოროსიისკში, ტაგანროგში, ოდესაში და მდ.დუნაიზე ვენამდე. ჟურნალ “Cargo Systems“-ის რეიტინგით კონსტანცის საკონტეინერო ტერმინალი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ევროპაში და II ადგილზეა ბრემენსჰაფენის შემდეგ. მან რეიტინგული სიის ოცეულში შემავალი ისეთი პორტები ჩამოიტოვა, როგორიცაა: როტერდამი, ჰამბურგი, ანტვერპენი, პეტერბურგი და სხვ.

ნოვოროსიისკს აქვს დიდი ტვირთნაკადები და ზურგს უმაგრებს რუსული ეკონომიკა და რესურსები. ნოვოროსიისკი რეიტინგით ევროპის პორტების ათეულშია.

რუსეთს შავ ზღვაზე ძლიერების დაბრუნება ახალი პორტების აშენებითა და ნოვოროსიისკის განვითარებით სურს.

უკრაინის პორტებს – ოდესასა და ილიჩევსკს ასევე აქვთ შავ ზღვაზე ლიდერობის პრეტენზია, მაგრამ ამას, უკრაინული ეკონომიკის განვითარებადი ხასიათისა და რუსული სატრანზიტო ტვირთების რუსულ პორტებში გადატანის გამო, ვერ ახერხებენ. ოდესის პორტი ტვირთბრუნვით მესამეა შავი ზღვის რეგიონში. აქვს შავი ზღვის აუზში საუკეთესო სამგზავრო ტერმინალი. მისი ავანპორტია ილიჩევსკი, რომელიც უკრაინის №1 საკონტეინერო ტერმინალია. რეგიონში ერთ-ერთი უდიდესი პორტია გენერალური ტვირთების გადაზიდვით, მაგრამ, რთული საბაჟო და სატარიფო პროცედურების გამო, მკვეთრად შემცირდა ამ პორტების კონტეინერთბრუნვა და ტვირთის უდიდესი ნაწილი გადავიდა კონსტანცაში. კონსტანცა ამუშავებს უკრაინული პორტების ტვირთის 30%-ს (Liga biznes inform, 12, 3.2010). რუსეთი და უკრაინა ცდილობს, რომ კონსტანცა არ დარჩეს გადამანაწილებელ პორტად (ჰაბი) შავი ზღვის აუზში და ოკეანიდან ზღვაში შემოსული ტვირთი პირდაპირ წავიდეს დანიშნულების ქვეყნებში.

ბურგასი, როგორც ბულგარეთისა და ბალკანეთის მნიშვნელოვანი პორტი, ცდილობს ტვირთების მოკრებას და რეგიონში ადგილის დამკვიდრებას. ბულგარეთს უნდა თავისი პორტები ისეთივე მნიშვნელობის გახადოს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, როგორიც ან-

ტვერპენი და როტერდამია და ცდილობს განავითაროს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად და ჩაერთოს პანევროპულ მაგისტრალებში.

სამსუნი თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს მთავარი პორტია; მუშაობს ექსპორტ- იმპორტზე და ტრანზიტზე ირანთან და აქვს საბორნე მიმოსვლა უკრაინასა და რუსეთთან, ჩრდილოეთ ევროპიდან ირანისთვის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის. მას აქვს იდეალური მდებარეობა კონტინენტური ევროპის რაინ-მაინ-დუნაის აუზის, შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და ბისეკის მიმართ, მაგრამ სუსტადაა განვითარებული პორტთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზები, სუსტია პორტის მენეჯმენტი, მოძველებულია საპორტო ტექნიკა, მისადგომების სიღრმის პრობლემებია, პორტის ექსპლუატაცია წამგებიანია და სახელმწიფო ხარჯის მხოლოდ 60%-ს ფარავს.

მიუხედავად ამისა, სამსუნს დიდი პერსპექტივები აქვს, ვინაიდან თურქეთი აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ევროპულ სატრანსპორტო სისტემასთან ინტეგრაციაში და სერიოზულად ავითარებს შავიზღვისპირა პორტ სამსუნს, რომელიც ახლო წარსულში მეთევზეთა პატარა პორტი იყო. განსაკუთრებით ვითარდება საბორნე გადაზიდვები ოდესასთან, იალტასთან, ნოვოროსიისკთან, ფოთთან. სამსუნი უერთდება პროექტ „ვიკინგს“. ესაა საკონტეინერო მატარებელი კლაიპედა-მინსკი-ოდესა/ილიჩევსკი, ანუ ბალტიკა-შავი ზღვის დერეფანი, რომელიც ილიჩევსკიდან გაგრძელდება სამსუნამდე. 2014 წელს გაიხსნება ბოსფორის ქვეშ გვირაბი „მარმარაი“ და თურქეთი ახალ ევრაზიულ დერეფანში მთავარ ადგილს დაიჭერს. გვირაბი მოგვიანებით შეუერთდება ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალს და იქიდან ჩინეთთან, აზიის ყველაზე დიდ ტვირთგამგზავნ ქვეყანასთან დაამყარებს კავშირებს. შავი ზღვის რეგიონში შეიქმნება ძალიან ეფექტური აზია-ევროპული სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც კონკურენციას გაუწევს ბევრ ტრანზიტულ პროექტს და მათ შორის TRACECA-ს. ახლა უკრაინისა და საქართველოს პორტები TRACECA-ს მნიშვნელოვანი ნაწილია, სტაბილურად მოქმედი საბორნე მიმოსვლის გამო ილიჩევსკ-ფოთი/ბათუმის მარშრუტით. მაგრამ ჩინეთიდან ძლიერდება სახმელეთო ტვირთნაკადები რუსეთზე და დსთ ქვეყნების გავლით ევროპაში, რაც შეამცირებს შავი ზღვის აუზის პორტების წილს.

ბათუმის პორტს აქვს ხელსაყრელი და სტაბილური სანავიგაციო მდგომარეობა; მდებარეობს ღრმაწყლიან უბეში, რაც ნებისმიერი წყალწყვის გემების მიღებას ხდის შესაძლებელს. პორტში შემოსასვლელად არაა საჭირო არხის გავლა და, შესაბამისად, საპორტო მომსახურების ტარიფებიდან ამოღებულია არხზე მოსაკრებელი. პორტი „TRACECA"-ს მარშრუტზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო-საკვანძო ფუნქციას ასრულებს, როგორც დერეფანზე გატარებული ენერგორესურსების გადამტვირთავი. პორტში გადაიტვირთება მშრალი ტვირთი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისათვის. ის ასევე ყაზახური ნავთობის მთავარი გადამამუშავებელია. ბათუმი ჩართულია ხმელთაშუა ზღვის საკრუიზო მარშრუტში, მაგრამ, შავი ზღვის აუზში კონფლიქტებისა და ქვეყნის შიგნით სოციალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის, კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიშორისა და არასტაბილური ვითარების გამო, მოთხოვნა მცირეა.

საკონტეინერო ტვირთის გადაზიდვებში უცილობლად ლიდერია ფოთის პორტი. ბათუმის საკონტეინერო ტერმინალი, რომელიც ფილიპინელების მართვის ქვეშაა, ტვირთნაკადებს ვერ ფლობს.

ქართულ პორტებს განვითარებისთვის აუცილებელი მოსახერხებელი და ღრმა მისადგომები, კარგი ჰიდროტექნიკური პარამეტრები, საკმარისი ტერიტორია, დამატებით თავისუფალი ფართობი და სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ, რაც გამოიხატება საერთაშორისო სატრანსპორტო გზების გადაკვეთაზე განლაგებაში, მაგრამ პორტების განვითარება ვერ მოხერხდება მთლიანად ქვეყნის და რეგიონის განვითარების გარეშე.

არ არსებობს საპორტო სისტემების განვითარების სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკა. სახელმწიფო არ იძლევა სუბსიდიებსა და ინვესტიციებს საპორტო მეურნეობის განსავითარებლად. ვინაიდან პორტები კერძო საკუთრებაშია, სახელმწიფოს არა აქვს მარეგულირებელი ინსტრუმენტები მოქნილი სატარიფო პოლიტიკის განსახორციელებლად.

ქართული პორტები შავი ზღვის რეგიონში სატარიფო მახასიათებლებით კონკურენტუნარიანი არ არიან. მათ აქვთ მხოლოდ კარგი გეოპოლიტიკური პარამეტრები. ამ პორტების უკან არ დგას არც მძლავრი ქართული ეკონომიკა და არც ტვირთის მუდმივი ტრანზიტული ნაკადები. თუ ქვეყანა ისე გაძლიერდება, რომ განავითარებს შიდაბაზარს და სამხრეთ კავკასიის ტვირთის გარდა, მოიზიდავს ცენტრალური

აზიის, ჩინეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ტვირთსაც, მაშინ ქართული პორტები ანგარიშგასაწევი მოთამაშეები გახდებიან შავი ზღვის აუზში.

ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა 2018 წლისთვის ევროკავშირის საზღვაო სატრანსპორტო სისტემის განვითარების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო რესურსების, როგორც კვების, ენერგიისა და ადამიანის ცხოველმყოფელობის (ნაოსნობა, ვაჭრობა, დასვენება, მოგზაურობა), წყაროს. ევროკომისიის რეკომენდაციები საზღვაო ტრანსპორტისთვის ასეთია: მან უნდა უზრუნველყოს გადაზიდვების ოპტიმალური ღირებულება და ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქვეყნების სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას; უნდა შენარჩუნდეს ევროპული სანაოსნო სექტორის კონკურენტუნარიანობა, გაიზარდოს ტონაჟი, გადაზიდვების მოცულობა, რაც ბიძგს მისცემს წარმოების განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა მთელი ძალისხმევა უნდა მიმართონ საკუთარი საზღვაო პორტების მეშვეობით ამ სტრატეგიის განსახორციელებლად.

Tamar Dolbaia
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Comparative Analysis and Ranking of the Black Sea Basin Ports

Resume

Interest of the world towards the Black Sea (BS) region is high. The USA has military-political, the EU – energy security interests, while changing the strategic directions of transit flows of fuel is the most important for both of them. In order to get involved in the global space and come out of the Soviet legacy, it is necessary for the BS region countries to create deep political-economic ties and to organize a new politico-economic and cultural-geographical space.

The main support for the region's economic development are its sea ports. The purpose of our research is to carry out a comparative analysis of the BS basin ports and determine the competitiveness, place and role of the Georgian ports in the region.

For research purposes have been selected the biggest ports in the BS basin: Novorossiysk - in Russia, Burgas – in Bulgaria, Constanta - in Romania, Odessa and Ilyichevsk - in Ukraine, Samsun - in Turkey, Batumi and Poti - in Georgia.

In order to estimate the above mentioned ports, we applied several parameters for their comparative analysis and ranking. Parameters: I. Legal, II. Capacitive, III. Hydrotechnical, IV. Financial-economical, V. Level of involvement in international economic relations.

We made the ranking of ports by each parameter of 2008-2011 years. Data processing was done in SPSS 19.0. The highest rank is 1.

The ranking of the ports was made in a logical way. Georgian ports (6-7 rank) only have comparatively high geopolitical parameters. If the country becomes strong enough to develop the internal market and manages to attract not only the South Caucasus cargo, but also Asian, Chinese and the Pacific Ocean cargo, then Georgian ports will be considered as important actors in the BS basin.

ნათელა დონაძე

ერიჰ ფრომის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის – სამყაროს ურთულესი ფენომენის – პრობლემა. ამ საკითხისადმი თეორიული მიდგომა კომპლექსურია. მას სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები სწავლობენ. ფილოსოფოსები, ანთროპოლოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვ. ადამიანის პრობლემას სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ.

ადამიანი საზოგადოებრივ-ისტორიული მოღვაწეობისა და კულტურის სუბიექტია. იგი ცოცხალი სისტემაა; წარმოადგენს ფიზიკურისა და სულიერის, ბუნებრივისა და სოციალურის, მემკვიდრეობითისა და სიცოცხლეში შეძენილის ერთიანობას. ბიოლოგიურისა და სოციალურის თანაფარდობის გარკვევა ადამიანის პრობლემის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. პრობლემის ცენტრს წარმოადგენს საკითხი ადამიანის არსების შესახებ. ადამიანი ბუნებრივი არსებაა, მაგრამ მის არსს ქმნის სოციალური ურთიერთობების ერთობლიობა.

„თითოეული კულტურის წარმომადგენელი ყოველთვის არის ადამიანის ბუნების გამოვლენა, მაგრამ ეს განსაზღვრულია იმ სოციალური პირობებით, რომლებშიც ის ცხოვრობს“.[1]

გარემოსთან ურთიერთობაში ადამიანი თავისი ფსიქიკური ორგანიზაციის სირთულის მიხედვით შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც: ა) ინდივიდი, ბ) სუბიექტი და გ) პიროვნება. ამ თვალსაზრისით, ადამიანის განვითარების პროცესი არის მისი სოციალური ჩამოყალიბების პროცესი, მისი სოციალიზაცია.[2]

პიროვნება ნიშნავს კონკრეტულ ინდივიდს, როგორც საქმიანობის სუბიექტს, მისი ინდივიდუალური თვისებებისა და სოციალური როლე-

---

[1] Fromm, E. (1963) The Sane Society. New York p. 370.

[2] ნადირაშვილი, შ. (1975). პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 62-106.

ბის ერთობლიობაში. მეორე მხრივ, პიროვნებას განსაზღვრავენ, როგორც ინდივიდის სოციალურ თვისებას, როგორც მასში ინტეგრირებული, სოციალურად – ნიშნადი თვისებების ერთობლიობას, თვისებებისა, რომლებიც წარმოიქმნება მოცემული პირის სხვა ადამიანებთან პირდაპირი და ირიბი ურთიერთქმედების პროცესში. ისინი, თავის მხრივ, ხდიან მას შრომის, შემეცნებისა და ურთიერთობის სუბიექტად.[3] სწორედ ცნების ეს ასპექტია მნიშვნელოვანი სოციოლოგიის თვალსაზრისით, რადგან მას აინტერესებს არა ცალკეული ადამიანი თავისთავად, არამედ როგორც გარკვეული საზოგადოების, სოციალური ჯგუფის წევრი, რომელიც ზოგიერთი სოციალურად ტიპური თვისების მქონეა. თუმცა, ეს ორი ცნება – პირი, როგორც ადამიანის ერთიანობა (მთლიანობა) (ლათ. persona) და პიროვნება, როგორც მისი სოციალური და ფსიქოლოგიური იერსახე (ლათ. personalitas), ტერმინოლოგიურად სრულიად განსხვავდება, მაგრამ ისინი, ზოგჯერ, იხმარება როგორც სინონიმები.

პიროვნება არის მყარი სისტემა სოციალურად – ნიშნადი თვისებებისა, რომლებიც ახასიათებს ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების ან ერთობის წევრს.

პიროვნება არის ინდივიდის სოციალური თვისება. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია. ადამიანის პიროვნება წარმოადგენს ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური ელემენტების ინტეგრალურ ერთიანობას.

ადამიანის პიროვნება ყალიბდება გარშემო მყოფებთან ყოველდღიური ურთიერთქმედების პროცესში.[4] პიროვნება არის ერთდროულად „ობიექტი-სუბიექტი“. თუმცა, პიროვნება ყოველთვის ასრულებს გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს, ის არ შეიძლება, უბრალოდ, დავიყვანოთ ამ ფუნქციებამდე. პიროვნება არის ისტორიულად კონკრეტული, სოციალურად მოქმედი ადამიანი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური თვისებები. ეს თვისებები ყალიბდება და მჟღავნდება მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მეტად რთულია. იგი მრავალ სტადიას გაივლის. ახალდაბადებულს არ გააჩნია სოცია-

---

[3] Кон И.С. (1967). Социология личности. Москва. Издательство политической литературы. стр. 93-100.

[4] Шибутани Т. (1960). Социальная психология. Москва. стр. 43.

ლური გამოცდილება. იგი ადამიანური პიროვნების მხოლოდ პოტენციაა. შემდგომი ცხოვრების მანძილზე კი ხდება სოციალური როლებისა და კულტურის გარკვეული სისტემის შეთვისება. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ სოციალურ მექანიზმებს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა. სოციალური გარემოს სხვადასხვა ელემენტის (სოციალურ-ეკონომიკური პირობების, კულტურული გარემოცვის, ოჯახის, სკოლის, თანატოლთა ჯგუფის, მასმედიისა და ა.შ.) მნიშვნელობა არაერთგვაროვანია სოციალიზაციის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, აგრეთვე, სხვადასხვა საზოგადოებაში და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების შეთვისება, რომლის დროსაც იქმნება კონკრეტული პიროვნება, ე.ი. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება უნდა განვიხილოთ როგორც სუბიექტის სოციალიზაციის პროცესი.

სოციალიზაცია (ლათ. socialis – საზოგადოებრივი) არის ინდივიდის მიერ იმ გარკვეული ცოდნის სისტემის, ნორმებისა და ღირებულებების ათვისების პროცესი, რომლებიც მას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ.

გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ერიჰ ფრომი მიიჩნევს, რომ სოციალიზაციის პროცესი იმ წამიდან იწყება, როდესაც ადამიანი ავლენს საკუთარ თავს და სხვებისადმი საკუთარ დამოკიდებულებებს ადამიანური ურთიერთობების წესებისა და ფორმების მეშვეობით ამჟღავნებს.

ამერიკელი მეცნიერი ტ. შიბუტანი ასე განმარტავს სოციალიზაციას: „სოციალიზაცია არის საკომუნიკაციო პროცესი. სოციალიზაცია მიეკუთვნება იმ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ინდივიდები ეფექტურად მონაწილეობენ სოციალურ ჯგუფებში. სოციალიზაცია კომუნიკაციის უწყვეტი პროცესია, რომლის დროს ახალბედას შერჩევით შეაქვს თავის ქცევის სისტემაში ის მოდელები, რომლებიც სანქცირებულია ჯგუფის მიერ. სოციალიზაცია განვითარების პროცესია, რომელიც გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე“.[5]

სოციალიზაცია არის გარემოს ის გავლენები, მთლიანობაში, რომლებიც ინდივიდს ხდის საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილედ; ასწავლის მას თავისი კულტურის გაგებას, ჯგუფებში, ერთობებში ჩაბ-

---

[5] Шибутани Т. (1969). Социальная психология. Москва. стр. 380.

მას, სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობას, თვითრეალიზაციასა და თვითდამკვიდრებას, სხვადასხვა სოციალური როლის შესრულებას. სოციალიზაცია არის არა მარტო ჩვევების თანდათანობითი გამომუშავება, არამედ ცოცხალი ორგანიზმის – ადამიანის – გარემოსთან უწყვეტი ადაპტაცია.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის – რ. ლინტონის, კულტურული ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აზრით, პიროვნება არის „ინდივიდისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური პროცესებისა და მდგომარეობის ორგანიზაციული აგრეგატი“.[6] პიროვნების მსგავს განმარტებას გვაძლევს ჯ. ჯილინი – „პიროვნება ეს არის ემოციათა, ურთიერთობათა, აზრის ფორმირებისა და მოქმედების ტენდენციათა შინაგანი ორგანიზაცია“.[7]

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ის ზოგადსაკაცობრიო და ზოგადეროვნულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება.

XXI საუკუნის სოციოლოგიურმა პარადიგმამ მნიშვნელოვნად შეცვალა სოციალური სისტემისა და ადამიანისადმი, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და მიმართებისადმი, მიდგომა. მან დღის წესრიგში დააყენა ადამიანის – სამყაროს ურთულესი ფენომენის – მრავალმხრივი, მასშტაბური და სიღრმისეული შესწავლა, აგრეთვე, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის კვლევა.

საზოგადოება და პიროვნება სოციალური რეალობის – სოციუმის – ორი ურთიერთდაპირისპირებული და, ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებული მხარეა. პიროვნება არის სოციალურ ურთიერთობათა სუბიექტიც და ობიექტიც ერთდროულად. ამავე დროს, იგი არის სოციალური სტრუქტურის, სოციალური სისტემის შემადგენელი ნაწილი. პიროვნება, როგორც საზოგადოების ნაწილი, მისი შემადგენელი ელემენტი, განსაზღვრულია მთელის, ე.ი. საზოგადოების კანონზომიერებით. ისტორიული განვითარების მსვლელობაში იცვლებოდა არა მარტო პიროვნების გავრცელებული, გაბატონებული სოციალური ტიპები, მათი ღირებულებითი ორიენტაციები, არამედ ურთიერთდამოკიდებულებაც თვით პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

---

[6] Linton, R. (1945). The Cultural Background of Personality. New York. p. 84.
[7] Gillin, F. (1948). The Ways of Men. New York. p. 573.

სახელგანთქმული გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ნეოფროიდისტული სკოლის ანუ კულტურული ფსიქოანალიზის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ერიჰ ფრომი (ერიჰ ფრომი – 1900-1980) საზოგადოებასა და პიროვნებას შორის დამაკავშირებელ რგოლად სოციალურ ხასიათს მიიჩნევს.

ერიჰ ფრომის აზრით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა (ეკონომიკური ფაქტორი, როგორც ყველაზე მყარი, სოციალური ხასიათის გენეზისში პირველხარისხოვან როლს თამაშობს) აყალიბებს ადამიანის ხასიათს; მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის ბუნებაც ზემოქმედებს იმ სოციალურ პირობებზე, რომლებშიც ის ცხოვრობს. იქამდე, სანამ საზოგადოებისა და კულტურის ობიექტური პირობები სტაბილური რჩება, სოციალური ხასიათი, უპირატესად, ასრულებს სტაბილიზაციის ხელშემწყობ ფუნქციას. თუ გარეგანი პირობები იმგვარად იცვლება, რომ აღარ შეესატყვისება ტრადიციულ სოციალურ ხასიათს, წარმოიქმნება განხეთქილება, ერთმანეთისაგან მოწყვეტა, რომლის შედეგად სოციალური ხასიათი ხდება არა სტაბილიზაციის, არამედ დეზინტეგრაციის ხელშემწყობი ელემენტი. ცემენტის დუღაბიდან (როგორიც ის უნდა იყოს საზოგადოებაში) ის გადაიქცევა დინამიტად.[8]

მეცნიერი მიიჩნევს, რომ „სოციალური ხასიათი“ საზოგადოების ფუნქციონირების ძირითადი ელემენტია. ამავე დროს, ის არის ამძრავი (მამოძრავებელი) ღვედი ეკონომიკურ სტრუქტურასა და მასში გავრცელებულ იდეებს შორის.

ცნებით „სოციალური ხასიათი“ ე. ფრომი აღნიშნავს ხასიათის სტრუქტურის ბირთვს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობისათვის. სოციალური ხასიათის ცნება არ არის სტატისტიკური, ე.ი. ის არ არის, უბრალოდ, ხასიათის იმ თვისებების ჯამი, რომლებიც მოცემული კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი. მისი გაგება შეიძლება მხოლოდ სოციალური ხასიათის ფუნქციასთან კავშირის მეშვეობით.[9]

---

[8] Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 330.

[9] იქვე, გვ. 330.

„სოციალური ხასიათი“ არის სპეციფიკური წესი (ხერხი), რომლის საშუალებითაც ადამიანების ენერგია მიემართება გარკვეულ კალაპოტში.

ერიჰ ფრომი გამოყოფს სოციალური ხასიათის რამდენიმე ტიპს, რომლებიც, ზოგადად, რეპრეზენტატულია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის: რეცეპტული, ექსპლოატატორული, დამგროვებელი, საბაზრო და პროდუქტიული.

ახლა განვიხილოთ, რას წარმოადგენს სოციალური ხასიათის თითოეული ტიპი და რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

აღმქმელი (რეცეპტული, შემთვისებელი) სოციალური ხასიათის ადამიანი მიიჩნევს, რომ „ყველაფერი კარგის წყარო“ ადამიანის გარეთ არსებობს. მას სწამს, რომ მისთვის სასურველის (იქნება ეს მატერიალური ან სულიერი, სიყვარული, ცოდნა ან სიამოვნება) მიღწევის ერთადერთი გზა არის მისი მიღება გარე წყაროდან. რეცეპტული სოციალური ხასიათი არის სენტიმენტალური, დამოკიდებული და პასიური. მისი აზრით, ის სხვებს უნდა უყვარდეთ და არა, პირიქით, მას უყვარდეს სხვები.

ექსპლოატატორული სოციალური ხასიათის ადამიანს, ისევე, როგორც აღმქმელს, მიაჩნია, რომ ყველაფერი კარგის წყარო მის გარეთ არსებობს. სწორედ იქ უნდა ეძებოს ადამიანმა ყველაფერი ის, რის მიღებაც მას შეუძლია. იგი მიიჩნევს, რომ ადამიანს არაფრის გაკეთება შეუძლია. ექსპლოატატორული ტიპი, აღმქმელისგან განსხვავებით, არ ელოდება, რომ სხვა ადამიანებისაგან მიიღებს რამეს საჩუქრის (ნაბოძების) სახით. იგი ამას ძალითა და ეშმაკობით აღწევს. მისი ასეთი ორიენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში ვრცელდება. ის იყენებს და ექსპლოატაციას უწევს ყველასა და ყველაფერს, ვისგან ან რისგანაც შეუძლია რაღაცის „გამოწურვა“.

დამგროვებელი სოციალური ხასიათის ადამიანისათვის დამახასიათებელია მომჭირნეობა (ზოგჯერ, სიძუნწეც), სიჯიუტე. ყაირათიანობა არის მისი ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულება და იდეალი. მისი ცხოვრების წესი არის დაზოგვა და არა ხარჯვა, მფლანგველობა და ხელგაშლილობა. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანასწორობა. მას სურს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს ერთნაირი კეთილდღეობა. აღსანიშნავია, რომ იგი ორიენტირებულია წარსულზე.

საბაზრო სოციალური ხასიათის ადამიანი სხვა ადამიანებისგან უკიდურესად გაუცხოებულია. იგი თავის თავს მიიჩნევს ნივთად, სა-

ქონლად (პროდუქტად), რომლის ყიდვა და გაყიდვა შეიძლება. ის ისწრაფვის, რაც შეიძლება კარგად გაყიდოს საკუთარი თავი ბაზარზე. ე. ფრომის აზრით, XX საუკუნის ბაზარზე ორიენტირებული ინდივიდი ეპოქისთვის დამახასიათებელი კონფორმიზმის შედეგია. ხდება პიროვნების გადაფასება, რომლის აზრი შემდეგია: „მე ვარ ის (ისეთი), როგორიც თქვენ გინდათ, რომ მნახოთ". საბაზრო სოციალური ხასიათის ადამიანის თვითშეგნება და თვითშეგრძნება გამომუშავდება არა საქმიანობის პროცესში, არამედ გამომდინარეობს მისი სოციო-ეკონომიკური როლიდან.[10]

ოთხივე სოციალური ხასიათი არაპროდუქტიული ტიპია.

პროდუქტიული სოციალური ხასიათის პიროვნებისათვის დაზოგვაზე (შენახვაზე) ორიენტირებული ფილოსოფია არის „ჭუჭყიანი". მისთვის მისაღებია ისეთი იდეები, რომლებშიც აქცენტი კეთდება შემოქმედებით ძალისხმევასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამდიდრებენ ცხოვრებას.

მხოლოდ პროდუქტიული სოციალური ხასიათი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების მიზანს. იგი არის პატიოსანი, წყნარი, მშვიდი, მოსიყვარულე, შემოქმედებითი, ყოველთვის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მოქმედი.

ერიჰ ფრომის აზრით, ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის განვითარება განაპირობებს სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას, ე.ი. ორიენტაციების სტაბილურ და ნათლად გამოხატულ სისტემებს. სოციალიზაციის ხუთი წესის შესაბამისად (მაზოხიზმი, სადიზმი, დესტრუქტივიზმი, კონფორმიზმი, სიყვარული), წარმოიშობა სწორედ ზევით განხილული ადაპტაციის ხუთი წესი: რეცეპტული, ექსპლოატატორული, დამგროვებლური, საბაზრო და პროდუქტიული.

ე. ფრომი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის სოციალური ხასიათისათვის დამახასიათებელი იყო პრინციპული მიმართულება – „ქონა", XX საუკუნის სოციალური ხასიათის მიზანია – „გამოყენება". დაგროვების სოციალური ხასიათი შეცვალა საბაზრო სოციალურმა ხასიათმა, თუმცა, ამ ცვლილებას ფლობაზე ორიენტაცია ნულამდე არ დაუყვანია, მაგრამ გამოიწვია მისი მოდიფიკაცია.[11]

---

[10] Fromm, E (1959). The Same Society. New York, pp. 141-142.
[11] Фромм, Э. (1991). Иметь или Быть. Москва. стр. 77-79.

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ხასიათი სრულიად განსხვავებულია. ახლანდელი ეკონომიკა ეფუძნება არა მოხმარების შეზღუდვას, არამედ მის გაფართოებას.

ე. ფრომის თანამედროვე ინდუსტრიულმა საზოგადოებამ შექმნა ისეთი სოციალური ხასიათი, რომლისთვისაც შინაგანად დამახასიათებელი უნდა იყოს: დისციპლინა, წესრიგი, წესიერება, სიზუსტე, თანაც ისეთი ხარისხითა და ზომით, რაც უცხო იყო სხვა კულტურებისთვის. ასეთ საზოგადოებაში შრომა ძალიან დიფერენცირებულია. ის თავისუფალი ადამიანების საქმიანობით ხასიათდება. შრომა აქ არ შეიძლება მუქარით ან იძულებით. შრომის პუნქტუალობისა და სიზუსტის მოთხოვნილება ადამიანის შინაგანი სურვილია. პატიოსნება არის თავისუფალი ბაზრის ძირითადი კანონი.[12]

ე. ფრომი ჯგუფის წევრთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელ საერთო – ზოგად ნიშან-თვისებათა ერთობლიობას სოციალურ ხასიათს უწოდებს.

სოციალურ ხასიათში შედის ხასიათის მხოლოდ იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული სოციალური ჯგუფის წევრთა უმრავლესობისათვის და რომლებიც წარმოიშვა მათთვის ტიპური ზოგად-საერთო განცდებისა და გრძნობების, ცხოვრების ზოგად-საერთო წესის საფუძველზე.

ე. ფრომის აზრით, სოციალური ხასიათის ცნებას მთავარი მნიშვნელობა აქვს სოციალური პროცესების გასაგებად.

სოციალური ხასიათი ადამიანური ენერგიის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც წარმოიქმნება განსაზღვრულ საზოგადოებაში ცხოვრების განსაზღვრული წესისადმი ადამიანურ მოთხოვნილებათა დინამიკური ადაპტაციის პროცესში. სოციალური ხასიათი განსაზღვრავს ინდივიდის აზროვნებას, გრძნობებსა და მოქმედებებს.

ინდივიდთა სოციალური ხასიათი ყალიბდება მოცემული საზოგადოების ცხოვრების წესით, მაგრამ ამ ხასიათის უმთავრესი ნიშნები, თავის მხრივ, ხდება შემოქმედებითი ძალები, რომლებიც აყალიბებენ ცხოვრების წესს.

ერიჰ ფრომი აღნიშნავს, რომ მოცემულ საზოგადოებაში ერები, სოციალური ერთობები ან კლასები ფლობენ მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ხასიათს. თუმცა, საზოგადოებაში შეიძლება იყოს

---

[12] Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 328-335.

ინდივიდთა გარკვეული რაოდენობა, ვისი ხასიათის სტრუქტურა საერთოდ არ განიცდის იმ უფრო ფართო ნიმუშების, სტანდარტების გავლენას, რომლებიც საერთოა მთელი ჯგუფისთვის.

თუ მოცემული საზოგადოების წევრების უმრავლესობის ენერგია მიედინება ერთი და იმავე მიმართულებით, მაშინ მათ ერთი და იგივე მოტივაცია გააჩნიათ, უფრო მეტიც, ისინი ერთსა და იმავე იდეებსა და იდეალებს ითვისებენ.

ერიჰ ფრომის აზრით, საზოგადოების, სხვადასხვა კლასისა და სოციალური ჯგუფის წევრები იძულებული არიან მოიქცნენ ისე, რომ ჰქონდეთ სოციალური სისტემის მოთხოვნების შესაბამისად ფუნქციონირების საშუალება. სწორედ ამაშია სოციალური ხასიათის ფუნქცია – საზოგადოების წევრთა ენერგია იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ ქცევის ნორმებისა და წესების არჩევის დროს მათ არ დასჭირდეთ, შეგნებულად მიიღონ გადაწყვეტილება – საჭიროა თუ არა, იმოქმედონ სოციალური ნიმუშების შესაბამისად. სოციალური ხასიათის ფუნქციაა, აგრეთვე, რომ ადამიანებს ჰქონდეთ სურვილი, იმოქმედონ ისე, როგორც უნდა იმოქმედონ. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანები სიამოვნებას ღებულობდნენ, როდესაც მოქმედებენ მოცემული კულტურის მოთხოვნების შესაბამისად. სოციალური ხასიათის ფუნქცია არის ის, რომ ჩამოაყალიბოს და წარმართოს ადამიანის ენერგია მოცემული საზოგადოების შიგნით, ამ საზოგადოების ფუნქციონირების გაგრძელების მიზნით.

სოციალური ხასიათი არის სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ადამიანური ენერგია სპეციფიკურად ფორმირდება. საზოგადოება ამას თავის მიზნებისთვის იყენებს.

სოციალური ხასიათი, აგრეთვე, არის ბაზისი, რომლის მეშვეობითაც გარკვეული იდეები და იდეალები თავიანთ ძალასა და მიმზიდველობას იძენს.

ე. ფრომი ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტორებს, რომლებიც, ერთი მხრივ, პასუხისმგებელი არიან სოციალური ხასიათის შინაარსზე და, მეორე მხრივ, იმ ხერხებზე (წესებზე), რომელთა საშუალებითაც იქმნება სოციალური ხასიათი. საზოგადოების სტრუქტურა და მასში ინდივიდის ფუნქცია განსაზღვრავენ სოციალური ხასიათის შინაარსს.[13]

---

[13] Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллиозий. Москва. Издательство «Республика». стр. 335.

მოკლედ, მოცემულ საზოგადოებაში პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირებულებითი ორიენტაციების ერთობლიობას, გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშანთვისებების ერთობლიობას ეწოდება სოციალური ხასიათი. სოციალური ხასიათის სტრუქტურა განსაზღვრავს ადამიანების არა მარტო ქცევებს, არამედ მათ აზრებსა და იდეებს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხასიათს, ის ისეთი სახის ხასიათია, რომლის საშუალებით ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.[14]

თავის შრომებში ე. ფრომი აანალიზებს არა მარტო სოციალურ ხასიათს, არამედ საზოგადოებასაც, ძირითადად, კაპიტალისტურ საზოგადოებას. იგი აღნიშნავს, რომ თითოეულ საზოგადოებას გააჩნია გარკვეული სტრუქტურა და ფუნქციონირებს გარკვეული წესით იმ აუცილებლობის შესაბამისად, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური პირობებით. ე. ფრომი ასეთ პირობებად მიიჩნევს წარმოების წესს, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებს, კულტურულ ტრადიციებსა და იმ გარეგან გავლენებს, რომლებსაც საზოგადოება განიცდის.[15]

ე. ფრომი მართებულად აღნიშნავს, რომ არ არსებობს საზოგადოება ზოგადად, არის მხოლოდ სპეციფიკური სოციალური სტრუქტურები, რომლებიც მოქმედებენ გარკვეული წესების მიხედვით. თუმცა, ეს სოციალური სტრუქტურები იცვლება ისტორიული განვითარების მსვლელობაში, ისინი შედარებით სტაბილურები არიან თითოეულ მოცემულ ისტორიულ პერიოდში. თითოეული საზოგადოება შეიძლება არსებობდეს, თუ ის მოქმედებს თავისი სპეციფიკური სტრუქტურის ფარგლებში.

მეცნიერი ერთმანეთს ადარებს და აანალიზებს XIX და XX საუკუნეების საზოგადოებებს. ის ზუსტად აღნიშნავს, რომ ამ საუკუნეების კაპიტალისტური საზოგადოებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. XIX საუკუნეში კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო კაპიტალის დაგროვება. ამის მისაღწევად საჭირო იყო მომჭირნეობა, დისციპლინის განმტკიცება და სტაბილურობა, რასაც

---

[14] Fromm, E. (1963). The Sane Society. New York. p. 78.

[15] Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 330-331.

ხელს უწყობდა ავტორიტარულობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, როგორიცაა: ოჯახი, ეკლესია, მრეწველობა, სახელმწიფო და სხვ. აქ ძირითადად „დაგროვების ორიენტაციის“ სოციალური ხასიათი არსებობს.

XX საუკუნისთვის დამახასიათებელია „მაშინიზაცია“, „კომპიუტერიზაცია“ და „რობოტიზაცია“. ე. ფრომის აზრით, ტექნოლოგიური განვითარება ალტრუიზმის გარეშე სოციალურად დამანგრეველია. მეცნიერისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ანტიტექნიციზმი.

ერიჰ ფრომმა თავისი შრომებით (“თავისუფლებიდან გაქცევა“ – „The Escape from Freedom“ – 1941, „დავიწყებული ენა“ – “The Forgotten Language“ – 1951, „გონიერი საზოგადოება“ – „The Sane Society“ – 1955, „სიყვარულის ხელოვნება“ – “The Art of Loving“ – 1956, „ილუზიების ტყვეობიდან“ – “Beyond the Chains of Illusion“ – 1962, „ადამიანის სული“ – „Die Seele des Menchen“ – 1964 და სხვა) იმპულსი მისცა XX საუკუნის ჰუმანისტურ აზროვნებას. მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო მის კოლეგებსა და მოწაფეებზე, არამედ მომდევნო თაობის მეცნიერებზეც.

ბევრი სოციოლოგი და ფსიქოლოგი (განსაკუთრებით, გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი დევიდ რისმენი) სამართლიანად მიიჩნევს, რომ მათი მეცნიერული შეხედულებები დიდადაა დამოკიდებული ერიჰ ფრომის ნააზრევზე, მის მიერ ჩამოყალიბებულ მოძღვრებაზე სოციალური ხასიათისა და თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ.

სოციალურ ხასიათს განიხილავდნენ, აგრეთვე, აბრამ კარდინერი (Abram Kardiner), მარგარეტ მიდი (Margaret Mead), რუთ ბენედიქტი (Ruth Benedict), გორდონ ოლპორტი (Gordon Allport) და სხვ. ა. კარდინერი და რ. ლინტონი ტერმინის „სოციალური ხასიათი“ ნაცვლად იყენებენ ცნებას „ძირითადი პიროვნება“, ხოლო გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი ა. ინკელსი – ცნებას „მოდალური პიროვნება“.

სოციალური ხასიათის მეცნიერულ ანალიზს იძლევა, აგრეთვე, გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი დევიდ რისმენი. იგი აანალიზებს ცნებებს „პიროვნება“, „ხასიათი“ და „სოციალური ხასიათი“ და აღნიშნავს, რომ, როცა ლაპარაკია „სოციალურ ხასიათზე“, აქ არ იგულისხმება არც „პიროვნება“ და არც „ხასიათი“. დ. რისმენის აზრით, „სოციალური ხასიათი“ „ხასიათის“ ის ნაწილია, რომელსაც იზიარებენ მნიშ-

ვნელოვან სოციალურ ჯგუფებში და რომელიც, როგორც ამას განსაზღვრავს თანამედროვე სოციოლოგთა უმეტესობა, ამ გამოცდილების შედეგია. არსებობს კლასების, ჯგუფების, რეგიონებისა და ერების სოციალური ხასიათი“.[16]

ცნობილი რუსი სოციოლოგ ი. კონის აზრით, მოცემულ საზოგადოებაში პიროვნებისთვის დამახასიათებელი ტიპური ღირებულებითი ორიენტაციების ერთობლიობას ეწოდება სოციალური ხასიათი. ამავე დროს, ისინი ინდივიდუალურები არიან, რადგან მათში აკუმულირდება მოცემული პირის განუმეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების თავისებურება.[17]

ყოველი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს ისეთი სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას, რომელიც მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის არის აუცილებელი.

ე. ფრომის სოციალური ხასიათის ტიპოლოგიის შესწავლა აუცილებელია, რადგანაც მას დღესაც, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, არ დაუკარგავს აქტუალობა. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ სოციალური ხასიათისა და საზოგადოების შესახებ ე. ფრომის მეცნიერული კონცეფციის განხილვა.

Natela Donadze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Erich Fromm's Typology of Social Character

Resume

One of the most essential problems of the modernity is relation between Society and Person. The theoretical approach to this subject is complex. It has been studied by different scholars – philosophers, sociologists, anthropologists, psychologists, etc. who consider human being's problem from different angles.

---

[16] Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950).p. 18.

[17] Кон, И. С. (1967). Социология Личности, Москва. Издательство Политической Литератури. Стр. 28.

Society and person are two interdependet parts of social reality. According to Erich Fromm, a representative of each culture is always the manifestation of human being's nature, but determined by the social conditions in which he lives.

In the process of historical development not only societies and dominant social types are changing, but interdependence between personality and society as well.

Erich Fromm considers social character as an intermediate link between the social-economic structure and the ideas and ideals dominant in a society. At the same time, social character is a mediator in both directions: from the economic basis to the ideas and from the ideas to the economic basis, that is, not only the economic basis creates a certain social character; social character, on its part, creates some ideas. The ideas, just once formed, influence the social character too and indirectly impact the social-economic structure of a society.

According to Erich Fromm, the social-economic structure of a society (economic factor, as the firmest factor, is of paramount importance in the genesis of a social character) creates a social being's character. On the other hand, a human being's nature influences those social conditions, in which he lives.

The unity of a personality's specific value orientations in a given society, the unity of some main features and traits, characteristic of a certain social group, is called a social character.

Erich Fromm considers that "social character is a main element of the functioning of a society." He proposes the typology of social characters consisting of the following five elements: receptive, exploiter, accumulative, marketing, and productive.

In the article these types and their characteristic features are discussed.

Erich Fromm considers that a social character is of great importance to understand social processes. The individuals' social character is formed according to the lifestyle of the given society, and the main features and traits of this character, on the other hand, become creative forces, forming a social style. Social character is a structure, by means of which human being's energy is specifically formed. Society uses it for its own purposes.

Many sociologists and psychologists (especially the American sociologist David Riesman) truly note that their scientific conceptions have been greatly influenced by Erich Fromm's doctrine of social character and modern capitalist society.

სალომე დუნდუა

ეროვნული უმცირესობები და საგანმანათლებლო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი

დამოუკიდებლობის 20 წელზე მეტი გამოცდილების შემდეგაც კი, ეთნიკური კატეგორიების სიმრავლით გამორჩეულ საქართველოს საჯარო-პოლიტიკურ სივრცესა და დისკურსს ძნელია კონსოლიდირებული, ფართო სამოქალაქო მონაწილეობაზე დაფუძნებული, აქტიური სამოქალაქო კულტურა ეწოდოს, რომელიც თავის მხრივ ფართო სოციალურ და პოლიტიკურ კონსენსუსზე იქნებოდა დამყარებული. დღემდე საქართველოს პოლიტიკური კულტურა უფრო ფრაგმენტული ხასიათის და კონფლიქტოგენური ტენდენციების მატარებელია, რომელშიც მრავლადაა წარმოდგენილი პრიმორდიალური და პრემოდერნული ყაიდის სოციალ-პოლიტიკური ელემენტები, რომელნიც თავის მხრივ არცთუ მთლად შესაბამისობაში მოდიან თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებსა და მიზნებთან.[1]

რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი წილი ალბათ პოლიტიკურ ელიტებზე მოდის. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცემული ელიტები ფუნქციონირებენ გარკვეული ისტორიული მემკვიდრეობის და არსებული სოციალ-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით, რომელიც არცთუ ისე ძლიერ გვიბიძგებს წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციისკენ. საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს არა მხოლოდ სუსტი პოლიტიკური და კულტურული კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეტად სუსტად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი. არსებული საერთო ეკონომიკური ბაზარი არ ხდება მათი ინტენსიური შეხების, კონკურენციის და თანამშრომლობის წყარო. შე-

---

[1] დუნდუა, ს. და აბაშიძე, ზ. (2009) ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, გვ. 12.

საბამისად, გასაკვირი არაა, რომ სახეზე გვაქვს ეთნიკურ უმცირესობათა ფაქტობრივი იზოლაციონიზმი (უმეტეს შემთხვევებში მაინც).[2]

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობის ფორმალური მხარე და ქვეყანა მიერთებულია ყველა იმ ფუძემდებლურ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, საქმე არსობრივად წინ მეტად ზანტი ტემპებით მიიწევს. ფაქტია, რომ მხოლოდ ფორმალიზებული სამოქალაქო თანასწორობა ვერ უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას.

როგორც წესი, ენასა და განათლებას ერის მშენებლობის, ერის ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ენა და განათლება ძირითად აქტორებს წარმოადგენენ არა მხოლოდ განსხვავებულ ერებს შორის კომუნიკაციის განსამტკიცებლად, არამედ თავად ერთი სახელმწიფოს შიგნით სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების წარმატებულად უზრუნველყოფის საქმეშიც.

ამ ფონზე, სამოქალაქო ინტეგრაციის წარმატებული და სრულფასოვანი განხორციელების პროცესში, ქვეყანაში ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად ეთნიკური უმცირესობების მიერ სწორედ კომუნიკაციის იმ უმთავრესი საშუალების არცოდნა მიიჩნევა, რასაც სახელმწიფო ენა ჰქვია.

კომუნისტური რეჟიმის მარცხის შემდეგ პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკებისგან საქართველოს (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მემკვიდრეობის ბევრი მსგავსების მიუხედავად) ისიც გამოარჩევდა, რომ, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, პრობლემას უქმნიდა არა ეთნიკურად რუსი მოსახლეობა და მის მიერ ქართული ენის არცოდნა, არამედ, ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა.

პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობიდან ეთნიკური მრავალწევრიანობა და ამ ფონზე არსებული გაუცხოება ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასალახავ პრობლემად და დანატოვრად იქცა. დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ თუ სხვა სახის პრობლემებთან ჭიდილის პარალელურად, ქვეყნის ხელისუფლებას ეთნომრავალწევრიანობის პრობლე-

[2] იქვე, გვ. 13.

მის დაძლევა და მასთან მოსახლეობის შეგუება-ადაპტაცია უწევდა. გაუცხოების პრობლემაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ ეთნიკური ქართველების გაუცხოებას არაეთნიკური ქართველებისადმი. გაუცხოება არანაკლები დოზით ეთნიკურ არაქართველებშიც არსებობს სატიტულო ერის მიმართ. მიუხედავად საუკუნოვანი თანაცხოვრებისა, ვერც ცარისტულმა რუსეთმა, ვერც საბჭოეთმა და ვერც დამოუკიდებელმა საქართველოს საჯარო-პოლიტიკურმა სივრცემ ვერ უზრუნველყო ეთნიკურ უმცირესობებსა და ქართველებს შორის ამ გაუცხოების სრულიად თუ არა, ნაწილობრივ აღმოფხვრა და არსებული ეთნოცენტრისტული მიდგომების შესტუტება მაინც. პირველ ორ შემთხვევაში – არც მეფის რუსეთს და არც საბჭოეთის პოლიტიკის შემქმნელებს მსგავსი რამ არც ჰქონიათ მიზნად დასახული. პირიქით, მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა (სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა მეთოდით) გარკვეულწილად ურთიერთმტრული დამოკიდებულების წახალისებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ინტეგრაციას და გაუცხოების აღმოფხვრას. დამოუკიდებლობის 20 წელზე მეტი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემის გამო ბოლომდე ვერც ქართულმა სახელმწიფომ დაძლია (მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით რიგი ნაბიჯები ნამდვილად გადაიდგა, ამ მხრივ ჯერაც ძალიან ბევრია გასაკეთებელი) ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით არსებული პრობლემები. დღესდღეობით ამ მხრივ არსებული პრობლემების რამდენიმე ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი:[3]

1. ეთნიკურ არაქართველებში, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (უმეტესწილად არაურბანიზებული ან ნაკლებად ურბანიზებული სივრცე), დაბალია ქართული ენის ცოდნის ხარისხი. გაეროს მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების 24,6%, ხოლო ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მხოლოდ 16,9 % ფლობს სახელმწიფო ენას, მაშინ როცა, თბილისში (რაც ურბანულ ზონასთან ერთად, როგორც წესი, უმცირესობების დისპერსიულ განსახლებასაც გულისხმობს) იგივე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებელი ძალიან

[3] ჩვენი კვლევის საგანს მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ეთნიკური სომხები და ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ.

მაღალია: ეთნიკურ აზერბაიჯანელებში – 95,6%, ხოლო ეთნიკურ სომხებში კი – 96,4%.[4]

2. ქვეყანაში ზოგადად, და ამ მხრივ გამონაკლისს არც ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ, საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე. არაურბანულ სივრცეში უმუშევრობის კიდევ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (ურბანულ სივრცესთან შედარებით), რის შედეგადაც თავად ქართულენოვან მოსახლეობასაც ნაკლებად უწევს საჯარო სივრცეში უმცირესობებთან შეხება. ეს კი ნაკლებად უწყობს ხელს იგივე ეთნიკური უმცირესობების ჯეროვან სამოქალაქო ინტეგრაციას.

3. კულტურული და საინფორმაციო გაუცხოება. კარჩაკეტილი კულტურული განვითარება ეთნიკურ ჯგუფთა მხრიდან ურთიერთკულტურული მიღწევების მიმართ დაუინტერესებლობას და არაინფორმირებულობას აყალიბებს. პრაქტიკულად ერთ კულტურულ სივრცეში კულტურულად გაუცხოებული რამდენიმე ქვეკულტურა არსებობს.

4. საკმაოდ მაღალია სამოქალაქო გაუცხოების ხარისხი. სუსტი სამოქალაქო ინსტიტუციონალური ქსელი არ იწვევს არასახელმწიფო დონეზე ეთნიკურ ჯგუფთა თანამშრომლობას და კერძო ინტერესთა ჯეროვან არტიკულაციას.

დღესდღეობით ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის მსგავსი დაბალი პროცენტული მაჩვენებლი და, შესაბამისად, განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი უმთავრესი (თუმცა არა ერთადერთი) შემაფერხებელი პრობლემაა სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე. დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, არც გამსახურდიას მთავრობას და არც შევარდნაძის ხელისუფლებას არ გადაუდგამს ეთნიკური უმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად მიმართული ნაბიჯები. გამსახურდიას ხელისუფლებას ხშირად ეთნოცენტრისტული პოლიტიკის გატარებაშიც ადანაშაულებენ (თუმცა არ გვგონია მთლად მართებული იყოს მმართველობის წელიწადნახევრიან პერიოდში მიღებული და გატარებული ღონისძიებებით იმსჯელო ამა თუ იმ მმართველობის პოლიტიკურ კურსზე, მით უმეტეს იმ უმძიმესი საგარეო თუ საშინაო ფონის გათვალისწინებით, რომელშიც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი

[4] საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება [“National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report”] (October 2008), გვ. 36. http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents.

საქართველო აღმოჩნდა). შევარდნაძის პერიოდი კი ამ მხრივ სრული „უძრაობის ხანით“ ხასიათდება. ხელისუფლება არანაირად არ ზრუნავს ეთნოუმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ხარისხის ამაღლებაზე და, შესაბამისად, არც განათლების დონის გაუმჯობესების კუთხით დგამს ნაბიჯებს. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეთნოპოლიტიკური ელიტები უფრო ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გამტარებლები არიან და ნაკლებად ემსახურებიან ზოგადად უმცირესობების ინტეგრაციას. უმცირესობების, როგორც პოლიტიკურად ყველაზე ადვილად მოწყვლადი ერთეულების, ხმებს საარჩევნო პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად, ხელისუფლებას არ აწყობდა ეთნიკურ უმცირესობებში არც ქართული ენის ცოდნის ამაღლება და არც განათლების დონის გაზრდა, რაც ლოგიკურად მათში ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას გულისხმობდა. შედეგად კი, მიღებული ეთნოჯგუფების პოლიტიკური მანიპულირება სავარაუდოდ გართულდებოდა და უფრო მეტ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამ მიმართულებით ვითარება აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. 2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლების მიერ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რაც ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავდა:

1. ერთი მხრივ, არაქართველი მოსახლეობისთვის ქართული ენის სავალდებულო სწავლება;

2. და, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობებისთვის საკუთარი ენისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნებაზე ზრუნვა.

საკანონმდებლო დონეზე მოცემულმა პოლიტიკამ ასახვა პოვა საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, სადაც კონკრეტულად ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება“.[5]

[5] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი,http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური არაქართველების უდიდესმა ნაწილმა არ (ან ძალიან ცუდად) იცის ქართული ენა, მათი უმრავლესობა თავიანთ პოლიტიკურ სამშობლოდ მაინც საქართველოს აღიქვამს. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში „სიდას" მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, შეკითხვაზე, – აღიარებენ თუ არა საქართველოს საკუთარ სამშობლოდ და უკავშირებენ თუ არა პერსპექტივაში მას საკუთარ შემოსავლებს თუ სამსახურს, გამოკითხული რესპოდენტების 96 % უპასუხა, რომ საქართველოსთან აიგივებს საკუთარი თავის და ოჯახის შემოსავლებს უახლოესი 5 წლის მანძილზე.[6] ვფიქრობთ, იმ გამოკითხული მოსახლეობის ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მომავალს საქართველოს უკავშირებს (ბუნებრივია, სხვა ფაქტორებთან ერთად), გარკვეულწილად იმ პოლიტიკის შედეგიც უნდა იყოს, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება საგანმანათლებლო სფეროში.[7]

2010 წლიდან ამოქმედებული კანონის თანახმად, ეთნიკური უმცირესობები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტებს საკუთარ (აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ) ენებზე აბარებენ. ბუნებრივია, ამან შედეგად მოიტანა არაქართულენოვანი სტუდენტების რაოდენობის ზრდა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც, თავის მხრივ, ამოქმედდა 4+1 სისტემა – ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ერთი წლის განმავლობაში ქართული ენის გაძლიერებული სწავლება. ამასთანავე, დაწესდა კვოტირების სისტემაც, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა უმცირესობების ის რაოდენობა, რომელიც ამ საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში განაგრძობდა სწავლას. ეს მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ტესტების ჩაბარების შედეგად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის 5-

---

[6] http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=316 (მოძიებულია 2013 წლის 25 მაისს).

[7] სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინანდელი მონაცემები ანალოგიური ტიპის გამოკითხვაზე არ არსებობს, რაც საშუალებას მოგვცემდა ერთმანეთთან შეგვედარებინა პროცენტული მაჩვენებლები. არც „სიდას" მიერ მოყვანილი კვლევის ფარგლებში არ დასმულა კითხვა, რომელიც დაგვეხმარებოდა რესპოდენტების ამგვარი დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორების განსაზღვრაში. შესაბამისად, ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ განათლებისა და ქართული ენის სწავლების კუთხით მიმართულმა პოლიტიკამ განაპირობა გარკვეულწილად მსგავსი ხედვა, ვერ იქნება გამყარებული რომელიმე კვლევის შედეგებით.

5%, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტების – 1-1 %. მსგავსი პოლიტიკის შედეგად ბოლო წლების მანძილზე იმატა ეთნიკურად არაქართველი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობამ, რომლებიც სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ.ეს ფაქტი, თავისთავად, ცალსახად დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკის კუთხით გვინდა გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებებიც.

1. კვოტირების სისტემა დროის გარკვეულ მონაკვეთზე, ვფიქრობთ, მისაღები და დადებითი შედეგის მომტანი იქნება. თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამ სისტემის მოქმედება არ მიგვაჩნია მართებულად. ზოგადად, კვოტირების სისტემა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემებში (სხვადასხვა ტიპის ჯგუფთან მიმართებით) ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა, თუმცა, ამ სისტემას თავის დადებით ეფექტებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს. საქართველოს შემთხვევაში, ვფიქრობთ, არსებობს ალბათობა იმისა, რომ, ერთი მხრივ, ამან შედეგად მოგვცეს ისეთ პრესტიჟულ ფაკულტეტებზე კვოტირებულთა კონცენტრაცია, სადაც სტუდენტთა სიჭარბე ისედაც თვალში საცემია, ხოლო სხვა, ნაკლებად პრესტიჟულ ფაკულტეტებზე კი კვლავ კადრების დეფიციტის ალბათობა არსებობდეს. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია სულ ახლახან ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებიც –კერძოდ კი, თანამედროვე რეალობის საქართველოში რიგი ნაკლებ პოპულარული პროფესიების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, რაც თავისთავად გამოიწვევს მოცემულ ფაკულტეტებზე (სულ 14 სპეციალობა) სტუდენტთა რაოდენობის ზრდას.

2. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ, ქართულ ენაზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნარების ტესტების ჩაბარების ვალდებულების მოხსნის პირობებში, შესაძლოა ეთნიკურ არაქართველებს, რომლებსაც სახელმწიფო აძლევს საშუალებას საკუთარ ენაზე ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები, შეუმცირდეთ ქართული ენის შესწავლის მოტივაცია.[8] მსგავსი მოსაზრება, ვფიქრობთ, ნაკლებად მართებულია, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს

[8] განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პოლიტიკის ანგარიში, 2010, გვ. 5.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე აბარებენ ეთნიკური უმცირესობები ეროვნულ გამოცდებს), სწავლის გაგრძელება სახელმწიფო ენაზე, ქართულად უწევთ. შესაბამისად, გრძელვადიანი ინტერესების მართებული გააზრების პირობებში, ეთნიკური უმცირესობები მშვენივრად გააცნობიერებენ, რომ სასკოლო დონეზე სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება და მათი ამ პროგრამებში აქტიური ჩართულობა ისევ და ისევ მათ ინტერესებს ემსახურება როგორც ყოველდღიური ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების, განათლების მიღების და, შესაბამისად, საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში უკეთ ჩართულობის პერსპექტივის კუთხითაც. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო გვიმყარებს სტატიაზე მუშაობის პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგებიც.[9]

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიურება ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ რესპოდენტებთან (მარნეული-დმანისი და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონებში). მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული მოსახლეობა ცალსახად დადებითად აფასებს ქართული ენის სწავლების კუთხით გატარებულ პოლიტიკას და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საქმე უკეთესობისკენაა შეცვლილი, ინტერვიურების შედეგების გაშიფვრისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

1. არასაკმარისია საათების ის რაოდენობა, რაც სკოლებში ქართული ენის შესწავლას ეთმობა. გამოკითხულთა უმრავლეობა თვლის, რომ შედეგის მისაღწევად აუცილებელია ქართული ენის სწავლების კურსის კიდევ უფრო გაძლიერება;

2. არასაკმარისია არასასკოლო სივრცეში, ყოველდღიურ ურთიერთობების დონეზე, ქართველებთან შეხების ინტენსივობა. შესაბამისად, გამოიკვეთა რესპოდენტების მიერ გამოთქმული რამდენივე ვერსიაც, თუ რითაა შესაძლებელი ამ პრობლემის გადაჭრა. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ქართველებთან ურთიერთობის, ასევე პატრიოტთა ბანაკების ტიპის პროექტების წახალისება და გაფართოება;

---

[9] გამოკითხულ იქნა 10-10 ეთნიკური სომეხი და აზერბაიჯანელი. ინტერვიურების ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია ილიას უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტმა ბექა ბაღაშვილმა, რომელიც, ამავდროულად, საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში ქართული ენის მასწავლებელია დმანისში, სოფ. ჯანდარაში.

3. არცთუ ისე იშვიათად ცდება ქართული ენის გაკვეთილები ქართულენოვანი მასწავლებლების მიზეზით (მოცემულ შემთხვევაში, მიზნიდან გამომდინარე, ნაკლებად საინტერესოა გაცდენის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები).

მოცემული პრობლემები რომ შევაჯამოთ, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ნამდვილად დადებითად წაადგება საქმეს. ერთი მხრივ, ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დასაქმებული ქართული ენის პედაგოგების სახელფასო განაკვეთის სიმცირე უარყოფითად მოქმედებს სწავლის ხარისხზე. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთ უპირველეს ნაბიჯთაგანი ამ კუთხით გატარებულ პოლიტიკაში სახელფასო დაინტერესების გაზრდა უნდა იყოს; მეორე მხრივ, არაჯეროვანი მონიტორინგის შემთხვევაში (გაზრდილი სახელფასო განაკვეთის პირობებშიც კი) კვლავაც იარსებებს პედაგოგების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის ალბათობა. შესაბამისად, უცილობელ ნაბიჯად მიგვაჩნია განათლების სამინისტროს მხრიდან მონიტორინგის გამკაცრებაც. ამასთან ერთად, საშუალო ასაკის მოსახლეობისთვის კარგი იქნება, თუ დაემატება და შეიქმნება სპეციალური პროგრამები, რაც, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, არასასკოლო სივრცეში ქართული ენის თუნდაც ელემენტარულ დონეზე შესწავლას მოემსახურება.

დასკვნა

ენა ხშირად მხოლოდ კომუნიკაციის იარაღად აღიქმება, თუმცა ლინგვისტური ჯგუფები, იცავენ რა თავიანთ ენას, სულაც არ (ან ძალიან ნაკლებად) გულისხმობენ ,,კომუნიკაციის იარაღის“ დაცვას; ამ შემთხვევაში ისინი იცავენ საკუთარ ეროვნულ იდენტობას, კულტურას და ავტონომიურ ინსტიტუტებს. ენა, ცხადია, წარმოადგენს კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, თუმცა, ამასთან ერთად, ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ იდენტობასთან და კულტურულ ასპექტებთან. სწორედ ენის ფაქტორი განსაზღვრავს ერის ჩამოყალიბების პროცესს და ხელს უწყობს მის შემდგომ ფორმაციას.

საქართველოს ეთნოუმცირესობების, მათი განსახლებისა და, ზოგადად, წარმომავლობის გათვალისწინებით, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რესპუბლიკებისგან რიგი ფაქტორები გამოარჩევს და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ კუთხით გატარებული სა-

განმანათლებლო პოლიტიკაც თვისებრივად განსხვავდება იმავე ბალტიისპირეთისა ან უკრაინის შემთხვევებისგან.

საქართველოს ხელისუფლებამ, ქართული ენის უმცირესობებისთვის სწავლების გზით, სამოქალაქო ინტეგრაციის და სამოქალაქო სივრცეში მათი აქტივობის გაზრდა დაისახა მიზნად. სხვა საკითხია, თუ რამდენად წარმატებული იყო ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები.

ბოლო პერიოდამდე ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი მეტად ფრთხილობდა ეთნიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და მისი მხრიდან ამ მიმართულებით გაუბედაობაც საკმაოდ ხშირი იყო. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული ცალკეული პროექტების და მცდელობებისა, ძნელია მაინც იმის თქმა, რომ ქართული სახელმწიფო თანმიმდევრულ და ეფექტურ პოლიტიკას აწარმოებს მისი ეთნორელიგიური მრავალწევრიანობისგან გამოწვეული პრობლემების გადასალახად. მართალია, ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ხანებში გაჩნდა გარკვეული პოზიტიური ძვრები (მაგალითად, ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის შემუშავება და მის საფუძველზე განხორციელებული ზოგიერთი პროგრამა, პასპორტებიდან საბჭოური ყაიდით ეთნიკური კუთვნილების დაფიქსირების ამოღება, გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნარების ტესტების უმცირესობების ენაზე ჩაბარება, კვოტირების სისტემის დანერგვა და ა.შ), მაგრამ მოცემული მცდელობები მაინც ფრაგმენტული ხასიათისაა და არ შეიძლება მას ეწოდოს კარგად რეფლექსირებული და ფორმირებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უახლოეს მომავალში ეფექტურ და სწრაფ ცვლილებებს მოიტანს სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით. კომპაქტურად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მცხოვრებლები (დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში საქმე უკეთაა) ძალიან სუსტად არიან ინტეგრირებულნი ერთიან სამოქალაქო-პოლიტიკურ სივრცეში და პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკური ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. ეთნიკური უმცირესობები მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში მიღებული გადაწყვეტილებების პასიური მიმღებნი უფრო არიან, ვიდრე პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილენი, რომელნიც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის და თვითშეგნების სულისკვეთებით იქნებიან გამსჭვალულნი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ენის სწავლების კუთხით გატარებული პოლიტიკა საკმაოდ

გრძელვადიან პერსპექტივებზეა გათვლილი და, ბუნებრივია, მისი შედეგები თვალში საცემი მყისიერად ვერ გახდება. ენის სწავლებას და ქართულ ენაზე განათლების მიღებას წლები სჭირდება. შესაბამისად, სახელმწიფო ენის თავისუფლად მცოდნე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ცოდნამიღებული თაობები შემდგომ ერთ-ერთი გარანტი და ხელის შემწყობი ფაქტორი იქნება (ერთ-ერთი, რამეთუ მხოლოდ ქართული ენის ცოდნა არსებულ პრობლემათა მრავალფეროვან სპექტრს ვერ გადაჭრის) იმისა, რომ საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია წარმატებული და საფუძვლიანი იყოს.

ლიტერატურა:

1. დუნდუა, ს. და აბაშიძე, ზ. (2009) ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, გვ. 12.
2. განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პოლიტიკის ანგარიში, 2010.
3. საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება [“National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report”] (October 2008), გვ. 36. http://www.una.ge/eng/artdetail.p hp?id=74&group=documents.
4. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი. S2http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf
5. http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=316

Salome Dundua

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ethnic Minorities and Some Aspects of Education Reform

Resume

Nowadays the low percentage of knowledge of the state language by ethnic minorities of Georgia and, consequently, the low level of education is one of the

main (but not the only) hindering problems in the integration process. In this regard, the situation has clearly improved after the Rose Revolution. Since 2003, a number of steps have been taken by the government in relation to ethnic minorities, which mainly consisted of two directions. On the one hand, compulsory teaching of the Georgian language to the non-Georgian population; and, on the other hand, caring on the preservation of native language and cultural values of the ethnic minorities.

In spite of the fact that the recent policy of the Georgian government in relation to the education of ethnic minorities is positively evaluated, there are still some disadvantages. We will try to outline some of them.

1. The number of hours devoted to the study of the Georgian language at school is insufficient. In order to achieve a result, it is necessary to further strengthen the teaching course of the Georgian language.

2. The intensity of contact with Georgians at the level of everyday relationships is insufficient in the out of school space.

3. Certain threats can be revealed with respect to the quota system, which, in our opinion, is tolerable at a certain section. However, we believe that for a long-term period this system is not appropriate.

4. Under the conditions of removal of the necessity to pass the skills exams in the Georgian language at the United National Exams, there is a likelihood that among ethnic non-Georgians, whom the government gives the opportunity to take the Unified National Exams in their native language, the motivation for studying Georgian will be decreased. However, from the fact that in case of admission to the Georgian Institutions of Higher Education the students have to study in the State (i.e. Georgian) language, we believe that under the conditions of proper understanding of long-term interests, ethnic minorities will perfectly understand that the state education policy on the school-level and their active engagement in this program serves again to their interests for the improvement of the daily relations, as well as for continuing the study at Higher Education Institutions, for getting education and, therefore, for better engagement in the public-political space.

Kornely Kakachia
Associate Professor
Ivane Jvakhishvili Tbilisi State University

Tamar Pataraia
PHD student, Ilia State University

Georgian Political Parties and Online Social Network: Politics as usual?

Introduction

Democratic political institutions are indispensable to sustainable democracy. As one of the central institutions of modern representative democracies, political parties are faced with challenges. Although modern politics is considered party politics, according to many authors (Klingemann, Hofferrbert, Budge 1994), political parties are the major actors in the system that connects the citizenry and governmental processes. Because both the political sphere and the public sphere have gradually opened up to new actors in recent decades and both trust and membership in political parties and institutions have decreased significantly, multiple forms of civic engagement are expected to emerge in modern societies to supplement traditional modes of participation[1] .

Some scholars consider social media a potentially effective means of improving the relationship between citizens and their representatives (Coleman &Blumler 2009). This belief stems from the inherent nature of Web 2.0 technologies, which encourage active contributing, collaborating, social networking and interacting. Citizens are no longer viewed as passive recipients of political information; rather, they are actively engaged in political processes, altering the traditional relationship between political elites and citizens. With the rise of the digital media culture, a dramatic increase has been observed in the popularity of

[1] Norris, P. 2003. 'Preaching to the Converted? Pluralism, Participation and Party Websites.' *Party Politics*. 9(1):21-45.

social media such as weblogs and wikis as well as social media applications and services such as YouTube, Facebook, and Twitter.

With advances in and increased access to information technology, various parties and organisations have perceived new possibilities for mobilising citizens, claiming that "the use of this new medium could lead to a more democratic functioning of society" (Bimber,1998). As citizens and politicians use social media platforms to advance ideas, share opinions, disseminate messages, and mobilise voters, it seems to be in the interest of political parties to efficiently and cost effectively gather feedback from large groups of people. As the empirical evidence shows, with rare exceptions, political parties are able and willing to use technologies that make them accessible to citizens (Lilleker& Jackson, 2010). However, few political parties, institutions, and organisations currently invest considerable effort in their online presence, although modern communication technologies make it increasingly easy for them to consult citizens about key issues in policy-shaping processes.

This study examines the perceptions of the major Georgian political parties regarding social networking sites as a means of communication with voters. The paper also seeks to identify the innovative practices that were adapted and incorporated by political parties and their leaders into their day-to-day activities during their 2012 parliamentary election campaigns in Georgia. This research will test the following two hypotheses: (1) electoral campaigns are occasions to increase the political use of the Internet in general and social networks in particular; (2) the intensive use of online social networks and modern communication technologies provide competitive advantages that may play a significant role in the final outcome of elections. Given the political dynamics and political party landscape in Georgia prior to the 2012 election, particular attention is paid to the political actors who benefited from new media. This paper also examines whether new technologies empowered newcomers or benefited traditional political actors.

Internet and Social Media in Georgia: Main Facts and Tendencies

According to official statistics, Georgia's population is estimated to be 4,497,600 people,[2] more than 1,300,000 of whom had access to the Internet by

[2] See further details: National Statistics office of Georgia. Main statistics. Population Available at: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng

August 2012.[3] A 2011 report by the Georgian National Communications Commission[4] found that the number of Internet users is increasing by 3%-5% every year. If this trend continues unabated, in several years, the Internet will have a noticeable impact on Georgian public life. Experts claim that when at least 50% of a country's population – the amount described as a critical mass – obtains access to the World Wide Web, the Internet will have a sufficient level of influence to shape public opinion. This is not yet the case in Georgia, where the number of Internet users was approximately 29% of the country's population in 2010.[5]

These estimates support the official data on the number of Internet subscriptions, which show that approximately 100,000 new Internet subscriptions (individual users and legal entities) are registered in the country every year. According to the Georgian National Communications Commission (NCC), approximately 429,228 accounts had subscribed to Internet in Georgia in 2012[6] (Tab. 1).

Table 1: Internet Subscriptions in Georgia (2010-1012) (absolute values)

	1st Quarter 2010	1st Quarter 2011	1st Quarter 2012
DSL Technology	135,849	176,130	210,807
Fibre-Optic Technology	65,532	93,463	142,809
EVDO&CDMA Technology	33,345	55,789	61,672
Wi-Fi&WiMax Technology	3,679	6,917	13,443
Other Technology	1,041	809	497
	239,446	333,108	429,228

Source: Georgian National Communication Commission (GNCC)

[3] Internet World statistics: Georgia. Available at: http://www.internetworldstats.com/asia.htm#ge (Retrieved 30 April 2013))

[4] Georgian National Communications Commission. Annual Report 2011. Available at: http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf

[5] Internet World statistics: Georgia. Available at: http://www.internetworldstats.com/asia.htm#ge (Retrieved 30 April 2013)

[6] Georgian National Communication Commission, "Statistical Data", 22 June 2012, http://www.gncc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=50623 accessed 5 April 2013.

Despite the growing number of Internet retail subscribers in Georgia, a limited number of people use the Internet every day and are actively engaged in social media. According to the Caucasus Research Resource Centre (CRRC) survey, Caucasus Barometer 2011, less than 25% of the Georgian adult population uses the Internet on a daily basis. Moreover, 49% of the population has never used the Internet, and 6% has no idea what the Internet is (Fig. 1).[7]

Figure 1: Frequency of Internet Use in Georgia in 2011(percentages)



Source: Caucasus Research Resources Centre (CRRC)

Further assessment of the same survey results shows that 34% of the Georgian adult population has regular opportunities to use Internet. Taking into account the official 2012 figures that put the number of Georgia's adults aged 18 and over at 3,433,000,[8] it can be concluded that approximately 800,000 users access the Internet often, and approximately half of that number surf the web from time to time (once a week or once a month).Among regular Internet users (daily or once a week), who constitute 34% of the country's adult population, 26% said that Facebook was their first choice for socialising online (Fig. 2). Thus, approximately 330,255 thousands of adult Internet users spend most of their online time on Facebook.

Figure 2: Most Frequent Internet Activities – Use of Facebook (percentages)

[7] Caucasus Research Resource Centers. "2011 Caucasus Barometer". Retrieved from http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ on 15 April, 2012

[8] National Statistics Office in Georgia, GeoStat data 2012 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

(The question was asked to respondents who use the Internet)



Source: CRRC, Caucasus Barometer 2011

The above data allow us to develop a profile of an average Georgian Internet user. In general, the average Georgian Internet user is someone who goes online at least once a week and regularly accesses social networks and social websites (in addition to using the Internet for Internet banking services). Facebook is currently the most popular social network in Georgia, providing consumers with wide-ranging online services. One of the main reasons for the popularity of Facebook is that it offers a Georgian-language-friendly interface created for and used by native speakers.

Another social network, Twitter, has fewer users in Georgia. In the last two years, only Beeline, a mobile operator with the poorest coverage in Georgia, had mobile Twitter support. In 2012, the top two Georgian mobile operators, Geocell and Magti, followed suit and offered this service. As a result, Georgian customers are now able to send free-of-charge SMS messages via Twitter to multiple recipients simultaneously. However, Twitter does not recognise Georgian fonts, so it has rather low popularity in Georgia.

A comparative analysis of the Twitter accounts of the Georgian president, the leader of the former ruling party, and his opponent, the opposition leader and now prime minister, in the post-election period (after October 2012) can help to assess the popularity of Twitter in Georgia. The Georgian president's account has only 7,221 friends and 59 followers, and most of them add comments in English – there are very few comments in Georgian (as of 1 May 2013). Prior

to April 2012, the Georgian president had published only 776 Twitter messages that were commented by some of the followers. In contrast, the Georgian prime minister's Twitter account has 22,132 followers, although it has not been updated since November 2012 (As of 1 May 2013). Before the elections, the prime minister (then a leader of the opposition) had published only some 870 Twitter messages, most of them in English. This means that neither the president nor the current prime minister consider Georgian Twitter users their main target audience. The prevalence of English messages suggests that both tend to use their Twitter accounts to promote their views and ideas abroad rather than at home. As one of the popular party PR group members noted, through tweets, Georgian political parties "target their international partners and foreign friends more than that of Georgian followers and party supporters".[9] The Georgian experts who are active in social media and who were interviewed during the research suggested that with the completion of the development of social networks in 2010-2011, few other social networks will be able to challenge Facebook's popularity in Georgia. Consequently, political parties should pay more attention to Facebook.

Political parties in cyberspace prior to the 2012 parliamentary elections

Although there are more than 190 registered political parties in Georgia,[10] very few of them have real political power. Many commentators on Georgian politics complain that political parties have not grown out of social cleavages, do not represent large segments of society (although they may articulate their sentiments), and are difficult to identify on the left-right spectrum of classical political ideologies.[11] Competition between parties is often less about policies than about the rules of the political game and primarily runs along a pro-governmental and anti-governmental division.

Ten of the most successful political parties' websites were studied from December 2011 to February 2013 to develop a comparative picture of their readiness for activity in cyberspace and their full use of the potential of Internet

[9] Interview conducted with G.P., male, 29 April 2013

[10] Nodia, Ghia, and Scholbach, Alvaro Pinto. The Political Landscape of Georgia: Political Parties Achievements, Challenges and Prospects, Eburon Delft, (2006), p99

[11] Bader,Max. Fluid Party Politics and The Challenge for Democracy for Democracy Assistance in Georgia. Caucasian Review of International Affairs Vol. 2 (2) – Spring 2008. P.84

technologies in the organisation of election campaigns, mobilisation, and the engagement of supporters.

When analysing the dynamic elements of a website, special attention was paid to whether it offered opportunities for citizens' involvement in political processes, such as feedback, blogging, news, podcasts, video and audio materials, and open forums. The results show that all but one of the ten monitored political parties had fully functional websites during the researched period. The most popular opposition force, the Georgian Dream party, one of the members of the Georgian Dream Coalition, had not yet been officially founded as a political party at that time, although it was expected to join the opposition Georgian Dream coalition (founded in April 2012). However, the coalition leader's Facebook page was freely accessible at the time.

The collected data revealed that the political parties tended to publish mostly static and general information on their websites, which did not require regular updates. Moreover, the websites were not helpful in understanding the ideological differences between the parties. The websites were not updated on a regular basis; therefore, they could not be used as an efficient means of communication with members and supporters. Although all monitored parties had their own Facebook pages at that time, communication with supporters was mainly conducted through a party leadership's personal Facebook pages (Facebook monitoring results, see below).

Although websites provided tools to communicate directly with a party's leadership or prominent politicians, post questions, recruit new supporters and members, demonstrate that a party was ready to accept new members, and mobilise the party for the implementation of its political programme, it was not appropriate for bidirectional efficient communication. In most cases, the websites provided only a party's e-mail and telephone number as a means of communication, which made it unclear who was responsible for communicating with potential supporters and members. The then-ruling United National Movement's website was a clear example of one-sided communication. Users were able to send their greetings and well wishes, but there were no feedback opportunities for questions and complaints, which may have affected the election, especially among young voters. In addition, the participation of the general public in online polls, one of the major components of the monitored websites, was rather low. Overall, 1,000-1,500 respondents participated, which is considered a rather low turnout for this type of poll, especially because polls

usually do not have a deadline and can last for months. In fact, the number of respondents indicates how many people, both supporters and opponents, regularly accessed a party's website and attempted to contribute to the party's activities.

Moreover, only four (National Forum, Free Democrats, Labour Party, and Christian Democrats) of the ten monitored party websites provided online application forms to apply for party membership. The others did not offer such an opportunity. It is important to note that the political parties, including the most popular at the time, the then-ruling United National Movement, abstained from putting visitor counters on their web pages – a clear indication that they were frustrated with the number of visitors and, therefore, reluctant to compete with other parties.

None of the monitored parties, including the then-ruling party, published information about the number of their members and supporters by city or region. However, the ruling party's website was more open than the others because it provided information about the leadership and location of its regional offices. The websites of the Labour Party and New Rights also contained information about the location of their regional offices.

Only the United National Movement and Christian Democrats' websites provided data about donations to the party, including the name and address of a donating company and the amount of the donation. This information was absent on the other parties' websites. It is noteworthy that financial declarations of Georgian political parties are freely available; they are published annually on the Internet and can be accessed by everyone. (see Tab. 2). However, some political parties prefer not to publish this type of information on their websites.

Table 2: Donations to political parties in Georgia (absolute values; year 2012)

Political party	Amount of donations in GEL
United National Movement	13,434,000
Georgian Dream Coalition[12]	4,607,000
Christian Democrats	961,000
Labour Party	337,000

[12]Combined donation to six member parties belonging to the coalition.

On the whole, funds provided by the state and donations accounted for the largest share of political parties' incomes in Georgia.[13] (The 2012 Georgian budget totalled 7 billion GEL (some 4.3 billion USD), whereas the GDP amounted to 26.1 billion GEL). A breakdown of the expenditure shows that the political parties directed most of their funds to pay for office rent, communication costs, advertising, and wages. Political associations allocated the largest part of their money, 81% on average, to TV political ads, whereas online ads (on the Internet) were at the bottom of their priorities. In fact, only two political parties – the Free Democrats and the United National Movement – used Internet ads, but on a very limited scale.[14]

In sum, by the beginning of 2012, almost all Georgian political parties had their own websites, but the contents of these sites were largely static, general, and ideologically vague. Moreover, the websites were rarely updated or used for the distribution of information. To promote the parties' information, the websites were linked to the parties' Facebook accounts.

Political parties on Facebook

Among all of the social networks available in Georgia today, Facebook is the world's most popular social network (World Map of Social Networks; Forbes, 2012). It retains the first position in terms of active involvement by Georgian politicians and political parties. In particular, it has taken over as the key platform for mobilisations. Facebook provides Georgian political parties with a useful opportunity to talk directly to targeted groups and to significantly expand their target audience, popularise their policies and activities, campaign for elections, and respond in a prompt and timely way to voters' concerns. To succeed in campaigning, it is vital for a party to provide supporters with timely updates, expand the number of supporters, maintain constant communication with supporters, and mobilise them around particular initiatives. For Georgia, a country with limited media independence, this aspect is especially important.[15]

---

[13] Transparency International – Georgia, Finances of Political Parties 2012, April 12, 2012; http://transparency.ge/post/report/akhali-angarishshi-politikuri-partiebis-finansebi-12-4-13

[14] Transparency International – Georgia, Finances of Political Parties 2012, April 12, 2012; http://transparency.ge/post/report/akhali-angarishshi-politikuri-partiebis-finansebi-12-4-13

[15] Koridze, Zviad. Georgian Media & Georgian Facebook. Caucasus International. Autumn 2011, Vol.1 .p7

This study examined political parties' activities on Facebook prior to the electoral campaigns in 2012. It found that almost all political parties that participated in the survey clearly intended to present their programmes to a wider audience with the help of social media and social networks. Observations also showed that the level of political party leaders' activity on Facebook was quite high and that they followed similar communication strategies. It was evident that Georgian political parties preferred to promote the personalities of leaders rather than their respective programmes, ideologies, or policy alternatives. These leaders had opened personal Facebook accounts, with which they actively led campaigns on behalf of their political parties, suggesting that politics is highly personalised in Georgia.

Similar trends in established parliamentary democracies, as well as former post-communist states, are described in the academic literature.[16] These studies find that the character and style of election campaigning, the presentation and promotion of policies, and the executive authority of the head of state have all changed markedly from the situation in the 1950s and 1960s.[17] The causes of the emergence of the phenomenon of personalisation are numerous and complex; therefore, this is not a subject of the current research. This paper only examines whether Georgian political parties managed to efficiently promote party policies through their leaders prior to the 2012 parliamentary election campaign.

The most well-known leaders on the political scene, Saakashvili (United National Movement) and his main political opponent, Ivanishvili (coalition Georgian Dream), both had active and well-maintained Facebook accounts: the content was regularly updated, campaign tours were extensively covered, and photo materials were provided. Other political actors, such as Alasania (leader of the Free Democrats), Usupashvili (leader of the Republican Party), Gamrkrelidze (New Rights Party), Gubaz Sanikidze (National Forum),and Zviad Dzidziguri (Conservative Party), also had more or less active Facebook accounts. Monitoring of these sites showed that parties with youth-dominated governing bodies appeared to be more aware of the advantages of social media and more motivated to overcome the negative consequences of limited access to traditional media sources. Parties governed by older-generation leaders lacked

[16] McAllister, I. 1996. Leaders. In Comparing Democracies: Elections and Voting in Global Perspective, eds. L. LeDuc, R. Niemi, and P. Norris. Thousand Oaks, CA: Sage

[17] McAllister, I. 2007. *The personalization of politics.* In R. Dalton, & H. Klingemann (Eds.), Oxford handbook of political behavior. Oxford: Oxford University Press.

this knowledge, and their attitude differed. One interviewee commented, "We, the members of the youth wing, pay significant attention to social media because we think that this is the most flexible and fast way to communicate with the young people".[18]

Another expert interviewed during the research noted, "(Facebook) is necessary to disseminate ideas. This is especially true in the Georgian context. Here, we have dualistic propaganda channels: on the one hand, the government, and on the other hand, an oligarch maintains control over (traditional) mass media. Thus, social media is especially important for others, which helps to share views, propagate ideas".[19]

Political party representatives also stressed that it is not common for Internet users to join political parties via social media. Most newcomers in politics make their decision based on their involvement during electoral campaigns. Social media are more useful for political parties in opening up communication channels with the wider public and strengthening contacts among existing party members. Information campaigning by political parties is usually planned and implemented by network administrators working in party structures. Most of them limit their involvement to the publication of news reports/photos on political party events or live stream reports on press conferences that involve appearances by political leaders in social media.[20]

Many experts acknowledge that the most interesting Facebook pages belong to president Saakashvili and opposition leader Ivanishvili.[21]

Because Internet communication services do not fully cover the rural regions of Georgia and are quite expensive, political parties are motivated to develop more active campaigns and to help young people residing in Georgian villages to maintain active involvement in social networks, including mobile services: "We have a project in…which we teach youth how to use modern technologies, how to receive alternative information".[22]

Political party representatives admitted that it was not their goal to pay such significant attention to social media. According to these representatives, political parties are more or less actively engaged in social networking because

[18] Interview conducted with T.Z., male, 1 June 2012
[19] Interview conducted with G.G. male, 28 April 2012
[20] Interview conducted with I.K., male 1 May, 2012
[21] Interview conducted with S.L. male 2 June 2012
[22] Interview conducted with T.Z. mail, 1 June 2012

foreign experts working on capacity building promoted the idea among political parties and encouraged them to be active in social media. In recent years, foreign donors have worked actively on capacity-building activities in all Georgian political parties. Various donor organisations in the framework of EU and US state assistance programmes have promoted democratic institution-building processes in Georgia (e.g., National Democratic Institute (NDI), International Republican Institute (IRI), Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD)).[23]

According to the assessments of these donor organisations, political parties in Georgia face continuous challenges, including restrictions on media independence and the diversity of fundraising. Accordingly, they aimed to help parties develop structures and capacities that enable them to improve their performance and to function at a high level.

The Georgian politicians who were interviewed during the research admitted that if they had stronger financial support, almost all political parties would be interested in establishing much more intensive and viable contacts with their potential voters. Under the Georgian law on Political Unions of Citizens, political parties that penetrated the existing threshold received three types of financing: direct transfers of funds from the state budget, capacity-building support, and free TV advertisements during the election year.[24] Based on the outcomes of the 2008 parliamentary elections, the ruling parties, the United National Movement and the Christian Democratic Movement, received 300,000 GEL (USD 180,000) each until 2012. Other political payers received much less funding compared to the aforementioned two parties. Political parties were also allowed to receive financial support from private contributors. A review of the spending of major political entities during the 2012 election campaign shows that two of the political entities that were most active in social media, the ruling party and the main opposition coalition, conducted the most expensive election campaigns and represented the greatest reach of the political parties in Georgia. Moreover, some of the interviewed experts noted that "Saakashvili and Ivanishvili have well-paid consultants working not only on the

[23] Foresti, Marta, Welton, George and Jijelava, David. Review of international assistance to political party and party system development case study report: Georgia. August 2010. P.6

[24] Transparency International Georgia, Finances of Political Parties 2012, April 2013 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/PF%20ENG_0.pdf

Georgian (social media) market, but they pay for writing articles in foreign newspapers".[25]

"I know that the president's (Facebook) page, whether you believe it or not, works very well. They have brought foreign experts, consultants, who lead the (election) campaign and conduct strategy planning".[26]

Online feedback, livestream, and conferences

An analysis of the political parties' Facebook accounts revealed that the Georgian political parties rarely used the feedback opportunities provided by social media. Parties almost never used social networks for opinion polls. Moreover, they often deleted negative comments on Facebook without responding to them. "It (negative feedback) may be removed, but information is received and reviewed. After the announcement on sending questions to Bidzina Ivanishvili, the received questions were collected, and responses were prepared later".[27]

The review of the politicians' performance showed also that in response to any criticism directed at a political party, supporters immediately set up their own fake or real accounts on forum pages or Facebook to unleash their rage on the critics. In the words of one interviewee, "If you open, for example, the wall of Georgian Dream and write something which is unacceptable for someone, supporters will 'stone' you. They would certainly remove your comments, and this is true for both sides (for presidential supporters and opposition leader supporters). If comments are not removed, you will be stoned".[28]

It was clear during the survey interviews that all of the politicians were interested in reading negative comments. They all read these comments and only then allowed their Facebook page administrators to remove them.[29] However, they were not very active and did not enter interactive dialogue with their subscribers, even during the electoral campaign for the October 2012 parliamentary elections. The political leaders' Facebook pages used a limited number of applications, such as petitions and online forums. The most popular activities on the Facebook pages of political parties were postings of photos and

[25] Interview conducted with T. B. male, 30 May 2012
[26] Interview conducted with S. L., male 2 June 2012
[27] Interview conducted with T. Z., male, 1 June 2012
[28] Interview conducted with E. P., female, 2 June 2012
[29] Interview conducted with N. S., female, 17 May 2012

sharing information from materials broadcasted in traditional media. These types of information were very formal and official. Accordingly, the most numerous statuses and shared info were on the political subjects that dominated in traditional media. It can be concluded that political parties devoted very limited human and material resources to conducting comprehensive election campaigns through social media. Many political leaders admitted that electoral campaigns conducted through social media were very new experiences for them and that they learned to achieve political objectives through Facebook and other social media platforms' applications only during the campaign.

The procedures followed by organisers during political party leaders' online conferences do not differ from those in similar conferences organised in the mainstream media, where mediators immediately delete negative feedback from personal accounts. Georgian politicians use different platforms for conducting online conferences, but they often face technical problems that make communication less attractive for the public. For example, a Labour Party representative complained about the low quality of services provided by the www.usesteam.com platform. Because of technical difficulties and low traffic speed, only approximately 100 participants managed to watch and participate in the online conference conducted in 2012.[30].

The interviews also showed that none of the political parties had extensive experience in organising online conferences. The Christian Democrats organised two online conferences in 2008 and 2010 using their website, but not all questions were answered online in real time.[31]

In general, the experts did not see many changes in the approaches to the Internet used by Georgian politicians. Until 2008, the Internet forum platforms forum.ge, Batumi discussion club, and planeta.ge were the most active and frequently accessed organisers of online conferences among the Georgian social websites. In 2007-2008, they hosted a conference with prominent politicians who were representatives of major political parties (Republicans, United National Movement, etc) every week, providing live streaming and feedback services. However, this practice came to an end in 2012, giving way to a different format of conferences. For instance, Bidzina Ivanishvili preferred to hold press conferences. Accordingly, the Internet newspaper "Netgazeti" hosted

[30] Interview conducted with I. K., male, 1 May 2012
[31] Interview conducted with K. S., male, 2 June 2012

live stream conferences twice in 2012 that allowed politicians to communicate interactively with the public.[32]

So do political parties with well-organised and efficient press services. The president Saakashvili, the leader of Free Democrats Irakli Alasania, and the mayor of Tbilisi Gigi Ugulava took part in conferences organised by Tabula magazine website. The conferences were aired on television. The speaker of parliament David Bakradze himself hosted online conferences on his Facebook account.

Advertisements and Likes

Not all active political parties are running ads on Facebook, although social media advertising is quite cheap. For instance, the experts claim that in Georgia, such ads cost several hundred Georgian laris and can attract 2,000-3,000 users, on average. It is a constant communication tool; the ad is displayed constantly on a Facebook page for Georgian users. The politicians interviewed during the survey noted that the number of users was not high enough to pay a large amount of attention to Facebook ads during the election campaign: "Most individuals registered on Facebook have already made their political decision. A FB campaign does not make any difference for political parties as more than 80% of their (FB) users had already made a decision (six months before the elections) who to support. Those who receive information from the Internet are politically active individuals".[33] Thus, using FB ads would be like "preaching to the converted".[34]

According to the interviewed experts, the additional problem with a Georgian language FB platform relates to the fact that only a few professionals in Georgia are skilled enough to run social media advertising, and all of them are employed by either large advertising companies or financially sustained political parties. Political parties' interest in online advertising is slightly different from the interests of private businesses. Most Georgian citizens have a negative attitude towards politicians and politics in general. In such circumstances, it is difficult to explain to Georgian politicians who are not part

[32] Interview conducted with K. S., male, 2 June 2012
[33]Interview conducted with L. V., male, 17 May 2012
[34]Norris, P., 2003. 'Preaching to the Converted? Pluralism, Participation and Party Websites.' *Party Politics*. 9(1):21-45.

of the ruling or financially strong opposition movements why they should spend their money and energy on advertising. They do not believe in the benefits of advertising, and they are certain that it is a waste of time and effort.

As claimed by one interviewee, "Among Georgian politicians, Speaker of the Parliament Bakradze pioneered placing ads on Facebook. He was followed by others. Now Bakradze is seen among Facebook ads to a much lesser extent than Saakashvili and Ivanishvili, who most likely spent much more on ads".[35]

Likes are not good indicators of popularity. According to the experts, in the Georgian context, fake profiles make it easy to generate fake likes. For instance, during a famous online competition between the personal pages of President Saakashvili and his main opponent, Ivanishvili, each of them received 4,000-5,000 likes every day, which is odd for a country like Georgia, which only has approximately one million active Internet users. In reality, the likes count for nothing unless there is a real user behind each account. It seems to be a common practice for Georgian politicians to generate fake likes. According to some media reports, in 2012, public servants and employees of state-run organisations were ordered by their superiors to establish at least ten accounts each to generate a large number of likes for the president's page. In the same vein, when the chairman of parliament, David Bakradze, launched a virtual election of the parliament speaker, according to media reports, students of one of the Georgian schools were asked by officials to visit and "like" Bakradze's page. As a result, this campaign received negative feedback and lost users' trust.[36] Similar cases were reported by the experts interviewed during the survey. Most of these experts shared the view that likes do not define the degree of popularity of Georgian politicians and do not characterise the performance of politicians.

As explained by one interviewee, "The government orders civil servants to 'like' certain Facebook pages (several years ago)... I am worried because we are talking about 'liking' not institutional FB pages but individual ones. For example, (civil servants are ordered) not to like the FB page of the ministry of education but Shashkin's (the minister's) page".[37]

The experts also recalled an example in which Georgian politicians used children for political purposes. This mainly occurred in the framework of the ruling party's activities. Usually, political party members ask children to create

[35] Interview conducted with D. P., male, 11 May 2012
[36] Interview conducted with S. L. male, 2 June 2012
[37] Interview conducted with D.K., female, 24 April 2012

fake pages and "like" one particular page, as in the above mentioned Bakradze case.[38]

Several of the experts interviewed during the research admitted that opposition leaders were also engaged in falsifying the number of likes on their pages. "During one night, the number of likes on Ivanishvili's (the leader of the opposition coalition) Facebook page reached 250 thousand, and later, this statistic became available to users".[39] Moreover, the Georgian experts noted that several American and Chinese companies are known for selling "likes" on the Internet. Thus, "likes" should not be regarded as reliable indicators of popularity. Furthermore, the government usually pays little attention to public opinion expressed through social media.

Conclusion

Georgian political parties seem to prefer Facebook to any other social network available in Georgia. However, data on social media monitoring shows that parties do not use the potential of social media efficiently. The results showed that the relatively popular parties GD and UNM used social media features and platforms more than other political actors. Despite this finding, there no clear signs of the established use of social media as a political communication strategy. Georgian political elites were sceptical of the role of social networks and their potential to help win more supporters and increase their ratings. Some parties claimed that online political activity, either on Facebook or other social networks, was simply a waste of resources because it could not and would not help to win more votes. Television and visits to constituencies to speak directly to the people were identified as the only efficient ways to sway neutral voters.

The empirical investigation demonstrated that Georgian political parties fail to utilise the full range of application options for communication offered by the social network. Parties use social networks mainly to distribute information rather than generate new voters by using communicative styles that engage discussion and dialogue. Additionally, the study demonstrated that the intensity of engagement in social media platforms and social networks is not directly linked to the political performance of political parties, although no political party succeeded without more or less active Facebook campaigns.

---

[38] Interview conducted with A.T., female, 5 July 2012
[39] Interview conducted with S.L., male, 2 June 2012

An analysis of a prison scandal during the 2012 October parliamentary elections demonstrate show (mis) engagement in social media platforms and social networks may influence the political performance of political parties. Video footage of torture in a Georgian prison that was broadcasted by Georgian national TV channels on 18 September 2012 became one of the most efficient political attacks against the ruling elite and the ruling political party during the election campaign. Contrary to expectations, the Georgian ruling party and the official's active in social media appeared completely unprepared to face these new circumstances. The main target of the scandal, the ruling party, completely disappeared from Facebook applications on 19-26 September 2013 and did not use the opportunities provided by social networks to maintain contact with its potential supporters. Although social networks did not play a direct role in this scandal and there were other, deeper reasons leading to this result, the effect of the prisoner abuse across social networks and traditional media outlets was a decisive factor in the last days before the vote.

References:

1. Bennet, W. Lance. 2007. *"Communicating Global Activism: Strengths and Vulnerabilities of Network Politics,* Available at: http://depts.washington.edu/gcp/pdf/communicatingglobalactivism.pdf
2. Boyd, d. 2008. *Can social networking sites enable political action.* In A. Fine, M. Sifry, A. Raseij, & J. Levi (eds.) Rebooting democracy. New York: Personal Democracy. Creative Commons. 112-116.
3. Castells, M. ed. 2005. *The Network Society: A Cross-Cultural Perspective.* Northampton: Edward Elgar Publishing.
4. Chadwick, Andrew. 2006. *Internet Politics: States, Citizens and New Communication Technologies.* Oxford: Oxford University Press.
5. K Löfgren, C Smith.2003.*Political parties and the internet: Net gain,* London: Routlege.
6. Lilleker, Darren G. & Jackson, Nigel A. 2010.*Towards a more participatory style of election campaigning? The impact of Web 2.0 on the UK 2010 General Election*.
7. McAllister, I. 1996. Leaders. *In Comparing Democracies: Elections and Voting in Global Perspective,* eds. L. LeDuc, R. Niemi, and P. Norris. Thousand Oaks, CA: Sage

8. McAllister, I. 2007. *The personalization of politics.* In: R. Dalton, & H. Klingemann (Eds.),Oxford handbook of political behavior. Oxford: Oxford University Press.
9. Mandarano, L., Meenar, M. & Steins, C. 2010. *Building Social Capital in the Digital Age of Civic Engagement.* Journal of Planning Literature 25(2), 123-135.
10. Norris, Pippa. 2003.'Preaching to the Converted? Pluralism, Participation and Party Websites.' *Party Politics*. 9(1):21-45.
11. Nodia,Ghia, and Scholbach,Alvaro Pinto.2006 *The Political Landscape of Georgia: Political Parties Achievements, Challenges and Prospects,* Eburon Delft.
12. Schmitt-Beck, Rudiger and Farrell, M. David. 2002. *Do Political Campaigns Matter: Campaign Effects in Electronics and Referendums.* London: Routlege.
13. Wim van de Donk, Brian D. Loader, Paul G. Nixon, and Dieter Rucht. (eds) 2004Cyberprotest: *New Media, Citizens and Social Movements.* London: Routledge

კორნელი კაკაჩია
თამარ პატარაია

სოციალური ქსელების გავლენა ქართულ პოლიტიკაზე

რეზიუმე

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მეტად საუბრობენ სოციალური ქსელების და ინტერნეტის გაზრდილი როლის შესახებ. წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს, თუ როგორია სოციალური მედიის როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, არსებობს თუ არა ქართული პოლიტიკური ბლოგოსფერო და, თუკი არსებობს, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას პოლიტიკური კურსის ან პოლიტიკური დისკუსიების განვითარებაზე; რამდენად ცდილობენ პოლიტიკური გაერთიანებები აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტი, განსაკუთრებით, სოციალური ქსელები; აქცევენ თუ არა ისინი ბლოგერებს თავიანთ მხარდამჭერებად და მათი იდეების გამტარებლებად.

კვლევა ჩატარდა პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის" მხარდაჭერით. პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკა-

დემიური ქსელის“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების მეშვეობით, როგორიცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევრების ახალი თაობის აღმოცენებას და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამას „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი“ ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

გიორგი კვინიკაძე

მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია და ეკონომიკური გეოგრაფია

„მე ყოველთვის ვფიქრობდი ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემებზე, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი მას“ – პოლ კრუგმანი (ნობელის პრემიის ლაურეატი).

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ეკონომიკური კეთილდღეობის გზების პოვნა არა მხოლოდ რეალურ გეოგრაფიაში, არამედ ინტელექტუალური აზრისა და ადგილობრივი ტრადიციების მიჯნაზე, ჯერჯერობით დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა მეცნიერება, გეოეკონომიკა, რომელმაც განსაკუთრებული რელევანტურობა შეიძინა გლობალიზაციის ეპოქაში.

გეოეკონომიკის ფორმირება. გეოეკონომიკის ფორმირება სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: ერთი მხრივ, გეოეკონომიკა სათავეს ინგლისური, ფრანგული და გერმანული კლასიკური ეკონომიკური აზრიდან იღებს; მეორე მხრივ, აღმოცენებულია გეოპოლიტიკური მოდელების წიაღში; მესამე მხრივ, მისი ფესვები უნდა ვეძებოთ ეკონომიკურ გეოგრაფიაში, ვინაიდან ეკონომიკური გეოგრაფია იძლევა გარკვეულ საწყის პოზიციას გეოეკონომიკის იმ ნაწილისათვის, სადაც „მოქმედებს“ სივრცობრივი ეკონომიკა (სივრცის გამოყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის). ამ ნაწილში საქმე გვაქვს ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოეკონომიკის სიმბიოზთან. ეს კავშირები განსაკუთრებით კარგად იკვეთება თანამედროვე მსოფლიოს სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია. ამჟამად მსოფლიო მიდის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ჰომოგენიზაციისაკენ. ასეთ ვითარებაში საერთაშორისო სისტემა ტრანსფორმირდება და თუ ადრე მის არსებობას და სტაბილურობას (სხვადასხვა ძალის პოლუსებს შორის წონასწორობას) სახელმწიფოები და მათი სამ-

ხედრო-პოლიტიკური ძლიერება განაპირობებდა, დღეს ძლიერების განმსაზღვრელი ეკონომიკური და ფინანსური პოლუსებია, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად უკავშირდება სახელმწიფოებს და მძლავრი ტრანსნაციონალური აქტორების სახით გვევლინება.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ამერიკელებმა სწორად განსაჯეს, რომ, თუ მიაღწევდნენ ეკონომიკურ ძლიერებას, შესაბამისად, შეძლებდნენ მსოფლიო ბატონობის მიღწევას არასამხედრო გზით. ამ სტრატეგიით გასული საუკუნის მიწურულს აშშ შეძლო ცივი ომის მოგება და მსოფლიო ეკონომიკაში (არამარტო) ჰეგემონი გახდა.

თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური მიზნები უპირატესად გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიით მიიღწევა. იმის მიუხედავად, რომ ყველა საკვანძო გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები ღებულობენ, მათი ზემოქმედების მარგი ქმედების კოეფიციენტი რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ძალზე დაბალია. სწორედ ამიტომ, ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეიძლება მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს, თუ არ შეიქმნება კაპიტალის ბრუნვისა და ინვისტიციებისათვის რეალური პირობები.

ცივი ომის დასრულების შემდგომ ფაქტობრივად გაქრა პოლიტიკურ-სტრატეგიული წარმოდგენები ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების კვალობაზე. სისტემა „ბაზარი-სახელმწიფო“ ჩანაცვლდა სისტემით: „ბევრი სახელმწიფო-ერთი ბაზარი“. შედეგად შეიცვალა: ა)პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის დამოკიდებულება; ბ)დაირღვა ჩამოყალიბებული კავშირები სახელმწიფოს, ტერიტორიასა და სიმდიდრეს შორის; გ)წაიშალა ზღვარი „საშინაოსა“ და „საგარეოს“ შორის. ბიპოლარულ მსოფლიოში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. ორი ზესახელმწიფო თავიანთ კონკურენციაში „ნულოვანი ჯამით“ უზრუნველყოფდნენ Status quo-ს. ამჟამად, მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში უკვე აღარ არსებობს ასეთი გამყოფი ხაზები. ამის მიუხედავად ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური სივრცე კვლავ არაერთგვაროვანი რჩება. ეს გარემოება აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ ეკონომიკური სივრცეები იცვლება მოთხოვნილებებისა და მიწოდების დინებათა ზემოქმედებით (ამ მხრივ პოლიტიკური სივრცეები უფრო სტაბილურები არიან, ვინაიდან ისინი შემოსაზღვრულები არიან სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრებით), არამედ იმითაც, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი განსხვავებები იმ სამუშაო ძალის ღირებულებებს შორის,

რომელთაც იყენებენ მეწარმეები და სახელმწიფოები, რომლებიც ამ ძალით მანიპულირებენ საკუთარი სარგებლის მისაღებად.

ბიპოლარულობის პერიოდის გეოპოლიტიკური კონკურენცია, რომელიც სტრუქტურირდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, უკვე აღარ არსებობს. სწორედ ამიტომ, ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სამხედრო ხელისუფლება დარჩა ორპოლარული, ხოლო ეკონომიკური გახდა მრავალპოლარული. ამ მოცემულობაში, ერთი მხრივ, გაქრა ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ მეტოქეობას აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის (ამ პირობებს განსაზღვრავდა ის, რომ, საბჭოთა საფრთხიდან გამომდინარე, ევროპა და იაპონია აშშ-ის სტრატეგიულ გარანტიებს საჭიროებდა), რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო გადავიდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალ რეჟიმში. მეორე მხრივ, გაქრა ის პირობებიც, რომელიც ხელს უწყობდა კონფლიქტური სიტუაციის შექმნას მესამე სამყაროში, რომლის ინიცირებასაც ორპოლუსიანი მსოფლიო ახდენდა.

ორპოლუსიანობის დროს ასეთი სიტუაცია არ გადიოდა გარკვეულ საზღვრებს გარეთ. სხვა შემთხვევაში მას შეეძლო გამოეწვია ორი ზესახელმწიფოს ჩარევა, რომლებიც, თავის მხრივ, უფრთხოდნენ პირდაპირ დაპირისპირებას, რომელიც შეიძლებოდა ბირთვულ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. ამჟამად, მესამე სამყარო სულ უფრო ძლიერად იხლიჩება დაპირისპირებულ ჯგუფებად. ეს ჯგუფები ერთმანეთთან მეტოქეობენ, რათა მიიღონ ეკონომიკური დახმარების რაც შეიძლება მეტი კვოტები დასავლეთის სახელმწიფოებიდან. მაგალითად, ჩრდილოეთი აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობები პრაქტიკულად ნულზეა დაყვანილი. სამაგიეროდ, რეგიონის ცალკეული ქვეყნები გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ურთიერთობებს განვითარებულ ჩრდილოეთთან.

კეთილდღეობა და უსაფრთხოება არასამხედრო მუქარის პირობებშიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა „ემსახურებოდა“ შეიარაღებულ ძალებს, დღეს მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა. დღეს შეიარაღებული ძალების ფუნქციაა შეამციროს ის პოლიტიკური რისკები, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან და სავაჭრო ურთიერთობებთან.

ასეთ პირობებში სულ უფრო სუსტდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ პროცესებში. დიდი ალბათობით მოხდება სახელმწიფოს ფუნქციის გადაფასება, ვინაიდან სახელმწიფომ, როგორც ინსტიტუტ-

მა, სერიოზული ეროზია განიცადა შემდეგი მიმართულებით: ზემოდან – ზენაციონალური ინსტიტუტებისა და მძლავრი ტრანსნაციონალური ძალების ზეგავლენით; ქვემოდან – რეგიონალიზმის ტენდენციების ზემოქმედებით. ეს ძალები, ხელს უწყობენ რა სახელმწიფოს ძალისა და როლის დასუსტებას, ბუნებრივად მიისწრაფვიან ერთმანეთთან გაერთიანებისაკენ. ამის მიუხედავად, როცა საქმე ეხება სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის, სტაბილურობას, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მის ძალას, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის დასაყრდენს და სოციალური სამართლიანობის გარანტებს. ამასთან, კვლავ დიდია სახელმწიფოს როლი კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. ამის მიუხედავად, მსოფლიოს მომავალი გეოპოლიტიკური მოწყობა მაინც მოექცევა ეკონომიკის გავლენის ქვეშ. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებს მოუწევთ გარე ფაქტორების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინება ერის კეთილდღეობისათვის და, იმავდროულად, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის მაქსიმალურად ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდგომარეობის შექმნას (როგორც ამას აკეთებს იაპონია ექსპორტისა და ინვესტიციების სტიმულირებისათვის უცხოეთში). ასეთი მიდგომა ყველაფერთან ერთად წარმოადგენს საკუთარ ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნის ეფექტურ საშუალებას.

ამდენად, ტერიტორიული გეოპოლიტიკური ლოგიკა უკან იხევს და ადგილს უთმობს დინებების ლოგიკას, რომელიც ცდილობს იმ ტერიტორიებთან კავშირის გაწყვეტას, რომლებიც საზღვრების მეშვეობით სახელმწიფოს ტყვეობაში იმყოფებიან. ამ სიტუაციის შესწავლაზე აკეთებს აქცენტს გეოეკონომიკა.

გეოეკონომიკის აქცენტები. გეოეკონომიკა დიდი ხანი არ არის რაც დამკვიდრდა და ამ ცნებაში იგულისხმება როგორც გლობალიზებული მსოფლიოს მოწყობის ახალი პარადიგმა, ისე ამ რთული და მრავალმხრივი მოვლენის შემსწავლელი მეცნიერება. კერძოდ. გეოეკონომიკა სწავლობს: *გეოგრაფიულ იმპერატივს, რომელიც გამოიხატება ეკონომიკისა და სივრცის ორგანულ კავშირში; მსოფლიოს ძალისმიერი კონფლიქტების გადატანას სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სიბრტყეში, რომლის დროსაც ადგილი აქვს კონფლიქტების ახალი ტიპის აღმოცენებას (გეოეკონომიკური კოლიზიები); სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას და პოლიტიკას ეკონომიკის*

გლობალიზაციის პირობებში; სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ ლოკალიზაციას; პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და ამ ბაზაზე სტრატეგიული ურთიერთქმედების და გლობალური მართვის შექმნის შესაძლებლობებს.

ამდენად, გეოეკონომიკა ძირითად აქცენტს მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციასა და მის აქტორთა როლის ცვლილებაზე აკეთებს, რომლის დროსაც რიგი ცნებები დევალვაციას განიცდის.

ცნებების დევალვაცია. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ძირითადი ღერძი დღეს გადის არა ეროვნულ, არამედ „ტრანსნაციონალურ", „ზეეროვნულ" და ა.შ. ეკონომიკებზე, ანუ თანამედროვე (გლობალური) ეკონომიკის იმ სუბიექტებზე, სადაც იქმნება მსოფლიო სიმდიდრის უმეტესი ნაწილი. ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკები (ტნბ) ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდნენ მსოფლიო ეკონომიკური სივრცის მთავარ სუბიექტებად. მათთვის პრაქტიკულად არ არსებობს სახელმწიფო საზღვრები, მაშინ როცა, ახორციელებენ გლობალურ ეკონომიკურ საქმიანობას. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ მძლავრ ეკონომიკურ სახელმწიფოებად, რომლებიც ფლობენ რეალურ ეკონომიკურ ძალას და განკარგავენ უზარმაზარ ფინანსურ, საწარმოო-ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და ინფორმაციულ რესურსებს. სწორედ ეკონომიკური ძლიერების თანამედროვე ცენტრების გეოგრაფიული განლაგება ხდება დღეს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო უპირატესობა სხვა ქვეყნებზე, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა ეკონომიკური ბერკეტებით. შესაბამისად, ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში მოქმედების პრიორიტეტული ინსტრუმენტი ხდება ეკონომიკური და ფინანსური საშუალებების ყველა სახეობა. მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში გლობალიზაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გეოგრაფიული მდებარეობის ცნების ადრინდელი შინაარსი, ისეთი ახალი აქტორების [(ვირტუალური ფინანსები, სხვადასხვა ტიპის მძლავრი ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და ბანკები (ტნბ), გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-ინტერნეტი და ა.შ)] გაჩენით, რომლებიც ძალზედ „ავიწროვებენ" გეოგრაფიულ ფაქტორს (ტრადიციული გეოპოლიტიკის და ეკონომიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუნდამენტი, რომელიც როგორც გეოპოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სივრცეში უკვე

აღარ თამაშობს არსებით როლს, ვინაიდან მას უკვე აღარ შეუძლია დაცვა ბირთვული შეტევისაგან ან ტრანსნაციონალური ტერორიზმისაგან, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მდებარეობის და ფიზიკური მანძილის მნიშვნელობა ეკონომიკაში მინიმუმამდეა დაყვანილი გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების შედეგად) და ქმნიან ახალ, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან გეოგრაფიულ სივრცეს. შედეგად, ამ მოცემულობაში ყალიბდება ახალი გლობალური ეკონომიკური სივრცე (ამ სივრცეს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გეოეკონომიკურ სივრცეს უწოდებენ), სადაც მოქმედებას იწყებენ დეტერიტორიალიზაციის [დედამიწის სივრცის ათვისება და ადგილგანვითარების (სამშობლოს) საზღვრებიდან გასვლის პროცესი] ეფექტის მატარებელი მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები. სწორედ ამ ახალი სივრცის ძველ სივრცესთან კავშირების შესწავლაზე უნდა აიღოს მომავალში ორიენტაცია ეკონომიკურმა გეოგრაფიამ, ვინაიდან, ეს ახალი სივრცე კავშირშია ძველ სივრცესთან – აღნიშნავს ქართველი მეცნიერი ზურაბ დავითაშვილი. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საუბარი ტერიტორიული გეოგრაფიის დასასრულზე ჯერჯერობით ნაადრევია. აღნიშნულის გარდა, მსოფლიოს გეოეკონომიკური რეალობა ცვლის ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი ცნებების („ეროვნული ეკონომიკა“, „სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი“, „გეოგრაფიული მდებარეობა“ და ა.შ) არსს ან/და ახდენს მის დევალვაციას. მაგალითად, რამდენად ზუსტია დღეს ტერმინ „მსოფლიო ეკონომიკის“ ხმარება ეკონომიკურ გეოგრაფიაში, თუ მასში ტრადიციულად მოიაზრება მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყნის (ეროვნული) ეკონომიკა, რომელიც განიხილება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების, ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში? ვფიქრობ, ასეთი განმარტება არცთუ სრულყოფილია იმ მიზეზის გამო, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკური საზღვრები უკვე აღარ ემთხვევა მათ ეკონომიკურ საზღვრებს ანუ მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მოთამაშის სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი უკვე არ ჯდება მის პოლიტიკურ საზღვრებში. თანაც, ამ პროცესში ყალიბდება არასტატიკური ეკონომიკური საზღვრები, სადაც უკვე რთულია დაადგინო, სად გადის ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი, ანუ ზუსტად განსაზღვრო კვლევის გეოგრაფიული არეალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნული ცნებები დღეს ძალზედ პირობით ხასიათს იძენენ.

უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ, თუ ბიპოლარულ მსოფლიო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოები თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკის მინდორზე, ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში, როცა მიმდინარეობს დეტერიტორიალიზაციის პროცესი, უკვე ეკონომიკის ტრანსნაციონალური აქტორები იწყებენ თამაშს სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

ზემოთ აღნიშნული ტრანსფორმაციული პროცესებიდან გამომდინარე, გეოეკონომიკის დეფინიცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: *გეოეკონომიკა ორიენტაციას იღებს მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესის შესწავლაზე (მათ შორის სივრცობრივი ასპექტების შესწავლაზე), სადაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მძლავრი სუბიექტები გეოპოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით, და პირიქით, ცდილობენ მათთვის საინტერესო (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი) ტერიტორიების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევას.* ახალი ეკონომიკური სისტემების ფორმირების საწყისები, რომლებიც მოქმედებენ გლობალურ არენაზე სხვადასხვა მიზნით და ინტერესით – აი რას იკვლევს თანამედროვე გეოეკონომიკა. შემოთავაზებული დეფინიციის არგუმენტულობა მოცემული მაქვს ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციაში, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. შემოთავაზებული დეფინიციიდან გამომდინარეობს ის მიზნები, რომელიც გააჩნია გეოეკონომიკას და მასთან ახლოს მდგარ ეკონომიკურ გეოგრაფიას.

ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოეკონომიკის მიზნები. იმის მიუხედავად, რომ ეს ცნებები გარეგნულად ძალიან გავს ერთმანეთს, მათ განსხვავებული მიზნები გააჩნიათ.

მაგალითად, *რესურსების უკმარისობა გეოეკონომიკაში განიხილება როგორც განვითარების რესურსი. ეკონომიკურ გეოგრაფიაში, პირიქით, გეოეკონომიკა დეტერიტორიალიზაციის ეფექტის მატარებელია. ეკონომიკურ გეოგრაფიას ასეთი ეფექტი არ აქვს. გეოეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიისაგან განსხვავებით, არ არის ეროვნული ეკონომიკების უბრალო ჯამი, არამედ ის ზენაციონალურია და შედგება ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო სისტემებისაგან; გეოეკონომიკაში არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ სხვა ფაქტორებიც გაცილებით პრინციპულია სახელმწიფოს იმიჯისა და გავლენის ხარისხისათვის. კერძოდ, აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ტექნოლოგიურ ინოვაციებს ის განიხილავს, როგორც ძლიერების საკვანძო კრიტერიუმს და ა.შ.*

ამავე დროს, ამ ორ დისციპლინას აერთიანებს საერთო მიზნებიც, რომელიც ფოკუსირდება ისეთ მეცნიერულ პრობლემაზე, როგორიცაა: ეკონომიკური აქტივობის გლობალიზაციის მოცულობის დადგენა და მისი სივრცით-დროითი პარამეტრების შესწავლა. ყველაზე უფრო ამ ნაწილში იკვეთება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს გეოეკონომიკასა და ეკონომიკურ გეოგრაფიას შორის.

გეოეკონომიკა & ეკონომიკური გეოგრაფია. გასული საუკუნის 70-იან წლებში ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის გამოჩენა, მრავალი მეცნიერის აზრით, მოასწავებს არა მარტო ეკონომიკური გეოგრაფიის, არამედ, ზოგადად, ეკონომიკური მეცნიერების რევოლუციის მეოთხე ტალღის დადგომას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება კონკურენციის ისეთი მოდელები, სადაც ხდება მზარდი უკუგება რესურსების გამოყენებიდან.შემდგომ კვლევებზე დიდი გავლენა მოახდინა ა. დიქსითის და ჯ. შტიგლიცის სტატიამ „მონოპოლიური კონკურენცია და ოპტიმალური პროდუქტის მრავალფეროვნება“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ამერიკის ეკონომიკურ მიმოხილვაში“. ამ მოდელების ანალიტიკური ხერხები 1970-იანი წლების ბოლოს რიგმა თეორეტიკოსებმა გამოიყენეს საერთაშორისო ვაჭრობის შესწავლისათვის. რამდენიმე წლის შემდგომ ანალიზის იგივე ინსტრუმენტები გამოყენებულ იქნა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის შესწავლაში. ა. დიქსითის და ჯ. შტიგლიცის მოდელი ეკონომიკურ გეოგრაფიაში პირველად იქნა გამოყენებული პოლ კრუგმანის მიერ. ეს მეცნიერი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკის უბადლო მცოდნეა, წერდა: „რომ იგი ყოველთვის ფიქრობდა ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემებზე, მაგრამ ვერ აცნობიერებდა მას“. სწორედ მისმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა აზროვნებამ განაპირობა ის დიდი აღიარება, რომელიც დაიმსახურა პოლ კრუგმანის ნაშრომმა „საერთაშორისო ვაჭრობის თეორია“, სადაც მოცემულია ვაჭრობის სტრუქტურა და ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიული გადანაწილების ანალიზი. აქვეა ახსნილი გლობალიზაციის, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისა და ურბანიზაციის შედეგები. სწორედ ამ დამსახურებისათვის მიიღო მან ნობელის პრემია.

ადრე *მიჩნეული იყო, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად სახეს ისეთ ქვეყნებს შორის ვაჭრობა წარმოადგენდა, რომლებიც განვითარების განსხვავებულ დონეზე იმყოფებოდნენ. კლასიკურ შემთხვევებში განიხილებოდა სავაჭრო ურთიერთობები განვითარებულ და*

განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტზე ძირითადად აგროკულტურული საქონელი გადიოდა, სანაცვლოდ, განვითარებული ქვეყნიდან ინდუსტრიულ საქონელს ღებულობდნენ. XX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა საერთაშორისო ვაჭრობის ახალი ტიპები, კერძოდ, ვაჭრობა ორ განვითარებულ ქვეყანას შორის, როცა ექპორტიც და იმპორტიც ერთი და იმავე საქონლით ხორციელდება.ამ აღმოჩენის ლოგიკური შედეგი გახდა პოლ კრუგმანის კვლევები ეკონომიკურ გეოგრაფიაში. მან, შეიძლება ითქვას, ახლებურად გახსნა ის, როგორც მეცნიერება; აჩვენა მწარმოებლის მისწრაფება იქითკენ, რომ შეამციროს საწარმოო და სატრანსპორტო ხარჯები, მოახდინოს წარმოების კონცენტრაცია იმ რეგიონებთან ახლოს, სადაც მაქსიმალურად დიდი ბაზარია. საერთაშორისო ვაჭრობაში ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული ქვეყანა შეეცდება იმ სამრეწველო საქონლის ექსპორტის გაზრდას, რომლისთვისაც საკმაოდ დიდია საკუთარი შიდაბაზარი. ამასთან, მისი საერთაშორისო სპეციალიზაციის განმსაზღვრელი იქნება არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი უპირატესობა გარკვეული სახეობის საქონლის წარმოებაზე. ანუ ის, თუ მოცემული ქვეყნისათვის მოცემულ ეტაპზე რამდენად მომგებიანია აწარმოოს მოცემული საქონელი და არა სხვა რამ. შედარებითი უპირატესობა განისაზღვრება კლიმატით, რესურსებისა და მომწოდებლების სიახლოვით, ტექნოლოგიების განვითარებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დროებით ფაქტორს, მაგრამ ყველა დროში ის აძლევს ქვეყანას მთავარ შედარებით უპირატესობას.

ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის საბოლოოდ გაფორმება მოხდა გასული საუკუნის მიწურულს, როცა გამოვიდა მაცახისი ფუძიტას, პოლ კრუგმანისა და ენტონი ვენებლასის საინტერესო ნაშრომი *სივრცითი ეკონომიკა.*

თუმცა, ვერ გავიზიარებ პოლ კრუგმანის მოსაზრებას იმ ნაწილში, როცა ის ეწინააღმდეგება იმ მეცნიერებს, რომლებიც თვლიან, რომ ცივი ომი ეკონომიკურმა ომმა შეცვალა და არ ეთანხმება იმ აზრს, რომ სახელმწიფოები ეჯიბრებიან ერთმანეთს ეკონომიკურ სფეროში. მისგან განსხვავებით მიმაჩნია, რომ ცივი ომი ნამდვილად შეცვალა გეოეკონომიკურმა და არა ეკონომიკურმა ომმა (ეს ცნებები განსხვავდება ერთმანეთისაგან), რომელშიც სახელმწიფოები ნამდვილად მეტოქეობენ ერთმანეთთან ეკონომიკურ სფეროში. ამის არგუმენტები ზემოთ საკმარისად იქნა მოყვანილი.

ეკონომიკური გეოგრაფია პოსტსაბჭოთა სივრცეში. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გეოგრაფია წარმოდგენილია, როგორც ზოგადკულტურული ციკლის სასწავლო დისციპლინა. მისი, როგორც გეოგრაფიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის, განვითარება კი ხდება ძირითადად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, კანადა, იაპონია, ჰოლანდია, ავსტრალია და ა.შ). წარმოადგენს რა გეოგრაფიული მეცნიერების შემადგენელ ნაწილს, ეკონომიკური გეოგრაფია უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ ინფორმაციის სინთეზს. ამიტომ, ტრადიციული განმარტებით, *მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგია, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური საქმიანობის განაწილებას და მის სივრცობრივ ორგანიზაციას. ერთი გაგებით, ის შეისწავლის საზოგადოებრივ პროცესთა გეოგრაფიულ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ხოლო მეორე, უფრო თანამედროვე გაგებით, ეკონომიკური გეოგრაფია მხოლოდ ეკონომიკის დარგების გეოგრაფიაა და შეისწავლის წარმოების განლაგების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს* (ის საკმაოდ ფართო დისციპლინაა და მისი შესწავლისას ეკონომ-გეოგრაფები განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ. სწორედ განსხვავებული მეთოდოლოგიის ერთ-ერთ თანამედროვე ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ მისი „გეოეკონომიკური“ ვერსია.

ცივი ომის დასრულების შემდგომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური გეოგრაფია ღრმა კრიზისმა მოიცვა. ანალოგიური ბედი ეწია სივრცობრივ ეკონომიკასაც, რომელმაც ასევე მემკვიდრეობით მიიღო მწარმოებელი ძალების განლაგების საკითხების შესწავლა ავტარქიის (სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განცალკევება, მიმართული ჩაკეტილი ეროვნული ეკონომიკის შექმნისაკენ. ეკონომიკური ავტარქია – ეკონომიკის დამოუკიდებელი განვითარება, რომელიც შრომის საერთაშორისო დანაწილების და საერთაშორისო ვაჭრობის იგნორირებას ახდენს) პირობებში. „ავტარქიული“ ეკონომიკა ამჟამადაც აგრძელებს ფუნქციონირებას იმ ეკონომისტთა შრომებში, რომლებიც ქმნიან „კაპიტალისტური“ განვითარების ისეთ სივრცობრივ პროექტებს, სადაც სრულიად იგნორირებულია მსოფლიო ბაზრის ფენომენი.

როგორც ჩანს, მხოლოდ წარმოების განლაგების თავისებურებების და კანონზომიერებების შესწავლა დღეს საკმარისი არაა იმისათვის, რომ ეკონომიკურმა გეოგრაფიამ შეინარჩუნოს ის იმიჯი, რომელიც მას მუდმივად ჰქონდა საზოგადოებრივი მეცნიერების სივრცეში. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესმა მსოფლიოს ეკონომიკური სივრცის თვისობრივი ცვლილება გამოიწვია, რაც გამოიხატა იმაში, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უმნიშვნელოვანეს რესურსად ფინანსები და ინტელექტი აქცია და არა გეოგრაფიული სივრცე ფიქსირებული წარმოებით. ეს პროცესი პლანეტას ერთიან ეკონომიკურ (არა მარტო) ორგანიზმად აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას. აღნიშნული ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგია *მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის ეკონომიკების მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ყალიბდება ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლის, სახელმწიფოთა ეკონომიკური ფუნქციის შესუსტების, გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტის განვითარების, მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების, საბაზრო ურთიერთობებისა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნის შედეგად.*

პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენება მოასწავებს ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის დასაწყისს. ამ „გეოგრაფიის“ ჩარჩოებში კავშირი სახელმწიფოსა და სიმდიდრეს შორის იღებს სხვადასხვა ფორმას და აყალიბებს ახალ კომბინაციებს. ირღვევა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ტრადიციულად არსებობდა სიმდიდრესა და ტერიტორიას შორის. კერძოდ, ხდება სიმდიდრის დემატერიალიზაცია და დენაციონალიზაცია. ეკონომიკური სუვერენიტეტი უკვე აღარ შედის მხოლოდ სახელმწიფოს „დაქვემდებარებაში“. ხდება მისი განაწილება (დარგობრივი პრინციპით) რეგიონულ, ზესახელმწიფოებრივ ან/და გლობალურ დონეზე. ამ ახალ მოცემულობაში ეკონომიკური გეოგრაფიის დეფინიცია სერიოზულ გადახედვას მოითხოვს.

ეკონომიკური გეოგრაფიის დეფინიცია. ცნობილია, რომ კვლევის საგანი განისაზღვრება მოცემულ მომენტში გაბატონებული კვლევის პარადიგმით. თუ ადრე ეკონომიკურ გეოგრაფიას განსაზღვრავდნენ, როგორც „ეკონომიკური რაიონების და საზოგადოებრივი წარმოების განლაგების“, „ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების“ ან „საზოგადოების ცხოვრების ტერიტორიული ორგანი-

ზაციის“ შემსწავლელ მეცნიერებად, ახალი მოცემულობის შესაბამისად, ის შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც: *„გეოგრაფიული მეცნიერების მიმართულება, რომელიც საზოგადოებისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთქმედების კონტექსტში შეისწავლის მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემის სუბიექტების ქცევის სივრცით-დროით ასპექტებს გეოგრაფიული სივრცის იმ ნაწილში (ეკოსფერო), სადაც მოქმედებენ აღნიშნული სუბიექტები“.*

ეკონომიკური გეოგრაფიის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას ახასიათებს რამდენიმე პოზიტიური მომენტი. კერძოდ, ის საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, ეკონომიკური გეოგრაფია და სივრცობრივი ეკონომიკა (ეს უკანასკნელი სწავლობს ეკონომიკურ პროცესებს აბსტრაქტულ ეკონომიკურ სივრცეში); მეორე მხრივ, განმარტებაში გამოკვეთილია გეოეკონომიკის ის სეგმენტი, სადაც ოპერირებს კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ის ნაწილი, რომელშიც ხდება მსოფლიოს ახალი, სხვადასხვა ძალის ეკონომიკური სუბიექტებისა და სისტემების ფორმირება-განვითარება დროის გარკვეულ პერიოდში, რაც დეფინიციას მეტ კონკრეტულობას და „გეოგრაფიულობას“ ანიჭებს. ამასთან, გეოეკონომიკური სივრცე ასახავს განახლებულ ხედვას იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეზე, რომელიც აქტუალურია XXI საუკუნეში. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რელევანტურად მივიჩნევ, რომ თანამედროვე ეკონომიკური გეოგრაფიის შესწავლის არეალი უნდა გაფართოვდეს და ტრადიციულ აქტორებთან მისი ყურადღების ქვეშ მოექცეს ასევე *მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემის შემადგენელი სხვადასხვა დონის და ძალის ეკონომიკური სუბიექტების ქცევის ტრანსფორმაციის სივრცით-დროითი საწყისების კომპლექსური შესწავლა.*

ამდენად, მსოფლიოს პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია ახალ პრობლემებს უყენებს საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურას. ამ პრობლემების გადაჭრა კი წარმოუდგენელია თანამედროვე ეკონომიკურ-გეოგრაფიული აზროვნების გარეშე. ამ უკანასკნელის მოყვანა თანამედროვე მოცემულობის შესაბამისად ნაკარნახევია როგორც საზოგადოების, ასევე, საკუთრივ, ეკონომიკური გეოგრაფიის შემდგომი განვითარებით, რომელიც მიისწრაფვის იქითკენ, რომ იყოს მოთხოვნადი იმ პირობებში, როცა გლობალიზაციის გავლენით ღრმა ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იმისათვის, რომ ეკონომიკური გეოგრაფია კვლავ მოთხოვნადი გახდეს, აუცი-

ლებელია მისი კვლევის არეალის გაფართოება იმ ახალი რეალობების გათვალისწინებით, რომელშიც ყალიბდება თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემა.

ლიტერატურა:

1. ზურაბ დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ. 2003.
2. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. თბ. 2008.
3. Dixit, Avinash K.; Stiglitz, Joseph E. Monopolistic Competition and Optimum Product Diversity // The American Economic Review. – 1977. – Vol. 67. – № 3.
4. Fujita M., Krugman P. The New Economic Geography: Past, Present and the Future Papers in Regional Science. – Wiley-Blackwell, 2004. – Vol. 83. – P. 139–164. –DOI:10.1007/s10110-003-0180-0
5. Krugman P. R. Introduction // Development, Geography, and Economic Theory Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1995. – 127 p. – ISBN 0-262-11203-5
6. 6. G.Kvinikadze, K.Pkhakadze.The subject of Geoeconomics-polemics around a new discipline. **"Economika".** Monthly International reviewed and refereed seientific journal 2012. # 5-6.
7. Peter F. Drucker. Trade Lessons from the World Economy. – Foreign Affairs, jan./feb. 1994, p. 99-108, особенно p. 107-108.
8. Paul Krugman Paul (ed.). Geography and Trade, Mit, Cambridge University Press, Cambdidge (Mass.), 1991, p. 83-90; Joseph S. Nye. Soft Power. - Foreign Policy, Fall 1900, p. 153-17 5.

Giorgi Kvinikadze

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The World's Geoeconomic Transformation and Economic Geography

Resume

The efficiency of politicians' influence on real economic relations is too low, despite the fact that they make the final decision.. The *Geoeconomics* was formed in a context, when it directed itself towards the study of the current

economization process of geopolitics in the world, where the powerful subjects of world economy using geoeconomic (less geopolitical) levers are trying to establish control over the territories they are interested in.

The transnational companies, which are characterized by the effect of deterritorialization, are active during this process. They form more or less unified global economic space. The scholars of spatial studies orient themselves towards the research of connections between the current and previous space, which. first of all, should be done by economic geographers..

Economic Geography is a wide discipline. Economicgeographers use a different methodology when studying economic geographical phenomena, while "geoeconomical" approach involves a different methodology.

The World's Geoeconomical Reality changes the idea of Economic Geography's basic concepts ("national economy", "frontier", "geographic location",etc.) and devaluates them. Due to the fact that state borders no longer coincide with economic borders, there are formed such boundaries, where it is difficult to ascertain the parameters of a country's border. At the same time, the qualitative change of the space was expressed in the development of the informative technologies, which turned economy, finances and intellect into essential resources more than the geographical space itself with its fixed production.

According to the new context, Economic Geography can be defined as follows: "*A field of geographical science, in context of interaction between society and the geographical environment, which studies the spatial aspects of action of the World Geoeconomical System subjects in the part of geographical space (ecosphere), where the above-mentioned subjects act".*

თამარ ლეკიაშვილი

საქართველოს საზღვრების საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის ძირითად და დამატებით ხელშეკრულებებში

სტატია ეხება ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას, რომელიც 1918 წლის 3 მარტს დაიდო საბჭოთა რუსეთსა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი) შორის. განხილულ იქნება ძირითადი ხელშეკრულების IV და დამატებითი ხელშეკრულების (რუსეთ-თურქეთის) II მუხლები, რომლებიც უშუალოდ საქართველოს, კერძოდ კი, მისი საზღვრების საკითხს ეხება.

1877-1878 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომი ადრიანოპოლის დროებითი ზავით (1878 წლის 19 იანვარი) დასრულდა, რომელიც იმავე წლის 19 თებერვალს სან სტეფანოს ზავით განაახლეს. ამ ზავის მიხედვით კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ. სწორედ ამ ზავით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა ოსმალეთი.

1917 წელს რუსეთში ორი რევოლუცია მოხდა - თებერვლისა და ოქტომბრის. თებერვლის რევოლუცია უფრო სტიქიური მოვლენა იყო, რასაც საფუძვლად დაედო რუსეთში მონარქიის დასასრული, რის შემდეგაც შეიქმნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელმაც ამიერკავკასიაში მართვის რწმუნებით შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი – ოზაკომი. 15 ნოემბერს დაარსდა ამიერკავკასიის კომისარიატი და შედგა დამოუკიდებელი მთავრობა ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით; ოსმალეთი თვალს ადევნებდა მიმდინარე მოვლენებს და ხელსაყრელ დროს ელოდა ტერიტორიების მისატაცებლად.

1917 წლის დეკემბერში ოსმალეთმა ზავი შესთავაზა ამიერკავკასიის კომისარიატს – ამის თაობაზე წერილიც კი მიიღეს ვეხიბ ფაშასაგან. ამიერკავკასიის კომისარიატმა თანხმობა განაცხადა ზავის მიღე-

ბაზე და შეუდგა საზავო მოლაპარაკებებისათვის მზადებას. მათ შეიმუშავეს სათანადო ინსტრუქციები დელეგაციისათვის და 1918 წლის 1 მარტს დაადგინეს შემდეგი ძირითადი პრინციპები: 1. საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის ომის წინადროინდელი საზღვრები; 2. დელეგაციას უნდა მოეთხოვა აღმოსავლეთ ანატოლიისათვის თვითგამორკვევის უფლება, კერძოდ, ოსმალეთის სომხეთის ავტონომია ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალეთს კავკასიასთან მიმართებაში სულ სხვა გეგმა ჰქონდა; ამ მოვლენების პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიული ამბიციები სისრულეში მოეყვანა. 1917 წლის 29 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა გაზეთ „იზვესტიაში“ დეკრეტი „თურქეთის სომხეთის შესახებ“, რომელიც ეხებოდა არზრუმის, ყარსის, სებასტიის, ვანისა და დიარბექირის ვილაიეთებს. დეკრეტი მხარს უჭერდა „თურქეთის სომხეთის“ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ამასთან, რუსეთის მთავრობა მოითხოვდა თურქეთის ჯარის გამოყვანას „თურქეთის სომხეთიდან“ და იქ სომხური მილიციის შექმნას.

თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა რუსეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული თვითგამორკვევის პრინციპი გამოეყენებინა თავისი მიზნის მისაღწევად. თურქეთი დაინტერესებული იყო დაებრუნებინა 1877-1878 წლებში რუსეთთან ომის დროს დაკარგული ტერიტორიები, კერძოდ, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები. სწორედ ამიტომ თურქეთის დელეგაციამ მოითხოვა ამ ტერიტორიებიდან გამოყვანილიყო რუსეთის ჯარები და რეფერენდუმის ჩატარების გზით გარკვეულიყო ამ რეგიონის სტატუსი.

გერმანიის მთავრობას კარგად ესმოდა შექმნილი მძიმე სიტუაცია და თავისი მიზნების განსახორციელებლად 1918 წლის 3 (16) იანვარს ამიერკავკასიის მთავრობა მიწვეულ იქნა ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებებზე; დეპეშა გაიგზავნა კავკასიის არმიის მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძის სახელზე. დეპეშაში ასევე ნათქვამი იყო, რომ „...ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილ შუამავალ სახელმწიფოთა დელეგატები მზად არიან ცნონ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა... შეუძლია გაგზავნოს თავისი სრულუფლებიანი წარმო-

მადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში“ (ქართული დიპლომატიის ისტორია., 1998, გვ. 455). დეპეშას ხელს აწერდა თურქეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი ფერიკ-ვეჰიბ-მეჰმედი. დეპეშა თბილისში მიიღეს 1 (14) თებერვალს.

ამიერკავკასიის მთავრობამ მიწვევა არ მიიღო. მოგვიანებით მთავრობის პოზიციის შესახებ გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ჩვენ (ამიერკავკასიის მთავრობას – თ.ლ.) გვიწვევდნენ ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ ჩვენ ვაღიარებდით თავს რუსეთის ნაწილად, არ გვსურდა დამოუკიდებელი სახით გამოსვლა, რომელიც თავის კეთილდღეობას აგებს მოძმე ხალხის უბედურებაზე და ამიტომ ჩვენ არ წავედით იქ“. ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურმა ევგენი გეგეჭკორმა ასეთი შინაარსის დეპეშა გაგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში: „რადგან კავკასია შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსეთის კომპეტენციას შეადგენს“ (მაღლაკელიძე., 1991, გვ. 160).

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლი აცხადებდა, რომ გერმანია მზადაა, საყოველთაო ზავის დადებისა და რუსეთის ჯარების დემობილიზაციის დასრულებისთანავე გაწმინდოს III მუხლის I აბზაცში მითითებული ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, ვინაიდან VI მუხლი ასე მოითხოვს.

რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაიწმინდოს ანატოლიის პროვინციები და დაუბრუნდეს თურქეთს.

არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ გაიწმინდება რუსული ჯარებისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების ხელახალ ორგანიზაციაში; ადგილობრივი მოსახლეობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი თურქეთთან, შეთანხმებით გადაწყვეტს თავისი ახალი მმართველობის ფორმასა და სისტემას“.

ჩვენი აზრით, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ზემოთ მოყვანილი მუხლით საკითხი აშკარად ოსმალეთის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი. ამას უფრო ნათელს ხდის ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულება რუსეთ-თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულების მეორე პუნქტში ნათქვამია: „უნდა შეიქმნას ორი შერეული თურქულ-რუსული კომისია. პირველი კომისია აღადგენდა ომამდელ საზღვარს სპარსეთიდან ყარსის, არდაგანისა და ბათუმის სანჯაყებამდე; ხოლო

მეორე კომისიას დაევალა განესაზღვრა საზღვარი რუსეთსა და ზემოთ დასახელებულ სამ სანჯაყს შორის“ (Международная политика, новейшего времени, в договорах нотах и декларациях., 1926). საზღვარი უნდა აღდგენილიყო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე არსებული საზღვრის მიხედვით, რომლის შედეგად არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი და ბათუმი ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდოდა.

სრულიად აშკარაა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ძირითადი ხელშეკრულების IV მუხლი და მასში ნახსენები რეფერენდუმი, რომელიც ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში პოლიტიკური წესწყობილების დასამყარებლად და ასარჩევად უნდა ჩატარებულიყო, სრულიად ფიქტიურ ხასიათს ატარებდა. დამატებით ხელშეკრულებაში კი, როგორც ვნახეთ, პირდაპირ იყო მითითებული სასაზღვრო ხაზი, რომლის მიხედვითაც ზემოთ დასახელებული სანჯაყები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

1918 წლის 12 ივნისიდან 14 ივლისამდე ოსმალეთის ხელისუფლებამ ამ ზავის თანახმად ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში რეფერენდუმი ჩაატარა.

თურქები ბათუმისა და ყარსის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს აერთიანებდნენ და უწოდებდნენ ELViYE – I SELASE. არტაანი ყარსის შემადგენლობაში შეჰყავდათ.

1918 წლის მაისიდან მოყოლებული, ოსმალები რეფერენდუმის ჩასატარებლად აღნიშნულ ოლქებში მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებდნენ. გაიგზავნა სპეციალური დელეგაცია შიდა ზედამხედველობის მდივნის აბდულ ჰადიკ ბეის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ ჰილმი ბეი – გაიგზავნა ყარსში; შაკირი – გაიგზავნა არტაანში; ნეჯაათი ბეი – ოლთისში; ასაფ თალათ ბეი – კაღიზმანში.

დელეგაციამ დაიწყო ოლქებში არსებული ადმინისტრაციული სტრუქტურის შესწავლა; გადაწყდა მოსახლეობის ხელახალი აღწერა და რეგისტრაცია.

მოსამზადებელი სამუშაოს ფარგლებში დადგინდა საარჩევნო ზონები; სულ 62 საარჩევნო ზონა დაფიქსირდა. პირველად მოსახლეობის რეგისტრაცია და გამოკითხვა არტაანში განხორციელდა. ხმის მიცემის უფლება მიეცათ მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 19 წელი.

დაფიქსირდა: არტაანში 85 სოფელი, აქედან 74 ისლამური, 11 – სხვა. ოლქში 3 175 ისლამის მიმდევარი და 1000 სხვა სარწმუნოების ადამიანი ცხოვრობდა.

ბათუმში: – 73 ისლამური სოფელი, 12 სხვა; სულ 4312 მოსახლე;

ყარსში: – 325 ისლამური სოფელი, 12 სხვა, სულ 66 923 მოსახლე დაფიქსირდა Sürmeli S., Türk-Gürgü ilişkileri (1918-1921)., 2002).

ხმის მიცემის პროცედურა შემდეგნაირად განხორციელდა: თავდაპირველად საარჩევნო უბნებში გადაიგზავნა ინფორმაცია, რამდენიმე უბანი დაუქვემდებარეს ერთი ცენტრალური რაიონის მმართველობას.

რეფერენდუმი 12 ივნისს დაიწყო. საარჩევნო უბანში მუნიციპალიტეტის წინ თითო საარჩევნო ყუთი დაიდგა. ხმის მიცემა ხორციელდებოდა პატარა ლურჯი და თეთრი ბარათებით. თეთრ ბარათზე გამოსახული იყო წითელი ნახევარმთვარე და ვარსკვლავი; ბარათები იყრებოდა ბეჭდიან ყუთებში. თეთრი ბარათის ჩაგდება ნიშნავდა თურქეთის სასარგებლოდ ხმის მიცემას, ლურჯი კი – უარყოფას.

საარჩევნო უბნების წინ შეკრებილ მოსახლეობას აცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლს. თურქული წყაროების მიხედვით, საარჩევნო უბნებზე რაიმე სერიოზულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

ბათუმის საარჩევნო უბანში მისული რუსი ამომრჩევლები მოითხოვდნენ, რომ ხმის მიცემა მომხდარიყო ფარულად.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ხმის მიცემა და მოსახლეობის რეგისტრაცია მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში. აქედან გამომდინარე, ხმის მიცემა 12 ივნისიდან გაგრძელდა 14 ივლისამდე. ხმების დათვლა დაიწყო სპეციალური კომისიის მიერ. შედეგები გადაეგზავნა ოსმალეთის მთავრობას.

სულ გამოკითხულ იქნა 87 048 ადამიანი, მათ შორის 85 129-მა განაცხადა თანხმობა, 441-მა – უარი, 1693-მა კი თავი შეიკავა (Sürmeli S., Türk-Gürgü ilişkileri (1918-1921)., 2002).

საქართველოს მთავრობამ 1 აგვისტოს პროტესტის ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას, სადაც ის არ ცნობდა რეფერენდუმის შედეგებს; ამის საპასუხოდ ოსმალეთის მთავრობამ 12 აგვისტოს ნოტა გამოაგზავნა, სადაც უარყოფილი იყო ბრალდება რეფერენდუმის შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებით.

15 აგვისტოს გამოიცა სულთან მეჰმედ VI რესკრიპტი, რომლითაც ცხადდებოდა სამი სანჯაყის ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთება. ამასთან დაკავშირებით 21 აგვისტოს ბათუმში დიდი ზეიმი გაიმართა.

1918 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა ოსმალეთს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი არ გამოხა-

ტავდა ამ ოლქების მოსახლეობის ნება-სურვილს, რადგან ის ჩატარდა საოკუპაციო რეჟიმის პირობებში და ადგილი ჰქონდა პლებისციტის აშკარა ფალსიფიკაციას.

ოსმალეთმა თავის საპასუხო ნოტაში, ბუნებრივია, უარყო რეფერენდუმის გაყალბება და თავის მართლება სცადა. ამის საპასუხოდ რუსეთის მთავრობამ 10 ოქტომბერს კვლავ გააგზავნა ნოტა, რომელშიც კვლავ აცხადებდა, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები უკანონოდ იყო მითვისებული, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს.

რუსეთის გარდა, გერმანიის მთავრობაც არაკანონიერად მიიჩნევდა ჩატარებულ რეფერენდუმს. მან თავის ელჩს სტამბულში დაავალა ოსმალეთის მთავრობისათვის ეცნობებინა, რომ ოსმალეთის მიერ ჩატარებული პლებისციტი არ შეესაბამებოდა ბრესტის ზავს, რადგან ის ჩატარდა მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების გარეშე და არ ეყრდნობოდა კანონიერ საფუძველს.

გერმანიამ მოახერხა ოსმალეთის დათანხმება ხელახალი რეფერენდუმის ორგანიზებაზე, მაგრამ მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვებამ პოლიტიკური სურათი შეცვალა – რეფერენდუმი აღარ ჩატარებულა.

ლიტერატურა:

1. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები, პარიზი 1924.
2. გოცირიძე გ. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო. თბილისი 2009.
3. მაღლაკელიძე შ. მოგონებანი: „განთიადი“, ბათუმი 1991.
4. ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი 1989.
5. სვანიძე მ. ბრესტის ზავი და საქართველო. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, თბილისი 1996, გვ. 285- 303.
6. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი 2007.
7. Международная политика, новейшего времени, в договорах нотах и декларациях., частъ II., москва 1926;
8. Sürmeli S., Türk-Gürgü ilişkileri (1918-1921)., 2002;

Tamar Lekiashvili
Teacher of the School of Human Sciences of Georgian University

The Issue of Georgia's Borders in Brest-Litovsk -Basic and Supplementary Articles

Resume

The Treaty of Brest-Litovsk, which was signed on March 3, 1918 between the Soviet Russia (the Russian Soviet Federated Socialist Republic) and the powers of the Quadruple Alliance (the German Empire, the Austro-Hungarian Empire, the Ottoman Empire, the Kingdom of Bulgaria) significantly determined the relations between Georgia and the Ottoman Empire in 1918-1921. The fourth article of the basic treaty and the second article of the supplementary treaty between Russia and Turkey deal with Georgia, especially its borders. According to the basic treaty, the question of political orientation of Kars, Ardahan and Batumi should be discussed on the basis on the referendum. Especially the border (1877-1878) between Turkey and Russia must be restored, where Ardahan, Batumi, and Kars belonged to Turkey. The result of the referendum was pre-determined and formal.

თეონა მატარაძე

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია

(ტყიბულის რაიონის მაგალითი)

დასაწყისისათვის პოლიტიკა წარმოიდგინეთ,
როგორც კონკურენტული თამაში
ფ.გ. ბეილი

შესავალი

მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე და თეორიების ფარგლებში განიხილება. მოცემულ სტატიას საფუძვლად უდევს ტომას ჟანოვსკისა და ბრაიან გრანის თეორია პოლიტიკური მოქალაქეობის შესახებ, რომელიც გვეხმარება მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემების გაანალიზებაში (Janoski and Gran: 2008). საქართველოს ერთ-ერთი კონკრეტული რაიონის თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევა წარმოადგენს პოლიტიკური მოქალაქეობის განხორციელების პრაქტიკას, დანახულს და განხილულს ე.წ. „grass root level"-ზე.[1] სტატიაში განხილულ იქნება პოლიტიკის ადგილობრივი გაგება: – რატომ აღიქვამენ რაიონის მკვიდრნი პოლიტიკას, როგორც „ბინძურ სფეროს", როგორი დიფერენციაცია არსებობს „დიდ" და „პატარა" პოლიტიკას შორის, ვის მონაწილეობას განიხილავენ პოლიტიკაში ლეგიტიმურად და რა განწყობები აქვთ არჩევნების მიმართ. ადგილობრივი პოლიტიკური აქტორებისა და ჩვე-

---

[1] მოცემული სტატია დაფუძნებულია ეთნოგრაფიულ მასალაზე, რომელიც მოპოვებულ იქნა 2006-2007 წლებში ტყიბულის რაიონში დისერტაციის მომზადების ფარგლებში განხორციელებული საველე სამუშაოების დროს. მადლობას ვუხდი მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტს აღნიშნული კვლევის ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერისათვის; ამასთანავე, ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელს – ლალე იალჩინ-ჰეკმანს და კოლეგებს, რომლებიც მოცემული მოხსენების პრეზენტაციისას მნიშვნელოვან რჩევებს მაძლევდნენ.

ულებრივი მოქალაქეების მოტივაციების და ქმედებების განხილვის საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური მოქალაქეობის ტიპები.

მოცემულ სტატიაში მოქალაქეობა წარმოდგენილია, როგორც დინამიკური ფენომენი, როგორც პროცესი და არა როგორც მყარი და უცვლელი კატეგორია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კი აღებულია როგორც შემთხვევა, რომელიც ავლენს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ პრაქტიკებს. ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, როდესაც მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა გარკვეულწილად დაყვანილია ამომრჩევლის როლის შესრულებაზე, არჩევნები იქცევა არენად, რომელშიც ყველაზე ნათლად ვლინდება პოლიტიკური მოქალაქეობის პრაქტიკა.

პოლიტიკა, როგორც „ბინძური საქმე“

პოლიტიკური მოქალაქეობის შესახებ წერისას ხშირად ამომიტივტივდებოდა ადგილობრივების მიერ ხშირად გამოყენებული ფრაზა: „პოლიტიკა არის ბინძური საქმე და თავი შორს უნდა დაიჭირო“. ერთ შემთხვევაში ასაკოვანი ქალი, რომელმაც ეს ფრაზა სატელევიზიო დებატების ყურებისას თქვა, იყო საფუძვლიანად ინფორმირებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ; ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე იცნობდა თითქმის ყველა თანამდებობის პირს, საჭიროების შემთხვევაში ხშირად მიმართავდა ადგილობრივ თვითმმართველობას, ყოველთვის იღებდა მონაწილეობას არჩევნებში და ესწრებოდა პოლიტიკოსებთან შეხვედრებს. პოლიტიკურად აქტიური მოქალაქისათვის რა შეიძლება იყოს პოლიტიკა, რომლისგანაც ასე აქტიურად ცდილობს თავი გამიჯნოს? გია ნოდია თავის სტატიაში[2] აღნიშნავს, რომ: „საჯარო სფერო ხშირად ატარებს სიყალბის იარლიყს. პოლიტიკა გაიგება როგორც ბინძური საქმე, მაშინ როცა, ჭეშმარიტება და სათნოება მხოლოდ კერძო, პრივატულ სივრცეში არსებობს“ (Nodia, G. 2002: 435). ზემოთ მოყვანილი ქალის ფრაზა, რომელიც, სავარაუდოდ, მედიასაშუალებებიდან იყო ნასესხები, მიგვანიშნებდა „სუსტი“ და „კორუფციული“ პოლიტიკური სისტემისაგან გამიჯვნის სურვილზე. თუმცა ამ შემთხვევაში გაურკვეველია ამ ქალბატონის ენთუზიაზმი, აქტიურად

[2] მოცემული ციტირების თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს.

ჩაერთოს ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. ამ დილემის ასახსნელად გამოგვადგება „დიდი“ და „მცირე“ პოლიტიკას შორის მიჯნის დადება.

„დიდი“ პოლიტიკა ხორციელდება ცენტრში, დედაქალაქში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მის გარშემო. ცენტრალური ხელისუფლებისაგან წარმოსახვითი დისტანციის მიზეზი შეიძლება იყოს სოციალისტური გამოცდილება, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება შორს, მოსკოვში იყო განლაგებული, იყო ძალაუფლების აბსოლუტური მფლობელი და გავლენას ახდენდა მთელ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებზე, მაშინ როცა, ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლება და რესურსები ლიმიტირებული იყო. როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას ვეკითხებოდით, თუ რატომ არ იყვნენ ჩართულნი პოლიტიკაში, პასუხი ძირითადად ასეთი იყო: „ტყიბულში პოლიტიკა არ არსებობს, ხალხი მხოლოდ საპნის ოპერებით ერთობა“. თუმცა, მეორე მხრივ, ადგილობრივი გარემო ატარებდა პოლიტიკურობის ნიშნებს, იმ გაგებით, რომ იქ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობა, ადმინისტრაცია და ადგილობრივი მკვიდრებისაგან ხშირად გაიგონებდით ფრაზას: „მთავრობაში მივდივარ“. ამიტომაც, თუკი დედაქალაქში ხორციელდება „დიდი“ პოლიტიკა, ადგილობრივ დონეზე შეიძლება ვისაუბროთ „პატარა“ პოლიტიკაზე, რომელიც ხშირად ასევე შეიძლება მორალური პოზიციიდან ადგილობრივების განსჯის საგანი გახდეს.

მეორე შემთხვევა, როდესაც პოლიტიკა ბინძურ საქმედ მოიხსენიეს, ხდებოდა საარჩევნო უბანში, როდესაც ერთ-ერთი ბანკის ფილიალის ხელმძღვანელი ცდილობდა ჩემს დარწმუნებას, რომ არჩევნების გაყალბება პოლიტიკის სფეროში ნორმალური პრაქტიკა იყო: „თუკი გინდა, რომ სამართლიანი იყო, არასდროს წახვიდე პოლიტიკაში, რადგან იქ სიბინძურეა“. ამ შემთხვევაში ის საუბრობდა რაიონული მასშტაბით არსებულ პოლიტიკაზე, რომელიც იმ მომენტში დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებისგან მნიშვნელოვნად იყო დაშორებული. მოცემულ სტატიაში ვეცდები წარმოვადგინო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის პროცესში როგორ ერთვებიან ადგილობრივები „პატარა ბინძურ საქმეში“.

პოლიტიკური მოქალაქეობა და პოლიტიკური იდენტობა

მოქალაქის პოლიტიკური უფლებები, რომელიც მარშალის მიხედვით არის „კაპიტალისტური სისტემისთვის პოტენციური საფრთხის

შემცველი“ (Marshall 1950), საქართველოს მოქალაქეებმა 1991 წელს მიიღეს, მაშინ როცა, საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა. პირველ დეკადაში, რომელიც გადატვირთული იყო ეკონომიკური კრიზისით, კონფლიქტებითა და ომებთ, მოქალაქეთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართოს ქვეყანა „დემოსის“ მიერ, ძირითადად მედიასაშუალებებით ხორციელდებოდა. კანონმდებლობის დონეზე პოლიტიკური მოქალაქეობა ყველას თანასწორად ჰქონდა გარანტირებული. თვითმმართველობის სისტემა, სამართლიანი არჩევნები, სიტყვის თავისუფლება, არაკორუმპირებული პოლიტიკური სისტემა, რომელშიც მოქალაქეებს აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ, უფრო მეტად პროპაგანდის ნაწილი იყო, ვიდრე დანერგილი პრაქტიკის ამსახველი. ჰაუგარდს თუ დავესესხებით, ამ პერიოდში დემოკრატიის მშენებლობის სახელით გაკეთებული ცვლილებები გარკვეული პოლიტიკური პერსპექტივების თუ იდეოლოგიის ლეგიტიმაციას ემსახურებოდა (Haugaard, 1997: 10). ამ ფონზე „ვარდების რევოლუცია“ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეთა პოლიტიკურმა უფლებებმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ იმუშავა, რომელმაც საქართველოში შექმნა „დემოკრატია დემოკრატების გარეშე“ (Nodia, 1997). 2003 წელს საქართველოში დემოკრატიის გადასარჩენად ათასობით მოქალაქემ მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციებში და პრეზიდენტი შევარდნაძე მშვიდობიანად გადადგა. კორუფციული, არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემა დამარცხებული იყო და მოქალაქეებმა გაიმარჯვეს. ეს პრაქტიკა ადგილობრივებისათვის უნდა ყოფილიყო იმის ნიშანი, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს თავისი ნების გამოხატვით შეუძლია „დიდი“ პოლიტიკის შეცვლა. თუმცა ჩემ მიერ განხილული შემთხვევა ადასტურებს, რომ ადგილობრივ მოქალაქეებს არათუ „დიდი“ პოლიტიკის შეცვლა, არამედ თავისი პროვინციის „პატარა“ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენაც კი არ შეუძლიათ.

ჟანოვსკი და გრანი თავის დისკუსიას მოქალაქეობის შესახებ ათავსებენ უფლებებისა და მოვალეობების ჩარჩოში და განიხილავენ სამ – ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ და სოციეტალურ დონეზე. ამ შემთხვევაში ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ინდივიდუალურ დონეზე, რომელიც ავტორების მიხედვით მიკროდონეა: „მოქალაქეობის ინდივიდუალური განსაზღვრება ფოკუსირდება პიროვნებაზე, ბალანსისა და გაცვლის ფარგლებში თუ როგორ ხედავს ის უფლებებსა და მოვალეობებს

შორის მიმართებას. ის გვიჩვენებს მოქალაქეობის კრიტიკული ნაწილის ანუ „მე"-ს („self"-ის) განვითარებას სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან და სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც გადამწყვეტია სოციალური მოძრაობის და ერთობაზე ორიენტირებული განწყობებისა და ქცევის განვითარებისათვის (Janoski and Gran: 2008: 14). მოგვიანებით ავტორები აღწერენ, თუ როგორ უყალიბდებათ ბავშვებსა და ზრდასრულებს მოქალაქეობის განხორციელების პრაქტიკა და პოლიტიკური იდენტობა. ოჯახი, სკოლა, სამეზობლო და ერთობა უყალიბებს ახალგაზრდა თაობას განცდას მოვალეობებისა და უფლებების, ზოგადად კი, მოქალაქეობის რაობის შესახებ. მას შემდეგ, რაც ადამიანი იზრდება და აცნობიერებს, რომ შეუძლია ოჯახისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად განვითარდეს, ის „მე"-ს დამოუკიდებლად ჩამოსაყალიბებლად ყველაფერს აკეთებს. ჟანოვსკისა და გრანის თეორია ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არ ებღაუჭებიან მყარი მოქალაქის „მე"-ს („self"-ის) კატეგორიის არსებობას, თვლიან რომ მოქალაქის „მე" დროთა განმავლობაში იცვლება.

ღირებულებებისა და ქცევითი აქტივობების მიხედვით, ჟანოვსკი და გრანი განასხვავებენ ექვსი ტიპის პოლიტიკურ მოქალაქეობას: ინკორპორირებული, აქტიური, დიფერენციული, ცინიკური, ოპორტუნისტი და მარგინალი. აქტიური/პასიური განზომილების მიხედვით, ინკორპორირებული და აქტიური მოქალაქის ტიპები ჩართულობაზე ორიენტირებული ტიპებია, მაშინ როცა, დიფერენციული, ცინიკური და მარგინალური ტიპები არ მონაწილეობენ პოლიტიკაში. რაციონალი ოპორტუნისტის პოლიტიკაში ჩართულობა დამოკიდებულია მის მატერიალურ დაინტერესებაზე. პოლიტიკური პოზიციის მიხედვით, ინკორპორაციული და დიფერენციული ტიპი აპათიურია, გულგრილია ხელისუფლების მიმართ, მაშინ როცა, აქტივისტი და ცინიკური მოქალაქეები გაუცხოებული არიან მმართველი ძალის მიმართ. მარგინალ და ოპორტუნისტ ტიპებს კი რეჟიმის მიმართ უფრო მაღალი აპათია აქვთ და გამოირჩევიან ნაკლები ღირებულებითი ჩართულობით (Janoski and Gran: 2008).

მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩართულობა

მოქალაქეთა პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ჟანოვსკისა და გრანის მნიშვნელოვან იარაღად მედიასაშუალებები მიაჩნიათ: „ბევრ მოქალაქეს უშუალოდ არ აქვს გაცნობიერებული სახელ-

მწოფო გადასახადები, სახელმწიფოთაშორისი სისტემები ან ვინ და რას იღებს სახელმწიფოსაგან. ამის ნაცვლად მოქალაქეთა უმრავლესობა სახელმწიფოს შესახებ იგებს გაზეთებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან და სხვა მოქალაქეებთან დისკუსიიდან. სახელმწიფო პიროვნულ დონეზე დაიტანება ტელეწამყვანების, დიქტორების, მეგობრებისა თუ ნაცნობების მიერ, რომლებიც ინტერაქციის რიტუალში მონაწილეობენ" (Janoski and Gran: 2008: 39). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმი აქტიურად ემსახურება ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა პოლიტიკურ სოციალიზაციას, თუმცა განსაკუთრებით ქმედითი ტელევიზიაა. სატელევიზიო გადაცემები უკმაყოფილებს ადგილობრივ მოსახლეობას პოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც ადგილობრივების 60%-ს აქვს.[3]

პოლიტიკის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს რაოდენობრივი კვლევის შედეგები. გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (46%) თქვა, რომ მოქალაქეებმა ყოველთვის უნდა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში, 28% ფიქრობს, რომ მოქალაქეებმა ნაწილობრივ უნდა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში. ადგილობრივი მოსახლეობის 24%-ის აზრის გასაანალიზებლად, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოქალაქე პოლიტიკაში არ უნდა ჩაერთოს, შეიძლება დაგვეხმაროს ვალცერის არგუმენტი: „დემოსის მიერ ქვეყნის მართვა მნიშვნელოვანწილად ილუზიური წარმოსახვაა; ჩვეულებრივი ქალისა და მამაკაცის მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეებში (თუკი ისინი სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულნი არ არიან) ძირითადად სხვებზეა დელეგირებული" (Walzer, 1998: 294). ის რესპონდენტები, რომლებიც ჩვეულებრივი მოქალაქეების პოლიტიკაში მონაწილეობის წინააღმდეგები არიან, თავის პოზიციას სხვადასხვა არგუმენტით ხსნიან. ნაწილის აზრით, პოლიტიკა „ყალბია" და ჩვეულებრივი მოქალაქის აზრს არავინ გაითვალისწინებს. მოქალაქეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსობა სპეციალურ პროფესიონალიზმს საჭიროებს, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეს არ აქვს. პოლიტიკოსობასთან დაკავშირებული „სპეციალური" უნარების საჭიროება კი ამგვარი ფრაზებით იქნა გადმოცემული: „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს", „ხალხი ბრბოა

---

[3] 2007 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ადგილობრივი მასშტაბით რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო მოქალაქეობის სხვადასხვა ასპექტის გამოვლენა.

და სახელმწიფოს მართვის არაფერი გაეგება“, „ჩვენმა პრეზიდენტმა [იგულისხმება პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. – თ. მ.] ხუთი ენა იცის, მაგრამ ვერ დაგვეხმარა, ასე რომ, ჩვეულებრივ მოქალაქეებს მასზე უკეთესად ვერ გამოუვათ მართვა“, „ყველა რომ პოლიტიკაში წავიდეს, სხვა საქმეები ვიღამ აკეთოს?“ „ჩვეულებრივ მოქალაქეს სჭირდება სამუშაო და შემდეგ დაიძახებს „ბრავო“. ვალცერის მიხედვით პოლიტიკა ნაკლებად იპყრობს ჩვეულებრივი მოქალაქეების ყურადღებას. მათ ბევრ სხვა საკითხზე უწევთ დარდი, პირველ რიგში კი მათ როგორმე თავი უნდა ირჩინონ. ამიტომ მოქალაქეები უფრო მეტად ეკონომიკაში არიან ჩართულნი, ვიდრე პოლიტიკაში (Walzer, 1998: 294). პოლიტიკაში ჩართულობის ერთ-ერთ კრიტერიუმად ადგილობრივები განათლების დონეს ასახელებენ. მაგალითად მოვიყვან ერთ-ერთი ინფორმანტის პოზიციას: “ძმები კუბლაშვილები გამოვიდოდნენ პოლიტიკოსები, აბა რაა?! მათი მამა რაიკომის მდივანი იყო და შვილებს საუკეთესო განათლება მისცა. მამაჩემს კი მხოლოდ თოხი ჰქონდა და სკოლის შემდეგ გაკვეთილების მომზადების ნაცვლად თოხნას ვიწყებდი. შეგიძლიათ მითხრათ, როგორ გამოვიდოდი მე პოლიტიკოსი?“ (გოგიტა, 35 წლის). ინფორმანტის მიერ ხაზგასმული სოციალური განსხვავების გავლენა პოლიტიკაში ჩართულობაზე უკავშირდება მოქალაქეობის, როგორც ერთიანი კონცეფციის, გაგებას, სადაც მოქალაქის სხვადასხვა უფლების განხორციელება ერთმანეთზე ახდენს გავლენას: „ერთ სფეროში მოქალაქის უფლების განხორციელება დამოკიდებულია სამოქალაქო უფლებებზე, როგორც ინდივიდუალურ თავისუფლებებზე და სოციალურ უფლებებზე, როგორც წიგნიერებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე“ (Lister, 2005: 477). წერა-კითხვის არმცოდნე პირი ვერ მისცემს ხმას, ისევე როგორც დაბალი განათლების ცენზის მქონე მოქალაქე ვერ მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკაში, რომელსაც „კარგად ინფორმირებული ელიტა უძღვება“ (Lang, 2005).

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე ვეკითხებოდით ჩვეულებრივი მოქალაქეების პოლიტიკაში რეალურად ჩართულობის შესახებ. გამოკითხულთა დაახლოებით 41 % თვლის, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები ყოველთვის ან ზოგჯერ იღებენ მონაწილეობას პოლიტიკაში. გამოკითხულთა ზუსტად ნახევარი, რომელიც მიუთითებს, რომ პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოქალაქეები არ მონაწილეობენ, ამ ფაქტს განათლების, ინფორმაციის, ფინანსებისა და სოციალური კავშირების ნაკლებობით ხსნის. საქართველოში არსებული სი-

ტუაციის შესახებ წერისას ჯოუნსი აღნიშნავდა, რომ "ქართველები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ რაიმე ქსელის წევრებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ვერტიკალური წევრობის უპირატესობებით, არ ყავთ პატრონები და ლობები, განიცდიან ეკონომიკურ სიღარიბეს და პოლიტიკურ უძლურებას" (Jones, 2000: 66). ადგილობრივებმა სწორედ სოციალური კავშირები დაასახელეს ყველაზე ხშირად პოლიტიკური კარიერის ვერგაკეთების მიზეზად: „პოლიტიკაში ხალხი ნაცნობობით მიდის", „ადამიანს სჭირდება მაღალი თანამდებობის წევრი მეგობარი ან ნათესავი", „ყველას თავისი ხალხი ყავს" ან „ბიუროკრატები ჩვეულებრივ მოქალაქეებს არ შეუშვებენ პოლიტიკაში".

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივ მოქალაქეებს წარმოდგენა აქვთ თავისი პოლიტიკური უფლებების შესახებ. მათ იციან, რომ, როგორც ამ სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებს, შეუძლიათ პოლიტიკაში მონაწილეობა, მაგრამ პოლიტიკაში ჩართვისთვის ჩვეულებრივი მოქალაქეები ბევრ წინააღმდეგობას ხედავენ. ისინი კი, რომლებიც ამბობენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს პოლიტიკაში, ძირითადად ადგილობრივი პოლიტიკით შემოისაზღვრებიან და შორს არიან "დიდი" პოლიტიკისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

მუნიციპალიტეტის მასშტაბით არჩევნები არის მთავარი მოვლენა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები „ახლოს მიდიან" ადგილობრივებთან, ცდილობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში ინვესტირებას, იძლევიან დაპირებებს, ხოლო ამომრჩევლები კი აანალიზებენ კანდიდატებს.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დეკემბერში იყო დაგეგმილი, თუმცა ხელისუფლებამ თარიღი ოქტომბერში გადმოიტანა და ეს ახსნა ზამთარში მაღალმთიან რაიონებში არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული სირთულეებით. არჩევნების ჩატარების თარიღი 28 აგვისტოს გადაწყდა, ასე რომ, ოპოზიციურ პარტიებს მცირე დრო ჰქონდათ საარჩევნო კამპანიის ორგანიზებისათვის. მეორე ცვლილება, რომელიც არჩევნებს უკავშირდებოდა, მისი თარიღის შეცვლა იყო. ამ პერიოდამდე საქართველოში არჩევნები კვირა დღეს იმართებოდა. ამ შემთხვევისათვის კი თარიღად ხუთშაბათი, ხუთი ოქტომბერი შეირჩა. გარდა იმისა, რომ ქართულ კულტურაში ციფრ ხუთს პოზიტიური კონოტაცია აქვს, მმართველი პარტიის საარჩევნო

ნომერი ხუთი იყო და ეს მათი PR კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. დაგეგმილი არჩევნებით თვითმმართველობის სტრუქტურაც იცვლებოდა,[4] რომლის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია ფაქტობრივად არ ჰქონდა. მათ მხოლოდ კანდიდატების გვარები იცოდნენ, ხოლო ის, თუ რა ფუნქციები უნდა შეესრულებინათ მათ სოფლის თემისათვის, მოსახლეობისათვის უცნობი და ნაკლებად საინტერესო იყო.

ერთი შეხედვით, მოქალაქის პოლიტიკური უფლება, აირჩიოს ხელისუფალი, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინტერნალიზებულია. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობის 88% არჩევნებში ყოველთვის მონაწილეობს. პოლიტიკური უფლების განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. თუ რაიონულ ცენტრში არჩევნებში მონაწილეობა დარეგისტრირებული მოსახლეობის მესამედმა მიიღო, სოფლად ეს მონაცემები საკმაოდ მაღალი იყო და 90%-მდე მიაღწია. არჩევნების დროს ქალაქთან შედარებით სოფლის მოსახლეობის მობილიზაციას სოფლის მოსახლეობას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობები იწვევს. ინტერესის მატარებელი პირები, რომლებიც ამა თუ იმ კანდიდატის პროპაგანდას ახორციელებენ, არიან მეზობლები, ნათესავები ან კარგი ნაცნობები, რომელთა განაწყენებას ყველა ერიდება. ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი არჩევნებში მონაწილეობის პროცესს ასე აღწერს: „ესენი სახლში მაინც არ გაგაჩერებენ. თუკი იტყვი, რომ საარჩევნო უბანზე არ მიდიხარ, სახლში მოგიტანენ საარჩევნო ყუთს“ (ქსენია, 78 წლის). არჩევნებით დაინტერესებულ პირებად შეიძლება მოვიაზროთ კანდიდატები, მათი ახლობლები, პოლიტიკური პარტიის წევრები და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ადამიანებს ან პირადი ინტერესები ამოძრავებთ, ან ზედა რგოლის ძალაუფლების მქონე პირთაგან განიცდიან ზეწოლას. ამ შემთხვევაში მოქალაქეთა უმრავლესობა ოპორტუნისტია, რომლებიც როგორც ჟანოვსკი და გრანი აღწერენ, „ორიენტირებულები არიან მოკლევადიან უკუგების მიღებაზე“ (Janoski and Gran: 2008: 40). ყველაზე უფრო გავრცელებული უკუგება ფინანსურია. პროპაგანდისტები, პარტიის წევრები, საარჩევნო კომისიის წევრები და დამ-

[4] მოცემული არჩევნების საშუალებით მოქალაქეები ირჩევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს – საკრებულოს წევრებს. არჩევნები მოიცავდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩევას.

კვირვებლები იღებენ ხელფასს, მაშინ როცა, საჯარო და სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულები ზემდგომი პირებისაგან განიცდიან ზეწოლას, რათა გაატარონ მმართველი პარტიის ინტერესები. ამ შემთხვევაში გვაქვს ვერტიკალური ურთიერთობები, რომლებიც „ასიმეტრულ ურთიერთობებში მყოფ არათანასწორ აგენტებს იერარქიულ და ერთმანეთზე დამოკიდებულ ურთიერთობებში აქცევს“ (Putnam, 1994: 173) და „პატრონის“ ძალაუფლება გავლენას ახდენს მოქალაქის აქტივობაზე. არჩევნებში აქტიურობისათვის საჯარო სამსახურის დასაქმებულთა სარგებელი რეციპროკული, ანუ ორმხრივია. პირი, რომლის ინტერესების დაცვაც ხდება, ყოველთვის ვალდებულია უკუგებით გადაუხადოს პროცესში ჩართულ აქტორებს. ეს უკუგება შეიძლება იყოს სამსახურში დაწინაურება, მისი ან მისი ოჯახის წევრის დასაქმება, ფინანსური დახმარება და ა.შ. საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი პატრონ-კლიენტური ურთიერთობები, რომელიც სტალინის პერიოდიდან მოყოლებული სხვადასხვა მეცნიერის ყურადღებას იპყრობდა (იხილეთ: Charles H. Fairbanks, Jr. 1996 or Willerton. 1992), სპეციფიკურია ადგილობრივი სიტუაციისათვის და განსაკუთრებით თვალში საცემი არჩევნების პერიოდში ხდება.

არჩევნებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი ასევე უკავშირდება ადგილობრივების მიერ თავისი „ხმის დაცვას“. „ბოლოს და ბოლოს ისინი ჩემს ხმას მაინც ვერ გააყალბებენ“, ამ ფრაზას ხშირად გაიგონებთ ადგილობრივებისაგან. „ხმის დაცვა“-ს ორმაგი დატვირთვა აქვს ამომრჩევლებისათვის. ერთი მხრივ, ისინი მხარს უჭერენ სასურველ კანდიდატს თუ პარტიას, მეორე მხრივ კი საარჩევნო კომისიას არ უტოვებენ საშუალებას, რომ არჩევნების გაყალბების მიზნით მათი „ხმა“ ყუთში თვითნებურად ჩააგდოს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების სამართლიანობა ხშირად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, განსაკუთრებით ურბანულ დასახლებებში, ეს საკითხი არ ამცირებს ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის ენთუზიაზმს. არჩევნების წინა პერიოდში გამოკითხული ერთ-ერთი მამაკაცი ამბობს: „მნიშვნელობა არ აქვს მე ვის მივცემ ხმას, მაინც ის გაიმარჯვებს, ვინც მთავრობას უნდა, მაგრამ მე მაინც წავალ არჩევნებზე“ (რევაზი, 62 წლის). არჩევნების სამართლიანობასთან მჭიდრო კავშირშია საარჩევნო სიის სისწორე. ჰერინო და მირზაშვილი 1999 წელს წერდნენ საარჩევნო სიებში ე.წ. „მკვდარი სულების“ არსებობის შესახებ (Herron and I. G. Mirzashvili, 2005:32). თუმცა 6 წლის შემდეგაც ეს პრობლემა კვლავაც

გადაუჭრელი იყო და ადგილობრივები ხშირად ხუმრობდნენ: „როგორ შეიძლება გჯეროდეს არჩევნების სამართლიანობის?! მათ მკვდარი ხალხიც კი მიიწვიეს არჩევნებზე. ჩემი მეზობელი თინა ძალიან გაბრაზდა, როდესაც მან 13 წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის საარჩევნო კენჭი მიიღო. როგორ უნდა იწამო არჩევნების, მაშინ როცა ისინი ხალხს საფლავებიდან იღებენ?!“ (რევაზი, 62 წლის). რესპონდენტების ცინიკური შეფასებები ადგილობრივ სივრცეში ჭარბადაა, თუმცა ეს არ ნიშნავს ცინიკური მოქალაქეების ტიპების გავრცელებას, რადგან, მიუხედავად ცინიკური შეფასებებისა, ადგილობრივები ენთუზიაზმით არიან ჩართული არჩევნების პროცესში.

არჩევნების დღეს მოქალაქეთა განწყობა სოფლად საკმაოდ მხიარული იყო. საარჩევნო უბნის შესასვლელში მოქალაქეები ერთმანეთს დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ფრაზებით ესალმებოდნენ: „ღმერთმა მრავალ არჩევნებს დაგასწროთ!“ ან „გილოცავთ არჩევნების დღეს!“. სოფლისათვის არჩევნები პოზიტიური ცვლილებების მომტანი იყო, რადგან ამ დროისათვის დაიწყო ხელისუფლებამ სამანქანო მაგისტრალის აღდგენა, რკინიგზის ხაზის რეაბილიტაცია, ტყიბულში მდებარე ქვანახშირის შახტების რემონტი და სოციალური დახმარების გაცემა.[5] ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძალისხმევას ფუჭად არ ჩაუვლია. ძალიან მალე ადგილობრივები დარწმუნდნენ, რომ ხელისუფლება „გააუმჯობესებდა ეკონომიკურ სიტუაციას“, „გაზრდიდა პენსიებს“, „აღადგენდა გზებს“, „მისცემდა სტაბილურ მომავალს“ და მოუტანდა მთელ საზოგადოებას კეთილდღეობას. ტელევიზიების საშუალებით ხშირად გაჟღერებული ფრაზები ხალხმა ზეპირად იცოდა და ჩვენთან საუბრისას ხშირად იმეორებდა. სწორედ ამგვარი, თუნდაც მყისიერი, სარგებლის გამო იყო არჩევნების დღე ადგილობრივებისათვის დღესასწაული.

გარდა ცალკეული აქტივობისა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნების წინ აქტიურად ეწეოდა საარჩევნო კამპანიას, რომელიც პირველ რიგში თანამდებობის პირების რეგიონულ ვიზიტებში გამოიხატებოდა. არჩევნების წინ ტყიბულს მაშინდელი პრემიერ მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ეწვია, ხოლო სოფლებში ადგილობრივი ნაციონალური მოძრაობის ოფისის წარმომადგენელი პერიოდულად დადიოდა

---

[5] სწორედ 2006 წლიდან დაიწყო სოციალური პროგრამის (საარსებო შემწეობა) გაცემა საქართველოს მასშტაბით.

და მოსახლეობას ხვდებოდა. პარტიამ ყველა დასახლებულ პუნქტში თავისი პროპაგანდისტები დარაზმა, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და არჩევნების წინ ზუსტად იცოდნენ, რომელი ოჯახი ვისი მხარდამჭერი იყო. გარდა პროპაგანდისტებისა, პარტიის წევრები და საჯარო მოხელეები (მაგალითად, სკოლის დირექტორი, კულტურის სახლის დირექტორი) მოსახლეობას მმართველი პარტიის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ.

საკითხის გასაანალიზებლად მინდა ხაზი გავუსვა რამდენიმე ასპექტს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის პროპაგანდისტული გამოსვლიდან. თავიდან მოსახლეობასთან შეხვედრა დაგეგმილი იყო საკრებულოს შენობაში, თუმცა მოულოდნელად წარმომადგენელმა გადაწყვეტილება შეცვალა და ხალხს სოფლის ცენტრში შეხვდა. სავარაუდოდ, ეს პრეზიდენტის მიბაძვას გავდა. მისი გამოსვლა ასევე ძალიან გავდა პრეზიდენტის გამოსვლას. მან ისაუბრა ბოლო პერიოდში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების შესახებ; ხაზი გაუსვა იმ „სიკეთეებს“, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს განხორციელდა: უფასო სასწრაფო დახმარება, სამხედრო ძალებში გაუმჯობესებული მდგომარეობა, არაკორუფციული პოლიცია და „ქურდულ მენტალიტეტთან“ ბრძოლა. გარდა ამისა, მან ისაუბრა პოლიტიკაში პიროვნების მნიშვნელობაზე: „პიროვნება ყველაფერია, არა?[6] ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი ადრეც და გვყავს ახლაც. რა ტიპის ხალხს ეძებს ახლა ხელისუფლება? მთავრობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყავდეს პატიოსანი და ზრდილობიანი კანდიდატი, ადამიანი, რომელზეც ვერავინ იტყვის ცუდს. ამ სოფელში სწორედ ასეთი კანდიდატი შევარჩიეთ.[7] „მას“ სამივე კრიტერიუმი აქვს, შეგიძლიათ თქვათ, რომ „ის“ არ არის პატიოსანი, ზრდილობიანი ან კეთილი?“ თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ხალხის დარწმუნებას წამოყენებული კანდიდატის პერსონალური თვისებების ხაზგასმით ცდილობდა, ადგილობრივებისათვის უფრო მნიშვნელოვანი მისი მმართველ ხელისუფლებასთან აფილიაცია იყო: „მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მე ხელისუფლებისაგან პოზიტიურ ცვლილებებს ველოდები. მაგრამ მე

---

[6] მოცემული ციტატა წარმოადგენს პროპაგანდის ზედმიწევნით ციტირებას, რომელიც აუდიოსაშუალებით იყო ჩაწერილი.

[7] ეთიკური პრინციპების დაცვის მიზნით, კანდიდატის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის ვინაობას არ ვასახელებთ.

ვერ წავალ ხელისუფლებაში. „ამ სოფლის კანდიდატს“ საკმარისი განათლება აქვს, რომ მთავრობასთან მოლაპარაკებები აწარმოოს და თხოვოს ის, რაც ხალხს სჭირდება. მას შეუძლია ჩვენი ხმა მიაწვდინოს მთავრობას და მთავრობის აზრი მოიტანოს ჩვენამდე“ (დავითი, 45 წლის).

პოზიტიური პერსონა, მმართველ პარტიასთან აფილიაცია და მოლაპარაკებების უნარი, ეს იყო ძირითადი კრიტერიუმი, რის გამოც სოფლად მმართველი პარტიის წარმომადგენელი აირჩიეს.[8]

საარჩევნო პროცესში ჩართული აქტორები

მოცემულ ქვეთავში განხილული საარჩევნო პროცედურების მონაწილე აქტორებს სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური პოზიცია უჭირავთ და საარჩევნო პროცესზეც გავლენას სხვადასხვა ძალით ახდენენ. ყველაზე დაბალი რგოლი ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომლებიც მმართველი გუნდის არჩევის მთავარი პროტაგონისტები უნდა იყვნენ. წარმოდგენილ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოქალაქეები პროცესის აქტიური მონაწილეები არიან, თუმცა არა მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები პირები. ან მოქალაქეთა არჩევანი მნიშვნელოვნად დეტერმინირდება დაპირებებით, ახლო სოციალური კავშირებით და ძალით, ან საარჩევნო კომისია ცვლის მათ გადაწყვეტილებას არჩევნების გაყალბების გზით. მეორე რგოლის, ე.წ. „საშუალო რგოლის“ წარმომადგენლები არიან პროპაგანდისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. არჩევნების პროცესზე მათ მიერ გავლენის მოხდენა განისაზღვრება ზედა რგოლის წარმომადგენლებთან მიმართებაში მათი პოზიციითა და მოლაპარაკებების უნარით. ე.წ. „ზედა რგოლში“ ვაერთიანებთ ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ძლიერ აფილირდებიან ხელისუფლებასთან. ზოგჯერ საშუალო და მაღალი რგოლის წარმომადგენლები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს არჩევნები, ამ შემთხვევაში კი დომინანტი მმართველი გუნდის პოზიციაა; ზოგჯერ მსგავსი შეთანხმება ვერ შედგება. ამ შემთხვევაში ზედა რგოლის პო-

---

[8] 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა ხმების 83% მიიღო.

ლიტიკის მიმართ საშუალო რგოლის რეზისტენტულობა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით დაიძლევა.

უფრო დეტალურად განვიხილოთ საშუალო და მაღალი რგოლის მახასიათებლები. პროპაგანდისტები არიან ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებსაც არჩევნების წინ პარტიები ქირაობენ. მათი ანაზღაურება 2006 წლის არჩევნებისათვის 50 ლარს შეადგენდა თვის განმავლობაში. გარდა კანდიდატის თუ პარტიის პროპაგანდისა, ეს პირები დეტალურად აღწერდნენ, თუ რომელი ოჯახი ვის აძლევდა ხმას. ასე რომ, ხელისუფლებამ არჩევნების წინ თითქმის ზუსტად იცოდა არჩევნების სავარაუდო შედეგი. არჩევნების დღეს ეს ადამიანები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე ისხდნენ გადაშლილი რვეულებით და „თავისი სიის“ მიხედვით თვალს ადევნებენ ამომრჩეველთა აქტივობას.[9] ამომრჩევლები ამგვარი “პარალელური არჩევნების“ შესახებ ინფორმირებულები არიან და ზოგჯერ ეხმარებიან კიდეც პროპაგანდისტებს ამგვარი კოდური შენიშვნებით: „ჰა, აღნიშნე ეხლა შენს დავთარში!“ ან „ხუთიანი ყველაფერში კარგია“. იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების მომხრე პიროვნება საარჩევნო უბანზე არჩევნების დღეს არ მოვიდოდა, მას პროპაგანდისტები მანქანას უგზავნიდნენ და საარჩევნო უბანზე მოჰყავდათ. ამგვარ პრაქტიკას ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ხშირად აპროტესტებდნენ და დამკვირვებლებისაგან რეაგირებას მოითხოვდნენ, თუმცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ეს არ არის კანონდარღვევა და მათ ამ პროცესის კონტროლი არ შეეძლოთ. რადგანაც საარჩევნო უბნის წინ მომხრეთა „პარალელური რეგისტრაცია“ ძნელად დასაკვალიფიცირებელი აქტივობაა, საკითხი რეაგირების გარეშე რჩება.

პროპაგანდისტების უმრავლესობა საჯარო სექტორშია დასაქმებული (სკოლებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში და ა.შ.), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც პროპაგანდისტები უმუშევარი პირები არიან. რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ სოფლის მცხოვრებთაგან დაახლოებით მეხუთედი სხვადასხვა

---

[9] ზოგჯერ მოქალაქეთა ჩართულობის კონტროლი ციფრებშივე აისახებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში პროპაგანდისტები ძალზე განაწყენდნენ, როდესაც წინასწარ განსაზღვრული 350 ხმის ნაცვლად, მმართველი გუნდის კანდიდატმა 284 ხმა მიიღო. ამ პროცესს ხანგრძლივი გარჩევა მოყვა, თუ რომელმა ამომრჩეველმა „უღალატა“ პროპაგანდისტს.

დროს ახორციელებდა პროპაგანდას. მათი უმრავლესობა არ იყო პარტიის წევრი, ნაწილი კი აცხადებდა, რომ საერთოდ არ აინტერესებს პოლიტიკა. მათი ინტერესების და აქტივობის მოდელის მიხედვით, პროპაგანდისტები შეიძლება მივაკუთვნოთ ოპორტუნისტ მოქალაქეთა ტიპს, რომლებიც ვერტიკალური კავშირების გავლენას განიცდიან. საველე სამუშაოების მიმდინარეობისას ამ რგოლის წარმომადგენლებს შორის მე არ შემხვედრია ინკორპორაციული ტიპის მოქალაქე, რომელსაც პარტიის პოზიცია ან ღირებულებები ინტერნალიზებული ექნებოდა. ამ ადამიანებისათვის პარტიის წევრობა ან პარტიისათვის საქმიანობა მათი გუნდის წევრობას ნიშნავდა, რაც ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე ბენეფიტის მიღებასთან იგივდებოდა.

მეორე აქტორი არის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ადგილობრივი ოფისი. ამ ორგანიზაციას თითქმის ყველა რაიონში აქვს ოფისი, რომელიც პასუხისმგებელია დამკვირვებლების რეკრუტირებაზე, მათ მომზადებაზე, არჩევნების დღეს დაკვირვების ორგანიზებაზე და, საბოლოო ჯამში, არჩევნების საბოლოო შედეგების შეფასებაზე. ტყიბულის რაიონში დამკვირვებლების შერჩევა პერსონალური კავშირების საშუალებით ხორციელდებოდა, მთავარი კრიტერიუმი კი მმართველი გუნდის მიმართ პოზიტიური განწყობა იყო.

ზეპირი შეთანხმების მიხედვით, დამკვირვებელს საყვედური ან გაფრთხილება საარჩევნო კომისიისათვის მხოლოდ ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდგომ უნდა დაეწერა, თუმცა, როგორც პრაქტიკიდან ჩანდა, იმ პერიოდში მსგავსი შემთხვევა რაიონული მასშტაბით არ დაფიქსირებულა. კვლევის პერიოდისათვის მოცემული ორგანიზაციის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მმართველ გუნდთან, რაც იმაშიც გამოვლინდა, რომ არჩევნების შემდგომ მან საჯარო სექტორში მნიშვნელოვანი პოზიცია დაიკავა, როგორც “ჯილდო“ რაიონის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების პოზიტიური შეფასებისათვის. ორგანიზაციის ადგილობრივი ხელმძღვანელობის დაინტერესება შესაბამისად ასახვას პოვებდა დამკვირვებლების აქტივობაზე; დამკვირვებლებს საარჩევნო უბანზე არსებული დარღვევების შემთხვევაშიც თვალი უნდა დაეხუჭათ ან, როგორც ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელმა მითხრა, „საარჩევნო უბნიდან უნდა გაესეირნათ“. დამკვირვებლები (შერჩევის კრიტერიუმიდან გამომდინარე) ძირითადად არ აპრო-

ტესტებდნენ ორგანიზაციის მიერ არჩევნების „სამართლიანობის ამ-გვარ დაცვას“, თუმცა, თუ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ორგა-ნიზაციის ან რაიონის ხელმძღვანელობა ამ ადამიანთან მიმართებაში პოულობდა ზეწოლისათვის ეფექტურ ბერკეტს და აქტიურად იყენებ-და მას. ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი ჩემთან ინტერვიუში აღნიშნავდა: „შალიკიანის არჩევნების დროს მე სამართლიანი არჩევნების დამკვირ-ვებელი ვიყავი. ბევრი უზუსტობა და კანონდარღვევა დავინახე და ლა-მის გავგიჟდი. საარჩევნო კომისიის წევრებს ყველა პასტა გადავუმ-ტვრიე. სხვა არაფრის გაკეთება არ შემეძლო. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ისეთი კაცი იყო, რომელსაც პატივს ვცემდი და მას ოქმს ვერ შევუდგენდი“. არასამთავრობო ორგანიზაციის რეალური ფუნქცია – არჩევნების პროცესის მონიტორინგი – ამ რაიონის მასშტა-ბით შეცვლილი იყო და ის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გან-ხორციელებული არაკანონიერი ქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზ-მად იყო ქცეული. ლორენს ბროერსი 2005 წელს წერდა საქართველოში პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ალიანსის შესა-ხებ. ამის დასადასტურებლად ის აღწერდა არასამთავრობო ორგანი-ზაციის წარმომადგენლების პოლიტიკურ არენაზე გადასვლის პრო-ცესს. მისი თქმით, „ეს პროცესი განსაკუთრებით ლოკალურ დონეზე იჩენს თავს, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენ-ლებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საკუთარი პოლიტიკური კარიერის შესაქმნელად იბრძვიან“ (Broers. 2005).

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ზემოთ აღწერილ ლოგიკას ემორჩილებოდნენ. ისინი ძირითადად ფინანსური ინტერესე-ბის გამო იკავებდნენ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლის პოზიციას. კრიტიკული სიტუაციის დროს კი ცდილობდნენ სიჩუმე შეენარჩუნები-ნათ და რეაგირება არ მოეხდინათ. ადგილობრივი ხელისუფლება მო-სახლეობაზე ზეწოლის სხვადასხვა მეთოდს იყენებდა: ზოგ შემთხვევა-ში ეს იყო შანტაჟი, ზოგჯერ იძულება, ან დაპირებები. ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა არჩევნების გაყალბებისას თა-ვისი უმოქმედობა ამგვარად ახსნა: “ისინი [ადგილობრივი ხელისუფ-ლების წარმომადგენლები] ამას ყველას აიძულებენ სხვადასხვა მეთო-დის გამოყენებით. ჩემი პარტია მე 30 ლარს მიხდის და ეს თანხა ნამ-დვილად არ ღირს მთავრობის წინააღმდეგ წასასვლელად. არ ვაპირებ არჩევნებს თავი შევაკლა“. ამ ქალბატონმა არ აღნიშნა, თუ რა იყო მას-

ზე ზემოქმედების მექანიზმი, თუმცა მე კი მირჩია: – „შენც იგივეს გირჩევ, თორემ მათ შეუძლიათ თავისი მუქარის შესრულება. ეს ადრეც ასე იყო. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მე თვითონ ჩავყარე 800 ხმა“. როგორც მოყვანილი დიალოგი გვიჩვენებს, არჩევნების პროცესში გამოყენებული თამაშის წესები ადგილობრივ დონეზე არ იცვლება, მხოლოდ ძალაუფლების მფლობელი აქტორები ცირკულირებენ. ადგილობრივ ხელისუფლებაში ახლად მოსულები თამაშის წესებს არ ცვლიან და ეს აქტორების მოქმედების თუ უმოქმედობის ლეგიტიმაციის საფუძველია.

საარჩევნო კომისიის რიგითი წევრები ასევე შეიძლება მივაკუთნოთ საშუალო რგოლს. იმ საარჩევნო უბანზე, სადაც მე ვახორციელებდი დაკვირვებას, სამი წევრი იყო ლეიბორისტული პარტიიდან, ერთი ახალი მემარჯვენეების პარტიიდან, ხოლო დანარჩენი ხუთი წევრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. მათი ანაზღაურება 200 ლარს შეადგენდა. მათი უმრავლესობა სხვა სამსახურში ან ხშირად საჯარო სექტორში იყო დასაქმებული. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები წინასწარ იყვნენ მზად შესაძლო გაყალბებისათვის. მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დილითვე გამაფრთხილა, რომ მმართველი გუნდი არჩევნებს გააყალბებდა და მთხოვა შესაბამისი ზომები მიმეღო. თუმცა დღის ბოლოს ის მშვიდად იჯდა და არჩევნების სამართლიანობის დაცვისათვის არაფერს აკეთებდა, რადგან ამ შემთხვევაში მას მეუღლის სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ. გავლენის მოხდენის მექანიზმები სხვადასხვა დონეზე იგივეობრივია. პირები, რომლებმაც ოპოზიციური პარტიის თუ, ზოგადად, საზოგადოების ინტერესები უნდა დაიცვან, პირადი და ოჯახური ინტერესების დაცვას ამჯობინებენ, რაც არჩევნების გაყალბების პროცესს აიოლებს. საარჩევნო კომისიის წევრები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, დეტალურად იცავენ არჩევნების მცირედ დეტალებს, როგორიცაა: ამომრჩეველთა მარკირება, მათი დოკუმენტების შემოწმება, სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერა, კენჭისყრის ბიულეტენების კონვერტებში მოთავსება. მათ ასევე ზედმიწევნით იციან საარჩევნო პროცედურები, თუმცა ასევე კარგად ფლობენ არჩევნების გაყალბების „ხელოვნებას“. დღის ბოლოს ყველა მათგანი იცავს საარჩევნო უბანში მიმდინარე მოვლენების შესახებ საიდუმლოს, რის გამოც ჩვეულებრივ მოქალაქე-

ებს შთაბეჭდილება რჩებათ, რომ არჩევნები ყოველგვარი პროცედურის დაცვით და სამართლიანად ჩატარდა.

არჩევნებში მონაწილე აქტორების ზედა რგოლი ყველაზე დიდი ძალაუფლების მატარებელი აქტორებისაგან შედგება, ისინი შეიძლება იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მმართველი გუნდის წევრები, ან სხვა საჯარო სექტორის თანამდებობის პირები. არჩევნების დღეს ისინი მაქსიმალურად იყენებენ თავის ძალაუფლებას, ხელისუფლების მხარდაჭერას ან თავიანთი დასაქმებულების რესურსებს. ისინიც ზედმიწევნით იცავენ არჩევნების მცირედ პროცედურებს, რათა გარე მაყურებლებს არჩევნების სამართლიანობის განცდა დაეუფლოთ. თუმცა სწორედ ისინი ახდენენ არჩევნების გაყალბების ორგანიზებას (ძირითადად კი, საარჩევნო ყუთში ხმების ჩაყრით). სხვადასხვა პარტიასთან მოლაპარაკებების მექანიზმი სხვადასხვაა, ოპონენტის ძლიერი ან სუსტი მხარეების გათვალისწინებით. მათ ინტერესებშია, რომ არჩევნების გაყალბება არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ, ზოგადად, დაფარული იყოს. თავისი ქმედებების გასამართლებლად ისინი ხშირად იყენებენ ფრაზას – „მე ხალხს ვემსახურები!“ გაყალბების ლეგიტიმაციისათვის ასევე ხშირად გამოიყენება სხვა ქვეყნებში არსებული სიტუაციების შესახებ მითები თუ რეალობა: „შენ რა გგონია, სხვაგან არ ყალბდება არჩევნები?! აბა როგორ მოიგო ბუშმა?!“. იტალო პარდოს აზრით, „ობიექტური გარემოებები, რომელშიც ინდივიდები აღმოჩნდებიან და მათი რწმენა, რომ ყველა დანარჩენი ამასვე აკეთებს, მნიშვნელოვან მოტივაციას უქმნის პირს კორუფციულ კულტურაში ჩასართველად“ (Pardo. 2000:11). არჩევნების გაყალბების კულტურის ლეგიტიმაციას არა მხოლოდ არჩევნებში ჩართული აქტორები, არამედ გარეშე პირებიც ცდილობენ. ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა ჩემ მიერ არჩევნების გაყალბების პროტესტზე ასე მიპასუხა: „ეს არ არის გაყალბება, რადგან საარჩევნო უბანში ხმები ამომრჩეველთა რაოდენობის გასაზრდელად ჩაყარეს და ხმები პროპორციულად გაიყო პარტიებს შორის. ამას ეს ხალხი [იგულისხმება საარჩევნო კომისიის წევრები] თვითნებურად აკეთებს, ხელისუფლება ამ პროცესში ჩართული არ არის. მათ სურთ ხელისუფლების თვალში „მაღალი ქულები“ დაიწერონ, მოგვიანებით დაწინაურება ან სამსახური რომ მოითხოვონ. გარდა ამისა, გაითვალისწინე, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გაუნათლებელი ხალხია და მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რეფორმის გატარების

პროცესი და ხელისუფლების პოლიტიკის გატარება შეჩერდება“ (გიორგი, 29 წლის).

ეს ახსნა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს, თუ სად გადის ზღვარი არალეგალურსა და ლეგალურს შორის. გარდა ამისა, ბრალი გადადის პერსონაზე, პარტიისა თუ გუნდის იმიჯის დაცვის მიზნით. მსგავსი პრაქტიკის შესახებ იტალო პარდო წერს, რომ კორუფციაში ჩართული პირები ქმნიან იმიჯს; რომ კორუმპირებული ფუნდამენტურად და მთლიანად სისტემა კი არ არის, ეს ცალკეული პირების გადაცდომაა (Pardo. 2000). ამომრჩევლების რაოდენობის გაზრდის მიზნით „ხმების ჩაყრა“ ნამდვილად ვერ იქნება ლეგიტიმური არგუმენტი, რადგან არ არსებობს ქვოტა, რის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდება. უფრო საგულისხმოა მეორე არგუმენტი, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა ხელისუფლებაში მოსვლა რეფორმის პროცესს შეაჩერებს და ემსახურება მოქალაქეებზე „ზრუნვის“ იმიჯის შენარჩუნებას; მოქალაქეებზე, რომლებსაც თავად არ შესწევთ უნარი მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ოფიციალური პირის მცდელობა, მოახდინოს არალეგალური ქცევის ლეგიტიმაცია და „იხსნას“ ხელისუფლების და პარტიის იმიჯი, მაფიქრებინებს, რომ შეიძლება ზედა რგოლში იყვნენ ინკორპორაციული ტიპის მოქალაქეები, რომლებიც „პარტიასა და ხელისუფლების ინტერესებთან იდენტიფიცირდებიან და მათი მიზნების მხარდასაჭერად ახორციელებენ აქტივობებს“ (Janoski and Gran: 2008: 39), თუმცა მათი მიზნების მორალურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

დასკვნა

მოცემული სტატიის მიზანია წარმოადგინოს საქართველოს რაიონებში არჩევნების დროს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის პროცესი. არჩევნების პროცესი საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები ლიმიტირებულია. მათი პოზიციები განიცდის სოციალური ურთიერთობების გავლენას. ოპორტუნისტი მოქალაქეები ხშირად იყენებენ არჩევნებს დაწინაურებისათვის ან მატერიალური შემოსავლების მისაღებად. ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებსაც პოლიტიკურ პარტიებთან, ხელისუფლებასთან ან სხვა ინტერესის მატარებელ ორგანიზაციასთან უშუალო შეხება არ აქვთ, შეიძლება მივაკუთვნოთ დიფერენციალური მოქალა-

ქეების ტიპს, რომლებიც ეთანხმებიან თემის, მეზობლების, მეგობრებისა და ნაცნობების ზოგად განწყობებსა და პოზიციებს. იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს აქტიური მოქალაქის ტიპი, თუმცა ასეთები ცოტანი არიან და მათი ძალისხმევა აზრს მოკლებულია. ასევე გვხვდებიან მარგინალური მოქალაქეები, რომლებიც პროცესისაგან სრულიად გამიჯნულები არიან. პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ახდენენ ინტერესის მატარებელი პირები და ძალაუფლების მფლობელები, რომლებმაც იციან როგორ გამოიყენონ ძალაუფლება და როგორ იბატონონ მოქალაქეებზე.

შედეგების გასაანალიზებლად ძალზე მორგებულია ბეილის პოზიცია, რომლის მიხედვით არჩევნების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კონკურენტული თამაში, სადაც მონაწილეები თანხმდებიან რაზე და როგორ უნდა ითამაშონ. ამომრჩევლებმა იციან, რომ მათ თავისი ვალი უნდა მოიხადონ და ხმა მისცენ, რათა არ შეაჩერონ „პოზიტიური ცვლილებები", ან მხარი უნდა დაუჭირონ მათ ახლობლებს. მას შემდეგ, რაც ჩვეულებრივი მოქალაქე ინტერესის მატარებელი ხდება, ის აქტიურად იწყებს თავისი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლას. თუკი რომელიმე მოქალაქე შეძლებს უფრო ზედა რგოლში გადასვლას, მაშინ ის იწყებს თავისი ძალაუფლების დაცვას იმ წესების გამოყენებით, რომლებიც წინა თაობამ უკვე დაამკვიდრა ადგილობრივი მასშტაბით. მოქალაქეთა უმრავლესობისათვის ეს პროცესები ცნობილია, თუმცა ისინი მიმღებლები არიან და ამას არ აპროტესტებენ. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ ამ სიტუაციაში გამორჩენა ნახონ.

ლიტერატურა:

1. Bailey, F.G. 2002. Stratagems and spoils, in: *The anthropology of politics.* (ed.) Joan Vincent. Malden, Mass: Blackwell.
2. Broers, Laurence. 2005. After the 'revolution': civil society and the challenges of consolidating democracy in Georgia, in: *Central Asian Survey*, no 24(3), pp 333-320
3. Charles H. Fairbanks, Jr. 1996. Clientelism and the Roots of Post-Soviet Disorder, in: *Transcaucasia, Nationalism, and Social Change: Essays in the History of Armenia, Azerbaijan, and Georgia.* (ed) Ronald Grigor Suny.

http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=31/TTL=13/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3EAnn Arbor: University of Michigan Press

4. Haugaard, Mark, 1997. The construction of power: A theoretical analysis of power, knowledge and structure, http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=62/TTL=8/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3EManchester : Manchester University Press
5. Herron, Erik, S. and Mirzashvili Irakli G. 2005. 'Georgians Cannot Help Being Original': the Evolution of Election Rules in the Republic of Georgia, in: *The State of Law in the* South Caucasus. (ed.) Christopher P.M. Waters. http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=35/TTL=1/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3EBasingstoke: Palgrave Macmillan
6. Janoski, Thomas and Gran, Brian. 2008. Political citizenship: Foundation of rights, in: *Handbook of citizenship studies.* (ed.) Engin F. Isin. http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=107/TTL=1/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3ELos Angeles, California
7. Jones, Stephen F. 2000. Democracy from Below? Interest Groups in Georgian Society, in: *Slavic Review*, Vol. 59, No. 1 , pp. 42-73
8. Lang, Graeme. 2005. 'Democratic Ignorance' and the politics of knowledge, in: *International Review of Sociology.* Vol.15(1), pp.203-206
9. Lister, Michael.2005. Marshall-ing' Social and Political Citizenship: Towards a Unified Conception of Citizenship, in: *Government and Opposition.* Vol. 40 (4), p.471-491
10. Nodia, Ghia. 2002. Putting the State back Together in Post-Soviet Georgia, in: *Beyond state crisis? : postcolonial Africa and post-Soviet Eurasia in comparative perspective.* (eds.) Mark R. Beissinger and Crawford Young. http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=6/TTL=1/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3EWashington, DC : Woodrow Wilson Center Press
11. Nodia, Ghia.1997. Democracy without democrats, in: *War Reports,* No 56, p19
12. Pardo, Italo. 2000.Introduction: Morals of Legitimacy: Interplay Between Responsibility, Authority and Trust, in: *Morals of Legitimacy:*

Between Agency and System, (Ed.) Italo Pardo. Bergbabn Books: New York, Oxford

13. Putnam, Robert D., Leonardi, Robert and Nanetti, Raffaella Y. 1994: Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy. http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=21/TTL=7/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3EPrinceton, NJ : Princeton Univ. Press
14. Willerton, John P. 1992. Patronage and politics in the USSR, http://vzopc4.gbv.de:8080/DB=6/SET=22/TTL=1/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtourl%3ECambridge: Cambridge University Press
15. Walzer, Michael. 1998. The civil society argument, in: *The citizenship debates*. Gershon Shafir, (ed.) Minneapolis: University of Minnesota Press

Teona Mataradze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

"Realization of Citizens' Political Rights during the Elections of Self-Governmental Body, Case of Tkibuli district"

Resume

The presentation (which was presented at Max Planck Institute for Social Anthropology) is based on the ethnographic material, which was gathered during one year fieldwork carried out in Tkibuli district (village Sats'ire) during 2006-2007. The empirical data of the presentation are survey results as well as observations made before and during the elections of self-governmental body.

The data I present is discussed within the framework of theory of political citizenship. The work of Thomas Janoski and Brian Gran "Political citizenship: Foundations of rights" helps me to explain the empirical material. The process of election observed in one of the districts of Georgia gives me a possibility to explore and analyze the implementation of political rights of citizens from below, at grass root level. According to the behavioral activity and value involvement, Janoski and Gran suggest a typology of six different types of citizens-selves: Incorporated, active, deferential, cynical, opportunistic, marginal citizens-selves. According to the political practices, I classify the citizens of Georgia in different types of citizens-selves.

The presentation will include the explanations about the local understanding of politics as “Dirty business”, differentiation between the “big” and “small” politics, legitimacy of persons while participating in politics. Furthermore, the presentation will highlight the attitudes of citizens towards the elections, participation in elections, their political activities as well as the main actors in the election process.

მაია მესტვირიშვილი
ხათუნა მარწყვიშვილი
ლუიზა არუთინოვი
ნათია მესტვირიშვილი

მოქალაქეობის ტიპი როგორც სოციოკულტურული იდენტობა

ყველა ადამიანს აქვს გარკვეული დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ. თუმცა, ქვეყნის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და/ან შეხედულებები შეიძლება განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ესპლიციტური, ღია, ცენტრალური და ძლიერია ისინი (Schwarz & Bohner, 2001). დამოკიდებულებათა ეს განზომილებები ინდივიდის ყოველდღიური ქცევის ნიმუშებში პოვებს ასახვას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის თვითდეტერმინაციის პროცესში და აყალიბებს ნაციონალური იდენტობის განცდას.

ზოგადად, ნაციონალური იდენტობა თვითკატეგორიზაციის მნიშვნელოვანი კონსტრუქტია, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის გრძნობებზე, აზროვნებასა და ქცევაზე. ნაციონალური იდენტობის ქცევითი განზომილება ინდივიდის მოქალაქეობრივი სტილია. დღესდღეობით, მკვლევართა აზრით, იმისათვის, რომ ნაციონალური იდენტობა კომპლექსურად და სრულად იქნეს შესწავლილი, არსებითია, ასევე, იმის შესწავლაც, თუ როგორ ხდება მოქალაქის სტილის კონსტრუირება და მანიფესტაცია (Jamieson, 2002). მოქალაქის იდენტობის სტილი პირდაპირ გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ იქცევიან ადამიანები მაშინ, როდესაც მათი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებები და გრძნობები აქტუალიზებულია, არამედ გავლენას ახდენს ასევე იმაზეც, თუ როგორ განსაზღვრავს ინდივიდი საკუთარი ეროვნული ჯგუფის წევრობას.

ტრადიციულად, მკვლევრები განასხვავებენ მოქალაქის იდენტობის ორ სტილს: ეთნიკურ და სახელმწიფო მოქალაქეობას (Smith, 2011;

Kohn, 1944). ეთნიკური მოქალაქეობრივი სტილი გულისხმობს, რომ გენეალოგიური კავშირების არსებობა აუცილებელია დომინანტური ეთნიკური ჯგუფის წევრობისათვის (Reijerse, Van Acker, Vanbeselaere, Phalet, & Duriez, in press). ამის საპირისპიროდ, მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილი შეიძლება დამახასიათებელი იყოს ყველასათვის, ვინც პატივს სცემს და აღიარებს ქვეყნის კანონს და ვინც აქტიურად არის ჩართული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლო ხანებში მკვლევრები სვამენ კითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი დიქოტომია სრულად ასახავდეს მოქალაქის იდენტობის სტილის კომპლექსურ ბუნებას (Kymlicka, 2001). ემპირიული კვლევების შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, უნდა არსებობდეს მოქალაქის იდენტობის მესამე სტილი – კულტურაზე ორიენტირებული მოქალაქის იდენტობა, – რომელიც გულისხმობს როგორც კულტურულ ვალდებულებას, ასევე ეროვნული კულტურის ელემენტებთან ადაპტაციას. ის ინდივიდები, რომლებსაც ახასიათებთ კულტურაზე ორიენტირებული მოქალაქის იდენტობა, ეროვნული კულტურის მიმართ ავლენენ პატივისცემის მაღალ ხარისხს და მისი დაცვის სურვილსაც გამოხატავენ (Reijerse, in press). ეს ინდივიდები სენსიტიურები არიან კულტურასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ და მიაჩნიათ, რომ მათი ცოდნა და პატივისცემა არსებითია იმისათვის, რომ ითვლებოდე ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქედ.

ცხადია, უნდა არსებობდეს გარკვეული დისპოზიციური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტია მოქალაქის იდენტობის ფორმირებისათვის. მოქალაქის იდენტობის თითოეული სტილი განსხვავებულ შინაარსსა და მახასიათებელებს მოიცავს. შესაბამისად, ისინი განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით, რომელთა სპექტრი ძალზე ფართოა – დაწყებული დისპოზიციური ნიშნებით და დამთავრებული პოლიტიკური თუ სოციალური დისკურსით. პოტენციური დეტერმინანტების მრავალფეროვნება ართულებს მოქალაქის იდენტობის კონსტრუქტის არსის გაგებას, თუმცა, ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება ისეთი სხვადასხვა ცვლადების შემოწმებით, როგორებიცაა: ღირებულებები, რწმენები, ემოციური მიჯაჭვულობა, სიამაყე და ა.შ.

წინამდებარე კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ცვლადების სამი ჯგუფი, როგორც მოქალაქის იდენტობის ეთნიკური, სახელმწიფო მოქალაქის და კულტურაზე ორიენტირებული სტილის რეპრეზენტაციის პოტენციური პრედიქტორები. ცვლადების პირველი ჯგუფი მოიცავს

ეროვნულ დამოკიდებულებებს: ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი და ნაციონალური იდენტიფიკაციის ხარისხი. კვლევების თანახმად, ეროვნული შეხედულებები/ დამოკიდებულებები (national attitudes) ცენტრალურ როლს ასრულებს პოლიტიკურ იდეოლოგიასა და სოციოპოლიტიკურ ქცევაში (Todosijević, 2001). ნაციონალიზმი პოზიტიურად უკავშირდება კონსერვატიზმს (Baughn & Yaprak, 1996; Sharma et al., 1995; Sullivan, Piereson, & Marcus, 1982) და ნეგატიურად კორელირებს განათლების დონესთან (Howard, 1989; Sharma, Shimp, & Shin, 1995). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეროვნულ რწმენებს/დამოკიდებულებებს ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მოქალაქეობის სტილის ჩამოყალიბებაზეც. პრედიქტორთა მეორე რიგი კულტურულ და რელიგიურ დამოკიდებულებებს მოიცავს. კულტურული კონსტრუქტები, როგორიცაა ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი, ორგანიზაციული სამოქალაქო ქცევის პრედიქტორებს წარმოადგენენ (Moorman & Blakely, 1995). ამავდროულად, ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი ნაციონალური იდენტობის ძირითად კომპონენტებადაც განიხილება (Takano and Osaka 1999, cited in Spiejberger & Ungersböck, 2005). რამდენადაც კულტურაზე ორიენტირებულ დამოკიდებულებებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს მოქალაქის იდენტობის კომპოზიციაზე, იმდენად შეუძლია ქცევის აღმძვრელის როლი შეასრულოს გარკვეულ სოციალურ კონტექსტში. ამდენად, წარმოდგენილ კვლევაში ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მოქალაქის იდენტობის სტილზე გავლენას ახდენს კულტურული დამოკიდებულებებიც. ქართული ნაციონალიზმის დისკურსში რელიგია განსაკუთრებულ ადგილს იკავებს: ქრისტიანობა წარმოადგენს საფუძველს, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს საქართველოს, როგორც ქვეყნის, და ქართულ ენას ერის, შენარჩუნებაში. ფაქტია, რომ საქართველოში რელიგია და ნაციონალიზმი ყოველთვის განამტკიცებდა და აძლიერებდა ერთიმეორეს. შესაბამისად, ჩვენს კვლევაში რელიგიურობა წარმოადგენს მოქალაქეობრივი იდენტობის სტილის ერთ-ერთ სავარაუდო პრედიქტორს.

ამგვარად, წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ეროვნული, კულტურული და რელიგიური დამოკიდებულებები მოქალაქის იდენტობასთან მიმართებაში და ახსნას, თუ რა უნიკალური წვლილი მიუძღვით მათ მოქალაქეობრივი იდენტობის ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული ტიპების ფორმირებაში. ჩვენი ჰიპოთეზები შემდეგია: (1) მოქალაქის იდენტობის კულტურული და სა-

ხელმწიფო სტილი პოზიტიურად არის დაკავშირებული პატრიოტიზმსა და ინდივიდუალიზმთან, მაშინ როცა, ეთნიკური სტილი პოზიტიურად არის დაკავშირებული ნაციონალიზმთან, მართლმადიდებლობასა და კოლექტივიზმთან; (2) ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს ყველაზე დიდი პრედიქტორული ღირებულება აქვს, ზოგადად, ნებისმიერი მოქალაქეობრივი იდენტობის სტილისთვის; (3) რელიგიური რწმენა (მართლმადიდებლობა) ყველაზე ძლიერი პრედიქტორია მოქალაქეობრივი იდენტობის ეთნიკური სტილისთვის, ხოლო პატრიოტიზმი – მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილისათვის.

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები

კვლევაში ჩართული იყო საქართველოს შვიდი ძირითადი უნივერსიტეტი: ოთხი უნივერსიტეტი ქვეყნის დედაქალაქში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი სამი კი – ბათუმში, თელავსა და გორში. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 415 მდედრობითი და 270 მამრობით სქესის 18-დან 24 წლამდე სტუდენტმა (M =1.66; SD= 21,04).

კვლევის ინსტრუმენტები

მოქალაქის და ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციის სკალა

სკალა მოიცავს კითხვების სამ ჯგუფს. კითხვათა თითოეული ეს ჯგუფი აღებულია ვანბესალიერის მოქალაქის იდენტობის რეპრეზენტაციის ტიპის სკალიდან (Vanbeselaere 2007 and Meeus et al. 2010) და მოწოდებულია ნაციონალური იდენტიფიკაციის სხვადასხვა მახასიათებლის გასაზომად. ხუთი დებულება იკვლევს, რა ხარისხით ახდენენ კვლევის მონაწილეები საკუთარი თავის, როგორც ქართველების, იდენტიფიცირებას (ნაციონალური იდენტობა). თორმეტი ზედსართავი გამოხატავს პიროვნულ მახასიათებლებს და ნაციონალური იდენტიფიკაციის ემოციური განზომილების შესაფასებლად გამოიყენება. მოქალაქის ტიპის განმსაზღვრელი სკალა მოიცავს სამ ქვესკალას, რომელთაგან თითოეული ზომავს მოქალაქის ეთნიკურ, სახელმწიფოებრივ ან კულტურულ სტილს. ის დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ეთნიკურ სტილთან, ხაზს უსვამს ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას (მაგ., საერთო წინაპრები). კულტურაზე ორიენტირე-

ბული მოქალაქის სტილის შესაფასებელი დებულებები ხაზს უსვამს დომინანტურ ეროვნულ კულტურაზე ზრუნვასა და დაცვას. დაბოლოს, სახელმწიფოებრივი მოქალაქის სტილის საზომი დებულებები აქცენტს აკეთებს ნორმებისა და კანონების პატივისცემასა და, ასევე, სახალხო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობაზე.

პატრიოტული და ნაციონალური დამოკიდებულებები

პატრიოტიზმის გასაზომად კვლევაში გამოვიყენეთ Kosterman-ისა და Feschbach-ის (1989) მიერ შექმნილი ინსტრუმენტის ქვესკალა. ის მოიცავს დებულებებს, რომლებიც ზომავს სამშობლოსთან დაკავშირებულ განცდებს (Kosterman & Feschbach, 1989). ჩვენ უარი ვთქვით ამავე ინტრუმენტის ნაციონალიზმის სუბსკალის გამოყენებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ნაციონალიზმის სუბსკალის დებულებებში აქცენტი გაკეთებულია შეერთებული შტატების სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეზე და დომინანტურობაზე, რაც ქართული კონტექსტისათვის ირელევანტურია. ეროვნული ნაციონალიზმის საკვლევად შერჩეულ იქნა თოდოჟევიჩის ნაციონალიზმის სკალა, რომელიც მოიცავს 17 დებულებას (Todosijevic, 2001). დებულებები ასახავს ნაციონალიზმის როგორც ეთნოცენტრულ, ასევე რომანტიკულ ფორმებს, რომლებიც ქვეყნების უმრავლესობისათვის უნივერსალური და რელევანტურია.

რელიგიური განზომილებები

იდენტობის რელიგიური ასპექტის საკვლევად გამოვიყენეთ რელიგიურობის საკვლევი სკალა, რომელიც მოიცავს 39 დებულებას და ზომავს ორგანზომილებიან სივრცეში მდებარე რელიგიური რეპრეზენტაციის ტიპებს (Duriez et al., 2005). ვერტიკალური ღერძი – ტრანსცენდენტურობის ექსკლუზია ტრანსცენდენტურობის ინკლუზიის საპირისპიროდ – მოწოდებულია იმისათვის, რომ იკვლიოს, თუ რა ხარისხით იღებს ინდივიდი ღმერთის არსებობას ან სხვა ტრანსცენდენტურ რეალობას და, მაშასადამე, ის საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ რელიგიური და არარელიგიური ინდივიდები. ჰორიზონტალური ღერძი – ლიტერალურობა სიმბოლურის საწინააღმდეგოდ – გვიჩვენებს, როგორაა ინტერპრეტირებული ინდივიდის მიერ რელიგიური ტექსტები – სიტყვასიტყვით თუ სიმბოლურად. შესაბამისად, პოსტკრიტიკული რწმენების სკალა ზომავს რელიგიური ორიენ-

ტაციის ოთხ განსხვავებულ ტიპს: ორთოდოქსულობა, მეორადი გადაფასება, რელატივიზმი და გარეგანი კრიტიკა.

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი

წარმოდგენილ კვლევაში გამოვიყენეთ ფიშერის (Fischer, 2009) ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის სკალა, რომელიც ეფუძნება თრიანდისის (Triandis) თეორიას და წარმოადგენს იამაგუჩის (Yamaguchi, 1994) ორიგინალური სკალის გადამუშავებულ ვერსიას. დებულებათა 22 წყვილი, რომელთა თითოეული წევრი 7-ბალიანი სკალის საწინააღმდეგო პოლუსებზეა მოთავსებული, ასახავს კოლექტივიზმსა და ნაციონალიზმს, როგორც ურთიერთსაპირისპირო ორიენტაციებს. კითხვარში წარმოდგენილია ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის ოთხი მახასიათებელი: (1) თვითაღქმა; (2) მიზნები; (3) სხვებთან კავშირი-/ურთიერთობა; (4) ქცევითი პოტენციალი.

მიღებული შედეგები

აღწერითი სტატისტიკა

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ცვლადები – ასაკი და სქესი – დაკავშირებულია მხოლოდ ცვლადთან – რელიგია. ქალები ავლენდნენ ორთოდოქსულობის უფრო მაღალ დონეს (M=5.16 SD=1.16), ვიდრე მამაკაცები (M=4.85 SD=1.25) (t (590)=3.11, p =.002).

ნაციონალური იდენტიფიკაციის, პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის და ჯგუფშიდა დამოკიდებულების მოქალაქის იდენტობის ტიპებზე/სტილებზე გავლენის საკვლევად გამოყენებულ იქნა ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი.

მონაცემთა დისპერსიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მოქალაქის ტიპები განსხვავდებიან პატრიოტიზმის, ეთნოცენტრიზმისა და ნაციონალური მიჯაჭვულობის მაჩვენებლების მიხედვით (უკანასკნელი ორი ცვლადი ნაციონალიზმის ქვესკალებს წარმოადგენს).

განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა $p < .001$ დონეზე ყველა ცვლადს შორის მოქალაქის სტილის სამივე ჯგუფისათვის. Post hoc შედარებამ (Tukey HSD test) აჩვენა, რომ ნაციონალური იდენტიფიკაციის, ეთნოცენტრიზმისა და ეროვნული მიჯაჭვულობის საშუალო მაჩვენებლები შემდეგი თანმიმდევრობით იზრდება: ყველაზე დაბალია მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილის შემთხვევაში,

რასაც მოსდევს კულტურული სტილი, ხოლო ამ ცვლადების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება მოქალაქის ეთნიკური სტილის დროს. აღსანიშნავია, რომ პატრიოტიზმის სკალის მაჩვენებლები უფრო მაღალია მოქალაქის სახელწიფოებრივი სტილისათვის, ვიდრე ეთნიკური და კულტურული სტილისათვის. ასევე, ჯგუფშიდა დამოკიდებულებები გამოვლინდა მოქალაქის იდენტობის კულტურული სტილისათვის, მაგრამ რეალური განსხვავებები საშუალო მაჩვენებლებს შორის მცირეა. ეტა კვადრატის საშუალებით გამოთვლილი ეფექტის ზომა ამ შედეგისთვის მცირეა (.01).

ცხრილი 1

	ნაციონალური იდენტიფიკაცია	პატრიოტიზმი	ეთნოცენტრიზმი	ნაციონალური მიჯაჭვულობა	შიდაჯგუფური დამოკიდებულება
	M	M	M	M	M
1. სახელმწიფოებრივი	5.48 2,3	5.60 2,3	3.76 2,3	4.24 2,3	5.06 2
2. კულტურული	6.03 1	6.03 1	4.37 1,3	4.72 1,3	5.21 1
3. ეთნიკური	6.12 1	5.97 1	4.92 1,2	5.05 1,2	4.98
Eta squared	*0.05*	*0.04*	*0.11*	*0.09*	*0.01*
df	*2.592*	*2.550*	*2.563*	*2.563*	*2.581*
F	*17.03*	*10.81*	*35.11*	*28.45*	*3.42*
Sig	*.00*	*.00*	*.00*	*.00*	*0.03*

$*p < .05$. $**p < .01$. $***p < .001$

ცხრილში N2 მოცემულია აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის კორელაციები. მოქალაქის იდენტობის კულტურული სტილი პოზიტიურად არის დაკავშირებული პატრიოტიზმის, ნაციონალიზმისა და რელიგიის ორთოდოქსულ განზომილებასთან, მაშინ როცა, მოქალაქის იდენტობის სახელმწიფო სტილი არ აღმოჩნდა კავშირში ნაციონალიზმთან და მხოლოდ სუსტად კორელირებს ორთოდოქსულობასა და პატრიოტიზმთან. ეთნიკური სტილი ასევე პოზიტიურ კორელაციაში აღმოჩნდა ნაციონალიზმსა და ორთოდოქსულობასთან, მაგრამ ძლიერ სუსტ კორელაციაშია პატრიოტიზმთან.

ცხრილი 2

	M	SD	1	2	3	4	5	6	7	8	9
1. ნაციონალური იდენტიფიკაცია	5.92	1.00	(.81)								
2. სახელწიფოებრიობის განზომილება	5.54	.79	.25**	(.82)							
3. კულტურული განზომილება	5.94	.72	.52**	.44**	(.79)						
4. ეთნიკური განზომილება	4.82	1.40	.31**	.05	.40**	(.73)					
5. პატრიოტიზმი	5.92	.83	.47**	.22**	.49**	.14**	(.79)				
6. ნაციონალიზმი	4.76	.87	.35**	.06	.41**	.51**	.30**	(.82)			
7. ჯგუფშიდა დამოკიდებულებები	4.94	.81	.39**	.22**	.36**	.15**	.41**	.13**	(.69)		
8. მართლმადიდებლობა	5.05	1.10	.32**	.11**	.37**	.36**	.25**	.47**	.21**	(.78)	
9. ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი	3.69	1.04	.06	.02	.03	.18**	-.06	.15**	.01	.12**	(.83)

n = 700 ინდივიდი

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია alpha კოეფიციენტები

*$p < .05$. **$p < .01$. ***$p < .001$

რეგრესიული ანალიზი

მრავლობითი იერარქიული რეგრესიული ანალიზი გამოყენებულ იქნა მოქალაქის იდენტობის თითოეული სტილისათვის. პირველ საფეხურზე რეგრესიულ მოდელში გავაანალიზეთ დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, სქესი, რეგიონი) პრედიქტორული ღირებულება; მეორე საფეხურზე დავამატეთ რელიგიური და კულტურული კონსტრუქტები; დაბოლოს, მესამე საფეხურზე დამატებულ იქნება ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი და ეროვნული იდენტობის მაჩვენებლები (თავდაპირველად მონაცემების ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი იყო ჩვენი მონაცემები რეგრესიული ანალიზისათვის. ამისათვის გადამოწმდა თითოეული ცვლადის განაწილების მრუდი და მათ შორის არსებული კორელაციის სიდიდე. კორელაციები ცვლადებს შორის აღმოჩნდა სუსტი და საშუალო სიძლიერის r = .11, p < .01-dan r = .55, p < .001-მდე, რაც მიანიშნებს, რომ მონაცემები ვარგისია რეგრესიული ანალიზისათვის (იხ Tabachnick and Fidell, 2007) (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

	ეთნიკური						კულტურული						სახელმწიფოებრივი					
ცვლადი	B	SE	Beta	R2	eR2	eF	B	SE	Beta	R2	eR2	eF	B	SE	Beta	R2	eR2	eF
საფეხური 1				0.03	0.03	7.204***				0.03	0.03	7.455***				0.01	0.01	1.39
ასაკი	0.01	0.03	0.01				-0.01	0.01	-0.02				-0.03	0.02	-0.06			
სქესი	0.15	0.09	0.05				-0.04	0.05	-0.03				-0.02	0.06	-0.01			
რეგიონი	-0.10	0.04	-0.08*				-0.01	0.02	-0.02				0.00	0.03	0.00			
საფეხური 2				0.17	0.14	37.835***				0.24	0.21	61.305***				0.06	0.05	12.265***
ინდ/კოლ	0.13	0.04	0.10**				-0.01	0.02	-0.02				0.04	0.03	0.05			
ჯგუფშიდა დამოკიდებულებები	0.07	0.06	0.04				0.12	0.03	0.13***				0.12	0.04	0.12**			
მართლმადიდებლობა	0.14	0.05	0.12**				0.07	0.02	0.11**				0.03	0.03	0.04			
საფეხური 3				0.32	0.15	47.567***				0.43	0.19	76.147***				0.10	0.04	10.068***
I	0.17	0.05	0.13**				0.18	0.03	0.25***				0.15	0.04	0.19***			
ნაციონალიზმი	0.63	0.06	0.41***				0.16	0.03	0.20***				-0.10	0.04	-0.11**			
პატრიოტიზმი	-0.19	0.06	-0.12**				0.21	0.03	0.24***				0.09	0.04	0.10*			

*$p < .05$. **$p < .01$. ***$p < .001$

მრავლობითი მრავალსაფეხურიანი იერარქიული რეგრესიის პირველ საფეხურზე შევიტანეთ სამი პრედიქტორი ცვლადი: ასაკი, სქესი და რეგიონი. მოდელი სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ეთნიკური (F (3, 678) = 7.204; $p < .00$) და კულტურული სტილის (F (3, 678) = 7.455; $p < .00$) პროგნოზირებისათვის და ხსნის სამოქალაქო იდენტობის ეთნიკური და კულტურული სტილის ვარიაბილობის 3% (ცხრილი 3). მოდელში რელიგიური, კულტურული და ჯგუფშიდა დამოკიდებულებების ცვლადების შეტანის შემდეგ მე-2 საფეხურზე, მოდელი, როგორც მთელი, ხსნის მონაცემთა ვარიაბილობის 17%-ს ეთნიკური სტილისათვის (F (6, 675) = 23.107; $p < .00$), 24%-ს მოქალაქის იდენტობის კულტურული სტილისათვის (F (6, 675) = 35.374; $p < .00$) და 6% სახელმწიფოებრივი სტილისათვის (F (6, 675) = 6.859; $p < .00$).

მოქალაქის ეთნიკური სტილი

დემოგრაფიული ცვლადების და კულტურული, რელიგიური და ჯგუფშიდა დამოკიდებულებების კონტროლის ფონზე ნაციონალური დამოკიდებულებებისა (პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი) და ნაციონალური იდენტიფიკაციის ცვლადების შეტანა მოდელში ხსნის მოქალაქის ეთნიკური სტილის ვარიაბილობის დამატებით 15%-ს ($R2$ Change = .15; F (9, 672) = 34.448; $p < .00$). საბოლოო მოდელში, ცხრა პრედიქტორი ცვლადიდან ექვსი ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო მოქალაქის ეთნიკური სტილისათვის, სადაც ყველაზე მაღალი Beta მაჩვენებელი ჰქონდა ნაციონალიზმს (β=.41, $p < .00$), ნაციონალურ იდენტიფიკაციასთან (β = .13, $p < .00$), პატრიოტიზმსა (β = -.12, $p < .01$) და ორთოდოქსულობასთან (β = .12, $p < .01$) შედარებით.

მოქალაქის კულტურული სტილი

მოქალაქის იდენტობის კულტურული სტილის შემთხვევაში მივიღეთ შემდეგი მონაცემები: ნაციონალური დამოკიდებულებები და ნაციონალური იდენტიფიკაცია ხსნის ეთნიკური სტილის ვარიაბილობის 19%-ს, დამოკიდებული ცვლადისა და კულტურული, რელიგიური და ჯგუფშიდა დამოკიდებულებების კონტროლის ფონზე (R^2 Change = .19; F (9, 672) = 56,842; $p < .00$). საბოლოო მოდელში, ცხრა პრედიქტორი ცვლადიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხუთი ცვლადი. ნაციონალურ იდენტიფიკაციას ჰქონდა უფრო მაღალი Beta მაჩვენებელი

(β =.25, $p < .00$), ვიდრე პატრიოტიზმს (β = .24, $p < .00$), ნაციონალიზმს (β = .20, $p < .00$) და შიდაჯგუფურ დამოკიდებულებას (β = .13, $p < .00$).

მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილი

საბოლოო მოდელი სამოქალაქო იდენტობის სახელმწიფოებრივი სტილისათვის აჩვენებს, რომ ნაციონალური დამოკიდებულებები და ნაციონალური იდენტიფიკაცია ხსნის ეთნიკური სტილის ვარიაბილობის დამატებით 4%, დამოკიდებული ცვლადისა და კულტურული, რელიგიური და ჯგუფშიდა დამოკიდებულებების კონტროლის ფონზე (R^2 Change = .04; F (9, 672) = 8.113; $p < .00$). საბოლოო მოდელში ცხრა პრედიქტორი ცვლადიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო ოთხი ცვლადი. ნაციონალურ იდენტიფიკაციას (β=.19 , $p < .00$) ჰქონდა უფრო მაღალი პრედიქტორული ღირებულება, ვიდრე ჯგუფშიდა დამოკიდებულებებს (β = .12, $p < .01$), ნაციონალიზმს (β = -.11, $p < .01$) და პატრიოტიზმს (β = .10, $p < .05$).

მედიაციური ანალიზი

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ პატრიოტიზმსა და მოქალაქის იდენტობის ეთნიკურ სტილს შორის კავშირში მედიატორის როლს რელიგიური დამოკიდებულებები (ორთოდოქსულობა) ასრულებს. როგორც სურათი 1 ცხადყოფს, რეგრესიის კოეფიციენტი პატრიოტიზმსა და ეთნიკურ რეპრეზენტაციას შორის მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც განტოლებაში/უტოლობაში ორთოდოქსულობის ცვლადი შემოდის (sobel z= 5.5108, p=.00) (სურათი 1).

მედიაციის მოდელის პირველ საფეხურზე ეთნიკური რეპრეზენტაციის ტოტალური ქულის რეგრესია პატრიოტიზმის ქვესკალის მაჩვენებელთან (№) მედიატორის იგნორირების ფონზე), სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (b = .138, t(700) = 3.367, p =.00); მეორე საფეხურმა აჩვენა, რომ მედიატორის რეგრესია ორთოდოქსულობის ქვესკალის მაჩვენებელთან ასევე სტატისტიკურად მნიშვენლოვანი იყო (b = 6.45, t(192) = .249, p =.00); მესამე საფეხურზე მედიაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მედიატორი (ორთოდოქსულობა) პატრიოტიზმის მაჩვენებლის კონტროლის ფონზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩ-

ნდა (b = .347, t(700) = 9.534, p =.00); მეოთხე საფეხურმა გამოავლინა, რომ მედიატორის (ორთოდოქსულობა) კონტროლის ფონზე, პატრიოტიზმის მაჩვენებელი აღარ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი მოქალაქის ეთნიკური სტილისათვის ს b = .051, t(192) = 1.410, p =.159. სობელის ტესტმა აჩვენა ნაწილობრივი მედიაცია (z= 5.5108, p=.00).

სურათი 1

მოდელი, რომელიც ამოწმებს ჰიპოთეზას, რომ მართლმადიდებლობა წარმოადგენს მედიატორს პატრიოტიზმსა და სამოქალაქო იდენტობის ეთნიკურ სტილს შორის



დისკუსია

კვლევის შედეგები ძირითადად ადასტურებს კვლევის თავდაპირველ ჰიპოთეზებს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოიკვეთა ცვლადების ორი ჯგუფი, რომლებიც განსაზღვრავს მოქალაქის იდენტობის სტილს. პირველი ჯგუფი მოიცავს ისეთ ცვლადებს (ნაციონალური იდენტიფიკაცია, ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი), რომლებიც საერთოა მოქალაქის იდენტობის სამივე სტილისათვის, მაგრამ გან-

სხვავდებიან პრედიქტორული ღირებულებებით; მეორე ჯგუფი მოიცავს ცვლადებს (რელიგია, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, ჯგუფშიდა დამოკიდებულებები და ორთოდოქსულობა), რომლებიც განსაზღვრავს მოქალაქის იდენტობის მხოლოდ ერთ კონკრეტულ სტილს. შედეგებმა აჩვენა, რომ ნაციონალური იდენტიფიკაცია ყველაზე ძლიერი პრედიქტორია მოქალაქის იდენტობის სტილისათვის (თუმცა, ყველაზე ძლიერად პროგნოზირებს მოქალაქის კულტურულ სტილს).

როგორც შედეგების ანალიზიდან გაირკვა, ეროვნებასთან ძლიერ იდენტიფიკაციას შეუძლია გააძლიეროს მოქალაქის იდენტობის ნებისმიერი ტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის ძლიერი ეროვნული იდენტობა მოქალაქის სტილის განსაზღვრის საფუძველს ქმნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქის სტილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად მჭიდროდ აიგივებს ინდივიდი თავს საკუთარ ეროვნულ ჯუფთან. კვლევის შედეგები შეიძლება განვიხილოთ სოციალური მსჯელობის თეორიის მხარდაჭერად, რომლის თანახმადაც ადამიანებს აქვთ რიგიდული დამოკიდებულებები ისეთი საკითხების მიმართ, რომლებიც მათთვის პიროვნულად მნიშვნელოვანია. სხვა სიტყვებით, მაღალ ეგოჩართულობას მკაფიო დამოკიდებულებებამდე მივყავართ. თუ გარკვეული სოციალური იდენტობა მნიშვნელოვანია პიროვნებისათვის, მაშინ მას ექმნება საკუთარი შეხედულება იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მისთვის ეს იდენტობა და, შესაბამისად, უყალიბდება გარკვეული დამოკიდებულება მის მიმართ. თუ ამ მოდელს ჩვენი კვლევის შედეგებს მოვარგებთ, შეგვეძლება ვთქვათ, რომ, თუ ეროვნული იდენტიფიკაცია ძლიერია, მაშინ ინდივიდი იწყებს ამ იდენტობის გაცნობიერებას და მის მიმართ დამოკიდებულების ფორმირებას. ეს პროცესი კი ხელს უწყობს მოქალაქის იდენტობის ჩამოყალიბებას და მის რეპრეზენტაციას.

კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა გამოავლინა, ეხება მოქალაქის იდენტობის ტიპებს შორის განსხვავებებს, რომლებიც გამოვლინდა ნაციონალიზმის, პატრიოტიზმის და ნაციონალური იდენტიფიკაციის მაჩვენებლების მიხედვით. ეს შედეგი მიუთითებს, რომ მოქალაქის სტილი დაკავშირებულია როგორც ინდივიდის ეროვნულ იდენტობასთან, ასევე მის დამოკიდებულებებთან/შეხედულებებთან საკუთარი ქვეყნის მიმართ (პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი). ჩვენი შედეგების მიხედვით, თუ მოქალაქეობრიობის განსაზღვრისას ინდივიდი ეყრდნობა უფრო მეტად კულტურას და

კულტურის პროდუქტებს ან გვაროვნულ მახასიათებლებს (ენას და საერთო წინაპრებს), მაშინ ის უფრო ძლიერად ახდენს იდენტიფიკაციას საკუთარ ეროვნებასთან, ვიდრე ის, ვინც მოქალაქეობრიობის ტიპს იყალიბებს სახელმწიფოებრივ თავისუფლებასა და უფლებებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქის იდენტობის კულტურული სტილი ძირითადად წარმოდგენილია ზოგადად მოქალაქის სტილთან დაკავშირებულ თითქმის ყველა განზომილებაზე შუალედური მაჩვენებლებით, განსხვავებით მოქალაქის ეთნიკური და სახელმწიფოებრივი სტილისაგან. ამ შედეგის მიხედვით კულტურული სტილი შესაძლოა აბალანსებს ზოგადად შეუთავსებელ სახელმწიფოებრივ-ეთნიკურ ტენდენციებს. მონაცემთა შემდგომმა ანალიზმა უფრო გაამყარა ტენდენცია: ნაციონალიზმი პოზიტიურად უკავშირდება მოქალაქის ეთნიკურ სტილს, პატრიოტიზმი კი მოქალაქის სახელმწიფოებრივ სტილს, ხოლო მოქალაქის კულტურული სტილი ორივე მათგანს (პატრიოტიზმი და ნაციონლაიზმი) დადებითად უკავშირდება.

აგრეთვე, ორთოდოქსულობა ეთნიკური სტილის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია, მაგრამ ის არასანდო პრედიქტორს წარმოადგენს მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილისათვის. საპირისპირო შედეგებია ჯგუფშიდა დამოკიდებულების მაჩვენებელთან მიმართებაში. მოქალაქის კულტურული სტილი ამ შემთხვევაშიც დაკავშირებულია ორივე ცვლადთან – ჯგუფშიდა დამოკიდებულებებთან და ორთოდოქსულობასთან.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი შედეგები შესაბამისობაშია სამოქალაქო იდენტობის ეთნიკური და სახელმწოფო სტილის თეორიულ კონცეპტუალიზაციასთან, მაგრამ ახალ პერსპექტივას გვთავაზობს კულტურული მოქალაქეობრიობის გასააზრებლად. კერძოდ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კულტურული სტილი ერთგვარი შუალედური მდგომარეობაა ეთნიკურ და სახელმწიფოებრივ მოქალაქის სტილს შორის.

კორელაციური ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ეთნიკური იდენტობა ძლიერად არის დაკავშირებული ნაციონალიზმსა და ორთოდოქსულობასთან, მაგრამ სუსტად არის დაკავშირებული პატრიოტიზმთან. ეს კავშირი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ, ერთი მხრივ, ნაციონალიზმი და მოქალაქეობის ეთნიკური სტილი დაკავშირებულია ისეთ ფიქსირებულ, უცვლელ მახასიათებლებთან, როგორებიცაა: საერთო წინაპრები, დაბადების ადგილი, მშობლიური ენა და სხვა; მეორე მხრივ, ორთოდოქსული რელიგიური ორიენტაცია ასევე უკავშირ-

დება სტატიკურ, უცვლელ და რიგიდულ რელიგიურ აზროვნებას. მაგალითად, იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც ახდენენ საკუთარი თავის, როგორც მართლმადიდებლის, იდენტიფიკაციას, ღმერთი არის ყველასთვის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული და, ამდენად, ის უცვლელია (Duriez, Soenens, & Hutsebaut, 2005). ორთოდოქსული მართლმადიდებლობა უარყოფს რელიგიურობის სიმბოლურ გაგებას და ამიტომ ადგილს არ ტოვებს პიროვნული ინტერპრეტაციებისათვის. შესაბამისად, მართლმადიდებლობასა და ნაციონალიზმს შორის კავშირი შეიძლება საერთო კონსტრუქტის არსებობით აიხსნას, რაც დაკავშირებული უნდა იყოს კოგნიტური ინტერპრეტაციის სტილთან – რიგიდული სტილი ფლექსიბურის საპირისპიროდ.

აღსანიშნავია, ასევე, რომ ეთნოცენტრიზმი ნაციონალიზმის ნაწილს წარმოადგენს და პოზიტიურად არის მართმადიდებლობასთან დაკავშირებული. თუ გავყვებით ცვლადების პოზიტიურ ასოციაციურ კავშირებს, მივიღებთ ლოგიკურ მიმდევრობას, რომელიც შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს მოიცავს: ნაციონალიზმი-ეთნოცენტრიზმი-ორთოდოქსული მართლმადიდებლობა-ეთნიკური მოქალაქეობრიობა. ეთნოცენტრიზმი გულისხმობს, რომ თავის ეთნიკურ ჯგუფს ინდივიდი განიხილავს, როგორც განსაკუთრებულს და აღმატებულს. ამავდროულად, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ეთნოცენტრიზმი ანუ განსაკუთრებულობისა და აღმატებულობის ან სხვაზე უკეთესობის განცდა ეთნიკური მოქალაქეობრიობის ნაწილს წარმოადგენს. რით შეიძლება ეს აიხსნას? რა საფუძველი აქვს ამ კავშირებს? რატომ ასოცირდება ძლიერად ნაციონალიზმი და მართლმადიდებლობა ერთმანეთთან და, ამავე დროს, საკუთარი ჯგუფის პოზიტიურ ხედვასთან? ინდივიდებს აქვთ ტენდენცია, შეამცირონ განსხვავება ორ არაკონგრუენტულ კონსტრუქტს შორის და შეინარჩუნონ კონსისტენტობა მათ შორის. თუ კონსტრუქტები განიხილება, როგორც უცვლელები და პერმანენტულები, მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კონსტრუქტებს შორის შეთანხმებულობის შენარჩუნება და მათი ინტეგრაცია პოზიტიურ სელფწარმოდგენაში. თუ დავუბრუნდებით ჩვენს შედეგებს, ვნახავთ, რომ ინდივიდები მოქალაქეობრიობის ეთნიკური სტილით იზიარებენ შეხედულებას, რომ მათი მოქალაქის იდენტობა განისაზღვრება და ეფუძნება ფიქსირებულ მახასიათებლებს (ენა, ტერიტორია, დაბადების ადგილი, ნათესაური კავშირები, ორთოდოქსული რელიგიური მრწამსი) და რადგან ისინი უცვლელია, – მოსალოდნელია, რომ ხდებოდეს მათი პოზიტიური გადაფასება, ეს კი

უკვე ეთნოცენტრიზმის დასაწყისია, ანუ უცვლელობის, მუდმივობის აღქმა აღმატებულობის განცდის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ჩვენი კვლევის მიხედვით, რელიგიური დამოკიდებულებები ასევე ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოქალაქის იდენტობის კონტექსტში. შედეგები მოწმობს, რომ მართლმადიდებლობა წარმოადგენს ნაწილობრივ მედიატორს პატრიოტიზმსა და ეთნიკურ მოქალაქეობრიობას შორის. პატრიოტიზმი მოქალაქის ეთნიკური სტილის პოზიტიური პრედიქტორია. მედიაციური მოდელის თანახმად, მაღალი პატრიოტიზმი მაღალ ეთნიკურ მოქალაქეობრივ ტენდენციებთან არის დაკავშირებული. ამასთან, მედიაციური ანალიზი მოწმობს, რომ პატრიოტიზმი მართლმადიდებლობის უფრო ძლიერი პოზიტიური პრედიქტორია, ვიდრე ეთნიკური მოქალაქეობრიობის პოზიტიური ინდიკატორი. შესაბამისად, მედიაციური ანალიზი აჩვენებს, რომ პატრიოტიზმი არაპირდაპირ/ გაშუალებულად – მედიატორის გავლით (მართლმადიდებლური ორთოდოქსულობა) – გავლენას ახდენს ეთნიკური მოქალაქეობის სტილზე.

რელიგიურობის დიდი გავლენა მოქალაქის და/ან ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე აშკარადაა გამოკვეთილი, თუმცა, მათ შორის კავშირებს თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით, გარკვეულ არათანმიმდევრულობას შევნიშნავთ. ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალისტური დამოკიდებულებები კარგად ერგება ეთნიკურ სტილს; მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ კავშირს პატრიოტიზმსა და ეთნიკურ მოქალაქეობრიობას შორის. ეს კავშირი აუხსნელი რჩება მანამ, სანამ მედიაციური ანალიზის შედეგებს არ გავეცნობით. ის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოწმობს, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი პატრიოტიზმსა და ეთნიკურ მოქალაქეობრიობას შორის, არამედ ეს კავშირი გაშუალებულია რელიგიური დამოკიდებულებებით. ეს კი ნიშნავს, რომ, ის ადამიანები, რომელთაც აქვთ პატრიოტული დამოკიდებულებები, აგრეთვე ეთნიკური მოქალაქეობის სტილის მქონენი არიან, მაგრამ ეთნიკურ სტილს ისინი იყალიბებენ ძირითადად არა პატრიოტული, არამედ რელიგიური დამოკიდებულებების გამო. ჩვენი კვლევის შედეგები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს ააშკარავებს. პირველი, რელიგიურობა პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნულ დამოკიდებულებებზე, შეხედულებებზე (პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ქართველებისთვის

ქვეყნის სიყვარული და ღმერთის სიყვარული ერთმანეთთან ასოცირდება და ერთმანეთს აძლიერებს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოქალაქის იდენტობის სტილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ ჯგუფთან იდენტიფიცირების ხარისხთან, კულტურულ და რელიგიურ განზომილებებთან. კონკრეტულად კი, ნაციონალიზმის პოზიტიური და პატრიოტიზმის ნეგატიური მაჩვენებლები განსაზღვრავს მოქალაქეობის ეთნიკურ სტილს. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო სტილი განსაზღვრულია პატრიოტიზმის დადებითი და ნაციონალიზმის უარყოფითი მაჩვენებლებით, ორივე მათგანი კი დადებითად უკავშირდება კულტურულ სტილს.

ამასთან, შედეგები მიუთითებს, რომ ნაციონალიზმი და ორთოდოქსულობა ძლიერად და პოზიტიურად კორელირებს ერთმანეთთან, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ, როგორც ნაციონალიზმი, ასევე ორთოდოქსულობა ეფუძნება რიგიდული კოგნიტური ინტერპრეტაციის სტილს, ფლექსიბურის საპირისპიროდ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტურული მოქალაქეობის სტილი უმრავლეს პრედიქტორ ცვლადების საშუალო მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, რაც წარმოაჩენს კულტურული მოქალაქეობის სტილის ახალ ფუნქციას: დააბალანსოს ეთნიკური და სამოქალაქო ტიპების ურთიერთშეუთანხმებელი შინაარსი და შეასრულოს გარდამავალი როლი მათი ცვლილების შემთხვევაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რელიგიურობა მნიშვნელოვანი ცვლადია ზოგადად ეროვნულ განწყობებს, შეხედულებებსა და იდენტობას შორის კავშირებისათვის. რელიგიურობა არა მხოლოდ პირდაპირი კავშირების საშუალებით გვევლინება, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი იდენტობის სიძლიერისათვის ან მოქალაქეობის სტილისთვის, არამედ მას აქვს დაფარული, მედიატორის ფუნქცია ეროვნული გრძნობების და მოქალაქეობის სტილის პრეფერენციებისათვის. რადგან რელიგია პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნულ გრძნობებზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე შეხედულებები ეროვნული, სამოქალაქო საკითხებზე კვლავ მჭიდროდ აკავშირებს ღმერთის სიყვარულს და ქვეყნის სიყვარულს ერთმანეთთან. რელიგია არა მხოლოდ კულტურის ნაწილია ანდა პიროვნული პრეფერენცია, არამედ ის ეროვნული და სამოქალაქო შეხედულებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. დასასრულისათვის უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აღმოჩნდა, მოქალა-

ქეობის სტილი კომპლექსური ფენომენია, რომელიც ყალიბდება ნაციონალური შეხედულებების, კულტურული კონსტრუქტების და რელიგიური განზომილებების გავლენით.

ლიტერატურა:

1. Abdelal, R., Herrera, Y. M., Johnston, A. I., & Martin, T., (2001). Treating Identity as a Variable: Measuring the Content, Intensity, and Contestation of Identity. Weathered Center for International Affairs, Harvard University, Cambridge, USA, August 17, 2001
2. Anderson, Benedict R. O'G. (1991). Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism (Revised and extended. ed. London: Verso, 1991) pp. 199-201
3. Ashmore, Richard D., Key Deaux and Tracy McLaughlin-Volpe (2004). An Organizing Framework for Collective Identity: Articulation and Significance of Multidimensionality. Psychological Bulletin, Vol. 130 no. 1, pp. 80-114.
4. Brewer, M. B. (1991) The Social Self: On Being the Same and Different at the Same Time. Personality and Social Psychology Bulletin, 17
5. Brubaker, R., & Cooper, F., (2000), Beyond "Identity", Theory and Society, 29 1-27.
6. Davis, T. C., (1999), Revisiting Group Attachment: Ethnic and National Identity, Political Psychology, 20 (1) 25-47.
7. De Cillia, R ; Reisigl, M ; Wodak, R. (1999). The Discursive Construction of National Identities. Discourse & society, 10 (2) 149-173
8. Duriez, B., Soenens, B. & Hutsebaut, D. (2005). Introducing the Shortened Post-Critical Belief Scale. Personality and Individual Differences, 38, 851-857.
9. Erikson, E. H. (1968). Identity - Youth And Crisis. New York: W. W. Norton & Co.
10. Fischer, R. Ferreira, M., Assmar, E., Redford, P., (2009). Individualism-Collectivism as Descriptive Norms: Development of a Subjective Norm Approach to Culture Measurement. Journal of Cross-Cultural Psychology 2009; 40; 187
11. Gleason, Philip. "Identifying Identity: A Semantic History" The Journal of American History 1983 69(4): 910-931

12. Goffman, Erving. Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity. Englewood Cliffs, N.J.: Prentice Hall, 1963.
13. Hammack, P. L. (2011). Narrative and the politics of identity: The cultural psychology of Israeli and Palestinian youth. New York: Oxford University Press.
14. Hogg, M. A. (2003). Social Identity. In M. R. Leary and J. P. Tangney (Eds.) Handbook of Self and Identity, Guilford Press, NY.
15. James, William. Principles of Psychology. New York: Holt, 1902.
16. Kelman, H. C. (1997) Nationalism, Patriotism and National Identity: Social dPsychological Dimension. In D. Bar-Tal &E. Staub (Eds.), Patriotism in the lives of individuals and nations (pp. 166-189). Nelson-Hall Publisher, Chicago
17. Kosterman, Rick, and Seymour Feschbach. 1989. "Toward a Measure of Patriotic and Nationalistic Attitudes." Political Psychology 10:257-74.
18. Kraus, W. (2000). Making Identity Talk. On Qualitative Methods in a Longitudinal Study. Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research, 1(2)
19. Kroger, J., Marcia, J.E. (2011) The identity statuses: Origin, meaning and interpretation. In: S. J. Schwartz , K. Luyckx, V. L. Vignoles (Eds.) Handbook of Identity Theory and Research. Springer, NY.
20. Kymlicka, Will (1998). Finding Our Way: Rethinking Ethnocultural Relations in Canada. Oxford: Oxford University Press.
21. Lilli, W. and M. Diehl (1999), "Measuring National Identity," Working Paper, Nr. 10, Mannheimer Zentrum für EuropÃische Sozialforschung.
22. Meeus, J., Duriez, B., Vanbeselaere, N., & Boen, F. (2010). The role of identity representation in the relation between in group identification and out group derogation: Ethnic versus civic representations. British Journal of Social Psychology, 49, 305-320
23. Muir, Rick (2007). "The New Identity Politics", Institute for Public Policy Research. Retrieved from www.ippr.org
24. Mummendey, A., Klink, A., & Brown, R. (2001). Nationalism and patriotism: Identification and outgroup rejection. British Journal of Social Psychology, 40, 159--172
25. Reijerse, A., Van Acker, K., Vanbeselaere, N., Phalet, K., & Duriez, B. (inpress). Beyond the ethnic civic dichotomy: Cultural citizenship as a new way of excluding immigrants. Political Psychology

26. Renan, Ernest (1882): Qukest-ce qukune Nation? Lecture held at Sorbonne University, Paris
27. Smith, Anthony. National identity. London: Penguin, 1991.
28. Snow, David (2001). "Collective Identity and Expressive Forms", Centre for the Study of Democracy, paper 01-07.
29. Spiejberger S., Ungersböck M. National Identity. 406459/1 International Marketing Seminar. 2005
30. Tajfel, H. and J. C. Turner (1986), "The social identity theory of intergroup behaviour," in S. Worchel and W.G. Austin, eds., Psychology of Intergroup Relations. Chicago, IL: Nelson-Hall.
31. Todosijević, Bojan. 2001. "Dimensions of Nationalism: Structure of Nationalist Attitudes in Hungary and Yugoslavia." Central European Political Science Review 2:170-86.
32. Vanbeselaere, N. (2007). The relationship between national identification and attitudes towards foreigners. Research seminar, Leuven, 13 November 2007.
33. Vanbeselaere, N., Boen, F., & Meeus, J. (2006). The complicated relationship between national identification and acceptance of immigrants. Gezduci (Eds.), "New" Citizens, new policies? Developments in diversity policy in Canada and Flanders (pp. 57-68). Gent: Academia Press
34. Wilkinson-Ryan T, Westen D: Identity disturbance in borderline personality disorder: an empirical investigation. Am J Psychiatry 2000; 157:528

Corresponding authors: Dr. Maia Mestvirishvili
Co-authors: Dr. Luisa Arutinov,
Dr. Khatuna Martskvishvili, Natia Mestvirishvili

Affiliation: Ivane javakhishvili Tbilisi State University

Citizenship Identity: Socio-Cultural Perspective

Resume

The goal of the proposed research is to determine the effects of (1) cultural constructs of self – identification, (2) Patriotism and Nationalism (3) attitudes toward religion on citizenship representation in individuals.

415 female and 270 male students between the ages of 18-24 (mean=1.66; SD=21.04) completed the set of questionnaires measuring patriotism and nationalism (Kosterman & Feshbach, 1989), citizenship representation style (Vanbeselaere, 2007), individualism/collectivism (IC) (Fisher, 2009) and religious orientation (Duriez et al., 2005).

The data show that 56% of respondents represent cultural style of citizenship, 25% civic and 19% ethnic citizenship. The analysis shows interesting correlational patterns between the constructs of national identification: Cultural citizenship style is positively associated with patriotism (r=.544, p<.01) and orthodoxy (r=.422, p<.01), whereas, civic citizenship style has no association with nationalism and is only weekly associated with orthodoxy and patriotism (r<3; p,<.01). Ethnic citizenship style is also positively associated with nationalism and orthodoxy (r=.518; r=.358. p<.01) but shows very weak association with patriotism (r<.2).

Regression analysis revealed that cultural citizenship style is significantly predicted by the degree of national identification (β =26), nationalism (β=.26), nationalism (β=.21), patriotism (β=.18), ingroup attitude (β=.13) and second naviette (β=.16), F (7,416)=60.22 (adjustedR2=.495, all *ps*<.00.). When civic citizenship style was regressed on the same set of predictors, patriotism showed no significant predictive value, nationalism became a significant negative predictor (β=-.19) but national identification (β=.24), in group attitude (β=.17) and second naviette (β=.21) still positively contributed to the prediction of civic citizenship style (F(9.373)=10.416, adjustedR2=18.2, a; *ps*<.00). When predicting ethnic citizenship representation patriotism (β=-15) and second naviette (β=-.21) became significant negative predictors, national identification (β=.20) and nationalism (β=.43) remained as positive ones and orthodoxy (β = .22) and collectivism (β=.10) emerged as new positive significant predictors (F(9.379)=26.99, adjustedR2=.376, all *ps*<.00).

These findings highlight the importance of attitudinal and cultural actors in understanding citizenship representation style and pointing out that degree of identification, nationalism and religious attitudes are the key predictors of citizenship style.

ავტორის შენიშვნა

კვლევა ჩატარდა პროგრამის „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი“ მხარდაჭერით. პროგრამის „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების მეშვეობით, როგორიცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევრების ახალი თაობის აღმოცენებას და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამას „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი“ ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

Davit Matsaberidze

PhD Student Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Abkhazian and Georgian Conflict Resolution Projects for the Political Settlement of the Abkhazian Problem - An Institutional Deadlock? (Early 1990s and early 2000s)

Introduction

The present paper is a moderate attempt to analyze the Georgian and Abkhazian conflict resolution projects of the early 1990s and early 2000s, which were aimed at a political settlement of the conflict over Abkhazia. This research explores the main elements of the Georgian and Abkhazian propositions of those periods and points to the existing contradictions between them. The study argues that the main deficiencies and failures of those projects stemmed from a divergent interpretation of future institutional relations between Georgian and Abkhazian ethnic groups – the two different political communities. Moreover, none of them considered the possibility of creation of a joint institutional space for the future inter-ethnic relations. Local secessionist authorities in Sokhumi were aspiring to create a common state, whereas Tbilisi denied any offer which brought the Abkhazian Autonomous Republic out of the state borders and the political control of the central authorities of Georgia. Thus, irreconcilability of the two principles, *territorial integrity* and *secessionism,* was proved once again and the two different conflict resolution projects collided. The third section of the paper will demonstrate that there might be an alternative option to the Georgian and Abkhazian peace projects for future inter-institutional relations and mutual accommodation within joint institutional structures.

The disagreements of the early 1990s between the central Georgian authorities and the secessionist elites of Abkhazia were immediately followed by various conflict resolution plans of both sides, which emerged after the ceasefire in the region. I would argue that different visions of institutional

subordination of Sokhumi to Tbilisi were instrumental in the failure of these peace projects. Tarkhan-Mouravi (1998) rightly notes that "the inability of ethnic groups to coexist should be seen as the result of failed institutional regulations rather than inborn qualities or geopolitical factors" (p. 76). Thus, the projects of the early 1990s can be seen as an [failed] attempt at creating new institutional relations between the center (Tbilisi) and the periphery (Sokhumi). The central authorities of Georgia were trying to bring Sokhumi under the control of the center with broader rights of the self-government and wider say in the international relations of the country, whereas the local authorities of Sokhumi were trying to detach Abkhazia from the rest of Georgia and to make it a new actor in international relations. In short, this was the conflict between vertical (vision of Tbilisi) and horizontal (vision of Sokhumi) inter-institutional relations of the two political entities.

Theoretical Framework: Institutionalism

I would argue that institutionalism is the right theoretical framework for analyzing the Abkhazian case – be it understanding the emergence of conflict over Abkhazia, or a search for peaceful settlement of the conflict. Hughes and Sasse (2001) rightly note that "the control regime of the USSR cynically manipulated nationalisms by the use of quasi-federal institutional devices, in particular the theoretical right of union republics to secession and pseudo-cultural rights… [whereas] the Soviet successor states have fought ethnic and regional wars with each other or within themselves as part of their nation- and state-building projects" (p. 1). The importance of institutions and the empowerment of ethnicity through the Soviet institutions is stressed by Szporluk (1997), who, citing Ustrialov in his article *"On the Soviet Nation,"* claims that the Soviets were turning peoples of the USSR into a nation defined politically and ideologically, not ethnically (p. 82). I would argue that there is a need to look at ethnicity through the lenses of the Soviet institutions, as these institutions empowered ethnicity, and not vice-versa. That is to claim that the Soviet time empowerment of the local Abkhazian elite, which became secessionist-minded with the dissolution of the Soviet Union, paved the way to confrontation with the central authorities of Tbilisi. Meantime, close links between institutions and nationalism should not be missed; referring to the work of Rakowska-Harmstone on the nation-making aspects of the Soviet policy,

which combined historical depth and social scientific sophistication, Suny and Martin (2001) argue that this work demonstrated "how indigenous ethnic elites in republics sought sources of legitimacy in their own nationality through the skillful manipulation of permissible nationalism" (p. 6). I would claim that the permission for nationalism came through the institutions inherited from the Soviet time. Hence, for the settlement of the conflict, re-institutionalization of the Soviet time minority rights became an urgent task. Overall, the present paper does not aim to discuss the legality of the positions of both sides; rather it aims to explore the differences in the future visions of possible institutional relations.

The Abkhazian Vision of Conflict Resolution

The Abkhazian conflict resolution project of the early 1990s (drafted by Taras Shamba) sought the restructuring of state relations between the central authorities of the Republic of Georgia (which was termed as Georgia) and Abkhazia (termed as a separate republic). It was endorsed at the session of the 23rd of July, 1992, which changed the Constitution of Abkhazia of 1978 for that of 1925. The change of the 1978 Constitution was aimed at creating the basis for Abkhazia as an independent subject from the Republic of Georgia, therefore, the draft project on the future relations between Georgia and Abkhazia emerged (Newspaper #2, p. 2).

Shamba's Project. The project considered Georgia and Abkhazia as the two independent sovereign states, making them independent subjects of international relations, with the two independent citizenships and special envoys exchanged between Sokhumi and Tbilisi. The project was deemed unacceptable for Tbilisi, as it violated the territorial integrity of the Republic of Georgia; Abkhazia's indivisibility from the Republic of Georgia was reaffirmed. However, 20 years later, a Georgian expert, Ivliane Khaindrava (2011a) mentions that the draft law of Taras Shamba, the *Law on the Foundations of Relations between the Republic of Abkhazia and the Republic of Georgia* "contained a number of worthy provisions that unfortunately did not receive the attention they deserved" (p. 11). It is hard to gauge what the foundation of this statement is: Khaindrava's true belief in the potential of Shamba's project, or the existing deadlock, created as a result of the Russian-Georgian War of 2008. Although, in the early 1990s, the Georgian deputies of the Supreme Soviet of the Abkhazian ASSR critically assessed Shamba's project and provided their own comments and an alternative version for future discussion. Nevertheless, the secessionist-

minded local Abkhazian elite was radical and saw no opportunity to re-negotiate the status of Abkhazia into the newly created independent republic of Georgia.

Chirikba's Project. The constitutional project of Viacheslav Chirikba (1999) was slightly moderate compared to Shamba's project. Chirikba's project defined the status of Abkhazia as a common state with Georgia. That is, they would form the politically equitable federated republics of a common state with a combination of confederal principles in its internal structure and with federal principles in its international political and legal status (p. 253). According to Chirikba, this was the sole solution to the impasse between the territorial integrity insisted on by Tbilisi and the Abkhazian aspirations for a non-hierarchical state structure. In the 1990s, Chirikba (1998) argued that there was a way to hammer out a compromise between Georgians and Abkhazians, as "Georgia has never officially abolished the Abkhazian Autonomous Republic … and … Abkhazia has never officially declared its independence from Georgia" (p. 51).

The new model of relations would be based on the principles of *political equality, commitment to the union* and *non-interference.* In the framework of a Common State, the rights and responsibilities of each member towards each other would be strictly defined:

1. *The Common State* – shall have President, Parliament and Council of Ministers, its flag, coat of arms, anthem and other state symbols;
2. *The Parliament and Council of Ministers* – shall consist of a proportional number of representatives from each side;
3. *The Official Language* of each state shall be Georgian, Abkhaz [and Ossetian];
4. *International treaties* concluded by the government of the Common State which directly deal with Abkhazia shall be valid on the territory of Abkhazia after their ratification by the Abkhaz Parliament (Chirikba, 1999, p. 260).

In addition, the Common State would share power on the Constitutional Court, declaration of war and peace, border and customs control, federal budget, coordination of monetary policies and macro-economic planning. "The matters dealing with external defense and state security of the Common State, as well as concerning the co-ordination of national armed forces and security organs of the federated states, shall become subjects of special agreement" (Chirikba, 1999, p. 261), the project says. It clearly states that all the responsibilities not listed among those pertaining to the responsibility of the Common State would be within the jurisdiction of the Republic of Abkhazia. Moreover, the dual citizenship, that of the Common State and Abkhazia/Apsny, a separate currency

for Abkhazia, separate armed forces for Abkhazia built on the multi-ethnic basis, linguistic rights and international representation through the agreement within the Common State were also considered (Chirikba, 1999, pp. 262-264).

To some extent, the project was the most compromising one for both sides. Though, at the same time, it reconciled one of the most contentious issues between the sides, namely, the sovereignty of their territories. Chirikba's project aimed to accommodate Abkhazia's sovereign status in a future shared state with Georgia, partly reflecting the Georgian claims on sovereignty over the whole of its territory (Chirikba, 1998, p. 51). Beyond the shared federal institutions, the project ensured a full sovereignty of the territorial units in internal affairs on the territory under the control of their respective elected governmental bodies (Chirikba, 1998, p. 52). That is, there would emerge separate, while at the same time shared, sovereignty over Abkhazia for Georgian and Abkhazian ethnic groups. In this respect, Chirikba's project was more or less similar to the document known as the *Boden Plan*, proposed by the Secretary General Dieter Boden officially entitled *Basic Principles for the Division of Competences between Tbilisi and Sokhumi.* The *Boden Plan* aimed at establishing a "special sovereign status of Abkhazia within the Georgian state" and included the provision that "the division of competences between Tbilisi and Sukhumi will be determined on the basis, among others, of the Declaration of Measures for the Political Settlement of the Georgian-Abkhaz Conflict of April 4, 1994" (Khintba, 2011 a, 25). However, as the positions of Tbilisi and Sokhumi radically diverged on the proposed plans, it did not materialize, mostly due to the contradiction between and vague determination of the integrity of Georgia and the sovereignty of Abkhazia.

Gachechiladze and a number of other Georgian scholars expressed their concerns regarding this controversial proposition and claimed that the precedent of granting a federal status to one region of the country would provide other regions populated by ethnic minorities with incentives to demand a federal status as well; this would be the shortest way to total disintegration of the country. Therefore, granting the federal status to Abkhazia was rejected at that time.[1] Another well-known Georgian scholar of Abkhazian origin, Anchabadze

[1] On the topic of the debates on the federalization of Georgia in the 1990s, see Ideas about Governmental-Territorial Structuring of Georgia. // Center for Strategic Researches and Development of Georgia. Bulletin #4, April, 1998; Perspective of Federalization of Georgia (2000). The Journal *Pro et Contra*. Collection of Essay. Tbilisi.

(1998), claims that with time the idea of federalization of the country was gaining ground in Georgia of the 1990s. Nevertheless, during Shevardnadze's period, it was seen more through the prism of granting the widest possible powers of autonomous self-government, yet as a part of Georgia. However, the internal state system proposed in Tbilisi was unacceptable to the Abkhazian authorities, "… In particular, versions whereby Abkhazia joins Georgia as an autonomous entity but administrative ties are retained in relations between Sokhumi and Tbilisi" (p. 73). Anchabadze (1998) concurs with Chirikba regarding the future relations between Georgia and Abkhazia, believing this could only happen within the framework of a union state in which Georgia and Abkhazia would be equal partners in the future system (p. 74). At the same time, the central authorities of Georgia insisted on "re-structur[ing] Georgia on the federal basis, where Abkhazia would become the subject of the federation in Georgia with broad political status: with own constitution (being in conformity with the single unified state), own parliament, Supreme Court, anthem, state emblem and other features of a state" (Tarkhan-Mouravi, 1998, p. 86). That is, the central authorities offered a maximum political power within the federal arrangement, whereas the confederation was considered as an unacceptable choice due to fears of the emergence of similar claims on the part of other minorities residing on the territory of Georgia.

The Georgian Vision of the Conflict Resolution

During the late 1980s and the early 1990s, the Georgian group of deputies of the Supreme Soviet of Abkhazian Autonomous Republic claimed that "Abkhazia does not have the features that make it a subject of international law and it can only be an autonomous entity within the Republic of Georgia" (Newspaper #2, p. 2). This statement pointed to the constitutional subjugation of Abkhazian (AR) to the Republic of Georgia and re-affirmed the constitutional guarantees of the autonomous region. It was unequivocally stressed once again that the constitution of Abkhazian (AR) should correspond to the constitution of the Republic of Georgia and some changes could be introduced with the consent of two thirds of the deputies from Abkhazia, sent to the supreme structure of the Georgian state (SSR) (Newspaper #2, p. 2). After the assessment of the lawful basis of independence of Abkhazia and consideration of the existing situation in the region, the Council of Ministers of the Abkhazian Autonomous Republic

sent a special petition to the heads of the states and international society on the developments over Abkhazia. The appeal blamed the Abkhazian separatists, concentrated in Gudauta, and the North Caucasian irregulars, for the developments and demanded an international reaction to the Abkhazian problem (Newspaper #4, p. 2). Nevertheless, the fall of Sokhumi radically changed the situation and provoked the central Georgian authorities to come up with a meaningful conflict resolution plan for Abkhazia.

The conflict resolution project of the central Georgian authorities emerged after the end of the hot phase of the conflict in the early 1990s. It denounced the forcible withdrawal of the ethnically Georgian population from the territory of Abkhazia for the full-scale political settlement of the problem. The project was initiated by the Council of Ministers of the Abkhazian Autonomous Republic, which already operated in exile, in the capital, Tbilisi. The plan offered 15 separate points, which dealt with the internal and external regulation of the Abkhazian issue; the aspects listed below are those which should have formed the cornerstone of future negotiations over Georgian-Abkhazian relations:

• *The resolution of the Abkhazian issue should be based on various resolutions of the UN: Resolution 849 (July 9, 1993) (Official Document #1, p. 154); Resolution 854 (August 6, 1993) (Official Document #2, p. 156); Resolution 858 (August 24, 1993) (Official Document #3, pp. 156-157); Resolution 876 (October 19, 1993) (Official Document #4, p. 159). Note that all these resolutions were agreed with and signed by the Abkhazian separatist authorities;*

• *The Gudauta Group should be blamed for the unilateral violation of the ceasefire agreement of July 27, 1993 and it should not be provided with military equipment and armament;*

• *The military formations of the Confederation of the Caucasian Peoples should leave the territory of Abkhazia;*

• *The so-called Supreme Soviet of Abkhazia and other governing structures should declare self-liquidation and as a political compromise the Council of Ministers of Abkhazia, operating in Tbilisi, would dissolve itself as well; that is,both parties would pave the way for negotiations on zero ground;*

• *UN peacekeeping forces should be deployed on the territory of Abkhazia and all the local military formations should be disarmed;*

• *Strict economic sanctions should be imposed on Abkhazia, as this would force it to follow the UN resolutions;*

• *An expert commission comprised of the representatives of all interested parties from all sides would decide on the future status of Abkhazia in terms of its self-governance within the framework of the Republic of Georgia; this would be reflected in the Constitution of the Republic of Georgia;*

• *A draft law on the free and democratic elections in Abkhazia would be created;*

• *The UN should declare that Abkhazia is a part of the sovereign Republic of Georgia temporarily occupied by Abkhazian and North Caucasian extremists;*

• *It should be confirmed that Abkhazia is not a subject of international law (Newspaper #3, p. 2).*

That is, the project offered a zero start up for future negotiations, while initing international institutions as the main supervisors of the negotiation process. This is actually what was offered after the Russian-Georgian War of 2008. Fully-fledged rights were guaranteed to Abkhazians, although within the framework of Georgia. At the same time, the external actors were required to leave the territory and the creation of normal preconditions for future negotiations was sought.

The actual implementation of the above-mentioned articles was heavily conditioned by the fulfillment of the draft project on the *Agreement on Friendship and Cooperation between the Russian Federation and the Republic of Georgia* (Newspaper #1, p. 2). Like the developments of the August War of 2008, the need to accommodate Russian interests was strongly felt. Article 1 of the agreement guaranteed mutual non-involvement in the internal affairs of each side; Article 4 obliged both parties not to participate in any sort of alliance or blocks that would harm the position of the other side; Article 30 set out the conditions for the elaboration of new treaties, which would become necessary for the proper implementation of the above-mentioned agreement. The *Agreement on Friendship and Cooperation* was signed and came into effect for a ten-year period (Newspaper #1, p. 2). That is, the agreement between Russia and Georgia should push the Abkhazian separatists to negotiate with Tbilisi; while, on the other hand, it would assure the central Georgian authorities that Russia would maintain its neutral status over the Abkhazian issue. Unfortunately, none of these points of the agreement materialized; neither the secessionist Abkhazians had a will to build bridges with the central Georgian authorities, nor

was Russia eager to fulfill the points of the *Agreement on Friendship and Cooperation between the Russian Federation and the Republic of Georgia,* or to curtail its assistance towards the separatist regime in Sokhumi.

The only remaining option for the Georgian authorities was to reflect the future status of Abkhazia in the Georgian constitution and to enter a long process of negotiations with the mediation of the Russian Federation. Paradoxically, the unilateral reflection of the status of Abkhazia in the constitution of Georgia took place twice – in the Constitution of 1995 and during the amendments of February 15, 2011. It is noteworthy that during this period, no change occurred in the position of Abkhazian separatists. Ultimately, the developments of the August War of 2008 demonstrated that the Russian Federation had a final say in the matter and officially re-affirmed its position as the main stakeholder in the Abkhazian problem.

A Bridge between the Georgian and the Abkhazian Peace Projects?

A mid-range project between these two above-mentioned extreme ones for the re-structuring of future institutional relations between Tbilisi and Sokhumi was the *Personal Federalism* offered by Maarten Theo Jans. He argues that a personal arrangement could be a way out of competing territorial claims over ethnically mixed areas; therefore, it could contribute to the institutional settlement of the Georgian-Abkhazian conflict. According to Jans's model, the institutional structure would comprise:

- *An Abkhazian community government with jurisdiction over ethnically sensitive issues covering a) the Abkhazians in the predominantly Abkhaz areas; b) the Abkhazians in the mixed or predominantly Georgian areas.*
- *A Georgian community government with jurisdiction over ethnically sensitive issues covering a) the Georgians in the predominantly Georgians areas; b) the Georgians in the mixed or predominantly Abkhazian areas.*
- *A territorial government for the entire Abkhazian region which would have jurisdiction over a) general issues which affect the region as a whole; b) territorial policy issues (infrastructure, energy, environmental affairs, etc. in the mixed areas. This Abkhazian territorial government should consist of representatives of the Georgian and Abkhazian communities on an equal basis or with mutual rights of veto.*

- *A provision in the Georgian constitution that all federal political action relating to the autonomous Abkhaz region requires a prior consent of the Abkhazian regional government (with an equal Abkhaz and Georgian composition) (Theo Jans, 2000, pp. 226-227).*

Jans (2000) argues that this approach would avoid the risk of transforming Abkhazians into a political minority again; at the same time, the decisions made by Tbilisi will be reviewed by Abkhazians locally. On the other hand, "Georgia's territorial integrity would be reinstated, with the qualification that Georgia's central government could intervene in Abkhazia only with the prior consent of both – the Georgian and Abkhazian community governments" (p. 227). According to Jans's project, other ethnic groups residing on the territory of Abkhazia – Armenians and Russians – could either be granted the separate community governments, or could be included in one of the other community governments. Obviously, the propositions of Jans avoid the clash between the principles of territorial integrity and secessionism, although it has never been considered, due to the internal and external subjective and objective factors. These factors have determined the fate of the conflict over Abkhazia since the early 1990s. Jans's project was not responded either from the Georgian or Abkhazian side. At that time they firmly kept their radical visions on territorial integrity (Tbilisi) and independence (Sokhumi) and there was no readiness from the opposed sides to compromise on their radical demands.

Conclusion

Summarizing the prospects and failures of the peace plans of the early 1990s for the solution of the conflict over Abkhazia, I would agree with Coppieters (1998), who claimed in the mid-1990s that "the main problem in respect to those times Abkhazian and Georgian peace plans and federal and confederal solutions of the conflict stemmed from the lack of information concerning the debates on political strategy taking place on the other side" (p. 8). For Coppieters it seemed that there was no *common public opinion* on the creation of "the common state on which the Georgian and Abkhaz governments seem to agree in very general terms." I would argue that the main contradictions ran across the formation of new institutional relations between Sokhumi and Tbilisi. The vertical subjugation of Abkhazia preserved from the Soviet period, even with the guaranteed broader autonomous rights, was unacceptable for the

Abkhazian elite, whereas the re-consideration of the territorial integrity of Georgia and any type of status granted to Abkhazia beyond the framework of the Republic of Georgia was inadmissible to the central authorities in Tbilisi.

The peace plan of Chirikba aimed at the total federalization of the Georgian state, with a similar status for Abkhazia, South Ossetia and Adjara. Evidently, in terms of the total federalization of the country, there was no common agreement among the political, social and cultural circles of Georgia in the 1990s. Gachechiladze (1998), who was actively involved in the academic debates over Abkhazia in the 1990s, commenting on Chirikba's project, writes that the fact that the project made Georgia and Abkhazia the equal partners in the federation, actually confederation, "which is presented as the concession from the Abkhaz side, is equivalent to the recognition of Abkhazia's independence and is unacceptable for Tbilisi and for the Georgian public opinion" (p. 65).

Arguably, a common state was a unique offer, but simultaneously quite a dangerous precedent for Georgia under its multiethnic reality. That is, the plan offered by Tbilisi for the future re-negotiation of the status was unacceptable for Sokhumi, whereas the plan offered by Sokhumi was intolerable for Tbilisi. Khaindrava (2011a) rightly comments that "carried away by the formulation and implementation of their own national projects, neither side could hear or understand the other, nor did they show sufficient will or skill to do so" (p. 10). Thus, the constitutional projects offered from both sides in the early 1990s, neither helped to avoid the war, nor to overcome the Soviet-period institutional legacies supportive to the inter-ethnic contradictions. Overall, this was the ultimate outcome of the hard task of re-negotiation of new institutional relations after the break with the Soviet institutional framework as a result of the war. Nevertheless, not only institutions, but also the post-Soviet geopolitics should be seen as a crucial aspect in the structuring of new institutional relations between Tbilisi and Sokhumi after the death of the Soviet Union; although, this is the matter of a separate study.

Literature:

1. Ideas about Governmental-Territorial Structuring of Georgia. (1998). // Center for Strategic Researches and Development of Georgia. Bulletin #4, April (in Georgian)

2. Suny, R.G. and Martin, T. (2001). Introduction, in Ronald G. Suny and Terry Martin (eds), A State of Nations – Empire and Nation-Making in the Age of Lenin and Stalin, Oxford University Press, pp. 3-22.
3. Szporluk, R. (1997). The Fall of the Tsarist Empire and the USSR – The Russian Question and Imperial Overextension, in Karen Dawisha and Bruce Parrott (eds), The End of the Empire? The Transformation of the USSR in Comparative Perspective. M.E.SharpeInc, pp. 65-93.
4. Theo Jans, M. (2000). "Personal Federalism: a Solution to Ethno-National Conflicts? What It Has Meant in Brussels and What It Could Mean in Abkhazia," in Federal Practice. Exploring Alternatives for Georgia and Abkhazia, Coppieters. B., Darchiashvili, D., Akaba, N. (eds), Brussels: VUB Press, pp. 215-229.

Newspapers

1. "Draft Project of Agreement on Friendship and Cooperation between the Russian Federation and the Republic of Georgia," in the newspaper Sakhartvelos Respublika, #51-52 (596), 13.03.1993
2. "Project for Discussion – On the State-Legal Status of Abkhazia into the Framework of the Republic of Georgia," in the newspaper Sakhartvelos Respublika, #245 (524), 01.12.1992
3. "Recommendations of the Council of Ministries of the Abkhazian Autonomous Republic on the Full Scale Political Resolution of the Military Conflict in Abkhazia," in the newspaper Sakhartvelos Respublika, #254 (782), 01.12.1993
4. "To the Head of States and Governments, to the Entire International Society – An Appeal of the Council of Ministries of the Autonomous Republic of Abkhazia," in the newspaper Sakhartvelos Respublika, #224 (752), 13.10.1993

Official Documents

1. UN Security Council Resolution #849 (July 9, 1993), in Regional Conflicts in Georgia – South Ossetian AO. Abkhazian SSR (1989-2005).A Collection of Political and Legal Acts, ed. Tamaz Diasamidze,Tbilisi, 2005, p.154.

2. UN Security Council Resolution #854 (August 6, 1993), in Regional Conflicts in Georgia – South Ossetian AO. Abkhazian SSR (1989-2005). A Collection of Political and Legal Acts, ed. Tamaz Diasamidze,Tbilisi, 2005, p.156.
3. UN Security Council Resolution #858 (August 24, 1993), in Regional Conflicts in Georgia – South Ossetian AO. Abkhazian SSR (1989-2005). A Collection of Political and Legal Acts, ed. Tamaz Diasamidze,Tbilisi, 2005, pp. 156-157.
4. UN Security Council Resolution #876 (October 19, 1993), in Regional Conflicts in Georgia – South Ossetian AO. Abkhazian SSR (1989-2005). A Collection of Political and Legal Acts, ed. Tamaz Diasamidze,Tbilisi, 2005, p.159.

Online Sources

1. Anchabadze, Y. (1998). Georgia and Abkhazia: The Hard Roadto Agreement, in Georgians and Abkhazians. The Search for a Peace Settlement. Eds. Bruno Coppierers, GhiaNodia, Yuri Anchabadze. Vrije UniversiteitBrussel. http://poli.vub.ac.be/publi/Georgians/ (Retrived in May, 2011)
2. Chirikba, V.A. (1998). The Georgian-Abkhazian Conflict: In Search of Ways Out, in Georgians and Abkhazians. The Search for a Peace Settlement. Eds. Bruno Coppierers, GhiaNodia, Yuri Anchabadze. Vrije UniversiteitBrussel. http://poli.vub.ac.be/publi/Georgians/ (Retrived in May, 2011)
3. Chirikba, V.A. (1999). Georgia and Abkhazia: Proposals for a Constitutional Model, in Federal Practice: Exploring Alternatives for Georgia and Abkhazia; Bruno Coppieters, David Darchiashvili and Natella Akaba (eds).http://poli.vub.ac.be/publi/orderbooks/federal_practice_contents.html (Retrived in May, 2011)
4. Coppieters, B. (1998). Introduction, in Georgians and Abkhazians. The Search for a Peace Settlement; Eds. Bruno Coppierers, Ghia Nodia, Yuri Anchabadze. Vrije Universiteit Brussel, 1998. http://poli.vub.ac.be/publi/Georgians/ (Retrived in June, 2011)
5. Gachechiladze, R. (1998). Geographycal Background to a Settlement of the Conflict in Abkhazia, in Georgians and Abkhazians. The Search

for a Peace Settlement, Eds. Bruno Coppierers, Ghia Nodia, Yuri Anchabadze. Vrije Universiteit Brussel. http://poli.vub.ac.be/publi/Georgians/ (Retrived in June, 2011)

6. Hughes, J.; Sasse, G. Comparing Regional and Ethnic Conflicts in Post-Soviet Transition States: An Institutional Approach, Workshop 2: Political Transformation in Soviet Successor States: The States of the CIS in Comparative and Theoretical Perspective. ECPR Joint Sessions, Grenoble, 7-11 April, 2001. http://www.essex.ac.uk/ECPR/events/jointsessions/paperarchive/grenoble/ws2/hughes_sasse.pdf (Retrived in May, 2011)
7. Khaindrava, I. (2011a) Conflict Resolution Policies Before August 2008, Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, by ArchilGegeshidze and Ivliane Khaindrava. http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf (Retrived in May, 2011)
8. Khintba, I. (2011a) Main Stages in the Negotiation Process (1993-2008): Evolution of Approaches and Analysis of Results, in Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, edited by Natella Akaba and Iraklii Khintba, 2011 http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ab-Ge%20ENG%20Web.pdf (Retrived in May, 2011)
9. Tarkhan-Mouravi, G. (1998). The Georgian-Abkhazian Conflict in a Regional Context, in Georgians and Abkhazians. The Search for a Peace Settlement, Eds. Bruno Coppierers, GhiaNodia, Yuri Anchabadze. Vrije Universiteit Brussel. http://poli.vub.ac.be/publi/Georgians/ (Retrived in June, 2011)

დავით მაცაბერიძე

კონფლიქტის მოგვარების ქართული და აფხაზური პროექტები აფხაზეთის საკითხის პოლიტიკური დარეგულირებისათვის – ინსტიტუციური ჩიხი? (1990-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისი)

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს 1990-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისში ინიცირებული კონფლიქტის მოგვარების ქართული და აფ-

ხაზური გეგმები, რომელთა მიზანს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება წარმოადგენდა. კვლევა აანალიზებს ქართული და აფხაზური სამშვიდობო პროექტების ძირითად შეთავაზებებს და მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებზე ამახვილებს ყურადღებას. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ორივე მხარის მიერ ინიცირებული პროექტების ძირითად ნაკლოვანებას ქართველების და აფხაზების – სხვადასხვა პოლიტიკური ერთობების – მომავალი ინსტიტუციური ურთიერთმიმართების და ურთიერთდაქვემდებარების განსხვავებული ხედვა წარმოადგენდა. გარდა ამისა, არც ერთი მხარე არ განიხილავდა საერთო ინსტიტუციური სივრცის შექმნის შესაძლებლობას მომავალი ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისთვის. სოხუმის ადგილობრივი სეცესიური ხელისუფლება საქართველოსთან საერთო სახელმწიფოს შექმნისაკენ ისწრაფოდა, ხოლო თბილისის მიერ უარყოფილი იყო ნებისმიერი შეთავაზება, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კონტროლიდან და სახელმწიფო საზღვრებიდან გაჰყავდა. ამგვარად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა ორი პრინციპის – ერთი მხრივ, ტერიტორიული მთლიანობის, ხოლო, მეორე მხრივ, სეცესიური მისწრაფების – შეუთავსებლობა. ამგვარად, სამშვიდობო გეგმები ერთმანეთს დაუპირისპირდა. ნაშრომის მესამე ნაწილში ნაჩვენებია, რომ შეიძლება არსებობდეს ქართული და აფხაზური სამშვიდობო გეგმების ალტერნატიული სამშვიდობო პროექტი, რომელიც მათ ინსტიტუციურ ურთიერთობას დაარეგულირებს და კონფლიქტს საერთო ინსტიტუციურ სივრცეში გადაჭრის.

1990-იანი და 2000-იანი წლების სამშვიდობო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ იმ პერიოდის ქართული და აფხაზური სამშვიდობო გეგმების ძირითადი ნაკლოვანება და წინააღმდეგობა კონფლიქტის ფედერაციული თუ კონფედერაციული მოგვარებისადმი, განპირობებული იყო ქართველების და აფხაზების პოლიტიკური ლიდერების მიერ ერთიმეორის პოლიტიკური სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით და დებატების არარსებობით. მხარეები ძირითადად ვერ თანხმდებოდნენ თბილისსა და სოხუმს შორის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობის ფორმაზე: აფხაზეთის საბჭოთა სტილის ვერტიკალური დაქვემდებარება, თვით ფართო ავტონომიის პირობებშიც კი, მიუღებელი იყო აფხაზი ელიტისათვის; ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადასინჯვა ამა თუ იმ ფორმით და ნებისმიერი ახალი

სტატუსის მინიჭება აფხაზეთისთვის, რომელიც მას საქართველოს ტერიტორიული საზღვრებიდან გაიყვანდა, წარმოუდგენელი იყო თბილისისთვის. მთლიანობაში, არსებული წინააღმდეგობა განპირობებული იყო ახალი ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოყალიბების სირთულით. თუმცა, არა მხოლოდ ინსტიტუტები, არამედ პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკაც იმ მნიშვნელოვან ასპექტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც განსაზღვრავდა ახალი ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოყალიბებას თბილისსა და სოხუმს შორის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მალხაზ მაცაბერიძე

პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარება ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსის მიხედვით

ქვეყნის დემოკრატიული განვითარება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება შევისწავლოთ. ამ მხრივ საინტერესოა ტატუ ვანჰანენის მიერ შემუშავებული დემოკრატიზაციის ინდექსი,[1] რომელიც შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ იქნეს დემოკრატიის ჩამოყალიბების ეტაპი და ამ პროცესის დამოკიდებულება საზოგადოებაში სახელისუფლო რესურსების განაწილებაზე. ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსი შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ დემოკრატიზაციის პროცესი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში, ისე შედარებით კონტექსტში.

ვანჰანენისთვის ამოსავალია დებულება, რომ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში პოლიტიკური ხელისუფლება ხალხზეა დამოკიდებული, ხელისუფლების წყაროები კი ფართოდაა განაწილებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის.

დემოკრატიულობის დონის განსაზღვრისას ვანჰანენი ემყარება რობერტ დალის კონცეფციას[2] და ირჩევს ორ ცვლადს – პოლიტიკურ მონაწილეობას და პოლიტიკურ კონკურენციას. სწორედ ამ ორ მონაცემს ეყრდნობა დემოკრატიზაციის ინდექსი. ამ ცვლადების გამოყენება ლოგიკური და, ამასთან, ადვილია. ვანჰანენი იკვლევდა დემოკრატიზაციის პროცესს ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე და ეს გარემოება გარკვეულწილად განაპირობებდა ინდიკატორების არჩევას, რათა არ ყოფილიყო პრობლემები სტატისტიკური მონაცემების

---

[1] Vanhanen, T. 1984. *The Emergence of Democracy: A Comparative Study of 119 states, 1850-1979.* Helsinki: The Finnish Society of Sciences and Letters; Vanhanen, T. 1990. *The Process of Democratization: A Comparative Study of 147 states, 1980-1988. New York: Crane Russak.*

[2] Dahl, R.A. 1971. *Polyarchy: Participation and Opposition.* New Haven and London, Yale University Press.

ძიებისას და უზრუნველყოფილიყო ინდექსების რელევანტურობა სხვადასხვა კულტურულ და ისტორიულ პირობებში.

ვანჰანენი იყენებს ორ რაოდენობრივ ინდიკატორს დემოკრატიის გასაზომად:

პირველი ინდექსი – კონკურენტუნარიანობის დონე – განისაზღვრება ხმების იმ წილის მიხედვით, რასაც იღებენ ოპოზიციური პარტიები და კანდიდატები საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს წილი გამოითვლება შემდეგნაირად: 100-ს აკლდება სამთავრობო პარტიის (ან პარტიების ბლოკის) მიერ მიღებული ხმების პროცენტი.

მეორე ინდექსი – ელექტორალური მონაწილეობის დონე – არის მოსახლეობის წილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. პროცენტული წილი გამოითვლება მთელი მოსახლეობიდან და არა ხმის უფლების მქონე ადამიანთა რაოდენობიდან.

შერჩეული ინდიკატორების უპირატესობას ვანჰანენი ხედავდა მათ სიმარტივესა და რაოდენობრივი სიზუსტის მიღწევის შესაძლებლობაში.

ვანჰანენი თვლის, რომ კონკურენციის დონე და ელექტორალური მონაწილეობის დონე ერთნაირად მნიშვნელოვანია დემოკრატიისათვის. დემოკრატიზაციის ინდექსი კი გამოითვლება შემდეგი ფორმულით: კონკურენტუნარიანობის დონე გამრავლებული ელექტორალური მონაწილეობის დონეზე და გაყოფილი 100-ზე.

ელექტორალური კონკურენციისა და მონაწილეობის მაჩვენებლებს, დემოკრატიზაციის ინდექსს ვანჰანენი იყენებს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციისათვის დემოკრატიულად, ნახევრად დემოკრატიულად და არადემოკრატიულად. ვანჰანენის თანახმად, ამ მაჩვენებლების მიხედვით აღნიშნული სისტემები შემდეგნაირად ხასიათდება:

ქვეყნების დემოკრატიულობის დონე	ელექტორალური კონკურენციის დონე	ელექტორალური მონაწილეობის დონე	დემოკრატიზაციის ინდექსი
დემოკრატიული ქვეყნები	30% და მეტი	15% და მეტი	5 და მეტი
ნახევრად დემოკრატიული ქვეყნები	20-30%	10-15%	2-5

რადემოკრატი-ული ქვეყნები	20%-ზე დაბალი	10%-ზე დაბალი	2-ზე დაბალი

საქართველოში 1990-2012 წლებში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში **ელექტორალური მონაწილეობის დონე** ვანჰანენის ინდექსის მიხედვით შემდეგნაირად წარმოდგება:

არჩევნები	ქვეყნის მოსახლე-ობა	არჩევ-ნებში მონაწი-ლეთა რაო-დენობა	ელექ-ტორა-ლური მონაწი-ლეობის დონე
1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნები	5.424.400	2.406.742	44,3688
1991 წ. 26 მაისის საპრეზი-დენტო არჩევნები	5.453.300	2.978.247	54,6136
1992 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	5.467.400	2.575.197	47,1009
1995 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	4.794.200	2.127.946	44,3858
1995 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	4.794.200	2.139.369	44,6241
1999 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	4.469.800	2.133.877	47,7398
2000 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	4.435.200	2.343.176	52,8313
2004 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	4.315.200	1.498.012	34,7147
2004 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	4.315.200	1.963.556	45,2370
2008 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	4.382.070	1.982.318	45,2370
2008 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	4.382.070	1.850.407	42,2267
2012 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	4.497.600	2.215.661	49,2631

კონკურენტუნარიანობის დონე საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში შემდეგნაირად განისაზღვრება:

არჩევნები	არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა	ხელისუფლების მიერ მიღებული ხმები	ოპოზიციის მიერ მიღებული ხმები	კონკურენტუნარიანობის დონე
1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნები	2.406.742	კომპარტია (638 824 29.58) 29.58%	70,42%	70,42%
1991 წ. 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები	2.978.247	გამსახურდია 2.565.362 (86,1366%)	ოპოზიცია 412.885 13,8635%	13,8634%
1992 წ. საპარლამენტო არჩევნები	2.575.197			
1995 წ. საპარლამენტო არჩევნები	2.127.946	მოქალაქეთა კავშირი 23,71%		76,29%
1995 წ. საპრეზიდენტო არჩევნები	2.139.369	შევარდნაძე 1.589.909 (74,3167%)	დანარჩენი კანდიდატები 414.303	25,6833
1999 წ. საპარლამენტო არჩევნები	2.133.878	მოქალაქეთა კავშირი 42,07%		57,93%
2000 წ. საპრეზიდენტო არჩევნები	2.343.176	შევარდნაძე 1.870.311 (79,8194	დანარჩენი კანდიდატები	20,1806 %

		%)	472.865	
2004 წ. საპარლამენ-ტო არჩევნები	1.498.012	ნაციო-ნალური მოძრა-ობა 66,24%		33,76%
2004 წ. საპრეზი-დენტო არჩევნები	1.963.556	სააკა-შვილი 1.890.256 (96,2669%)	დანარ-ჩენი კანდი-დატები 73.300	3,7331%
2008 წ. საპრეზი-დენტო არჩევნები	1.982.318	სააკა-შვილი 1.059.647 (53,4549%)	დანარ-ჩენი კანდიდა-ტები 922.671	46,5451%
2008 წ. საპარლამენ-ტო არჩევნები	1.850.407	ნაციონ-ალური მოძრა-ობა 59,18%		40,82%
2012 წ. საპარლამენ-ტო არჩევნები	2.215.661	ნაციო-ნალური მოძრა-ობა 40,34%		59,66%

საქართველოში 1990-2012 წლებში ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში **ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსი** შემდეგნაირად იცვლებოდა:

არჩევნები	კონკუ-რენტუნ-არიანობა	მონაწილე-ობის დონე	დემოკრა-ტიზაცი-ის დონე
1990 წლის უზენაესი საბ-ჭოს არჩევნები	70,42%	44,3688	31,2445
1991 წ. 26 მაისის საპრეზი-	13,8634%	54,6136	7,5713

დენტო არჩევნები			
1992 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები		47,1009	
1995 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	76,29%	44,3858	33,8619
1995 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	25,6833	44,6241	11,4609
1999 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	57,93%	47,7398	27,6556
2000 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	20,1806%	52,8313	10,6616
2004 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	33,76%	34,7147	11,7196
2004 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	3,7331%	45,2370	1,6887
2008 წ. საპრეზიდენტო არ-ჩევნები	46,5451%	45,2370	21,0556
2008 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	40,82%	42,2267	17,2369
2012 წ. საპარლამენტო არ-ჩევნები	59,66%	49,2631	29,3903

როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოკრატიზაცია, ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსის თანახმად, ტალღისებურ ხასიათს ატარებს. მის ზოგად დონეზე მსჯელობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს დემოკრატიზაციის ინდექსზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი: არჩევნებში გამარჯვებული ქარიზმატული ლიდერია, რომელსაც ასევე შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სახელისუფლო რესურსი.

დემოკრატიზაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელიც „ვარდების“ რევოლუციის ტალღაზე ჩატარდა. ამ არჩევნების დროს დაფიქსირებული დემოკრატიზაციის მაჩვენებელი (1,68), ვანჰანენის თანახმად, არადემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, ვანჰანენის დემოკრატიზაციის ინდექსი საკმაოდ მაღალია (დემოკრატიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით კი 1995 წლის საპარლამენტო არჩევნები ხასიათდება), მაგრამ საქართველოს პირობებში ნაკლებად შეესაბამება რეალურ სიტუაციას, რადგანაც მისი შედეგი, პარლამენტში წარმომადგენლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად კორექტირდება ორი ფაქტორის შედეგად:

– პროპორციული არჩევნების დროს მოქმედი მაღალი ბარიერი (7% ან 5%), რის გამოც ოპოზიციის მიერ მიღებული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება და გავლენას არ ახდენს პარლამენტში ძალთა განაწილებაზე;

– პროპორციული არჩევნების შეხამება მაჟორიტარულ არჩევნებთან, მაჟორიტარულ ოლქებში კი, როგორც წესი, ხელისუფლების კანდიდატები იმარჯვებდნენ (გარდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა).

Malkhaz Matsaberidze
Full Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Development of the Post-Soviet Georgia According to Vanhanen's Democratization Index

Resume

The Democratization Index, elaborated by Tatu Vanhanen, enables to analyze the existing stage of formation of democracy and the attitude of this process to the distribution of governmental resources in society. Vanhanen refers to the concept of Robert Dahl for the determination of the level of democracy and mainly applies the two variables – political participation and political competition. Exactly these two variables form the basis of democratization index.

The first index – the level of competition – is determined by the share of voices accumulated by opposition parties and candidates in parliamentary and presidential elections.

The second index – the level of participation of the electorate – is determined as a share of population participating in elections. Although, considering the Georgian reality – where the exact figure of the population is not set – it is better to rely on the figure of registered voters, which is clearly determined before the elections.

Vanhanen considers that the level of competition and the level of participation of the electorate are equally important for democracy. The index of democratization is calculated according to the following formula: level of competition X level of participation of electorate divided by 100.

In the case of conducted presidential elections in Georgia, the democratization index of Vanhanen stands as follows:

- 1991 – (President Zviad Gamsakhurdia) – 11, 4857
- 1995 – (President Eduard Shevardnadze) – 25, 6760
- 2000 – (President Eduard Shevardnadze) – 15, 3083
- 2004 – (President Mikheil Saakashvili) – 3, 2840
- 2008 – (President Mikheil Saakashvili) – 26, 1530

It is evident that the process of democratization in Georgia bears a waving character according to the index of democratization. I would argue that the two main factors influence its general standing: generally, the winner of the election is a charismatic leader, who is capable of using governmental resources.

The lowest index of democratization was fixed in the presidential elections of 2004, following the Rose Revolution of 2003. The highest level of democratization was fixed during the presidential elections of 1995 and 2008. In terms of Parliamentary elections, the Vanhanen's Democratization Index does not reflect the existing reality in Georgia as the outcomes of elections in terms of representation in the parliament are corrected according to the two following factors: high barrier set for the entry to the parliament (7% or 5%) and the majoritarian elections, when the nominees of the government emerged as winners (except the Parliamentary elections of 2012).

ვალერიან მელიქიძე

„საზოგადოების განვითარების“ სწავლების კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის მცდელობა საუნივერსიტეტო განათლების სამაგისტრო დონეზე

პრობლემა – „საზოგადოების განვითარების“ განსაზღვრა

თანამედროვე საზოგადოებრივი და ეკონომიკური მეცნიერებები (საზოგადოებრივი გეოგრაფიის ჩათვლით) იმით გამოირჩევა, რომ მათთვის დამახასიათებელ მთელ რიგ საკვანძო ცნებებს ან ტერმინებს ან საერთოდ არ გააჩნიათ შესაბამისი განსაზღვრებები, ან ასეთი იმდენად მრავალრიცხოვანი და ურთიერთგამომრიცხავია, რომ აზრი ეკარგებათ. მრავალი ტერმინი საერთოდ გამოიყენება *გულისხმობით* (ინგლისური – by default), ე.ი. ითვლება, რომ ყველას ესმის მათი მნიშვნელობა და სპეციალური განმარტება არ არის საჭირო. ასეთი სიტუაცია მისაღებია სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში ან ჟურნალისტიკაში, მაგრამ რეალურ სირთულეებს ქმნის საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონეზე.

შედეგად, ლექტორი ან იძულებულია გადააქციოს სასწავლო კურსი ციტატების ნაკრებად და ააგოს ის *ერთი მხრივ, მეორე მხრივ* პრინციპზე, ან შეიმუშაოს ასეთი ცნებების საკუთარი ხედვა, რომელიც საფუძვლად ედება შესაბამის სასწავლო კურსს (კურსებს). ავტორი მეორე მიდგომის მომხრეა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოსცადა „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის“ სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ტერმინ *განვითარების* გამოყენებას საზოგადოებასთან მიმართებაში. გამოყენებულია იგივე მიდგომა, რაც *გლობალიზაციის* შემთხვევაში, ე.ი. შემუშავდა განსაზღვრული *კონცეპტუალური ჩარჩო,* რომლის გარშემო სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან ფაქტების, იდეების, კონცეფციების, გადაწყვეტილებების და სხვა, საკუთარი ნაკრები. ასეთი კონცეპტუალური ჩარჩო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი სალექციო კურსების შექმნაში, როგორიცაა: „განვითარების გეოგრაფია“, „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“,

„საზოგადოების განვითარება და ბუნებრივი გარემო“, რომელიც იკითხება თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

> კონცეპტუალური ჩარჩო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მთავარ კრიტერიუმებს:
>
> – ემყარებოდეს *ოკამის სამართებლის* პრინციპს;
>
> – მაქსიმალურად ამცირებდეს გამოყენებული განმარტებებისა და არგუმენტების რაოდენობას;
>
> – მიმართავდეს საზოგადოების განვითარების *მიზეზებს* და არა მის ხილულ შედეგებს;
>
> – არ ცდილობდეს განვითარების, როგორც ასეთის, შეფასებას;
>
> – იყოს აღსაქმელად ადვილი;
>
> – არ იყენებდეს „დატვირთულ“ პროფესიონალურ ტერმინოლოგიას;
>
> – იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური.
>
> ასეთი მიდგომა მიზნად არ ისახავს ახალი თეორიის ან კონცეფციის შექმნას. იმ არგუმენტებისა და განმარტებების უმეტესობა, რომელიც ამ ჩარჩოს ფარგლებშია თავმოყრილი, საკმაოდ კარგად არის ცნობილი და ფართოდ გამოიყენება. ისინი უბრალოდ თავმოყრილია და წარმოდგენილია ისეთი სახით, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფრო ეფექტურად გამოიყენონ ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა სწავლის პროცესში.[1]

განვითარების განმარტების კონკრეტული ინტერპრეტაცია საზოგადოებასთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ არსებობს. „საზოგადოების განვითარების“ ფაქტობრივად ერთადერთი განმარტება, რომლის მოძიებაც ჩვენ შევძელით, მოყვანილია ინგლისურ ვიკიპედიაში. ის შემდეგნაირადაა ფორმულირებული – „ზოგადად, განვითარება ყველა საზოგადოებასთან მიმართებაში ყველა ისტორიულ პერიოდში შეიძლება განისაზღვროს, როგორც აღმავალი მოძრაობა, რომელიც მოიცავს ენერგიის, ეფექტურობის, ხარისხის, პროდუქტიულობის, სირთულის, გააზრების, შემოქმედების, ოსტატობის, სიამოვნების გან-

[1] სტატია წარმოადგენს ავტორის მიერ, მის ადრეულ ნაშრომებში, გამოთქმული მოსაზრებების განვითარებას და გავრცობას. იხ. Some Remarks on the Subject of “Sustainable Development” in “Caucasus Environment Magazine”, June, 2008; „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.

ცდისა და მონაპოვარის ზრდად დონეებს“.[2] ამ განმარტებაში ერთდროულად იმდენი ნაკლებად თავსებადი და ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი პარამეტრია მოყვანილი, რომ მას, ფაქტობრივად, აზრი ეკარგება. რატომ უნდა იზრდებოდეს ერთდროულად, ყველგან და ყოველთვის, მაგალითად, ენერგიის დონე (რაც თავისთავად აგრეთვე ალოგიკურია – რა არის საერთოდ „ენერგიის დონის ზრდა“?) და სიამოვნების განცდა? რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან?

მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი განვითარების თეორიების ანალიზს, ავტორები ახერხებენ განვითარების თეორიებზე საუბარს *განვითარების ტერმინის* განსაზღვრის გარეშე. იმავე „საზოგადოებრივი გეოგრაფიის ენციკლოპედიაში“ ნათქვამია – „თანამედროვე განვითარების თეორიების უმეტესობა ცდილობს განსაზღვროს ის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომლის ფარგლებში ადამიანები, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, ცდილობენ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზაცია, შექმნან საკუთარ თავში რწმენა და იცხოვრონ ღირსეულად და დაკმაყოფილებულად“.[3] გასაგებია, რომ ასეთი განმარტებიდან რთულია (თუ საერთოდ შესაძლებელია) იმის გაგება, თუ რა არის საზოგადოების განვითარება.

როგორც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე პოლიტიკურ დოკუმენტებში და, ზოგჯერ, კანონმდებლობაში, საზოგადოების განვითარების ცნება ძირითადად ჩანაცვლებულია „ეკონომიკური განვითარებით“. ის მთლიანად საზოგადოების (და სახელმწიფოს/ქვეყნის, როგორც საზოგადოების კერძო შემთხვევების) დასახასიათებლად საკმარისი არ არის, რადგანაც არ ითვალისწინებს იმ უამრავ კომპონენტს, რომელიც ეკონომიკური საქმიანობით ნაკლებად, ან საერთოდ არ იფარება. ამასთან ერთად, ეს ტერმინი ერთმანეთში ურევს განვითარებას, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს მატერიალური თუ იდეალური ობიექტების კანონზომიერ ხარისხობრივ ცვლას, რომელიც მიზანმიმართული და შეუქცევადია და ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, შექცევადია. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ხან იზრდება, ხან კი შედარებით მცირდება და დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე (განსა-

---

[2] მოძიებულია http://en.wikipedia.org/wiki/Social_development_theory, განმარტება ეყრდნობა სტატიას – Jacobs, Garry and Asokan N., "Towards a Comprehensive Theory of Social Development". In: *Human Choice*, World Academy of Art & Science, USA, 1999, p. 152.

[3] Encyclopedia of Human Geography, Edited by Barney Warf, Florida State University, A SAGE Reference Publication, SAGE Publications, 2006, p. 101, Development Theory.

კუთრებით განვითარებადი ქვეყნების). გარდა ამისა, ეს ტერმინი სემანტიკურადაც არასწორია, რადგანაც ის შესაძლოა გულისხმობდეს მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას ხარისხობრივი ცვლილებების გარეშე – ე.ი., ფაქტობრივად, აქ ლაპარაკია ეკონომიკურ ზრდაზე.

> უფრო იშვიათად, საზოგადოების განვითარების თეორიების ანალიზის დროს, ვხვდებით ტერმინს „საზოგადოების ცვლილება“ (social change ინგლისურად), როგორც საზოგადოების განვითარების სინონიმს, თუმცა აქ ძირითადად მაინც იგულისხმება *საზოგადოებრივი პროგრესი* და/ან *სოციოკულტურული ევოლუცია.* ძალიან მარტივად ის განისაზღვრება, როგორც „მექანიზმების ცვლილება საზოგადოებრივი სტრუქტურის შიგნით, რომელიც ხასიათდება კულტურული სიმბოლოების, ქცევის წესების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ფასეულობათა სისტემის ცვლილებით“.[4]

საზოგადოება, რომელიც ვითარდება

ზემოთ ჩამოთვლილი სალექციო კურსების კონკრეტული მოთხოვნიდან გამომდინარე, საზოგადოება მარტივად განიხილება როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებულები არიან ერთმანეთთან მდგრადი კავშირებით და იზიარებენ საერთო გეოგრაფიულ ტერიტორიას.

იმავე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადამიანის საზოგადოება დამატებით ხასიათდება როგორც *რთული* (ნებისმიერ საზოგადოებას მეტისმეტად ბევრი ელემენტი ქმნის), *ღია* (რომელიც ურთიერთობს გარემოსთან), *მატერიალური* (რეალურად არსებული), *დინამიკური* (ცვლადი, განვითარებადი), *ტერიტორიალური* (ე.ი. არსებული გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში) *სისტემა.*

ასეთი სისტემა შედგება ორი დიდი ქვესისტემისაგან – *მატერიალური* და *ვირტუალური.*

მატერიალური ქვესისტემა, თავის მხრივ, იყოფა: *მოსახლეობად, წარმოებად, ბუნებრივ რესურსულ ბაზად* და *მართვის/განაწილების* ქვესისტემებად, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მატერიალური, ენერგეტიკული და ინფორმაციული ნაკადებით. ეს ნაკადები განაპირობებს საზოგადოების *სტრუქტურას* და *ორგანიზაციას.* სტრუქტურისა და ორგანიზაციის კონკრეტულ კონფიგურაციას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს მანამ, სანამ საზოგადოება ფუნქციონირებს,

[4] მოძიებულია http://www.britannica.com/EBchecked/topic/550924/social-change

თუმცა, ისევ და ისევ, დღესდღეობით საზოგადოება ძირითადად ორგანიზებულია, როგორც *სახელმწიფო/ქვეყანა* ან მისი ნაწილი.

საგულისხმოა, რომ ქვევით მოყვანილი მოდელი წარმოადგენს *სისტემური ანალიზის* პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი საზოგადოების მოდელების ერთ-ერთ ვარიანტს, რომელიც მორგებულია საუნივერსიტეტო სწავლების მოთხოვნილებებზე. ის კარგად ასახავს შედარებით ჰომოგენურ საზოგადოებებს, რომელიც, ფაქტობრივად, ემთხვევა სახელმწიფოებს, რომლის ფარგლებშიც არსებობს. ასეთია, მაგალითად: იაპონია, ტაივანი, ისლანდია, ნორვეგია და ა.შ. ამ მოდელის დახვეწაა საჭირო ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ერთი ფორმალურად ორგანიზებული ტერიტორიის ფარგლებში არსებობს ორი ან მეტი საზოგადოება (მაგალითად: გაერთიანებული სამეფო, ბელგია, აშშ და ა.შ.), თუმცა ამ ამოცანის გადაჭრა მოცემული სტატიის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული.

მოსახლეობის ქვესისტემაში გაერთიანებულია ყველა ის ადამიანი, რომელიც დროის მოცემულ კონკრეტულ მომენტში იმყოფება სისტემის ფარგლებში (ე.ი. ის, რასაც სტატისტიკაში უწოდებენ „სახეზე მყოფ მოსახლეობას“). პრინციპში, მთლიანად საზოგადოებრივი სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციონირება მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ასეთი მოთხოვნილებების დაკონკრეტება (გარდა ენერგიის იმ აბსოლუტური მინიმუმის, რომელიც სჭირდება ადამიანს აღწარმოებისა და ფუნქციონირებისათვის) საკმაოდ რთულია. ასევე ძნელია ამ ქვესისტემის ფუნქციის დადგენა, გარდა ნებისმიერი სისტემისათვის დამახასიათებელი საკუთარი თავის აღწარმოებისა, თუმცა თანამედროვე, ე.წ. განვითარებულ, საზოგადოებებში მას მიუჩინეს *მოხმარების* ფუნქცია.

წარმოების (საწარმოო) ქვესისტემა ასრულებს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქციას საქონლითა და მომსახურებით. ქვესისტემის ფუნქციონირების თავისებურებიდან გამომდინარე, რა ტიპის საქონელს ან მომსახურებას აწარმოებს ეს ქვესისტემა, რამდენად შეესაბამება ის მოცემულ კონკრეტულ საზოგადოებაში არსებულ მორალის ნორმებს, ტრადიციებს, ფასეულობებს, კანონმდებლობას, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სანამ მასზე მოთხოვნილება არსებობს. ამასთან ერთად, ეს ქვესისტემა აწარმოებს ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც საჭიროა მისი და *მართვის/განა-*

წილების ქვესისტემების ფუნქციონირებისათვის, *ბუნებრივი რესურსული ბაზის* ექსპლუატაციისათვის.[5]

ბუნებრივი რესურსული ბაზა ქმნის ყველა დანარჩენი ქვესისტემების არსებობის რესურსულ საფუძველს და მოიცავს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების იმ ნაწილებს, რომლის უშუალო ათვისება, გამოყენება და გარდაქმნა შეუძლია საზოგადოებას მოცემულ კონკრეტულ მომენტში და რომელიც იმყოფება ამ საზოგადოებრივი სისტემის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში. ის რესურსები, რომელიც უშუალოდ არ მდებარეობს საზოგადოებრივი სისტემის ტერიტორიის ფარგლებში, მაგრამ გამოიყენება მის მიერ, განიხილება არა როგორც მისი ქვესისტემა, არამედ როგორც გარემოს ფაქტორი.

მართვის/განაწილების ქვესისტემის ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოების დანარჩენი ქვესისტემების ფუნქციონირების წინაპირობების შექმნა და ფუნქციონირების წარმართვა, ბუნებრივ რესურსულ ბაზაში მოპოვებული სიმდიდრის, წარმოების ქვესისტემაში შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების მიტანა მოსახლეობამდე (მომხმარებლამდე). დანარჩენი ქვესისტემებისაგან განსხვავებით, მისი ორგანიზაციის ტიპი უფრო ფუნქციონალურია, ვიდრე ტერიტორიული. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც შედარებით დამოუკიდებელი სტრუქტურებით (მაგალითად: სახელმწიფო მართვის ორგანოები, ფინანსური ინსტიტუტები, სარეკლამო სააგენტოები და ა.შ.), ასევე წარმოების ქვესისტემის ფუნქციონალური ელემენტების ნაწილებით (მაგალითად, ნებისმიერი საწარმოს/ფირმის ფინანსური, სარეკლამო ან მარკეტინგული ქვედანაყოფებით). ისევ და ისევ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ ქვესისტემის კონკრეტული ორგანიზაციის ფორმას მანამ, სანამ ის თავის ფუნქციას ასრულებს. კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ნარკოტიკების გასაღების ქსელის ორგანიზაციით არის დაკავებული, ისეთივე ნაწილია ამ ქვესისტემის, როგორც საბანკო სისტემა.

ვირტუალური ქვესისტემა, ერთი შეხედვით, შეესაბამება მარქსის მიერ შემოთავაზებულ საზოგადოების *ზედნაშენს (superstructure),* რომელიც განიხილება, როგორც საზოგადოების პოლიტიკური, საკანონმდებლო, რელიგიური ინსტიტუტების, მისი მორალური, ესთეტიკური, ფილოსოფიური შეხედულებების ერთობა. ჩვენს კონკრეტულ შემ-

[5] გასაგებია, აქ ისევ და ისევ საუბარია საზოგადოების ფორმალურ მოდელზე. რეალურ სიტუაციაში არ არსებობს საზოგადოება, რომელშიც ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია საკუთარი წარმოების ხარჯზე.

თხვევაში პოლიტიკური, საკანონმდებლო, რელიგიური ინსტიტუტები შედის *მართვის/განაწილების* ქვესისტემაში, ხოლო მორალური, ესთეტიკური, ფილოსოფიური შეხედულებები იწარმოება და მიეწოდება მოსახლეობას მოსახმარებლად. ამავე დროს, ეს შეხედულებები, ისევე როგორც ფორმალური საკანონმდებლო ნორმები, რომელიც არეგულირებს საზოგადოების ფუნქციონირებას, იმდენად მრავალფეროვანი და რთულია (თუ არ ჩავთვლით რაიმე პრიმიტიულ ტომს, რომელიც იმავე ახალი გვინეის ჯუნგლებში ბინადრობს), რომ საზოგადოების წევრებს მათ დიდ ნაწილზე ან საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ (მაგალითად კანონმდებლობაზე), ან იციან მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათ უშუალოდ ეხებათ და აინტერესებთ. მით უმეტეს, რომ მორალური, ესთეტიკური, ფილოსოფიური შეხედულებები უმეტეს შემთხვევაში მათი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა (იგივე ნებისმიერი რელიგიური დოქტრინა). ამიტომ საზოგადოების ნებისმიერი წევრი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში სარგებლობს არა ამ დოქტრინებით/ნორმებით როგორც ასეთით, არამედ მათი იმ ნაწილებით, რომლის აღქმა, დამახსოვრება და გამოყენება შეუძლია. ერთი და იმავე იდეის აღქმა და კონკრეტული გამოყენება შესაძლებელია ფრიად განსხვავებული იყოს ადამიანების განათლების, კულტურისა და ინტელექტის დონის მიხედვით და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდეს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა შეხედულებებთან და დოქტრინებთან, არამედ მათ საფუძველზე, მათი *ნაგლეჯებიდან* შექმნილ *მითოლოგიასთან.* ვირტუალური ქვესისტემა, ფაქტობრივად, ასეთი *ინდივიდუალური მითოლოგიების* შერწყმას წარმოადგენს, შესაბამისად, მას შეიძლება *მითოლოგიური* ქვესისტემა ვუწოდოთ. ის უდიდეს გავლენას ახდენს მატერიალური ქვესისტემის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებაზე, მაგრამ, ისევ და ისევ, არა რომელიმე ჩამოყალიბებული ნორმებისა და დოქტრინების საფუძველზე, არამედ იმ გასაშუალოებულ წარმოდგენებზე დაყრდნობით, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოების *ტიპური* წევრისათვის.

ამ ქვესისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ის აყალიბებს საზოგადოების ცალკეული წევრების წარმოდგენას მათს ადგილზე საზოგადოებაში და მის დამოკიდებულებას მთლიანად საზოგადოების მიმართ. ამ წარმოდგენების გასაშუალება ქმნის ამა თუ იმ საზოგადოების *იდენტობას.*

საზოგადოების მატერიალური და ვირტუალური ქვესისტემები განუწყვეტლივ ურთიერთობენ, ყალიბდებიან და ფუნქციონირებენ ურთიერთგავლენის პირობებში. ნებისმიერი საზოგადოების წარმატება/-ჩავარდნა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად *კომპლიმენტარულია* ეს ქვესისტემები. მათი არათავსებადობა, მატერიალური სისტემის რეფორმირების მცდელობა, ვირტუალური სისტემის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ნებისმიერი საზოგადოების კრიზისის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

რა არის საზოგადოების განვითარება

„მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის“ სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული იყო საზოგადოების ფუნქციონირების *მინიმალური აუცილებელი* წინაპირობა.[6]

ეს წინაპირობაა – ნებისმიერი საზოგადოება, მისი სტრუქტურის სირთულის და ორგანიზაციის ფორმის განურჩევლად, ცდილობს გადაჭრას შემდეგი ორი *ძირითადი (თუმცა გამოუცხადებელი) ამოცანა:*

ა. დაამყაროს სტაბილური ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოების წევრების მოთხოვნილებებს შორის და, მეორე მხრივ, ბუნებრივი რესურსული ბაზის შესაძლებლობებს შორის დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებები;[7]

ბ. გაანაწილოს მოპოვებული სიმდიდრე საზოგადოების წევრებს შორის ისე, რომ შეინარჩუნოს (არ დაარღვიოს) საზოგადოების სტაბილურობა.

პრინციპულად შესაძლებელია ამ ამოცანების გადაჭრა განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი სისტემის ძირითადი ფუნქცია. პრაქტიკულად ყველა სხვა დანარჩენი ფუნქცია, რომელსაც ასრულებს საზოგადოება, *საბოლოო ჯამში* მიმართულია ამ ამოცანების გადაჭრის უზრუნველყოფაზე ან დახვეწაზე.

გარდა ამისა, ვირტუალურ ქვესისტემაში უნდა არსებობდეს თანხმობა იმის თაობაზე, რომ ხდება ამ ფუნქციების აღსრულება ან, რო-

---

[6] ვ. მელიქიძე, „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ.24.

[7] ისევ და ისევ, არ არსებობს ადამიანის მოთხოვნილების რაიმე სახის სტანდარტი, გარდა იმისა, საკვებში გამოხატული რა რაოდენობის ენერგია სჭირდება დღეში ადამიანს ფუნქციონირებისათვის. თუმცა ეს მოთხოვნილებაც საკმაოდ განსხვავებულია, დამოკიდებული იმავე ბუნებრივ პირობებზე. მაგალითად, საშუალო მოზრდილ ამერიკელ მამაკაცს, რომელიც შედარებით აქტიურ ცხოვრებას ეწევა, დამოკიდებული ასაკზე, დღეში ესაჭიროება 2200-2800 კკალ ენერგია, ქალს – 2000-2400 კკალ. მოძიებულია http://www.cnpp.usda.gov/Publications/USDAFoodPatterns/EstimatedCalorieNeedsPerDayTable.pdf

გორც მინიმუმ, შეგუება არსებულ (თუნდაც არადამაკმაყოფილებელ) მდგომარეობასთან.

საზოგადოება, როგორც ასეთი, საკმაოდ არამდგრადი სისტემაა, რომელსაც სტაბილური, უწყვეტი ფუნქციონირებისათვის განუწყვეტლივ კორექტირება სჭირდება. როგორი ეფექტურიც არ უნდა იყოს საზოგადოების სტრუქტურა და დახვეწილი მისი ორგანიზაცია, *ადრე თუ გვიან დგება* მომენტი, როდესაც საფრთხე ექმნება მისი ფუნქციონირების მინიმალური აუცილებელი წინაპირობების აღსრულებას. ე.ი. წარმოიქმნება სიტუაცია, რომელიც *სისტემური კრიზისის* სახელითაა ცნობილი. ასეთი კრიზისის შექმნის ცალკეული წინაპირობები (როგორც გარეშე, ასე შიდა) და/ან მათი კომბინაცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ყველაზე ტიპურების განხილვაც კი ამ სტატიის ფარგლებში შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *საზოგადოების განვითარება წარმოადგენს საზოგადოების მიერ სისტემური კრიზისის დაძლევის ან (უკეთეს, საკმაოდ გამონაკლის შემთხვევაში) ასეთი კრიზისის წინმსწრები ღონისძიებების გატარებას, რომელიც იწვევს ხარისხობრივ, შეუქცევად ცვლილებებს საზოგადოებრივ სისტემაში.*

განვითარება წარმოადგენს საზოგადოების ფუნქციონირების არა *სასურველ,* არამედ *იძულებით* სტადიას. ამ დროს ცვლილებები საზოგადოებაში ხდება არა იმიტომ, რომ ამის სურვილი არსებობს, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების ფუნქციონირებას და თვით არსებობას საფრთხე ემუქრება. ამით განსხვავდება განვითარება *მოდერნიზაციისაგან.* მოდერნიზაცია არ წარმოადგენს ამა თუ იმ საზოგადოების ფუნქციონირების სავალდებულო სტადიას. საზოგადოება მოდერნიზაციის შემთხვევაში *პროაქტიურია,* საზოგადოებაში არსებობს მოდერნიზაციული ცვლილებების გატარების ნება და ეს ცვლილებები ასე თუ ისე წინასწარ იგეგმება. განვითარების შემთხვევაში საზოგადოება *რეაქტიულია,* ის რეაგირებს სიტუაციაზე, რომელიც არ იგეგმებოდა და მიზანდასახულად არ იქმნებოდა.[8]

---

[8] გასაგებია, რომ ცალკეულ შემთხვევებში განვითარება და მოდერნიზაცია შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც არასწორი მოდერნიზაცია იწვევს სისტემურ კრიზისს, ან ქვეყნის ხელმძღვანელობა ახერხებს კრიზისის დაძლევას, გაერთიანებას მოდერნიზაციულ ცვლილებებთან. ამის ყველაზე მკაფიო, წარმატებული მაგალითია (დასავლეთ) გერმანიის განვითარება/მოდერნიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ტერმინი *განვითარება* ხშირად გამოიყენება როგორც *პროგრესის* და/ან *ზრდის* სინონიმი. რეალობაში საზოგადოების განვითარებას შესაძლებელია თან სდევდეს პროგრესიც და ზრდაც, თუმცა ეს სავალდებულო არ არის. მთავარია, რომ სისტემური კრიზისის დაძლევის შედეგად იქმნება ხარისხობრივად განსხვავებული საზოგადოება, შეუქცევადი ცვლილებებით სტრუქტურაში, ორგანიზაციაში, ქვესისტემებში. ეს ცვლილებები შეიძლება განიხილებოდეს როგორც *რეგრესი,* ხოლო ეკონომიკის მოცულობა, მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორია, შემცირდეს. ევროპის გარდაქმნა დასავლეთი რომის იმპერიის დაცემის შემდეგ განვითარების სტადიას წარმოადგენდა, თუმცა ხასიათდებოდა აშკარა რეგრესით, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკის მკვეთრი შემცირებით, რომაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფუნქციების უმეტესობის დეგრადაციით ან, საერთოდ, გაქრობით.

ისევ და ისევ, საუნივერსიტეტო სწავლების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ საზოგადოების განვითარების ორი ძირითადი ტიპი.[9] პირველი დაკავშირებულია საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და მას ძალიან პირობითად შეიძლება *შემოქმედებითი* ვუწოდოთ, ხოლო მეორეს ადგილი აქვს უკვე არსებული საზოგადოების მიერ სისტემური კრიზისის დაძლევის პროცესში და ის შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც *გამასწორებელი.*[10]

პირველ სტადიას გადის ნებისმიერი საზოგადოება მისი ჩამოყალიბების პროცესში და ის დაკავშირებულია მისი ქვესისტემების, სტრუქტურის და ორგანიზაციის ფორმირებასთან. განვითარების ეს სტადია მთავრდება მაშინ, როდესაც საზოგადოება სტაბილურად ახერხებს თავისი ფუნქციონირების მინიმალური აუცილებელი წინაპირობების აღსრულებას, გააჩნია ამის შესაბამისი ქვესისტემები, სტრუქტურა და ორგანიზაცია.

ის არ წარმოადგენს უწყვეტ ან შეუქცევად პროცესს. არსებობს *შეწყვეტილი განვითარების* ან *რეგრესის* მრავალი მაგალითი. ამ პროცესის ხანგრძლივობაც ფრიად განსხვავებულია, გააჩნია საზოგადოებას და იმ პირობებს, რომელშიც ის ყალიბდება. ვთქვათ, გერმანული

---

[9] ჩვენ მიზანდასახულად არ განვიხილავთ განვითარების ისეთ კერძო შემთხვევას, რომელსაც *მდგრადი განვითარება* წარმოადგენს. ის დეტალურად განხილულია სტატიაში – V. Melikidze, Some Remarks on the Subject of “Sustainable Development” in “Caucasus Environment Magazine”, June, 2008.

[10] ინგლისურად ეს ტერმინები ბევრად უკეთესად ჟღერს, როგორც creative და corrective.

საზოგადოების ჩამოყალიბება დაიწყო იმპერიის შექმნასთან ერთად 1871 წელს და, როგორც ჩანს, დამთავრდა (დასავლეთ გერმანიაში) ევროპული საერთო ბაზრის ჩამოყალიბებისას. ამ პერიოდში მისი განვითარება ორჯერ შეწყდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების და მათი თანმხლები სისტემური კრიზისების შედეგად.

ამავე დროს, ახალი საზოგადოებები ცარიელ ადგილზე არ იქმნება. ყოველი კონკრეტული ახალი საზოგადოების შექმნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მისმა წინამორბედმა საზოგადოებამ (საზოგადოებებმა) ვერ დაძლია სისტემური კრიზისი.

არსებობს მოარული გამოთქმა იმის შესახებ, რომ სისტემის შეფასება უნდა მოხდეს არა იმის მიხედვით, რა შეცდომებს უშვებს ის, არამედ იმის მიხედვით, როგორ რეაგირებს ამ შეცდომებზე. საზოგადოების განვითარების ანალიზის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გამოთქმის შემდეგი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი – *საზოგადოების შეფასება უნდა მოხდეს არა იმის მიხედვით, განიცდის თუ არა ის სისტემურ კრიზისს, არამედ იმის მიხედვით, როგორ ახდენს ის ასეთი კრიზისის დაძლევას.*

ამ პოსტულატის შესაბამისად, დედამიწაზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით არსებობს სულ ორადორი, ერთმანეთთან საკმაოდ უთავსებადი საზოგადოებრივი სისტემა: ერთია ყველასათვის კარგად ცნობილი და დეტალურად აღწერილი დასავლური, საბაზრო ეკონომიკური, კაპიტალისტური სისტემა; მეორე სისტემის არსებობის აღიარება თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლებს იმ დონემდე უჭირთ, რომ მას ფორმალური სახელიც კი არ გააჩნია. ასეთ სისტემას მარქსი, როგორც *აზიურ წარმოების წესს,* მოიხსენიებდა.[11] ჩვენთვის ამ სისტემებს შორის მთავარი განსხვავება არა მატერიალურ, არამედ ვირტუალურ ქვესისტემაშია და ის დაკავშირებულია საზოგადოების წევრების მიერ მათი ადგილისა და როლის აღქმასთან საზოგადოების შიგნით.

დასავლურ სისტემაში საზოგადოების წევრი *მოქალაქეა,* შესაბამისად, ის *პროაქტიურია,* მზად არის თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საზოგადოების ფუნქციონირების ორგანიზაციის თაობაზე გა-

[11] ეს სისტემა საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის“ სახელმძღვანელოში და აქ მის დახასიათებაზე აღარ შევჩერდებით. იხილეთ ibid: გვ. 17-24.

დაწყვეტილებების მიღებაზე; განიხილავს სახელმწიფოს, როგორც ორგანოს, რომელიც მის ინტერესებს ემსახურება.

შესაბამისად, ასეთი სისტემა შედარებით მოქნილია და გააჩნია *ევოლუციური განვითარების* უნარი, ხშირად სისტემურ კრიზისებზე წინმსწრები რეაგირების ჩათვლით. ასეთი საზოგადოებები განუწყვეტლივ იცვლება, იძენს ახალ ფუნქციებს, უკუაგდებს ძველს, დრომოჭმულს. თუმცა ხარისხობრივი ცვლილებები აქაც სისტემური კრიზისების დაძლევის შედეგია. აშშ-მ (დასავლური სისტემის ყველაზე ტიპურმა წარმომადგენელმა) სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი სისტემა, გაიარა, როგორც მინიმუმ, ოთხი სისტემური კრიზისი, რომელიც დამთავრდა შეუქცევადი ხარისხობრივი ცვლილებებით. ასეთი ცვლილებებია, მაგალითად: ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნა 1913 წელს, რუზველტისეული ახალი კურსი, ოქროს სტანდარტზე უარის თქმა 1971 წელს, რეიგანის საგადასახადო სისტემის რეფორმები. დაახლოებით ასეთივე სცენარით ვითარდება ნებისმიერი განვითარებული დასავლური საზოგადოება, თუმცა ცვლილებების სიღრმე და ეფექტი განსხვავებულია.

ამის საწინააღმდეგოდ, ე.წ. *აზიურ* სისტემაში საზოგადოების წევრი *ქვეშევრდომია,* ის მინიმალურად აქტიურია, არჩევს დაემორჩილოს ხელისუფლებას, ვიდრე შეეცადოს გააკონტროლოს; ის განიხილავს სახელმწიფოს, როგორც მისი ცხოვრების პირობების და კეთილდღეობის უზრუნველმყოფელს. ასეთი საზოგადოება შედარებით (ხშირად ძალიან) ხისტი და მოუქნელია, ფაქტობრივად, არ ექვემდებარება ხარისხობრივ ცვლილებებს. ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ სისტემურ კრიზისს მანამ, სანამ ამის შიდა რესურსები გააჩნია. ასეთი რესურსების ამოწურვის შემდეგ ადგილი აქვს *რევოლუციურ ცვლილებებს,* რომელიც არ მთავრდება ხარისხობრივად ახალი სისტემის შექმნით, არამედ ძველის რეინკარნაციით, თუმცა შესაძლებელია განსხვავებული გარეგნული ფორმით. მოკლედ, ასეთი საზოგადოება *არ ვითარდება.*

ასეთი საზოგადოებები დამახასიათებელია, როგორც მისი სახელიდან გამომდინარეობს, ძირითადად აზიისათვის. გეოგრაფიულად მათი გავრცელების არეალი მოიცავს: რუსეთს, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ისლამური სამყაროს იმ ნაწილს, სადაც საზოგადოებების ფორმირება დამთავრებულია. მასში არ შედის იაპონია, სამხრეთი კორეა, ტაივანი, რომელიც დასავლური სისტემის ნაწილებია.

შედარებით *რბილია* ასეთი სისტემები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომლებიც ჯერჯერობით, ასე თუ ისე, ახერხებენ აზიური და ზოგიერთი დასავლური სისტემური ელემენტის დაბალანსებას (მაგალითად: ტაილანდი, მალაიზია). ძალიან *ხისტია* ასეთი სისტემა რუსეთში, ჩინეთში, ისლამურ სახელმწიფოებში (ჩრდილო აფრიკის ჩათვლით).

ცალკე დგას ლათინური ამერიკა, რომელიც *გაყინული განვითარების* მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ. მან უკვე დიდი ხანია მოახდინა განვითარებული დასავლეთის სისტემური მახასიათებლების გადმოღება და ადაპტაცია (რასაკვირველია, ნებისმიერი ცალკე აღებული ქვეყნის ადგილობრივი შესაძლებლობების ფარგლებში), მაგრამ დასავლური საზოგადოებრივი სისტემის ნაწილი ვერ ხდება უკვე საუკუნეზე მეტია, ე.ი. ვერ გადის იმ გზას, რომელიც წარმატებით გაიარეს აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებმა, სადაც სისტემური კრიზისის დაძლევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ამ რეგიონის ქვეყნები გადიან განვითარების განსაზღვრულ ეტაპს, ხოლო შემდგომ, წარმატების დაფიქსირების ნაცვლად, მალევე კრიზისამდელ, ან იმაზე უარეს მდგომარეობას უბრუნდებიან. ამის ყველაზე თვალში საცემი მაგალითია არგენტინა, რომელიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, უბრალოდ, დეფოლტიდან დეფოლტამდე არსებობს, ან ვენესუელა.

მთლიანობაში კი, მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი საზოგადოება, რომელსაც აქვს *გამასწორებელი* განვითარების უნარი. საზოგადოებების უდიდესი უმეტესობა ან ჩამოყალიბების სტადიაშია, ან არშემდგარია, ან ასეთი განვითარების უუნაროა.

Valerian Melikidze
Associate Professor
Ivane Javakishvili Tbilisi State University

Creating Conceptual Framework for *Development* Related Subjects at University Graduate Level

Resume

In the modern social and economic sciences (human geography included) there are either no proper definitions for a number of key concepts and terms or there is a curios mixture of approaches and emphases dealing with concepts and terms that are often in tension with each other. Many terms are simply used *by*

default, i.e. are accepted in the absence of proper definitions. Such an approach can be tolerated in mass media or popular science, but creates problems in the academic process at university graduate level.

As a result, a teacher has either to turn an academic course into a set of quotations and base it *on the one hand – on the other hand* principle, or develop an independent definition of the core concept and build the whole course around it. The author is the strong advocate of the latter approach, which was successfully tested in the process of writing the textbook "Globalization of World Politics". In the case presentation deals with the concept of *development* as related to the human society. The author uses the same approach as the case of globalization, i.e. attempts to create a kind of *conceptual framework* to assist students to deal with a multitude of concepts, ideas and facts surrounding development, around which they can build their own *body* of facts, ideas, concepts, solutions, etc. Using this framework, it is attempted to promote certain approaches, certain logic for understanding the development phenomenon, which might be easily grasped by students.

The majority of arguments and propositions, brought forward in this framework are rather well known and widely circulated, some may even be seen as truisms. They were just brought together and present in the form enabling students with various educational backgrounds to apply them in the learning process.

The main criteria applied to this reference framework are:

- Since it does not claim to promote a new theory of concept, it should be based on Occam's razor principle;
- It should address underlying *causes*, not visible effects of development; should not attempt to evaluate development as such;
- Should be easy to comprehend;
- Should not use "loaded" professional terminology;
- Should be politically neutral.

ვახტანგ ნადარეიშვილი

განწყობის ფუნქცია ნებელობითი აქტივობის რეგულაციაში

(ნორმატიული აქტივობის სოციალ-ფსიქოლოგიური სივრცე)

(ცნობიერი. არაცნობიერი. განწყობა. მოლოდინი.
ნებელობა. პიროვნება. ღირებულება. ნორმატიული)

ქცევის აღძვრისა და მართვის უზრუნველყოფაში ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა დონის მიმართება ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. მოცემულ ნარკვევში განხილულია ცნობიერი და არაცნობიერი დონის რესურსის სინერგიზმი ნებელობის ტერმინით გაერთიანებული ფუნქციების შესრულებაში და მისი ადაპტაციური ფასეულობა.

ფსიქიკური ასახვისა და აქტივობის რეგულაციის სხვადასხვა დონის მჭიდრო დაკავშირებულობას ადასტურებენ განსხვავებული თეორიული ორიენტაციის წარმომადგენლები, იქნება ეს, მაგალითად, განწყობის თეორიის ოპონენტი, „საქმიანობის თეორია“, რომლის თანახმადაც „გაუცნობიერებელი და გაცნობიერებული არ უპირისპირდება ერთმანეთს, ეს მხოლოდ ფსიქიკური ასახვის განსხვავებული დონეებია“ [9:69], თუ „განწყობის თეორია“, რომლის მიხედვითაც, “ფსიქოანალიზის საწინააღმდეგოდ, განწყობის ფსიქოლოგია მიმართებებს სისტემაში „ცნობიერება – არაცნობიერი“ განიხილავს არა მხოლოდ და არა იმდენად ანტაგონიზმის იდეის პოზიციიდან, არამედ, მეტწილად, მათში განუხრელად/აუცილებლობით გამჟღავნებადი სინერგიზმის თვალსაზრისით. (ეს იმითაა განპირობებული, რომ {ვ.ნ.}) განსხვავებით ფსიქოანალიზისგან, მოცემული ფსიქოლოგია ეყრდნობა ადამიანის პიროვნების ფუნდამენტური ერთიანობის შესახებ წარმოდგენას, რაც, როგორც თავისებური მოდელით, გამოიხატება განწყობის ფენომენით“ [9 :37].

რაც შეეხება სახელდობრ ნებელობითი აქტივობის ამხსნელ სამეცნიერო თეორიებს, ისინი, უმეტესწილად, მის რომელიმე ცალკეულ ასპექტზე (საკუთრივ ნებისყოფის ცნობიერი შემადგენლები; გადაწყვეტილების აქტის ცნობიერი თუ არაცნობიერი ბუნება; ვოლიტიური უნარები; მოტივაციის, აფექტური, კოგნიტური პროცესები და ა.შ.), ან რომელიმე ფუნქციაზე (აღძვრა; ბლოკირება; ფილტრაცია; შენარჩუნება) აკეთებენ აქცენტს. ფსიქოლოგიის ქართულ სკოლას, მოცემული საკითხების კომპლექსური თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის სერიოზული ტრადიცია აქვს. განწყობის თეორიის ახსნითი რესურსის პერსპექტიულობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თეორია მოიცავს როგორც არაცნობიერ (საკუთრივ განწყობის/არაცნობიერის თეორია), ასევე ცნობიერ სფეროსაც (ობიექტივაციის ნიადაგზე და ცნობიერების მონაწილობით ჩამოყალიბებული განწყობის კონცეფცია) და, ამგვარად, ნებელობას განწყობის საფუძველზე ინტეგრირებული მთლიანი/ერთიანი ადამიანური რესურსის პოზიციიდან განიხილავს.

დ. უზნაძის სკოლის მიერ დამუშავებული განწყობის ცნება მოიცავს არა მხოლოდ წარსული გამოცდილების ან აწმყოს მოცემულობის გათვალისწინებით ფორმირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებს, არამედ განწყობის სპეციფიკურ სახეობასაც, რომელშიც მომავალიც (სოციალური ღირებულების ასპექტთაგანი) არის ასახული, რის წყალობითაც აქტივობის მიზანშეწონილობა მაქსიმალურ ხარისხს აღწევს. მოცემულ ნარკვევში აქცენტირებულია ნებელობასთან ასოცირებული გარკვეული ფუნქციების განწყობის სწორედ ამ უკანასკნელი სახეობის მეშვეობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

ადამიანის ორგანიზაციული განვითარების უმაღლესი, პიროვნების დონის, აქტივობა, რომელზედაც მიმდინარეობს პროსოციალური ნორმატიული ქცევა, ნებელობის და სხვა ცნობიერი პროცესების გარდა, თავის საფუძველში გულისხმობს ფსიქიკური წარმონაქმნის არსებობას, რომელიც, პირობითად, "დისპოზიციური" განწყობის ტერმინით შეიძლება მოვნიშნოთ. ამ ტიპის განწყობის სპეციფიკა მდგომარეობს: 1. მის მუდმივ აქტუალობაში; 2. თვითაქტუალიზაციის უნარში; 3. იმ მოვლენების მაქსიმალურად ფართო სპექტრში, რომლებზედაც ის ზემოქმედებას ახდენს და რომლებსაც 4. მისი სტიმულაცია და აქტუალიზაცია შეუძლიათ; 5. შორეული მოტივაციის [8:221], ან მოსალოდნელი ღირებულების მოტივაციურ მოდელთან დაკავშირებულობაში; 6. მასში სოციალური ღირებულებების ჩართულობაში; 7. მაღალ სიმტკი-

ცეში, სტაბილობაში, კონსტანტობაში; 8. ღიაობაში, გაგებულში როგორც: ა) ამ ტიპის განწყობის ენერგეტიკული საწყისის პრაქტიკულად ამოუწურავობა და ბ) მის საფუძველზე განხორციელებული ქცევის დახურვა/შეწყვეტის დამოუკიდებლობა კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაგან. ეს უკანასკნელი გარემოება იმის შედეგია, რომ ასეთი ტიპის აქტივობის საფუძველს არ წარმოადგენს მოთხოვნილება ტრადიციული გაგებით, არამედ ის სოციალური ღირებულებებით არის სტიმულირებული (რომლებიც, თავის მხრივ, „მაღალი მოთხოვნილების" ან/ანუ ფიქსირებული სოციალური განწყობების შემადგენლობაშია ჩართული) [1:162]. აღნიშნული ღირებულებების მატარებელ დისპოზიციურ განწყობებს მუდმივი აქტუალობა ახასიათებთ, ანუ მათ არ აქვთ წონასწორობის, ბალანსის მდგომარეობა ტრადიციული გაგებით – მათი წონასწორობა დინამიკაში ყოფნას და მუდმივ ფუნქციონირებას ითვალისწინებს. სწორედ დინამიკის შეწყვეტა და არა დინამიკაში მოსვლა, წარმოადგენს დაძაბულობის წარმოქმნის საფუძველს, ანუ იმ დისბალანსს, რომელიც მისი გამაწონასწორებელი აქტივობის სტიმულირებას იწვევს [2:128; 3].

აღნიშნული ტიპის განწყობების არარსებობა, ან მათი მახასიათებლების არასათანადო სიდიდე, პრობლემატურს ხდის აქტივობის ნორმატიულობას და წარმოქმნის დევიაციური ქცევის რისკს, რადგან: 1. არ არსებობს შესაძლებლობათა სისტემა, მოაზრებული ფიქსირებული განწყობების სახით, რომელიც უზრუნველყოფდა შესაბამისი ნორმატიული აქტივობის განხორციელებას და 2. სრულად არ არის ფორმირებული ის პიროვნული საწყისი, ნებელობის სრულყოფილი სუბიექტი (მხედველობაშია ერთიანი, მთლიანი პიროვნების კონცეფცია), რომელიც ამ შესაძლებლობების სტრუქტურირებას და ორგანიზებას, მათი მზაობის ხარისხის გაზრდას და ამოქმედებას უზრუნველყოფდა. სხვა სიტყვებით – არ არსებობს ცენტრალური დისპოზიციური განწყობა, რომელიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებლობების აქტუალიზაციას, მობილიზაციას და მათ „სიტუაციურ განწყობად" ორგანიზებას უზრუნველყოფდა. აქ საქმე გვაქვს დაშვებასთან, რომ ფსიქიკური აქტივობის მეორე, ცნობიერ დონეზე, დისპოზიციური განწყობა ასრულებს კონკრეტული შესაძლებლობების ორგანიზების და სტრუქტურირების ფუნქციას, განსხვავებით პირველი დონისაგან, რომელზეც ამ ფუნქციას სიტუაციური განწყობა უზრუნველყოფს. ამგვარი მიდგომა ასევე ეხმაურება იმ დაშვებებს, რომელთა თანახმა-

დაც, ობიექტივაციის დონეზე განწყობის ფორმირება ცნობიერი რესურსის აქტიური გამოყენებით მიმდინარეობს.

მოცემული ტიპის განწყობების ფორმირება სოციალიზაციის პროცესში მიმდინარეობს. სოციალიზაციის პროცესი წარმატებით ხორციელდება, თუ სოციალურ სივრცეში არსებობს ღირებულებების საფუძველზე შექმნილი სათანადო სიმტკიცის განწყობები (მაგ., ნორმების სახით), რომელთა მზა პროდუქტების სახით "იმპორტირება" და პერსონიფიკაცია (გაშინაგნება და სუბიექტური სპეციფიკის შეძენა) გახდება შესაძლებელი. სოციალური სფეროდან, კულტურიდან ინტერნალიზებული განწყობების ქმედუნარიანობისათვის (რაც მათი ინტერიორიზაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს) და ახალი, საკუთარი პროდუქციის განწყობების ფორმირებისათვის, რომლებსაც პროსოციალური ნორმატიული აქტივობის უზრუნველყოფა შეუძლიათ, აუცილებელია „შორეული მოტივაციის" [8:127] წარმოება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ვითარებაში, როდესაც პროსპექტიულ მოცემულობაზე დაფუძნებული განწყობების განმტკიცებას აქვს ადგილი. ასეთი განმტკიცების, ისევე როგორც იმპორტირების, უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გამართული სოციალური ნორმების და მათი რეალიზაციის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის გარემოს არსებობა, ანუ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება [1:162].

ინტერნალიზებული სოციალური ღირებულებების ფსიქოლოგიური მოცემულობის/არსებობის ფორმად დისპოზიციური ფიქსირებული განწყობები შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანის ორგანიზაციული განვითარების უმაღლესი/პიროვნების დონისათვის ატრიბუტულ ნიშნებად განსაზღვრულია როგორც აქტივობის ცნობიერი და ნებელობითი რეგულირების უნარი, ასევე მისი არაცნობიერი განწყობისეული სფეროს განვითარებულობის სათანადო დონე, სახელდობრ, პროსოციალური დისპოზიციური განწყობებისა და მოლოდინების სისტემების არსებობა. როგორც ითქვა, დისპოზიციური განწყობები ნორმატიული აქტივობის ინიციაციას და რეგულაციას უზრუნველყოფენ. რაც შეეხება ცნობიერი ნებელობითი აქტივობის შედეგად შემუშავებული მიზანთა სისტემის (მაგ., ღირებულების შინაარსი) და მასზე განწყობისეული მიმართულობის შენარჩუნების ფუნქციას (ეს ფუნქცია ატრიბუტულად მიიჩნევა ნებელობისათვის), მის უზრუნველყოფაში, განხილულ შემ-

თხვევაში, განწყობის საფუძველზე წარმოქმნილი მოლოდინი მონაწილეობს. მოკლედ შევჩერდებით ამ უკანასკნელზე.

განწყობის ცნების ტრადიციული „კონკურენტებიდან“ მოლოდინის ცნება გამოირჩევა. დ.უზნაძის დამოკიდებულებაზე ამ ფენომენისადმი ჩვეულებრივ მსჯელობენ „პოსტჰიპნოზური შთაგონებით“ ჩატარებულ ექსპერიმენტთან დაკავშირებული, სრულიად სპეციალური კონტექსტის მიხედვით, რომლის ამოცანა და პათოსი განწყობის არაცნობიერობის, სხვა ფენომენებზე დაუყვანადი თვითმყოფადობის და მისი ეფექტების მოლოდინის თანამონაწილეობის გარეშე არსებობის შესაძლებლობის დადასტურებაა [7:38]. მიუხედავად აღნიშნულ კონტექსტში მოლოდინის მნიშვნელობის იგნორირებისა, სხვაგან დ. უზნაძე მოლოდინს საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციებს მიაკუთვნებს, განიხილავს რა მას ნებისმიერი (ნებელობითი) ყურადღების მოქმედებასთან, თვითშთაგონებასთან და ილუზორულ ეფექტებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ განწყობას ცალსახად არაცნობიერ, ხოლო მოლოდინს ცნობიერ მოვლენებად ჩავთვლით, აუცილებლობით დგება ამ ორი განსხვავებული წარმონაქმნის ურთიერთმიმართების გარკვევის საკითხი, ვინაიდან, როგორც სამართლიანად მიუთითებს შ. ნადირაშვილი, ჰიპნოზურ მდგომარეობაში ჩატარებული ექსპერიმენტები „...სულაც არ ამტკიცებენ იმას, რომ სუბიექტის მოლოდინს და მოლოდინების სისტემას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია სუბიექტის აქტივობაზე. ამ ცდებიდან არ გამომდინარეობს ცნობიერების ეპიფენომენალობა. სუბიექტის მოლოდინებს, ცნობიერებასა და შეგნებას გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ობიექტის შეფასებაზე, ადამიანის ქცევაზე“. იმავე ავტორის მიხედვით, მოლოდინს შეუძლია გამოიწვიოს დამატებითი ეფექტები, რომლებიც განწყობის ეფექტებზე ზემოქმედებენ; ამასთან, როდესაც საქმე ცნობიერებას და განწყობას შორის ურთიერთობას ეხება, არ არსებობს ცალსახა პასუხი – „ურთიერთზე გავლენის დროს განწყობა ხდება ცნობიერების ბუნების მქონე მოვლენა, თუ პირიქით, ცნობიერება იქცევა არაცნობიერ განწყობისეულ ფენომენად, ანდა შესაძლებელია ამ ორივე მოვლენას ერთდროულად აქვს ადგილი?!“ [6:123]. ჩვენი აზრით, იმავე კითხვის განვრცობა განწყობისა და მოლოდინის მიმართების პრობლემაზე სამართლიანი უნდა იყოს.

მოლოდინის ემპირიული არსებობა და ამ ფენომენის განწყობასთან მჭიდრო კავშირი, საფიქრებელია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. გან-

წყობის ფსიქოლოგიისათვის (თუ განწყობა მიჩნეულ იქნება ფსიქიკური ცხოვრების ამხსნელ უნივერსალურ ზოგადფსიქოლოგიურ კატეგორიად) მნიშვნელოვანია მის ფუნდამენტალურ ცნებაში მოაზრებულ შინაარსთან ესოდენ დაახლოვებული და ხშირად მასთან გაიგივებული ფენომენის პოზიტიური დახასიათება საკუთრივ განწყობის თეორიის პოზიციიდან, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი გაგებისთვის სხვა, განწყობაზე უფრო ზოგად, კატეგორიასა თუ ახსნით პრინციპებთან აპელირებაა საჭირო. მოლოდინის ფენომენის შესწავლა ხელს შეუწყობს განისაზღვროს განწყობის სპეციფიკა, როდესაც მის ჩამოყალიბებაში ცნობიერების გარკვეული ხარისხის მატარებელი წარმონაქმნი მონაწილეობს, ხოლო მოლოდინის განწყობასთან მიმართებაში განხილვა, თავის მხრივ, შესაძლებლობას მოგვცემს განწყობის შესწავლისას გამოვიყენოთ მოლოდინის ეგიდით გაერთიანებულ მოვლენათა კვლევისას მოპოვებული მონაცემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევების უმეტესობა, ძირითადად, ე.წ. „ნორმატიულ მოლოდინებს“ ანუ ექსპექტაციებს ეხება, რომლებით ოპერირებაც, მათი საფუძვლის – იმავე ტერმინოლოგიით, ალბათობრივი ან „სუბიექტური“ მოლოდინის დეტალური შესწავლის გარეშე, გაუმართლებლად გვეჩვენება, მით უფრო, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ფიგურირებს ჩვენთვის საინტერესო, განწყობის ჩამოყალიბების საწყის სტადიებზე.

სხვადასხვა ასპექტით დახასიათებისას, მოლოდინი წარმოადგენს: ა) განწყობის სტრუქტურირების სტადიას; ბ) განწყობის ცნობიერებაში რეპრეზენტაციის ფორმას, მის ცნობიერ ეკვივალენტს; გ) ნებისმიერ ყურადღებას (მიმართულობის კონცენტრაცია). გასათვალისწინებელია, რომ მოლოდინის მდგომარეობაში ადგილი აქვს შესაძლებლის კატეგორიის მოვლენის განცდაში პერმანენტულ მოცემულობას და, ასევე, პროსპექტიული მოცემულობის მოსალოდნელობის (სუბიექტური ალბათობა) და მიმზიდველობის (ვალენტობა) ხარისხის მატებას, ანუ კოგნიტურ-აფექტური მოტივაციური წარმონაქმნების მადეტერმინირებელი ძალის ზრდას. გარდა აღნიშნული დატვირთვისა, მოლოდინი არსებული განწყობის აქტუალობის ხარისხის, სტრუქტურიზაციის მიღწეული დონის და ინტენციის საწყისი ობიექტისაკენ მიმართულობის „შემანარჩუნებლის“ ფუნქციას ასრულებს, რომელშიც „პერმანენტული მოცემულობის“ ეფექტი მონაწილეობს. მოლოდინი

შენარჩუნებითი ფუნქციაა განწყობისა და ქცევის სტაბილურობის და მიზანშეწონილობის უზრუნველყოფას ემსახურება.

მოსალოდნელობისა და მოლოდინის მონაწილეობით მიმდინარე პროცესების გამოყენებით სუბიექტი ახერხებს თვითაქტივობის (არ ვიხმართ უფრო სპეციალურ ტერმინს – „ნებელობა“) საფუძველზე შექმნას განწყობის ფაქტორი, შესძინოს მას აქტუალობის საჭირო ხარისხი და მის საფუძველზე ფორმირებული განწყობა ქცევის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს [5:86].

მოლოდინის და მოსალოდნელობის სუბიექტზე ზემოქმედების უზრუნველყოფა სხვადასხვა ხასიათის წარმონაქმნების და პროცესების ერთობლივი მოქმედებით ხორციელდება. თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი სპეციფიკური არსებობა და კანონზომიერებები აქვს, მაგრამ მოლოდინის კონტექსტში ჩვენ ისინი ურთიერთგანმაპირობებელ კავშირში განვიხილეთ, როგორც დინამიკური ურთიერთგარდამავალი მთლიანი სისტემის შემადგენლები. ასე, მაგალითად, – სუბიექტური ალბათობა და ალბათობრივი პროგნოზირება, რომლებიც, უმეტეს კონცეფციაში, მოლოდინთან არის გაიგივებული, ჩვენი თვალსაზრისით, მოსალოდნელობის სტრუქტურულ კომპონენტებს წარმოადგენენ, ვინაიდან, კოგნიტური წარმომავლობის პროცესების შედეგად ფორმირებული წარმონაქმნები მხოლოდ მოლოდინის შუალობით განწყობაში ასახვის შემდეგ/შედეგად იძენენ აქტივობაზე განმსაზღვრელი ზემოქმედების უნარს. ნიშანდობლივია, რომ არსებული შესაბამისი კონცეფციები უმთავრესად „პოსტდიქტიური“ ხასიათისაა, ხოლო მოლოდინის შემოთავაზებული ანალიზი გვაახლოვებს იმ მექანიზმის და აქტივობის გაგებასთან, რომლებიც სიხშირეთა აღრიცხვის გამოცდილებისეული სპეციალური არსენალის აუცილებელი არსებობის გარეშე („დასწავლის“ ტიპის თეორიები) ახერხებენ ახალთან და მომავალთან ადაპტაციის უზრუნველყოფას. მოცემულ ფუნქციას მოლოდინის თანამონაწილეობით წარმოქმნილი განწყობის სახეობა ასრულებს, რომლის ფიქსირება, ხსენებული გამოცდილებისა და განმეორების გარეშე, მოლოდინის გამოყენებაზე დაფუძნებული მექანიზმის ფუნქციონირების პროცესში ხდება.

გამოთქმული მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ მოლოდინის ცნების დამუშავება კავშირშია განწყობის თეორიის პოზიციიდან არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ, ფართო მნიშვნელობით, შემოქმედები-

თი, განვითარების, თვითრეალიზაციის, ძიების და სხვა, სპეციფიკურად ადამიანური ღირებულებებით მიმართული, აქტივობების ახსნის შესაძლებლობასთან. პროსპექტიული მოცემულობის საფუძველზე წარმოქმნილი განწყობის მოლოდინისეული სახის კონსტატაცია, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა მოლოდინის სახით შევისწავლოთ განწყობასთან ისეთი წარმონაქმნების და პროცესების „ორგანული გამაშუალებელი", როგორიცაა: ალბათობა, შესაძლებლობა, დარწმუნებულობა, სუბიექტური დრო, პროგნოზირება და ა.შ. ხოლო, მეორე მხრივ, თავი დავიზღვიოთ პროსპექტიული მოცემულობის საფუძველზე შექმნილი განწყობის სახეობის დამუშავების უკმარისობით პროვოცირებული მცდელობებისაგან – იქნება ეს განწყობის ჩანაცვლება „ალბათობრივი პროგნოზირებით", დასწავლით თუ სხვა.

მოსალოდნელობა და მოლოდინი ძირითადად განწყობის ფორმირების საწყის ეტაპებზე განვიხილეთ, ჩავთვალეთ რა, რომ მოლოდინის ერთ-ერთი დახასიათება, გარკვეული პირობითობით, განწყობის მოსამზადებელი, ასახვითი საფეხურის შესატყვისია. ცხადია, რომ მომავალ ვითარებათა ადეკვატურად ამსახველი (მოლოდინის „საფუძვლიანობა") და ამ ვითარებათა შესატყვისი წინასწარი მოდიფიკაციის უზრუნველმყოფელი სტადია, რომელსაც მთელი შემდგომი განწყობისეული კონსტრუქტი ეყრდნობა, განსაზღვრავს განწყობის შესატყვისობას ადაპტაციის ამოცანებთან და მის საფუძველზე წარმოებული აქტივობის პროდუქტიულობას. ჩაითვალა, რომ მოლოდინის სიდიდის (ძალისა და ინტენსივობის ჯამური მაჩვენებელი) მაღალი მნიშვნელობა, მისი საფუძვლიანობა და დაძლეული დროითი დისტანციის ოდენობა განსაზღვრავს განხილული სახის განწყობის ფასეულობას (საერთო ადაპტაციური უნარის თვალსაზრისით), მისი დიფერენცირებულობისა და მზაობის ხარისხის მაჩვენებელს და ოპტიმალურ პირობებს ქმნის პროსპექტიულ მოვლენებთან ურთიერთობისათვის მზაობის სათანადო ხარისხის შემუშავებისათვის.

მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მოლოდინი უნივერსალური მექანიზმის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ზოგადად მომავლის აწმყოში გადმოტანა-ჩართვას და მისი გამოყენებით აქტივობის აღძვრის შესაძლებლობას განსაზღვრავს. ნათქვამის გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ „მოსალოდნელი ღირებულების" კონცეფციაზე დამყარებული თეორიები, რომლებშიც მოსალოდნელობა რაიმეს მოტივაციური დატვირთვის საფუძველთაგანია, მოლოდი-

ნის უნივერსალური ფუნქციის კერძო გამოვლინების ასახვას წარმოადგენენ.

მოლოდინის, როგორც წინასწარჭვრეტის შედეგების განწყობაში ასახვის ხელისშემწყობის, ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანური აქტივობის საკუთრივ პიროვნულ დონეზე, როდესაც მისი სპეციფიკა (სოციალურობა) აუცილებელს ხდის მომავლის (სოციალური გარემოს და სხვათა ქცევის) პერსპექტივის ასახვას, გათვალისწინებას და შესატყვისი აქტივობის აწმყოში ინიციაციის უნარს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანური ყოფის უზრუნველყოფა, როდესაც ამ უკანასკნელში თვითრეალიზაციისა და სრულყოფის, განვითარების, შემოქმედების, კომუნიკაციის მისწრაფებების რეალიზაცია იგულისხმება. მოლოდინი ამგვარი მისწრაფებების ხორცშემსხმელი/-მარეალიზებელი მოვლენა-მიზნების და შედეგების ფასეულობის აწმყოში მოცემულობის და „ფლობის" განცდის, მათი აღმძვრელი პოტენციალის განწყობაში ჩართვა-გამოყენების მაქსიმალურ შესაძლებლობას განსაზღვრავს.

მოლოდინის თანამონაწილეობით წარმოქმნილი განწყობის განხილული სახე, რომელიც პიროვნების მიერ პროდუცირებული დროითი პერსპექტივის, შესაძლებლობათა სისტემისკენაა მიმართული და ცნობიერი აქტივობით მოპოვებული „პროსპექტიული" მოცემულობის გამოყენებით ფორმირდება, მომავალზე ორიენტირებული ნებელობითი ინტენციონალური აქტივობის განხორციელების საშუალებას უზრუნველყოფს.

ამგვარად, მოლოდინი წარმოადგენს პროსპექტიულ სიტუაციის საფუძველზე წარმოქმნილი, სტრუქტურიზაციის გარკვეული ხარისხის მქონე განწყობის არსებობის შედეგად ფორმირებულ მდგომარეობას, რომელიც განწყობის რეალიზაციისათვის აუცილებელი, პროგნოზის შესაბამისი, ვითარებების დადგომამდე დროითი დისტანციის არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება, გადავადებული რეალიზაციის განწყობის არსებობას გულისხმობს და მისი შემდგომი დიფერენციაციისა და აქტუალობის/მზაობის ხარისხის ზრდის პროცესების უწყვეტი მიმდინარეობის პირობების შექმნას უზრუნველყოფს. ამგვარი ფუნქციის შესრულება, როგორც ითქვა, მოლოდინის „შენარჩუნებითი" მექანიზმის არსებობასთანაა დაკავშირებული. „შენარჩუნების" ტერმინში აქ მიზნის და მისი ფასეულობის პიროვნული მოცემულობის („განცდის") შენარჩუნება და, ამის მეშვეობით, განწყობის და მისი პა-

რამეტრების შენახვა იგულისხმება რეალიზატორული სიტუაციის ხდომილების მომენტისათვის, ანუ განწყობის აქტუალურ მდგომარეობაში შენარჩუნების უზრუნველყოფა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოლოდინი აქტივობის გეგმის [8:158] და, ამგვარად, განწყობის სტრუქტურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. საუბარია გეგმის ძირითადი მახასიათებლების სტაბილურობაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა განწყობა მთლიანად და მუდმივად კი არ იცვლებოდეს ახალი ინფორმაციის მიღების კვალობაზე (რაც ქცევას მიზანშეწონილობას დაუკარგავდა), არამედ გარკვეულ ზოგად ფარგლებში (ასიმილაციის დასაშვები ნორმა) კორექციას და კონკრეტიზაციას განიცდიდეს, რაც ქცევის სტაბილურობის და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ინტენციის ობიექტზე მიმართულობის შენარჩუნების გარანტიაა.

მოლოდინის შენარჩუნებითი ფუნქცია მიმართულობაზეც ვრცელდება – მოლოდინი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ მოვლენებზე სტაბილიზებულ მიმართულობას გულისხმობს; ნარჩუნდება მიმართულობის ძირითადი გეზი, მიუხედავად იმისა, რომ, განწყობის ფორმირებისა და ქცევის რეალიზაციის დინამიკის მიხედვით, ის შეიძლება გეგმის ცალკეულ კომპონენტზე, შუალედურ მიზნებზე, მოქმედებათა მსვლელობაზე, მათ შედეგებზე ან შესაძლო გამოსავალზე იყოს ფოკუსირებული. ნათქვამიდან გასაგებია, რომ მოლოდინი ქცევის მიმდინარეობის პროცესში იჩენს თავს და დაგეგმილ ვითარებათა და მოქმედებათა თანამიმდევრულ რეალიზაციაზე, მათი შედეგების პროგნოზირებულთან შესატყვისობაზეა ორიენტირებული. ნიშანდობლივია, რომ, ქცევის განწყობისეულ რეგულაციასთან მიმართებაში, დ. უზნაძე „იმანენტური“ შედეგის გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებს, რაც, ჩვეულებრივ, ნებელობის პრეროგატივად მიიჩნევა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ (დ. უზაძის განწყობის თეორიის მიხედვით) აქტივობის გახორციელებისათვის აუცილებელია მისი საფუძვლის, ფსიქო-ფიზიკური მზაობის მდგომარეობის – განწყობის არსებობა, რომლის სტრუქტურა გარემოსმიერ ფაქტორსაც მოიცავს. სიტუაციური ფაქტორის ანუ ვალენტური ობიექტის რეალურად არარსებობის შემთხვევაში, ის პროგნოზირებული მოსალოდნელი მოვლენის პატერნით/მოდელით ჩანაცვლდება. იმ შემთხვევაში, თუ პროსპექტიული მოვლენის რეალიზაციაში (გზა შესაძლებლის კატეგორიიდან სინამდვილის კატეგორიამდე) დარწმუნებუ-

ლობის ხარისხი მაღალია, ის გამოსადეგი ხდება იმისათვის, რათა განწყობის ფაქტორის ფუნქცია შეასრულოს და შესაბამისმა განწყობამ, პროგნოზირებულის ჯერ არარსებობის მიუხედავად, უზრუნველყოს ადაპტაციური აქტივობის ინიციაცია. სუბიექტები განსხვავდებიან (ა) პროსპექტიული მოსალოდნელის საფუძველზე განწყობის შექმნის უნარით, (ბ) იმ ღირებულებებით და მათი იერარქიით, რომლებსაც შეუძლიათ აქტივობის მოტივაციური დეტერმინანტის ფუნქცია შეასრულონ და (გ) ამგვარი განწყობების მდგრადი, მუდმივად აქტუალურ მდგომარეობაში მყოფი დისპოზიციური სისტემების ფლობით. სწორედ ჩამოთვლილთა კომბინაციის არსებობა, რომელიც ვოლიტიური ქცევის უზრუნველყოფაში მონაწილეობს, წარმოადგენს პიროვნების დონეზე ორგანიზებული ადამიანური სისტემის სპეციფიკას.

სოციალური მოთხოვნების შესაბამისად მიზნების კორექტირება და/ან შედეგის მიღწევის ნორმატიული გზის არჩევა სუბიექტისაგან ინდივიდუალური ინტერესების გარკვეულ/ნაწილობრივ დათმობას გულისხმობს, რის სანაცვლოდაც სუბიექტი უფრო მოკრძალებულ ან-/და დროში გადავადებულ, მაგრამ სოციალურად მისაღებ/დასაშვებ შედეგს ელის. ამგვარ კომპრომისზე სუბიექტი მაშინ მიდის, თუ შედეგს, ანუ, ამ შემთხვევაში, მოტივაციურ დეტერმინანტს, მიმზიდველობასთან ერთად (ინტერესების დაკმაყოფილება), მოსალოდნელობის სათანადო ხარისხი აქვს. იმისათვის, რათა სუბიექტმა უარი თქვას არანორმატიული გზით მიზნის სწრაფ რეალიზაციაზე, მას უნდა ჰქოდეს გარანტია, რომ ნორმატიული გზა მაღალი ალბათობით და გონივრულ ვადაში მოიტანს შედეგს. მოსალოდნელი შედეგის რეალიზაციაში დარწმუნებულობის საფუძვლად მდებარე სუბიექტურ ალბათობას ზრდის ის დამატებითი გარანტიები, რომლებსაც მოცემულ სოციალურ სტრუქტურაში (ა) კანონის უზენაესობისა (რომელიც სტაბილობის და პროგნოზირებადობის, კანონდამჯერეობისათვის უკუგების, ანუ ნორმატიული აქტივობის მეშვეობით შედეგის მიღების გარანტირებულობის პირობაა) და მასზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს და (ბ) კოგნიტური სოციალური კაპიტალისა (საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობა, როგორც ნორმატიული გზით შედეგის მიღწევის გარანტია) და სტრუქტურული სოციალური ნდობის მაღალი ხარისხის არსებობა იძლევა [4:86].

ამგვარად, ქცევის ნორმატიულობას და დევიაციური ქცევის პრევენციას აპირობებს სოციალური ღირებულებების (აქ: პროსპექტიუ-

ლი, საზოგადო, ირიბი და არა უშუალო ფასეულობის მქონე მიზნები--შედეგები) საფუძველზე სტაბილური და აქტუალობის მაღალი ხარისხის მქონე განწყობების შექმნის და შენარჩუნების პიროვნული უნარი და წარმატებული სოციალიზაცია, რომელიც სოციუმიდან, კულტურიდან მზა ნორმატიული განწყობების ინტერნალიზაციას უზრუნველყოფს.

ვინაიდან სოციალური ნორმები სოციალურ მოლოდინებს ემყარება, ხოლო მათი დაცვა/შესრულება, ანუ აქტივობის ნორმატიულობა, დამოკიდებულია მოლოდინის გამართლებაში დარწმუნებულობის მაღალი ხარისხის განმსაზღვრელი გარანტიების არსებობაზე, საჭიროა გამოიკვეთოს სოციალური სუბიექტების აქტივობის ნორმატიულობის უზრუნველმყოფელი (ან, საპირისპირო შემთხვევაში, დევიაციის გამომწვევი) რამდენიმე (ცხადია, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი) ფაქტორი:

1. გარეგანი – მოლოდინის გამართლების, ანუ განწყობის რეალიზაციის, ანუ პროსოციალური აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო გარანტიების ნორმატიული სივრცე, რომელსაც ქმნის სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება და კანონის უზენაესობა;

2 შინაგანი: ა) ინდივიდუალურ დონეზე – ღირებულებების საფუძველზე ფორმირებული და მათი რეალიზაციისათვის საჭირო მზაობის ხარისხის მატარებელი დისპოზიციური განწყობების სისტემებისა და ცნობიერი ნებელობითი აქტივობის უნარ-ჩვევების ფორმირება სოციალიზაციის პროცესში, რომლებიც ნორმატიული აქტივობის ინიციაციას და მართვას უზრუნველყოფენ;

ბ) კოლექტიურ/საზოგადოებრივ დონეზე – ნორმატიული მოლოდინები, სოციალური განწყობები და სამართლებრივი კულტურა (სამართლებრივი ცნობიერება/მართლშეგნება და სამართლებრივი აქტივობის გამოცდილება).

მხოლოდ აღნიშნული ფაქტორების თანაარსებობისა და თავსებადობისას არის უზრუნველყოფილი აქტივობის სტაბილობა, ნორმატიულობა და დევიაციის პროფილაქტიკა.

ფსიქიკური აქტივობის დონეების სინერგია ქცევის ოპტიმალურ რეგულაციას, პერსონალური და სოციალური სისტემების სტაბილობას, დეზორგანიზაციის გამომწვევი დევიაციის პრევენციას, სოცია-

ლური კაპიტალის პროგრესის ხელშემწყობ მოცულობას და, ზოგადად, მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

ცნობიერი და არაცნობიერი თვითრეგულირების აღწერილი კომბინაციის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა სოციალურისა და პიროვნულის თავსებადობასა და დაბალანსებაზე [3:128], ღირებულებების რეალიზაციაზე ორიენტირებული პიროვნული სტრუქტურის ფორმირების, მისი სტაბილობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ნებელობითი და განწყობისეული რეგულაციის აღნიშნული სინერგია ოპტიმალურ საფუძველს იძლევა სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური კონტროლის მეთოდების დაბალანსებული გამოყენებისთვისაც, რაც, როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და სტაბილობის გარანტიაა.

ლიტერატურა:

1. ნადარეიშვილი ვ. პიროვნება და ნორმატიული ქცევა. „ფსიქოლოგია“, შრომები, ტ. XXII, თბ., 2010.
2. ნადარეიშვილი ვ. დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, №1, თბილისი, 2008.
3. ნადარეიშვილი ვ. ადაპტაციის, სტაბილობის და დევიაციის სოციოფსიქოლოგიისათვის. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, №1. თბილისი, 2007.
4. ნადარეიშვილი ვ. სოციალური კაპიტალი – დევიაციის ასპექტები. ჟურნალი „მაცნე“, №2, თბილისი, 2005.
5. ნადარეიშვილი ვ. „მოლოდინი და განწყობა“. თსუ. ხელნაწერის უფლებით, 1993.
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. I, თბ., 1983.
7. უზნაძე დ. პოსტჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის. ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, №1, 1936.
8. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. „მეცნიერება“, თბ., 1975.
9. Леонтьев А.Н. «Вопросы философии» №5, 1974
10. Шерозия А.Е. Бессознательное (монография), т.1 «Мецниереба» Тб.1978

Vakhtang Nadareishvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Role of Set in the Regulation of Voluntary Activity

Resume

Acting on the basis of social values and the relationship of different levels of mental regulation in ensuring similar activities is a central issue in human sciences. The article focuses on the synergism of conscious and unconscious mental resources in the production of functions falling under the category of volition (arousal, blocking, filtration, maintenance) and the adaptive value of such synergism. The discussion of the above issues is based on the studies of volitional activity conducted by Georgian School of Psychology.

It is assumed that interiorized social values exist in the form of fixed dispositional sets. Conscious and voluntary regulation of activity and a certain level of the development of the unconscious, that is normative social expectations and the systems of dispositional sets, are considered to be the attributes of the highest level of organizational development specific to human being. Dispositional sets are responsible for the initiation and regulation of prosocial activity. Expectancy mechanisms are responsible for the maintenance of the system of personal goals, formed as a result of voluntary activity (e.g. content of values). They also ensure the maintenance of the directedness of set on the named system. Expectancy could be described as a) one of the stages in the structuring of set; b) a form of conscious representation of set; c) volitional attention (concentration of directedness). Expectancy can ensure a permanent experiential presence of an event belonging to the category of possibility (e.g. goal), and its preservation in time. This increases the possibility of prospective events (subjective probability) and their attractiveness (valiancy) which augments the determining power of cognitive and affective motivational formations.

Since social norms are based on social expectations and adherence to social norms (or normative character of human activity) depends on the existence of guarantees ensuring a high level of certainty of expectation fulfillment, several factors, responsible for normative social activity (or, in the opposite case, responsible for deviant behavior) have been identified. These are: 1. External

factors - The space needed for expectation fulfillment or actualization of set or the space for the guarantees needed for the performance of normative activity. Such space is created by state of law, civil society and supremacy of law. 2. Internal factors: a) On the individual level – formation of value based systems of dispositional sets with the needed level of readiness ensuring the actualization of the corresponding values; formation of skills, needed for the performance of voluntary activity, through socialization. b) collective/community level – normative expectations, social attitudes and legal culture (legal awareness and experience in performing legal activity).

Coexistence and compatibility of the above factors is the only precondition for stable and normative activity and prevention of deviant behavior.

დალი ნიკოლაიშვილი
რევაზ თოლორდავა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების განმსაზღვრელი გეოგრაფიული ფაქტორები

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყნის საზღვრები მუდმივად იყო ნებისმიერი სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი, რადგან სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში უცილობლად წარმოშობდა ტერიტორიულ დავებს. საზღვრების მიმართ ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებული სიმწვავით თავს იჩენს ისეთი გეოპოლიტიკური ცვლილებების არეალში, როგორიც კავკასიაა. კავკასიის რეგიონი, რომელშიც ისტორიულად ყალიბდებოდა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია, უხსოვარი დროიდან იყო ტერიტორიული ცვლილებების „პოლიგონი“, სადაც სასაზღვრო უთანხმოებებიც კი ხშირად გადაზრდილა საომარ მოქმედებებში. ამასთან, რეგიონის გეოპოლიტიკური სივრცე ყოველთვის იყო „მიმზიდველი“ აგრესიულად განწყობილი მეზობლებისათვის, რაც კიდევ უფრო ართულებდა ტერიტორიულ დავებს კავკასიაში.

სახელმწიფო ტერიტორიის გადასვლას ერთი ქვეყნის იურისდიქციიდან მეორეში მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ხშირ შემთხვევაში მას ისტორიული სამართლიანობის პრინციპით, ან გეოპოლიტიკური მოთხოვნილებების პოზიციიდან ხსნიან. არის შემთხვევები, როცა ასეთი ცვლილებები გარეშე ძალების უხეში ჩარევით ხდება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ტერიტორიული ტრანსფორმაციები ყოველთვის იწვევდა სერიოზულ უთანხმოებებს მეზობელ ქვეყნებს შორის. 1990-იან წლებში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ისინი. ჩვენი ქვეყანა ხელახლა იქცა მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელ სუბიექტად.

ცვლილებათა ახალი სპექტრი კი მოითხოვს რეგიონის ახლებურ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ გააზრებას [გაჩეჩილაძე, 2011]. მათ შორის უცილობლად უნდა დასახელდეს საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთების დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხიც.

ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე საკუთრივ ქვეყნის მიჯნების დატანა მსხვილმასშტაბიან რუკებზე (დელიმიტაცია) და სახელმწიფო საზღვრის ზუსტი დაკვალვა, მათი მდგენელი წერტილების ტოპოგრაფიული მდებარეობის ლოკალიზაცია (დემარკაცია) წარმოუდგენელია ისტორიული, გეოგრაფიული, გეოდეზიურ-კარტოგრაფიული და კარტომეტრიული მეთოდების შეუღლებული კვლევის გარეშე, რაც შესრულებული სამუშაოს უტყუარობის მტკიცე გარანტიას ქმნის [თოლორდავა, 2002]. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორთა მთელი კომპლექსის შეფასება-ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრის ისტორიულ ტრანსფორმაციებს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ „თურქეთის მონაკვეთი“ არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით დემარკირებული. საზღვრის დანარჩენი მონაკვეთების განსაზღვრა კი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ტერიტორიების უბრალო გამიჯვნის პრინციპს ეყრდნობოდა [ხვედელიძე, 1999].

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ი ზ ა ნ ი ა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციების გამომწვევი გეოგრაფიული ფაქტორების გამოვლინება-ანალიზი. კვლევა დაეფუძნა უმთავრესად კარტომეტრიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ მეთოდებს. კვლევისათვის ემპირიულ ბაზად გამოყენებულია სხვადასხვა მასშტაბის (100,000; 25,000) ტოპოგრაფიული და სხვა ზოგადგეოგრაფიული რუკები, მათი კომპიუტერული ანალოგები, საერთაშორისო შეთანხმებები, სახელმწიფო ტერიტორიების გამმიჯნავი კომისიების აქტები, სამეცნიერო სტატიები.

კვლევის შედეგები

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ზ ღ ვ რ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ტ რ ა ნ ს ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ი ს გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ფ ა ქ ტ ო რ თ ა კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა. საზღვრის ისტორიულ ტრანსფორმაციებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა პრინციპით დაჯგუფდეს. ეს პრინციპებია: გენეტიკური, ისტორიული, ტერიტორიული და ა.შ. მაგალითად,

ისტორიული პრინციპი გულისხმობს მის დაჯგუფებას ისტორიული პერიოდების, ტერიტორიული პრინციპი – გეოგრაფიული მდებარეობის, ხოლო გენეტიკური პრინციპი – წარმოშობის მიხედვით. თუმცა, ისიც ცხადია, ერთი რომელიმე ფაქტორი სრულიად დამოუკიდებლად, „იზოლირებულად“ როდი ასრულებს განმსაზღვრელ ფუნქციას. საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ რომელი ფაქტორ(ებ)ი გვევლინება წამყვან, ძირითად განსმაზღვრელ ძალად.

ფაქტორები, რომელმაც განაპირობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციები, ისტორიულად არაერთხელ ქცეულა სახელმწიფოთაშორის დავის საგნად და დღესაც ხშირ შემთხვევაში მაღალი რისკის შემცველია. ეს ფაქტორები შეიძლება რამდენიმე კონტექსტში განვიხილოთ:

– საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაცია, დაკავშირებული სხვადასხვა პერიოდის პოლიტიკურ პროცესებთან;

– მეზობელი ქვეყნების მიერ საზღვრის საკითხებთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების (საზავო ხელშეკრულებების) სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები;

– საზღვრის არაადეკვატური ასახვა სხვადასხვა მასშტაბის ისტორიულ და მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკებზე;

– მეზობელი ქვეყნის პრეტენზიები სასაზღვრო ზოლში მდებარე ქართული ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა კუთვნილობის შესახებ;

– საზღვრის გასწვრივ ბუნებრივი თავისებურებების ცვლილება (მაგალითად, ცვალებადკალაპოტიანი მდინარეები, შრობადი წყალსატევები, მცენარეული საფარის არეალების ცვლილება და ა.შ.);

– რეგიონის თანამედროვე რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია და მეზობელი ქვეყნის საზღვრის დაცვის სტრუქტურების არამართლზომიერი ქმედებები;

– საზღვრის სხვადასხვა მხარეს მდებარე დასახლებებს შორის ისტორიული კავშირები (მაგალითად, სარფი, აიბგა);

– ისტორიული „მეხსიერება“ (მაგალითად, კულტურის ძეგლების არსებობა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე);

– და სხვა.

სახელმწიფო საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციები შეიძლება შემდეგი ზოგადი სქემის სახით განვიხილოთ:

- **სივრცე** – ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ტრანსფორმაციებს (კონტაქტური, ე.წ. „სენსიტიური“ ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები, ცვალებადი ბუნებრივი მოვლენები საზღვრის გასწვრივ და სხვ.);
- **პოლიტიკა** – ცვალებადი გეოპოლიტიკური და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სივრცე (შეიარაღებული კონფლიქტები, ტერიტორიის „სტატუსის“ ცვლილებები, არასამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ნორმატიული დოკუმენტების შეუსაბამობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, ერთგვაროვანი ეთნიკურ-კონფესიური სტრუქტურა ტრანსსასაზღვრო ზოლში და სხვ.);
- **საზოგადოება** – საზოგადოების განწყობა, რომელსაც შეიძლება სოციალურ-კულტურული „სინდრომი“ ვუწოდოთ (ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილი, ცნობიერების დაბალი დონე, უზუსტობები და სიყალბე სხვადასხვა დროის ისტორიულ და კარტოგრაფიულ წყაროებში და სხვ.).



ნახ. 1. საქართველოს ტერიტორიის ფართობის დინამიკა

(წყარო: კეკელია, 2006)

პოლიტიკა – როგორც სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალის ფუნქციას ასრულებს ამ თვალსაზრისით. არსებული ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მუდმივი ტრანსფორმაციის რეჟიმში განაგრძობდა არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოდან დღემდე. მნიშვნელოვან ტერიტორიულ დანაკარგებს XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მიაღწია (ნახ. 1). XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის აგრესიის შედეგად საქართველომ თავისი ძირძველი ისტორიული პროვინცია სამცხე-საათაბაგო – მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედი და-



ნახ. 2. საქართველოს ტერიტორიული დანაკარგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

თურქეთი: 1 – ართვინის ოკრუგი; 2 – არტაანის (არდაგანის) ოკრუგი; 3 – ბათუმის ოკრუგის სამხრეთი ნაწილი; სომხეთი: 4 – ბორჩალოს მაზრის ნაწილი; აზერბაიჯანი: 5 – ზაქათალის ოკრუგი; 6 – სიღნაღის მაზრის ნაწილი; რუსეთი: 7 – ფშავ-ხევსურეთის საპოლიციო უბნის ნაწილი.

კარგა. ამ პერიოდიდან 1920-იანი წლების ბოლომდე საქართველოს სასაზღვრო სივრცე ამ ნაწილში მეტად პირობითი იყო და ხშირი ომების გამო მუდმივ სივრცე-დროითი ტრანსფორმაციის რეჟიმში იმყოფებოდა. ამაზევე მეტყველებს XIX-XX საუკუნეებში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები და მასთან დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციები. „1918-1921 წლების განვითარების თავისებურებათა წყალობით არის დღევანდელი სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო რეალური გეოპოლიტიკური მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ძირითადად მაშინ ჩამოყალიბდა სამივე ქვეყნის საზღვრები და საფუძველი ჩაეყარა ყველა იმ ტერიტორიულ კონფლიქტს, რომლებიც XXI საუკუნეშიც გადმოჰყვა რეგიონს“ [გაჩეჩილაძე, 2013. გვ. 123].

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კავკასიის მოქცევამ რუსეთის იმპერიის, შემდგომ სსრკ-ის, ფარგლებში, არსებული სახელმწიფო საზღვრების სრული მოშლა და ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულების რანგამდე დაქვეითება გამოიწვია. გასული საუკუნის დასაწყისში იმპერიის მოდერნიზაციის შედეგად წარმოშობილ საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის გუბერნიების ადგილზე დამოუკიდებელი რესპუბლიკები (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) დაარსდა და რეგიონის ტერიტორია ამ ერთეულებში გადანაწილდა. რეალურად რესპუბლიკები ცენტრიდან იმართებოდა, ხოლო მათი ტერიტორიების გამიჯვნა ადმინისტრაციული საზღვრების გატარების დონეზე განხორციელდა. აქედან გამომდინარე, საზღვრები მხოლოდ შეთანხმებული იყო და მათი ადგილზე მონიშვნა (დემარკაცია) არ განხორციელებულა. ტერიტორიული გადანაწილება ყოველგვარი ისტორიული, გე-

ოგრაფიული და სხვა პრინციპების გათვალისწინების გარეშე განხორციელდა. ხშირად ეს პროცესი ადგილზე მოსახლეობის ეროვნული, ან რელიგიური კუთვნილების, ან, კიდევ, სამეურნეო მოსაზრებებით და პოლიტიკური შეხედულებებით, ან მათი კომპლექსით იმართებოდა. იმავდროულად, რესპუბლიკების ტერიტორიებზე შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნები შემდგომ ერთგვარი „შენელებული მოქმედების ნაღმების“ როლში მოგვევლინა.

XIX საუკუნეში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე ტერიტორიული ტრანსფორმაციის შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სულ 21393 კმ^2 ფართობი მიიღო, ხოლო XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიამ 89,0754.46 კმ^2 შეადგინა [Винников, 1905]. XX საუკუნის დასაწყისში საქართველომ ვერ შეძლო ამ მიღწეული წარმატებების შენარჩუნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. მეტიც, განიცდიდა რა ტერიტორიულ ტრანსფორმაციებს, უკვე საბჭოთა პერიოდში საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა 18.5 ათ. კმ^2-ზე მეტი შეადგინა (ნახ. 2). ეს თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის თითქმის 1/3-ია. აქედან დანაკარგის უდიდესი ნაწილი (თითქმის 10 ათ. კმ^2) მოდის თურქეთზე.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ტერიტორიების ერთი რესპუბლიკიდან მეორისათვის სამეურნეო სარგებლობისათვის გადაცემის დამკვიდრებული მახინჯი პოლიტიკა შემდგომ პერიოდშიც იჩენდა თავს. სახელდობრ, სსრკ ცაკ-ის ბრძანებულებით (22.10.1926, 42/3) საქართველოს მელხესტისა და ცეკარის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები გადაეცა რსფსრ-ში შემავალ ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ხოლო ტერიტორია დარიალის ხეობაში ს. ბალთის სამხრეთით – ჩრდილოეთ ოსეთს (ნახ. 3). წინა საუკუნეებში დაწყებული ტრანსფორმაციები დარიალის ხეობასა და სახელმწიფო საზღვრის სხვა მონაკვეთებზე ჩვენი ქვეყნის საზიანოდ დღემდე გრძელდება.

მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს ადგილი ჰქონდა 1943-1944 წლებში სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთი მონაკვეთის გასწვრივ, რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთკავკასიელი მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გადასახლებასთან შუა აზიასა და ყაზახეთში. ამას თან მოჰყვა მათი „კუთვნილი“ ტერიტორიების გადანაწილება მოსაზღვრე რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოში). ტერიტორიული გადანაწილების ეს აქტი დროებით ხასიათს ატარებდა და 1957-1958 წლებში

„ჩრდილოკავკასიური“ ტერიტორიები დაუბრუნდა თავის „კანონიერ მფლობელებს“ და აღდგა საქართველო-რსფსრ-ის ადრინდელი საზღვრები ამ უბნებზე.


ბასტილიანი
ბასტილიანი
ბასტილიანი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული ადმინისტრაციული (შიდასახელმწიფოებრივი) მიჯნების სახელმწიფო საზღვრის რანგში აყვანამ და არადემარკირებული საზღვრის ხაზის სტატუსის ამდაგვარმა ცვლილებამ კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობას შეუწყო ხელი მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დელიმიტირებული და დემარკირებული. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებაში საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ (59) აღნიშნულია, რომ საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის მუშაობის შედეგად სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეთანხმებულია სასაზღვრო მონაკვეთის 65-65 % (დელიმიტირებულია), ხოლო რუსეთთან – 40 %. თითქმის არ არის დაწყებული დელიმიტირებული მონაკვეთების ადგილზე მარკირების (დემარკაციის) პროცესი. დღეისათვის პრობლემური მონაკვეთები რჩება როგორც რუსეთის ფედერაციასთან (მამისონის უღელტეხილი, დარიალის ხეობა, დიკლოს მთის მიდამოები, ბასტილამის ქედი), ისე აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან (საზღვრის ალაზნის მონაკვეთი, დავითგარეჯას კომპლექსის ტერიტორია, წითელი ხიდის მიდამოები) და სომხეთთან (ლოქის ქედის მიმდებარე ტერიტორია) [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2009].

სივრცე – როგორც სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. გეოგრაფიული გარემო – ბუნებრივი ობიექტების ხასიათი და მათი ცვლილებები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრის მდგრადობას ან, პირიქით, მის ტრანსფორმაციებს. საქართველო-რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სივრცეს, მის უმეტეს ნაწილზე, ბარიერული უბნების სიუხვის (მაღალი ქედების, კლდოვანი მასივების, მყინვარების) გამო, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზღუდავდა მეზობელთა დამპყრობლურ მიზნებს. ქვეყნის დანარჩენი საზღვრები შედარებით ადვილი დასაძლევია. სწორედ ამიტომ ისტორიულად ყველაზე მეტად იცვლებოდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის, ხოლო ყველაზე ნაკლებად – ჩრდილოეთის საზღვრები. თუმცა კავკასიონზეც არსებობს სასაზღვრო სივრცის კონტაქტური უბნები – ისტორიულად ხშირი ტრანსფორმაციების რეჟიმით (ზოგიერთი უღელტეხილი კავკასიონის ქედზე, დარიალის ხეობა და სხვ.), რაც დღესაც ქმნის „პრობლემურ“ მონაკვეთებს სახელმწიფო

საზღვრის გასწვრივ. კავკასიონის ქედის ცალკეული მონაკვეთების გადმოლახვის სიადვილეზე და ამ გარემოებით დამპყრობლების ქვეყნის ტერიტორიაზე იოლად შემოსვლისა და ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე პირველი საცხოვრისების გაჩენის შესახებ წერდა ივანე ჯავახიშვილიც [ჯავახიშვილი, 1998].

სასაზღვრო ზოლისა და თვით საზღვრის ხაზის მდგრადობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თვით გამმიჯნავი ხაზის მდგრადობაზე. ცვალებადკალაპოტიანი მდინარეები, შრობადი ტბები და სხვა წყალსატევები, ეგზოდინამიკური პროცესები, ლანდშაფტური ზონების ცვლილება და სხვა ბუნებრივი პროცესები ხშირად სახელმწიფოთა გამმიჯნავი ხაზის ცვლილებას იწვევს. ცხადია, ასეთი ცვლილებები პრობლემებს წარმოქმნის არადელიმიტირებულ და არამარკირებულ საზღვარზე. ყოფილ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკებს შორის საზღვრის მხოლოდ შეთანხმების დონეზე დაფიქსირების პრაქტიკამ და ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა (ალაზნის ქვემო წელის მეანდრირებისა და კალაპოტის ხშირი ცვლილების) გაუთვალისწინებლობამ თავი იჩინა საქართველო-აზერბაიჯანის მდ. ალაზნის მონაკვეთზე. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე შეთანხმების ხელმოწერისას (თბილისი, 1938) უბრალო გამიჯვნის პრინციპით გატარებული ადმინისტრაციული საზღვარი 1:500,000 მასშტაბის რუკაზე, საქართველოს საზღვრის სტატუსის რანგში იქნა აყვანილი. აქედან გამომდინარე, საზღვრის ეს მონაკვეთი ადგილზე დაზუსტებული არ არის და მხოლოდ ტერიტორიის სამეურნეო დაყოფის საფუძველზეა გატარებული, რაც ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება. სხვადასხვა დროს აეროგადაღების საფუძველზე შექმნილი რუკების, სატელიტური გადაღებისა და ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ტერიტორიული ტრანსფორმაციების რაოდენობა და ფართობების „დანაკარგი“ გაცილებით მეტი აღირიცხება საქართველოს, ვიდრე აზერბაიჯანის, მხარეს. ეს განპირობებულია ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით. მაგ., ადგილი ჯუმათყურე, სადაც მეანდრის ყელი იმდენადაა შევიწროებული, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოების დაგვიანების შემთხვევაში 190 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული მდინარის მეორე მხარეს აღმოჩნდება. მსგავსი უბნები მდ. ალაზნის კალაპოტის სხვა უბნებზეც აღინიშნება. თუმცა ობიექტურობა ითხოვს ითქვას, რომ ტერიტორიული „გადაცდენები“ საქართველოს მხრიდანაც აღინიშნება. ამის მაგალითად შეიძლება ადგილ ზემო ციხიანის უბის ტერიტორია დასახელდეს, სადაც 1980-იან წლებში

გაშენებული ს. ერისიმედის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მდ. ალაზნის ერთ-ერთ ნამდინარევზეა გაშენებული, მდინარის კალაპოტი კი თითქმის 1.5 კმ-ითაა გადანაცვლებული. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მდ. ალაზნისათვის დამახასიათებელი კალაპოტის ხშირი ცვლა საზღვრის ხაზის ახალი ტრანსფორმაციების საშიშროებას მომავალშიც შექმნის.

ანალოგიურ მაგალითად შეიძლება დასახელდეს მთა დიკლოსმთიდან მთა ტინოვროსომდე საქართველო-რუსეთის საზღვრის მონაკვეთი, რომლის 25,000 და 100,000 მასშტაბების სატელიტური რუკების (Google Earth) კარტომეტრიულ-გეოგრაფიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, რომ საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ ქედს, ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველოს, რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების შესაყარი 1.510 მეტრითაა დაშორებული მთა ტინოვროსოდან. საზღვრის ხაზი გატარებულია მთის ფერდობებზე და წყალგამყოფისგან მოშორებით (და არა თხემებზე), ისევე როგორც არამართებულადაა გატარებული ის წყალსატევებზე (ტბებზე), ვინაიდან სარკის ფართობები ხშირად მეზობელ სახელმწიფოებს შორის არათანაბრადაა გადანაწილებული. აღსანიშნავია ასევე საზღვრის ხაზის განსხვავებული მდებარეობა სხვადასხვა წელს გამოშვებულ და სხვადასხვა მასშტაბის რუკებზეც (ნახ. 4).

კავკასიაში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების (1828-1829, 1877-78) შედეგებით საქართველომ (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) მიიღო დაკარგული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა პრობლემებს ზოგჯერ ქმნიდა კარტოგრაფიული მასალების უზუსტობები, ხელშეკრულებების არასწორი ინტერპრეტაციები, დაბალი ინფორმირებულობა და ადგილმდებარეობის არასაკმარისი გეოგრაფიული შესწავლა. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს 1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვრის გატარების მცდელობა, რის შედეგადაც საზავო შეთანხმებებით განსაზღვრული სახელმწიფო საზღვარი დიდი სიზუსტით არ გამოირჩეოდა და რამაც გამოიწვია გაუგებრობები მის ზოგიერთ ნაწილში. საზღვრის დასაწყისად ადრიანოპოლის ხელშეკრულებაში (2.09.1829) მითითებული იყო მდ. ჭოროხის შესართავი, მაგრამ მდინარეთა სახელწოდების არევის გამო საზღვარი გაატარეს მდ. ჩოლოქის შესართავთან [ნოზაძე, 1989]. ეს კი დაახლოებით 2 ათ. კმ^2 ფართობის ტერიტორიის დაკარგვას ნიშნავდა. ამ შეცდომის გასწორება

უკვე 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებით იქნა შესაძ-ლებელი (19.02.1878, სან-სტეფანოს ზავი), თუმცა დემარკაციის პრო-ცესში მხარის გეოგრაფიულ შესწავლაში არსებული ხარვეზები ხშირად მაინც იჩენდა თავს.



ნახ. 4. საზღვრის ხაზის მდებარეობა გრძელი ტბის მიდამოებში სხვადასხვა პერიოდის ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით
(მასშტაბები 1:25,000 და 1:10,000)

საზღვრის ხაზის მიმართულების განსაზღვრისას გაურკვევლო-ბებს ქმნიდა პარალელური გეოგრაფიული სახელწოდებების არსებო-ბაც, წყალგამყოფებისა და რელიეფის უმაღლესი წერტილების არა-თანხვედრა და სხვა [Кавказский военный округ….1913]. ამ დროისათვის

სასაზღვრო კომისიები ოფიცერ-კარტოგრაფების დახმარებით სადელიმიტაციო რუკების ადგილზე ინსტრუმენტული გზით გამოკვლევასა და არსებული ხარვეზების შევსებასაც ახდენდნენ. მათვე უნდა მოეხდინათ დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინვენტარიზაცია, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობისაგან ადგილობრივი ტოპონიმიკური ხასიათის წყაროების, საზღვრისპირა ზოლის მიწის სავარგულებზე და მდინარეთა ქსელზე მონაცემების შეგროვებას. საველე სამუშაოები მოიცავდა ასევე რუკებზე გამოტოვებული სოფლებისა და სხვა ტოპოგრაფიული ობიექტების აღნიშვნას, სასაზღვრო ნიშნების მოსაწყობი ადგილების შერჩევასა და დატანას. მართალია, კომისიამ საზღვრის მდებარეობაში მცირედი ცვლილებებიც კი შეიტანა, მაგრამ დემარკაციის პროცესში მხარის გეოგრაფიულ შესწავლაში არსებული ხარვეზები ხშირად თავს მაინც იჩენდა.

საზღვრის ხაზის დელიმიტაციისას გამოყენებული არასწორი მიდგომის (წვრილმასშტაბიან და საშუალომასშტაბიან ფიზიკურ რუკებზე სადემილიტაციო საზღვრის გატარება) საუკეთესო მაგალითია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის „დავითგარეჯის მონაკვეთი“, რამაც უახლოეს წარსულში ქვეყანას არაერთხელ შეუქმნა გარკვეული „დაძაბულობა“ მეზობელ ქვეყანასთან. თავის დროზე შეთანხმებაში (1938) „დელიმიტირებული“ საზღვრის ამ მონაკვეთზე არსებული ჩანაწერი „საზღვარი მიუყვება თხემს“, საკმაოდ რთული ოროგრაფიული პირობების გამო (კუესტისებრი სერებისა და სინკლინური ღრმულების ხშირი მონაცვლეობა), აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებს ტერიტორიის გამიჯვნისას გამყოფი ხაზის ცალსახა აღქმადობას. ამასთან, დელიმიტაცია განხორციელდა 1:500,000 მასშტაბის რუკაზე, სავარაუდოდ, ადგილზე სიტუაციის შესწავლის გარეშე. ასეთი მასშტაბის რუკებზე კი ეს ქართული ისტორიული ძეგლები შესაძლებელია დატანილი არც კი იყო. შედეგად, ერთიანი ისტორიული წარსულის მქონე ქართული წარმომავლობის სამონასტრო კომპლექსში შემავალი რამდენიმე ძეგლი (ჩიჩხიტური, ბერთუბანი, ბერიის კელიები და სხვ.) მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. როგორც წესი, საზღვრის დემარკაციისას ასეთი ხარვეზების გამოსწორება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხდება, მაგრამ საქართველომ ზოგადად უკვე აღიარა მეზობელ რესპუბლიკებთან ადმინისტრაციული საზღვრები, რაც მეტად ართულებს დემარკაციისას საზღვრის მდებარეობაში შესწორებების შეტანას.

საზოგადოება – როგორც სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. სასაზღვრო ზოლის მოსახლეობა, მათი ეთნიკურ-რელიგიური, ასაკობრივი და შრომითი სტრუქტურა, აგრეთვე მათი ცნობიერების დონე და მრავალი სხვა, სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ეჭვგარეშეა, რომ მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების სიმრავლე, მათი სიახლოვე გამიჯვნის ხაზთან, ისტორიულად ასრულებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტის ფუნქციას, რამეთუ ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საზღვრის დაცვის საქმეში. ამასთან, დასახლებული სივრცე არ იძლევა უცხო ელემენტების მიერ ტერიტორიის დაკავების საშუალებას.

მეტად მნიშვნელოვანია განსახლების გეოგრაფიაც, რაშიც იგულისხმება დასახლებული პუნქტების განაწილება საზღვრის ე.წ. „სენსიტიურ“ ადგილებში და მისი სტრუქტურული შემადგენლობა. მაგალითად, სასაზღვრო ზოლში ტიტულარული ეროვნებების განსახლება გამმიჯნავი ხაზის მდგრადობის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება და, პირიქით, ამ ზოლის დაკავება მეზობელი ქვეყნის ძირითადი ერის, ან უმცირესობების მიერ, ყოველთვის შეიცავს საზღვრის არამდგრადი უბნების წარმოშობის საშიშროებას. საყურადღებოა ასევე მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობაც – გამმიჯნავ ზოლში ახალგაზრდების სიჭარბე მისი სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტად გვევლინება.

ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ფაქტორების შეთანაწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში განსხვავებული სტაბილურობის მონაკვეთების ჩამოყალიბებას.

საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვრის კარტომეტრიული ანალიზი. სახელმწიფო საზღვრის კარტომეტრიული მაჩვენებლების დადგენისას მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს ჩატარებული კარტომეტრიული გაზომვების შედეგების შედარება ოფიციალურად მიღებულთან – 1967,8კმ. კვლევის ავტორებმა გაზომვები დამოუკიდებლად, სხვადასხვა მეთოდის (ტრადიციული – მზომის დახმარებით, კომპიუტერულ რუკებზე) გამოყენებით განახორციელეს. მიღებული შედეგები უჩვენებს, რომ ცდომილება უმნიშვნელოა (საშუალოდ 1 %-ზე ნაკლები) და არსად 1-2 %-ს არ აღემატება (ცხრ. 1). არც გეოინფორმაციული სის-

ტემებით სახელმწიფო საზღვრის სიგრძის გაზომვებმა მოგვცა დიდი სხვაობა. ძირითადი სხვაობა უკავშირდება რუკის სხვადასხვა მასშტაბს.

კვლევის შემდგომი პერსპექტივები მის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებას უკავშირდება:

– სახელმწიფო საზღვრის გაზომვას ზედაპირის დახრილობის გათვალისწინებით – ტრიგონომეტრიული ხერხით და 3D ანალიზით (გის-ტექნოლოგიების მეშვეობით) და შედეგების ურთიერთშედარებას;

– საზღვრის ცალკეულ მონაკვეთებზე (ძლიერ დაკლაკნილ მონაკვეთებზე) უფრო მსხვილმასშტაბიან კარტომეტრიულ ანალიზს;

– მონაცემთა განახლებას კოსმოსური სურათების დეშიფრირებით;

– საზღვრის ხაზის რედუცირებული სიგრძის გამოთვლას.

ცხრ. 1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიგრძე

(სხვადასხვა მასშტაბის რუკების მიხედვით)

სახელმწიფო საზღვარი	1 : 100,000 (რ. მაისურაძე, რ. თოლორდავა)	1 : 200,000 (ო. დემეტრაშვილი, რ. თოლორდავა)	1 : 500,000 (რ. მაისურაძე, რ. თოლორდავა)	1 : 1,600,000 (დ. ნიკოლაიშვილი)	1 : 1,000,000 (დ. ნიკოლაიშვილი)	რ. თოლორდავას მიხედვით	დ. ნიკოლაიშვილის მიხედვით	გის
სახმელეთო	1793.876	1637.951	1650.020	1492.48	1651.770	1802.70	1808.40	1793.876
	1775.93	1726.34	1649.27					
საზღვაო	321.876	322.978	318.495	314.268	315.698	312.08	313.80	321.876
	312.68	317.85	317.71					
სულ	2115.752	1960.929	1968.515	1806.748	1967.468	2114.78	2122.2	2115.752
	2088.61	2044.19	1966.98					

დასკვნა. კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის შეთანხმებული და რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზის მდებარეობა ხშირად არ ითვალისწინებდა სახელმწიფო მიჯნების ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებზე გატარების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას, რის გამოც სივრცე ხშირად სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პერიოდში სასაზღვრო ხაზის მონიშვნა-დემარკაციის მეთოდების გამოყენება – გეოგრაფიული კოორდინატებით მათი აღრიცხვა – მინიმუმამდე შეამცირებდა იმ რისკებს, რაც ბუნებრივი პირობებით გამოწვეულ სასაზღვრო სივრცის ტრანსფორმაციებს და მასთან დაკავშირებულ სახელწმიფოთაშორის დავებს შეეხება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვნია, თუ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია კომპლექსური მიდგომით განხორციელდება. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, კომპლექსური მიდგომით სასაზღვრო სივრცის გამიჯვნა მხოლოდ თურქეთსა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივაა განხორციელებული (რაც სახელმწიფო მიჯნის რანგში ჩვენს ქვეყანას მემკვიდრეობით ერგო). საზღვრის ეს მონაკვეთი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვითაა დემარკირებული, თუმცა სადელიმიტაციო სამუშაოები აქაც ისტორიული, გეოგრაფიული, სამეურნეო და გეოდეზიურ-კარტოგრაფიული გამოკვლევების გარეშე შესრულდა, რაც პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახევი. შესაბამისად, ადგილი აქვს ვრცელ ციცაბო ფერდობებზე და დასახლებების შუაში, ან, კიდევ, ტყის კონტურებზე საზღვრის ხაზის გატარების ფაქტებს.

ამრიგად, კვლევის შედეგად დადგინდა:

• სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციის გამომწვევი გეოგრაფიული ფაქტორები და განხორციელდა მათი დაჯგუფება.

• საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ისტორიულად ყველაზე ცვალებადი მონაკვეთები და მათი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ტერიტორიული ტრანსფორმაციები, მცირედი გამონაკლისის გარდა, უმთავრესად შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, ტერიტორიული ცვლილებები გაცილებით მეტია აღრიცხული კონტაქტურ და ნაკლებად დასახლებულ მონაკვეთებზე;

• საქართველოს ტერიტორიული დანაკარგის სიდიდე XIX საუკუნის ბოლოდან საბჭოთა პერიოდამდე, რამაც შეადგინა 18.5 ათ. კმ^2-ზე მეტი. აქედან დანაკარგის უდიდესი ნაწილი (თითქმის 10 ათ. კმ^2) მოდის თურქეთზე;

• საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ის მონაკვეთები, სადაც უგულებელყოფილია სახელმწიფოთაშორის საზღვრების გატარების საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული ძირითადი პრინციპები და ახსნილია არასწორი მიდგომის უმთავრესი მიზეზები (ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ რუკებზე სხვადასხვანაირად ასახული კონტურები, ხელშეკრულებების არასწორი ინტერპრეტაციები და ა.შ.);

• სამეცნიერო ლიტერატურაში და ოფიციალურად უკანასკნელ პერიოდამდე მიღებული სახელმწიფო საზღვრის სიგრძე, სავარაუდოდ, განსაზღვრულია 1:500,000 მასშტაბის რუკაზე;

• სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეული ზოგიერთი უზუსტობა გეოგრაფიული ობიექტების (მ. აგეფსთა, მ. ტინოვროსო, მ. ოკიუზდაღი და ა.შ.) არასწორი ლოკალიზაციის შესახებ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საზღვრის რეგულირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, იმ ქვეყნისათვის, რომელსაც წილად ხვდა მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებობა. უდავოა, რომ რეგიონში ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობა და ტერიტორიული მთლიანობა უპირველესად სახელმწიფო საზღვრის მშვიდობიან რეგულირებას უკავშირდება.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2011. 451 გვ.
2. გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2013. 826 გვ.
3. თოლორდავა რ. სახელმწიფო საზღვრების მოწყობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული საკითხები (საქართველოს მაგალითზე). დისერტაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებალად. თბილისი, 2002.

4. კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბილისი: „ინტელექტი“, 2006. 117 გვ.
5. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., დემეტრაშვილი ო. საქართველოს საზღვრები. თბილისი, 2009.
6. ნოზაძე ვ. ი. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი: „ნიამორი“. 1989.
7. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული (1919). თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი, 1998. ტ. XII. გვ. 459-513.
8. Винников Н. П. Вычисление площади кавказского края. Записки военно-топографического управления, часть LXI, отделение II. с. Петербург. 1905. стр. 51-64 .
9. Кавказский военный округ. Протоколы первой и второй разграничительной комиссии по установлению границ между Россией и Турцией в Малой Азии 1879-1881гг. Гд. Штаб Кавказского военного округа. Тифлис, 1913.

Dali Nikolaishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Revaz Tolordava
Associate Professor
Sokhumi State University

Determining Geographical Factors of Historic Transformation of the State Border of Georgia

Resume

The work deals with geographic-cartometric analysis of historic transformation of the state border of Georgia. Special emphasis has been made on the changes which occurred during the recent two hundred years. We have studied and analyzed the historical-geographic and cartometric materials depicting a spatial-temporal transformation of the state border, as well as acts of delimitation commissions.

With the aim to determine the exact picture of historic transformation of Georgia's borders, within the research we have used historical-genetic, historical-comparative methods as well as GIS-technologies, which enabled us to receive a combined explanation of this transformation, its aims, peculiarities and scale.

It is determined that throughout XIX-XX centuries territorial losses of Georgia made up 18 thousand km^2, which equals to the area of summarized territories of present Abkhazia, Samegrelo-Zemo Svaneti and Guria regions.

The work also includes the analysis of factors determining historic transformation of the state border and their classification. Three main groups have been determined:

- **Space** – natural factors, facilitating transformations (contact physical-geographical borders, changeable phenomenon along the border, etc.);
- **Politics** – changeable geopolitical and corresponding economic area (hostilities and conflicts, changing "status" of territory, unfair political decisions, contradiction with norms of international law, uniform confessional structure in trans-boundary line, etc.);
- **Society** – attitude of the society which may be called socio-cultural "syndrome" (desire to restore historical justice, low level of consciousness, inaccuracies and falseness of different time historical and cartographic sources, etc.).

On the basis of analysis of the determining factors of transformation not only the whole perimeter of the state border, but its separate parts have been evaluated. Leading and secondary factors in accordance with the above-mentioned parts has been held.

On the basis of the performed research the condition of contemporary state border has been evaluated, also certain ways for stabilization of problematic parts have been offered. The main results of the research are modeled in a complex map depicting the process and a transformation qualification scheme.

ლალი სურმანიძე

გენდერული ცნობიერების ზოგიერთი ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტის შესახებ (შვილები და მშობლები)

თანამედროვე დასავლურ სამეცნიერო ცნობიერებაში უკვე თვალსაჩინო პარადიგმის ცვლილებას თან სდევს იმ პრობლემათა აქცენტირება, რომლებიც უკავშირდება ინდივიდუალური გამოცდილების სივრცის შესწავლის აქტუალობას. დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ სოციოკულტურული ვარიაბელურობა ხორციელდება ცალკეული პიროვნების განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესების გავლით.

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები, ძალზე აქტუალური გასული საუკუნის მეცნიერებაში, ასეთად რჩება დღესაც. თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია[1] განსაკუთრებულ როლს ანიჭებს კულტურულ შემეცნებას (აუცილებელ მოქმედებათა სქემების ათვისების სპეციფიკა, გასაზიარებელი ცოდნის სახეები და მოცულობა) „ფიზიკური, შემეცნებითი თუ სოციალური მექანიზმების თაობათაშორისო გადაცემის, საზოგადოდ, ცოდნის კომუნიკაციის“ პროცესებს *(Emma Cohen;2010*). ტრადიციული ანთროპოლოგიისგან განსხვავებით (რომლისთვისაც არსებით საკითხს წარმოადგენდა „რას აღნიშნავს მოცემული საგანი“), დღეს აქტუალურია მნიშვნელობის სუბიექტურად კონსტრუირების, კულტურული გამოცდილების ცნობიერებაში „ჩანერგვის“ პროცესებისა და მექანიზმების (სქემატიზაცია, სცენარები,

---

[1] ესაა „ინტერდისციპლინური კვლევითი სფერო, რომელიც ფაქტობრივი მასალის ინტერპრეტაციისთვის მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ თეორიას იყენებს და ილტვის განსხვავებულ კულტურათა პირობებში მცხოვრები ადამიანის ინტეგრალური ანალიზისკენ“. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს „ინდივიდი გარემოში“, კულტურასა და ადამიანს შორის ურთიერთკავშირის ფსიქიკური ასპექტები, „ის ფსიქოლოგიური პირობები, რომლებიც სოციალურ სისტემებში წაახალისებს ამტანობასა და ცვლილებებს“ (K.Alten.1998; Берри Дж..., 2007; გვ. 261-262; А. Белик. 2001; გვ.7; Орлова Э. А. 2004; გვ. 35-36).

პატერნები, სინესთეზია, მეორადი ინტერსუბიექტურობა) შესწავლა (Bradd Shore. 1991).

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ცნობიერების ტრანსფორმაცია, შინაარსეული ცვლილებები თუ ღირებულებითი აქცენტების გადანაცვლება საზოგადოდ ახასიათებს არაერთ თაობას. სწორედ ამიტომ „ცვალებადობის პროცესები ისევე ითხოვს ახლობლების, ოჯახისა და ბავშვების კულტურულ-ემოციური სამყაროს კვლევას, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოძრაობების უფრო ფართო ძალები“ (Thomas S. Weisner. 2001). „კულტურულ-ემოციური სამყაროს“, როგორც სუბიექტური კულტურის[2] ელემენტის, ფორმირება მთლიანად ეფუძნება კულტურულ კონტექსტს. სწორედ ის წარმოადგენს გასაღებს, საზოგადოდ, განვითარების პროცესების გასააზრებლად. ამიტომ მიიჩნევა აქტუალურად ოჯახური ცხოვრების, სოციალიზაციის, განვითარების უნიკალური საშუალებებისა და წესების, მათ შორის, აზროვნების თავისებურებათა, ინტერნალიზაციის, აღზრდის მეთოდების დადგინება/ცვლილების პროცესთა შესწავლა ლოკალურ კულტურულ კონტექსტებში (Thomas S. Weisner and Edward D. Lowe. 2005; გვ. 315 -316).[3] სოციალიზაციის სტილი, რომელიც მიიჩნევა „უფრო თვისებრივი, ვიდრე რაოდენობრივი“ სპეციფიკის მატარებლად, ასევე ანალიზდება კულტურათაშორისო განსხვავებების ფართო კონტექსტში (Кон И.С. 2003; გვ. 164).

ცნობილი თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგი – მ. სპირო ფუნდამენტურად მიიჩნევს თეზისს, რომ „კულტურებისა და სოციალური სისტემების ფუნქციონირება და ბაზა დამოკიდებულია მათთვის დამახასიათებელი ღირებულებების ათვისების ხარისხზე ცალკეული წარმომადგენლის მიერ“ (*Spiro M.* 1972; გვ. 583.). ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ სიყმაწვილესა და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მოვლენები მთელს მსოფლიოში რჩება კულტურულ-ნაციონალური

---

2 „სუბიექტური კულტურა“ – კონკრეტული კულტურისთვის ტიპური და მხოლოდ ამ კულტურაში აქტუალურად ფუნქციონირებადი ღირებულებების, ნორმების, როლების, მოლოდინების, სტატუს/პრესტიჟის სისტემათა ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების ქცევასა და ურთიერთდამოკიდებულებებს (Triandis H.C. 1995).

3 ამასთან, აღინიშნება, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია არ ქმნის გლობალიზაციის უარყოფაზე დაფუძნებული მორალური შეფასებების „საველე კონცენტრატს“ – გლობალიზაციის გავლენებთან დაკავშირებით ვლინდება პოზიტიური, ნეგატიური და, ხშირად, ძალზე შერეული გავლენებიც (Thomas S. Weisner and Edward D. Lowe. 2005; გვ. 315).

ტრადიციების უძლიერესი გავლენის ქვეშ. იმავდროულად, მკაფიოდ იკვეთება, ერთი მხრივ, საყოველთაოდ გავრცელებად ცვლილებათა ტენდენციები, მეორე მხრივ, ამ პროცესებში კულტურათაშორისო ვარიაციები.[4] სოციალიზაციის პროცესებს უმჭიდროესი კავშირი აქვთ განვითარების, ცვალებადობის, განათლების, წარმატებისა და მორალურ ღირებულებათა შესახებ კულტურულ რწმენა/წარმოდგენებთან, მათი გავლენები კი მოზრდილობაში აისახება სოციოლინგვისტურ სფეროში, მიზნების, სტატუსის, თვითეფექტურობის შესახებ წარმოდგენებსა და ღირებულებებში, ურთიერთგაგების ინტერაქციონისტულ სქემებში და ა.შ. (T. S. Weisner and E. D. Lowe. 2005; გვ. 325). მათ ფორმირებაში ერთ-ერთ წამყვან როლს მშობელთა წარმოდგენები ასრულებს, თუმცა, სოციალიზაციის ავტონომიური ფაქტორების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ, განსაკუთრებით, ოჯახის სტრუქტურისა და ფუნქციის ცვლილების გამო, საყოველთაოდ ვლინდება მათი როლის შესუსტებაც. მშობლებისა და შვილების ურთიერთობებში კვლავ აქტუალურია ე.წ. „მიჯაჭვულობის კონფლიქტი“ (ბ. უაიტინგი): ერთი მხრივ, მშობლები აღზრდიან დამოუკიდებლობისა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის ღირებულებებს, მეორე მხრივ, წაახალისებენ მიჯაჭვულობას და გაგებას ეძიებენ შვილისგან (Thomas S. Weisner. 2001).

აღნიშნული ტენდენციები სამართლიანია სოციალიზაციის განუყოფელი ასპექტის – გენდერული ცნობიერების ფორმირების პროცესებისთვისაც.[5] მრავალფაქტორიანი გენდერული ცნობიერება ფორმირდება კულტურული რწმენების, მორალური ღირებულებების, ოჯახისა და რეფერენტული ჯგუფების ზეგავლენით, მნიშვნელოვან კავშირშია რეპროდუქციულ ღირებულებებთან, სქესობრივ ქცევასთან დაკავშირებულ კულტურულ მორალთან და ა.შ. და თუმცა ბევრგან

---

[4] პირველი მოიცავს სიყმაწვილიდან ზრდასრულობაზე გადასვლის პროცესებს, არაფორმალურ ერთობლივ თანაცხოვრებას, უფრო გვიანდელ ქორწინებას, ბავშვის გაჩენის ასაკის დაბერებას, შობადობის უფრო დაბალ კოეფიციენტს და ა.შ.; მეორე – მშობლებთან ცხოვრების ხანგრძლივობას, ახალგაზრდების თანაცხოვრების მიმართ ტოლერანტობას, დამოკიდებულებებს ქორწინების, სამსახურის, ბავშვების და, თავად, ასაკის მნიშვნელობის მიმართ და ა.შ.

[5] ჰ. ტრიანდისის აღნიშვნით, სქესი – ესაა რეალური და ეტიკური (ანუ ზოგადი), ხოლო გენდერი – კონსტრუირებული და ემიკური (კულტურულად განპირობებული). გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან სექსოლოგიაში, ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიაში სქესის კატეგორიას რამდენიმე დამოუკიდებელ კატეგორიად ყოფენ და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

ტრადიციული კულტურული ღირებულებები გენდერის სფეროში კვლავაც ინარჩუნებს წარმმართველ და მაორგანიზებელ ძალას, ტრანსფორმაციული პროცესები აქაც საყოველთაოა. ამგვარად, ერთი მხრივ, თანამედროვე სამყაროს გლობალისტური ვექტორები, მეორე მხრივ, კულტურა, დამახასიათებელი კონსერვაციული ფუნქციით, ართულებს გენდერული სოციალიზაციის პროცესს, ბუნებრივად ხდის მას არაერთმნიშვნელოვნად და წინააღმდეგობრივად. ეს პრობლემა არც საქართველოსთვისაა უცხო. ჩვენი კვლევა სწორედ ამ საკითხის აქტუალობამ განაპირობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გენდერული ცნობიერების აქტუალური ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტების გამოვლენა.

მეთოდოლოგია. **ფოკუს-ჯგუფის** (ჯგუფური ინტერვიუს) მეთოდი, „ჩართული ქმედების კვლევის“ მეთოდის ელემენტებით, დასმულ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიების მიმართულებით ინფორმანტთა გააქტიურების მიზნით. გამოკითხვა ეყრდნობოდა კვლევის მიზნების შესაბამისად შექმნილ სპეციალურ გზამკვლევს.

კვლევის **მონაწილეები:** შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა მონაწილეთა სტატუსი და ასაკი (უფროსკლასელის მშობელი-უფროსკლასელი), სქესი. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობდა ჯგუფთა 4 კატეგორია: დედები, მამები, უფროსკლასელები – გოგონები და ვაჟები; ჩატარდა 12 ფოკუსური ჯგუფი სამ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, თელავი).

კულტურული კონტექსტისთვის სპეციფიკური ინდიკატორების არაადეკვატური ასახვის თავიდან ასაცილებლად, მონაცემთა ინტერპრეტაცია ეყრდნობოდა ლოკალურ, ქართული სოციოკულტურული კონტექსტის, საზრისულ ელემენტებს – იმპლიციტურად ნაგულისხმევი ფიქსირებული მენტალურ-კულტურული კოდების შინაარსობრივ დეფინიციებს, აგრეთვე, კულტურულ-ტიპოლოგიურ თავისებურებებს პარადიგმაზე – „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი“ – დაყრდნობით.[6]

---

[6] აღნიშნული ტიპოლოგიური პარადიგმის ფარგლებში, კოლექტივიზმი ინდივიდუალიზმის საპირისპირო, საერთო ინტერესებისთვის პრიორიტეტის მიმნიჭებელ ეთნიკურ პრინციპად მოიაზრება. ინდივიდუალიზმისგან განსხვავებით, რომლის განმსაზღვრელ ატრიბუტებად მიჩნეულია პიროვნების ორიენტაცია ავტონომიურობასა და შიდაჯგუფისგან გამიჯვნაზე, ემოციურ დამოუკიდებლობაზე და სხვ., კოლექტივიზმის არსებით მახასიათებლად აღიარებულია ძლიერი ორიენტაცია შიდაჯგუფურ ერთიანობასა და სოლიდარობაზე; პერსონალურ დონეზე კოლექტივისტის მახასიათებლად მიიჩნევა სწრაფვა შიდაჯგუფზე კუთვნილებისკენ და ურთიერთმიჯაჭვულობის-

წინამდებარე სტატიის შეზღუდული ფორმატის გათვალისწინებით, აქ წარმოდგენილია ზემოთ ხსენებული კვლევის ის ნაწილი, რომელიც გენდერულ ცნობიერებაში იდეალებისა და ღირებულებების კონსტრუქტების ანალიზს ეხება.

იდეალები

დედები. დედა-რესპონდენტების თვალსაზრისით, ნამდვილი ლიდერი თავისი ბუნებით მამაკაცია და არა ქალი. მათი აზრით, ფსიქოფიზიოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით, მამაკაცის ცივი გონება განაპირობებს ამ უკანასკნელის მიერ „უკეთესი“ გადაწყვეტილების მიღების უნარს, განსხვავებით ქალისგან, რომელიც, მათი აზრით, გადაწყვეტილებებს უფრო ემოციურად იღებს. დედების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ქალის ძირითადი დანიშნულება შვილების აღზრდა, მათ წინაშე პასუხისმგებლობა, ოჯახური სიწმინდეა. დედების თვალსაზრისით:

იდეალური მამაკაცი არის: დინჯი, „ნაკლებად“ ემოციური, რაციონალური, სექსუალური, ინტელექტუალური, ძლიერი (ფიზიკურად, სულიერად); პრინციპული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, ეკონომიურად ძლიერი; ერთგული, ოჯახის მოყვარე, ავტორიტეტი მეუღლისა და შვილისთვის.

იდეალური ქალი: თავაზიანი, დედა, ზრდილობიანი, განათლებული, ლამაზი, სექსუალური, საზოგადო მოღვაწე, ქალური.

მამების მოსაზრებები, არსებითად, იმეორებს დედების წარმოდგენებს იმ ნიუანსით, რომ იდეალური ქალის ხატი უფრო მეტადაა მიბმული ოჯახურ და ნაკლებად – ოჯახის გარე კონტექსტთან.

კენ. თანამედროვე გაგებით, კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი არ განიხილება ურთიერთგამომრიცხავ პოლუსებად. მიიჩნევა, რომ ერთი კულტურის ფარგლებში შესაძლებელია ორივე კულტურული სინდრომის თანაარსებობა. თანამედროვე კულტურის მკვლევართა დიდი უმრავლესობა ინდივიდუალიზმისა (ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემა) და კოლექტივიზმის (ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა) სინთეზირების კონცეფციას იზიარებს. ჯგუფის, როგორც სოციალური ერთეულის, მნიშვნელობის შესაბამისად, განასხვავებენ „დიდჯგუფოვან“ (ერი, სახელმწიფო, რელიგიური ერთობა) და „მცირეჯგუფოვან“ (სისხლისმიერი ნათესავები, მეგობარ-ახლობლები და ა.შ.) კოლექტივისტურ კულტურებს (Triandis H.C. 1994; 1995; სურმანიძე ლ. 2001). ქართული კულტურა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მცირე ჯგუფებზე ორიენტირებულ კოლექტივისტურ კულტურად.

მოზარდები: კვლევაში მონაწილე მოზარდებისთვის, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, საპირისპირო სქესთან მიმართებები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ზოგადად, ამ სფეროშიც ვლინდება ქართული კულტურის ტიპოლოგიური თავისებურებებიც და თანამედროვე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენებიც. რაც შეეხება საპირისპირო სქესის მიმართ კვლევაში მკაფიოდ გამოვლენილ აგრესიულობას, ის ასაკობრივი თვითდადგინების პროცესის ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერების გამოვლინებაა, როცა საპირისპირო სქესთან დაპირისპირება მოზარდთა თვითშემეცნების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამდენად, გასაგებია, რომ საპირისპირო სქესის იდეალს რესპონდენტები ძირითადად „მიუღებელი" ტიპის კონსტრუქტთან პოლემიკაში აყალიბებენ. **მოზარდების** თვალსაზრისით:

ვაჟები: ვაჟი-რესპონდენტების დამოკიდებულება საპირისპირო სქესის მიმართ ტრადიციული გენდერული მიმართებების ფარგლებს, პრაქტიკულად, არ სცილდება. მამაკაცის მოვალეობაა მფარველობა: გოგონას დაცვა (რაც გოგონებისთვისაც სასიამოვნოდ მიაჩნიათ), „კონტროლი", თუმცა, „ურთიერთობაში გოგონას აზრი გასათვალისწინებელია"; აღნიშნავენ ქალის ფსიქოლოგიის შესწავლის საჭიროებას.

ქალი, მათი ზოგადი წარმოდგენით, მამაკაცისგან განსხვავებით, ალოგიკურია – „სულ სხვანაირად ფიქრობს, ლოგიკის მხრივ არ ფიქრობს", „სუბიექტურია და ყოველთვის გამოთქვამს სუბიექტურ აზრს".

იდეალური ქალი არის: პატიოსანი, ლამაზი, მიმზიდველი, ჭკვიანი, განათლებული, ტრადიციული (უფროს-უმცროსობის, ადეკვატური ქცევების, წეს-ჩვეულებების მიმდევარი); მორიდებული, თავშეკავებული, „გოგოს და ქალის შესაფერისად" მოსაუბრე, ეკლესიური, ზრდილობიანი, კარგი მეოჯახე, ოჯახის, ქმრისა და შვილების ერთგული, ადვილად მართვადი. ქალს მამაკაცი უნდა უყვარდეს, მისი უნდა სჯეროდეს. ამ კონტექსტში ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „არ მომწონს დღევანდელი გოგოები, სხვანაირად აზროვნებენ"; „თუმცა თავისუფლება კარგია", მაგრამ „გოგო არ უნდა იყოს": გამომწვევი, სექსუალურად ჩაცმული, თავნება.

იდეალური მამაკაცი არის: აქტიური (სწრაფვა წინსვლისკენ, სიახლეებისკენ), პროფესიონალი, არაკარიერისტი, სხვების ანგარიშგამწევი, მოსიყვარულე, ავკარგიანი, თავდაჯერებული.

ორივე სქესის წარმომადგენელთა საერთო თვისებები:

მიზანდასახულობა, ღირსება, რეალისტურობა, მეგობრულობა, მეოჯახეობა, პრესტიჟულობა, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისთვის ინტერესის აღმძვრელი.

გოგონები: გოგონა-რესპონდენტებმა იციან ტერმინის – „გენდერული თანასწორობა" – მნიშვნელობა. მათი აზრით, კაცი, ქალთან შედარებით, მეტი უპირატესობებითა და უფლებებით სარგებლობს. ამ უპირატესობას ისინი რელიგიური თვალსაზრისითაც აფიქსირებენ („ყველა რიტუალის დროს – ზიარების თუ სხვა – კაცები წინ მიდიან, ბავშვები და ქალები მათ შემდეგ. ასე არ უნდა იყოს"). უნდობლობას ამჟღავნებენ საპირისპირო სქესის მიმართ: „ბიჭს შეუძლია გოგონას აბუჩად აგდება. ბიჭის ნათქვამს უფრო იჯერებენ. ჭორებს ძირითადად ბიჭები ავრცელებენ „შეგნებულად", განსაკუთრებით მეგობრებში"; „ქართველი მამაკაცები სულ სხვანაირად ხედავენ ქალებს" (გულისხმობენ ნეგატიურ აღქმას).

იდეალური ქალი არის: „ოჯახის ქალი"; დედა, შრომისმოყვარე, სუფთა, ქმრის ერთგული, თანამედროვე, პროფესიონალი, მოვლილი („ისეთი, რომელსაც საკუთარი თავი არ ავიწყდება").

იდეალური მამაკაცი არის: პატიოსანი, ძლიერი, მორწმუნე, ჭკვიანი, მომთმენი, გამბედავი, ოჯახისმოყვარე. ზრდილობიანი, ხალხის პატივისმცემელი, მოსიყვარულე, სიმპათიური.

შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა ყველა ჯგუფის წარმომადგენელთათვის მენტალურ-კულტურული ორიენტაციები იდეალებზე წარმოდგენების ძირითადი საყრდენია. ვლინდება ზოგადი ტენდენციაც: კვლევის პროცესში არ გამოვლენილა ქალის, უპირველესად, როგორც დედის, ტრადიციული სტერეოტიპისგან გადახრილი აღქმის არც ერთი შემთხვევა, რომლის შინაარსობრივი სპეციფიკა ღრმადაა ჩანერგილი დედის კულტში.

ღირებულებები

საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ღირებულებითი პრიორიტეტები კულტურის ყველაზე ცენტრალური ელემენტებია; მათ ღრმა კავშირი აქვთ ადამიანის ემოციურ სფეროსთან, შეფასებით სისტემებთან და მიზნებთან. ღირებულება არის უნივერსალური დადგენი-

ლება მისაღებისა და მიუღებლის თაობაზე, თუმცა ის არაფერს ამბობს ქცევის მიზნის მიღწევაზე.

როგორც წესი, კვლევაში მონაწილე ორივე სტატუსური (მოზარდები/მშობლები) ჯგუფის რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ტრადიციულობა აღიქმება პოზიტიურ ფაქტად; საუკეთესო ქართულ ტრადიციად რესპონდენტთა ყველა ჯგუფი მიიჩნევს უფროსის პატივისცემასა და ზრდილობას; გარდა ამისა, ვაჟები სტუმარმასპინძლობის, ხოლო გოგონები – ქალწულობის აქცენტირებას ახდენენ.

როგორც ცნობილია, ღირებულებათაგან ზოგიერთი „ბერდება". ეს ტენდენცია გამოვლინდა ჩვენს კვლევაშიც, რაც ცალკეული ტრადიციული ღირებულების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებაში აისახა. მაგალითად, მამებისგან განსხვავებით, დედები ფრთხილად, მაგრამ უფრო აშკარად ავლენენ ქალწულობის ღირებულების ნეგატიურ აღქმას, ვაჟები მიუღებელ ტრადიციად ასახელებენ ხალხმრავალ ქელეხს, ხოლო გოგონები – მოტაცებას. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ, არსებითად, კრიტიკულობა არ ეხება ძირითად კულტურულ პრინციპებს: ოჯახის (მშობლების) პატივისცემას, ურთიერთმიჯაჭვულობას, სოციალურ მხარდაჭერას და სხვ.

კულტურული ღირებულებებისა და ვესტერნიზაციის ტენდენციების ურთიერთმიმართება. ეს აღმოჩნდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი და ცხარე დებატების თემა. უნდა ითქვას, რომ ვესტერნიზაციის მიმართ საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ვლინდება.

მთლიანობაში რესპონდენტების ყველა ჯგუფი აღნიშნავს დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობების მრავალმხრივ შესაძლებლობებს და მათ პოზიტიურად აფასებს. კრიტიკული დამოკიდებულება ეხება ცხოვრების წესზე ვესტერნიზაციის გავლენებს. ამ თვალსაზრისით, ვესტერნიზაციის მიმართ მშობელი-რესპონდენტების ერთი ნაწილის დამოკიდებულება ნეგატიურია, რესპონდენტთა მეორე კატეგორია კი გავლენის ტენდენციებს განვითარებისა და პიროვნების თავისუფლების პრიზმაში იაზრებს. საზოგადოდ, მშობლები ინფორმაციული ნაკადების გავლენას საქართველოს ცხოვრების წესსა და ტრადიციებზე ბუნებრივ პროცესად აღიქვამენ და პროცესუალურ პლანში იაზრებენ („რაღაცას დავკარგავთ, რაღაცას მივიღებთ, ცხოვრება წინ მიდის"; „დასავლური ცივილიზაციიდან კარგი ჩვენს ტრადიციებთან უნდა თანაარსებობდეს)". შეიძლება ითქვას, რომ მშობელი-რესპონ-

დენტების დამოკიდებულება ვესტერნიზაციის მიმართ მშვიდია და არ ატარებს კულტურული სახის დაკარგვის საფრთხის განცდის დაღს.

მათგან განსხვავებით, მოზარდები დასავლეთიდან საფრთხეს სექსუალურ თავისუფლებაში ხედავენ, რაც ორივე სქესის რესპონდენტებთან, პირველ რიგში, აისახება ქორწინებისგარეშე სქესობრივი ურთიერთობების მიუღებლობასა და ქალწულობის ჰიპერბოლიზებულ ღირებულებაში.

კვლევის შედეგები აშკარად ავლენს კვლევის მონაწილეთა ნორმატიულ ორიენტაციებს, შესაბამისად, კულტურული კონტექსტის თავისებურებას, აგრეთვე, ქართული კულტურის ტიპოლოგიურ თავისებურებას: ჩვენი რესპონდენტები, რომლებიც დისკუსიებში კულტურულ ტრადიციებს უპირისპირებდნენ დასავლური ცხოვრების წესს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, აღიარებენ „მნიშვნელოვან სხვათა“ მოთხოვნების გათვალისწინებას, როგორც ობიექტურ მორალურ ღირებულებას („საზოგადოებას ანგარიში უნდა გაუწიო, მარტო ხომ არ ხარ“); ოჯახის, ზოგადად, შიდა სოციალური ჯგუფების, მათი მხარდაჭერის, ურთიერთმიჯაჭვულობის განსაკუთრებულ ღირებულებას; მარტოობა, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს ოჯახის არყოლას, აღიქმება ტანჯვად. მნიშვნელოვან ღირებულებად დასახელებულ უფროსების პატივისცემას ჩვენი რესპონდენტები, როგორც მშობლები, ისე მოზარდები, არ აღიქვამენ მათ უპირობო მორჩილებად, რამდენადაც ასევე მნიშვნელოვან ღირებულებად მოიაზრება ინდივიდუალისტური, პერსონალური პოზიციის ქონა, რაც კონტროლის ინტერნალურ ლოკუსზე ორიენტაციაში გამოვლინდა („შენს ცხოვრებას შენ თვითონ განაგებ“); ურთიერთნდობა, რომელიც კოლექტივისტისთვის ერთ-ერთი საყრდენი კონსტრუქტია, აღიარებულია ქართველთა დამახასიათებელ თვისებად.

კვლევით გამოვლენილი სტანდარტები კოლექტივისტური, ჩვენს შემთხვევაში, მცირე ჯგუფებზე ორიენტირებული კოლექტივისტური კულტურების ტიპური თავისებურებებია. შესაბამისად, ისინი თანამედროვე ქართული სოციოკულტურული კონტექსტის ბაზისური ელემენტებია.

შედეგები:

• ასაკისა და სქესის მიუხედავად, რესპონდენტებს შორის ღირებულებათა აღიარების თვალსაზრისით კონფლიქტი არ არის.

• უძირითადეს ზოგად ღირებულებებად კვლევის მონაწილეები ასახელებენ თავისუფლებას, რწმენას, იმედს, პატრიოტიზმს, სიყვარულს, უსაფრთხოებას (მშვიდობას).

• მნიშვნელოვან ტრადიციულ ღირებულებებად სახელდება: ოჯახი, რეფერენტული ჯგუფები (სისხლისმიერი ნათესავები, ოჯახის მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, კოლეგები და ა.შ.), სიმჭიდროვე,- კორპორაციულობა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, კარგი ინტერპერსონალური ურთიერთობები, სოციალური მხარდაჭერა, განათლება, სოციალური და ეკონომიკური განმტკიცება/წინსვლა, ერთობა, სახელმწიფო, მართლმადიდებლური რელიგია; მრავალშვილიანობა, ზრდილობა, ურთიერთთანადგომა, ერთგულება, მშობლები, ქალწულობა, სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანების პატივისცემა, სინდისი, ღირსება, პატიოსნება, ობიექტურობა.

• საუკეთესო ქართულ ტრადიციად რესპონდენტთა ყველა ჯგუფი მიიჩნევს უფროსის პატივისცემასა და ზრდილობას, ამას გარდა, ვაჟები გამოყოფენ სტუმარმასპინძლობას, ხოლო გოგონები – ქალწულობას.

• კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ტრადიციულობა აღიქმება პოზიტიურ ფაქტად;

• კულტურულ-ნორმატიულ დონეზე ღირებულება „უფროსი/უმცროსი“ არ გულისხმობს მკაცრ იერარქიულობას უმცროსთაგან უპირობო მორჩილების სახით; პიროვნების დონეზე პოზიტიურ ღირებულებად მიიჩნევა ინდივიდუალისტური დამოუკიდებელი პერსონალური პოზიცია, აგრეთვე კონტროლის ინტერნალური ლოკუსი („შენს ცხოვრებას შენ თვითონ განაგებ“);

• უფროსების მხრიდან ტრადიციულ ღირებულებათა კრიტიკული აღქმა აისახება შვილების მიმართ მეტი დამოუკიდებლობის მოთხოვნაში.

• მთლიანობაში რესპონდენტების ყველა ჯგუფი დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობებს პოზიტიურად აფასებს. ვესტერნიზაციის მიმართ დამოკიდებულება მშვიდია და არ ატარებს კულტურული სახის დაკარგვის საფრთხის განცდის დაღს. უფროსებისგან განსხვავებით, ვესტერნიზაციის მიმართ მოზარდთა დამოკიდებულებაში მკაფიოდ ნეგატიური დამოკიდებულება ორ ასპექტში იკვეთება: განსხვავე-

ბით დასავლური ინდივიდუალისტური დამოუკიდებლობის გაგებისგან, მიმართებაში – „პიროვნება/სოციალური ჯგუფი“ – ჩვენი რესპონდენტების მიერ მიჯაჭვულობის ფენომენი განიხილება პოზიტიურად; მეორე ასპექტი გამოხატულია ქალისთვის სექსუალური თავისუფლების მიუღებლობით.

• კვლევით გამოვლენილი ტრადიციული ღირებულებები მცირე ჯგუფებზე ორიენტირებული კოლექტივისტური კულტურების ტიპური თავისებურებებია. შესაბამისად, ისინი თანამედროვე ქართული სოციოკულტურული კონტექსტის ბაზისური ელემენტებია.

• აშკარაა მშობელთა წარმოდგენების მნიშვნელოვანი გავლენა მოზარდთა წარმოდგენებზე, კონფლიქტი და განსვლა მათ შორის არ დასტურდება. ასევე დასტურდება „მიჯაჭვულობის კონფლიქტის“ საყოველთაოდ გავრცელებული ტენდენცია და სოციალიზაციის პროცესის შესაბამისი გაორებულობა: ჩვენი მშობელი-რესპონდენტები წაახალისებენ, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობისა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის ღირებულებებს, მეორე მხრივ, შვილისგან მიჯაჭვულობასა და გაგებას.

• იდეალური ხატების შინაარსი ასახავს როგორც კულტურულ-სპეციფიკურ, ისე კულტურის ზოგადტიპოლოგიურ (კოლექტივიზმი-/ინდივიდუალიზმი) თავისებურებებს.

ლიტერატურა:

1. სურმანიძე ლ. (2001). ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები, ემპირიული კვლევები). გამომც. „ნეკერი“, თბილისი.
2. Emma Cohen (2010). Anthropology of Knowledge.// Journal of the Royal Anthropological Institute (N.S.), Max Planck Institute for Evolutionary Anthropology and Max Planck Institute for Psycholinguistics S193-S202
3. Thomas S. Weisner and Edward D. Lowe. (2005). Globalization, Childhood, and Psychological Anthropology//A companion to psychological anthropology: modernity and psychocultural change / edited by Conerly Casey and Robert B. Edgerton.გვ. 315-336

4. Thomas S. Weisner.(2001). The American Dependency Conflict: Continuities and Discontinuities in Behavior and Values of Countercultural Parents and Their Children// Ethos 29 (3): 271–295.
5. Bradd Shore. (1991). Twice-born, once conceived: meaning construction and cultural cognition//American Anthropologist. Vol. 93. No.1. March Pp. 9-27.
6. Kristin Alten.(1998).Psychological Anthropology//http://www.indiana.edu/~wanthro/theory_pages/Psychological.htm).
7. Triandis H.C. (1995). Individualizm and Collectivism. Westview Press
8. Triandis H.C. (1994). Culture and Social Behavior. N.Y. etc.: Mc-Graw-Hill
9. Spiro M. (1972). An overview and a suggested roerientatien // Psychological Anthropology. Hsu T.J.K. (ed.). Cambridge (Mass.).
10. Берри Дж., Пуртинга А.Х., Сигалл М.Х., Дасен П.Р.(2007). Кросс-культурная психология. Исследования и применение. Харьков: Гуманитарный Центр
11. Кон И.С. (2003). Ребенок и общество. М. «Академия»
12. Орлова Э. А. (2004). Культурная (социальная) антропология. изд-во “Академический Проект”. М.
13. А.А.Белик. (2001). Теоретические истоки психологической антропологии и две тенденции в познании культур (Вступительная статья)//Личность, культура, этнос: современная психологическая антропология / Под общей ред. А.А.Белика. М.: Смысл

Lali Surmanidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Some Psycho-anthropological Aspects of Gender Awareness (Children and Parents)

Resume

The formation of multi-factor gender awareness is affected by cultural beliefs, moral values, family, and reference groups, and is strongly intertwined with reproductive values, sexual behavior-related cultural morality, etc. Although tra-

ditional cultural values related to gender maintain their leading role, the transformation of gender awareness is also obvious. Such opposite vectors complicate the process of gender socialization. This problem is not alien to Georgia either. And our research is encouraged by the significance of this issue.

The study is aimed to reveal the actual psycho-anthropological aspects of gender awareness. The research is based on the focus group method. Four main groups participated in the research (mothers, fathers, school students - boys and girls) and 12 focus groups were interviewed in three cities of Georgia (Tbilisi, Batumi, and Telavi).

The data have been analyzed on the basis of the cultural-typological characteristics, as well as the definitions of implicitly meant, fixed mental-cultural codes. The paper presents the results of the analysis.

The overwhelming majority of our respondents, regardless of sex and age, perceive the traditional as a positive fact. On a cultural-normative level, the value of "Senior/Junior" does not mean a strict hierarchy with juniors' unconditional subordination to the seniors. On a personal level, an individualistic, independent personal position, as well as the internal locus of control, is ascribed the highest value. The research has also revealed a critical attitude to traditional values though such criticism does not apply to the basic cultural principles: respect for family (parents), interdependency, social support, etc.

All groups of respondents have positively evaluated the relations with the Western world. Parents do not perceive the impact of Western values as a threat. However, teenagers showed negative attitude towards westernization, which is reflected, on the one hand, in a negative assessment of the Western individualism (regarding "personality/social group"), on the other hand, in the rejection of sexual freedom in relation to a woman.

The traditional values revealed by the research are typical to small group-oriented collectivistic cultures. It is obvious that parents' attitudes strongly influence teenagers' attitudes and opinions, and there is no discrepancy between these two groups. The widespread tendency of "interdependency conflict" is confirmed. The content of female/male ideals also reflects both the general tendencies characteristic to the modern epoch and the culture-specific perceptions.

ნანა ტალახაძე

იდეოლოგიური დისკურსი ქართულ ფუტურისტულ პრესაში

მეოცე საუკუნის 20-იან წლები მსოფლიოში ეპოქალური პოლიტიკური ძვრებითა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით აღინიშნა, რომელმაც ძირეული გავლენა მოახდინა კომუნიკაციურ-კულტურულ პროცესებზე და სახელოვნებო სივრცე განსხვავებული ესთეტიზმისა თუ იდეოლოგიური პოზიციების მქონე არტჯგუფების შემოქმედების არენად იქცა. მათ შორის ექსტრავაგანტიზმითა და ნოვაციებით გამოირჩეოდა ავანგარდისტული მიმდინარეობა – ფუტურიზმი, რომელმაც საქართველოშიც პოვა გამოძახილი და რომლის დამფუძნებლებმაც 1922 წლის 6-7 მაისს გამოქვეყნებულ მანიფესტში „საქართველო-ფენიქსი“ საზოგადოებას შესთავაზეს თანამედროვე მხატვრული კულტურის გააზრების არაორდინალური თეორიები და ხედვები და თანამედროვე ხელოვნების ერთადერთ ორიენტირად ფუტურისტული ესთეტიზმი გამოაცხადეს: „ჩვენ ვუარყოფთ ყველაფერს, რაც ჩვენ უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება“ (მანიფესტი, 1922). ასეთი ამბიციური ლოზუნგი იმ პოლიტიკური კონტექსტის ილუსტრირება იყო, რომელმაც საქართველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ ეროვნულ-კულტურული დისკურსი ახალი იდეოლოგიური დისკურსით ჩაანაცვლა და ერთგვარი დილემის წინაშე დააყენა მწერლისა თუ ნებისმიერი დარგის ხელოვანის შემოქმედებითი ამოცანები. ფუტურისტებმა მიზნად დაისახეს არაცნობიერი, ე. წ. „ზაუმური“ (დეფორმირებული) ენით არსებულისაგან სრულიად განსხვავებული პოეტიკის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ტრადიციებისა და წარსულის კულტურის „გადმონაშთებისაგან“ თავისუფალი, „ახალი ადამიანის ფორმირება“. დადაიზმი, სიურეალიზმი, აბსტრაქციონიზმი, კონსტრუქტივიზმი – ის ტერმინებია, რითიც აპელირებდნენ ავანგარდიზმის ფუძემდებლის, იტალიელი ფილიპო ტომაზო მარინეტისა და რუსი ავანგარდისტების (ა. კრუჩიონოხი. ვ. ხლებნიკო-

ვი და სხვ.) თეორიებითა და ექსპერიმენტებით შთაგონებული ქართველი ფუტურისტები, რომლებიც „ფორმალობის ნოვატორობის გზით წავიდნენ და რეალიზმს დაუპირისპირეს ბუნტარობა, ლიტერატურული ოინბაზობა და „ზაუმი“ (კვერენჩხილაძე, 1983: 97).

ავანგარდისტების ანტიხელოვნების თეორიას, რომელიც კონკრეტულ იდეოლოგიურ გარემოში ყალიბდებოდა, ნიადაგი მოუმზადა საბჭოთა ხელისუფლების კულტურულმა პოლიტიკამ და ლენინის ცნობილმა თეზამ „ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ“, რომელმაც მწერლის ახალი ტიპის ჩამოყალიბების კონცეფციას ჩაუყარა საფუძველი და მას საბჭოთა იდეების აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლი დააკისრა. მხატვრული შემოქმედებისადმი ასეთი მიდგომა სავსებით მისაღები აღმოჩნდა ქართველი ავანგარდისტებისთვის და, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ეს არ იყო კონიუნქტურა, პირიქით, მათთვის რევოლუციური ეპოქის რადიკალური გარდაქმნები ახალი კულტურული რეალობისა და მენტალობის ცვლილებებთან ასოცირდებოდა და, ამდენად, უპირობოდ დადგნენ ახალი წეს-წყობილების მხარეს (პროლეტარ მწერლებთან ერთად), ცალსახად გამოხატეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანადგომა და თავიანთი შემოქმედება კომუნისტურ აღმშენებლობას დაუკავშირეს: „ჩვენი დადა, ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი იხსნება სრული რევოლუციური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისით, ახალი ინდუსტრიალიზმი, ორგანიზაცია, მასიური მოძრაობის და საერთოდ ს.ს.ს.რ“ (H_2SO_4, 1924: 2). ამ დისკურსით დაიწყეს მოღვაწეობა ქართველმა ფუტურისტებმა და ის ბეჭდური მედიის ფურცლებზე გაშალეს. 1924-1928 წლებში მათ გამოსცეს სამი ჟურნალი: „H_2SO_4“ (1924 წ. გამოვიდა ერთი ნომერი), „ლიტერატურა და სხვა“ (1925 წ. – ერთი ნომერი), „მემარცხენეობა“ (1927-28 წწ. – ორი ნომერი) და ერთი გაზეთი „დროულის“ სახელწოდებით (1925-26 წწ. გამოვიდა სამი ნომერი).

აღნიშნულთაგან ეპატაჟურობითა და ვიზუალური თუ შინაარსობრივი ექსცენტრიზმით გამოირჩეოდა ჟურნალი „H_2SO_4“, რომლის პირველი და ერთადერთი ნომერი გამოვიდა 1924 წლის 25 მაისს და მას ხელს აწერდნენ მაშინ უცნობი ავტორები: ბენო გორდეზიანი, ნიოგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი გამრეკელი, ბიძინა აბულაძე, პაოლო ნოზაძე, ჟანგო ღოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია და შალვა ალხაზიშვილი. ჟურნალის „მონტაჟი“ (ასე უწოდებენ ფუტურისტები ჟურნალის დიზაინს) ეკუთვნოდა შემდგომ

ცნობილ მხატვარ ირაკლი გამრეკელს. „H_2 SO_4“-ის ფურცლებზე ფუტურისტებმა ხელოვნებაში დიქტატურის უფლება მოითხოვეს და ანტიხელოვნების შექმნის პრეტენზიით გამოვიდნენ: „არ არის სხვა მიმართება ხელოვნებაში, რომელსაც შეიძლება ქონდეს დიქტატურის უფლება, გარდა H_2 SO_4-ისა“ (H_2 SO_4, 1924: 2). როგორც მკვლევარი ს. სიგუა აღნიშნავს, ფუტურისტების „დიქტატორობის მანიას“ ჰქონდა თავისი საფუძველი, „იგი სათავეს იღებდა პოლიტიკური ატმოსფეროდან, პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან. როგორც დაუნდობლად, სასტიკად ებრძოდა ერთი პარტია მეორეს ჰეგემონიის მოსაპოვებლად, ისევე ლიტერატურული ჯგუფები ლამობდნენ თავიანთი დიქტატურის დამყარებას ხელოვნების ფრონტზე“ (სიგუა, 1994:194).

ერთპიროვნული ბატონობის სურვილმა ავანგარდისტები დააპირისპირა არა მხოლოდ ტრადიციულ კულტურასთან, არამედ სხვა თანამედროვე არტჯგუფებთან, რომლებსაც კონკურენტებადაც ვერ აღიქვამდნენ და ფანატიკურად სწამდათ, რომ „რევოლუციური ხელოვნების პრეტენზიები ჩვენ მიერ დაპყრობილია სავსებით... ჩვენ ვმონაწილეობთ ახალი სამყაროს შენებაში“ (დროული, 1925: 1-4). ყველაზე მძაფრად ისინი სიმბოლისტებსა და აკადემიური ჯგუფის წარმომადგენლებს აკრიტიკებდნენ, რომელთა, მათი აზრით, „სახარინით დამტკბარი“ რეტროგრადული შემოქმედება ახალი ეპოქის მასშტაბურ გამოწვევებს ვერ პასუხობდა და ლიტერატურულ პარნასზე მათი ადგილი არ იყო. მხოლოდ H_2 SO_4-ს – გოგირდმჟავას ხსნარს, რომელსაც ქართული შესატყვისი – ქეძაფი მოუძებნეს, შეეძლო გაეწმინდა მათგან გაფუჭებული ჰაერი და ისინი შემოქმედებითი არენიდან გაერეკა „დაწყებული გალტაბ ტიტტაბიდან და კასრაძეთი დამთავრებული“(H_2 SO_4, 1924: 40).

ქართული კულტურის განახლება – ეს იყო ავანგარდისტთა გზავნილი, რომელიც „H_2 SO_4“-ის ფურცლებზე გახმიანდა და გაგრძელდა სხვა პერიოდულ ორგანოებში, სადაც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა პოლიტიკური პლატფორმაც – მემარცხენეობის იდეოლოგია, რომელიც შემდგომ პერიოდიკის სახელწოდებაშიც აისახა („მემარცხენეობა“). „ჩვენ გვინდა ვიგრძნოთ ახალი საზოგადოებრივი დგამი და საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკა. ჩვენ ვიბრძვით გემოვნების დიქტატურისთვის, რადგან ჩვენ ვართ დასრულებული და უკანასკნელი მიღწევა ქართული ხელოვნებისა“ (მემარცხენეობა, 1927:1-4) – ასე განმარტავდა ჯგუფის ამბიციურ მისიას შ. ალხაზიშვილი, ხო-

ლო ს. ჩიქოვანი აცხადებდა: „ჩვენ გვჯერა, საქართველოს აქვს საკუთარი ხედვა“ (H_2 SO_4, 1924: 28) და ეს ხედვა სრულ უნისონში აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ პოლიტიკასთან და იგი მემარცხენე იდეოლოგიის პრინციპების გაზიარება იყო. მართალია, ტერმინი „მემარცხენეობა“ არ გვხვდება „H_2 SO_4“-ის ფურცლებზე, მაგრამ აქ დაბეჭდილი ყოველი მასალა, პოეზიისა თუ პროზის ნიმუშები მემარცხენე იდეოლოგიის დისკურსით არის აღბეჭდილი. ამაზე ნიკოლოზ შენგელაიას პათეტიზმით გაჟღენთილი ლექსებიც მეტყველებს, მაგ.: „მოვედით / ღერბით / სსსრ / ერთად / ბეჯითი ნაბიჯით პირდაპირ / დროშები დროშები დროშები /წითელი წითელზე ფერადფერ / იარრ / რევოლუციონერებო! / სალამი სარდალს“.... (H_2 SO_4, 1924: 41). ბიძინა აბულაძე კი აღფრთოვანებით წერს, რომ „ეიფელს დაემუქრა კომინტერნი“ (H_2 SO_4, 1924: 32), ხოლო შალვა ალხაზიშვილი უფრო „შორს მიდის“ და ოცნებობს „მე მინდა პარიზის თავზე წითელი დროშა ფრიალებდეს“ (H_2 SO_4, 1924: 44) და სხვ.

„უნდა დაინგრეს, რომ აშენდეს“ (დროული, 1925:1-1) – ასეთი ულტრარადიკალური ფორმულა შესთავაზეს ფუტურისტებმა საზოგადოებას; ნგრევა ყველგან, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ და, კერძოდ, სახელოვნებო სფეროში, რადგან „ხელოვნებაში არ არსებობს მხატვრული შემოქმედების მარადიული კანონები და შეუძლებელია ახალი ხელოვნების ძველ ტრადიციებზე აშენება“ (მემარცხენეობა, 1927: 1-6), რეფორმატორების რწმენით, „დატოვებულ საუკუნეთა კულტურის არც ფორმა, არც შინაარსი პროლეტარიატისათვის გამოსადეგი და მისაღები არ არის“ (დროული, 1925, 1:1). მხოლოდ ავანგარდისტული, ახალი ხელოვნებაა ერთადერთი, რომელიც „შესაძლებელია საბჭოთა საქართველოში“ (ლიტერატურა და სხვა, 1924:1:60) – ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს ის რეალური პოლიტიკური და სოციალური გარემო იძლეოდა, რომლის წიაღშიც აღმოცენდა ფუტურისტული ე.წ. ფორმალური პოეტიკა და რომლის შემქმნელებიც სავსებით იზიარებდნენ ხელოვნების პარტიულობის პრინციპს. მათ მიაჩნდათ, რომ ხელოვნება ნაწილია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ისევე მონაწილეობს საერთო სოციალისტურ აღმშენებლობაში, როგორც მრეწველობა, ინდუსტრია, მეურნეობა და სხვ. ფუტურისტთა გამონათქვამები: „ახალი ხელოვნების პრაქტიკა არის მხატვრული აღმშენებლობა, რომელიც განუყრელ და მუდმივ კონტაქტშია სოციალისტურ მშენებლობასთან“, „პოეზია არის უტილიტარული საქმიანობა და არა ზეშთაგო-

ნების ნაყოფი“, „დატოვებულ საუკუნეთა კულტურის არც ფორმა, არც შინაარსი პროლეტარიატისთვის გამოსადეგნი და მისაღებნი არ არის“, „ხელოვნება სახელმწიფო საქმიანობად უნდა ჩაითვალოს“, „სწორად და ეფექტიანი მუშაობის შედეგად ხელოვნების ოქტომბერი შორს არ არის“ და სხვ. ნათლად მეტყველებს ავანგარდისტთა მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიურ ორიენტაციაზე.

ჟურნალებში „დროულსა“ და „მემარცხენეობაში“ მკაფიო პოლიტიკური პოზიციებით გამოირჩეოდა ბესარიონ ჟღენტის ლიტერატურული მიმოხილვები, სადაც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა ხელისუფლების კულტურული პოლიტიკისადმი ფუტურისტების აქტიური მხარდაჭერის მოტივები და ახალი დროის ხელოვანის წარმართველი ფუნქცია კულტურულ რევოლუციაში. სტატიებში „მემარცხენეობის საზღვრები“ და „მარცხენა ნაბიჯები“ კრიტიკოსი განიხილავს უცხოეთსა და რუსეთში „სოციალური ქარტეხილებით“ გამოწვეული მემარცხენე იდეოლოგიის პროგრესულ გავლენას ქართულ ხელოვნებაზე, რომელმაც შემოქმედს „სასიცოცხლო გზებზე შემობრუნების ინტერესი“ გაუჩინა და იმპულსი მისცა „ლიტერატურული ტერორის უმწვავეს ფორმებში წარმოებისათვის“ (მემარცხენეობა, 1927 1:7). ავტორის აზრით, სწორედ მიმდინარე სოციალური რევოლუციის პროცესი ქმნის ახალ იდეოლოგიას, რომელიც არის არა ლოკალური, არამედ მსოფლიო პროცესი და როგორც დასავლეთში, ისე საბჭოთა კავშირშიც, პარალელურად „ლიტერატურა მიდის პოლიტიკური მემარცხენეობის გვერდით“, ამიტომაცაა საჭირო მასები ეზიარონ მსოფლიო მემარცხენე ხელოვნების მიღწევებს, ქართველი საზოგადოება გადარჩეს „ჩამორჩენისა და უკანმზერის საფრთხეს, გააგრძელოს ლიტერატურული რუტინის რღვევა და დაცლილ ადგილზე ახალი მხატვრული ფაქტების აშენება“ (დროული, 1925: 1-1). მემარცხენეობის „ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულება“, რომელიც „სრულ თანხმობაშია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ ამოცანებთან“, ბ. ჟღენტმა განმარტა წერილში „დღევანდელობის დირექტივები“ და ჩამოაყალიბა შემდეგი მოთხოვნები: ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე აგებული ადამიანის ფსიქიკის კონსტრუქცია; წარსულის ნამემკვიდრეო ცრურწმენათა აღმოფხვრა; სენტიმენტალურ-რომანტიკულ განწყობილებათა დაშლა და ძველი გემოვნებისა და ესთეტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისის რღვევა (მემარცხენეობა, 1927 1:3).

ფუტურისტებმა ხელოვნების ყველა დარგის რეფორმა დაისახეს მიზნად, პირველ რიგში კი, მხატვრული ლიტერატურისა და მათ მიერ აკვიატებული ზაუმური ენით, რომელიც „არის განთავისუფლება სიტყვის ყოველგვარი მონობისგან“ (ლიტერატურა და სხვა, 1924:1-60), ტექნიკური ტერმინოლოგიით, გრაფიკული თუ მათემატიკური სქემებითა და ფორმულებით გაჯერებული ტექსტებით, ალოგიკური ინფორმაციებითა და რებუსული თეორიული სტატიებით ქმნიდნენ ახალი ეპოქის პოლიტიკური დოქტრინის შესაბამის მხატვრულ ექსპერიმენტულ ლიტერატურას. ჟურნალ „H_2SO_4-ის“ რუბრიკებში „სიტყვის ქიმიური ლაბორატორია“ და „სიტყვის ფაბრიკა“ მუშავდებოდა ახალი სიტყვები, მათი თქმით, ახალი ცხოვრების შესაფერისი ტერმინები, მაგ.: რადიომორა, რანგულისი, სულემა, როშარი, ხედეირა, მორიალირე და სხვ., რომელთა მნიშვნელობა არათუ ფართო მკითხველისთვის, მათი თანამოაზრეებისთვისაც კი გაუგებარი იყო.

სიტყვადქმნადობის შემდეგ ხელოვნების სხვა დარგებსაც გადაწვდნენ. პირველ რიგში – მხატვრობას. „ვაცხადებთ მხატვრობაში დიქტატურას“ – ამ ლოზუნგით ავანგარდისტებმა უარყვეს „ლამაზად“ ხატვა, პეიზაჟები და ნატურმორტები უსარგებლო და ბურჟუაზიული შინაარსის მატარებელ ნიმუშებად გამოაცხადეს და მხატვრობაში „მორიგი ფრონტის“ გახსნა მოითხოვეს. ამ თემას აქტიურად გამოეხმაურა შ. ალხაზიშვილი სტატიებში „მემარცხენე მხატვრების პერსპექტივები“ და „დავით კაკაბაძის მხატვრობა“. ავტორი აკრიტიკებს არსებულ მხატვრობას, რომელიც მეშჩანობის, ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის მაჩვენებელია, სადაც იგრძნობა „მემარჯვენეების ეპიდემიური აზროვნების“ გავლენა და ყოველივე „ძველი, პრიმიტიული და პირველყოფილი გამოცხადებულია „ეროვნულობის“ სახელით. სწორედ „ჩოხისა და ურმის ნაციონალიზმი, უყალბესი პატრიოტიზმი“ აფერხებს სახვითი ხელოვნების განვითარებას საქართველოში, – აღნიშნავს შ. ალხაზიშვილი და აქვე ვრცლად განიხილავს მემარცხენე ფრანგი მხატვრის ფერნან ლეჟეს უტილიტარულ შემოქმედებას, რომელიც არის „თანამედროვე ყოფის შედეგი და უშუალოდ გამოხატავს მემარცხენეობის კრედოს: „ლეჟე სდგას თანამედროვე ცხოვრების ნიადაგზე. ავიაცია, რადიო, კინო, ავტომობილიზმი – აი, შინაარსი მისი მხატვრობისა. ფოლადი და ლითონი, როგორც ტეხნიკა, შავი და თეთრი ფერები, როგორც კინოში, რაც მეტად დამახასიათებელია ამ ორი ხელოვნებისათვის“ (მემარცხენეობა, 1928: 1-64). ავტო-

რის აზრით, მხოლოდ უტილიტარული მხატვრობაა ნამდვილი ხელოვნება, რომელიც საქართველოშიც უნდა განვითარდეს და „გახდეს წარმოებითი და აკეთოს სასარგებლო ნივთები". აქვე სიამაყით აღნიშნავს, რომ მოსკოვი უკვე თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრია, სადაც უტილიტარული მხატვრობა ვითარდება და მისი გამარჯვება დაკავშირებულია სოციალისტური წყობილების დამყარებასთან. იგი პარალელებს ავლებს ფერნან ლეჟესა და დავით კაკაბაძის შემოქმედებას შორის და ცდილობს ამ უკანასკნელში დაინახოს მემარცხენეობის კონტურები და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „საბჭოთა სინამდვილეში დ. კაკაბაძის მხატვრობის გამოყენება შეიძლება" (მემარცხენეობა, 1928: 2-53). იმავე აზრისაა სიმონ ჩიქოვანიც, რომელიც წერილში „დავით კაკაბაძე" მხატვარს ავანგარდისტული ფრონტის ერთგულ თანამგრძნობად და, უფრო მეტიც, „მემარცხენე ფრონტის პრაქტიკოსად და თეორეტიკოსად" მოიხსენიებს (დროული, 1926:2-4). მართალია, დ. კაკაბაძე თანამშრომლობდა ფუტურისტულ პრესაში, მაგრამ თავად ჯგუფის წევრი არასდროს ყოფილა.

ავანგარდისტები ცირკის პრობლემებითაც დაინტერესდნენ და იგი ახალი ცხოვრების შესაბამის ხელოვნებად დასახეს. ამ თემას ვრცელი წერილი მიუძღვნა ნიკოლოზ შენგელაიამ სათაურით „ქართული ცირკი", სადაც განიხილავს საცირკო ხელოვნების პრობლემებს და მოითხოვს ცირკის „ბულვარული" გაგების უარყოფას და ისეთი „მოდერნიზებული ცირკის" შექმნას, რომლის საფუძველია „ხმაურის, ქარხნების სიმფონიის, მასის, კლოუნიადის, აკრობატიკის" და მრავალი თანამედროვე მოძრაობითი ხელოვნების კონსტრუქციული სინთეზი" (H_2 SO_4, 1924: 43). ავტორის აზრით, ნამდვილი ხელოვნება ცხოვრების ორგანიზატორია და ეს ფუნქცია ცირკმაც უნდა იტვირთოს, რადგან „ცირკი სცოცხლობს – ცხოვრებით. ცირკი აერთებს მასსას და აქტიორს: აქ დაღწეულია საზღვრები შემოქმედების და აუდიტორიის ათვისებას შორის. ამისთვის თეატრზე მეტ გამძლეობასთან ერთად მას აქვს მეტი საშვალებაც აიღოს მოვალეობა ორგანიზატორისა" (H_2 SO_4,1924: 43). ნ. შენგელაიას დაკვირვებით, ხალხური შემოქმედება ყველაზე ახლოს დგას ცირკთან და ქართული თანამედროვე ცირკიც ქართული „ხალხური შემოქმედებისა და თამაშობების ამბებს" უნდა დაეყრდნოს, „ჯირითი, ხანჯლებით თამაში, საზანდარი, შაირობა ქალაქურ ყაიდაზე უნდა მოდერნიზდეს და იქცეს ეს ყოველივე მანქანურ მოძრაობად" (H_2 SO_4, 1924: 43). ამდენად, რეფორმირე-

ბულმა ცირკმა უნდა წარმოაჩინოს „ხალხის კოლექტივი“ და საცირკო ხელოვნება მჭიდროდ დააკავშიროს თანამედროვე ყოფის სოციალურ და პოლიტიკურ ამოცანებთან.

ქართველი ავანგარდისტები თავიანთი დასავლელი წინამორბედის, მარინეტის, დარად, აფეტიშებდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და პრესის ფურცლებზე ვრცელ ადგილს უთმობდნენ ტექნოგენური დარგების პროპაგანდას, განსაკუთრებულად კი, კინოხელოვნების აპოლოგიას. ფუტურისტებმა კინო ყველაზე თანამედროვე რევოლუციურ და მასიურ ხელოვნებად, თანაც „პირველ ინტერნაციონალისტად“ აღიარეს და მისი ფუნქციები დაუკავშირდეს იდეოლოგიურ ამოცანებს. მათი რწმენით, ახლად ფეხადგმული კინემატოგრაფი ყველაზე უკეთ გამოხატავდა ავანგარდისტული ესთეტიკის არსს და მით უფრო საქართველოში, სადაც „კინო არ არის დატვირთული წარსულის ტრადიციებით“. ამავე დროს „კინო სინამდვილის კონსტრუქტორია, რომელიც ძლევს დრო-სივრცეს და ხელოვნების ყველა დარგზე უკეთ იღებს უტილიტარიზმს“. ავტორიტეტად ლენინია დასახელებული, რომელიც კინოს ყველა დარგზე მაღლა აყენებდა და იგი ახალი წყობილების ხელშემწყობ საშუალებად მიაჩნდა (ლიტერატურა და სხვა, 1925 :1-90).

კინოპროპაგანდის საინტერესო ნიმუშებია შ. ალხაზიშვილის წერილები: „კინოაპოლოგია“, „თეატრი აბსურდი“, „აქტიორი, აქტიორი, აქტიორი“, სადაც საუბარია კინოხელოვნების ფუნქციებზე, კინოენის გამოყენების შესაძლებლობებზე, კინოსა და თეატრის კონკურენციის პრობლემებზე და კინოს უპირატესობებზე: „კინო არის ცხოვრება.... კინო მოდის როგორც კონსტრუქტორი ცხოვრების... კინო სავსეა შინაგან პოტენციალურ აქტივობით ... კინო არის ცოცხალი კონკრეტობა... კინო არის ყველაფერი..... კინო უფროა ცხოვრება, ვიდრე თვითონ ცხოვრება.... (H_2 SO_4, 1924:45) – წერდა ავტორი და მასებს მოუწოდებდა: „წადით კინოში“. ფუტურისტების რადიკალურად ნეგატიური დამოკიდებულება თეატრისადმი განპირობებული იყო ხელოვნების ამ უძველესი დარგის ნაციონალური ხასიათით, რომელიც ინტერნაციონალური კინემატოგრაფის ფონზე ჩამორჩენილობის სიმბოლოდ აღიქმებოდა: „არავითარი თეატრის კრიზისი არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ დამმარხველ ბიუროს დაპატიჟება... თეატრი არის ლეში. ხელოვნების შუა გზაზე გაშხლართული... ქართულ თეატრს უნდა სამუდამოდ მოეჭრას კუზი“ (H_2 SO_4, 1924:46). შ. ალხაზიშვილი თეატრის გადარჩენის შანსს მხოლოდ მის „კინემატოგრაფიზებაში“ ხედავდა, რაშიც გულისხმობდა

„კინემატოგრაფიული ელემენტების თეატრში დამკვიდრებას და კინოხელოვნების შესაძლებლობათა უფრო ფართო გამოყენებას, კინემატოგრაფის სამოქმედო არენის ზრდას“ (ესაძე, 1992:134).

კინოხელოვნების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და, კერძოდ, დოკუმენტური და მხატვრული ფილმის დაპირისპირება ფართო დისკუსიის საგანი ხდება ჟურნალ „მემარცხენეობის“ ფურცლებზე. გასული საუკუნის 20-იან წლებში რეჟისორთა ახალგაზრდა თაობამ (მ. კალატოზიშვილი, ლ. ესაკია, ს. დოლიძე, ნ. ღოღობერიძე და სხვ.) ქრონიკის ქომაგობა იკისრა და გადაჭრით მოითხოვა სინამდვილის ცხოვრების ჭეშმარიტად აღწერა და ქართული კინოხელოვნების გათავისუფლება „სოციალურ-პრაქტიკული ღირებულებებით დაცლილი გზისგან“; „ყოვლად უმიზნო ეგზოტიკური ზღაპრების“ მაგიერ, ქრონიკის, მეცნიერული ფილმის, ფაქტის ფიქსაციის პრინციპების დამკვიდრება. კინორეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილის აზრით, არსებული რეალობა კინოსთვის კარგ მასალას შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ, ჯერ კიდევ, „ძველი პასეისტური დრომოჭმული ხელოვნება გადამწყვეტ იერიშზე მიდის რევოლუციონურ ხელოვნების წინააღმდეგ“ (მემარცხენეობა, 1928: 2-34).

კონემატოგრაფის ტექნიკურმა და ვიზუალურმა შესაძლებლობებმა დოკუმენტური ფილმების შემქმნელებს საშუალება მისცა იდეოლოგიურ ჭრილში ეჩვენებინათ ახალი ცხოვრების ამსახველი კადრები. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის ჟურნალი „მემარცხენეობა“, სადაც დაბეჭდილია ლეო ესაკიას თვითანგარიში, თუ როგორ მუშაობდა იგი კინოსურათ „სამანის“ შექმნაზე, სადაც მთავარი იდეოლოგიური სიმბოლოა ტრაქტორი, როგორც „კოლექტივიზმის მატარებელი ნივთი“. რეჟისორის თქმით, ტრაქტორი უპირისპირდება სოფლის ძველ ესთეტიკურ ჩვენებას, რომელიც „ჰკლავს მთელ ამ ესთეტიურობას და შეაქვს მასში ინდუსტრიულ-ურბანისტული საგნები. აქედან იშლება ეპიზოდები. ტრაქტორისტების მნიშვნელობა, მისი ბრძოლა ჩარჩების წინააღმდეგ და წითელი არმიის როლი სოფლის მშენებლობაში“ (მემარცხენეობა, 1928: 2:54).

ამავე ნომერშია გამოქვეყნებული სერგეი ტრეტიაკოვის გახმაურებული სტატია „მტერს ნუ დავეხმარებით“, რომელიც სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს და რადიოთიც გადაიცა. წერილში ავტორი მიმართავს საქართველოს სახკინმრეწვის მემარცხენე კინომუშაკებს გამოიყენონ კინემატოგრაფი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მიზნე-

ბით და შექმნან „სააგიტაციო ფირები“, რომლებიც „ნერვებს ახალისებს და აფხიზლებს“ (მემარცხენეობა, 1928:2-55). ავტორი მწვავედ აკრიტიკებს ბურჟუაზიულ კინემატოგრაფს, სადაც მხატვრული ფილმების 90% სიყვარულის ინტრიგას ასახავს და რომელსაც „მიაქვს დღევანდელობის წინააღმდეგობებით აღშფოთებული ტვინი მაყურებლისა ფათერაკების ინტრიგებში, ეგზოტიკურ ქვეყნებში, ფუფუნებაში, ულამაზეს დედალ-მამლების საზოგადოებაში და მისი მიზანია ამოსწოვოს მთლიანად ადამიანი“ (მემარცხენეობა, 1928: 2:56). ს. ტრეტიაკოვი მოუწოდებს ხელისუფლებასა და კინომუშაკებს იბრძოლონ უცხოეთის წარმოებისა და საკუთარ „მხატვრულ მეშტამპეთა“ მიერ დამზადებული „კინოსიროფის“ წინააღმდეგ.

გარდა ხელოვნების ესთეტიზმის თავისებური კვლევისა, თეორიული მსჯელობებისა და კონცეფციების შემოთავაზებისა, ფუტურისტებმა ყურადღება გაამახვილეს ხელოვანის როლზეც, რომელსაც საბჭოთა აღმშენებლობის ორგანიზატორის, კონსტრუქტორის, ინჟინრისა თუ რეჟისორის როლი დააკისრეს და რომელმაც უნდა შეცვალოს ძველი დისკურსიული აზროვნება, რათა შექმნას რევოლუციის შესაბამისი ფსიქიკა. ს. ჩიქოვანის აზრით, რევოლუცია ყოფა-ცხოვრებაში საკმარისი არ არის, საჭიროა რევოლუცია ფსიქიკაში, ანუ „ახალი ფსიხიკის კონსტრუირებაში“ ხელოვნებას უდიდესი ფუნქცია აკისრია; საჭიროა მხოლოდ იმ მუშაკების გაერთიანება, რომლებიც „ნამდვილ მემარცხენე პრინციპებით“ ასრულებენ სოციალურ დაკვეთას, რასაც მათ საბჭოთა საქართველო უყენებს. ეს არის ბრძოლა, რომელიც „ხსნის ტერორის საჭიროებას ბურჟუაზიული ფსიხიკით შექმნილი პოეზიის გასანადგურებლად; ეს არის ბრძოლის მთავარი პროცესი, რომელსაც ფსიხიკის რვოლუციას ვეძახი“ (მემარცხენეობა, 1927: 1-3). ეს ფრაზები ერთგვარი გამეორებაა ფუტურიზმის მამამთავრის – მარინეტის კონცეფციისა, რომელიც დისკურსიული ფსიხიკის დარღვევას ქადაგებდა და ახალი ცნობიერების შექმნას მოითხოვდა.

პრესის ფურცლებზე ახალი ინტელიგენციის შექმნის საკითხიც განიხილებოდა: „ჩვენ ვართ ახალი ინტელიგენციის დაბადების პროცესში, რომელიც გამოვა მშრომელი ადამიანიდან“ (ლიტერატურა და სხვა, 1924: 1-73) – აღნიშნავდა ბ. ჟღენტი წერილში „ახალი ხელოვნების ფაქტები“. მისი აზრით, გასაბჭოების შემდეგ ძველი ხელოვნება სიკვდილის პროცესამდე მივიდა, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფსიხიკის დაშლის შედეგი, ხოლო „შემგუებულ ინტელიგენციას არა

აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საკითხების გარკვევის დროს, რადგან იგი ძალიან შორს დგას იმ ღირებულებების გადაფასებასთან, რომელიც თანამედროვეობამ შექმნა“ (ლიტერატურა და სხვა, 1925: 1-74).

ფუტურისტებს მოგვიანებით ხალხის მასებიც გაახსენდათ და რაც უფრო უახლოვდებოდნენ მემარცხენეობის პრინციპებს, მით უფრო უსვამდნენ ხაზს მასებთან მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობას. თუმცა მათი პირველი სკანდალური დეკლარაციები, გაუგებარი სტატიები და პროზისა თუ პოეზიის ექსცენტრული ნიმუშები ამ ნაწილისთვის სრულიად გაუგებარი იყო. ეს მათაც კარგად ესმოდათ და თავისებურად ცდილობდნენ მის ახსნასაც. როგორც ფუტურიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ექსპერიმენტატორი ნ. ჩაჩავა წერდა, მართალია, ქარხნის მუშა მარქსის „კაპიტალს“ ვერ გაიგებს, მაგრამ მის მსოფლმხედველობას მაინც გამოხატავსო. სწორედ ამიტომ წინ უნდა მიუძღვებოდეს მწერლობა მასებს და ეხმარებოდეს ახალი ცხოვრების შეცნობაში.

მსგავსი იდეოლოგიური დისკურსი და ტერმინოლოგია დამახასიათებელია პროლეტმწერლებისთვისაც. მარქსის, ენგელსის, ლენინის, ტროცკის, ლუნაჩარსკის და სხვა პოლიტიკური ლიდერების სახელებითა და მათი გამონათქვამების ციტირებებით გაჯერებულია როგორც ფუტურისტული, ისე პროლეტარული მწერლობის პერიოდიკა. მიუხედავად მათი იდეური პოზიციების თანხვედრისა, ფუტურისტები მაინც აკრიტიკებდნენ პროლეტმწერლებს კულტურული რევოლუციის პოლიტიკის არასწორი გაგებისათვის, თუმცა აღიარებდნენ მათ „ღრმა რევოლუციურ პოლიტიკურ დამსახურებას“. ავანგარდისტებისთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა პროლეტმწერლების, განსაკუთრებით, პირველი თაობის, ლიტერატურული პრინციპები და მხატვრული გემოვნება; უწუნებდნენ „მდაბიურ ლექსთქმას“ და, უფრო მძაფრად კი, საყვედურობდნენ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას. მათი აზრით, პროლეტმწერლობამ ვერ გაწყვიტა კავშირი ლიტერატუკმლ მემკვიდრეობასთან და მიზნად დაისახა ძველის კრიტიკული ათვისება, რათა „წარსულის ქართული პოეზიის იდეებიც კი ახალი ახსნა-განმარტებით ქართველი პროლეტარიატისათვის გამოსადეგი გახადოს“. (მემარცხენეობა, 1927:1-7). კლასიკური მწერლობის იგნორირებაში ავანგარდიზმს ბადალი არ ჰყავდა და პროლეტმწერლებსაც აჭარბებდნენ ტრადიციული კულტურისადმი ზღვარგადასული შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით. მაგ., პ. ნოზაძის წერილში „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისთვის“ ილია ჭავჭა-

ვაძე და ონორე დე ბალზაკი „გავირთხებულ, გათმებულ და გაწვერულვაშებულ“ მოღვაწეებად არიან მოხსენიებული“ (H_2SO_4, 1924:12). მსგავსი ეპითეტებითა და შეფასებებით ქართული თუ უცხოური ლიტერატურის არაერთი წარმომადგენელია „შემკობილი“.

ფუტურისტები ლიტერატურის ესთეტიზმის საკითხებშიც ედავებოდნენ პროლეტმწერლებს, რომლებიც ახალი ლიტერატურული ფორმების ძიების ნაცვლად „გადადიან ახალი ადამიანის ძიებაზე“, რაც პრინციპულად მცდარია, რადგან „ახალი ადამიანი“ და „ჰარმონიული ადამიანი“ არ არსებობს. იგი უნდა აღმოცენდეს ახალ საზოგადოებაში. მთავარია, არა ახალი ადამიანის ძიება, არამედ მისი აღმოცენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, – აღნიშნავდა ბ. ჟღენტი წერილში „მარცხენა ნაბიჯები“ (დროული, 1925:1-2). იგი პროლეტარ მწერლებს ურჩევდა, რომ არ არის სავალდებულო წერონ მუშების ცხოვრებაზე, პირველ მაისზე და ზაჰესზე და ა.შ., არამედ საჭიროა თანამედროვე ადამიანის გაგების ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა: „მთავარია, მოახდინო რევოლუცია და არა ილაპარაკო ან წერო მასზე. საჭიროა დაშლა გაბატონებული ტრადიციებისა და არა ახალი ქმედითი ფორმების ყალიბობა“ (დროული, 1925:1-2). თუმცა საბჭოთა თემატიკას ვერც ფუტურისტები აცდნენ და პროპაგანდისტული პოეზიის ნიმუშებიც მრავლად იბეჭდებოდა მათი პერიოდიკის ფურცლებზე. მაგ.: ბიძინა აბულაძის ლექსები „საარაკო ბრძოლა წყალდიდობასთან ხაშურში და ლენინაკანში“, „ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის“, სიმონ ჩიქოვანის „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე“, „ახალი ყოფა და ახალი პოეზია“, შალვა ალხაზიშვილის „ბანზაი შანხაი“ და „ლენინიადა“, ვარლამ ჟურულის „პატრიოტიზმის დასასრული“ და სხვ.

20-იანი წლების ბოლოს ფუტურისტების ფორმალისტურმა შემოქმედებამ ნირი იცვალა, რაც ქვეყანაში მიმდინარე კულტურული რევოლუციითა და იდეურ-პოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული. როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლება დიდად არ სწყალობდა ავანგარდისტების ექსპერიმენტულ ხელოვნებას, თუმცა ლოიალურად იყო განწყობილი მათი იდეური პოზიციების გამო. სწორედ ამ ურთიერთობებზე ამახვილებდა ყურადღებას ნ. ჩაჩავა სტატიაში „ახალი ხელოვნების ფაქტები“, სადაც ხაზს უსვამდა ფუტურისტების თანაზიარობას კულტურული რევოლუციის პრინციპებისადმი და კომპარტიას საყვედურობდა არასათანადო დაფასებასა და ხელის შეწყობაში: „სამწუხაროთ, ქართველ კომუნისტ ამხანაგებში არავინ

აღმოჩნდა, რომელიც დაინტერესებული ყოფილიყო ამ ლიტერატურული საკითხებით და ეს სერიოზული დისკუსიის საგნათ გაეხადა (ლიტერატურა და სხვა, 1925: 1-74), (იგულისხმება ფუტურისტული შემოქმედება, ნ.ტ.). ხელისუფლების ამგვარ ფრთხილ და მოზომილ დამოკიდებულებას თავისი მიზეზებიც გააჩნდა. სახელოვნებო წრეების მიმართ ის, ჯერ კიდევ, თვალთვალითა და ე.წ. თანამგზავრი მწერლების გადმობირებით იყო დაკავებული და არტჯგუფების პლურალიზმსაც არ ზღუდავდა. თანაც, ძირითად დასაყრდენს ის ნაკლებ ინტელექტუალურ და მუშურ-გლეხური ცნობიერების პროლეტარულ მწერლობაში ხედავდა, რომელსაც იყენებდა პოლიტიკურად ნაკლებად საიმედო ხელოვნების მოღვაწეების წინააღმდეგაც. თანდათანობით, პოლიტიკური და იდეური პოზიციების გამაგრებასთან ერთად, ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო კულტურული სივრცის კონტროლი და არტჯგუფების „გადარჩევის“ პროცესი დააჩქარა, რამაც ავანგარდისტების პოეტიკაზეც იქონია გავლენა – „H_2 SO_4“ შეცვალა „მემარცხენეობამ“, ამდენად, „ჯგუფი დასცილდა პირველსაფუძვლებს და პროლეტარული მწერლობისკენ გადაიხარა, ე.ი თითქოს უარყო ავანგარდიზმი და სცადა რეალიზმის მიწაზე დაშვება (რუსი ფუტურისტების მსგავსად). შემდეგ ბლოკიც შექმნა პროლეტარულ მწერლებთან“ (სიგუა, 1994: 196). საბოლოოდ, ფუტურისტი მწერლების ნაწილი შეუერთდა საბჭოთა მწერლობის „ერთიან ძმურ ოჯახს“ და კვლავ კომუნისტური იდეოლოგიის აპოლოგეტად დარჩა.

ამრიგად, გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართულ სახელოვნებო სივრცეში ფუტურისტების ხმაურიანი და პოლიტიკურად აჟიტირებული პრეზენტაბელური „შემოჭრა“ და მათი ამბიციური მიზანი, შეექმნათ ახალი წყობილების შესაფერისი ხელოვნება, ვერ განხორციელდა. ეს ლოგიკურიც იყო. მართალია, მათ ჰქონდათ კონკრეტული იდეოლოგიური კრედო, ნოვატორული ხედვები, ინტერპრეტაციის შესაშური უნარიც, მაგრამ რეალობისგან შორს იდგნენ და ექსპერიმენტების რკალს ვერ გაცდნენ, რადგან, მათ „ხელს უშლიდათ ფორმალური პოეტიკის მიჩნევა მხატვრულ-შემოქმედებით პრინციპად და ჯგუფური კარჩაკეტილობა“ (ხერხეულიძე, 2011: 267).

ფუტურისტთა მედიადისკურსი საბჭოთა ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიითა და სახელმწიფო პოლიტიკით იყო ანგაჟირებული და გამოხატავდა დამოკიდებულებას ტრადიციულსა და თანამედროვე ღირებულებათა შორის, ხელოვნების ამოცანებისა და პრინციპებისადმი

სრულიად განსხვავებულ მიდგომებსა და ხედვებს. მათი ექსპერიმენ-ტებითა და ნოვაციებით გაჯერებული ლიტერატურული შემოქმედება თუ პუბლიცისტური ნააზრევი ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა და როგორც „წარსულის არტფაქტი“, საინტერესო მასალას შეიცავს ქართველი ფუტურისტების იდეოლოგიური და მოქალაქეობრივი პოზი-ციებისა და ხელოვნების ორიგინალური ესთეტიკის გასააზრებლად.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროული“, 1925-1926 წწ. №№ 1,2,3.
2. ესაძე ლ. კინოხელოვნების საკითხები ქართულ ფუტურისტულ პერიოდიკაში, სამეცნიერო კრებული: „კინოხელოვნების პრობ-ლემები“. თბ., 1992.
3. კვერენჩხილაძე რ. საქართველოს მწერალთა კავშირი, 1917-1982. თბ., 1983.
4. ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“, 1924-1925 წწ. №№1,2,3.
5. მანიფესტი. საქართველო – ფენიქსი. თბილისი. 1922წ. 6-7 მაისი
6. ჟურნალი „მემარცხენეობა“, 1926-1928 წწ. №№1,2.
7. სიგუა ს. ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში. გამომც. „დიდოსტატი“. თბ., 1994.
8. ჟურნალი H_2SO_4, 1924: №1.
9. ხერხეულიძე გ. ქართველი ფუტურისტები. სამეცნიერო კრე-ბული „.სჯანი”, თბილისი, 2011 .

Nana Talakhadze

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ideological Discourse in Georgian Futuristic Press

Resume

In the 1920s, political and ideological changes in Georgia put Georgian society in front of a new reality. Communist ideology took root in all spheres of material or mental life, among them in the sphere of art, and assisted the formation of new creative groups. Apologia of the Socialist Revolution and propaganda of the Soviet regime became the basis for the creative work of

futurists. Futurists were representatives of avant-garde school, distinguished by eccentricity and originality, for their aesthetic beliefs, which refused historical-cultural heritage and proposed an idea to create anti-art. Futurists were trying to radically renew Georgian culture and via the so-called "Zaumuri" (mis-shapen) language, by violating morphological and syntactic norms, by using technical terminology, texts enriched with graphic schemes, strange and unclear information and theoretical articles were propagandizing Soviet ideology and considered the futurism and constructivism to be the appropriate art forms for Socialist revolution. According to their opinion, art is the same part of ideology and takes such part in general Socialist development, as manufacturing, industry, economy, etc; and an art worker is an organizer and constructor of a new life. In political context, the futurists were examining literary processes, without joining traditional writers or other literary groups and bravely declaring: "There is no other direction in Georgian art which would have a right of dictatorship, except H2 SO". The ideological discourse of futurists was based on the formula: "To destroy in order to build". They believed that state development of the country could not combine aesthetic traditions of the past, just newly created futuristic art is the only thing a motto of which is: "We deny everything that is behind us, since Georgia begins from us".

Theoretical ideas and artistic creation of Georgian avant-gardism were fully displayed in periodic press, founded by them. In 1924-28 futurists edited a newspaper under the title ``Drouli`` and three magazines: "H2SO4, "Literatura da skhva" (Literature and Other) and "Memartskheneoba" (Leftism), which made leftist ideology and communistic development quite popular.

მაია ტორაძე

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ XX საუკუნის 30-იან წლებში

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, რომელიც არსებობის 85 წელს ითვლის, თითქმის მთლიანად აირეკლავს არა მხოლოდ გაზეთის, არამედ უნივერსიტეტის და, შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოს ისტორიასაც.

ამ გაზეთის მაგალითზე დავინტერესდით, რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება უწყებრივ გამოცემაში გასული საუკუნის 30-იან წლებში და როგორ ახდენს ის გავლენას აუდიტორიაზე რეპრესიების მძვინვარების პირობებში; აქვეყნებს თუ არა ახალ ამბებს, რა ტიპის ახალი ამბები ქვეყნდება, რა დატვირთვა აქვს მას საზოგადოების ინფორმირებულობისთვის და რამდენად არის შესამჩნევი გაზეთის შინაარსობრივი მხარის ცვალებადობა რედაქტორების ცვალებადობის ფონზე.

გაზეთმა დაარსებიდან, ჩვენი საკვლევი ეტაპის ჩათვლით (1927 წლიდან 1939 წლამდე), რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკა:

I ეტაპი: 1927 წლიდან 1933 წლამდე – ბოლშევიკური იდეოლოგიის პროპაგანდა;

II ეტაპი: 1933 წლიდან 1938 წლამდე – ანტისაბჭოთა ელემენტების ძიება (არა მხოლოდ უნივერსიტეტში) და პარტიის გადაწყვეტილებების მიტანა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებამდე;

III ეტაპი: 1938-1939 წლები – რეპრესიების შენელება, გაზეთის პოლიტიკის შედარებით შერბილება და უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო დაწესებულების, წარმოჩენა.

სანამ ამ ეტაპებზე გადავალთ და ვნახავთ, რა ტიპის საინფორმაციო პოლიტიკას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტის გაზეთი, მცირე ხნით შევჩერდეთ მის სახელზე.

ცნობილია, რომ 1927 წლიდან 1930 წლამდე უნივერსიტეტის გაზეთი სახელწოდებით „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“, ხელნაწერის სახით გამოდიოდა (არსებობდა დაუზუსტებელი მონაცემი, რომ მისი პირველი რედაქტორი აკაკი შანიძე უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ვერსიის დამადასტურებელი ცნობები არ მოიძებნა და ამჯერად ვეყრდნობით სერგო ჯორბენაძის ცნობას, რომ მისი პირველი რედაქტორი იყო აპოლონ ნუცუბიძე – ეკონომისტი, შემდგომ ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორი (1. 115)).

ხელნაწერი გაზეთის გადამწერი გახლდათ ილია აბულაძე, ხოლო ლოგო ეკუთვნოდა მოსკოველ სტუდენტ საფრონოვს. სწორედ ამ პერიოდის გაზეთის მთავარი ფუნქცია იყო ბოლშევიკური (კომუნისტური) იდეოლოგიის მიტანა სტუდენტებამდე და პროფესორ-მასწავლებლებამდე, თუმცა ჯერ კიდევ არ ჩანდა აგრესიული საბჭოთა პროპაგანდა. იბეჭდებოდა მხოლოდ მოწოდებები და აღწერდა, რა „საამური დრო დადგა“ საბჭოთა მუშის, გლეხის და სტუდენტის ცხოვრებაში. 1927 წელს გამოვიდა ამ გაზეთის პირველი ექვსი, ხოლო 1928 წელს – მომდევნო რვა ნომერი (1.115)

1928 წლის 1 მაისიდან 1930 წლის 7 იანვრამდე გაზეთის ნომრები აღარ იძებნება. თუმცა არქივში შემონახული ნომრების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 21 თვის განმავლობაში გაზეთი არ გამოდიოდა. ამ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა 1930 წლის 7 იანვარს (განახლებული გაზეთის პირველ ნომერში) გამოქვეყნებული საპროგრამო წერილი: „უნივერსიტეტის გაზეთისათვის“.

წერილში საუბარია საუნივერსიტეტო გაზეთის დაარსების (ან განახლების) მნიშვნელობაზე – რა წინაპირობის გამო უნდა გამოსულიყო უნივერსიტეტის ორკვირეული ორგანო. წერილში ნათქვამია: „ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სინამდვილე მჭერმეტყველურად ღაღადებს ასეთი გაზეთის არსებობის აუცილებლობაზე. სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში დღეს უდიდესი გარდატეხა ხდება. უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა დაჭიმოს მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია და შეასრულოს ის კონკრეტული ამოცანები, რომელიც მას დააკისრა სოციალისტური მშენებლობის ხანამ. განსაკუთრებულ დაკვრითი ზომებით ქირურგიული ულმობელი საშუალებით ჩვენ უნდა შევასრულოთ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა, მოვსპოთ დღევანდელი კულტურული მაკრატელი, როდესაც უმაღლესი სასწავლებლები

დიდი მანძილით ჩამორჩა სოც. მშენებლობის მეურნეობაში და ვერ დგას ამ უკანასკნელ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე“.

ავტორი – სარედაქციო კოლეგიის წევრი, უნივერსიტეტის ორკვირეულ გაზეთს მოქმედების კონკრეტულ გეგმას უსახავს და წერს: „ჩვენმა გაზეთმა უნდა შეასრულოს უდიდესი საქმე. მან უნდა დაამუშაოს ყველა საკითხი, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის გარდაქმნას ახალი კადრებისა და სპეცების ფაბრიკად“.

ამავე წერილში არის მიმართვა პროფესორების, დოცენტების, ლექტორების, მასწავლებლების, სტუდენტებისადმი, რომ სარედაქციო კოლეგიას მიაწოდოს მასალა, რომელიც უნივერსიტეტის სინამდვილეს ასახავს.

ამ წერილით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ 30-იანი წლების დასაწყისში უნივერსიტეტში გაზეთის გამოცემის აუცილებლობა დადგა, თუმცა მას უკვე ახალი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. შესაბამისად, ცვლილება უნდა მომხდარიყო მის სახელწოდებაშიც.

1930 წლიდან 1939 წლამდე გაზეთმა ორჯერ გამოიცვალა სახელი. 1930 წლის 13 თებერვლიდან ის გამოდის სახელწოდებით „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“ (ზემოთ აღნიშნული სარედაქციო წერილის თანახმად, ის იმავე წლის 13 თებერვალს გამოიცა და ეს იყო პირველი ნაბეჭდი გაზეთი უნივერსიტეტში. ეს სახელწოდება სულ 2 ნომერს შემორჩა).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმის“ მეორე ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ორკვირიან გამოცემას აანონსებდა, 13 თებერვლიდან მოყოლებული, მხოლოდ 22 აპრილს, თითქმის ორთვენახევრის შემდეგ, მოხერხდა ამ ნომრის გამოცემა. სამაგიეროდ, მას პირველი ნომრიდან გამოარჩევს ერთი რამ – შეცვლილია გამომცემლების ჩამონათვალი – დამატებულია კომკავშირი. გამომცემელთა ნუსხა საბოლოოდ ასეა ფორმულირებული: „ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივისა, კომკავშირისა, გამგეობისა, ადგილკომისა და სტ. აღმას. ბიუროს ორკვირეული ორგანო“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორთვენახევრის განმავლობაში უნივერსიტეტში გარკვეული ქვედინებების და გადაჯგუფებების ხანა იდგა და გაზეთისთვის არავის ეცალა.

ისტორიულად ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში (და, ცხადია, საბჭოთა საქართველოშიც) ამ დროიდან იწყება რეპრესიების ახალი

ტალღა და გაზეთსაც ამ პოლიტიკისთვის უნდა ეპასუხა. მაშინ ხშირი იყო დასმენების საფუძველზე ადამიანთა (მათ შორის, საბჭოთა წყობილების თავგამოდებულ მომხრეთა) დაჭერები, გათავისუფლებები, იმართებოდა ამხანაგური სასამართლოები, გაისმოდა ბრალდებები, იწყებოდა ამ ბრალდებების „შესწავლა“ და ამის შემდეგ ხდებოდა თითქოს „უკეთეს კომუნისტთა“ (უფრო ერთგულთა და ბოლშევიკური წყობილების თავგადაკლულ მომხრეთა) თანამდებობებზე დანიშვნა. სავარაუდოდ, ამ ორთვენახევრის განმავლობაში სწორედ ასეთი პროცესი მიმდინარეობდა უნივერსიტეტში, რაც მე-2 ნომერში გამოქვეყნებულ მასალებსაც ეტყობა. არგუმენტად მოვიყვანთ წერილს: „ჩვენი ამოცანები“ (22/04, 1930 წ., №2, გვ.1), რომელშიც ზემოთ გამოთქმული ვარაუდი მართლდება. მასში ნათქვამია, რომ პარტიულ და სტუდენტთა პროფორგანიზაციაში აღმოჩენილია „უმსგავსოებანი“, რაც ამ ორგანიზაციის სუსტ მუშაობაზე მეტყველებს. რეზოლუციები, რომელიც ამავე გაზეთში ქვეყნდება, მათი აზრით, ამ შეცდომებზე მიუთითებს.

წერილს ხელს აწერს X. იგი მკაცრად აფასებს იმ ადამიანების მუშაობას, რომლებიც გაზეთ „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმის“ პირველ ნომერში სხვების „გადამხრელობასა“ და „მტრულ ელემენტობაზე“ საუბრობენ. როგორც ამ წერილში ჩანს, ახლა ისინი აღმოჩნდნენ სხვების კრიტიკის ობიექტები. „ახლები“ თითქოს თავს იმართლებენ: „შეცდომების არცნობა ნიშნავდა და ნიშნავს კიდევ ახალი ნიადაგის შექმნას ახალი შეცდომებისათვის“.

მაინც რა შეცდომები შეიძლებოდა ყოფილიყო უნივერსიტეტის წიაღში? წერილში ნათქვამია: „აღმასბიუროს მომუშავეებმა ცუდათ მოიხმარენ და გაიგენ ეს დიდი ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ერთ შეცდომათანი ისიც იყო და არის, რომ „Доверяли но не проверяли“... წერილში ნათქვამია: „გადამჭრელი ბრძოლა, ანტი-საბჭოთა ელემენტების რეაქციონური პროფესურისა და სტუდენტთა ნაწილის წინააღმდეგ იყო და დარჩება ჩვენ ამოცანად. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ დიდი ბრძოლა გადაიტანა ტროცკისტებთან, უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ვხვდებით ამ კონტრ-რევოლუციის ნამსხვრევებს, აქა-იქ კიდევ შევხვდებით მათ ნამდვილ ტროცკისტულ სულისკვეთებით გაჟღენთილ შეკითხვებში, თუმცა სხვა ფორმაში, ხანდახან თვითკრიტიკის ფორმაშიც კი“.

გაზეთში ჩანს, რომ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა იყო – მასობრივად ჩაებათ ახალგაზრდობა პარტიულ და კომკავშირულ

საქმიანობაში და აღეზარდათ ისინი, როგორც „წითელი კადრები“ (მოგვიანებით გაზეთის შეცვლილი სახელწოდება „ბოლშევიკური კადრებისათვის“ სწორედ ამას მიანიშნებს). დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ 1930 წლის 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი მუშაობის მიღწევები და დეფექტები“ (7/01; 1930წ. №6, გვ. 3), რომელსაც უნივერსიტეტის აღმას. ბიუროს ხელმძღვანელი ვინმე ს. კიკაბიძე აწერს ხელს. წერილი ზუსტად გამოხატავს მაშინდელი ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მოთხოვნათა აგრესიულობას და მიანიშნებს რეპრესიების დაწყების პროცესზე, რომელმაც შემდეგ ათწლეულში ქვეყნის ინტელიგენციის დიდი ნაწილის ლიკვიდაცია (ან საზოგადოებრივი ცხოვრებისგან ჩამოშორება) გამოიწვია. წერილში ნათქვამია, რომ „ისტორიაში ჯერ არგაგონილი სამრეწველო და სამეურნეო ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად საჭიროა უამრავი წითელი კადრები, როგორც თეორეტიულ-მეცნიერულ, ისე პრაქტიკულ და კულტურულ მუშაობის ფრონტზე სამუშაოდ“. ავტორის აზრით, ამისთვის კონკრეტული გეგმები უნდა შესრულდეს, კერძოდ: „1) უნივერსიტეტის გაწმენდა პოლიტიკურად არა საიმედო ელემენტებისაგან და 2) პროლეტარული სტუდენტობის მატერიალურად დაკმაყოფილება“.

ამ წერილის მთავარი პათოსია იმის ჩვენება, თუ როგორ ებრძვის უნივერსიტეტის ბოლშევიკური დირექცია „არასაიმედო ელემენტებს“, მათ შორის სტუდენტებს და ლექტორებს. წერის მანერა ზუსტად ასახავს ბოლშევიკურ სულისკვეთებას: „მიმდინარე სამოსწავლო წელს სტუდენტთა ორგანიზაციამ შეძლო უნივერსიტეტიდან გაეძევებინა ორასამდე შავსიელი სტუდენტი. ამით არ დამთავრებულა უნივერსიტეტის წმენდა. ეს დასაწყისი იყო, რამაც ნაწილობრივ განტვირთა უნივერსიტეტი მუშათა კლასისათვის მიუღებელი ელემენტებისაგან, მთავარი ნაწილი კი ისევ უნივერსიტეტის კედლებშია მოკალათებული, რომელნიც თანდათან უნდა იქნან მეცნიერებისა და კულტურის კერიდან გაწმენდილი“. ცხადია, წერილში არაფერია ნათქვამი, რა ბედი ეწია ორასამდე „შავსიელს“, მაგრამ, სავარაუდოდ, მათი დიდი ნაწილი რეპრესიების ტალღაში მოექცეოდა.

ანალოგიური „განაჩენი“ გამოაქვს ს. კიკაბიძეს ლექტორთა ნაწილისთვის. ის მათ ძველი დროის გადმონაშთებს უწოდებს და ვარაუდს გამოთქვამს, რომ ახალი სახელმწიფოსთვის საჭირო კადრებს ისინი ვერ აღზრდიან: „პედაგოგიური პერსონალის ერთი ნაწილი განწყობი-

ლია ჩვენი ხელისუფლების სასარგებლოდ. მეორე გაჩერებულია, ესე იგი აწარმოებს „არც იქით და არც აქეთობი“-ს პოლიტიკას. ხშირად მათ შორის ზოგიერთი კიდევაც ქანაობს, ფიქრობს ერთი ანდაზისა არ იყოს, „სადაც კვამლი მაღალიო, – მეც იმის მაყარიო“ და მესამე ნაწილი კი ცნობილი გრიგოლ წერეთლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის და სხვ. შემადგენლობით არაფერს აკეთებენ გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას ზიანი მიაყენოს... იბადება კითხვა: ასეთი წერეთლები და ანდრონიკაშვილები შეასრულებენ თუ არა ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს ახალი კადრების მომზადების საკითხში? რა თქმა უნდა, არა და მრავალჯერ არა. აქედან დასკვნა: – ის ხალხი რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის ცამეტი წლის განმავლობაში ვერ შეეგუა საბჭოთა წყობილებას და კერძოთ საბჭოთა უნივერსიტეტს, მიუხედავათ თავიანთი მეცნიერული ცენზისა და საჭიროებისა გაწმენდილ უნდა იქნენ უნივერსიტეტიდან“.

ეს პათოსი წითელ ზოლად გასდევს 30-იანი წლების უნივერსიტეტის გაზეთს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში გაზეთში იბეჭდება წერილები სტუდენტთა სოციალური მდგომარეობისა და უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, მკვეთრი ხაზი, რაც ყველაზე მეტად იგრძნობა უნივერსიტეტის გაზეთში, სწორედ ესაა – აგრესიული საბჭოთა პოლიტიკა და დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც არ ჰგავდა საბჭოთა მასას.

გაზეთის გამოცემა 1933 წლის 24 ოქტომბერს კვლავ განახლდა სახელწოდებით „ბოლშევიკური კადრებისათვის“. თავიდან იწყება მისი ნუმერაციაც.

საბჭოთა ხელისუფლების და მასთან ერთად გაზეთის მცდელობას – შეექმნათ სურათი, რომ საბჭოთა სტუდენტი და პროფესორი ბედნიერია, შედეგები მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მრავლად იყვნენ ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები, თავისუფალი აზრის და სიტყვის ქომაგნი, ხელისუფლებამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოახერხა მათი ნამდვილი გრძნობების და აზრების მიმალვა, მათი გამოყენება საკუთარი იდეოლოგიის ტირაჟირებისა ახალგაზრდების კომუნისტური სულისკვეთებით მოწამვლისათვის.

სწორედ ამგვარი მაგალითია მიმართვა იოსებ სტალინისადმი, რომელიც 1936 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნდა. ტექსტი ამ პერიოდის მიმართვების მსგავსია. მიმართვაში პროფესორები მოითხოვენ ხალ-

ხის მტრების, „ზინოვიევურ-ტროცკისტული ბანდის“ განადგურებას და მთელი სისასტიკით დასჯას.

„ხალხთა ბელადს – დიდ სტალინს! ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა თავის მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებას გიცხადებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ!.. ჩვენო მამავ და საყვარელო ბელადო!“ – ასე მიმართავდნენ რეპრესიების ავტორს და სულისჩამდგმელს ქართული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლები, მათ შორის: ივ. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. თვალჭრელიძე, გ. გეხტმანი, ვ. ჟღენტი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, რ. ნიკოლაძე, დ. უზნაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, ი. აბულაძე, ა. ნათიშვილი, ვ. თავზიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ზანდუკელი, გ. ნანეიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. წერეთელი, ს. დანელია, კ. ბაქრაძე, ლ. მელიქსედ-ბეგი, ა. ბარამიძე, ნ. კეცხოველი და სხვები. სულ 51 პროფესორი და 61 დოცენტი („ბოლშევიკური კადრებისათვის“, 8/09; 1933 წელი, №7 (76).

გაზეთში ინტენსიურად იბეჭდებოდა მასალები კომუნისტური პარტიის ყრილობების მიმდინარეობის, მიღებული გადაწყვეტილებების და „მათი ცხოვრებაში გატარების“ თაობაზე. ამ ტიპის მასალების გამოქვეყნება უნივერსიტეტის გაზეთში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, თუ გაზეთი მისი დაარსების პირველ წლებში და 30-იანი წლების დასაწყისში, ასე თუ ისე, წერდა სასწავლო პროცესზე, მეცნიერებსა და სტუდენტებზე, 1936 წლიდან ამგვარი მასალები მინიმუმამდე მცირდება. მათ ადგილს იკავებს პოლიტიკური პროცესების გაშუქება და რეპრესიებით დამფრთხალი ადამიანების მცდელობა – როგორმე სხვებისკენ მიმართონ ბოლშევიკების ყურადღება, რისთვისაც ძალიან ადვილად „არიგებენ“ „ხალხის მტრის“, „მოღალატისა“ და „არასაიმედო ელემენტის“ იარლიყებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, უნივერსიტეტის გაზეთი, როგორც პარტიული ორგანოების ტრიბუნა, დიდ როლს თამაშობდა იმ ადამიანების სიის გაზრდაში, რომლებიც 30-იანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

ეს ტალღა შედარებით მცირდება 1938 წლიდან, მაგრამ პარტიის იდეოლოგიური მსახურება გაზეთის დანიშნულებად მაინც რჩება. გაზეთი მუდმივად ეხმაურება ყველა ყრილობას და იბეჭდება კომუნისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილები – როგორ ატარებენ ცხოვრებაში ცენტრალური კომიტეტის ყრილობათა გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად აღნიშნული პოლიტიკისა, 30-იანი წლების გაზეთი გარკვეულ ადგილს უთმობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისათვის გამოთქმულ მოსაზრებებს.

ამის შესახებ წერდნენ, მაგალითად, ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ხუნდაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე და სხვები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1935 წლის 15 სექტემბრის ნომერი, რომელშიც პირველ გვერდზე იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში“ (№14, გვ.1).

ამ წერილით ირკვევა, რომ 1935 წელი უნივერსიტეტში დიდი გარდატეხის წელია; რომ გარემონტდა უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები, დალაგდა სასწავლო კორპუსები და შეიძინეს ახალი ინვენტარი, რასაც მეცნიერები და სტუდენტები მიესალმებიან.

აკაკი შანიძე ამ წერილში აღწერს, რა გაკეთდა 1935 ზაფხულზე უნივერსიტეტში: „აუდიტორიების შეკეთება, მათი გადაჯგუფება ფაკულტეტების მიხედვით, მთავარი კორპუსის გამოყოფა უმთავრესად ლექციების, მეორისა კი უმთავრესად ინსტიტუციებისათვის, მესამისა – სამხედრო მეცადინეობის და სტუდენტთა საცხოვრებლისათვის, სპეციალური მკვიდრი მერხების დამზადება მსმენელთათვის (ნაცვლად უბრალო მაგიდებისა და სკამებისა, რომლებიც ძვირადაც ჯდებოდა და დიდ ხმაურობასაც ქმნიდა აუდიტორიაში, ელექტრონის საათების შეძენა, საპროფესოროში ტელეფონის დადგმა, სტუდენტთათვის პალტოებისა და კალოშების გასახდელი ოთახის მოწყობა, ღონისძიება მთავარი კორპუსის გათბობის მთელი სისტემის შეცვლისათვის, სამკითხველოს მოწყობა, პროფესორთა სტუდენტთათვის მდგომარეობის გაუმჯობესება (ფეხის ადგილის საკითხი) და სხვადასხვა წვრილმანიცა და მსხვილმანიც, უთუოდ დიდი მიღწევაა უნივერსიტეტში სწავლების ნორმალურ მდგომარეობის დასაყენებლად“ – წერს მეცნიერი.

გარდა ამისა, 30-იანი წლების გაზეთებში ხშირად იბეჭდება მასალები სასწავლო კურსების დახვეწისა და ფაკულტეტების რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. ამ მიმართულებით ხშირად თანამშრომლობენ რედაქციასთან კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვა მეცნიერები.

1930 წლის 22 აპრილს იბეჭდება კორნელი კეკელიძის წერილი „პედაგოგიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია, რომელშიც იგი ითხოვს „წმინდა მეცნიერული მომზადების გამოყოფას პედაგოგიურიდან“. მისი აზრით, ამ გზით თითოეულს ენიჭება „დამთავრებული სახე და დამოუკიდებელი არე განვითარებისა“.

ამავე პერიოდში ხშირად იბეჭდება წერილები სასწავლო პროცესისთვის ხელშეწყობის მოთხოვნით. 1935 წლის 2 აპრილს დაბეჭდილ წერილში „უპასუხისმგებლობის იშვიათი ნიმუში“, ნათქვამია: „რუსული ენა ცხრილის თანახმად უნდა იკითხებოდენ პირველ დღეს 3 – 5 საათამდე, მაგრამ 3 საათზე სტუდენტებს უთავდებათ ფსიქოლოგიის ლექცია (კამოს ქუჩაზე), ხოლო იმავ დროს 3 საათიდან ლექცია იწყება უნივერსიტეტის მეორე კორპუსში“. წერილის ავტორი ითხოვს, მოგვარდეს ცხრილები ისე, რომ ამგვარი შეუთანხმებლობა აღარ არსებობდეს.

გაზეთი ხშირად ბეჭდავს პროფესორთა მოსაზრებებს სხვადასხვა საგნის უკეთ სწავლებისათვის. მაგალითად, 1935 წლის 31 ოქტომბრის ნომერში იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „ქართული ენის კულტურისათვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ ახალგაზრდობა ვერ ფლობს მშობლიურ ენას და სასწრაფოდ უნდა იქნეს ზომები მიღებული ენის სრულყოფილად შესწავლისათვის...

„გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენმა სტუდენტობამ სუსტად იცის ქართ. ენა, დიდი უმეტესობა ვერ ახერხებს აზრის გამართვას, წინადადების ერთი მეორეზე მოხდენილად გადაბმას, სასვენი ნიშნების თავთავის ადგილას ხმარებას და სხვ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველ დარგის სტუდენტს მტკიცედ უნდა ახსოვდეს რომ ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების სათანადო შეთვისება და მისი გამოყენება ცხოვრებაში“ – წერს იგი. ასევე დიდ ყურადღებას იჩენენ ამ პერიოდში უცხო ენის სწავლების მიმართ.

გაზეთში ეტაპობრივად მახვილდება ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებაზე. გვაწვდიან ცნობებს, რომ მნიშვნელოვნად ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების, სამეცნიერო საბჭოების, ფაკულტეტების დეკანების და კათედრების გამგეების როლი სასწავლო-მეთოდური მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის, კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

თბილისის უნივერსიტეტის გაზეთი 30-იან წლებში გამოდის ძირითადად A3 ფორმატით (შიგადაშიგ გამოერევა A 2 ფორმატიც).

ცალკე უნდა აღინიშნოს გაზეთის რედაქტორების შესახებ. როგორც ცნობილია, 1928 წლიდან 1940 წლამდე უნივერსიტეტმა 8 რექტორი გამოიცვალა, მათაგან 6 – თედო ღლონტი, მალაქია ტოროშელიძე, ივანე ვაშაყმაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, ლევან აღნიაშვილი, კარლო ორაგველიძე, საბჭოთა წყობილების მეხოტბეობის მიუხედავად, დახვრიტეს. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რამდენი რედაქტორი გამოიცვალა უნივერსიტეტის გაზეთმა მთლიანად საკვლევ პერიოდში, რადგან მას 1936 წლის 20 ივნისამდე კონკრეტული ხელმომწერი არ ჰყავს (მას ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია, თუმცა, ს. ჯორბენაძის კვლევის თანახმად, 1933 წელს ერთი რედაქტორის გვარი – ს. მინდაძე, ცნობილია (1. 115)). 1936 წლიდან 1938 წლამდე (ორი წლის განმავლობაში) გაზეთს სხვადასხვა დროს 5 რედაქტორი აწერს ხელს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ არამყარ გარემოს, რაც უნივერსიტეტში სუფევდა.

პირველი პ/მგ. რედაქტორი, რომლის ხელმოწერაც გაჩნდა გაზეთზე, არის ს. გეგენავა, რომელიც ამ პოსტზე 5 თვის შემდგ, ამავე წლის 1 ოქტომბერს შეცვალა პ. ხობუამ. დიდხანს არც ამ უკანასკნელს უწევს თანამდებობაზე მუშაობა, 7 თვის შემდეგ ის იცვლება და 1937 წლის აპრილიდან გაზეთს ხელს აწერს ვ. მ. ცინცაძე.

სულ რაღაც 6 თვეში, 1937 წლის 25 სექტემბერს, როცა გაზეთს უკვე სხვა რედაქტორი – ი. შელეგია აწერს ხელს, იბეჭდება წერილი „ჩვენი გაზეთი“, რომელიც არის ნიმუში იმისა, თუ როგორ მუშაობდა საბჭოთა რეპრესიული მანქანა. წერილს ხელმომწერი არ ჰყავს. მასში ნათქვამია, რომ „ბოლშევიკურ კადრებში“ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ამსახველი პუბლიკაციები საერთოდ არ იბეჭდებოდა და თუ იბეჭდებოდა, კრიტიკის ავტორი ზეწოლის ქვეშ ექცეოდა. წერილი იწყება ამ პერიოდის გაზეთისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიით: „სამგზის წყეულმა და საზიზღარმა ფაშიზმის აგენტმა, აწ გამომჟღავნებულმა და ნიღაბჩამოგლეჯილმა ხალხის მტრებმა ხობუამ, ორაგველიძემ, შ. ცინცაძემ, გ, ჯანელიძემ და სხვებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შენიღბულად მოქმედებდნენ უნივერსიტეტის ყველა უბანზე, მოხდენილად გამოიყენეს ჩვენი გაზეთი თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებისათვის“. მასალის ბოლოს ნათქვამია, რომ „მავნებელთა და

ცოფიან ძაღლთა ბუდე განადგურებულია და უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს გაზეთის რეაბილიტირება“.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. შელეგიას რედაქტორობის დროს გაზეთში ჩნდება მართლაც შემზარავი სათაურები, როგორიცაა: „სიკვდილი ცოფიან ქოფაკებს“, „ხალხის მტერი ეკონომიკის კათედრაში“, „დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს“, „ხალხის უბოროტესი მტრები გასრესილნი არიან“ და სხვა...

როგორც არქივიდან ჩანს, არც ი. შელეგიას დაუფასდა კომუნისტების მსახური, 1938 წლის 10 თებერვლის გაზეთს უკვე ხელს აწერს გ. გელბახიანი, რომლის რედაქტორობის დროსაც სარედაქციო პოლიტიკა შედარებით შეცვლილია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთის ტირაჟი 1936 წლამდე არის 500 ცალი, ხოლო 1935 წლიდან, როცა რეპრესიები მთელი ძალით მოქმედებს და საზოგადოების დაშინება უკვე სახელმწიფო პოლიტიკაა, უნივერსიტეტის გაზეთის ტირაჟი 4000-მდე იზრდება, რაც, ვფიქრობ, საგულისხმო მინიშნებაა.

გაზეთი იბეჭდება უნივერსიტეტის სტამბაში, გამოდის ისევ A3 ფორმატის (გარკვეული გამონაკლისების სახით გვხვდება ზოგჯერ A2 ფორმატიც). არ აქვს რუბრიკები, თუ არ ჩავთვლით ლოზუნგებს, რომელიც თითქმის ყველა გაზეთს გასდევს თან და სწორედ ეს ლოზუნგები ასრულებენ რუბრიკების მოვალეობას.

როგორც არქივი მიანიშნებს, სულ საკვლევ პერიოდში გამოსულია გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ 158 ნომერი.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხოთ პუბლიკაციებს, რომელიც 30-იანი წლების საბჭოთა გაზეთებისთვის იყო დამახასიათებელი. ძირითადად იბეჭდება ე.წ. გაფართოებული ინფორმაციული შენიშვნები და ანგარიშები, თუმცა აქა-იქ გამოერევა ფელეტონები და რეპლიკებიც. ცხადია, აქ საუბარი არ შეიძლება იყოს ბალანსზე, მიუკერძოებლობასა და სხვა თანამედროვე ჟურნალისტურ მოთხოვნაზე, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგი გარკვეულ შთაბეჭდილებას შექმნის, რა დოზით მიეწოდებოდა იდეოლოგიზებული მასალა აუდიტორიას და რა ადგილი ეჭირა ინფორმირებას გაზეთში. კვლევისთვის ავიღეთ 1935 წელი, როცა გაზეთი მეტ-ნაკლებად სისტემატურად გამოდიოდა. სულ ამ წელს გამოვიდა 23 ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა საშუალოდ (მეტ-ნაკლები სიზუსტით) 380 საგაზეთო წერილი, რომელთა შინაარსობრივი კვლევაც გვაძლევს ზუსტ სურათს – რა მიზანს ემ-

სახურებოდა საბჭოთა უწყებრივი გაზეთი. კერძოდ: გამოქვეყნებული მასალებიდან: პარტიული იდეოლოგიის პროპაგანდას ემსახურებოდა 213 მასალა; სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას – 98 მასალა. რეპლიკა 37, ფელეტონი 10-მდე, დანარჩენია რეიდის მასალები და ნეკროლოგები (იხ. დიაგრ.1).



დიაგრამა 1

იდეოლოგიზებულ მასალებში იგულისხმება წერილები სათაურებით – „უფრო მაღლა ავწიოთ კომკავშირელთა სწავლების საკითხი“, „ოპორტუნისტული დაჯგუფებები პარტიაში და მასთან ბრძოლა“, „კულტურულ-მასობრივი მუშაობა მივიწყებულია“ და სხვ.; რეპლიკებში: “რატომ გაწითლდა პოლიევქტო?“, აი, ვინ არღვევს წესრიგს“, “პურის წერტის მუშაობა გამოსასწორებელია“, “მოვითხოვთ ყურადღებას“, “მეტი ყურადღება პროლეტარულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს“ და ა.შ

რაც შეეხება გაზეთის მთავარ ფუნქციას – ინფორმირებას, უნივერსიტეტის გაზეთში ახალი ამბები გაბნეულია პუბლიკაციებში და სტანდარტული ფორმით იშვიათად გვხვდება, თუმცა რა ფორმატი აქვს მაშინდელ ახალ ამბავს და როგორ ემსახურება ის ასევე საბჭოთა პროპაგანდას, წარმოდგენილ ერთ მაგალითშიც ჩანს:

1936 წლის 22 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა მასალა სათაურით: „საზიზღარი ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციურ ტე-

რორისტული ბანდისგან უნდა გაიწმინდოს საბჭოთა ქვეყანა“ (22/08; 1936წ; №16 (75), რომელიც ეხება უნივერსიტეტში გამართულ კრებას: „გუშინ, 21 აგვისტოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა გაერთიანებულმა კრებამ განიხილა ცნობა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ტერორისტულ ბანდის აღმოჩენისა და სასამართლოს საბრალდებულო დასკვნა.

კრება გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა კ. ორაგველიძემ. მოხსენება გააკეთა პრორექტორმა სასწავლო ნაწილში ამხ. გ. ჯანელიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პრ. გ. ახვლედიანი, ამხ. მეგრელიძე, სტუდ. ბუბუტეიშვილი, ამხ. ბოცვაძე, უნივერსიტეტის სტაბის მუშა არუთინოვი და სხვ. გამოსულთა სიტყვები გამსჭვალული იყო სიძულვილით პარტიისა და ხალხის მტრებისადმი. ისინი მოითხოვდნენ საზიზღარ მკვლელთა, მუშათა კლასის მუხანათ გამცემელთა სასტიკად დასჯას.

„თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ. „მეტი სიფხიზლე, მეტი მზრუნველობა და ყურადღება ჩვენი ბელადის დიდი სტალინისა და მის თანამებრძოლისადმი“ – აი, რას ითხოვდნენ გამოსული ამხანაგები.

პროფესორთა და სხვა სამეცნიერო მუშაკთა ყველა გამოსვლა გაჟღენთილი იყო დიდი გულთბილობითა და სიყვარულით პარტიისა და და მთავრობის ბელადებისადმი. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიის გარშემო, ჩვენი დიდი მშობლიური სტალინის გარშემო.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ისინი ერთხმად მოითხოვენ ხალხის მტრების, სამშობლოს მოღალატეთა სასტიკად დასჯას“ – ნათქვამია წერილში.

* * *

1938 წლიდან იწყება დათბობის პოლიტიკა და ეს გაზეთსაც ეტყობა. მაგალითად მოვიყვანთ 1939 წელს გამოცემული გაზეთის ერთ ნომერში (7/05; 1939 წ; №16 (158)) დაბეჭდილ მასალებს, რომელიც გარკვეულად ქმნის წარმოდგენას უნივერსიტეტში და, შესაბამისად, სახელმწიფოში შეცვლილი პოლიტიკის შესახებ. ცხადია, კომუნისტური პროპაგანდა ისევ მძლავრობს, თუმცა უკვე აღარ გვხვდება ე.წ. „ხალხის მტრების“ მხილება და გაზეთში მეტი ადგილი ეთმობა სასწავლო პროცესს და სტუდენტს. მაგალითისთვის რამდენიმე ერთ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციების სათაურს დავასახელებ: “წარმატებით

ვხვდებით დიად დღესასწაულს“, „ქართული ბოლშევიკური გაზეთები“. „კარგი მუშაობის შედეგად“, “მოწინავე მეცნიერ მუშაკები“, „სამხედრო საქმე და ფიზკულტურა“ და სხვა...

1939 წლის 1 მაისს გაზეთის ბოლო გვერდზე გაჩნდა მინაწერი, რომ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ 1939 წლის 7 ნოემბრიდან წყვეტდა გამოსვლას. უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემა ამის შემდეგ მხოლოდ 1952 წელს, ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში აღდგა. ამჯერად სახელწოდებით „ახალგაზრდა სტალინელი“, რომლის მოწინავე წერილში მითითებულია, რომ ისინი არ მიიჩნევენ თავს 30-იანი წლების უნივერსიტეტის გაზეთის მემკვიდრედ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: მიუხედავად გაზეთში გამოქვეყნებული მასალებისა, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების, სასწავლო გარემოს, ფაკულტეტების მოწყობის და სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის ანალიზს, გაზეთ „ბოლშევიკური კადრებისთვის“ სრულად არ შეესაბამებოდა საუნივერსიტეტო გაზეთის ფორმატს. ის მაინც რჩებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების რუპორად და პარტიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის მარჯვე საშუალებად.

გაზეთ „ბოლშევიკურ კადრებისთვის“ გამოქვეყნებულ ახალ ამბებში ვხვდებით იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ ფაქტებით მანიპულირების იშვიათ ნიმუშებს.

გაზეთი, როგორც „კოლექტიური ორგანიზატორი და კოლექტიური პროპაგანდისტი“, გამოყენებული იყო რეპრესიების საჭიროების გამართლებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ ტიპური საბჭოთა გაზეთია, უნივერსიტეტის რექტორების და გაზეთის რედაქტორების ცვალებადობა პირდაპირ გავლენას ახდენდა სარედაქციო პოლიტიკის შეცვლაზე.

1933-36 წლების გაზეთები უნივერსიტეტის გარდაქმნის, სასწავლო გარემოს გაუმჯობესების, საბჭოთა კონსტიტუციის მიღებისათვის სამზადისზე ამახვილებს ყურადღებას.

1936-37 წლებში გაზეთში „ბოლშევიკური კადრებისთვის“ აშკარად იგრძნობა ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკა, რასაც ადასტურებს სტატიებში ასახული „ხალხის მტრების“ ძებნა უნივერსიტეტში.

1938-1939 წლებში გაზეთში შესამჩნევია აგრესიის ტალღის შესუსტება.

გაზეთი მთლიანად ასახავდა არა უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა, არამედ რედკოლეგიისა და რედაქტორების დამოკიდებულებას მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი.

ლიტერატურა:

1. ს.ჯორბენაძე. „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; თბ.; 1988 წ.
2. გაზეთი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ – 1927-1928 წწ.
3. გაზეთი „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“ – 1930 წ. 1-2.
4. გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ – 1933-1939 წწ.

Maia Toradze

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisis State University

The newspaper “Tbilisi University” in the 1930s

Resume

The media of the 1930s was studied fundamentally in terms of its contents, though there is lack of materials connected with local newspapers in the researches which have been published so far.The materials which show the real picture of the mechanism of how Stalinist repressions worked are absent.

The newspaper under investigation is “Tbilisi University” which recently celebrated its 85 th anniversary. In the 1930s, it was published under the name “Bolshevikuri kadrebisatvis” (“For the Bolshevik personnel”) characteristic of the Communist regime of those days .

The main goal of our research was to find out what the main role of the newspaper was in the propaganda of the Communist ideology; what journalistic methods and means were used in terms of educating mass audience; what kind of newspaper materials were published and how the type of journalism was transformed.

According to the research, we can conclude that:

1) In spite of the materials published in the newspaper which referred to the University programs, studying environment, the organization of the faculties and the analysis of the students' social conditions, "Bolshevikuri kadrebisatvis" was not relevant to the format of the University newspaper. It still stayed as a means of conveying the ideas and decisions of the official authorities.

2) The newspaper as a "mass organizer and mass propagandist" (this was a Leninist formula of media) was used to justify the necessity of political repressions.

3) The fact that "Bolshevikuri kadrebisatvis" is a typical soviet newspaper is revealed by the trend that a frequent change of the University rectors and the editors of the newspaper (6 rectors and 6 editors in the the 1930s) directly influenced its publishing policy: the newspaper was dedicated to the implementation of the decisions of the soviet authorities . In 1933-1936 the newspaper paid attention to the preparations connected with the reorganizion and improvement of academic environment and adoptiion of the new Constitution of the USSR. In 1936-1937 the newspaper displayed an obviously aggressive attitude which was reflected in the articles dedicated to the search of the "enemies of people" within the University (in 1938-1939 this trend weakened). We can conclude that, the newspaper reflected the attitude of the editor and his/her group towards the political events.

4) In the news covered by the newspaper one can find some abusing facts regarding personal interests which was characteristic of that period.

The above-mentioned materials were earlier studied using the methods of the "soviet journalizm". We attempted to evaluate the same material according to the standards of modern journalizm.

ჯაბა ურუტაძე

საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და ალტერნატიული მოდელები

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქვეყანაში სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის მიზანშეწონილობა, როგორც პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ოპტიმალური საშუალება; გამოვლენილია მოქმედ საპენსიო სისტემაში არსებული პრობლემები – მათი აქტუალურობა და სიმწვავე, ასევე განხილულია ის სირთულეები, რომლის წინაშეც დადგება ქვეყნის ეკონომიკა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება არსებული საპენსიო სისტემის რეფორმირება; დასახულია პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები; წარმოდგენილია რეკომენდაციები შერჩეული ალტერნატივის განსახორციელებლად.

საქართველო რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკისკენ გარდამავალი პერიოდი საკმაოდ მტკივნეული გამოდგა, განსაკუთრებით მისი სიმწვავე საქართველოზე აისახა.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შეადგენს 3203 აშშ დოლარს,[1] ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით მეზობელ ქვეყნებს: სომხეთს (3305) და აზერბაიჯანს (6912). ყველაზე განვითარებული პოსტსაბჭოთა ქვეყნის – ესტონეთის ანალოგიური მაჩვენებელი ჩვენთან შედარებით დაახლოებით 5-ჯერ დიდია – 16534.

დღეს ქვეყანა ცდილობს ეკონომიკური რეფორმების გზით მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ქვეყნის საპენსიო სისტემის განვი-

---

[1] The World Bank, GDP per capita (current US$), http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD (28.05.2013)

თარება. ეფექტიანი საპენსიო სისტემის დანერგვის გარეშე საკმაოდ რთული იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული მოქმედებს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა.

მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული პენსიის მიღების ალტერნატიული წყარო, როცა ხდება საპენსიო ფონდებში დასაქმებულის მიერ შენატანების განხორციელება და საპენსიო ასაკის მიღწევისას დაგროვებული თანხის პენსიის სახით გაცემა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პენსიონერის ფინანსურ მდგომარეობას, რადგანაც ის არ ხდება დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო პენსიაზე.

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის კონკრეტული გზის არჩევამდე აუცილებელია შესწავლილ იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნებში სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირების წარმატებული მაგალითები, მოხდეს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი, რათა განხორციელდეს რეფორმის გატარების ოპტიმალური გზის შერჩევა.

ესტონეთის საპენსიო სისტემა

ესტონეთის საპენსიო სისტემა შედგება სამი საფეხურისგან:

I საფეხური – სახელმწიფო პენსია. ის უზრუნველყოფს პენსიონერს არსებობისთვის აუცილებელი მინიმალური შემოსავლით და ეფუძნება შემოსავლების გადანაწილების პრინციპს, რომელსაც აგრეთვე „თაობათა სოლიდარობა“ ეწოდება, რაც გულისხმობს იმას, რომ დღევანდელი მომუშავეები იხდიან გადასახადებს დღევანდელი პენსიონერების სოციალური უზრუნველყოფისთვის. ამ სისტემას ასევე ეწოდება „PAYGO“ (pay as you go). სახელმწიფო პენსია გაიცემა სოციალური გადასახადებიდან. დამსაქმებელი იხდის დასაქმებულის ხელფასის 33%-ს სოციალური გადასახადის სახით, აქედან 13% ჯანმრთელობის დაზღვევას ხმარდება, ხოლო 20% კი დღევანდელი პენსიონერების პენსიებს.

არსებობს ორი სახის სახელმწიფო პენსია:

პირველი გამოითვლება სტაჟისა და მუშაობის მანძილზე გადახდილი სოციალური გადასახადის მიხედვით.

ასაკის მიხედვით პენსია სამი კომპონენტისგან შედგება:

1. საბაზო კომპონენტი: თანხა, რომელიც შეადგენს 126,8 ევროს.

2. მეორე კომპონენტიდან გაცემული პენსიის რაოდენობა დამოკიდებულია სამუშაო სტაჟზე. თითოეული ნამსახურები წლის ღირებულებაა 4,7 ევრო.

3. სადაზღვევო კომპონენტი: დარიცხული თანხა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის სოციალური გადასახადი იქნა გადახდილი პენსიონერის ხელფასიდან მისი მუშაობის მანძილზე.

სადაზღვევო კომპონენტის მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ასაკის გამო სახელმწიფო პენსია სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება დასაქმებულის სახელით მისი კარიერის მანძილზე გადახდილი სოციალური გადასახადის რაოდენობაზე.[2]

ზემოთ ხსენებულ სისტემაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც ესტონეთში მუშაობის, სულ ცოტა, 15-წლიანი სტაჟი აქვს.

მეორე სახის სახელმწიფო პენსიას წარმოადგენს ეროვნული პენსია, რომელიც გაიცემა პიროვნებაზე, ვისაც არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს პირველი სახის საპენსიო სქემაში და ვინც, სულ ცოტა, 5 წელი ცხოვრობდა ესტონეთში პენსიაზე გასვლამდე. ეროვნული პენსია შეადგენს 140.8 ევროს.

პენსიების ინდექსაცია ესტონეთში წარმოებს 2002 წლიდან, რომლის მიხედვითაც პენსიების რაოდენობა დამოკიდებულია სამომხმარებლო კალათის ფასების ცვლილებასა და ყოველწლიურად მიღებული სოციალური გადასახადების მოცულობის ზრდაზე.

II საფეხურს წარმოადგენს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა. ის შეიქმნა 2002 წელს და პენსიონერისთვის წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის მთავარ წყაროს.

აღნიშნული სქემა ფინანსდება დასაქმებულის ხელფასიდან, რომელიც იხდის ხელფასის 2%-ს კერძო აქტივების მმართველი კომპანიების მიერ შექმნილ საპენსიო ფონდებში. ამ თანხას სახელმწიფო კიდევ უმატებს 4%-ს დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადიდან, თავის მხრივ, სახელმწიფო კიდევ იტოვებს 29%-ს (13% ჯანდაცვის დაზღვევაზე და 16% დღევანდელი პენსიონერების სახელმწიფო უზრუნველყოფაზე). ამრიგად, ფონდში გადაირიცხება დასაქმებუ-

[2] pensionikeskus, http://www. pensionikeskus.ee/?id=1781

ლის ხელფასის 6%-ის მოცულობის თანხა. დასაქმებული აგროვებს თანხებს საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად.

მეორე საფეხურის ფარგლებში პენსიის მოცულობა დამოკიდებულია სამუშაო კარიერის მანძილზე ფონდში გახსნილ კერძო საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხების რაოდენობასა და ფონდების საინვესტიციო მოგებაზე. აღნიშნული თანხების გაცემა მოხდება ყოველთვიურად, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის ვალდებულება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც საკმარისი დრო ექნებათ ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი თანხების დასაგროვებლად საკუთარ საპენსიო ანგარიშებზე (დაბადებულები 1983 წელს და მერე) და ნებაყოფლობითია 1942-82 წლებში დაბადებულთათვის.

III საფეხურს წარმოადგენს ნებაყოფლობითი დამატებითი დაგროვებითი სქემა. ის ეფუძნება ცალკეული პირების ნებაყოფლობით საპენსიო შენატანებს და მიზნად ისახავს პირის პენსიაზე გასვლამდე არსებული ცხოვრების სტანდარტის შენარჩუნებას.

„ესტონეთმა შეძლო მზარდი საპენსიო ფონდების ბაზრის შექმნა მცირე მოცულობის ეკონომიკის პირობებში. მომავალში მოსალოდნელია, რომ საპენსიო ფონდებმა შეადგინონ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტი საფინანსო სექტორში... კერძო საპენსიო აქტივების სწრაფმა ზრდამ შექმნა საფუძველი კონკურენტული აქტივების მართვის სექტორის ჩამოყალიბებისთვის“.[3]

პოლონეთის საპენსიო სისტემა

პოლონეთის საპენსიო სისტემა 1998-99 წლების რეფორმის შემდეგ უმეტესწილად ეფუძნება პირველ და მეორე საფეხურს.

პირველი საფეხური წარმოადგენს სახელმწიფო პენსიას, რომელიც გადანაწილებით სისტემას ემყარება. პენსიის ოდენობა სოციალური შენატანების მოცულობაზეა დამოკიდებული. აღნიშნული შენატანები შეადგენს ხელფასის 19,52%-ს, რომელსაც თანაბრად იხდის დამსაქმებელი და დასაქმებული (9,76% თითოეული), სახელმწიფო 19,52%-დან 2,3%-ს მიმართავს კერძო საპენსიო ფონდებში (მეორე სა-

[3] Estonia, review of the private pensions system, OECD, 2011 http://www.oecd.org/finance/private-pensions/49498084.pdf p.19

ფეხურში). დადგენილია მაქსიმალური შენატანების ოდენობა, რომელიც შეადგენს ქვეყანაში საშუალო ხელფასის 2,5-ჯერ მეტ თანხას.[4] ხდება პენსიის ინდექსაცია სამომხმარებლო ფასების ზრდის მიხედვით.

მინიმალური სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება აქვთ მამაკაცებს და ქალებს, რომლებიც, შესაბამისად, 25 და 20 წლის განმავლობაში ახორციელებდნენ სოციალურ შენატანებს.

მეორე საფეხური შედგება როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაგროვებითი საპენსიო სქემებისგან, რომლებიც პენსიონერისთვის წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის წყაროს. სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში სახელმწიფო რიცხავს სოციალური შენატანების (19,52%) 2,3%-ს კერძო საპენსიო ფონდებში გახსნილ ინდივიდუალურ ანგარიშებზე. პენსიის რაოდენობა დამოკიდებულია ამ ანგარიშებზე დაგროვებული თანხების მოცულობაზე და მათი ინვესტირების შედეგად მიღებულ დივიდენდებზე. ფონდების საქმიანობა რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, რომელსაც დაწესებული აქვს ევროპული ქვეყნების უმეტესობასთან შედარებით მკაცრი საინვესტიციო ლიმიტები. მაგალითად, არ შეიძლება საერთო აქტივების 5%-ზე მეტის ინვესტირება საზღვარგარეთ.

ასევე შესაძლებელია ნებაყოფლობითი პროფესიული (occupational) დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა. ეს სქემაც კერძო ფონდების მიერ იმართება, რომლებშიც თანხები შეაქვთ დამსაქმებელს და დასაქმებულს.

მესამე საფეხური – ნებაყოფლობითი ინდივიდუალური დაგროვებითი საპენსიო სქემა სუსტადაა განვითარებული და აერთიანებს დასაქმებულთა მხოლოდ 5%-ს.

OECD-ის (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) მიხედვით, პოლონეთში ჩანაცვლების კოეფიციენტი (პენსიის ოდენობის შედარება, პირის მიერ ნამსახურები წლების განმავლობაში გამომუშავებულ საშუალო ხელფასთან) შეადგენს საშუა-

[4] Pension systems in the EU – contingent liabilities and assets in the public and private sector, IZA research report, 2011, http://www.iza.org/en/webcontent/publications/reports/report_pdfs/iza_report_42.pdf, p.126

ლო ხელფასის 59%-ს, გადასახადების გამოკლებით კი 68,2%-ს,[5] რაც OECD-ის ქვეყნების საშუალო მონაცემებს (შესაბამისად, 60% და 72%) ოდნავ ჩამოუვარდება.

ევროპის კომისიის მიერ 2012 წელს შედგენილი დაბერების ანგარიშის (Ageing Report) მიხედვით პოლონეთში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისგან განსხვავებით, საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდება 11,8%-დან 2010 წელს, 9,6%-მდე 2060 წელს.[6] იგივე ტენდენცია შეინიშნება ესტონეთშიც, რომელმაც პოლონეთთან შედარებით რამდენიმე წლით გვიან ასევე განახორციელა საპენსიო რეფორმა დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვით. ამის მიზეზად სახელდება სწორედ აღნიშნული საპენსიო რეფორმა, რის შედეგადაც შემცირდა სახელმწიფოს წილი და გაიზარდა კერძო სექტორის როლი საპენსიო სისტემაში, ასევე გაიზარდა მოქალაქეების პასუხისმგებლობა საკუთარი სიბერის უზრუნველყოფაზე.

ახალ საპენსიო სისტემაში გაწევრიანება სავალდებულო გახდა მხოლოდ 30 წლამდე ასაკის მოსახლეობისთვის, რომლებსაც, ახალი სისტემის შემოღების მომენტიდან, პენსიაზე გასვლის უფლების დადგომის დრომდე ექნებათ საშუალება დააგროვონ საკმარისი რაოდენობის თანხა, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ უზრუნველყონ ღირსეული სიბერე საკუთარი თავისთვის.

30-დან 50 წლამდე მოსახლეობისთვის შედარებით რთული იქნებოდა პენსიაზე გასვლის შემდეგ საარსებოდ საკმარისი რაოდენობის თანხის დაგროვება, ამიტომ მათ საშუალება მიეცათ თავად გაეკეთებინათ ძველ და ახალ საპენსიო სისტემას შორის არჩევანი. 50 წელს ზემოთ მოსახლეობა კი ძველ სისტემაში დარჩა, თუმცა მათ უფლება მიეცათ ნებაყოფლობით ინდივიდუალურ დაგროვებით საპენსიო სქემებში მიეღოთ მონაწილეობა.

---

[5] Pension systems in the EU – contingent liabilities and assets in the public and private sector, IZA research report, 2011, http://www.iza.org/en/webcontent/publications/reports/report_pdfs/iza_report_42.pdf, p.126

[6] European Commission, Directorate-General for Economic and Financial Affairs, The 2012 Ageing Report: Economic and budgetary projections for the EU27 Member States (2010-2060), 2012 http://ec.europa.eu/economy_finance/publications/european_economy/2012/pdf/ee-2012-2_en.pdf p.101

ჰოლანდიის საპენსიო სისტემა

პირველი საფეხური წარმოადგენს სახელმწიფო პენსიას, რომლის გაცემა ხდება სოციალური უსაფრთხოების გადასახადებიდან, გადანაწილებითი (PAYGO) პრინციპის საფუძველზე.

სახელმწიფო პენსიის ოდენობა დამოკიდებულია სამუშაო სტაჟზე. სრული მოცულობით პენსიას მიიღებს ქვეყნის მცხოვრები, რომელიც 50 წლის განმავლობაში მუშაობდა/იყო დაზღვეული ქვეყანაში. მუშაობის თითოეული წელიწადი შეადგენს დადგენილი პენსიის 2%-ს. იმ პირებს, რომლებიც 50 წელიწადზე ნაკლები ხნით იყვნენ დაზღვეულნი, სრული მოცულობით პენსიის მიღების უფლება უმცირდებათ ამავე პროპორციით.

ესტონეთისგან განსხვავებით, პენსიის მოცულობა არაა დამოკიდებული მუშაობის მანძილზე გადახდილი სოციალური გადასახადების რაოდენობაზე.

პენსიის რაოდენობის ინდექსირება ხორციელდება ინფლაციასთან მიმართებაში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ისინი, ვინც ვერ იღებენ სრული მოცულობით სახელმწიფო პენსიას, უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი სოციალური დახმარება, რათა მათი შემოსავალი მიუახლოვდეს სრული მოცულობის სახელმწიფო პენსიას.

მეორე საფეხური შედგება პროფესიული (occupational) საპენსიო სქემებისგან და განკუთვნილია სიბერეში დამატებითი შემოსავლის უზრუნველსაყოფად. ჰოლანდიაში დასაქმებულთა სასარგებლოდ დამსაქმებლების მიერ საპენსიო სქემების შექმნის დიდი ტრადიცია არსებობს. მეორე საფეხურში გაერთიანებულია ქვეყნის მომუშავე მოსახლეობის 90%-ზე მეტი. მასში მონაწილეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სავალდებულო, თუ კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში დასაქმებულთა 60% მოითხოვს ამას.[7] დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მომუშავის ხელფასის ნაწილი განთავსდება კომპანიის, ან მთლიანი მრეწველობის დარგის საპენსიო ფონდში, საიდანაც ხდება მათი გამოყენება საინვესტიციო რესურსის სახით. არსებობს სპეციალიზებული ფონდები ცალკე-

[7] Pension systems in the EU – contingent liabilities and assets in the public and private sector, IZA research report, 2011, http://www.iza.org/en/webcontent/publications/reports/report_pdfs/iza_report_42.pdf, p.106

ული პროფესიების წარმომადგენელთათვის. ფონდებში განთავსებული თანხები არ წარმოადგენს კომპანიების კაპიტალის შემადგენელ ნაწილს და მათი გაკოტრების შემთხვევაში კრედიტორები ამ თანხებიდან არ დაკმაყოფილდებიან. შენატანები ფინანსდება როგორც დასაქმებულის, ისე უმეტესწილად დამსაქმებლის მიერ.

გარდა სახელმწიფო და პროფესიული საპენსიო სქემებისა, ქვეყანაში ასევე არსებობს კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელსაც ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს ნებისმიერი ფიზიკური პირისთვის. მასში გაერთიანებულთა დიდ ნაწილს თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რადგან ისინი არ არიან ჩართულნი პროფესიულ საპენსიო სქემებში.[8]

ჩილეს საპენსიო სისტემა

1980 წელს ჩილეს მთავრობამ შემოიღო ახალი, სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელშიც პენსიების რაოდენობა მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანის მიერ მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში საპენსიო ფონდში შეტანილი თანხების ოდენობაზე და საინვესტიციო მოგებაზე. ამ სისტემაში გაწევრიანება არის სავალდებულო. დამსაქმებლები საკუთარი სურვილისამებრ ირჩევენ კერძო საპენსიო ფონდს, რომელთა საქმიანობაც მკაცრადაა რეგულირებული სახელმწიფოს მიერ, მონაწილეთა უფლებების დაცვის მიზნით.

სახელმწიფო ასრულებს მხოლოდ ღარიბი პენსიონერების სოციალურ უზრუნველყოფას და სთავაზობს სახელმწიფო პენსიებს მხოლოდ იმათ, ვინც ვერ შეძლო საპენსიო ფონდებში დადგენილი მინიმალური თანხის დაგროვება და მინიმუმ 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ქვეყანაში.

სავალდებულო საპენსიო სქემა მოითხოვს დასაქმებულისგან მისი ხელფასის 10%-ის გადარიცხვას კერძო ფონდში. დადგენილია შენატანების მაქსიმალური ზღვარი: თვიური ხელფასის იმ ნაწილიდან, რომელიც აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ თანხას (საშუალო

---

[8] Pension systems in the EU – contingent liabilities and assets in the public and private sector, IZA research report, 2011, http://www.iza.org/en/webcontent/publications/reports/report_pdfs/iza_report_42.pdf, p.106

ხელფასის 291% 2009 წელს[9]) შენატანები არ განხორციელდება. დამსაქმებელი არ არის ვალდებული განახორციელოს შენატანი მომუშავის სასარგებლოდ.

2008 წელს შემოღებულ იქნა ნებაყოფლობითი პროფესიული საპენსიო სქემა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებას დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, რომლითაც დამსაქმებელი ახორციელებს საკუთარი მუშაკების საპენსიო უზრუნველყოფას.

2002 წელს მიღებული კანონის მიხედვით, თითოეული დამფუძნებელი ვალდებულია შესთავაზოს მონაწილეს რამდენიმე ტიპის ფონდი, რომლებსაც შესაბამისად ეწოდებათ A,B,C,D,E. ეს ფონდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან რისკის მიხედვით და თანხების პროპორციით, რომელთა განთავსებაც შესაძლებელია ფასიან ქაღალდებში (აქციები) და ნაკლებად სარისკო ფიქსირებული შემოსავლების მქონე ინსტრუმენტებში (საბანკო დეპოზიტი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები). მონაწილეებს აქვთ ამ ფონდებიდან ნებისმიერის არჩევის თავისუფლება. გამონაკლისს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც 10 და ნაკლები წელი დარჩათ პენსიამდე, მათ აქვთ მხოლოდ ნაკლებად სარისკო ფონდებზე (C,D,E) ხელმისაწვდომობის უფლება. ამ რეგულაციის მიზანია დაიცვას ასაკოვანი მომუშავეები დანაკარგებისგან, რომელთა ანაზღაურებაც რთული იქნება პენსიაზე გასვლამდე მცირე დროის გამო. ვინც არ აირჩევს ფონდის ტიპს, ავტომატურად ჩაერთვება შესაბამის ფონდში მისი ასაკის მიხედვით და რაც უფრო ასაკოვანია მონაწილე, მით უფრო ნაკლებად სარისკო ფონდში მოხდება მისი გადანაწილება.[10] დასაქმებულებს თავისუფლად შეუძლიათ ერთი ფონდიდან მეორეში გადასვლა. არსებობს შეზღუდვა ფონდის აქტივების უცხოეთში ინვესტირებასთან დაკავშირებით და შეადგენს 80%-ს.

ფონდები უნდა აკმაყოფილებდნენ მომგებიანობის კრიტერიუმებს. კანონით დაწესებულია მინიმალური საინვესტიციო მოგების მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება ყველა ფონდის საშუალო მომგებიანობის მაჩვენებელს. იმ შემთხვევაში, თუ ფონდი ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, მოხდება მისი ლიკვიდაცია და აქტივები სხვა

---

[9] Pensions at a glance 2011, retirement income systems in G20 and oecd countries, OECD, 2011, p. 208

[10] Chile, review of the private pensions system, OECD, 2011 http://www.oecd.org/finance/private--pensions/49497472.pdf p,17-18

ფონდში იქნება გადატანილი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო დაფარავს მონაწილეთა დანაკარგებს.[11] ფონდების აქტივები განცალკევებულია იმ კერძო ფირმების აქტივებისგან, რომლებიც ქმნიან და მართავენ აღნიშნულ ფონდებს, ამიტომ ამ ფირმების გაკოტრების შემთხვევაში ფონდის თანხები ხელუხლებელი დარჩება და არ მოხმარდება კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

2008 წელს განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად მოხდა თვითდასაქმებულთა ჩართვა სავალდებული კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში, მანამდე მათი მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. ეს ცვლილება გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას ახალ საპენსიო სისტემაში. 2007 წლის მონაცემებით, დაგროვებით სისტემაში ჩართული იყო მომუშავეთა 65,9%, რისი მთავარი მიზეზიც ამ სისტემაში თვითდასაქმებულთა მონაწილეობის ნებაყოფლობითობა გახლდათ.

საპენსიო რეფორმის პირველ წლებში ინვესტირება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ კაპიტალში. მას შემდეგ, რაც სისტემა განვითარდა, ფონდების მოცულობა და მათდამი ნდობა გაიზარდა, მთავრობამ მოახდინა ინვესტირების წესების ლიბერალიზაცია. 1990 წლიდან უცხოურ ფასიან ქაღალდებში ინვესტირება ნებადართულ იქნა და 2007 წელს შეადგინა ინვესტიციების საერთო მოცულობის 35%.

ჩილეში ფონდების მომგებიანობამ 2012 წელს შეადგინა საშუალოდ 4,6%, ხოლო მათში განთავსებული თანხების ოდენობა გაიზარდა 10,2%-ით,[12] რაც შეესაბამება ფონდების ბოლო წლების საშუალო ზრდის ტემპებს. ჩანაცვლების კოეფიციენტი, გადასახადების გამოკლებით, შეადგენს 66%-ს,[13] რაც განვითარებადი ქვეყნისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და აღემატება ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის (მაგალითად, საფრანგეთი) ანალოგიურ მაჩვენებელს.

---

[11] Joaquin Vial Ruiz-Tagle, Francisca Castro, The Chilean Pension System, OECD Ageing Working Papers, 1998. p.10

[12] Euroinvestor, Chile pension funds posted 4,6% average return in 2012, (2013) http://www.euroinvestor.com/news/2013/01/07/chile-pension-funds-posted-46pct-average--return-in-2012/12173062 (28.05.2013)

[13] Pensions at a glance 2011, retirement income systems in G20 and oecd countries, OECD, 2011, p. 211

პრობლემის აღწერა

საქართველოში ასაკის გამო პენსია 2013 წლის 1 სექტემბრიდან გახდა 150 ლარი. საარსებო მინიმუმმა კი 2013 წლის აპრილს შეადგინა 147,4 ლარი.[14] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით, საშუალო ხელფასი ქვეყანაში 636 ლარია,[15] 1 სექტემბრიდან პენსია ამ თანხის 23,5% გახდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს – 60%.

ქვეყანაში მოქმედებს გადანაწილებითი სახელმწიფო საპენსიო სისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თავად ახორციელებს საპენსიო ასაკის მქონე ყველა მოქალაქის საპენსიო უზრუნველყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პენსიის მიღების უფლება საპენსიო ასაკის მიღწევის გამო წარმოიშობა 65 წლის ასაკიდან, ქალებს ეს უფლება ენიჭებათ 60 წლის ასაკიდან.

ასევე არსებობს ნებაყოფლობითი არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც არეგულირებს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის მიხედვითაც: „პენსია მონაწილეს მიეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში, ანდა საპენსიო ასაკის მიღწევამდე, თუ მან ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგა შრომის უნარი. მონაწილეს უფლება აქვს გადაავადოს პენსიის მიღების დრო“.[16]

ფიზიკურ პირებზე ფულადი სახსრები (პენსიები) რეგულარულად გაიცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საპენსიო შენატანებისა და საინვესტიციო მოგების ხარჯზე.

არასახელმწიფო პენსიის სახეებია:

ა) მუდმივი პენსია, რომელიც ეძლევა ფიზიკურ პირს პენსიის გაცემის დაწყებიდან გარდაცვალებამდე;

---

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

[16] საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ (28.05.2013)

ბ) განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია, რომელიც ეძლევა ფიზიკურ პირს არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში.

მუდმივი პენსია არის ინდივიდუალური ან ერთობლივი. ინდივიდუალური პენსია მონაწილეს ერიცხება და ეძლევა გარდაცვალებამდე. პენსიის დარიცხვა და გაცემა წყდება მონაწილის გარდაცვალებისთანავე.

ერთობლივი პენსია მიეცემა საპენსიო სქემის წევრ მეუღლეებს პენსიის გაცემის დაწყებიდან გარდაცვალებამდე. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ამ პენსიის ნახევარი მიეცემა მეორე მეუღლეს. განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში საპენსიო უზრუნველყოფის ვადის დამთავრებამდე მიეცემა მის მემკვიდრეებს.

საპენსიო დანაგროვთა ინვესტირებას ახორციელებენ მხოლოდ აქტივების მმართველი კომპანიები საპენსიო დანაგროვთა მართვის შესახებ შეთანხმების საფუძველზე".[17] აქტივების მმართველი კომპანია არ შეიძლება იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის, ან მეანაბრის აფილირებული პირი ან თვით დამფუძნებელი, გარდა ბანკისა, ან სადაზღვევო კომპანიისა.

შენატანებისა და გასაცემი თანხების ოდენობის მიხედვით საპენსიო სქემები იყოფა შემდეგ სახეებად:

ა) სქემები, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები ამ კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) სქემები, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა და დამფუძნებლის მიერ გათვალისწინებულია პენსიების გადახდა, რომელთა ოდენობა დამოკიდებული არ არის სახელობითი საპენსიო დანაგროვის ოდენობაზე".[18]

კანონით გათვალისწინებულია პროფესიული საპენსიო სქემის არსებობა, რომელიც არის "დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების ან სხვა იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული საპენსიო სქემა, რომლის მეანაბრეც არის დამსაქმებელი. დამსაქმებელი ან დამსაქმე-

---

[17] საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" (28.05.2013)

[18] საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" (28.05.2013)

ბელთა გაერთიანება შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პროფესიული საპენსიო სქემის დამფუძნებელი. პროფესიული საპენსიო სქემის მონაწილე შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არანაკლებ 24 კალენდარული თვის განმავლობაში იმყოფება შრომით ურთიერთობაში მეანაბრე დამქირავებელთან. მონაწილეს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი პროფესიული საპენსიო სქემის მონაწილე.

პროფესიული საპენსიო სქემის მონაწილენი შეიძლება იყვნენ დამფუძნებლის (მეანაბრის) მუშაკთა ცალკეული კატეგორიები ან პროფესიული ჯგუფები. იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ პროფესიული საპენსიო სქემის მონაწილენი, განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით.

პროფესიული საპენსიო სქემების საპენსიო შენატანებს იხდის დამსაქმებელი, ან დამსაქმებელი და მონაწილე ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. თუ შენატანებს იხდის მხოლოდ დამსაქმებელი, ყველა მუშაკი, რომელსაც უფლება აქვს იყოს პროფესიული სქემის მონაწილე, გაერთიანებული უნდა იყოს ამ სქემაში.

არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სფეროში ურთიერთობათა მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო არის საქართველოს ეროვნული ბანკი".[19]

არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მონაწილეა ქვეყანაში დასაქმებულთა უმნიშვნელო ნაწილი (18 397). ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ რაოდენობამ უმნიშვნელოდ იმატა, დაახლოებით 4000-ით; ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა კი შეადგენს 1 724 ათას ადამიანს 2012 წლის მონაცემებით.[20]

როგორც ვხედავთ, საქართველოში კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის განვითარების დონე და მასშტაბები მოწინავე ქვეყნებში არსებულ სისტემასთან შედარებით უმნიშვნელოა. მოსახლეობაც ნაკლებადაა დაინტერესებული ამ მოდელით, რისი მიზეზიც მოსახლეობაში შედარებით დაბალი სოციალური პასუხისმგებლობისა და თვითდისციპლინის დონე და სისტემაში მონაწილე დაწესებულებათა მი-

---

[19] საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" (28.05.2013)

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (28.05.2013)

მართ ნდობის დაბალი ხარისხია. მოსახლეობა არაა დარწმუნებული, რომ მათი შენატანები სათანადოდ იქნება დაცული.

საქართველოში ერთ პენსიონერზე ორი დასაქმებული მოდის. ქვეყანაში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების გამო ეს თანაფარდობა თანდათანობით იცვლება პენსიონერთა „სასარგებლოდ" და მომუშავეთა რაოდენობა ერთ პენსიონერზე მცირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი პენსიონერის რჩენის ტვირთი სულ უფრო ნაკლებ დასაქმებულ ადამიანზე გადავა. დღეს საპენსიო ასაკის ადამიანების ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში 16,7 პროცენტს შეადგენს.[21] საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 37 წელია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2010 წელს შედგენილი „მსოფლიო მოსახლეობის პროგნოზის" მიხედვით, 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი 48 წლამდე გაიზრდება.[22] ასევე ნავარაუდებია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის კლება[23] შობადობის შემცირების გამო, ხოლო 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი საგრძნობლად მოიმატებს.[24] მოსახლეობის დაბერების ტენდენცია მთლიანად მსოფლიოსათვისაც არის დამახასიათებელი.

არსებულ საპენსიო სისტემის ეფექტიანობას საფრთხეს სამუშაო ძალის ქვეყნიდან გადინებაც უქმნის, რაც ასევე ამცირებს დასაქმებულთა ხვედრით წილს მოსახლეობაში. 2012 წლის მონაცემებით, მიგრაციის უარყოფითი სალდო შეადგენს 21,5 პრომილეს.[25]

საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემის კიდევ ერთ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ერთი და იმავე რაოდენობის დადგენილი პენსიის მიღების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი შემოსავლების დონისა, რაც იმას ნიშნავს, რომ საპენსიო ასაკის იმ მოქალაქისთვის, რომელიც დასაქმებულია და ხელფასის სახით, ან რომელიმე სხვა წყაროდან იღებს შემოსავალს, ან ჰყავს შეძლებული მარჩე-

---

[21] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo (28.05.2013).

[22] United Nations, World population prospects, 2010, http://esa.un.org/wpp/JS-Charts/aging-median-age_0.htm

[23] United Nations, World population prospects, 2010, http://esa.un.org/wpp/unpp/panel_population.htm

[24] United Nations, World population prospects, 2010, http://esa.un.org/wpp/country-profiles/country-profiles_1.htm

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo (28.05.2013)

ნალი, რაც მას საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნები მაინც, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პენსიის მიღება საგრძნობლად არ აუმჯობესებს მის ფინანსურ მდგომარეობას და პენსიის მიღება მოცემული კატეგორიის მოსახლეობისთვის არ არის სასიცოცხლო მნიშვნელობის.

მეორე მხრივ, ამავე რაოდენობის პენსიას იღებს მოქალაქე, რომლისთვისაც ეს მცირედი თანხაც საარსებოდ აუცილებელია, რადგან სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნია. არსებული სისტემის შეცვლა აუცილებელია, რათა საპენსიო თანხები ბიუჯეტიდან უფრო სამართლიანად გადანაწილდეს და ღარიბი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის მეტი ფინანსური რესურსები იქნეს მობილიზებული.

პენსიის ოდენობა არ არის დამოკიდებული შრომითი საქმიანობის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მოცულობაზე, რაც ამცირებს სისტემის მიმართ სამართლიანობის განცდას მოსახლეობაში.

სახელმწიფოს მხრიდან დღემდე არ ყოფილა მცდელობა საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში რეფორმის დაწყებისა, თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ახალი სისტემა ამოქმედდება დაგროვებითი საპენსიო სისტემის სახით, რომლითაც მოქალაქეს საშუალება ექნება, პენსია საკუთარი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრებიდანაც მიიღოს. ამით ქვეყანა თანდათანობით მიუახლოვდება ევროპის სოციალურ სივრცეს და გახდება მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი.[26]

თაობათა სოლიდარობაზე დაფუძნებული სახელმწიფო საპენსიო სისტემა ეფექტიანად მოქმედებს მხოლოდ განვითარებული ეკონომიკის პირობებში, რადგან ის მოითხოვს სერიოზულ საბიუჯეტო დანახარჯებს. საქართველოს მსგავსი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც საბიუჯეტო რესურსები შეზღუდულია, შეუძლებელია პენსიონერის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი რაოდენობის პენსიით უზრუნველყოფა მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯზე.

---

[26] News.ge, ივანიშვილი საპენსიო რეფორმის შესახებ საუბრობს, 2012 http://news.ge/ge/news/story/35193-ivanishvili-sapensio-reformis-shesakheb-saubrobs

პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები)

საქართველოში სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის გზებია:

1. სავალდებულო სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა. პირველ ალტერნატივას წარმოადგენს სავალდებულო სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ორსაფეხურიანი სქემის ფარგლებში, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

ა) *სავალდებულო დაგროვებითი პენსია* – გულისხმობს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას სახელმწიფო საპენსიო ფონდის შექმნის გზით. დასაქმებულის საპენსიო ანგარიშის შევსების ორი წყარო იარსებებს:

1. დამქირავებელი ვალდებული იქნება საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დაქირავებულის საპენსიო დაზღვევა.

2. დაქირავებული მოახდენს საკუთარი ხელფასის გარკვეული, კანონით დადგენილი ნაწილის გადარიცხვას ფონდში, რომლის მართვას განახორციელებს სახელმწიფო.

ბ) *დამატებითი დაგროვებითი პენსია* – სავალდებულოსგან განსხვავდება იმით, რომ ამ შემთხვევაში დაქირავებულს საკუთარი ინიციატივით, ნებაყოფლობით შეუძლია შეიტანოს კერძო საპენსიო ფონდში კიდევ დამატებითი თანხები საკუთარი შემოსავლებიდან. ამ თანხების რაოდენობა დამოკიდებული იქნება პირის სურვილზე.

ეს იქნება ძირითადი წყარო მოქალაქის სიბერის უზრუნველსაყოფად. მოქალაქე არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გადახდილ მცირე პენსიაზე და ექნება საშუალება საკუთარი სახსრებიდანაც მოახდინოს თანხის დაზოგვა პენსიისათვის.

სახელმწიფო საპენსიო ფონდის მართვა საკმაოდ დიდ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული, რაც კიდევ უფრო გაზრდის სოციალურ წნეხს სახელმწიფო ბიუჯეტზე. თუ ინფლაციის დონე მოიმატებს, რაც აქამდე არაერთხელ მომხდარა, ეს საფრთხეს შეუქმნის ამგვარი ფონდის მომგებიანობას, რადგანაც გაიზრდება დაგროვებული თანხების გაუფასურების საფრთხე. ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო საპენსიო ფონდში დეფიციტის ზრდა, რომელიც უნდა დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო, თუ კერძო საპენსიო სქემაში მონაწილეობა იქნება ნებაყოფლობითი და არა სავალდებულო, ქვეყანაში შემოსავლების, სოციალური პასუხისმგებლობისა და თვითდისციპლინის განვითარებულ ქვეყნებთან შედარე-

ბით დაბალი დონის გამო, ვერ მოხდება კერძო საპენსიო ფონდების განვითარება. ბიზნესის დაინტერესება ამ სფეროთი კვლავ უმნიშვნელო იქნება, რაც საფრთხეს შეუქმნის საპენსიო რეფორმის განხორციელებას.

2. სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა. მეორე ალტერნატივა გულისხმობს სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას ქვეყანაში, ეს კი მეორე ალტერნატივისგან პრინციპულად განსხვავდება იმით, რომ სახელმწიფოს როლი და ტვირთი მნიშვნელოვნადაა შემცირებული და გაზრდილია კერძო სექტორის მნიშვნელობა და სოციალური პასუხისმგებლობა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის კუთხით.

როგორც დამქირავებელი, ისე დაქირავებული, მოახდენენ დადგენილი თანხების გადარიცხვას კერძო საპენსიო ფონდებში დაქირავებულის სახელზე გახსნილ საპენსიო ანგარიშზე, სახელმწიფო კი შეასრულებს აღნიშნული ფონდების საქმიანობის მარეგულირებელ ფუნქციას. კერძო საპენსიო ფონდების შერჩევა შეიძლება მოხდეს თავად დასაქმებულის მიერ, ან დამსაქმებლის მიერ კერძო საპენსიო ფონდთან დადებული კორპორატიული ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფოს არ ექნება ვალდებულება მინიმალური საპენსიო თანხა გადაუხადოს ყველა მოქალაქეს. თითოეული დასაქმებული თავად იქნება პასუხისმგებელი საკუთარი სიბერის უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო კი მხოლოდ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზე გახდება ორიენტირებული, მაგალითად, მათზე, ვინც საკმარისი თანხის დაგროვება ვერ მოახერხა ფონდში საკუთარ ანგარიშზე; აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალურად დაცვაზე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარჩენალდაკარგულების და ა.შ. ამით სახელმწიფო განთავისუფლდება ზედმეტი ტვირთისაგან, უხადოს პენსია პირებს, რომელთა შემოსავალი აღემატება საარსებო მინიმუმს და რესურსების კონცენტრაციას მოახდენს მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ და განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე პირებზე. ეს გამოიწვევს მოსახლეობისათვის პენსიის გაზრდას და გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის უარყოფითი მხარე საქართველოს პირობებში შეიძლება იყოს უმუშევრობის მაღალი დონე, ინფლაცია, საშუალო ხელფასის დაბალი მაჩვენებელი

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ყველა ეს ფაქტორი მთლიანობაში შეიძლება ხელისშემშლელი იყოს საპენსიო ანგარიშზე პენსიონერის არსებობისათვის აუცილებელი თანხის დაგროვებისათვის. რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირება, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას და შემოსავლების ზრდას.

რეფორმის პირველსავე წლებში კერძო საპენსიო ფონდების დაგროვებით საპენსიო ანგარიშებზე მოხდება ასობით მილიონი ლარის მობილიზება და საინვესტიციო რესურსების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც არსებულ ვითარებაში ინვესტიციების ნაკლებობის პირობებში მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის და დადებითად აისახება ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მატებაზე. ინვესტიციების ზრდა ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც, თავის მხრივ, დამატებითი რესურსი იქნება კერძო საპენსიო ფონდებში დაგროვებული თანხების გაზრდისთვის.

რეკომენდაციები

წარმოდგენილი ორი ალტერნატივიდან სწორედ მეორე, სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა იქნება საუკეთესო საშუალება პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შერჩეული ალტერნატივის წარმატებით განსახორციელებლად უნდა შემუშავდეს მისი იმპლემენტაციის კონკრეტული ღონისძიებები:

1. აუცილებელია განისაზღვროს კერძო საპენსიო ფონდებში გახსნილი საპენსიო ანგარიშების შევსების წყარო, მათი შევსების პასუხისმგებლობას კი გადაინაწილებს შრომითი ურთიერთობის მონაწილე ორივე მხარე: დასაქმებული გადარიცხავს ფონდში საკუთარი ხელფასის 5 პროცენტს, ხოლო დამსაქმებელი, თავის მხრივ, საკუთარი სახსრებიდან შეავსებს დასაქმებულის პირად საპენსიო ანგარიშს თანხით, რომელიც ასევე შეადგენს დასაქმებულის ხელფასის 5 პროცენტს. ამგვარად დამსაქმებელიც ინაწილებს საკუთარი მუშაკის საპენსიო დაზღვევის პასუხისმგებლობას. ეს აუცილებელია, რათა მაქსიმალუ-

რად უზრუნველყოფილ იქნეს ფონდის საპენსიო ანგარიშზე პენსიონერის ღირსეული ცხოვრებისთვის საკმარისი თანხის დაგროვება.

ამ სისტემაში აუცილებლად უნდა მოხდეს თვითდასაქმებულთა და იმ მომუშავეთა ჩართვა, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული. აღნიშნული კატეგორია დასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მოცემული კონტინგენტი გადაიხდის 5 პროცენტს დეკლარირებული შემოსავლიდან, ოღონდ თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ მაქსიმუმს.

ახალ საპენსიო სისტემაში ჩართულ მომუშავეებს ეს ვალდებულება ზედმეტ ტვირთად რომ არ დააწვეს, უნდა მოხდეს საშემოსავლო გადასახადის ამავე ოდენობით შემცირება, ან საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნეს დადგენილი საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილის სავალდებულო წესით განთავსება კერძო საპენსიო ანგარიშზე.

2. სავალდებულო კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში უნდა გაერთიანდეს იმ კატეგორიის მოსახლეობა, რომლებსაც ახალი სისტემის შემოღების მომენტიდან, პენსიაზე გასვლის უფლების დადგომის დრომდე, ექნებათ საშუალება დააგროვონ საკმარისი რაოდენობის თანხა, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ უზრუნველყონ ღირსეული სიბერე საკუთარი თავისთვის.

ამიტომ ახალ საპენსიო სისტემაში ყოფნა იქნება სავალდებულო მხოლოდ 35 წლამდე ასაკის მოსახლეობისთვის. 35-დან 50 წლამდე მოსახლეობისთვის შედარებით რთული იქნება პენსიაზე გასვლის შემდეგ საარსებოდ აუცილებელი, საკმარისი რაოდენობის თანხის დაგროვება, ამიტომ მათ საშუალება უნდა მიეცეთ თავად გადაწყვიტონ, თუ რომელ საპენსიო სისტემაში დარჩნენ – ძველში, თუ ახალში. 50 წელს ზემოთ მოსახლეობა კი ძველ სისტემაში დარჩება, თუმცა მათ საშუალება ექნებათ მიიღონ მონაწილეობა ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სქემებში, შემოსავლების ნაწილის კერძო საპენსიო ფონდებში გახსნილ პირად საპენსიო ანგარიშებზე გადარიცხვის გზით. თანხის ოდენობას კი ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ.

3. სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის წარმატებული დანერგვისათვის, რათა მას სასურველი შედეგი, პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვეს, აუცილებელია აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება მოსახლეობაში იმისათვის, რომ მათ გაუჩნდეთ ნდობა ახალი საპენსიო სისტემის მიმართ. სწორედ მოსახლეობის მაღალმა აქტიურობამ და ინი-

ციატივამ დიდწილად უნდა განაპირობოს რეფორმის წარმატება. აუ-ცილებელია მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ახალი საპენსიო სისტემა სასარგებლო იქნება მათთვის და ქვეყნის განვითარებისათ-ვის. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ახალი საპენსიო სისტემის ფუნქციონირების ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან დაკავ-შირებით, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ მაქსიმალურად ეფექტიანად განახორციელონ საკუთარი უფლებები და შეასრულონ ვალდებულე-ბები.

ეფექტიანი საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია ხელს შეუწყ-ობს კერძო საპენსიო ფონდების მიმართ ნდობის ამაღლებას მოსახლე-ობაში, რაც თავის მხრივ განაპირობებს მეტი თანხების მოზიდვას ამ სფეროში, აამაღლებს ბიზნესის დაინტერესებას კერძო საპენსიო ფონ-დების მიმართ, რაც განაპირობებს ამ სფეროს მომგებიანობას.

შემოთავაზებული სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვით გაიზრდება კერძო სექტორის მნიშვნელობა და სოციალური პასუხისმგებლობა მოსახლეობის საპენსიო დაზღვევის კუთხით. დასაქმებული თავად იქნება პასუხისმგებელი საკუთარი სი-ბერის უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო კი მხოლოდ სოციალურად და-უცველი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზე გახდება ორიენ-ტირებული. მოხდება კერძო საპენსიო ფონდებში დიდი რაოდენობის საპენსიო თანხების დაგროვება და მათი საინვესტიციო რესურსების სახით გამოყენება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ქვეყნის ეკო-ნომიკის განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი. 23.12.2005.
2. „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი. 30.10.1998.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: http://geostat.ge/.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://mof.ge/.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი: http://www.nbg.gov.ge/index.php?m=493

6. News.ge, ივანიშვილი საპენსიო რეფორმის შესახებ საუბრობს, 2012 http://news.ge/ge/news/story/35193-ivanishvili-sapensio-reformis-shesakheb-saubrobs
7. რევაზ საყევარიშვილი, საპენსიო რეფორმა, პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის, 2010 http://psidiscourse.ge/files/files/policypapers/policy_brief-pension_reform.pdf
8. გრიგოლ ნიკოლეიშვილი, საპენსიო სისტემა, რეფორმის საკითხები საქართველოში, 24 საათი, 2009 http://24saati.ge/index.php/category/society/2009-10-29/925
9. Joaquin Vial Ruiz-Tagle, Francisca Castro, The Chilean Pension System, OECD Ageing Working Papers, 1998, http://www.oecd.org/els/pensionsystems/2429310.pdf
10. Private pensions, OECD. 2005, http://www.oecd.org/dataoecd/0/49/38356329.pdf.
11. Igor Guardiancich, Poland, Current Pension System: first assessment of reform outcomes and output, European Social Observatory, 2010. http://www.ose.be/files/publication/2010/country_reports_pension/OSE_2010_CRpension_Poland.pdf
12. The World Bank, GDP per capita (current US$), http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD
13. Chile, review of the private pensions system, OECD, 2011 http://www.oecd.org/finance/private-pensions/49497472.pdf
14. Pensionikeskus, http://www.pensionikeskus.ee/?id=1781
15. Estonia, review of the private pensions system, OECD, 2011 http://www.oecd.org/finance/private-pensions/49498084.pdf
16. Pension systems in the EU – contingent liabilities and assets in the public and private sector, IZA research report, 2011, http://www.iza.org/en/webcontent/publications/reports/report_pdfs/iza_report_42.pdf
17. European Commission, Directorate-General for Economic and Financial Affairs, The 2012 Ageing Report: Economic and budgetary projections for the EU27 Member States (2010-2060), 2012
18. Pensions at a glance 2011, retirement income systems in G20 and OECD countries, OECD, 2011

19. Euroinvestor, Chile pension funds posted 4,6% average return in 2012, (2013) http://www.euroinvestor.com/news/2013/01/07/chile-pension-funds-posted-46pct-average-return-in-2012/12173062
20. United Nations, World population prospects, 2010 http://esa.un.org/wpp/index.htm
21. Eurostat, 2013 http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&language=en&pcode=teilm020&tableSelection=1&plugin=1

Jaba Urotadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Pension Policy of Georgia and Alternative Models

Resume

The presented work analyzes the necessity of implementing the mandatory funded pension system in Georgia as an optimal means of improving pensioners' socio-economic conditions . The paper reveals the problems in the existing pension system and emphasizes their actuality. It also identifies the problems that the country's economy will face if the existing pension system will not be reformed and offers some alternative ways of solving the problem. Recommendations are presented in order to implement the chosen alternative.

Matrix of probable results of alternative pension policy

criteria of estimation (maximum 5 points)	alternative I status quo, state pension system	alternative II mandatory state funded pension system	alternative III mandatory private funded pension system
expenditures	1	2	4
results	1	2	4

institutional abilities	1	2	4
politically suitable	1	2	3
level of satisfaction of beneficiaries	0	2	4
terms of fulfillment	N/A	3	2

The best alternative is the third one – mandatory private funded pension system. To fulfill this alternative several recommendations have been drawn out:

1. The source of filling up private pension funds must be determined. The responsibility in this respect will be shared by both, employer and employee.
2. The participation in private pension funds must be mandatory only for the part of the population who will be able to save enough money during their working career to ensure a decent quality of living after retirement.
3. It is essential to carry out an active informational campaign among the population in order to increase trust in the new pension system. High activity and initiative of the population will ensure the success of this reform.

The implementation of the proposed mandatory private funded pension system will increase the importance of the private sector and social responsibility of the population in terms of pension insurance. An employee himself/herself will be responsible for his/her financial condition after the retirement, while the state will be oriented only towards assisting socially unprotected people. A large amount of financial resources will be allocated in funds and will be used as investment resources, which will be an important factor for the development of Georgian economy.

ეკატერინე ფირცხალავა

მუსლიმი მესხების ინტეგრაცია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

1944 წლის 15 ნოემბერს სამხრეთ დასავლეთ საქართველოდან, ისტორიული მესხეთიდან, სტალინის ბრძანებით გაასახლეს მაჰმადიანი მოსახლეობა. სამცხის 220 სოფლიდან 120 ათასამდე ადამიანი შეკრიბეს და სასაქონლე ვაგონებით ერთ დღეში მასობრივად გაამგზავრეს ცენტრალურ აზიაში: ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში.

მუსლიმი მესხები დიდი ხანი ცხოვრობდნენ დეპორტაციაში. სხვადასხვა დროს იყო მცდელობები რეპატრიაციისა, პირველი ტალღა მე-20 საუკუნის 70-იანი წლები იყო. დღემდე ეს პროცესი აქტუალურია საქართველოსთვის. დეპორტირებული მოსახლეობა მესხეთიდან საქართველოს ისტორიაა და, ამდენად, მნიშვნელოვანია რეპატრიაციის კანონის მიღების შემდეგ რეპატრიანტების მიღებისა და მომავალი ინტეგრაციის პოლიტიკის დანერგვისათვის.

ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, საინტერესოა მუსლიმი მესხების, როგორც დახურული და ტრადიციული საზოგადოების, კვლევა, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში,სხვადასხვა ტერიტორიაზე განიცადეს ახალი სოციალური გარემოს გავლენა. ეს ცვალებადობა როგორ აისახა მათზე, როგორია გარემოს ცვლილებების დროს ადაპტაციის პროცესი და ხელშემწყობი გარემოებები.

კვლევის ობიექტები არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში საბჭოთა მთავრობისგან შევიწროებულად ცხოვრობდნენ. ნაწილი, უზბეკეთიდან განდევნის შემდეგ, 20 წელი ცხოვრობდა უფლებების გარეშე რუსეთში, კრასნოდარის მხარეში. 2006 წელს ლტოლვილის სტატუსით ამერიკამ მისცა თავშესაფარი.

კვლევა ჩატარდა კარნეგის ფონდის სტიპენდიის ფარგლებში 2012 წლის გაზაფხულ-ზაფხულში საქართველოსა და ამერიკაში. ამერიკაში, პენსილვანიის შტატის ქალაქებში – ლანკასტერსა და ფილადელფიაში, ხოლო საქართველოში – ახალციხის რაიონის სოფელ აბას-

თუმანში. ვინაიდან ეს იყო შედარებითი კვლევა ორი განსხვავებული გარემოს გავლენის შესახებ, შედარებისთვის კვლევის პროცესში რესპონდენტებად შერჩეული იყვნენ ადამიანები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს, 2005-2006 წლებში დასახლდნენ ამერიკასა და საქართველოში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30 მუსლიმმა მესხმა ამერიკაში და 19-მა საქართველოში, რადგანაც საქართველოში ამ წლებში ჩამოსახლებული ოჯახებიდან დარჩენილნი იყვნენ მხოლოდ ისინი.

კვლევის მიზანი იყო განგვეხილა ასიმილაციის და სეპარაციის პროცესი; რა ხელშემწყობი პირობებია ორივე ქვეყანაში ინტეგრაციის პროცესისათვის, რა პროგრამები აქვს შემუშავებული სახელმწიფოს.

კვლევაში ნაჩვენებია როგორ მიმდინარეობს ადაპტაციის პროცესი ამ დასახლებულ ადგილებში, ინტეგრაციას თვალსაზრისით; რა შეიცვალა ამ პერიოდში მათ ცხოვრებაში, რამდენად ენდობიან ისინი გარემოს, რამდენად ბედნიერად გრძნობენ თავს, რა არის მათთვის სამშობლო და რა შეიცვალა მათი იდენტიფიკაციის პროცესში.

1. შესავალი

სოციალური გარემო გავლენას ახდენს ადამიანზე, მის თავისებურებებზე, წეს-ჩვეულებაზე და გარკვეულწილად ცვლის მას. ახალი გარემოს სოციალურ-კულტურული ღირებულებები შესაძლებელია დროთა განმავლობაში წამყვანი გახდეს ამ ადამიანისთვის. არსებული კვლევები ადასტურებს, რომ ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაზე, როგორიც მაჰმადიანი მესხების საზოგადოებაა[1] (Pentikäinen, O. and Trier, T.2004), მიუხედავად მათი ტრადიციების და წლების განმავლობაში გამჯდარი წეს-ჩვეულებებისა, შესაძლებელია განსხვავებულმა გარემომ იქონიოს ზეგავლენა; ეს ზეგავლენა აისახოს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და დამოკიდებულებებზე.[2] თუმცა, ასევე ცნობილია, რომ ცვალებადობას გარკვეული დრო სჭირდება და ცვალებადობაც დრო-

[1] **Pentikäinen, O. & Trier**, T. (2004). Between Integration and Resettlement: The Meskhetian Turks. ECMI Working Paper # 21.

[2] **Koriouchkina, E**.(2011). Contingent Ethnicity in State(s) of Change: The Journey of Meskhetian Turks from the USSR to the Post-Soviet World. A Dissertation Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Doctor of Philosophy in the Department of Anthropology at Brown University Providence, Rhode Island.

ის და იმ სოციალური გარემოს გავლენით ხდება, სადაც ეს ხალხი, ეს საზოგადოება ცხოვრობს.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, რეპატრირებული მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა ქართველია. მათ 3 საუკუნე მოუწიათ ოტომანთა იმპერიის ბატონობის ქვეშ ყოფნა, შესაბამისად, შეიცვალა მათი ყოფა, რელიგია და ენა. [3]

მაჰმადიანი მესხები (სამეცნიერო წყაროებში ხშირად მოიხსენიება, როგორც თურქი მესხები) არიან მესხეთიდან 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინის მმართველობის პერიოდში დეპორტირებული მუსლიმი მოსახლეობა. სამცხის 220 სოფლიდან 120 ათასამდე ადამიანი შეკრიბეს და სასაქონლე ვაგონებით ერთ დღეში მასობრივად გაამგზავრეს ცენტრალურ აზიაში, სადაც წლებია ცხოვრობენ დეპორტაციაში. დღეს ისინი გაფანტულები არიან: ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხოლო ნაწილი აშშ-ის მთავრობამ, როგორც ლტოლვილები, მიიღო და კრასნოდარის მხარიდან გადავიდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში.

2004-2006 წლების მცირე ერების საკითხების ევროპული ცენტრის კვლევის საფუძველზე (ECMI) შეიძლება ითქვას, რომ მაჰმადიანი მესხების ნაწილი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები შეიცვალა, მაგრამ ნაწილი შემორჩენილი აქვთ ერთნაირად ყველა ქვეყანაში, სადაც მათ მოუწიათ ცხოვრება, ეს არის ქორწინება თავისი რიტუალით და დაკრძალვა[4] (Pentikäinen,O. and Trier, T.2004).

საკითხის დასმა

მეცნიერული ინტერესი მუსულმანი მესხების ინტეგრაციის საკითხისადმი განაპირობა ამ საოზგადოების დახურულობამ. მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში რეპატრირებული მაჰმადიანი მესხები როგორც ოზურგეთში, ასევე სამტრედიაში უკვე 30 წელზე მეტია

---

[3] ნათმელაძე, მ. (2002) დემოგრაფიული პროცესები საქართველოს XX საუკუნის ორმოციან წლებში (Demographic Processes in the 1940's in Georgia).თბილისი: მეცნიერება; ნოზაძე, ვ. (1989). საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო (The Fight for the Revival of Georgia and the Meskhetian Issue). თბილისი, თეატრის მუშაკთა კავშირი. Bugai, N. (1994). Турки из Месхетии: долгий путь к реабилитации (Turk from Meskheti: a Long Way to Rehabilitation). Moskva.Ross.

[4] **Pentikäinen, O. & Trier**, T. (2004). Between Integration and Resettlement: The Meskhetian Turks. ECMI Working Paper # 21.

ცხოვრობენ, მათი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან დღემდე პრობლემას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს, როცა საქართველოს აქვს ვალდებულება ევროსაბჭოს წინაშე. 2007 წელს მიღებულია კანონი დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ, რომელიც 2012 წელს შევიდა ძალაში.

საინტერესოა კვლევა ინტეგრაციის პროცესის განსხვავებულობისა, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ორ სახელმწიფოში; რა მსგავსება და განსხვავება შეიძლება იყოს საქართველოსა და ამერიკაში. საქართველო მათი სამშობლოა, ხოლო ამერიკა – მათი მასპინძელი; რა უწყობს და უშლის ხელს ინტეგრაციის პროცესს და როგორ აისახება ეს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, წეს-ჩვეულებებზე.

თეორიული მიმოხილვა

მილტონ გორდონის (Milton Gordon's Assimilation Model[5]) ასიმილაციის მოდელი განიხილავს საზოგადოების ახალ გარემოში ასიმილაციას (საკუთარივით შეთვისება ან მიერთება). სოციოლოგიაში ეს ტერმინი გამოიყენება მაშინ, როდესაც წარსულისა თუ იდენტობის თვალსაზრისით სრულიად შეუსაბამო ჯგუფები ან ინდივიდები იქცევიან ერთგვაროვან, ერთი იდენტობის მატარებელ ჯგუფად.[6] შევეცადე ამ კლასიფიკაციის მიხედვით გამეანალიზებინა მაჰმადიანი მესხების ახალ გარემოში ცხოვრების პროცესი. მილტონ გორდონი[7] გამოყოფს ასიმილაციის 7 ფაზას: 1) ქცევითი ასიმილაცია (აკულტურაცია); 2) კულტურული ასიმილაცია; 3) იდენტიფიკაციური ასიმილაცია; 4) ოჯახური – საქორწინო ასიმილაცია; 5) ატიტუდების (დამოკიდებულებების) აღქმითი ასიმილაცია; 6) ქცევით-აღქმითი ასიმილაცია; 7) სამოქალაქო (საზოგადოებრივი) ასიმილაცია.

ქცევითი ასიმილაცია, ანუ აკულტურაცია, მოიცავს 4 საფეხურს: 1) ინტეგრაცია – კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე; 2) განვითარება – დაინტერესება – ჩართვა მხოლოდ კულტურული პიროვნულობის შენარჩუნებით; 3)

---

[5] **Gordon, M. M.** (1964). Assimilation in American Life. The Role of Race, Religion, and National Origins. New York: Oxford University Press

[6] ჯავახიშვილი, ჯ. სარჯველაძე , ნ. (2007) ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა [მეთოდური სახელმძღვანელო], ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი. თბილისი.

[7] **Gordon, M. M.** (1964). Assimilation in American life. The Role of Race, Religion, and National Origins. New York: Oxford University Pres

სეპარაცია – გამოყოფა ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობით – იდენტურობით დაინტერესება; 4) მარგინალიზაცია – სოციალური იზოლირება – ნაკლები ინტერესი გარემოს მიმართ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გამო. ამის მაგალითად შეიძლება ამიშები[8] ჩაითვალოს, რომელთა მეზობლადაც მუსლიმი მესხები ცხოვრობენ ლანკასტერში.

ამ საკითხის კვლევა ძალიან რთული იყო. კვლევის პროცესში გამოვყავი ის საკითხები, რომლებიც ქცევით ასიმილაციას – აკულტურაციას შეიძლება ახასიათებდეს. მონაცემები მიღებულია დაკვირვებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე.

მაჰმადიანი მესხებისთვის დამახასიათებელია ცხოვრება არა ნუკლეარულ, არამედ გაფართოებულ ოჯახად, როცა სხვადასხვა თაობა ცხოვრობს ერთად. ოჯახში ფუნქციები განაწილებულია პარსონსის ფუნქციონალური მიდგომის მიხედვით[9] (Parsons, T., & Bales, R. F. (1955) – ქალურ და მამაკაცურ ფუნქციებად. ასე რომ, ტრადიციულ მაჰმადიან მესხურ ოჯახში ინსტრუმენტულ ფუნქციას ასრულებს მამაკაცი, ხოლო ქალს ევალება ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა.

მუსლიმი მესხების ოჯახების შექმნა მშობლების აქტიური მონაწილეობით ხდება, დედამთილი მთავარი ფიგურაა შვილების მეორე ნახევრის შერჩევისას. ამ ფაქტს მაჰმადიანი მესხები კანონზომიერად მიიჩნევენ და თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ტრადიციების შესაბამისად მშობლების ამ პროცესში ჩარევა. მაჰმადიანი მესხისთვის ოჯახის შექმნისას ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ ოჯახი მან მხოლოდ მაჰმადიან მესხთან უნდა შექმნას, სხვა ტიპის ოჯახებს ისინი არ მიესალმებიან.

განათლებასთან დაკავშირებით ზოგადი დამოკიდებულება, როგორც კვლევებმა[10] აჩვენა, გენდერულად სეგრეგირებულია, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში უკვე 30 წლის ცხოვრების მიუხედავად,

---

[8] **ამიშები** – საკმაოდ მცირერიცხოვანი რელიგიური სექტა. ამიშები წარმოადგენდნენ *მენონიტების* რელიგიური საზოგადოებრივი ჯგუფის ერთ-ერთ განშტოებას, რომლის მიმდევრებიც გამოირჩევიან უჩვეულო ჩაცმულობით, მარტივი ცხოვრების წესით და ყოველგვარი ტექნოლოგიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით.

[9] **Parsons, T., & Bales, R. F**. (1955). Family, Socialization and Interaction Process. Glencoe, IL: Free Press.

[10] **Trier, T. & Khanzhin, A**. (2007). The Meskhetian Turks at Crossroads - Integration, Repatriation or Resettlement - ICMI Caucasus.

მუსლიმი მესხი კაცები თვლიან, რომ ქალის განათლება არაა მნიშვნელოვანი, მათთვის 4 კლასიც კი საკმარისია: – „იცოდეს ანგარიში და წერა-კითხვა, მეტი რა საჭიროა“ – 57 წლის მაჰმადიანი მესხი მამაკაცი საქართველოში.

ენა – მაჰმადიანი მესხების საყოფაცხოვრებო ენა არის თურქული, ისინი ლაპარაკობენ თურქული ენის ანატოლიურ დიალექტზე, რომელსაც „მესხურად“ მოიხსენიებენ. გასახლებამდე საბჭოთა ხელისუფლებამ გასაბჭოების შემდეგ, მათთვის, როგორც არაქართულად მოლაპარაკე ადამიანებისთვის, გახსნა აზერბაიჯანული სკოლები და, შესაბამისად, მხოლოდ ნაწილისთვის იყო ხელმისაწვდომი ქართული, იმ ნაწილისთვის, რომლებიც ქართულად მოლაპარაკე სოფლებთან იყოფდნენ სკოლას. მათი გადასახლების შემდეგ ყველა მათგანმა, ვინც საშუალო და შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო (საბჭოთა პერიოდში განათლება ყველასთვის აუცილებელი იყო), შეითვისა ის ენა, რომელ საბჭოთა რესპუბლიკაშიც მოუწია ცხოვრება: უზბეკური, ყირგიზული, ყაზახური და რუსული, როგორც ინტერნაციონალური ენა. ქართული პასიურად დარჩა, მხოლოდ დეპორტირებულთა პირველი თაობისთვის იყო ნაცნობი და ახლობელი. სხვა თაობები დეპორტაციაში, კომუნიკაციის პროცესში თურქულის ანატოლიურ დიალექტს იყენებდნენ, როგორც საშინაო ენას, როგორც ისინი თვლიან „სამშობლოდან წამოღებული მესხური“, რომელსაც შენარჩუნება სჭირდებოდა.[11] დეპორტაციაში მაჰმადიან მესხებს 1944 წლიდან 1980-იან წლებამდე მოუწიათ ცხოვრება. ზოგიერთი დღესაც ცხოვრობს სხვა ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნება ბევრ პრობლემასთან იყო და არის დაკავშირებული. მათთვის თურქული იქცა მშობლიურ ენად და ამიტომაც ამბობენ, რომ მათი სამშობლო საქართველოა, მაგრამ მშობლიური ენა „მესხური“ თურქული.

დეპორტირებულთა შორის არის ე.წ. „ქართული“ ორიენტაციის (ისინი, ვინც საკუთარ თავს ძირძველ ქართველად თვლიან) და „თურქული“ ორიენტაციის (ისინი, ვინც თავს დიდი თურქი ხალხის შთამომავლად თვლიან) მოსახლეობა. როგორც კვლევამ აჩვენა, იდენტიფიკაციის და სამშობლოს შესახებ დასმულმა კითხვებმა განსხვავებული შედეგები მოგვცა ამ ორ ქვეყანაში.

[11] **Trier, T. & Khanzhin, A**. (2007). The Meskhetian Turks at Crossroads – Integration, Repatriation or Resettlement - ICMI Caucasus.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო შესწავლა იმისა, რა გავლენა იქონია ახალმა, სრულიად განსხვავებულმა გარემომ იმ ადამიანების ცხოვრებაზე, რომლებმაც ბევრი რამ გამოიარეს დეპორტაციის შემდეგ. ამერიკაში მყოფი მაჰმადიანი მესხები 1944 წლის დეპორტაციის შემდეგ, 1989 წელს უზბეკეთში, ფერგანაში განვითარებული მოვლენების გამო, ფერგანიდან რუსეთში გადასახლდნენ. სამშობლოში დაბრუნების შანსს და რუსეთში ცხოვრებისას ადამიანურ უფლებებს მოკლებულები, 2006 წელს, როგორც ლტოლვილები, კრასნოდარის მხარიდან საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდნენ. კვლევაში მონაწილე მაჰმადიანმა მესხებმა საკუთარი ხარჯებით მოახერხეს საქართველოში დაბრუნება, სადაც („ვატანში", როგორც ისინი მოიხსენიებენ სამშობლოს თურქულად) ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი რეპატრიაციის შესახებ.

საკითხები

✓ რამდენად იღებენ იმ წესებს, რომელიც საყოველთაოა მათ საცხოვრებელ გარემოში; რას იღებენ და რას არა და რითი განსხვავდება ეს ცვალებადობა ორ ქვეყანაში;

✓ შეცვალა თუ არა ახალმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა და ახალმა სოციალურმა გარემომ ამ ადამიანების ცხოვრების სტილი.

✓ რა არის მათთვის სამშობლო და როგორია მათი იდენტიფიკაცია.

გამოვყავი რამდენიმე საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია და შევეცადე სიღრმისეული ინტერვიუებით გამეანალიზებინა და მენახა მსგავსება და განსხვავება.

2. კვლევის დიზაინი

კვლევაში განხილულია ამერიკაში პენსილვანიის შტატში (ლანკასტერსა და ფილადელფიაში) 2006 წლიდან მცხოვრები მუსლიმი მესხებისა და საქართველოში (აბასთუმანში) 2006 წელს თვითდინებით ჩამოსული მესხების ინტერვიუების საფუძველზე მოცემული ანალიზი.

3. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ამერიკაში, პენსილვანიის შტატში, ლანკასტერსა და ფილადელფიაში მცხოვრებმა 30 მაჰმადიანმა მესხმა (18 ქალი და 12 მამაკაცი), ასევე საქართველოში, ახალციხის რაიონში, აბასთუმანში მცხოვრებმა 19 რესპონდენტმა (14 ქალი და 5 მამაკაცი).

4. მეთოდები

- სამაგიდო კვლევა – კვლევის პროცესში გავეცანი და გავაანალიზე მაჰმადიანი მესხების მიგრაციის საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- საველე კვლევა – ჩატარდა საქართველოსა და ამერიკაში სიღრმისეული ინტერვიუს და შემდეგი ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენებით:
  - ✓ 20 მტკიცების ტესტი (Kuhn)
  - ✓ ოქსფორდის ბედნიერების კითხვარი (Hills and Argyle)
  - ✓ ზოგადი ნდობის კითხვარი
  - ✓ ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალა

5. ემპირიული კვლევა

5.1 განათლება და ადგილობრივი ენა

აშშ – მაჰმადიან მესხებს ჩამოსვლისას სხვადასხვა ორგანიზაცია მასპინძლობდა. თავიდანვე შესთავაზეს 8-6 თვიანი ენის სასწავლო კურსები, მაგრამ ყველამ ვერ გაიარა ეს კურსები, რადგან ისინი ჩამოსვლისთანავე სამსახურს ეძებდნენ, რომ დროზე გადასულიყვნენ საცხოვრებლად თავიანთთვის, თავიანთ ოჯახთან. რადგანაც გადასვლისას ოჯახები განაწილდა ნუკლეარულ ოჯახებად, ზრდასრული შვილები სხვა ქალაქში და სხვა შტატში გაუშვეს საცხოვრებლად და, შესაბამისად, მათი ცხოვრების სტილი, მთელი ოჯახის ერთად ცხოვრებისა, დარღვეული იყო. ამიტომაც მამაკაცები სასწრაფოდ ცდილობდნენ სამსახური ეშოვათ, რომ, რაც შეიძლება მალე შეძლებოდათ ოჯახების გაერთიანება. ამის შესაძლებლობა იყო, რადგანაც ფილადელფიაშიც და ლანკასტერშიც დიდია პოსტსაბჭოთა სივრციდან გადასული ადამიანების რაოდენობა და რუსული ენის ფლობით ისინი ახერხებდნენ სამსახურების შოვნას. ამის გამო, ადგილობრივი ენის შეთვისება სათანადოდ ვერ მოახერხეს. მოგვიანებით ისინი გადამზიდავ მანქანებზე დასხდნენ მძღოლებად. ეს სამუშაო ვერ უწყობს ხელს ენის სწავლას, რადგანაც აქ კომუნიკაცია ბევრად ნაკლებია გარე სამყაროსთან, ვიდრე მაღაზიაში ან საცხობში მუშაობისას. ქალები ბევრად უფრო კარგად მეტყველებენ ინგლისურად, ვიდრე მამაკაცები. ქალები კურსებზე ბეჯითად მეცადინეობდნენ და სამსახურებიც ისე-

თი ქონდათ, სადაც საჭირო იყო ურთიერთობა და კომუნიკაცია, ამიტომ მათ პრაქტიკაში უკეთ და ადვილად აითვისეს ინგლისური ენა. შვილებს დახმარება სჭირდებათ სწავლაში და ამაშიც ქალები აქტიურად არიან ჩართულები. სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია, გადასახადებთან დაკავშირებული ქვითრები, რომლებიც თვის ან წლის ბოლოს მოდის, „ქალების კისერზეა". ისინი აკონტროლებენ, ავსებენ, იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაციის მოწესრიგებით არიან დაკავებულები და წარმატებითაც ართმევენ თავს.

ასევე ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამერიკაში მცხოვრები მაჰმადიანი მესხები ცდილობენ ქალების განათლების ხელშეწყობას, მამებიც და ქმრებიც მონდომებულები არიან გოგოები დააფინანსონ კოლეჯში, სასწავლებელში, ასწავლონ მანქანის მართვა, ამიტომაც ქალები უფრო დამოუკიდებლები არიან.

ენას რაც შეეხება, ცდილობენ სახლში თურქულად ილაპარაკონ, რომ ბავშვებს არ დაავიწყდეთ და იცოდნენ ეს ენა. ტელევიზორში უფროსები ინფორმაციას თურქეთის ტელევიზიით უსმენენ, ასევე თურქულ სერიალებს უყურებენ, თუმცა ბავშვები ამერიკული მულტფილმების და სათავგადასავლო ფილმების ყურებას არჩევენ. უფროსი თაობა ცდილობს, რომ სკოლის მოსწავლეებსაც სახლში თურქულად ელაპარაკონ და ითხოვენ ერთმანეთში კომუნიკაცია თურქულად ჰქონდეთ, მაგრამ, თუ სახლში უფროსი თაობა არ არის, ან არის, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდა დედაა, მაშინ ისინი ცდილობენ ინგლისურად ილაპარაკონ ენის გასავარჯიშებლად.

საქართველო – რაც შეეხება ენის კურსებს საქართველოში, ახალჩამოსულ მაჰმადიან მესხებს დიდი დახმარება გაუწია ა/ო „ტოლერანტმა", რომელიც დღემდე სთავაზობს ახალჩამოსულ მესხებს ენის შემსწავლელ კურსებს. ეს მაჰმადიანი მესხების ის ნაწილია, რომლებიც აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ და ახლა, ფინანსური საშუალების გამო, მშობლების სურვილს ასრულებენ და მათთან ერთად ბრუნდებიან თავისი სახსრებით საქართველოში. სასაუბრო ქართული ენის პრობლემა საქართველოში მწვავედ დგას, იმ განსხვავებით, რომ აქ ქალები საერთოდ ვერ ლაპარაკობენ ადგილობრივ, ქართულ ენაზე. გამონაკლისი ის ოჯახებია, სადაც სამტრედიელი ან ოზურგეთელი ცოლები ყავთ, ანუ ის ქალები, რომელთა მშობლები რეპატრიაციის პირველი ტალღის დროს მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში დაბრუნდნენ საქართველოში. მათ სკოლაში 6 კლასი ქართულად აქვთ გავლი-

ლი, რაც ხელს უწყობთ გარემოსთან ურთიერთობაში ქართულად და შვილებსაც ეხმარებიან სწავლაში. სხვები ძირითადად თურქულად ან, საუკეთესო შემთხვევაში, რუსულად ურთიერთობენ გარემოსთან. საქართველოში ყველა მაჰმადიან მესხს სახლში აქვს სატელიტური ანტენა, რომლითაც ისინი თურქულ არხებს უყურებენ. მამაკაცები უმეტესად თურქულ ორგანიზაციებში მუშაობენ, ისინი ძირითადად გასულები არიან სახლიდან; საოჯახო მეურნეობას – ბოსტანი, საქონელი ქალი უძღვება. კომუნიკაცია მეზობლებთანაც შეზღუდული აქვთ ენის არცოდნის გამო.

5.2 ოჯახის შექმნა

აშშ – მაჰმადიანი მესხების ოჯახის შექმნის თავისებურმა წესებმა ცვლილებები განიცადა როგორც ამერიკაში, ასევე საქართველოში.

ამერიკაში ეს წესები განსაკუთრებულად არის მოდიფიცირებული. შეიცვალა ის, როცა მშობლები ფაქტის წინაშე აყენებდნენ და ქორწინების დღეს აცნობდნენ ერთმანეთს ნეფე-დედოფალს. „ნიშანი“ – ანუ დანიშვნა ზუსტად ისევეა, როგორც სხვა დროს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ გოგოს თანხმობის შემდეგ შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს.

ინტერნეტმა და უახლესმა ტექნოლოგიებმა ეს ყველაფერი შეცვალა. შესაძლებელია დედამთილმა მომავალი სარძლო შეათვალიეროს, მაგრამ შემდეგ პროცესში ერთვება ინტერნეტი: „სკაიპი“ ან „ოდნოკლასნიკები“ და ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობიან, ელაპარაკებიან ვირტუალურად და დისტანციურად. გარკვეული დროის შემდეგ უთანხმდებიან მშობლებს და იმართება „ნიშანი“ – ნიშნობა.

არის სხვა შემთხვევებიც, როცა ასეთი სოციალური ქსელებით თვითონ ეძებენ, მშობლების დახმარებისა ან სურვილის გარეშე, ერთმანეთს; თუ მოეწონებათ, საუბრობენ, ხანდახან ხვდებიან კიდევაც ჩუმად და შემდეგ ფაქტის წინაშე აყენებენ მშობლებს. მაგრამ ოჯახის როლი დღემდე ძალიან დიდია. მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ ოჯახს არ მოსწონს მეორე ოჯახი (ქალის, ან ვაჟის), შესაძლებელია ეს ამბავი ჩაიშალოს.

საქართველო – საქართველოში ჩამოსული მაჰმადიანი მესხები ძირითადად აზერბაიჯანიდან არიან, სადაც დღემდე მუშაობს დაოჯახების ძველი წესები. თუმცა, როგორც ჩემი ინფორმანტი ამბობს, წესები აქაც შეიცვალა და დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ინტერნეტს, მაგრამ ამერიკასთან შედარებით აქ ქალებს თავისი სიტყვა

ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც არ ეთქმით ისე, როგორც ეს ამერიკაშია. უნდა აღინიშნოს, რომ შენარჩუნებულია მათი ქორწინების მთავარი მოთხოვნა – ქორწინება მხოლოდ მაჰმადიან მესხთან. იშვიათი გამონაკლისია, როცა ისინი ქორწინდებიან სხვა ეროვნების მოქალაქეებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ გარემო და ტექნოლოგიური პროგრესი გავლენას ახდენს მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე, თუმცა, არცთუ ისე ძლიერად საქართველოში, როგორც ამერიკაში.

5.3 იდენტიფიკაცია

საქართველო და ქართული გვარები

აშშ – საკუთარი წარმოშობის შესახებ მაჰმადიანმა მესხებმა კარგად იციან. საიდან, რომელი სოფლიდანაა დეპორტირებული მათი ოჯახი 1944 წელს, ძველმა თაობამ იცის, ხოლო ახალგაზრდა თაობამ, როგორც რესპონდენტების ინტერვიუებიდან ჩანს, – ნაკლებად. უბრალოდ იციან, რომ საქართველოდან არიან მათი წინაპრები და ახალციხის შესახებ გაუგიათ, ხოლო ეს სად მდებარეობს, – ნაკლებად. მიუხედავად ინტერნეტის ძალიან დიდი შესაძლებლობისა, ცნობების მოპოვება ამის შესახებ არც აინტერესებთ. „საქართველოდან რომ არიან ვიცი, მაგრამ, კერძოდ, საიდან და რა ქვია ამ მხარეს, წარმოდგენა არ მაქვს“ – 22 წლის გოგონა. არ მოსწონთ, როცა მათ მუსლიმ მესხებად მოიხსენიებ, ისევე, როგორც თურქ მესხად. „თურქ მესხებს ჩვენ რუსები გვეძახდნენ რუსეთში, ჩვენ „ახიცხა თურქები“ ვართ“ – 52 წლის ქალი. „ჩვენ თურქები ვართ არა თურქეთიდან, არამედ ახიცხა თურქები“ – 26 წლის გოგონა, 25 წლის ვაჟი. მათ უმრავლესობას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ახიცხა“ – ახალციხეა და მესხეთის, საქართველოს ძირძველი მხარის ცენტრია, არა აქვთ.

ამერიკის მოქალაქეობის მიღებასთან ერთად ცდილობენ გამოიცვალონ ქართული გვარები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ქართველებმა ძალით „მიანიჭეს“ გადასახლების დროს. „ეს გვარები ჩვენ ქართველებმა მოგვცეს გასახლებისას და მას შემდეგ დაგვრჩა“ – 19 წლის ვაჟი. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ასევე საკუთარი წარმოშობის შესახებ: – „თურქები ვართ, ჩემს წინაპრებში ქართული გვარი არავის ქონია“ – ამბობს 21 წლის ვაჟი. მის ბებიასთან საუბრისას კი ირკვევა, რომ მათი გვარი „პაპალაძეა“. ახალგაზრდები ამერიკის მოქალაქეობის მიღებასთან ერთად გვარებს იცვლიან თურქული დაბოლოებით,

მაგალითად, მურად ოგლუ ხდება, ამით ბაბუის სახელის უკვდავყოფას ცდილობს, ზოგს კი იმის ხაზგასმა უნდა, რომ ის „ახიცხა“ თურქია – მისი გვარი ახიცხალარით იცვლება და ა. შ.

საქართველო – საქართველოში დაბრუნებულმა მაჰმადიანი მესხების ნაწილმა არ იცის მისი გვარი, ნაწილს აქვს ქართული გვარი, რადგან ქართულ არქივებში იპოვეს. იდენტიფიკაცია განსხვავებული აქვთ, კერძოდ, ისინი, ვინც ქართულად ლაპარაკობენ, თვლიან, რომ საქართველო მათი სამშობლოა და ისინი ქართველები, ძირძველი ქართველები არიან. ხოლო ისინი, ძირითადად, ქალები, რომლებიც ქართულს ვერ ფლობენ, ამბობენ, რომ ისინი „ახიცხა თურქები“ არიან. ჩემთან საუბრისას იმეორებენ, რომ თურქები არიან, თუმცა არა თურქები ახალციხიდან, არამედ „ახიცხა“ თურქები. ჩემს რესპონდენტებს არ შეუძლიათ ახსნან რას ნიშნავს ეს. 2006 წელს ახალციხის რაიონში ჩამოსახლებული მოსახლეობა ძალიან განსხვავებულია იმათგან, ვინც იანეთში და ნასაკირალში ცხოვრობს, რომლებიც 1980 წლებში არიან საქართველოში დაბრუნებულები. ისინი ამბობენ, რომ მათი საქართველოში დაბრუნების ძირითადი მოტივი მათი შვილების ქართულ გარემოში ქართველებად აღზრდა იყო, ამისთვის მათ ყველაფერი გააკეთეს თავის დროზე.

მეორენი ამბობენ, რომ ისინი ძირძველი ქართველები არიან და არ მოსწონთ, რომ ამ ქვეყანაში იდენტიფიკაცია არა ეროვნების, არამედ რელიგიის მიხედვით ხდება. „ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ადამიანების ეროვნება რელიგიით განისაზღვრება, თუ მე არ ვარ მართლმადიდებელი, რატომ არ შეიძლება ვიყო ქართველი?“ – 45 წლის მამაკაცი. გარემოს გავლენა ამ მხრივაც განსხვავებულად იგრძნობა საქართველოსა და ამერიკაში.

5.4 სამშობლო

აშშ – სამშობლოს დეფინიცია არაერთგვაროვანია. ხანშესული ადამიანები სამშობლოდ საქართველოს ასახელებენ, უფრო ახალგაზრდები კი ამბობენ, რომ არ იციან სად არის მათი სამშობლო: „სამშობლო ხომ ის ადგილია, სადაც დაიბადე. მე უზბეკეთში დავიბადე, იქ ვცხოვრობდი, მერე კრასნოდარში ვცხოვრობდი 24 წელი და ახლა ამერიკაში ვარ, მითხარი სადაა ჩემი სამშობლო?“ – 34 წლის მამაკაცი. „მე უზბეკეთში დავიბადე და იქაურობა თბილად და ტკბილად მახსოვს. ჩვენები ამბობენ, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა. მე თვა-

ლით არ მინახავს და ვერაფერს გეტყვი, ჩემთვის უზბეკეთია ჩემი სამშობლო“ – 48 წლის ქალი. „მე მგონი სამშობლო იქ არის, სადაც კარგად გრძნობ თავს შენ, შენი ოჯახი და შენი შვილები, მე ამერიკამ მომცა ყველაფერი და ჩემი სამშობლო ამერიკაა“ – 32 წლის ქალი. „მე თურქი ვარ, უზბეკეთში დავიბადე, ვცხოვრობდი კრასნოდარში. ამბობენ, ჩემი სამშობლო საქართველოა, მაგრამ ამერიკის მოქალაქე ვარ, მე სამშობლო არ მაქვს. შეგიძლია შენ მითხრა, სად არის ჩემი სამშობლო? მე არ ვიცი“ – 19 წლის ვაჟი.

საქართველო – აქაც ორ ნაწილად იყოფა სამშობლოს ცნება. ერთნი ამბობენ, რომ ეს არის „ვატანი“ – სამშობლო – საქართველო და ამიტომაც უნდოდათ უკან დაბრუნება, მეორენი კი ამბობენ, რომ ეს მშობლების სამშობლოა და ამიტომაც დაბრუნდნენ აქ.

6. დასკვნა

კვლევის მიზანი იყო დაედგინა განსხვავებულობა მაჰმადიანი მესხების ადაპტაციისა იმ გარემოში, სადაც ისინი ცხოვრობენ; რა გზებით ახერხებენ ისინი გარემოსთან მორგებას, რას ინარჩუნებენ და რას ცვლიან თავიანთ ქცევებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანი მესხების ისტორიული წარსული დიდ გავლენას ახდენს ახალ გარემოში მათ ცხოვრებაზე, რაც სხვადასხვანაირად აისახება და გამოიხატება ცვალებადობაშიც და ტრადიციების შენარჩუნებაშიც. განსხვავებული გარემო განსხვავებულად აისახება მათ ცხოვრებაზე. 6 წელი არ არის დიდი დრო ასიმილაციის პროცესისთვის, თუმცა, აკულტურაციის – ქცევითი ასიმილაციის შესახებ ინფორმანტებთან საუბრის შემდეგ შეიძლება ითქვას შემდეგი: ამერიკაში ინტეგრაციის პროცესები უფრო შეიმჩნევა. ახალი გარემოს გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები მაჰმადიანი მესხების ცხოვრებაზე: – შეცვლილია ურთიერთობები მეუღლეებს შორის; შესამჩნევია სტერეოტიპების ნგრევა გარემოს გავლენით, რაც გამოიხატება ამერიკაში მცხოვრები მაჰმადიანი მესხების განსხვავებულ დამოკიდებულებებში სხვადასხვა საკითხის მიმართ, კერძოდ, ქალების სწავლასთან და საზოგადოებრივ აქტივობასთან; ოჯახის შექმნის დროს იგრძნობა ქალის, როგორც მხარის, მეტი ჩართულობა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მესხებზე.

იდენტიფიკაციურ ასიმილაციას რაც შეეხება, – მუსლიმი მესხები ამერიკელებად თავს არ თვლიან. მათი იდენტიფიკაცია განსხვავებულია საქართველოსა და ამერიკაში. ახალი გარემო ვერ ცვლის ამ პროცესს, ვგულისხმობ იმას, რომ ნაწილი მაჰმადიანი მესხებისა საქართველოში თვლის, რომ ისინი ძირძველი ქართველები არიან, რომელთაც ენა ვერ შეინარჩუნეს და ვერც სარწმუნოება. სხვები თვლიან, კერძოდ, ლანკასტერში მცხოვრები მაჰმადიანი მესხები, რომ ისინი „ახიცხა“ თურქები არიან, – არა თურქები ისტორიული თურქეთიდან, არამედ „ახალციხელი თურქები“. ეს ჯგუფი კი არც თურქია და არც ქართველი. თუმცა, შესაძლებელია, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თაობების ცვალებადობასთან ერთად, ცვალებადობა მათაც შეეტყოთ, მაგრამ ალბათ ჯერ არ გასულა საკმარისი დრო, რომ თავი ამერიკელად იგრძნონ.

ოჯახური/საქორწინო ასიმილაცია/ ადგილობრივ მცხოვრებლებზე დაქორწინება – ამ მიმართულებითაც ბევრი არაფერი შეცვლილა. ეს ამ ხალხისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, მხოლოდ ერთეული შემთხვევაა ცნობილი, როცა ისინი სხვა ეროვნების ადამიანებთან ქმნიან ოჯახს. ისინი ოჯახის შესაქმნელად მხოლოდ მუსლიმ მესხებს ეძებენ. მონაცემები სოციალური დისტანციის ტესტიდან სწორედ ამას გვიჩვენებს, – მხოლოდ უმცირესობას აქვს გახსნილობა/ღიაობა სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ, ისიც შეზღუდულად და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით სიახლოვის დროს. სხვა შემთხვევაში რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ თავიანთ შვილებს მხოლოდ მაჰმადიან მესხებზე დააქორწინებენ, ეს კი გორდონის ასიმილაციის თეორიის ამ ნაწილს არ ემთხვევა. ეს არის დახურული ჯგუფი, რომელიც წლების განმავლობაში მხოლოდ ჯგუფის შიგნით ეძებს ოჯახში მეორე ნახევარს. ამ თვალსაზრისით ლონგიტუდური კვლევის გაგრძელება ძალიან საინტერესო იქნება.

გარემოსთან ურთიერთობა ძალზე დისტანციური აქვთ, ახალგაზრდა თაობა სკოლაში და კოლეჯში, როგორც ამბობენ, უმტკივნეულოდ ურთიერთობს, ხოლო მეზობლობაში, როგორც ჩვენი რესპონდენტები მოგვითხრობენ, ამერიკულად “Hi-Bay“-ის პრინციპით ცხოვრობენ;

სამოქალაქო (საზოგადოებრივი) ასიმილაცია – ნელ-ნელა ეს პროცესი იკიდებს ფეხს. მიუხედავად ყველაფრისა, გარემოს ცვლილება აისახა მაჰმადიანი მესხების ცხოვრებაზეც და მათ წეს-ჩვეულებებ-

ზეც. ამერიკაში მცხოვრები მუსლიმი მესხების ნაწილი უკვე მოქალაქეა, ნაწილი ელოდება მოქალაქეობას და მათ არ აქვთ გეგმაში ადგილმდებარეობის შეცვლა, ამიტომაც გარემოს მიერ ნაკარნახევი წესები ნელ-ნელა ინტერიორიზდება, რადგან ახალი გარემო ახალ წესებს გვთავაზობს და იმისთვის, რომ საზოგადოება მოერგოს და იცხოვროს ახალ გარემოში, უნდა მიიღოს კიდეც ეს წესები.

არსად, არც ერთ ქვეყანაში, სადაც მაჰმადიან მესხებს უცხოვრიათ გადასახლების შემდეგ, როგორც კვლევები ადასტურებენ, არ ყოფილან იმ საზოგადოების ნაწილი, ვისთან ერთადაც ცხოვრობდნენ. ახლა ასეა ამერიკასა და საქართველოშიც, რადგანაც მათ ქცევაში შესაძლებელია მხოლოდ ნაწილი იმ ჩამონათვალისა შეინიშნოს, რასაც გორდონი გვთავაზობს როგორც ასიმილაციის საზომს. მუსლიმი მესხები არ არიან ასიმილირებული, ინტეგრაციის პროცესი კი ნელ-ნელა მიმდინარეობს. ის დრო, რომელიც გავიდა მათი ადგილმდებარეობის შეცვლის შემდეგ, არ არის საკმარისი ასიმილაციისთვის, მაგრამ ინტეგრაციის პროცესი დაწყებულია.

ლიტერატურა:

1. **Baratashvili, M. (**1998) Legal State of Meskh repatriants in Georgia.Tbilisi.
2. **Bugai, N.** (1994) Турки из Месхетии: долгий путь к реабилитации (Turks from Meskheti: a Long Way to Rehabilitation) Москва, Россия.
3. **Gordon, M. M.** (1964). Assimilation in American life. The Role of Race, Religion, and National Origins. New York: Oxford University Press.
4. **Kang, S. M.** (2006). Measurement of Acculturation, Scale Formats, and Language Competence: Their Implications for Adjustment Journal of Cross-Cultural Psychology.
5. **Koriouchkina E.**(2011**)** Trinity College, 2000. A. M., Brown University, 2002. Contingent Ethnicity in State(s) of Change: The Journey of Meskhetian Turks from the USSR to the Post-Soviet World. Dissertation. Providence, Rhode Island.
6. **Koriouchkina, E & Swerdlow, S.** (2007). The Third Migration: Meskhetian Turks' Resettlement and Integration in the United States. In

Trier and Khanzhin (Eds), The Meskhetian Turks at a crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?

7. **Natmeladze, M.**(2002). დემოგრაფიული პროცესები საქართველოს XX საუკუნის ორმოციან წლებში (Demographic Processes in the 1940's in Georgia) Tbilisi, "Metsniereba".
8. **Pentikäinen, O. & Trier, T**. (2004). Between Integration and Resettlement: The Meskhetian Turks. ECMI Working Paper # 21.
9. **Proneli,** (1991) დიდებული მესხეთი (Glorious Meskheti) Tbilisi
10. **Rudmin, F. W**. (2003b). Critical History of the Acculturation Psychology of Assimilation, Separation, Integration, and Marginalization. Review of General Psychology.
11. **Sumbadze, N.** (2007). Back Home Again: The Repatriation and Integration of Meskhetian Muslims in Georgia Meskhetian Turks at a Croassroads – Integration, Repatriation or Resettlement- ICMI Caucasus.
12. **Trier, T. Khanzhin, A.** (2007). The Meskhetian Turks at Crossroads - Integration, Repatriation or Resettlement - ICMI Caucasus.

Ekaterine Pirtskhalava
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Integration process of Muslim Meskhetians in Georgia and in the USA

Resume

The Muslim Meskhetians (or "Meskhetian Turks") refer to a local population who historically lived in Samtskhe-Javakheti region of Georgia. In the early morning of November 15, 1944 – 92,307 persons from five administrative *rayons* (districts) of southern Georgia – Adigeni, Akhaltsikhe, Aspindza, Akhalkalaki and Bogdanovka (Ninotsminda) were deported to Central Asia (Kyrgyzstan, Kazakhstan and Uzbekistan) as a result of Stalin's social policy to clean the southern border of the Soviet Union from "undesirable peoples". The Muslim Meskhetians had to overcome many obstacles in order to return to their homeland. Only a small part was able to come back, a significant part still resides outside Georgia. Repatriation of Muslim Meskhetians to Georgia started

in 1977. In 1989, a violent conflict began in the Fergana Valley in Uzbekistan, after that they moved to Russia (mainly to *Krasnodarski Krai*). Despite living in Russia for several years, they did not have either Russian citizenship or passports. In 2006, the government of the US made a decision to give shelter to the Muslim Meskhetians.

Today, a repatriation of the Muslim Meskhetians to Georgia is on the agenda of the Georgian Government. Therefore, it is important to study the issues connected with the Muslim Meskhetians.

As a psychologist I was interested to study the closed and traditional society such as the Muslim Meskhetians and how different social environment can influence their lives.

This paper attempts to give an overview of some aspects of the Muslim Meskhetians' new life in Georgia and in the USA. It demonstrated the crucial role of social environment for the process of adaptation.

In-depth interviews were conducted with the Muslim Meskhetians living in the state of Pennsylvania, USA (cities of Lancaster and Philadelphia) and the Muslim Meskhetians living in the village of Abastumani, Georgia. Both groups migrated to these places in 2006. The interviews were carried out in 2012.

This article includes an analysis of the in-depth interviews and tests. A differing degree of adaptation in two different countries has been observed. It also presents Muslim Meskhetians' opinions about their homeland and the identification process in the new social environment.

მანანა შამილიშვილი

პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში

თანამედროვე ქართველი მწერლები თვითგამოხატვისთვის სულ უფრო ხშირად მიმართავენ ინტერნეტსივრცეს. ბლოგინგითა თუ ინტერნეტულ მასმედიაში მესვეტეობით ისინი საზოგადოებისათვის საჭირბოროტო თემების აქცენტირებას ახდენენ. მათ მიერ გამოყენებული მრავალგვარი სტილისტური ხერხიდან პოლიტიკურ სატირას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ტროპული სახე ძალზე აქტუალურია ქართულ ბლოგოსფეროში, რადგან მისი მეშვეობით მწერალი საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებებს დაუნდობლად ააშკარავებს. იგი მეტადრე პოლიტიკური ელიტის „გასამათრახებლად“ გამოიყენება. საერთოდ, მწერლის მდიდარ შემოქმედებით არსენალში სატირა, სარკაზმი, მოვლენების გროტესკული ასახვა და, ზოგჯერ, ინფერნალური სიცილიც კი, ეფექტური იარაღია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის.

ბლოგერობა მცირე ამბების თხრობას გავს და ელექტრონულ ჟურნალში ჩანაწერების, ე.წ. პოსტების სახითაა წარმოდგენილი. თუმცა, სამწერლო ბლოგინგი ცოტათი განსხვავებულია. მწერლების მიერ ბლოგებში განთავსებული მასალა თემატურადაც და ფორმის თვალსაზრისითაც ნაირგვარია. ბლოგი შეიძლება იყოს პერსონალური – იგივე საავტორო (მაგალითად: აკა მორჩილაძის, ზურაბ ქარუმიძის, ზაზა ბურჭულაძის, დავით ჩიხლაძის, ანა სამადაშვილ-კორძაიასი და სხვათა), რომელიც, ამავე დროს, ინტერნეტული მასმედიის (მაგ., ჟურნალების: „ლიბერალის“, „ცხელი შოკოლადის“, „ტაბულას“ ინტერნეტ-ვერსიები) ან მულტიმედიის კონტენტს წარმოადგენდეს; ან, კიდევ, ცალკე, პერსონალური ვებგვერდის სახით არსებობდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ კიბერსივრცეში მრავლად არიან წარმოდგენილნი პროფესიონალი ბლოგერები, ტრადიციულ მედიაში მუშაობის მდიდარი გამოცდილებით, რომლებიც ბლოგოსფეროშიც ასეთივე წარმატებით მოღვაწეობენ (ია ანთაძე, ნიკო ნერგაძე, გოგი გვახარია, გიგა ზედანია,

ზაალ ანდრონიკაშვილი და სხვები), გვხვდებიან პოლიტიკოსი ბლოგერებიც (მაგ.: კახა ბენდუქიძე, გია ნოდია, თეა წულუკიანი). ბევრი ბლოგერი ფსევდონიმით წერს. როგორც წესი, მათი ჩანაწერები რადიკალიზმით გამოირჩევა და ამ ავტორთა ვინაობა დაფარულია (მაგ.: სოლომონ თერნალელი, ალიოშა წერეთელი). როგორც უკვე ვახსენეთ, ხშირ შემთხვევაში, ბლოგერებად ცნობილი მწერლები გვევლინებიან. ამ სტატუსით კიბერსივრცეში მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება აქვთ ლაშა ბუღაძესა და ზურაბ ქარუმიძეს. სწორედ მათ ონლაინტექსტებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

უნდა შევნიშნოთ, რომ კიბერთაობელთა „შემოქმედების“ სპეციფიკისა და მათი წერილობითი პრაქტიკების შესახებ საუბარი დღეს არ დაწყებულა. სხვადასხვა დროს ახალყაიდის მწერალთა ხელწერის თავისებურებებზეც ითქვა (იმნაიშვილი 2011: 138-144). ჩვენც იმ ავტორთა შორის ვართ, ვინც ამ თემას ადრეც შეეხო. წერილში – “ქართული სამწერლო ბლოგინგის ზოგიერთი თავისებურების გამო“ – ვეცადეთ გაგვერკვია, რატომ მიმართავენ ბლოგინგს უკვე შემდგარი და სახელმოხვეჭილი მწერლები; პასუხი გაგვეცა კითხვაზე: რა არის ეს – ეპოქის გამოწვევაზე პასუხი, დროის ხარკი, მოდას აყოლა, თუ მხოლოდ მეტი პოპულარობის მოხვეჭის სურვილი (შამილიშვილი 2012: 76-91). ამჯერად კიბერმწერლობის შემოქმედებით სტრატეგიაზე, კერძოდ კი, პოლიტიკური სატირის მნიშვნელობაზე ვირჩევთ საუბარს.

ბლოგინგი „აქტა დიურნას“ გვაგონებს, რომაელები სენატის დადგენილებების გამოსაქვეყნებლად რომ იყენებდნენ, ანუ ერთგვარ „ინტერნეტდღიურს“, რომელშიც მწერალი-ბლოგერები სისტემატურად აკეთებენ „ჩანაწერებს“. ისინი პოლიტიკურ სატირას საზოგადოებისთვის საჭირბოროტო პრობლემათა აქტუალიზებისთვის მიმართავენ. ამგვარი ხელწერა მათ მიხაილ ბახტინისეული კარნავალიზებული ლიტერატურის, სერიოზულ-სასაცილო ჟანრის ტრადიციებთან აახლოვებს. „კარნავალური მსოფლგანცდა უზარმაზარი ცხოველმყოფელი გარდამქმნელი ძალითა და იშვიათი გამძლეობით ხასიათდება. ამიტომ ჩვენს დროშიც კი სერიოზულ-სასაცილო ტრადიციებთან თუნდაც შორეული კავშირის მქონე ჟანრები შეიცავენ იმ კარნავალურ საფუარს, რაც მათ განასხვავებს სხვა ჟანრებისგან. ისინი რაღაც სხვა ნიშნით არიან აღბეჭდილნი, რომლითაც მათ ადვილად ვცნობთ. მახვილი სმენა ყოველთვის გამოარჩევს კარნავალური მსოფლგანცდის თუნდაც ყველაზე შორეულ ექოს“ (ბახტინი 2010: 240).

ბახტინის ეს მოსაზრება ზედმიწევნით ესადაგება ზურაბ ქარუმიძის „ბლოგპოსტში“ ჩანაწერს, სახელწოდებით – „გამოგონების დედები“, რომელიც ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ონლაინვერსიაში 2012 წლის 18 იანვარს განთავსდა (ქარუმიძე 2012: 1). მასში ავტორი აქციის – „გაამაგრე გუდიაშვილი!“ ერთ-ერთი მონაწილის, მეძუძური დედის, ვინმე ნატალია ნებიერიძის ორიგინალურ პერფორმანსზე საუბრობს. პერფორმატორი პატარა ტუმბოს მეშვეობით ძუძუდან რძეს იწველიდა, პლასტმასის ერთჯერად ჭიქებში ასხამდა და პუბლიკას 50 თეთრად სთავაზობდა. ამ წარმოდგენას ბლოგერმა, ბახტინისეული გაგებით, კარნავალურ ქრონოტოპში გათამაშება უწოდა. ამით მან ქართველთათვის მისტიკური და საკრალური დედის ძუძუს კარნავალიზაცია ანუ დესაკრალიზაცია მოახდინა.

პოსტმოდერნისტი მწერლის მსოფლაღქმის პრიზმაში მოქცეული ეს კონკრეტული ფაქტი უფრო მეტის მანიშნებელია, ვიდრე ერთი რიგითი პერფორმანსი, თუნდაც ძალზე ეპატაჟური. ზ. ქარუმიძე თვლის, რომ ამ აქციით, რომელიც ახალგაზრდობის ნაწილმა გუდიაშვილის მოედანზე მშენებლობების წინააღმდეგ წამოიწყო, ხელახლა დაიბადა სამოქალაქო საზოგადოების იდეა. „შინაგანად თავისუფალი და ჯანსაღად ირონიული“ – ასე მოიხსენიებს იგი პროტესტანტების ჯგუფს. დამოწმებული თეორიით ახსნილი ეს „სიტუაციონალური ინვენცია“ ავტორს შემდეგი დასკვნის (ასევე კარნავალური პათოსის) საშუალებას აძლევს: გუდიაშვილის მოედანზე გათამაშდა პერფორმანსი – „საზოგადოების მკვებავი დედა, რომელიც ყიდის დემოკრატიის რძეს“. ამ აქციაში მკვებავი დედის საკრალურმა სიმბოლომ განიცადა მექანიზაცია (ტუმბო) და კომერციალიზაცია (ფასის დადება და გაყიდვა, როგორც ნიშანი იმისა, რომ დემოკრატია კაპიტალიზმის ელემენტების გარეშე არ არსებობს). სწორედ ამ გზით მოხდა მისი დესაკრალიზაცია. ხოლო ეს სცენა გათამაშდა იქ, სადაც ხდებოდა კარნავალი, სადაც ხალხი ხუმრობდა, ცეკვავდა, მღეროდა და ქალაქის მესვეურთა გადაწყვეტილებებს აპროტესტებდა.

ბლოგისა და ბლოგერობის შესახებ ორიგინალური თვალთახედვა შემოგვთავაზა ზურაბ ქარუმიძემ თავის ერთ-ერთ პირველ ჩანაწერში, რომლითაც ინტერნეტსივრცეში თვითპრეზენტაციის სურვილი გვამცნო. მისი აღქმით, ბლოგი „ეპისტოლარულ-კატასტროფული ჟანრის Hi–tech ანალოგს“ წარმოადგენს, „დიგიტალურ ოკეანეში გადაგდებულ წერილს, რომელიც თავის მკითხველს როდისმე მაინც იპოვის“

(ქარუმიძე 2011: 1). ეს ახალი საკაცობრიო „სენი“ მწერლის მიერ სარკასტულადაა აღქმული. ინტერნეტზე მიჯაჭვულობის გამომწვევი მიზეზების, მისი ფსიქოლოგიური ფაქტორების სიღრმისეული გააზრებით, ავტორი კიბერმოღვაწეობის ერთგვარ მანიფესტს აყალიბებს. იგი ბლოგინგის ფუნქციებზე, მის თავისებურებებზე მსჯელობს, ასე ვთქვათ, „ონლაინიდენტობის“ დონეებს აყალიბებს. მაგალითად, ინტერნეტსივრცის მაინტეგრირებელ როლზე ასე იტყვის: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვბლოგავ“... ბლოგინგის მახასიათებელ მონოლოგურობას დიალოგის მოთხოვნილებით ხსნის – ადამიანის მუდმივი საჭიროებით, ესაუბროს სხვას: „ყოველი მონოლოგი თავის სიღრმეში დიალოგია – ვიღაცასთან ქვეცნობიერი დავა თუ გაბაასება“. თანაც, ამ სივრცეში ურთიერთობა გაადვილებულია, რადგან „ვირტუალური სხვა“ შენს სივრცეში შემოჭრითა და ყოფიერების დანგრევით არ გემუქრება.

მწერალი ინტერნეტის წინააღმდეგობრივ ხასიათსაც შენიშნავს.მისი თქმით, იგი „ორლესული მახვილივითაა“, დემოკრატიულ იდეებსაც ავრცელებს და ათასი ჯურის ექსტრემისტის აზრებსაც; ამასთან,ანტიგლობალისტურ ფუნქციასაც ითავსებს („სადმე გერმანიასა თუ ინგლისში გადახვეწილი, ლტოლვილი ავღანელი მაინც ავღანელი რჩება – იქაურ ინტერნეტთემში (Internet community), ანუ – იგივე თემაში (გივი მარგველაშვილი როგორც იტყოდა)“) და ინდივიდუალური იდენტობის კრიზისის დაძლევაშიც გვეხმარება –„ვბლოგავ, მაშასადამე ვარსებობ“. ასე წარმოიდგინეთ, ეროვნული იდენტობის კრიზისსაც შველის – ტერიტორიები თუ დავკარგეთ, ახალი ტერიტორიები შევიძინეთ, მაგალითად, „ფეისბუქი“, რომელშიც ლამისაა ნახევარი საქართველო გადაბარგდეს. ყველაფერთან ერთად, რეალური საზღვრების ვირტუალურად გადალახვის საშუალებას გვაძლევს: „თუ დაკარგული ტერიტორიები ბლოკ-პოსტებითაა ჩახერგილი, ახლად შეძენილი ვირტუალური მიწების კარი ბლოგებით და პოსტებით გვეხსნება – ბლოკ-პოსტებით“ (ასე ქვია კიდეც ზ. ქარუმიძის ბლოგურ ჩანაწერებს „ცხელი შოკოლადის“ ონლაინგამოცემაში – მ.შ.)“.

ტრაგიკულ ირონიად ისმის მწერლის სიტყვები: „კაცობრიობის ხომალდი ინტერნეტ-ოკეანეში იძირება და წერილის წასაღებად გამზადებული მგზავრები თავადვე წერენ წერილს“... მწერლის მიერ ოსტატურად გამოყენებული იდიომური გამოთქმა – „წერილის წაღება“ – ორბუნებოვანია: ერთი მხრივ, იმქვეყნად წასვლის სინონიმად მოიხმო-

ბა, სხვა მხრივ კი – აღსასრულისკენ მსწრაფი კაცობრიობის თვითგანადგურების სინდრომის აღმნიშვნელ სიმბოლოდ. რეალურისა და ვირტუალურის ერთდროულად შეპირისპირებითა და მათ შორის საზღვრების წაშლით ნათლად ვლინდება ავტორის ჩანაფიქრი – შეუძლებლის შესაძლებლად წარმოდგენით კიდევ უფრო მკაფიოვდება კიბერსივრცის ამბივალენტურობა. ამ პერფორმანსში ჩანს მისი ნამდვილი ბუნება – რაც უფრო გაახლოვებს, მით უფრო გაშორებს, რადგან ინტერნეტოკეანეში „დაკარგულთა“ მცდელობა – ეძიონ თვისტომნი, მარტოსულობისა და მიუსაფრობის განცდას მაინც ვერ შველის.

სიმბოლურ-ალეგორიულად გააზრებული ჩვენი რთული ყოფა, პოლიტიკური, ნაციონალური და ინდივიდუალური იდენტობების პრობლემა, მსუყე მეტაფორებად გარდაქმნილი საჭირბოროტო თემები, მოსწრებულად, ორლესურად თქმული სიმართლე, გაშარჟებული პოლიტიკოსები, ლიტერატურული ასოციაციებით გაჯერებული თხრობა, პოლისემიური ლექსიკური ერთეულებით, ნეოლოგიზმებით დატვირთული ფრაზები – ეს ის მხატვრული არსენალია, რომლითაც ზ. ქარუმიძე თავის ბლოგურ ჩანაწერებს თხზავს. მისი სარკასტული ხელწერა სინამდვილის პირუთვნელ ასახვას ემსახურება.

ზურაბ ქარუმიძის ბლოგური ჩანაწერები (სამწუხაროდ, მხოლოდ მცირერიცხოვანი – მწერლის ბოლო ონლაინგამოსვლა 2012 წლის 18 იანვრით თარიღდება) ცხადად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ სატირას მწერლურ კიბერნაღვაწში. ეს საუკეთესო გზაა, რათა სატირიკოსის მიერ ლაკონიურად, მინიმალისტურად, ტროპულად მოწოდებული თანადროულობის ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა სიღრმისეულად გავიაზროთ. ამგვარი ტექსტები ერუდირებულ მკითხველზეა გათვლილი. ისინი კომპოზიციურადაც გამოირჩევა – გაფორმებულია ილუსტრაციებით, რომელთაც სიმბოლური დატვირთვა აქვს და სათქმელს ალეგორიულად გამოხატავს. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ზურაბ ქარუმიძის ჩანაწერები კრეოლიზებული ტექსტებია, რომლებშიც ავტორის ჩანაფიქრი ვერბალური და იკონიკური საშუალებების მთლიანობაში გამოიხატება. ტექსტის თანმხლები სატირული ილუსტრაციები არა მხოლოდ დანამატებია, არამედ ინფორმაციითაა გაჯერებული და მწერლის სათქმელს ავსებს; ასოციაციური სათაურები კი ავტორისეული იდეის ვიზუალიზაციასმეტ გამომსახველობას ანიჭებს.

როდესაც ზ. ქარუმიძის ბლოგური ჩანაწერების თავისებურებებზე ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, მეტაფორების სიუხვეზე უნდა შევნიშნოთ. „მხოლოდ მეტაფორები, nothing personal...“ – სწორედ ასე წარუმძღვარებია კიდეც ავტორს „ბლოკ-პოსტში“ მორიგი ჩანაწერისთვის – „ბიძინა ივანიშვილის იდენტობა და ნაცარქექიები“ (ქარუმიძე 2011: 1). მისი ერთ-ერთ პერსონაჟი გვარად „ქინძერია“. მავანი ამერიკელი ჟურნალისტის გვარს ამოფარებული სატირიკოსის ჩანაფიქრის გამოცნობა რთული არაა (სხვაგან სკაბრეზული სლენგისგან ნაწარმოებ „შიგალოვშჩინას“ იყენებს). გამოგონილი გვარის კომპოზიტად წარმოდგენისას მიღებული სიტყვათშეთანხმება – „ქინძი ერი“ ასოციაციური პარალელიზმის პრინციპით ლ. ბერძენიშვილის მსგავს „მიგნებას“ ეხმიანება. მასაც ეს სატირული ხერხი აქვს გამოყენებული იდენტურობის „კულინარიულ“ დონეზე საუბრისას, როდესაც ქართველ ერს მოიხსენიებს, როგორც პოპულუს კორიანდრი – „ქინძის ხალხი“ და ამას საკვები მცენარის მიმართ ჩვენი განსაკუთრებული ნაციონალური დამოკიდებულებით ხსნის. თუმცა, არც ამ „ნეოლოგიზმის“ ავტორის ქვეტექსტია რთული ამოსაცნობი. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ეჭვის გაქარწყლებას იგი წინდაწინვე ცდილობს, უარყოფით მაინც ხდება დაშვება (ბერძენიშვილი 2003).

დეკლარირებულსა და რეალურს შორის კონტრასტის საჩვენებლად ბლოგერი ქარუმიძე სიმბოლოდ არც „ფეხსალაგის“ ხმარებას ერიდება, მეტიც, იგი სახელდებაში გამოაქვს (ქარუმიძე 2011: 4). ამ შემთხვევაშიც სიტყვა ორგვარი მნიშვნელობითაა ნახმარი: როგორც პირდაპირი – საპირფარეშოს სინონიმი, ისე გადატანითი – გლობალურ სამყაროში ჩვენი ალაგის ძიების უშედეგო მცდელობების, პოლიტიკური იდენტობის კრიზისის აღმნიშვნელი. აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის აშკარა შეუსაბამობის ნიშნად მოხმობილი „ფეხსალაგი“ პოლიტიკური ვითარების აბსურდულობაზე ხაზგასმას ემსახურება. ავტორის თქმით, ჭეშმარიტების მონოპოლიზირების პირობებში, ჭეშმარიტების მაძიებლის მცდელობა ისეთივე ფუჭია, როგორც ბატონი კასი, კაფკას „პროცესში“.

მწერლის ჩანაწერებში არაერთი მაგალითია პოპარტ მონუმენტების პოლიტიკურ სიმბოლოებად გააზრებისა. მაგალითად, „იანუსისებრი ველოსიპედი“, რომელიც „რედისონთან“ დაიდგა, მწერალს ჩვენი მარადიული დილემის – სივრცითი ორიენტირის (დასავლეთი/აღმოსავლეთი) განსაზღვრის პრობლემაზე მიანიშნებს: „..ერ-

თსა და იმავე დროს საპირისპირო მიმართულებით მივდივართ: ქვეყნისკენ, რომელიც ფორმით ევროპულია, ხოლო შინაარსით აზიური. მოკლედ, ჩვენც მინი – ევრაზიელები ვართ...“ სხვაგან, წინა ხელისუფლების ხისტი გადაწყვეტილებების კრიტიკისას, ასევე პოპარტის თანამედროვე ნიმუშს მოიშველიებს: „აი, სად უნდა ყოფილიყვნენ ფრთხილნი, სად უნდა ევლოთ ისე, თითქოს „შლოპანცებით“ კვერცხებზე...“

ამ ქარგაზეა აგებული მწერლის ენამახვილური ბლოგური ჩანაწერები. ასეთია ბლოგერის მიერ მრავლისმთქმელი, ტევადი სატირული მეტაფორებით ასახული ჩვენი პოლიტიკური რეალობა, გაშარჟებული პოლიტიკოსები („მეორე ზვიადია“ „პირველი მიშა“, ან კიდევ: „ივანიშვილი პატარა კაცია და არა პატარკაციშვილი, პატარა კაცი, რომელიც ოცი წელია დიდ საქმეებს აკეთებს“ და ა.შ.). მწერალი ცდილობს პრობლემებზე თვალი აგვიხილოს, შეუფერადებლად გვიჩვენოს რეალობა, ფიქრს მოგვაჩვიოს... მხოლოდ ამ გზით შევძლებთ წარსულის ინერციის დაძლევას, ჩვენი ალაგის პოვნას გლობალურ სამყაროში.

პოლიტიკური სატირა ლაშა ბუღაძის, როგორც პუბლიცისტის, თვითგამოხატვის ფორმაა. სატირული, ირონიული ტექსტები მისი სტილია. ზემოთ ნახსენები კარნავალის ბახტინისეული თეორია სრულად შეესაბამება მწერლის თხრობის მანერას, რადგან ონლაინმედიაში წარმოდგენილი მისი ტექსტები გროტესკული რეალიზმის, პაროდირებული ყოფის ამსახველი ნიმუშებია. როგორც კარნავალიზებულ ლიტერატურაში, აქაც სიცილი გათავისუფლების სინონიმია, ერთი მხრივ, ოფიციოზისგან, ოფიციალური რეჟიმისა და კულტურის თავსმოხვეული ნიღბისგან, მეორე მხრივ კი – საკუთარი ადამიანური სისუსტეებისგან.

„გამათრახებული“ პოლიტიკური მოვლენები თუ პოლიტიკოსები ლ. ბუღაძის მიერ კონკრეტულ სიტუაციებზე რეაგირების შედეგია. თუ რატომ, ამაზე ერთ-ერთ ინტერვიუში თავადვე წერს: „ჩვენთან ხომ სოციუმი პირად ცხოვრებაში, პირად სივრცეშიც იჭრება; შენს ბიოგრაფიაში იჭრება შენი ქვეყანა და ეს ბუნებრივიც არის“ (ყველა სიახლე 2011: 1) განსახილველად წარმოდგენილი ტექსტებიც ამ სტილითაა შესრულებული და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების პირუთვნელ ასახვას ემსახურება.

მწერალი, გარდა იმისა, რომ ონლაინსივრცეში განსაკუთრებული პროდუქტიულობითაა ცნობილი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მულტიმედიური არხის, რადიო „თავისუფლების“ გამორჩეული ავტო-

რიცაა. ის აქ 2011 წლის 2 ივლისიდან აქვეყნებს წერილებს სპეციალური რუბრიკით „პარალელური რეალობა“, რომელშიც 50-ზე მეტი ჩანაწერი აქვს გაკეთებული. გარდა ამისა, ინტერნეტმასმედიაშიც, კერძოდ, ჟურნალ „ლიბერალისა“ და „ცხელი შოკოლადის“ ონლაინგამოცემებშიც ათავსებს ჩანაწერებს.

ცხადია, მწერლის მრავალრიცხოვან ტექსტებს აქ სათითაოდ ვერ განვიხილავთ, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა და კარგად წარმოაჩენს ავტორისეულ ხელრთვას. ძალზე საჭირბოროტო პრობლემას შეეხო ლაშა ბუღაძე თავის პოპულარულ ჩანაწერში (რაც „ლაიქების“ სიუხვით დასტურდება) – „პეიჯერი“. „რამდენ ხანს უნდა რჩებოდეს ერთი კონკრეტული პირი ქვეყნის სათავეში?“ – ამ კონკრეტულ პრობლემას ავტორი განაზოგადებს და გაცილებით ტევად და მასშტაბურ პასუხს გვაძლევს: „რაც უფრო მობილურად გამოიცვლება მთავრობა, მით უფრო ადვილად ვირწმუნებთ ან გარდაცვლილი სტივ ჯობსის მიერ გაცხადებულ ჭეშმარიტებას: „რამდენი ხანი უნდა გვედოს ერთი iPhone? შეუცვლელი ტექნოლოგიები (წაიკითხე პოლიტიკოსები) არ არსებობენ!“ (ბუღაძე 2012: 1).

ავტორი ტექნოლოგიების განვითარების ჭრილში განიხილავს ამ აქტუალურ საკითხს. მსოფლიო საშინელი სისწრაფით ვითარდება. რაც ათი წლის წინ ახალი და შეუცვლელი გვეგონა, დღეს საოცრად მოძველდა. თუ ადრე პეიჯერი გვემსახურებოდა, „ახლა...უკაცრავად, ტელეფონები აღარც ჰქვია ამათ – ესაა არსებები, რომელთაც მზად ხარ, შენვე ემსახურო...“

დროის ნიშნით აღბეჭდილ თავისებურ ეპიდემიას უწოდებს მწერალი იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტებიც გამაოგნებლად სწრაფად ძველდებიან. თუკი ადრინდელ ეპოქებში ათწლეულები უნდა გასულიყო, მეფე რომ მოგბეზრებოდა, „დღეს ხუთ გაზაფხულსაც ვეღარ უძლებ ერთ ცალ პრეზიდენტს (თუ არ გჯერათ, დღევანდელ ფრანგებს ჰკითხეთ)!“ და აქვე ჩვეული ირონიით ნათქვამი: „გაიხსენე, ვინც ათ წელიწადზე მეტხანს დარჩა ქვეყნის სათავეში, ყველა რაღაცნაირ დრაკულად იქცა ბოლოს. თქვენის ნებართვით, თავს შევიკავებ უხსენებელთა სახელების ჩამოთვლისგან. თუმცა ახლა, როგორც ვატყობ, საეჭვო ღოჯები ხუთ წელიწადში იწყებენ ამოსვლას...“

ლ. ბუღაძის დაუნდობელი „მათრახი“ იმ ხელისუფალთაც მისწვდა, რომლებიც ხელოვნურად, ათასი კოსმეტიკური თუ სამედიცინო მანი-

პულაციებით ცდილობენ დროის შეჩერებას. მათი ხვედრი კიდევ უარესია – „ასეთები ყველაზე მალე ბერდებიან“.

ეპოქის თავისებურება ასოციაციური სათაურითაც შესანიშნავად მჟღავნდება. პეიჯერი დროის სიმბოლოა, ტექნიკურად ყავლგასულობის, პოლიტიკური მნიშვნელობით კი – დროულად წასვლის ნიშანი. დრო და დროული – სწორედ ამ სემანტიკაშია მოქცეული ავტორის ძირითადი სათქმელი. წერილში მკაფიოდაა ნაჩვენები, თუ როგორ ასოცირდება კონკრეტული საქონელი ეპოქის თავისებურებებსა და პოლიტიკურ პროექტებთან, როგორ უკავშირდება იგი წარმოდგენების ცვლილებას საზოგადოებაში.

ამ თვალსაზრისით, პეიჯერი ერთგვარი მეტასიმბოლოა, რეალური დროდან პოლიტიკურ დროზე გადასვლის ნიშანი. პეიჯერი, ერთი მხრივ, აბსტრაქტული მეტაფორაა, დროების ნიშანი, ამავდროულად, პოლიტიკური დროის ნიშანიც, მეორე მხრივ – ჩვეულებრივი საქონელი. და რადგან ადამიანს არ შეუძლია მეტაფორების მოხმარება, ხოლო ნამდვილი პეიჯერის ყიდვის სურვილი და საშუალება დღეს, უბრალოდ, აღარ არსებობს, პეიჯერი მისთვის პრობლემების მეტონიმური, კონკრეტული სიმბოლოცაა. ამგვარად, ის დროიდან გასვლის და დროის გასვლის ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლოა, ყველაზე ნათელი, ხილული დიაკრიტიკული (ბერძ. დიაკრიტიკოს – განმასხვავებელი ასობგერითი ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ მასთან ერთად ასობგერა სხვაგვარად იკითხება) ნიშანი, რომელიც ყავლგასულ საქონელს (წავიკითხოთ, პოლიტიკოსს) ახლისგან, შესაბამისად, საჭიროსა და სასურველისგან – გამოყოფს.

უნდა ითქვას, რომ ლაშა ბუღაძე თავის ჩანაწერებში ყოველთვის ახალ, ორიგინალურ ფორმებს იყენებს. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ჩანაწერი „სამთავრობო საათი“ პიესის სახითაა წარმოდგენილი, რომელშიც წინა ხელისუფლების უმაღლეს პირთა არაოფიციალური შეხვედრაა აღწერილი. ცხადია, ყოველივე გამონაგონია, მწერლის მდიდარი წარმოსახვის ნაყოფი. მაგრამ ქართული პოლიტიკური ელიტის ცალკეულ წარმომადგენელთა პროტოტიპი პერსონაჟები, მათთვის სახასიათო მეტყველების მანერითა და ლექსიკით, იმდენად რეალისტურადაა გამოსახული, რომ მკითხველს დასწრების ეფექტსაც კი უქმნის.

სხვაგან სატირიკოსი უმაღლეს ხელისუფალთა მხილებითაა დაკავებული. წერილში „პრეზიდენტების სისაყვარლე“ მათი გაშარჟებით იმ აბსურდულ ვითარებას აღწერს, რომელიც ქვეყნის მმართველთადმი

აღტაცებითა და მათი გაფეტიშებით იქმნება. იგი კრიტიკას არც კონსტიტუციის შეცვლის გამო ერიდება და თანამედროვე პოლიტიკის ერთ უცნაურ ტენდენციაზე – სიმბოლოებთან ბრძოლაზე მიუთითებს, რასაც სამართლიანად საბჭოურ ინერციას უკავშირებს. მწერლის შენიშვნით, ეს ვითარება მხოლოდ მენტალური ცვლილებებით დაიძლევა და არა ნორმატიული აქტებით, მით უფრო, ძეგლებთან ბრძოლით.

„საბჭოური ტრადიცია: ბრძოლა სიმბოლოებთან" – პრობლემაზე მიმანიშნებელი პირდაპირი სახელდებით დაუსათაურებია ლაშა ბუღაძეს აღნიშნული ჩანაწერი. შეუძლებელია არ დაეთანხმო მის მოსწრებულ ნათქვამს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის ამდენი წლის ისტორია „ქართველი პოლიტიკოსის სიჯიუტის ისტორიაა". მართლაც, აგერ უკვე ოცი წელია ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ, გამუდმებით ვუშვებთ ერთსა და იმავე შეცდომებს და ვერ გაგვიცნობიერებია, რომ მთავარი საბჭოური წარსულის ხილულ ნიშნებთან ბრძოლა კი არა, სწორედ უხილავთან გამკლავებაა. სიმბოლოებთან ბრძოლას სჯობს შინაარსობრივ ცვლილებებზე დავფიქრდეთ, „ყველაზე რთული ხომ საკუთარ თავთან ბრძოლაა", – დასძენს ავტორი.

ამ პათოსითაა გამსჭვალული წერილი, რომელშიც მწერალი მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ქვეყნისათვის უმწვავეს პრობლემებზე გვესაუბრება. იგი საბჭოური ესთეტიკის შენარჩუნების იდეას ემხრობა და ამას პრაგმატული თვალსაზრისით – ტურისტთა მოსაზიდად – ხსნის. მართებულად თვლის, რომ სოცრეალიზმი ხელოვნებაა, კიჩია. ქალაქის ორგანული იერსახის ხელყოფით კი ისტორიის გაქრობა – გადაწერის საშიშროება ჩნდება – გვაფრთხილებს ლაშა ბუღაძე და მრავალი ჩვენგანის სათქმელს ამბობს.

ონლაინტექსტებში ისევე, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, მწერლის ამოცანა მხილებაა. აქაც და მხატვრულ ტექსტებშიც იგი თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებზე საუბრობს. თვალთახედვიდან არ ეპარება არც ერთი მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ლაშა ბუღაძის ტექსტები ჩვენი დროის მხატვრულ-პუბლიცისტური ანაბეჭდებია. მისი ლაღი, ძალდაუტანებელი, დინამიკური თხრობის მანერა უამრავ მკითხველს იზიდავს.

მაგრამ, ამავე დროს, მათში დიდი დოზითაა ცინიზმიც. საერთოდ, გროტესკი, სატირა, პაროდია – მწერლის გამოხატვის ფორმაა. დაცინვა მისი ჩვეული სტილია, ერთდროულად, შეტევისა და თავდაცვის ტაქტიკა. ამ ჩანაწერებში კი იგი მუდამ მაყურებელია, გარედან აკვირ-

დება მოვლენებს, არასდროს ახდენს აღწერილთან იდენტიფიცირებას. მართალია, სიცილით, მწვავე ირონიით კიდევ უფრო ნათლად შეიგრძნობა რეალური პრობლემები, მაგრამ ერთიორად მძაფრდება სკეფსისი, უპერსპექტივობითა და უიმედობით გამოწვეული, რადგან მწერალი სანუგეშოს არაფერს გეუბნება, გულის დასამშვიდებლად მცირედ შანსსაც არ გვიტოვებს.

ამგვარად, სამწერლო ბლოგინგზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ პოლიტიკური სატირა ე.წ. კიბერთაობის ქართველ მწერალთა ძირითადი შემოქმედებითი სტრატეგიაა. მათი ნაღვაწიდან ცალკეულ ნიმუშთა განხილვამ შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა:

მწერლის ბლოგური ჩანაწერები ჟურნალისტურ ყაიდაზე შექმნილი მხატვრული ტექსტებია, რომლებიც დახვეწილი, მიმზიდველი ენით გადმოგვცემს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს, გამოირჩევა თემატური ნაირსახეობით. ფორმის სპეციფიკა ლაკონიური, მომჭირნე თხრობის საჭიროებას წარმოქმნის, რაც სრულიად არ გამორიცხავს ტროპულ მეტყველებას, პირიქით, ბლოგებში მეტაფორული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშებსაც ვაწყდებით. ავტორები ხშირად მიმართავენ „იგავურ“ სტილსაც.

კიბერსივრცეში წარმატების მისაღწევად მხოლოდ ონლაინ-დღიურის წერის ნიჭი არ კმარა, საჭიროა ალღოიანობა, რაც, ასე ვთქვათ, „აუდიტორიის შეგრძნებაში“ გამოიხატება. ეს ერთ-ერთი იმ თვისებათაგანია, რითაც მწერალი – ბლოგერი მოყვარული ბლოგერებისგან განსხვავდება. ყოველდღიურობაზე თვალის მიდევნებით მწერლები აქტუალურ, პრობლემურ თემებს წამოსწევენ. მათი ბლოგები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ჩვენი სწორი ინფორმირებისთვის; გვაწვდის საჭირო თვალსაზრისს ან დამატებით ინფორმაციას იმ აქტუალურ საკითხთა შესახებ, რომლებიც მასმედიის საშუალებებს შესაძლოა მხედველობიდან გამორჩეს ან განზრახ გამოტოვოს.

ამგვარად, მწერალთა კიბერგამოცდილებაზე თვალის მიდევნებამ და კონკრეტული ტექსტების ანალიზმა ქართული სამწერლო ბლოგინგის არაერთი თავისებურება წარმოაჩინა. აღმოჩნდა, რომ მწერლის გამოსვლა კიბერსივრცეში ნამდვილად არაა ოქსიმორონი. პირიქით, სატირული ენით, სიმბოლიზებული დეტალებით გაჯერებული ონლაინ-ტექსტები ეფექტიანი საშუალებაა თანამედროვეობის უმწვავესი თემების რეპრეზენტაციისთვის; ჯანსაღი რეაქციაა საზოგადოებრივ და

სახელმწიფოებრივ პრობლემებზე. ერთი რამ ნათელია, დღეს მასმედიისადმი ნდობადაკარგული აუდიტორიის ინფორმირების ფუნქცია მოქალაქე-ჟურნალისტებთან ერთად მწერლებმაც იტვირთეს. მათი გააქტიურება კი ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს, მასში სულ უფრო მეტი ადამიანის ჩართვას და, რაც მთავარია, ახალი მედიის მალცვალებად პირობებში გარკვეული პრინციპების დამკვიდრებას.

ლიტერატურა:

1. **ბახტინი 2010:** ბახტინი მ., „კარნავალიზებული ლიტერატურა“, წიგნში: „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“, ტ. II, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომც., თბ., 2010.
2. **ბერძენიშვილი 2003:** ბერძენიშვილი ლ., პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, ელექტრონული ბიბლიოთეკა „ლიბ. ge“, ვებმის.: http://lib.ge/book.php?author=47&book=4613.
3. **ბუღაძე 2012:** ბუღაძე ლ., შიშოლოგია – მოკლე პოლიტიკურ-ეგზისტენციალისტური ექსკურსი, რადიო თავისუფლების ინტერნეტ-გვერდი, ვებმის.: www.radiotavisufleba.ge/content/bughadze_shishologia, განთავსებულია 21.04.2012-დან.
4. **ბუღაძე 2012:** ბუღაძე ლ., პეიჯერი, რადიო თავისუფლების ინტერნეტგვერდი, ვებმის.: www.radiotavisufleba.ge/content/bughadze_shishologia, განთავსებულია 28.04.2012-დან.
5. **იმნაიშვილი 2011:** იმნაიშვილი ა., კიბერთაობის მწერლობა, ჟურნ. „კრიტიკა“, 6, ლიტ. ინსტიტუტის გამ., თბ., 2011.
6. **ქარუმიძე 2012:** ქარუმიძე ზ., „გამოგონების დედები“, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, ვებმის.: http://shokoladi.ge/blogs/zurab-karumize, განთავსებულია 2012 წლის 18 იანვრიდან.
7. **ქარუმიძე 2011:** ქარუმიძე ზ., „ზურაბ ქარუმიძის ბლოგი“, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, ვებმის.: http://shokoladi.ge/blogs/zurab-karumize, განთავსებულია 2011 წლის 27 სექტემბრიდან.
8. **ქარუმიძე 2011:** ქარუმიძე ზ., „ბიძინა ივანიშვილის იდენტობა და ნაცარქექიები“, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, ვებმის.: http://shokoladi.ge/blogs/zurab-karumize განთავსებულია 2011 წლის 4 ნოემბრიდან.

9. **ქარუმიძე 2011:** ქარუმიძე ზ., „ფეხსალაგის ძიებაში“, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, ვებმის.: http://shokoladi.ge/blogs/zurab-karumize, განთავსებულია 2011 წლის 5 დეკემბრიდან.
10. **ყველა სიახლე 2011:** გაზეთი „ყველა სიახლე“, ლაშა ბულაძის ცხოვრების „ლიტერატურული ექსპრესი“, ონლაინვერსია საინფორმაციო პორტალზე „ამბები.GE“, მის.: www.ambebi.ge/books/44320, განთავსებულია 19-11-2011-დან.
11. **შამილიშვილი 2012:** შამილიშვილი მ., ქართული სამწერლო ბლოგინგის ზოგიერთი თავისებურების გამო, ჟურნ. „კრიტიკა“, 7, ლიტ. ინსტიტუტის გამომც., თბ., 2012.

Manana Shamilishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Political Satire in Georgian Cyber Writings

Resume

Political satire is a creative strategy of the so-called cyber generation of Georgian writers. Modern Georgian writers address internet space for self-expression more often. By blogging and writing in internet mass media, they make accents on the topics that are relative and important for the public. From various methods of creation used by them, I would like to draw attention to the importance of political satire. In general, satire, sarcasm, irony and sometimes even infernal laughter, is an effective weapon in the arsenal of a writer for the critical realization of socio-political problems of the country.

The purpose of the article is to find out how often our modern Georgian writers address new media for self-presentation: What are the characteristics of Georgian blogs? How are the keen political topics presented by writer-bloggers in cyberspace? How effectively is political satire used by writers? Is used in ideological marking? How are writer-bloggers avoiding unconstrained negativity and sarcasm? What is the purpose of such publications? Publishing imperfections of the public, disclosure of fallaciousness has a purpose of understanding the cyber texts better, mobilizing public opinion for their correction; or the role of self-presentation of the authors who stand far from public

position and work only for their self-worship. And, finally, what kind of journalistic forms are used, how the thoughts of the writers are formed.

For a clear presentation of problems, we discuss cyber writes of Zurab Qarumidze, Zaza Burchuladze, Lasha Bughadze, Rati Amaghlobeli and others. The analysis of exact online texts gives the basis to discuss their handwritings, those main signs by which this type of creativity is characterized and, also, the difference from the position of regular bloggers, the so-called blog posts; all the above mentioned helps us discuss the characteristics of creative processes in new media, the main tendencies that were exposed by observing the creation of Georgian cyber generation writers.

თამარ ჩარკვიანი

მერიტოკრატიული პრინციპები საჯარო სამსახურში

1.1. კვლევის მიზანი, ამოცანა და ჰიპოთეზა

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია მერიტოკრატიის კონცეფციის ფასეულობების დამკვიდრება. ახალ, მუდმივად ცვალებად გარემოში, საბჭოური ინსტიტუტების მიმართ არსებული ზოგადი უნდობლობის მემკვიდრული ზეგავლენის ფონზე, მაშინ როდესაც, დემოკრატიული ფორმალური სოციალური ინსტიტუტები (წარმატების ფორმალური და მორალური კრიტერიუმები) კვლავ ფორმირების პროცესშია, სოციალურ-ეკონომიკური წარმატების მიღწევის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ჯერ კიდევ ძლიერია არაფორმალური ფაქტორების (პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი და ა.შ.) გავლენა, რაც სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული კურსის არაადეკვატურია. ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხვდებით და ვხედავთ ადამიანებს, რომელთაც პროფესიულ ასპარეზზე გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ, თუ რა ფაქტორებმა განსაზღვრეს მათი წინსვლა და წარმატება ჩვენს სინამდვილეში, ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.

საქართველოში თანამედროვე ბიუროკრატია დგას გამოწვევის წინაშე – გარდაიქმნას ჯანსაღ მერიტოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემად ან მოძებნოს ფუნქციონირების ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც შეაფერხებენ მის, როგორც ღია, დემოკრატიულ სისტემად ჩამოყალიბებას. საჯარო სამსახურის მართვის პრინციპებისა და საჯარო მოხელეთა სამსახურეობრივი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესასწავლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოების სპეციფიკური ვითარება. პოსტსაბჭოთა, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქართულ საზოგადოებაში ხდება სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემის, ასევე ცოდნის სის-

ტემისა და შინაარსების შეცვლა და მათი „შევსება“ ახალი, ჩვენი გამოცდილებისათვის უცხო სისტემებითა და შინაარსებით; გადასვლა ტოტალიტარული საზოგადოების ტიპიდან ღია საზოგადოების, დემოკრატიის სისტემაში. ეს ვითარება, რომელსაც თან ახლავს ღირებულებათა ცვლის მტკივნეული პროცესი, ინდივიდს მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს: ტრანსფორმირდეს და მოძებნოს გარემოსთან ადაპტაციის ფორმები.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მართვის და არაფორმალური პრაქტიკების მანკიერი გავრცელება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებებში, რადგან სახელმწიფოა, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ნორმების დაცვის მარეგულირებელი და გარანტი. **კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენს საჯარო სამსახურის მართვის სისტემაში მერიტოკრატიულ პრინციპებზე არაფორმალური ურთიერთობების პრევალირება, რომლებიც აფერხებენ მერიტოკრატიული პრინციპების ინსტიტუციონალიზაციის პროცესს.**

ამიტომ, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ საჯარო სამსახურის მართვის სტრატეგიების აღწერა/შესწავლა და ახალი ტიპის მმართველობის ფორმის – მერიტოკრატიის ფორმირების ხელის შემწყობი/შემშლელი ფაქტორების გამოვლენა/ანალიზია.

1.2 სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია

სოციოლოგიური მიდგომა სახელმწიფო, საჯარო სამსახურის მართვის საკითხისადმი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, სოციალური ინსტიტუტებისა და მართვის პრინციპების განხილვას გარდამავალი, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტექსტში. კვლევის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის და შესასწავლი საკითხების შესახებ მაქსიმალურად სრული და ობიექტური ინფორმაციის მოპოვებისათვის შემუშავდა სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია.

მოცემული ემპირიული სოციოლოგიური **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს საჯარო სამსახური და მასში დასაქმებული საჯარო მოხელეები. საჯარო მოხელეთა *შერჩევა* დაეყრდნო სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში (სამინისტროები, სახელმწიფო კანცელარია, სახალხო დამცველის აპარატი და ა.შ.) დასაქმებულ, განსხვავებული რანგის საჯარო მოხელეებს.

I. *თეორიების ანალიზი* – ბიუროკრატიული სისტემის კონცეფციები, სოციალური ქსელების და სოციალური კაპიტალის კონცეფციები, მართვის სოციოლოგიის კონცეფციები, მართვის სისტემებისა და კომუნიკაციური პროცესების, ინფორმაციის ცირკულაციის კონცეფციები, სოციალური ინსტიტუტების ფორმირებისა და ფუნქციონირების, პრაქტიკების ტიპოლოგიზაციისა და რუტინიზაციის კონცეფციები და ა.შ.

II. *დოკუმენტების ანალიზი* – დოკუმენტების ანალიზი გულისხმობს ნებისმიერი რელევანტური წერილობითი წყაროების შესწავლას. დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა საჯარო სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული და შრომითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რამაც მოგვცა საშუალება შეგვესწავლა ზოგადი ტენდენციები, დაგვეჯგუფებინა მსგავსი ან ერთგვაროვანი ფაქტები და ა.შ. მათ საფუძველზე შესაძლებელი გახდა საჯარო მოხელეთა კარიერული წინსვლის სქემის წარმოჩენა და ზოგადი სურათის შექმნა იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებსაც აკმაყოფილებენ საჯარო სამსახურის თანამშრომლები.

III. *თვისებრივი კვლევა ინტერვიუს მეთოდით* – კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50 რესპონდენტმა. გამოიკითხა ორი სამიზნე ჯგუფი:

- მოხელეები, რომელთაც უკავიათ მთავარი საჯარო თანამდებობა ან წამყვანი საჯარო თანამდებობა (ძირითადად განყოფილების ხელმძღვანელები).
- მოხელეები, რომელთაც უკავიათ უფროსი საჯარო თანამდებობა ან უმცროსი საჯარო თანამდებობა (ძირითადად განყოფილების თანამშრომლები).

საქართველოსათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხია თანამედროვე ბიუროკრატიული სისტემის, ახალი ტიპის მოხელის – მერიტოკრატის და მერიტოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება. XXI საუკუნე ახალი ტიპის – მომავლის საზოგადოების, „ცოდნის საზოგადოების“ დამკვიდრების ეპოქაა. მასში პიროვნების წარმატებულობის საზომად მიიჩნევა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება-თვითრეალიზაცია. სოციოლოგიური კვლევა ძირითადად დაეყრდნო თვისებრივი კვლევის მეთოდებს, თუმცა გამოყენებულია ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდიც. ორივე მიდგომის ვალიდურობისათვის მნიშვნელოვანია ტრიანგულაციის პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ლოგიკურ შეჯერებასა და მათ ერთობლივ გამოყენებას.

2. ლიტერატურის მიმოხილვა/კონტექსტი

მკვლევართა ნაწილის მოსაზრებით ყველა ქვეყანაში არსებობს არაფორმალური მექანიზმებით რეგულირებული მოვლენები. ამ მიდგომის თანახმად, არაფორმალურობა უნდა გაანალიზდეს საზოგადოების განვითარების დონესთან მიმართებაში. განვითარებულ ქვეყნებში არაფორმალურ პრაქტიკებს პერიფერიული მდგომარეობა უკავიათ, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არაფორმალური სექტორი გაცილებით არსებითია (Leiter, Tedstrom 1997).

არაფორმალური ინსტიტუტების ქრესტომათიული ანალიზის ავტორების (Helmke, Levitsky, 2004) თანახმად, არაფორმალური ინსტიტუტების ინსტიტუციონალური ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ სოციალური აქტორების მოქმედებებზე ხშირად არაფორმალური მოტივაცია ფორმალურზე, ხოლო არაფორმალური ინსტიტუტები ფორმალურზე უპირატესია. ამიტომ არაფორმალური, დაუწერელი თამაშის წესების გაუთვალისწინებლობით მნიშვნელოვანი ცდომილება ჩნდება.

არაფორმალური ინსტიტუტის ცნება ძალიან ფართოა, მისი დეფინიცია ინსტიტუტის სტანდარტული განსაზღვრებიდან უნდა დავიწყოთ, როგორც წესებისა და პროცედურების (როგორც ფორმალურის, ასევე არაფორმალურის), რომლებიც ახდენენ სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურირებას, ქმნიან აქტორების მოქმედების სივრცით საზღვრებს... არაფორმალური ინსტიტუტები საზოგადოებაში მიღებულია. ისინი ჩვეულებრივ დაუწერელი წესებია, რომლებიც იქმნებიან, ხდებიან ცნობილები. არაფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირება ხორციელდება არაოფიციალურად სანქცირებული არხებით და მათი გამოყენებით აქტორები იღებენ სარგებელს. საპირისპიროა ფორმალური ინსტიტუტები – ეს ისეთი წესებია და პროცედურები, რომლებიც იქმნებიან, ხდებიან ცნობილები და მათი გამოყენებისაგან სარგებელი მიიღება არხებით, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ფორმალური.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები სხვადასხვა სახით ურთიერთქმედებენ. ჰელმკე და ლევიტსკი (Helmke, Levitsky, 2004) გვთავაზობენ აღნიშნული ურთიერთქმედების ტიპოლოგიას. არსებობს ორი დიხოტომიური მოსაზრება – ერთის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ არაფორმალური ინსტიტუტები არიან ფუნქციონალურები და ხელს უწყობენ პრობლემის გადაწყვეტას იმ თვალსაზრისით, რომ

ისინი ფორმალური ინსტიტუტების ეფექტურობას და შრომისუნარიანობას უზრუნველყოფენ. მეორენი მიიჩნევენ, რომ არაფორმალური ინსტიტუტები დისფუნქციურია და ქმნიან პრობლემებს, რადგან კლიენტელიზმი, კორუფცია და პატრიმონალიზმი აფერხებს ფორმალური დემოკრატიული, საბაზრო და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას. უკანასკნელი კვლევები ცხადყოფს, რომ არაფორმალური ინსტიტუტები მხოლოდ აძლიერებენ და ცვლიან ფორმალურ ინსტიტუტებს, რომლებსაც ისინი, როგორც ჩანს, ძირს უთხრიან.

ავტორები გამოყოფენ ოთხი კატეგორიის არაფორმალურ ინსტიტუტს: შემავსებელ, აკომოდაციურ, ჩამნაცვლებელ და კონკურენტულს. ამ ოთხი ტიპის განხილვა მოწმობს, რომ არაფორმალური ინსტიტუტების მხოლოდ დიხოტომიური განხილვა ფუნქციონალურია.

შემავსებელი არაფორმალური ინსტიტუტები თანაარსებობენ ფორმალურ ინსტიტუტებთან, მათგან აქტორები დაწერილი წესების შესრულებას მოელიან. ისინი ავსებენ იმ ნიშებს, რომლებიც დაწერილი, ფორმალური წესით არ არის გათვალისწინებული. შემავსებელ არაფორმალურ ინსტიტუტებს შეუძლიათ გახდნენე ფორმალური ინსტიტუტების საფუძველი, ქმნიან და აძლიერებენ რა ფორმალური წესების დაცვის მოტივებს, რომლებიც საწინააღმდეგო შემთხვევაში იარსებებენ მხოლოდ ქაღალდზე. ამგვარი არაფორმალური ინსტიტუტები არა მხოლოდ თანაარსებობენ ეფექტურ ფორმალურთან, არამედ თამაშობენ კიდეც საკვანძო მნიშვნელობას ფორმალურის ეფექტურობაში. შემავსებელი არაფორმალური ინსტიტუტის მაგალითია უთვალავი ნორმები და სამუშაო პროცედურები, რომლებიც აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას და კოორდინაციას ბიუროკრატიულ სტრუქტურებში. ბიუროკრატიულ სისტემაში სხვადასხვა რგოლს შორის ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლის სისტემა ხშირად სუსტია, ამიტომ თანამშრომელმა შესაძლოა გამოიყენოს პირადი კავშირი და კოლეგისაგან მიიღოს სწრაფად და ეფექტურად ინფორმაცია, რომლის მიღებაც, თუ ფორმალურ პროცედურას დაიცავს, გაცილებით მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს (მაგ., ოფიციალური წერილით მიმართვა და ა.შ.).

აკომოდაციური არაფორმალური ინსტიტუტები ქმნიან იმგვარი ქცევის მოტივებს, რომლებიც არსებითად ცვლიან ფორმალური წესების დაცვით მიღებულ შედეგებს, ფორმალური წესების პირდაპირი დარღვევის გარეშე. ისინი უფრო ეწინააღმდეგებიან დაწერილი წესის სულისკვეთებას.

აკომოდაციურ არაფორმალურ ინსტიტუტებს ძირითადად ქმნიან აქტორები, რომლებიც არ ეთანხმებიან ფორმალური წესებით მიღებულ შედეგებს, მაგრამ არ აქვთ შესაძლებლობა მათი შეცვლის ან ღიად დარღვევის. მსგავსი არაფორმალური ინსტიტუტები ხშირად ეხმარებიან ამ აქტორების ინტერესების შეთავსებას არსებული ფორმალური ინსტიტუტების სტრუქტურებთან. ამიტომ, მართალია, აკომოდაციურ არაფორმალურ ინსტიტუტებს არ ძალუძთ გაამყარონ ფორმალური ინსტიტუტების სტაბილურობა და ეფექტურობა, მაგრამ ცვლილებების მოწოდებებს ანელებენ. აკომოდაციური არაფორმალური ინსტიტუტების მაგალითია საბჭოთა კავშირში წარმოქმნილი ფენომენი „ბლატი“ (Ledeneva, 1998). მაგალითად, საბჭოთა კავშირში საწარმოები ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმას, ხოლო ინდივიდები ვერ ახერხებდნენ თავიანთი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ასე გაჩნდა „ბლატის“ ფენომენი, რომელიც პირადი კავშირების გამოყენებით საბჭოთა მოქალაქეს დეფიციტური მომსახურების მიღების საშუალებას აძლევდა.

კონკურენტული არაფორმალური ინსტიტუტები თანაარსებობენ არაეფექტურ ფორმალურ ინსტიტუტებთან. ასეთ შემთხვევებში ფორმალური წესები და პროცედურები სრულდება არასისტემატიურად, რაც აქტორებს აძლევს შესაძლებლობას მათი დარღვევისა და იგნორირების. ასეთ შემთხვევებში არაფორმალური ინსტიტუტები ახდენენ მოტივაციის იმგვარად სტრუქტურირებას, რომ ისინი შეუთავსებლები ხდებიან ფორმალურ წესებთან: რომ შესრულდეს ერთი წესი, აქტორი იძულებულია დაარღვიოს სხვა. ასეთი შემთხვევების ყველაზე ცნობილი მაგალითებია – პარტიკულარული არაფორმალური ინსტიტუტები, როგორებიცაა: კლიენტელიზმი, პატრიმონალიზმი, კლანური პოლიტიკა და კორუფცია.

ჩამნაცვლებელი არაფორმალური ინსტიტუტები ჩაანაცვლებენ არაეფექტურ ფორმალურ ინსტიტუტებს და მიიღება ის შედეგი, რაც უნდა მიღწეულიყო ფორმალური ინსტიტუტის მეშვეობით. როგორც შემავსებელი ინსტიტუტი, ჩამნაცვლებელი ინსტიტუტი გამოიყენება იმ აქტორების მიერ, რომლებიც მიისწრაფვიან შედეგისაკენ, რომელიც შეესაბამება ფორმალური ინსტიტუტის წესებსა და პროცედურებს. თუმცა, როგორც კონკურენციული ინსტიტუტის შემთხვევაში, ეს ინსტიტუტები არსებობენ გარემოში, სადაც ფორმალური წესები სრულდება არასისტემატიურად. ამიტომ ჩამნაცვლებელი არაფორმა-

ლური ინსტიტუტები ეხმარება იმის მიღწევაში, რასაც თეორიულად უნდა ასრულებდნენ ფორმალური ინსტიტუტები, რომ არა მათი არაეფექტურობა. მაგალითად, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი.

მნიშვნელოვანი მიდგომა არაფორმალური პრაქტიკების აღწერისათვის არის ბეკის „რისკის საზოგადოების თეორია“ (Beck, 1992). „ჩრდილოვან“, არაფორმალურ საზოგადოებას, როგორც რისკის საზოგადოებას, აქვს თავისი კანონები, რომლებსაც საბოლოო ჯამში ყველა ემორჩილება. ჩრდილოვან ბაზარზე ისეთი ცნებები, როგორიცაა უსაფრთხოების დაცვა ან მისი საფრთხის ქვეშ დაყენება, შეიძლება უკავშირდებოდეს ერთი და იმავე სუბიექტის საქმიანობას, სახელმწიფოს. თუ დემოკრატიულ საზოგადოებებში ბაზარი არის საყოველთაო სოციალური წესრიგის ელემენტი, რისკის საზოგადოებაში მას ცვლის პირადი კავშირების ქსელი, რომელიც მიმართულია კერძო ან კორპორატიული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ.

თანამედროვე არაფორმალურობა არის არა ინტელექტუალური კაპიტალი პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისათვის, არამედ საყოველთაო გაურკვევლობის და შიშის პირობებში ინდივიდუალირი გადარჩენა. ბეკი წერდა, რომ რისკის საზოგადოების ნეგატიური ლოგიკა მოტივირდება გაურკვევლობის შიშით და გამოიხატება ფორმულით „მეშინია!“.

არაფორმალური ქსელის მთელი საქმიანობა მიმართულია ოფიციალურ-უპიროვნო ურთიერთობების გარდაქმნისაკენ ნდობით-პიროვნულად, ანუ ესაა სოციალური კომუნიკაციის არქაულ ფორმებთან დაბრუნება. არაფორმალურის ინსტიტუციონალიზაცია, ამავე დროს, წარმოადგენს სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს. მოხელეები ხელოვნურად ქმნიან ლეგალური შესაძლებლობების დეფიციტს, ხოლო შემდეგ, სწორედ ეს კანონიერი უფლებები იყიდება ქრთამის სანაცვლოდ. ამგვარად, უფლება გარდაიქმნება საქონლად, რომელსაც მონოპოლიურად განაგებს სახელმწიფო ბიუროკრატია.

არაფორმალური პრაქტიკების ანალიზისას ქსელური მიდგომა არის შედარებით ახალგაზრდა თეორიული კონსტრუქტი, რომელიც განვითარდა XX საუკუნის 50–60-იან წლებში. ამ მიდგომის ჩამოყალიბება მოხდა მოგვიანებით, XX საუკუნის 70–80-იან წლებში ევროპული და ამერიკული კვლევითი სკოლების ფარგლებში. არაფორმალური პრაქტიკების ანალიზი შესაძლოა სამი მონათესავე თეორიის პრიზმა-

ში: გაცვლის (Homans, 1974), რაციონალური არჩევანის (Blau, 1964) და ქსელური თეორიის (Emerson, 1972).

ქსელური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის – მარკ გრანოვეტერის თეორიის თანახმად, ქსელი არის მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანთა გაფართოებული ჯგუფი. ეს ადამიანები ურთიერთქმედებენ, აქვთ არაფორმალური კონტაქტი ურთიერთმხარდაჭერის და დახმარების მიზნით (Granovetter, 2002). 1985 წელს გრანოვეტერი აქვეყნებს ნაშრომს: "Economic Action and Social Structure: The Problem of Embeddedness". გრანოვეტერი ეყრდნობა ანთროპოლოგ კარლ პოლანის გაგებას "embeddedness" და მის ინტერპრეტირებას ახდენს, როგორც ეკონომიკის ჩართულობას სოციალურ სტრუქტურაში. ამ მიდგომით გრანოვეტერი ავითარებს კონცეფციას, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ეკონომიკური მოქმედება სოციალურად განპირობებულია და მისი შესწავლა, გაგება შეუძლებელია ცალკეული ინდივიდების მოტივაციების შესწავლის გარეშე. ის ჩართულია პირადი კავშირების ქსელში, რაშიც იგულისხმება რეგულარული ინდივიდუალური ან ჯგუფური სოციალური კონტაქტები ქსელის წევრებს შორის (Granovetter,1992).

გრანოვეტერი თავის ცნობილ სტატიაში „სუსტი კავშირების ძალა“, წერს, რომ სწორედ სუსტი კავშირებია ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც სუბიექტის წინსვლას განაპირობებს (ინდივიდს კარიერაში, კომპანიას ბაზარზე). ამავდროულად, სწორედ სუსტი კავშირები ხდება სოციალური მობილობის ძლიერი მექანიზმი. განსხვავებით სუსტი კავშირებისაგან, ძლიერი ურთიერთკავშირები ინფორმაციის იმგვარი წყროებია, რომლებიც ნაკლებად განსხვავდება იმ ინფორმაციისაგან, რომელსაც თავად სუბიექტი ფლობს (მაგ., სამსახურის ძიების პრაქტიკა ნაცნობებისაგან, ძველი თანამშრომლებისაგან და ა.შ. მათგან უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ, ვიდრე ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრებისაგან). ასევე გრანოვეტერი მიუთითებს სუსტი კავშირების მნიშვნელობაზე ადამიანური კაპიტალის გაფართოებაში.

3. კარიერული წინსვლის მექანიზმები საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურის სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმალური მოდელის შექმნა და იმპლიმენტაციაა. თანამედროვე კადრების მართვის პრინციპების დანერგვა გა-

აძლიერებს ადმინისტრაციულ ეფექტურობას, შეამცირებს ხარჯებს და გააუმჯობესებს მომსახურების სტანდარტებს. საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პრინციპები და სტრატეგია ფორმირების პროცესშია. სახელმწიფო სტრუქტურებში ადამიანური რესურსების მართვისათვის აუცილებელი მონაცემები, ინფორმაცია, სერვისი, მონაცემთა ბაზები, მეთოდები და გადაწყვეტილებები, გაზიარებისა და განვითარების სისტემები არასრულყოფილია. საჯარო სამსახურში კადრების მართვის ოპტიმალური მოდელი თანამდებობრივი წინსვლის საშუალებების ფორმალიზებულ, მოქნილ სისტემას გულისხმობს.

მერიტოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული კარიერული წინსვლის კრიტერიუმების მკაფიოდ ფორმალიზება და პრაქტიკაში დანერგვა განსაზღვრავს საჯარო სამსახურის სტრუქტურის ღიაობას და საჯარო სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას.

საჯარო სამსახურის მართვის სტრატეგიის ფუნდამენტს წარმოადგენს წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელი მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების ერთობლიობა. წარმატების კრიტერიუმები და საჯარო მოხელეების მიერ მათი გაზიარება საჯარო სისტემისა და საჯარო მოხელის ეფექტურობის და განვითარების განმაპირობებელი ერთ-ერთი სერიოზული დეტერმინანტია.

კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ ***კარიერული წინსვლა „დაუწერელი კანონების“ შესაბამისად ხორციელდება, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე დეტალური საუბარი ტაბუირებულია და ზოგადი,*** **ტრაფარეტული პასუხებით შემოიფარგლება.** მოხელეები დაწინაურების კრიტერიუმებზე მსჯელობისას ხშირად ახსენებენ „ხელმძღვანელთან თავის გამოჩენის“ ფაქტორს:

„დაწინაურებისათვის რომ დოკუმენტურად დგებოდეს, რომ ეს თანამშრომელი ამა და ამ ქულას იმსახურებს ამა თუ იმ საქმიანობის შესრულებისას ესე არ არის. ეს ხდება ხელმძღვანელის დაკვირვების და ხელმძღვანელთან ურთიერთობის საფუძველზე. გაწერილი ნორმები არ არსებობს. შეუძლია მენეჯერს ან უფროსს დააკვირდეს ვინ უფრო კარგად ასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს, ვინ უფრო კომპეტენტურია და ა.შ ხელმძღვანელი როგორ შეაფასებს და დააფასებს“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

მერიტოკრატიული მართვის პრინციპები, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ გულისხმობს მხოლოდ წარმატების კრიტერიუმების ფორმა-

ლიზაციასა და საყოველთაო გაზიარებას. წამყვანი ინდიკატორი გახლავთ ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შეფასების, აღიარების მაჩვენებლების იდენტიფიცირებისა და გაზომვის მოდელის არსებობა, რომელიც ღიაა და ცხადია საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისათვის. კვლევამ გამოავლინა, რომ ***მერიტოკრატიული პრინციპების შესაბამისი კარიერული წინსვლის და წარმატების კრიტერიუმები საჯარო სამსახურში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, არ არის ფორმალიზებული*** და მის შესახებ დისკურსი აჩვენებს, რომ ამ საკითხზე საჯარო მოხელეთა რეფლექსია ზედაპირულია:

„გაწერილი ნორმები არ არსებობს. მე ვფიქრობ უფრო ზეპირად ხდება შერჩევა. შესაძლოა კვალიფიკაციის შესაბამისად, გამოცდილების და რა თქმა უნდა სამუშაოს პროცესში რამდენად ავლენს თანამშრომელი თავის ცოდნას. ამის მიხედვით ხდება დაწინაურება. ანუ, ისე რომ ეს დოკუმენტურად დგებოდეს, რომ ეს თანამშრომელი ამას იმსახურებს ესე არ არის. აი, ხომ გეუბნებით დაკვირვების და უფროსთან ურთიერთობის საფუძველზე. შეუძლია უფროსს დააკვირდეს ვინ უფრო კარგად ასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს, ვინ უფრო კომპეტენტურია და ა.შ.“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

„მკაფიოდ ჩამოყალიბებული კარიერული წინსვლისა და წარმატების კრიტერიუმები? არ ვიცი, მე არ ვიცი ყოველშემთხვევაში. ზოგადად კარიერული წინსვლა, როგორ არ ხდება?!! იმ პრინციპებით, როგორ მუშაობს ეს ადამიანი, თავი გამოიჩინა და ხელმძღვანელი როგორ შეაფასებს და დააფასებს“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

„ეგ უფრო მემგონი ღ-ის კომპეტენციაა... მე უფრო არ ვიცი... ჩემთან დასმული კითხვები არ არის. უკაცრავად ეხლა ეს იწერება და ძალიან დიდ ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ მე ვფიქრობ რომ ეს უფრო საკადრო საკითხებია. ნუ ეხლა, როგორც ერთ-ერთი ელემენტი, ჭანჭიკი ამ სისტემაში მე მომხრე ვარ, რომ საჯარო პირი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, აბსოლუტურად გაცნობიერებული აქვს დაკისრებული მოვალეობები, ეს ყველაფერი შესაბამისად რაღაც გარკვეული ეტაპის შემდგომ აუცილებელია დაწინაურების მიზნით“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

„მკაფიოდ ჩამოყალიბებული კარიერული წინსვლისა და წარმატების კრიტერიუმები არა, არ არსებობს!!! როგორ ხდება დაწინაურება ვერ გეტყვით. რა თქმა უნდა ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ყო-

ველთვის ხდება, ხელმძღვანელი წყვეტს. ჩემს პრაქტიკაში ესე ხდება. მე ვიყავი 7 წელი სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი, შემდეგ რომ დაიწყო მინისტრების ცვლა, ნელ-ნელა წამომიყვანეს, წამომიყვანეს უკან და ამჟამად შტატში საერთოდ არ ვარ" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

დაბალი რანგის მოხელეებისაგან განსხვავებით, სამინისტროს მაღალჩინოსნები (მინისტრის მოადგილე, დეპარტამენტების უფროსები) უკეთ აცნობიერებენ კრიტერიუმების ფორმალიზების აუცილებლობას და აღიარებენ საჯარო სამსახურში ამ ეტაპზე მათ არარსებობას:

„კარიერული განვითარების გეგმა თითოეულ თანამშრომელზე გაწერილი არ არის, მაგრამ აი, ახლა მუშაობს HR დეპარტამენტი ზუსტად ამ ნაწილზე, იმისთვის, რომ გაიწეროს კარიერული განვითარების გეგმა. ის იქნება ძალიან ბევრი კრიტერიუმისგან შემდგარი. ძირითადად ეს იქნება შეფასებებზე დამოკიდებული, სამუშაოს შესრულების ხარისხზე, უნარ-ჩვევებზე" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

კარიერული წინსვლის ფორმალიზებული სტანდარტების არარსებობა, როგორც მოყვანილი ინტერვიუების ფრაგმენტებიდანაც ჩანს, ხელმძღვანელი პირის სუბიექტური შეფასებებით ნაცვლდება. ანუ საყოველთაოდ გაზიარებული შერჩევის კრიტერიუმები ზოგადია და მათი იდენტიფიცირება ხდება ინდივიდუალური აღქმის მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, ტოვებს არაობიექტური და არაფორმალური მიდგომის შესაძლებლობას. შესაბამისად, კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო მოხელეთა მუშაობის ეფექტურობისა და ხარისხის შეფასება მეტ სტანდარტიზებასა და ფორმალიზებას საჭიროებს.

არაფორმალიზებული შერჩევის კრიტერიუმები ფუნქციონალურია არა მხოლოდ საჯარო სამსახურში დაწინაურების პროცესში, არამედ ეს საკითხი ყურადსაღებია პირველ რიგში თავად საჯარო სამსახურში კარიერის დაწყების ეტაპზე, სამსახურში მიღებისას. უნდა ითქვას, რომ საჯარო სამსახურში კონკურსები ცხადდება, თუმცა ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპონდენტებს გაუჭირდათ დაესახელებინათ კონკურსის წესით მათ დეპარტამენტებში დასაქმებული საჯარო მოხელეები. აღნიშნულ საკითხზე წამყვანი დისკურსი შემდეგია:

„კონკურსის წესით ჩვენთან ბევრი არ არის მიღებული. საერთოდ არ ვიცი ვერ გაგცემთ პასუხს... კონკურსები ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში არ იყო მასიური. ორი წლის წინ ზუსტად ვერ მოგახსენებთ ორი წელია რაც ამ თანამდებობაზე ვარ. ჩემს სამმართველოში არავინ არ არის

მიღებული კონკურსით. ჩემს სამმართველოში კონკურსი არ გამოცხადებულა ჩემი პრაქტიკის განმავლობაში" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

„საჯარო სამსახურში მისაღები კონკურსით? ჩემს შემთხვევაში რაც ვარ კონკურსის შესახებ არ მსმენია. ანუ გარედან რომ ვთქვათ ჩაგვეტარებინა?... გარედან მისაღები კონკურსები არ გამოცხადებულა რაც მე ვიცი, აქ რაც ვმუშაობ" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

კონკურსების შესახებ გაცილებით უკეთ ინფორმირებული არიან წამყვანი თანამდებობის საჯარო მოხელეები. სამინისტროებში კონკურსები მეტ-ნაკლები სიხშირით ტარდება, ამის მაგალითია თუნდაც იუსტიციის სამინისტრო:

„ჩვენთან თვეში 3-ჯერ ცხადდება კონკურსი (იცინის) მეტჯერ თუ არა. ჩვენ სტატისტიკასაც ვაწარმოებთ და ბოლო ერთი წლის განმავლობაში, უკვე ანუ დეკემბრის ჩათვლით სამინისტროს, მარტო სამინისტროს, სიპებ-ზე არ მაქვს საუბარი, გამოცხადებული აქვს 44-ვაკანსია მთელი წლის განმავლობაში. ანუ საშუალოდ სადღაც 3 ვაკანსია გამოდის თვეში, სამ-ნახევარიც კი. ანუ, რეალურად ჩვენი პრინციპია რომ კონკურსი იყოს გამჭვირვალე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

საჯარო მოხელეთა ის ნაწილი, რომელიც მწირ ინფორმაციას ფლობს კონკურსების შესახებ, ან საუბრობს, რომ მის დეპარტამენტში ამ პრინციპით მიღებული კადრები არ არის, აცხადებს, რომ კადრების მიღება ხდება შემდეგნაირად:

„ჩვენთან უფრო რაღაც წარდგინებით, რეკომენდაციით ხდება, უფროსის მიერ ხდება დანიშნვა. პკონკურსის სახით არ გამიგია" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

„იცით რა? ძირითადად ხდება რეკომენდაციით ისევ და ისევ. ეს არ არის უცხო და უცნობი არავისთვის. რადგან არ ხდება შერჩევა გარედან თანამშრომლების, ე.ი. ხდება რეკომენდაციის საფუძველზე" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

საჯარო სამსახურში თანამედროვე მფარველობის ფორმა ვლინდება ***სარეკომენდაციო პრაქტიკაში.*** ეს პრაქტიკა დადებითად ფასდება, რადგან მიიჩნევა, რომ რეკომენდატორი არ გამოთქვამს არაობიექტურ შეფასებას. რეკომენდატორი ხშირად ითვალისწინებს პროფესიონალიზმის გარდა პიროვნულ თვისებებს, რადგან „ვის რას დაავალებ და შეასრულებს თუ არა, გასათვალისწინებელია".

„გონებაშეზღუდულს ის ადამიანიც ხომ, ვინც არის მფარველი ნამდვილად არ გაუწევს რეკომენდაციას. შესაძლებელია ზოგს თვითონაც არ უნდა თავისი ადამიანი იმიტომ, რომ იმას შეიძლება ის ვერ დაავალოს და ვერ მოთხოვოს რაც სჭირდება, ვის რას დაავალებ და შესარულებს თუ არა ეს გასათვალისწინებელია. რა თქმა უნდა შეიძლება შენი ნიჭიერი გერჩიოს სხვის ნიჭიერს“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

2005 წლის პირველ ნახევარში საჯარო სამსახურის რეფორმის შედეგად მრავალი ვაკანსია გამოცხადდა. საჯარო სამსახურში ვაკანსიების შესახებ საზოგადოებისათვის სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს საშუალებით გახდა ცნობილი.

2005 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებულმა რაოდენობრივმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოცხადებული ვაკანსიების შესაბამისი პოზიციები გამოკითხული რესპონდენტებიდან დაიკავეს არა იმ კანდიდატებმა, რომლებმაც ინფორმაცია მიიღეს მასმედიიდან, არამედ, მათ, ვინც ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიიღო ნაცნობ-მეგობრებისგან.

მონაცემები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ არსებობს დადებითი კაუზალური მიმართება საჯარო სამსახურში ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის წყაროსა და კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის წარმატების შანსებს შორის.

დიაგრამა. საჯარო სამსახურში ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის წყაროები (2005 წ.)[1]



1 თამარ ჩარკვიანი. „არაფორმალური პრაქტიკების გავლენა შრომით ურთიერთობებზე საჯარო სამსახურში“. ნაშრომთა კრებული „საქართველოს განვითარების პერსპექტივები“, გამოცემულია კავკასიის უნივერსიტეტისა და „ფრიდრიხ ებერის ფონდის“ მიერ. თბილისი, 2006.

2005 წლის მონაცემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნებულია. ნარატიული ინტერვიუების შედეგები ავლენს, რომ გამოკითხული რესპონდენტიდან 83%-ს არ გაუვლია შესარჩევი კონკურსი და მათი უმრავლესობა „რეკომენდაციების“ საფუძველზე დაინიშნა დაკავებულ პოზიციებზე.

- „ვმუშაობდი კომპიუტერულ ცენტრში, რომლის ლიკვიდაცია მოხდა. ეს კომპიუტერული ცენტრი იყო სამინისტროს დაქვემდებარებაში და ლიკვიდირებული კომპიუტერული ცენტრიდან რამდენიმე დაასაქმეს სამინისტროში და მათ შორის ერთ-ერთი ვიყავი მეც. 2003 წელს კადრების სამმართველოს უფროსმა ***გამიწია რეკომენდაცია“*** (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- „ფინანსურ პოლიციაში ერთ-ერთი ***სტრუქტურის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ მინდა შენ ჩემთან წამოხვიდე“*** (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- „როდესაც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ქალბატონი ნინო ენუქიძე, ამ პერიოდამდე თვითონ მინისტრის მოადგილე მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის უფროსად და მაშინ მეც ვმუშაობდი ამავე სამინისტროში პროტოკოლის მთავარ სპეციალისტად. ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ მე დავწერე განცხადება საკუთარი ინიციატივით, რადგან ქალბატონმა ნინომ ***შემომთავაზა მისი თანაშემწეობა“*** (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- „***კონტაქტების გამოყენებით,*** მქონდა უნივერსიტეტის შემდეგ იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა უწყებებში და ამან განაპირობა თავდაპირველად ჩემი დასაქმება საჯარო სამსახურში“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- „ჩემს თანამდებობაზე კადრი ბატონ ალეკოს ჭირდებოდა. ბატონი ალეკო იყო მაშინ მინისტრის პირველი მოადგილე. ენების მცოდნე, გამოცდილი ადამიანი სჭირდებოდა. ***ჩემი მეუღლე იყო ისეთ სტრუქტურაში დასაქმებული, რომ გადმომცა ესეთი ვაკანსიაა ბატონ ალეკოსთან და მასთან გავიარე გასაუბრება“*** (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- „***თითონ თავჯდომარემ შემომთავაზა*** მაშინდელმა, იმიტომ რომ კონტროლის პალატაში ვიყავი იგივე თანამდებობაზე და როცა ახალი პარლამენტი შეიკრიბა გადმოვედი“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

- „ძალიან ***დიდი ხნის ურთიერთობა მქონდა დეპარტამენ-ტთან,*** ჩემი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან მოყოლებული. ვიცნობდი მინისტრსაც სტუდენტობის პერიოდიდან, ჩემი სტუდენტური აქტივობიდან გამომდინარე. პრინციპში იცოდნენ ჩემ შესახებ და მოხდა ჩემი ამ სამსახურში აყვანა“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).
- ***„ჩემმა რეზიდენტურის ხელმძღვანელმა*** *მიმიყვანა იქ, ჯან-დაცვის სამინისტროში, ასე მოვედი“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).*

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ საჯარო სამსახურში მიღებაც ბუნდოვანი კრიტერიუმების თანახმად ხდება, რადგან დამოკიდებულია ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაზე, როგორც ეს იყო დაწინაურების შემთხვევაში. სამსახურში მიღების ამგვარი პრაქტიკა კვლავ ააქტიურებს არაფორმალური კავშირების მნიშვნელობას და მათ გავლენას საჯარო სამსახურში. არაფორმალური კავშირების თემაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ეს უკანასკნელი მერიტოკრატიული მართვის პრინციპების საპირისპირო მაჩვენებელია. საჯარო მოხელეები, ბუნებრივია, თავს არიდებენ ნაცნობობით, ნათესაობით და არა დამსახურებისამებრ საჯარო სამსახურში მიღებისა და დაწინაურების თემაზე საუბარს, ამიტომ პროექციული შეკითხვები ამ საკითხზე ასეთ დისკურსს ავლენენ:

„ყოველ შემთხვევაში ამაზე ღიად საუბარი არ არის არასდროს. არავინ არ საუბრობს იმაზე, ვინ – ვინ სად დანიშნა, ვისი დამსახურებით და ა.შ. ანუ ეს ტაბუდადებული თემაა, ყოველ შემთხვევაში ამაზე კულუარებში საუბრობენ ძირითადად“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

მოხელეთა ის კატეგორია, რომელიც ადასტურებს კარიერული წინსვლის ფორმალური კრიტერიუმების არსებობას საჯარო სამსახურში, მიიჩნევს, რომ წინსვლის კრიტერიუმებს ადგენს, განსაზღვრავს, აფასებს და ახორციელებს ხელმძღვანელობა.

„რა თქმა უნდა არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები. ხელმძღვანელმა უნდა დაიანახოს რას აკეთებ, ხელმძღვანელი წყვეტს ყველაფერს, აბა ვინ უნდა შეაფასოს?!! გარედან მოსული ამას ვერ იზავს!“ (ერთ-ერთი რესპონდენტი)

მნიშვნელოვანი საკითხია თავად მოხელეთა დაუინტერესებლობა და ნაკლებ ინფორმირებულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოხელეთა კარიერული წინსვლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების არარსებობის მიმართ გულგრილობას რესპონდენტები თა-

ვად სისტემის თავისებურებად მიიჩნევენ. მათი აზრით, სისტემა ხასიათდება და ფასდება, როგორც ***არაკონკურენტული.***

„უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს თავისუფალი ადგილი დაწინაურება რომ მოხდეს, ანუ მარტო უშუალოდ უფროსის სურვილი ვერაფერს ვერ იზამს, როდესაც არის ზოგადად შემცირების პოლიტიკა, ახალ შტატებს ვერ დაუშვებენ. ადამიანური ფაქტორის გამო იმას ვერანაირად ვერ გაუშვებენ, ვინც ერთი საფეხურით შენზე მაღლაა. არც ღირს თანამდებობებს შორის განსხვავება ამად, რადგან ხელფასებს შორის განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ღირს, ზედმეტი დავიდარაბის ატეხვა“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

ერთი საფეხურით დაწინაურება ნაკლებად მოტივირებულია, თუნდაც იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა მატულობს, ხოლო სახელფასო სარგო მცირედით იზრდება.

„ნუ ეხლა ეს მკაფიოდ, ქაღალდზე გაწერილი კონკრეტულად არ არის, პირველ რიგში თავისთავად ცხადია ვაკანსია უნდა იყოს. ამის იმედად ყოფნა უნდა გიღირდეს. სხვა შემთხვევაში როგორ დაწინაურდები?!! ეს იშვიათად ხდება და ამას ყურადღებას აღარც ვაქცევთ“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

ამიტომ, წინსვლაზე პრეტენზიები ნაკლებად ჩნდება, შესაბამისად, დაინტერესებაც ზედაპირულია.

„სამწუხაროდ ჩვენი სამსახური არ იძლევა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. მე პირადად 10 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ წამყვანი სპეციალისტიდან გავმხდარიყავი მთავარი სპეციალისტი ანუ მე მართლა დიდხანს ვიჯექი ერთ სკამზე. მე ეხლა პრინციპში ამაზე მეტს რა უნდა დავწინაურდე?!!“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

კარიერული წინსვლით დაუინტერესებლობა მდგომარეობის უიმედობითაც არის განპირობებული, ამ უიმედობის მთავარ ფაქტორად დაწინაურებისათვის საჭირო კავშირების არქონა სახელდება.

„დაწინაურება რთულია ორი მიზეზით: ერთი მხრივ, კონკურენციაა და მეორე მხრივ ვის უფრო მეტი კავშირი აქვს. ესე არ არის, რომ შენ ძალიან ჭკვიანი ხარ და შენ ამას იმსახურებ. აუცილებლად ვინმემ წინ უნდა წაგწიოს“ (ერთ-ერთი რესპონდენტი).

*„ჩვენ ვიცით რა ადამიანი აკმაყოფილებს მოთხოვნებს – არის შრომისმოყვარე, კარგი განათლების, არის ლიდერული პოტენციალის, ფლობს ენებს, აქვს **კარგი კონტაქტები,** რა თქმა უნდა, ესეთ ადამიანს*

ამჩნევენ. ის, ვინც უნდა შეამჩნიოს, რა თქმა უნდა, შემდგომში ხდება მისი ფრომოუშენი" (ერთ-ერთი რესპონდენტი).

ახალ, მუდმივად ცვალებად გარემოში, ***საბჭოური ინსტიტუტების*** მიმართ არსებული ზოგადი უნდობლობის მემკვიდრული ზეგავლენის ფონზე, მაშინ როდესაც, დემოკრატიული ფორმალური სოციალური ინსტიტუტები (წარმატების ფორმალური და მორალური კრიტერიუმები) კვლავ ფორმირების პროცესშია, სოციალურ-ეკონომიკური წარმატების მიღწევის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ჯერ კიდევ ძლიერია ***არაფორმალური ფაქტორების*** (პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი და ა.შ.) გავლენა, რაც სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული კურსის არაადეკვატურია.

ლიტერატურა:

1. Beck U. 1992. Risk Society, Towards a New Modernity. London: Sage Publications. p.260.
2. Charkviani T. 2006 'Informal Labour Relations in Governmental Institutions' 'South Caucasus: Spaces. Histories. People.' On Russian language. (9 p.) Tbilisi. Published by: Heinrich Boell Foundation
3. Charkviani T. and Chelidze A. 2012. 'The Process of Formation of Meritocracy in Transforming Public Services'. Published by: Ilia State University. Tbilisi. p204.
4. Coleman J. S. 1986. Social Theory, Social Research, and a Theory of Action, article in American Journal of Sociology 91: 1309-1335.
5. Granovetter M. 1983. "The Strength of Weak Ties: A Network Theory Revisited". Sociological Theory 1: 201–233.
6. Granovetter M. 1985. "Economic Action and Social Structure: The Problem of Embeddedness". American Journal of Sociology 91 (3): 481–510
7. Ledeneva A.V. 1998. Russia's economy of favours: Blat, networking and informal exchange. Cambridge: Cambridge University Press.
8. Leiter S. and Tedstrom J. 1997. Russia's Informal Economy: A Framework for Analysis RAND Working Paper DRU-1678.
9. Mizruchi S. 2001. Religion and Cultural Studies. Princeton; Oxford: Princeton University Press.

10. Mars G. and Altman Y. 1983. The Cultural Basis of Soviet Georgia's Second Economy. In: Soviet Studies 35, 4: 546–560
11. Nordin V D. and Glonti G. 2006. Thieves of the Law and the Rule of Law in Georgia) [Caucasian Review of International Affairs, 1/1])
12. Helmke G. and LevitskyS. 2004. 'Informal Institutions and Comparative Politics: A Research Agenda', Perspectives on Politics, Vol. 2, No. 4, pp.725-740
13. Russel Bernard H. 2002. Research Methods in Anthropology. Qualitative and Quantitative? Approaches. Third edition. Walnut Creek, CA: AltaMira Press. Pp. 206-220 ("Unstructured? Interviewing") and 449-488 ("Some Traditions of Text Analysis").
14. Slade Gevin, 2008, The Threat of the Thief: Who Has Normative Influence in Georgian Society?" (Global Crime, 8/2 May)
15. Spradley James P. 1979. Ethnographic Interview. New York: Holt, Rinehart and Winston. P. 92
16. Theodore P. Gerber. Sarah E. 2008. Mendelson Public Experiences of Police Violence and Corruption in Contemporary Russia: A Case of Predatory Policing? Law and Society Review. vol. 42. №1. p.2.
17. Weiss Robert S. 1994. Learning from Strangers. The Art and Method of Qualitative Interview Studies. New York: Free Press. p.208.
18. Голосенко И. 2003. Феномен "русской взятки": очерк истории отечественной социологии чиновничества http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/Article/golos_fen.php

Tamar Charkviani
PhD Student
Ilia State University

Meritocratic Principles in Public Service

Resume

Commonness in Soviet and post-Soviet ways of governmental and informal practices is especially problematic in state institutions, as the state is the first guarantor of the protection and regulation of legal norms. After the Rose Revolution of 2003, Georgia began to reform many of its state institutions. The

reform of public institutions is one of the most salient for ensuring the efficiency of the state. **This research presents the hypothesis of prevalence of informal relationships over meritocratic principles in the system of public service management, which hinders the process of institutionalisation of meritocratic principles.**

Therefore, one of the main aims of this research is the description/study of strategies for public service management and identification/analysis of factors assisting/hindering the formation of the new type of management - meritocracy.

Establishing meritocratic values is important for Georgia. Modern bureaucracy in Georgia is facing a challenge: to allow reforms to create a healthy system based on the principles of meritocracy, or to find alternative ways of functioning, which will hinder its development into an open, democratic system. The 21st century marks the establishment period of a new type of society; 'the knowledge society'. In this society, the measure for personal success is the maximal realisation of individual potential.

The sociological research was based mainly on ***qualitative research methods***, although a ***quantitative research method*** was also employed. It is important to observe the principle of triangulation, which involves the logical use and combination of various quantitative and qualitative research methods in order to ensure the validity of both approaches.

A. **The Analysis of Theories** include the following: Conceptions of the bureaucratic system, social networks and social capital, sociology of management, the formation and functioning of social institutions, typology and reutilisation, management systems, communication processes and information circulation, etc.

B. **Analysis of Documents** involves the study of any relevant written sources. These include both documents connected with public services (ratings, administrative documents) and those connected with job markets (CVs, HR department materials, etc.). Information about the professional and labour activities of public servants was obtained through the analysis of these documents, which enabled a study of general tendencies, and the classification of similar or homogeneous facts, etc. This would, in turn, allow for the identification of public servant career progress and the criteria met by public servants that permitted career advancement. It should be pointed out that the analysis of

documents was carried out using both quantitative (traditional content analysis) and qualitative (content analysis, discourse analysis, etc.) methods.

C. **Qualitative Research Using the Interview Method:** Two target groups, totalling 50 respondents, were identified in the research:

a. Public servants occupying leading public positions (mainly departmental heads);

b. Public servants occupying senior or junior public positions (mainly departmental workers).

Meritocratic principles of management, as mentioned above, do not just involve formalisation and general adoption of criteria for success; the main indicator is the existence of a model of identification and measurement of knowledge, experience and professionalism that is open and obvious for public service employees. The research revealed that the criteria of career progression and success conforming to meritocratic principles are not clearly formed in public service, and discourse on it shows that public servants' reflection on this subject is superficial.

Non-formalized criteria of selection are employed not only in the process of promotion in public service but also at the stage of commencing employment, at the initial stage of the career. It has to be pointed out that public service organizes employment competitions, but respondents interviewed by us failed to identify the public servants employed at their department as a result of a competition. The dominant discourse on this topic is as follows.

The above examples show that employment to public service also happens on the basis of unclear criteria, since it depends on the manager's decision, as it does in the case of promotion. This manner of employing staff reinforces the importance of informal connections and their influence in public service. It is important to emphasize the problem of informal relations as it is a distinctive indicator of the principles opposing meritocracy. Public servants, naturally, avoid talking on the subject of employment and promotion on the basis of friendly or family relationships, so projective questions on this topic reveal the following discourse.

Since the subject is taboo, the influence of informal connections on starting employment, promotion and keeping a position is revealed through indirect questions. This conclusion can be made on the basis of a question about the principles of team work. Discussing this topic reveals not just the extent of the influence of informal relationships but also the degree of their effectiveness.

Public servants are not aware of meritocratic principles of teamwork; a team is understood and interpreted in the context of a clan. The latter carries a positive connotation in the respondents' reflections.

The lack of formalised criteria for career success, they are replaced by subjective manager evaluation, i.e., the commonly accepted selection criteria are very general and their identification is based on individual interpretation, allowing for a non-objective, informal approach. Consequently, according to the research results, work quality and efficiency evaluations carried out by public servants must become more standardised and formalised.

ვლადიმერ ჩხაიძე

მიწის კადასტრი და რეგისტრაცია საქართველოში. საზოგადოება, გეოგრაფია და ინფორმაციული ტექნოლოგიები

ინფორმაცია ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ ღირებულებას, მაგრამ დღეს მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

უკვე აღარავინ აღარ დავობს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების და/ან მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე.

ეს განსაკუთრებით ეხება გეოგრაფიულ ინფორმაციას, რომელმაც თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციური საშუალებების შესაძლებლობების გამოყენებით მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა. ვინაიდან ნებისმიერი ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა და დადგენა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით უფრო ზუსტი და ხელმისაწვდომი გახდა, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენების სფერო დღითიდღე ფართოვდება.

განსაკუთრებით ეს ეხება უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაციას და მის განუყოფელ ნაწილს – მიწის კადასტრს. მიწის კადასტრი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოიყენებოდა მიწისა და უძრავი ქონების აღრიცხვისათვის. მაგალითად, ნახ.1 წარმოადგენს სოფელ Schruns-Niedrig-ის საკადასტრო რუკის ფრაგმენტს, რომელზეც მიწის ნაკვეთების საზღვრები, შენობები და ზოგიერთი ტოპოგრაფიული ელემენტია დატანილი (გზა, მდინარე) (ავსტრიის იმპერია, 1852 წელი).



ნახ.1

საკადასტრო ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემების ერთობლიობას მიწის ზედაპირზე მდებარე ნაკვეთების საზღვრების, მათი მესაკუთრეებისა და სხვა მახასიათებელი ატრიბუტების შესახებ.

საქართველოში მიწის კადასტრის დამუშავება დაიწყო XX საუკუნის 90-იან წლებში სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის დახმარებით. 2007 წლამდე ჩატარდა საქართველოს მიწების დიდი ნაწილის საკადასტრო აღრიცხვა (ინვენტარიზაცია), რომელთა შედეგები სხვადასხვაგვარად იქნა გამოყენებული (ნახ. 2, ცხრილი 1).

საერთაშორისო პროექტების მიერ დაფარული ტერიტორიები

ნახ. 2

ცხრილი 1

პროექტების შედეგები:

პროექტი	**KfW**	**USAID**	**IFAD/WB**	**UNDP/EU**	**GTZ**
პროექტის პერიოდი(ები)	1999 – 2007	1997-2004, 2003 - 2007	1997 - 2005	1999 -2005	2000 -2007
გამოყენებული Software	ArcGIS	LandCad	MapInfo	ArcGIS	ჯერ AutoCAD, შემდეგ EZSI
გრაფიკული ინფორმაციის მოგროვების მეთოდები	ორთოფოტოები, საკადასტრო აზომვები	საკადასტრო აზომვები	აეროფოტოგრაფია, საკადასტრო აზომვები	ორთოფოტოები საკადასტრო აზომვები	ორთოფოტოების საკადასტრო აზომვები
ინფორმაცია, უფლებამოსილი როგორც იურიდიული რეგისტრაცია	არა	დიახ	დიახ, თუ გაიხსნა სარეგისტრაციო ბარათი	დიახ, თუ გაიხსნა სარეგისტრაციო ბარათი	დიახ
დაფარული ტერიტორიები	48 რაიონი და 4 ქალაქი სასოფლო და ურბანული	მიწის რეფორმა სასოფლო ტერიტორია	მცხეთა, გარდაბანი	გორი სასოფლო ტერიტორია, არა ქალაქი	თბილისი ურბანული ტერიტორია

2007-2008 წლებში ჩატარდა სხვადასხვა პროექტის მიერ შექმნილი ინფორმაციის ინტეგრაცია ერთიან მონაცემთა ბაზაში და გადაეცა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ამავე დროს საჯარო რეესტრში შეიქმნა და დაინერგა უძრავი ქონების სარეგისტრაციო სისტემა, რომელმაც ეტაპობრივად მთელი საქართველოს ტერიტორია მოიცვა.

2008 წლიდან სარეგისტრაციო სისტემაში ჩაირთო საკადასტრო ინფორმაციის დამუშავების მოდულიც, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილია საკადასტრო ზონირების პრინციპით (ნახ. 3), სადაც ყოველ საკადასტრო ზონას მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი.

ნახ. 3

თვით ზონები, თავის მხრივ, დაყოფილია სექტორებად და კვარტალებად. ამის საფუძველზე იქმნება ნებისმიერი მიწის ნაკვეთისთვის უნიკალური საკადასტრო კოდის მინიჭების შესაძლებლობა, რომლის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: <ZZSSQQPPP>, სადაც ZZ – საკადასტრო ზონის კოდია, SS – სექტორის კოდია, QQ – კვარტალის კოდია, PPP – ნაკვეთის ნომერია. განსხვავება მხოლოდ ქ. თბილისის საკადასტრო ინფორმაციის სტრუქტურაშია, სადაც დამატებით შემოღებულია ე.წ. ბლოკის ცნება, რომელიც განკუთვნილია კვარტალის შიგნით არსებული ობიექტების საზღვრების გამიჯვნისათვის. ამიტომ თბილისის საკადასტრო კოდირების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: <ZZSSQQBBBPPP>. ეს არ ცვლის საკადასტრო კოდირების პრინციპს, თუმცა ამ შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის არსებობაა აუცილებელი.

საგულისხმოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საკადასტრო ზონირების გეოგრაფიული საზღვრები ხშირად არ ემთხვევა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს. პირველ რიგში ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა ხორციელდებოდა იმ პერიოდში, როდესაც არ არსებობდა თანამედროვე გეოგრა-

ფიული პოზიციონირების სისტემები. აქედან გამომდინარე, არსებული ანუ „ძველი“ საზღვრები ვერ აღწერდა რეალურ მდგომარეობას.

საკადასტრო ზონირების საზღვრები კი შეიქმნა მიწის ნაკვეთების უშუალო აზომვისა და აღრიცხვის პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ ორ მეზობელ ნაკვეთს შორის არ უნდა დარჩენილიყო გამოსაკვლევი ტერიტორია, ანუ უნდა დაცულიყო ე.წ. „სრული დაფარვის“ პრინციპი, რაც გულისხმობს ყველა ტიპის ნაკვეთის გეოგრაფიულ გამიჯვნას (ნაკვეთი, გზა, მდინარე, ტბა და ა.შ.) (ნახ. 4).



ნახ. 4

ამის შემდეგ განხორციელდა ყველა აღრიცხული ობიექტის მესაკუთრეთა დადგენა/გამოკითხვა, რამაც განაპირობა ყოველი ობიექტის ტერიტორიული მიკუთვნების განსაზღვრა, რის შედეგადაც განისაზღვრა გეოგრაფიული საზღვრები მეზობელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის (ნახ. 5).



ნახ. 5

აღწერილი მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია დასახლებულ პუნქტებში, სადაც მესაკუთრეთა ბინადრობის/საკუთრების ადგილ-მდებარეობა ფაქტობრივ მონაცემებზეა დაფუძნებული.



ნახ. 6

განსაკუთრებულ შემთხვევებს წარმოადგენენ ის ტერიტორიები, სადაც ერთპიროვნული მესაკუთრეობა ვერ დგინდება და/ან შეიძლება წარმოადგენდეს თანასაკუთრების საგანს. ასევე პრობლემატურია ობიექტის საერთოდ დაუდგენელი მესაკუთრეობა. ასეთ შემთხვევებში საზღვრის დადგენა განხორციელდა ბუნებრივი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, მაგ.: წყალგამყოფი, მდინარე, ხევი და ა.შ. (ნახ. 6).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკადასტრო ზონირების პრინციპი დაფუძნებულია გეოგრაფიულ მონაცემთა სიმრავლეზე, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს საზღვრების დადგენის სიზუსტეს, განსაკუთრებით, დასახლებულ პუნქტებში.

აღწერილი პრინციპები პრაქტიკულად გამოიყენება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესში, რომელიც მის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. ყველაფერი ეს ასახულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზებში (www.napr.gov.ge, www.maps.napr.gov.ge).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის აუცილებელ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ქონების ობიექტის საკადასტრო გეგმა, წარმოდგენილი ციფრული სახით. შედეგად, ეს უზრუნველყოფს ერთიანი საკადასტრო რუკის წარმოების შესაძლებლობას.

საკადასტრო რუკის შემადგენლობაში შედის შემდეგი ობიექტები:

- ნაკვეთი – პოლიგონი, რომელიც შეიცავს ნაკვეთის ფართობსა და პერიმეტრს. მას რეგისტრაციის პროცესში ენიჭება უნიკალური საკადასტრო კოდი;
- შენობა – პოლიგონი, რომელიც გეოგრაფიულად და საკადასტრო კოდის მეშვეობით დაკავშირებულია მის „ქვეშ“ მდებარე ნაკვეთთან;
- სერვიტუტი – მისასვლელი გზა/გასასვლელი, რომელიც მეზობელი ნაკვეთის (ნაკვეთების) გავლით აკავშირებს ნაკვეთებს/შენობებს;
- ხაზოვანი ნაგებობა – ის ობიექტები, რომლებიც არ მოითხოვენ პერიმეტრული ფართობის გაანგარიშებას, მაგ.: მილსადენები, ძაბვის სადენები და სხვ. მათ შეიძლება გააჩნდეთ ტექნიკური მოთხოვნილებებით გათვალისწინებული დაკავებული ტერიტორიების მახასიათებლები, რომლებიც პოლიგონებათ აღიწერება, მაშასადამე, წარმოადგენენ ნაკვეთის ერთეულს.

დღეს ეს ობიექტები აუცილებელია საკადასტრო წარმოებისთვის.

2011 წელს დაწყებულია საქართველოს დამისამართების ციფრული სისტემის შექმნა, რომელიც გულისხმობს ყველა დასახლებული პუნქტის აღწერას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ სისტემის მონაცემთა სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება (ნახ.7).

ვინაიდან სარეგისტრაციო და საკადასტრო აღრიცხვაში უკვე არსებობს ინფორმაცია მთელი რიგი ობიექტების შესახებ, ამიტომ ძირითად გამოსაკვლევ ობიექტებს ქუჩა/უბანი და ბინა წარმოადგენენ.



ნახ. 7

ქუჩის/უბნის დადგენა ხორციელდება მისი გეოგრაფიული მდებარეობის, საზღვრებისა და აღწერითი პარამეტრების (მაგ., დასახლებები) დაზუსტებით.

ბინის პარამეტრების დადგენა ითვალისწინებს ბინის კონტურის შექმნას პოლოგონის სახით. ამასთან, აუცილებელია ყოველი აღწერილი ბინის ატრიბუტული პარამეტრები, როგორიცაა: სართული, სიმაღლე, ნომერი, გამოყენების ტიპი, დანიშნულება და სხვ. ბინები გეომეტრიულად განლაგებულია არსებული შენობის კონტურის შესაბამისად, ამასთან, არ არის მოთხოვნილი კონტურების ზუსტი გეომეტრიული თანხვედრა. აუცილებელია, რომ ბინის ცენტროიდი (გეომეტრიული სიმძიმის ცენტრი) განლაგებული იყოს შენობის კონტურის შიგნით. ყველა ამ ინფორმაციის ერთობლიობა სართულისა და სიმაღლის გათვალისწინებით გვაძლევს შემდეგ გეოგრაფიულ სურათს: (ნახ. 8 – მა-

გალითი: ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩაზე მდებარე 38 შენობის პირველი სართულის გეგმა).

უძრავი ქონების სარეგისტრაციო-საკადასტრო ინფორმაციის ურთიერთდაკავშირების შედეგად მივიღებთ ხარისხობრივად ახალ პროდუქტს, რომელიც მთელ რიგ დამატებით ფუნქციებსა და შესაძლებლობებს შეიძენს, კერძოდ:

- უძრავი ქონების ობიექტის დარეგისტრირების პროცესში აუცილებლად უნდა დადგინდეს ყოველი ობიექტის ელექტრონული მისამართების ბაზაში არსებობის ფაქტი;
- მისამართის არარსებობის შემთხვევაში სამისამართო რეესტრში შეიქმნება ახალი მისამართი, რომელიც მიენიჭება დასარეგისტრირებელ ობიექტს;
- შეიქმნება ინტერნეტსერვისები, რომლებიც მიეწოდებათ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, რის შედეგადაც მოხდება რეგისტრირებული მისამართების ცენტრალიზება;
- მისამართის ტექსტობრივი ნაწილის (მაგ., დასახელების) ცვლილების შემდეგ, ის ავტომატურად აისახება ყველა გამოყენებულ ადგილას;
- მისამართის ყოველი ცვლილება აისახება მონაცემთა ბაზის არქივში ცვლილების ქრონოლოგიისა და წარმოშობის საბუთის მითითებით.

ამასთან, გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ახალმა მოთხოვნებმა (მისამართის – ქუჩის/შენობის/ბინის დადგენა) არ უნდა გაზარდოს რეგისტრაციისთვის კანონით განსაზღვრული დრო (4 სამუშაო დღე).



ნახ. 8

ყველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება დასახლებული პუნქტების სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა, რომლის პირველადი სურათი ასე გამოიყურება: (ნახ. 9 – ფრაგმენტი, პეკინისა და ვაჟა ფშაველას გამზირის გადაკვეთა).

ნახ. 9

ასევე დაგეგმილია საქართველოს ტერიტორიის აეროფოტოგადაღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იძლევა მიწის ზედაპირის სიმაღლური (DEM) მოდელის აგების საშუალებას. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, შედეგად მივიღებთ საქართველოს მთელი ტერიტორიის სრულ გეოინფორმაციულ ბაზას. ბაზაში განთავსებული იქნება მრავალფუნქციური მონაცემები, რომლებიც მოემსახურება რეგისტრაციის, საკადასტრო, გეგმარებითი და სხვა სახის სამუშაოებს. ამ მონაცემებს უნდა დაემატოს ასევე მიწის გამოყენების, ნიადაგის მახასიათებლებისა და აღწერის მონაცემები. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო გააფართოებს მონაცემთა ბაზის გამოყენების სფეროს.

დაბოლოს: ყველაფერი ზემოთ მოყვანილი განთავსებული იქნება ინტერნეტპორტალზე, სადაც:

- ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი ადამიანისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან;
- ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული სერვისების ორგანიზებას, ხელმისაწვდომი გახდება შესაბამისი რეგისტრაციისა და ავტორიზაციის შემდეგ;

- ამ და სხვა პროექტების მიმდინარეობას შეგიძლიათ თვალყური მიადევნოთ შემდეგ საიტებზე:

ლიტერატურა:

1. www.napr.gov.ge
2. http://gisappsn.reestri.gov.ge/tbilisicadmap/Default.aspx
3. http://gisappsn.reestri.gov.ge/geocadastre/
4. http://maps.napr.gov.ge

Vladimer Chkhaidze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Land Cadastre and Registration in Georgia

Resume

The article deals with preliminary conditions for the creation of the land cadastre for the digital registration system of the immovable property and the detai**ls** of its implementation. It describes investigation and surveying tasks perormed within the frame of various international projects, and scrutinizes speifications and results.

The work discusses cadastre coding and zoning principles, which have been implemented in the Georgian Cadastre System, usage and creation of the cadastral administrative boundaries and approaches for the creation of georaphic boundaries. It also presents a description and classification of the necessary cadastral objects for the current cadastral and registration activities.

The electronic addressing project was started in Georgia in 2011. The first stage of the project is designated to create the inventory of the streets, buildings and flats. For the flats, the geometrics of the objects in GIS are created. At the next stage the flats will become cadastral objects with related attributes.

As a result, it will be possible to present all the information on built-up objects in digital format and publish them on the internet website. The current results can be found on www.maps.napr.gov.ge

რევაზ ჯორბენაძე

ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ პროცესი განწყობის თეორიაში

1988 წელს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების – ვ. კაკაბაძის და ი. იმედაძის რედაქციით სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიაში გამოქვეყნდა დ. უზნაძის „შენიშვნების რვეული“, რომელიც ავტორის არქივში ინახებოდა. „შენიშვნების რვეული“ დაიწერა 1944-1949 წლებში. ამ ჩანაწერში საყურადღებო ისაა, რომ დ. უზნაძე განწყობის თეორიის სრულყოფისათვის კვლავ სიახლეების ძიებაშია. ავტორი აკონკრეტებს, ავითარებს განწყობის თეორიის ცნებებს და საკვანძო საკითხებს. ამ ნაშრომში აშკარად ჩანს, რომ ავტორი ცდილობდა ახალი ცნებების შემოტანას. ნაშრომის წაკითხვის შემდეგ აზრი გვიჩნდება, რომ დ. უზნაძე აპირებდა განწყობის თეორიის საკვანძო საკითხების დახვეწას. ამ ნაშრომში საუბარია გრძნობებზე და ემოციებზე, ქცევაზე, გამომხატველ მოძრაობებზე, შეგრძნებებზე, მოთხოვნილებებზე, ობიექტივაციაზე, ფიქსირებულ განწყობაზე, ნებელობით აქტზე, წარმოსახვაზე, სიზმრის შინაარსზე, სწავლაზე, შინაგან მეტყველებაზე, მეხსიერებაზე, ჩვევაზე, „სუბიექტივაციაზე“. ასეთი ჩანაწერების არსებობა მიუთითებს, რომ ავტორს ნამდვილად სურდა განწყობის თეორიის საბაზისო ცნებების დაზუსტება, დახვეწა და სიახლეების დანერგვა.

„შენიშვნების რვეულის“ ბოლო ჩანაწერში (1949 წელი) დ. უზნაძე საუბრობს ობიექტივაციის საკითხზე და ამ პროცესის საფუძველზე ჩამოყალიბებულ განწყობაზე, რომელსაც რეალური აქტივობა მოსდევს. აქვე დ. უზნაძეს შემოაქვს „სუბიექტივაციის“ ცნება, რომელიც შინაარსობრივად განსხვავდება ობიექტივაციისაგან, ფორმით კი წააგავს მას, ე.ი. „გარეგნულად ობიექტივაციაა, ნამდვილად კი – „სუბიექტივაცია“ (9; 10; 11). ამ ცნების მეცნიერულად დასაბუთება და განწყობის თეორიაში მისი დამკვიდრება მეცნიერს არ დასცალდა, მაგრამ, აშ-

კარაა, რომ ავტორი ამ ცნების შემოტანას საჭიროდ მიიჩნევდა. „შენიშვნების რვეულში“ შემოტანილმა ამ ახალმა ცნებამ – „სუბიექტივაციამ“ მიიქცია ჩვენი ყურადღება და შევეცდებით მისი შემოტანის და დამკვიდრების საჭიროებაზე ვიმსჯელოთ, საკითხის დასმის წესით.

დ. უზნაძე მის მიერ შემუშავებულ განწყობის თეორიაში ფსიქიკის ფუნქციონირების ორ დონეს გამოჰყოფს: პირველი – განწყობის დონე და მეორე – შემეცნების (ობიექტივაციის) დონე, რომელიც სოციალურ გარემოში მოქმედ სუბიექტს – პიროვნებას ახასიათებს. ობიექტივაციის პროცესს ადამიანის ქცევის განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სადაც ქცევა მიზანშეწონილია, ხდება შეჩერება (გარკვეული დამაბრკოლებელი ფაქტორების საშუალებით აქტივობის შეფერხება) და აქტუალიზდება აზროვნება. დ. უზნაძე თვლის, რომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს პროცესი ისე მიმდინარეობს, თითქოს ობიექტივაციაა, მაგრამ სინამდვილეში **„სუბიექტივაციაა“**. ამ პროცესის ასახსნელად შევეხოთ თვით დ. უზნაძის მიერ მოყვანილ მაგალითს: *„შეიძლება ასეთი სიტუაცია მოხდეს: სუბიექტს დაებადოს აზრი, გაუჩნდეს ეჭვი, რომ, ვთქვათ, ესა და ეს ასე არ უნდა იყოს. მაგალითად, ეს ელექტროგაყვანილობა სპეციალურად ჩემ საზიანოდ, საგანგებოდ უნდა იყოს გაკეთებული. მაშინ რას იზამს ეს სუბიექტი? ძალიან დაუკვირდება, დიდი „ყურადღებით“ ამ ელექტროგაყვანილობას, რათა აღმოაჩინოს ზოგი ისეთი მხარე, რომელიც თითქოს მართლა მისი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, თითქოს ამართლებს მის ეჭვებს. არის აქ ობიექტივაცია თუ არა? არის, აი რა: აქ არის უფრო, ასე ვთქვათ, „სუბიექტივაცია“, ვიდრე ობიექტივაცია“* (11, გვ.91). ასეთ შემთხვევაში სუბიექტი საკუთარ ეჭვებს, მოლოდინებს ამართლებს და ამისთვის გარკვეულ საფუძველს პოულობს. ეს პროცესი ობიექტივაციას ფორმით გავს, მაგრამ შინაარსით ის სხვა პროცესია. ამგვარი დაშვებიდან გამომდინარე „სუბიექტივაციის“ პროცესი ობიექტივაციის პროცესთან ერთად შეიძლება განწყობის თეორიის ფარგლებში იქნეს განხილული, როგორც დამოუკიდებელი ცნება. ამ არგუმენტის განსამტკიცებლად კვლავ დ. უზნაძის ციტატას მოვიყვან – *„... თვითონ პროცესი ძალიან გავს ობიექტივაციის პროცესს: სუბიექტი მართლა აკვირდება ობიექტს, ძალიან ჩაღრმავებულადაც. შენიშნავს ამის გამო ბევრს რასმე, რასაც რომ ინტენსიური ყურადღება არა, ვერ შენიშნავდა. ერთი სიტყვით, თითქმის მართლაც არის ნამდვილი ობიექტივაცია, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ობიექტივაცია მიტომ, რომ სუბიექტს*

რაღაც წინასწარ აქვს მიღებული, რაღაცას ელის აქ და ამის აღმოჩენას ცდილობს. ასე რომ, აქ მარტო ***შეჩერების აქტთან*** *კი არ გვაქვს საქმე, როგორც ნამდვილი ობიექტივაციის შემთხვევაში, არამედ* ***წინასწარ მტკიცე განწყობის ფაქტთან,*** *რომლის აღმოჩენას და დადასტურებას ცდილობს სუბიექტი. ამიტომაცაა ასეთ შემთხვევაში, რომ სუბიექტს ხშირი ილუზია აქვს – ის ისეთ რასმე ხედავს, რაც ნამდვილად არ არის“* (11, გვ.91).

განწყობის თეორიის ფარგლებში წინასწარი მტკიცე განწყობა ფიქსირებული განწყობის არსებობას გულისხმობს. ფიქსირებულ განწყობას შესაძლოა ძლიერი ინტენსივობა და სიმტკიცე გააჩნდეს, რომლის პრიზმაში გარდატეხს სუბიექტი აქტივობას, რაც მისი ასეთი განწყობის შესატყვისი ქმედების გამართლებას და დადასტურებას განსაზღვრავს. არის შემთხვევები, როდესაც ილუზორული ხედვა ჭარბობს, რომელიც წარმოსახვის სფეროს მიეკუთვნება.

„შენიშვნების რვეულში“ დ. უზნაძე „სუბიექტივაციის“ და ობიექტივაციის პროცესის შედარებას გვაძლევს: *„ასე, რომ აქ დაკვირვება გარეგნულად არის, მაგრამ დაკვირვება არა ობიექტური, არამედ სუბიექტური, ე.ი. ძიებაა ისეთი მომენტების, რომელიც მის წინასწარ განწყობას ამართლებს, ასაბუთებს. მაშასადამე, საჭიროა სიფრთხილით მოვექცეთ ობიექტივაციას: ის, რაც გარეგნულად გავს მას, ხშირად ის არაა. ობიექტივაციის შემთხვევაში წინასწარ არაფერი არაა შეწყნარებული. აქ კი* ***ძიებაა იმისა,*** *რაც უკვე* ***შეწყნარებულია,*** *გასამართლებრად გამოდგება. ობიექტივაციის შემთხვევაში ძიებაა იმ ნიშნებისა, რომლის შესატყვისი განწყობა უნდა აიგოს; აქ კი ძიებაა ისეთი ნიშნებისა, რომელიც უკვე არსებული განწყობის გასამართლებლად უნდა გამოდგეს“*(11, გვ.91).

ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ პროცესის შედარება დ.უზნაძის მიხედვით შემდეგი სახისაა:

ობიექტივაცია	**„სუბიექტივაცია“**
1. წინასწარ არაფერია შეწყნარებული; 2. იმ ნიშნის ძიება ხდება, რომლის შესატყვისი განწყობა უნდა აიგოს.	1. იმის ძიებაა, რაც უკვე შეწყნარებულია და მისი გამართლების მცდელობაა; 2. იმ ნიშნის ძიებაა, რომელიც უკვე არსებული განწყობის გამართლებისთვის უნდა გამოდგეს.

ამ დებულებების შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ დ. უზნაძე ცდილობს **ობიექტივაციის** და **„სუბიექტივაციის“** პროცესები განასხვაოს. ჩვენ ვხმარობთ პროცესს და არა აქტს, ან ობიექტივაციის მოთხოვნილებას, რომელიც დ. უზნაძის სხვადასხვა შრომაში გვხვდება. ავტორი თავის შრომებში ამ ცნებების აღსანიშნად უმეტესად პროცესს იყენებს. პროცესი სხვა დანარჩენი ტერმინებისაგან შინაარსობრივად და წარმოშობის მიხედვით განსხვავდება. ობიექტივაციის შემთხვევაში ქცევის შეჩერება, შეფერხება, შეწყვეტა ხდება და აზროვნების აქტის საფუძველია, ხოლო „სუბიექტივაციის“ შემთხვევაში, ამ პროცესის აღმოცენების წყარო ფიქსირებული განწყობის (დისპოზიციური) გააქტიურებაშია. ასეთ შემთხვევაში პროცესი აქტებად იშლება.

მოქმედების სუბიექტი (პიროვნება) ფსიქიკური განვითარების ამ დონეზე სწორედ გამოყოფილი ორი პროცესის ფარგლებში ფუნქციონირებს, რასაც ვერ ვხვდებით პირველადი განწყობის შემთხვევაში. ორივე პროცესი უზრუნველყოფს ინტელექტუალური, მოტივაციური და ნებელობითი აქტების განხორციელებას, იმ განსხვავებით, რომ „სუბიექტივაციის“ პროცესის დაწყება ფიქსირებული განწყობის გააქტიურებით ხდება. ჩვენი აზრით, ამ ორი პროცესის დაშვება და მათი განხილვა გააფართოვებს განწყობის თეორიის არეალს და ვიმედოვნებთ, რომ ის კვლევის ახლებურ პერსპექტივას დაგვანახებს.

„შენიშვნების რვეულის“ გამოქვეყნების შემდგომ, 1988 წლიდან დღემდე, ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ პროცესის საკითხს ქართული ფსიქოლოგიის სკოლის ორმა მეცნიერმა მიაქცია ყურადღება, – ჯერ ი.იმედაძემ (12) და მოგვიანებით კი მ. ბალიაშვილმა (2). ი. იმედაზე (12) მიიჩნევს, რომ „სუბიექტივაციით“ დ. უზნაძე აღწერს იმ პროცესს, რომელიც ძირითადად ობიექტივაციის პროცესის ფარგლებში თავსდება, წარმოიშობა და ამ პროცესის ნაირსახეობაა. „სუბიექტივაციის“ პროცესს სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცნობიერ დონეზე ხდება უკვე არსებული აზრების და განწყობების გამოვლენა, გამართლება და მათი დასაბუთება. რაც შეეხება ობიექტივაციის პროცესის შინაარსობრივ მხარეს, აქ სუბიექტი მაქსიმალურ ობიექტურობას ცდილობს. ი.იმედაძე „სუბიექტივაციას“ ნებელობის საკითხის ფარგლებში ათავსებს. აქვე, განწყობის დინამიკური თეორიის ჭრილში, მოტივი – ეს არის ქცევის სუბიექტური ღირებულება და მისი ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განიხილოს და დაასაბუთოს ესა თუ ის ქცევა და აქედან – *„მოტივაციური პროცესი, რომელშიც მიმდინარეობს*

გამოვლენა ანდა შეცვლა ქცევის სუბიექტური ღირებულების, სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა მხოლოდ იმას, რაცაა სუბიექტივაცია“ (12. გვ. 213). ეს იმას ნიშნავს, რომ მოტივაციურ პროცესს, რომელიც წინ უსწრებს განწყობის გამოწვევას და ამზადებს გადაწყვეტილების მიღების აქტს (სადაც რომელიმე ერთ ქცევას უპირატესობა ენიჭება ანუ სუბიექტურად უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა), უნდა ეწოდოს „სუბიექტივაცია“.

საბოლოოდ ი. იმედაძე ასკვნის, რომ *„...ნებელობითი პროცესი თავისი არსით არის სუბიექტივაციის პროცესი“* (12.გვ. 213). „სუბიექტივაციის“ პროცესი განწყობას უკავშირდება, რადგანაც ეს პროცესი მთავრდება განწყობის გამოვლენით, როგორც ობიექტივაციის პლანში ჩამოყალიბებული განწყობის შემთხვევაშია. „სუბიექტივაციის“ პროცესში ჩამოყალიბებული განწყობა მიზანდასახულ ქცევის მსვლელობას განსაზღვრავს. ნებელობითი აქტის დროს, გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე, სადაც მოტივაციური კონფლიქტი ასეთი სახის გადაწყვეტილებას წინ უსწრებს, მამოძრავებელ ძალად და განწყობის მოტივაციური ფაქტორის წინმსწრებად „სუბიექტივაცია“ გამოდის. ალტერნატივიდან ის აირჩევა, რომელსაც უფრო მეტი სუბიექტური ღირებულება მიენიჭება. ავტორი თვლის, რომ სუბიექტური ღირებულების, ანუ მოტივის მოძიება ნებელობით აქტში გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე „სუბიექტივაციაა“. ასეთი შეხედულებით ობიექტივაციის პროცესში მოიაზრება „სუბიექტივაცია“. ი. იმედაძე წერს: „საზოგადოდ, *ობიექტივაცია გვევლინება არა მხოლოდ, როგორც დისკრეტული აქტი, არამედ როგორც საკმაოდ მყარი მდგომარეობა, რომელიც მთელ ქცევას გასდევს; მეტ-ნაკლებად რთული ქცევის განხორციელება ხშირად მუდმივი ობიექტივაციის რეჟიმს მიმართავს; ადამიანი სულ ფხიზლადაა, აკონტროლებს თავის საქმიანობას, აცნობიერებს ვითარებას“* (5, გვ. 63). ასეთი შემთხვევისას ქცევა სულ ობიექტივაციის პლანში მიმდინარეობს. ობიექტივაციის პროცესით გამოწვეული ცვლილებები, ი. იმედაძის აზრით, დინამიკური სტრუქტურის მქონეა და ერთიანი განწყობის ფარგლებში აქტიურდება.

მ. ბალიაშვილი (1) ობიექტივაციის პროცესის სამ სახეს გამოჰყოფს: 1. საგნის ობიექტივაცია; 2. სოციალობის ობიექტივაცია; 3. „მე-ს“ ობიექტივაცია. ობიექტივაციის პროცესთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ის გამოიწვევა ფიზიკური, აზრობრივი ან ღირებულებითი დაბრკოლებით, მაშინ, როდესაც ქცევა აღარ ხორციელდება. რაც შეეხება „მე-ს“

ობიექტივაციას, პიროვნების „მე-ს“ წინაშეა პრობლემა – იდენტობის, პიროვნების მთლიანობის დარღვევის, ანდა ამ დარღვევის საფრთხის. ამ შემთხვევაში ის აქტივობა, რომელიც „მე-ს“ იდენტობას ემუქრება, კონფლიქტს იწვევს. აქ კი სუბიექტი უპირისპირდება თავის თავს და მას, როგორც ობიექტს, ისე განიხილავს. აქედან სუბიექტი ორმაგი სახის მატარებლად გვევლინება, რადგან ის სუბიექტის და ობიექტის რანგში გამოდის. აქვე, „მე“ – არსებული მდგომარეობის შეფასებას იწყებს, აცნობიერებს, თუ რა ხდება. ასეთ შემთხვევაში ობიექტივაცია „მე-ს“ შესახებ ობიექტურ ცოდნას არ იძლევა, რადგან სუბიექტი სპეციფიკური შემეცნებითი ამოცანის წინაშე არ დგას. ასეთ დროს საქმე ეხება სუბიექტურ ღირებულებას, რომელიც პრობლემის სახით ავლენს თავს.

მ. ბალიაშვილი ობიექტივაციის ცნების დ. უზნაძისეულ თავდაპირველ განმარტებაზე წერს, რომ თავიდან ის შემოტანილ იქნა შემეცნებითი აქტივობის ასახსნელად. მოგვიანებით, ნებელობით აქტივობას დაუკავშირა, როდესაც „მე-ს“ და ქცევის ობიექტივაციასთან გვაქვს საქმე. ობიექტივაცია აქტივობის შემაფერხებლად, შემაჩერებლად მიაჩნდა დ.უზნაძეს, რომლის გაგება ფიზიკურად მხოლოდ შეჩერებას ნიშნავს. მისი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა კი ახალი სპეციფიკური აქტივობის დაწყებას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავს სუბიექტად განიცდის, სადაც ქცევიდან საკუთარი თავის გამოყოფა ხდება. *„გვაქვს არა მხოლოდ ობიექტივაციის პროცესი* – წერს მ.ბალიაშვილი – *რომლის საფუძველზე სინამდვილიდან კატეგორიული მნიშვნელობის ობიექტები გამოიყოფა, არამედ* ***სუბიექტივაციის*** *პროცესიც (ხაზგასმა ჩვენია), როცა სუბიექტის გამოყოფა და „მე-ს“ ჩამოყალიბება ხდება. ეს აქტი ობიექტივაცია-სუბიექტივაციის ერთიანობას წარმოადგენს და სუბიექტურის და ობიექტურის დიფერენცირებას ახდენს“*(2. გვ.15).

დ.უზნაძის მიერ „სუბიექტივაციის“ ცნების შესახებ ზემოთ ჩამოყალიბებული ორი შეხედულება პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ი. იმედაძე მიიჩნევს, რომ „სუბიექტივაცია“ ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა ობიექტივაციის პროცესის და უშუალოდ ნებელობით აქტს უკავშირდება. ეს ეხება გადაწყვეტილების მიღების სტადიას, სადაც ქცევის მოტივი ანუ სუბიექტური ღირებულების მქონე ქცევა უნდა მოინახოს. რაც შეეხება მ. ბალიაშვილს, ის „სუბიექტივაციის“ პროცესს უკავშირებს (ასევე ნებელობით აქტს) სუბიექტის გამოყოფას ქცევიდან და „მე-ს“ ჩამოყალიბების სფეროს. ეს ავტორი ობიექტივა-

ციას და „სუბიექტივაციას“ ერთობლიობაში განიხილავს, რომელიც სუბიექტურის და ობიექტურის დიფერენცირების საშუალებას გვაძლევს. ამგვარად, ი. იმედაძესთან „სუბიექტივაცია“ ობიექტივაციის კერძო შემთხვევაა, ხოლო მ. ბალიაშვილთან ეს ორი პროცესი ერთობლიობაში და ურთიერთმიმართებაში განიხილება.

„სუბიექტივაციის“ ცნების შემოტანა ფსიქოლოგიაში განხილვის საგანი უნდა გახდეს. სწორედ აქედან გამომდინარე, საჭიროა პასუხი გაეცეს ქვემოთ მოცემულ კითხვებს: 1. რა იგულისხმება „სუბიექტივაციის“ პროცესში? 2. განსაზღვრავს ფიქსირებული განწყობა „სუბიექტივაციას“? 3. ხომ არ არის ეს ორი პროცესი (ობიექტივაცია და „სუბიექტივაცია“) ერთი მთლიანის ნაწილი? 4. ცალ-ცალკე ხომ არ უნდა მოხდეს ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ ცნებების განხილვა? 5. ხომ არ წარმოადგენს „სუბიექტივაცია“ ფიქციას? 6. როგორ უნდა იქნეს გამოვლენილი „სუბიექტივაცია“ და რა პროცესთან გვაქვს საქმე? 7. რა პერსპექტივა აქვს ამ ცნების დამკვიდრებას განწყობის თეორიაში?

დ. უზნაძე თავის შრომებში ეხება ობიექტივაციის პროცესს, სადაც საუბარია სოციალურ მოქმედებებზე და პიროვნების სუბიექტურ სამყაროზე. ობიექტივაციის ცნების შესახებ დ.უზნაძე წერდა: *„ჩვენ ვიცით, რომ მას(ადამიანს) უნარი აქვს თავისი თავი და გარემო ურთიერთს დაუპირისპიროს, თავისი „მე-ს“ მოქმედების ობიექტივაცია მოახდინოს“* (7, გვ. 204). ასეთ შემთხვევაში, მომავალი ქცევა შეჩერდება, ანუ ქცევა ასეთ შემთხვევაში „მე“-ზეა დამოკიდებული და სუბიექტში შემდეგი სახის განცდას იწვევს – *„ანუ ქცევის სუბიექტად თავის თავს, თავის „მე-ს“ განიცდის“* (7, გვ. 205). დ. უზნაძე ობიექტივაციის პროცესში რამდენიმე აქტს გამოჰყოფს: პირველი – აზროვნება, მეორე – მოტივის ძიება და მესამე – ნებელობითი აქტის საშუალებით გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში, „მე-ს“ მაღალი მოთხოვნილებები მოქმედებს და პირველადი განწყობებით აღარ ხდება მოქმედება. ნებელობის გააქტიურებას მოცემული მოქმედების სუბიექტი „მე-ს“ განცდაში ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში „მე-ს“ და ქცევის განცდა დიფერენცირებულად ხდება. დ. უზნაძე ამის თაობაზე წერს: *„ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ნებელობის ყოველი შემთხვევისათვის მე-სა და ქცევის ობიექტივაციაა დამახასიათებელი“* (7, გვ. 178). ნებელობას ექვემდებარება ცნობიერად გადაჭრილი ქცევა, სადაც, მისი გააქტიურებით „მე-ს“ მიერ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასე სა-

ხავს „მე“ მომავალ ქცევას. ნებელობითი აქტით იქმნება მიზანშეწონილი ქცევის განწყობა. ამგვარად, თავიდან აზროვნებაა ჩართული, რომელსაც მოსდევს ქცევის მოტივის მოძიება, რომლითაც შესასრულებელი ქცევის ღირებულება დგინდება, ვალენტობის საფუძველზე. შემდეგ კი მსგავს ქცევებთან შედარება ხდება და საფუძველი იქმნება გადაწყვეტილების მიღებისთვის. დ. უზნაძე ასევე აღნიშნავს, რომ ფიქსირებული განწყობები მოქმედების მზაობას ედება საფუძვლად და პიროვნების სოციალურ ქცევასაც განსაზღვრავს, სადაც უმაღლესი ღირებულებების პრიორიტეტია დადგენილი. ყოველივე ეს დ.უზნაძემ თავის ადრეულ შრომებში დააფიქსირა. ამგვარად, ობიექტივაციის პროცესის პირობებში აზროვნება თეორიული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება, რომელიც რეალურად უნდა განხორციელდეს. სწორედ მისი განხორციელება ნებელობითი აქტის საშუალებით ხდება, სადაც ქცევის შესატყვისი განწყობა უნდა გამოვლინდეს, რაც ხელს უწყობს რეალური ქცევის დიდი ალბათობით შესრულებას. დ.უზნაძე წერს, რომ აზროვნება და ნებელობა ობიექტივაციის პროცესის საფუძველზეა გააქტიურებული, მაგრამ, განწყობის თეორიიდან გამომდინარე, ფსიქიკაში მიმდინარე ყველა აქტს თან ახლავს განწყობის ზეგავლენა.

ობიექტივაცია არის დაბრკოლებაზე პასუხი – შეჩერება, შეფერხება, რომლითც შემდგომ ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პროცესის გაშლა ხდება. პროცესი იწყება გააზრებით და მიზანშეწონილი ქცევის ძიებით. ამ შემთხვევაში დ. უზნაძე ორი სახის წარმოდგენაზე საუბრობს: – „ერთი – *წარმოდგენა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (სიზმრის წარმოდგენები) და მეორე – იდეა ანუ წარმოდგენა, რომელიც ზოგადი ბუნებისაა და ვერბალურ სტიმულს ემსახურება*“ (8. გვ.153). მეორე სახის წარმოდგენა უფრო მაღალი დონისაა და სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. იდეებთან ერთად, ასეთ წარმოდგენებს ინდივიდუალურობა ახასიათებს, იდეებს კი ზოგადობა. *„ამდენად, ადამიანის განვითარების საფეხურზე – ობიექტივაციის ბაზაზე – ახალი განცდები აღმოცენდება, განცდები, რომელთაც ცხოველთან ჩვენ ვერ ვადასტურებთ. ამ განცდათა შორის პირველ რიგში ობიექტივირებული წარმოდგენა ან იდეა უნდა ვიგულისხმოთ* (8. გვ. 153). აზროვნების სტადიაზე ვერბალურადაა გაშლილი სიტუაცია და ჩვენზე წარმოდგენის სახით მოქმედებს. ე.ი., აქ არის წარმოდგენილი სიტუაცია, სადაც შესაბამისი სიტუაცია ვერბალურადაა რეპრეზენტირებული. ეს ფაქტი დასტურდება დ. უზნაძის ცდებში, სადაც განწყობის საკვლევ

მასალად ერთ შემთხვევაში აღებულია ფიზიკური ობიექტი (ბურთები, გრაფიკულად გამოსახული წრეები და სხვა), ხოლო მეორე შემთხვევაში – წარმოსახული სიტუაცია. წარმოსახული სიტუაციით განწყობის გამოწვევა დასაბუთებული აქვს რ.ნათაძეს (13), რომელმაც ეს საკითხი ექსპერიმენტულად იკვლია. რ.ნათაძემ დაამტკიცა, რომ განწყობა შეიძლება ფიქსირებულ იქნეს სიტყვიერი ზემოქმედების გზითაც. ამავე შრომაში ასევე დასაბუთდა, რომ ხელოვან ადამიანებთან (ძირითადად, მსახიობებთან) სიტყვიერი ზემოქმედებით შემუშავებული განწყობა ჭარბობს, ხოლო არახელოვანებთან განწყობის შემუშავების სიმტკიცე და ხანგრძლივობა მცირეა. ეს უკანასკნელი ის შემთხვევაა, როცა წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. დ.უზნაძე შემდეგი სახის კომენტარს აკეთებს: *„აქ ჩვეულებრივ წარმოდგენაა ანუ „საგნის რეპრეზენტირებულ ხატებთან“, რაც წარსულის გამოცდილებიდან მოდის, არ გვაქ საქმე“* (8.გვ.149). აქ მეტყველებას ენიჭება დიდი როლი, ანუ ისეთი წარმოსახვის გამოჩენას, რომელიც სიზმრისეული წარმოსახვისაგან განსხვავდება. ის უფრო აზრთა სფეროსთანაა დაკავშირებული. ხელოვანი ადამიანები მიმართულნი არიან წარმოდგენისაკენ (რაც ცნობიერების მთლიანობაში ჩანს), ხოლო არახელოვანებთან ძირითადად **აზრების ანუ იდეების** გააქტიურებასთან გვაქვს საქმე. ამგვარად, მსახიობებთან – **ინდივიდუალურად გააზრებულ ხატთან ანუ წარმოდგენის** აღმოცენებასთან გვაქვს საქმე, ხოლო არამსახიობებთან – ძირითადად **იდეასთან, აზრის** აღმოცენებასთან (რაც გულისხმობს ობიექტივაციის პროცესის აღმოცენებას). ხელოვან ადამიანებთან წარმოდგენა ძირითადად წინა პლანზეა, ხოლო არახელოვანებთან აზრის აქტივობა ანუ იდეის გამოხატვაა დომინირებული. ეს მონაცემები გვეუბნება, რომ იდეა, აზრი არის წარმოდგენილი იდეა, ხოლო სიზმრის წარმოდგენები სულ სხვაა. იდეებს (წარმოსახულს) მნიშვნელობა აქვს სიტყვიერ გამოთქმებში. აქედან, წარმოდგენა – ინდივიდუალურ აღქმას, სიზმრის წარმოდგენებს, ინდივიდუალურ ხატებს გულისხმობს, ხოლო იდეა – ზოგადი ბუნებისაა, აღმოცენდება ობიექტივაციის დროს, ანუ ობიექტივირებული წარმოდგენაა იდეა.

ობიექტივაციის დროს ქცევა დაბრკოლებას აწყდება და სწორედ ამ დაბრკოლების ობიექტურად დანახვა ხდება, სადაც განმეორებთ შემოწმება, შესწავლა მიმდინარეობს. აზროვნების პლანში აქტივობა წმინდა თეორიულია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წარმოსახულ მოთხოვნილებასა და სიტუაციასთან. ეს აქტივობა ლოგიკურ აზროვნებას

გულისხმობს. ასე ხდება იდენტიფიკაცია, რომელშიც მეტყველების აქტია ჩართული. სიტყვასა და მის შინაარსს შორის კავშირი ცნობიერებაში ყალიბდება და შესაბამისი შინაარსი გააჩნია, რომლის საშუალებითაც აზრი სიტყვით გამოიხატება. ი. ბჟალავა აღნიშნავდა, რომ ენა ობიექტივაციას ერთვის, ცნობიერებას უკავშირდება, ე.ი. ობიექტივაცია ენობრივი მოქმედების დონეზე მიმდინარეობს. ის წერდა, რომ *„იდეის – ობიექტივირებული აზრის – დონეზე მოქმედების გაშლის საჭიროება იმ შემთხვევაში დგება ადამიანის წინაშე, როდესაც ფიქსირებული განწყობის ავტომატიზაციით განსაზღვრული ქცევა ან სუბიექტის ან ობიექტის წინააღმდეგობას წააწყდება“* (3, გვ.32). აქ ი. ბჟალავა გამოთქვამს აზრს, რომ ფიქსირებული განწყობის შეჩერებაც შეუძლია ობიექტივაციის პროცესს. ავტორი სიტყვას განყენებული აზრის ობიექტად მიიჩნევს. სიტყვა აზრს ცნობიერებაში აფიქსირებს, სიტყვის წარმოდგენას კი ენობრივი დისპოზიცია ანუ ენობრივი განწყობა უდევს საფუძვლად. ასე საბუთდება აზროვნებისა და მეტყველების მიმართება. *„ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ობიექტივაცია, როგორც აზროვნება, არის ენობრივი მოქმედების დონეზე მიმდინარე ფსიქიკური აქტივობა“* (3, გვ. 33). განწყობის თეორიის წარმომადგენელთა მიხედვით, **პირველადი პროცესია** – აღქმა, წარმოდგენა (ცნობიერი თვალსაჩინო შინაარსები); **მეორადი პროცესია** – ობიექტივაცია (აზროვნება, ნებელობა).

აქედან ი. ბჟალავა ასკვნის, რომ ობიექტივაცია ადამიანის ფსიქიკის აქტივობაა. ცნობიერება მოქმედებს ობიექტივაციის გზით მოპოვებული ცოდნით და სოციალურ ქცევას განსაზღვრავს, ანუ სოციალური ბაზა გააჩნია, რომელშიც თვს იჩენს დამოკიდებულებებიც (Attitude). იდეები არის ცოდნა, რომელიც ობიექტივაციის დონეზეა აღმოცენებული, მას ობიექტი გააჩნია, ხოლო წარმოსახვას არ აქვს უშუალო ობიექტი. აქედან ობიექტივაცია კი არ ქმნის რაიმე ობიექტს, არამედ დ. უზნაძის სიტყვებით ის უწყვეტი მიმდინარეობიდან გამოჰყოფს მას.

შ. ნადირაშვილი ობიექტივაციას თეორიულ აქტივობად მიიჩნევს, რომელიც შემეცნებით აქტივობას უწყობს ხელს (6). მისი აზრით, ხდება საგნების, სოციალირი მოთხოვნების ობიექტივაცია და „მე-ს“ ობიექტივაცია. ეს სქემა მის მიერ გამოყოფილი ადამიანის საქმიანობის სამ დონეს ემთხვევა – ინდივიდის (საგნები), სუბიექტის (სოციალური მოთხოვნები) და პიროვნების („მე“). სუბიექტის დონეზე შემეცნებითი (თეორიული) აქტივობა ხორციელდება და აზროვნების განწყობის ერთ-

ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ობიექტივაციის დონეზე ქცევის შეფერხება ხდება: – *„შემაფერხებელი საგანი დგება ინდივიდის წინაშე, ინდივიდი ამ დროს სუბიექტად იქცევა და ქცევის შემაფერხებელ საგანს ფსიქოლოგიურად დამოუკიდებელ ობიექტად განიხილავს. მისი დამაბრკოლებელ საგნად განხილვა სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს გაარკვიოს საგნის ის თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელება. მისი გარკვევის შემდეგ სუბიექტს შეუძლია აღნიშნული საგანი ისევ ჩართოს ქცევაში. ობიექტივაციის აქტი აზროვნების დაწყების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს“* (6, გვ. 58). ობიექტივაციის დროს არა მარტო შემეცნებითი აქტივობაა მნიშვნელოვანი, არამედ სიტუაციის გარკვევაცაა საჭირო, რომელიც პრობლემურია. შ. ნადირაშვილი ასეთ შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნევს ამ სიტუაციისთვის გარკვევის მოთხოვნილების გაჩენას. ობიექტივაციისას ჩნდება მოთხოვნილება, რათა შემუშავდეს არსებული პრობლემური სიტუაციის გარკვევის განწყობა. შ.ნადირაშვილმა სამი სახის განწყობა გამოყო: 1. პრაქტიკული ქცევის განწყობა, 2. თეორიული ქცევის განწყობა და 3. გააზრებული პრაქტიკული ქცევის განწყობა. პიროვნების მოქმედებები მესამე დონის განწყობებითაა განსაზღვრული და ნებელობითი ქცევით ვლინდება. ასეთ დონეზეა „მე-ს“ და ქცევის ობიექტივაცია, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება. ობიექტივაციის ძირითად იარაღს კი **სიტყვა** წარმოადგენს. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ შ. ნადირაშვილი თავის ანთროპულ თეორიაში „სუბიექტივაციის“ ცნებას არ ეხებოდა, რადგან მის ნაშრომებში დ. უზნაზის თეორია განხილულია მხოლოდ ოფიციალურად გამოქვეყნებული შრომებიდან და არა პირადი ჩანაწერებიდან.

ზ. ვახანია ობიექტივაციის ცნებას ფსიქოლოგიურად შემდეგი სახით განსაზღვრავს: – „ესაა საკუთრივ ადამიანური, ცნობიერი დონის **ქცევა,** რომელსაც განახორციელებს **გასუბიექტებული,** აქტიურ შემმეცნებელი ინდივიდი...“ (4, გვ. 59). ავტორს აქ შემოაქვს ტერმინი „გასუბიექტება“. ახლოსაა ეს ტერმინი „სუბიექტივაციის“ პროცესთან? თუ ავტორისეულ მსჯელობას მივყვებით, ის ობიექტივაციის ფარგლებშია მოთავსებული. ის თვლის, რომ ობიექტივაციის პროცესში შემდეგი აქტივობები ხორციელდება: 1. **შეჩერება** (აქტიური ქცევის, იმპულსურ დონეზე განწყობით განხორციელებული ქცევის შეჩერება ხდება, სადაც პროცესები იძულებითია ან იშვიათადაა სუბიექტისეუ-

ლი); 2. **შეჩერებული ქცევიდან, განწყობის გარეგანი ფაქტორიდან ერთის გამოკვეთა** (სოციალური მოვლენის ან წარმოსახვის) და 3. **ამ გამოკვეთილის განმეორებით გაცნობიერება** (სოციალურ გარემოში მიმდინარე პროცესი). ზ.ვახანიას მიერ გამოყენებული ტერმინი „გასუბიექტება“ სწორედ ასეთ პროცესს გულისხმობს. თუ ობიექტივაციის პროცესს დავაკვირდებით, „გასუბიექტება“ ასეთ შემთხვევაში გაცნობიერების ტოლფასია და არა „სუბიექტივაციისა“, რომელიც დ. უზნაძეს „შენიშვნების რვეულში“ აქვს მოხსენიებული.

დ. უზნაძე ობიექტივაციას უკავშირებს მეტყველებას და ენას – *„ენა გაჩნდა ობიექტივაციისთვის“* (7, გვ 75), რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა ბავშვებთან, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ ობიექტივაციის პროცესს მოგვიანებით ეუფლებიან. ობიექტივაცია სოციალიზაციის პროცესში ვითარდება. ობიექტივაციის პროცესის განვითარება ხელს უწყობს ბავშვის განვითარების გარკვეულ საფუძველზე სიტყვების, ბგერების და, საერთოდ, ენის სიმბოლური ფორმის მნიშვნელობების შეძენას: *„...როცა ბგერას სიგნოფიკაციური მნიშვნელობა ეძლევა, მაშინ ის უკვე ენაა“* (7, გვ.75). დ. უზნაძე ობიექტივაციის პროცესის დაწყებას აზროვნებას და მეტყველებას უკავშირებს, რომელიც ასევე დაკავშირებულია განცდებთან და გრძნობებთან, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ ყველა გრძნობას ობიექტივაცია არ მიჰყვება. ეს იმის გამო ხდება, რომ ასეთი გრძნობები ადამიანის ქცევის, აქტივობის შეფერხებას არ იწვევს, ის ობიექტივაციას მოსდევს, ანუ მისი გამომწვევი მიზეზი არაა. აქვე დავამატებთ, რომ „სუბიექტივაცია“ იწვევს გრძნობებს და საკმაოდ მაღალი ინტენსივობის. ასეთი განცდები ობიექტივაციის გარეშე რჩება მეხსიერებაში.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა დ. უზნაძის „შენიშვნების რვეული“, განწყობის თეორიაში მომუშავეთაგან რამდენიმე ავტორი შეეხო „სუბიექტივაციის“ საკითხს. იმსახურებს თუ არა ეს ტერმინი მეცნიერული ცნების სტატუსს? ჩვენი მცდელობაა, რომ შევეცადოთ განვსაზღვროთ ამ პროცესის არსი და მიმდინარეობა. განწყობის თეორიაში ითვლება, რომ ობიექტივაციის პროცესი შეფერხების შედეგად ხორციელდება, სადაც საჭიროა გააზრება იმისა, თუ როგორ მოხდა ქცევის ბლოკირება. განწყობის თეორიაში მომუშავენი მისდევენ დ.უზნაძის აზრს იმის თაობაზე, რომ ობიექტივაცია პირველადი განწყობების შეჩერებას მოსდევს. ჩვენი აზრით, ასეთივე ქმედებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანი ფიქსირებული განწყობით მოქმედებდა (ასევე სო-

ციალური დისპოზიციური განწყობებითაც). იწვევს ფიქსირებული განწყობის შეჩერებას რაიმე სახის დაბრკოლება? მიმდინარეობს ეს ობიექტივაციის პლანში? არის აქ ობიექტივაცია, თუ ეს „სუბიექტივაციაა“, როგორც ამას დ. უზნაძე წერს? რა თქმა უნდა, არის შემთხვევა, როდესაც ფიქსირებული განწყობა შეჩერდება და ადამიანმა შეიძლება ობიექტივაციის პროცესი განახორციელოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „სუბიექტივაციასთან“. „სუბიექტივაციის“ დროს ჩვენ საქმე გვაქვს მტკიცე ფიქსირებულ განწყობის შეჩერებასთან, სადაც ცნობიერების მკაცრ ლოგიკაზე დაყრდნობით ჩარევა არაა საჭირო. ამ შინაარსობრივ მხარეში უნდა დავინახოთ განსხვავება ობიექტივაციასა და „სუბიექტივაციას“ შორის, რადგან ისინი ფორმით წააგავს ერთმანეთს. ეს ორი პროცესი პარალელურ რეჟიმში არსებობს, რომელთა შინაარსი სხვადასხვაა. ცნობიერების ფარგლებში მათი ამოქმედება გარკვეული პროპორციის სახით ხდება, ეს კი ცნობიერების ველის გაფართოებას გულისხმობს.

არის თუ არა „სუბიექტივაცია“ იმპლიციტური სოციალური განწყობის საკითხთან კავშირში თანამედროვე ფსიქოლოგიაში,? ამ თემას ეხება მ. ბალიაშვილი (1). ის თვლის, რომ იმპლიციტური სოციალური განწყობები – ესაა განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მოაზრებული დისპოზიციური ფიქსირებული განწყობები, რომელიც ცნობიერების დონეზე ვლინდება. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს „სუბიექტივაციასთან“ მიმართებაში.

შემდგომი კვლევის საგანი ასევე შესაძლოა გახდეს „სუბიექტივაციის“ და ობიექტივაციის მიმართების საკითხი. ეს ორი პროცესი განვიხილოთ ისეთი მიმართებით, რომელიც გარკვეულ პროპორციას ექვემდებარება, ანუ მათი განხილვა მოხდეს მთელისა და ნაწილის პროპორციების მიმართებით. პროპორციების მიმართების დარღვევა გარკვეულ „პათოლოგიებზე“ მიგვანიშნებს, რომლის დროსაც „სუბიექტივაცია“ ჭარბობს. მსგავსი დარღვევაა პროპორციებში სიზმრის შინაარსის დროს. დ.უზნაძე უშვებს, რომ სიზმრის დროს არ ხდება ობიექტივაცია, რადგან ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის გამოვლენაა, რომელიც ცნობიერების შინაარსს ააქტიურებს. სიზმარში შეფერხება არ ხდება, ანუ ობიექტივაცია არ არის. ფიქსირებული განწყობა ხატების სახით ავლენს თავს. ასევე საინტერესოა „სუბიექტივაციის“ მიმართება სხვა სახის რეპრეზენტირებასთან, ხოლო ობიექტივაციის – მოვლენების, ობიექტთან კავშირთან. ეს კი თა-

ვისთავად ცოდნის აღწერის და ახსნის საკითხს უკავშირდება. „სუბიექტივაციის“ და ობიექტივაციის გამოვლენა სიტუაციურია. ასეთ სიტუაციებში ადამიანის მოქმედება ძირითად რეპრეზენტაციას ექვემდებარება, რომელსაც მტკიცე, ფიქსირებულ განწყობებთან აქვს კავშირი.

დ. უზნაძე განწყობის საკვლევად ექსპერიმენტში ორი სახის მეთოდს იყენებდა: ფიზიკურ საგნებს (ძირითადად, ხის ბურთებს) და წარმოსახვას (წარმოსახულ სიტუაციაში საგანწყობო მასალას). განწყობის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები წლების მანძილზე ამ მეთოდზე დაყრდნობით განწყობის გამოვლენას (საგანწყობო ცდების საშუალებით) წარმატებით სწავლობდნენ. არსებობს განწყობის კვლევისთვის ასევე სხვა მეთოდიც, რომელიც შესაძლოა ენის საკითხს დავუკავშიროთ. აქ საკითხი შეეხება რეპრეზენტირებებს, მეტყველებას, სიმბოლურ ფორმებს, რომელიც კავშირშია ობიექტივაციისა და სუბიექტივაციის პროცესთან. ამ კუთხითაც შესაძლებელია განწყობის კვლევა. მაგალითად, ც.ტოდოროვი (14) განასხვავებს ნარატიულ და არანარატიულ დისკურსს. პირველში შედის: თხრობა, ისტორიის მოყოლა, ნარაცია, ხოლო მეორეში – რეპრეზენტაციის საპირისპირო, ანუ კომუნიკაციური მხარე. ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ საკითხი ასევე შეიძლება დავაკავშიროთ და განვიხილოთ რ. იაკობსინის (14; 15) მიერ გამოყოფილ ენის ძირითად პრინციპებთან მიმართებაში. ეს ვლინდება მეტაფორული და მეტონიმიური სახით, სადაც მეტაფორა უფრო წარმოსახვას, წარმოდგენას უკავშირდება, მეტონიმია კი, – რეალობის ხედვას. მეტაფორის შემთხვევაში მსგავსებასთან გვაქვს საქმე (მსგავსება, ანალოგია, გაიგივება), მეტონიმიის შემთხვევაში კი მომიჯნავეობასთან (შემოკლებული აღწერა, გადარქმევა). ჟ. ლაკანი (14) ამ პროცესს ფსიქიკის დაცვის მექანიზმებს უკავშირებს (მეტაფორა – კონდენსაციას, მეტონიმია – ჩანაცვლებას). ვფიქრობთ, სემიოტიკის ბევრი საკითხი ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ პროცესთან კავშირშია შესასწავლი.

ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ საკითხი ასევე შესაძლოა დავუკავშიროთ ს.მოსკოვიჩის მიერ შემუშავებულ თეორიას (14; 15; 16;) – სოციალურ რეპრეზენტირებას. სოციალური რეპრეზენტირების თეორია სოციალური მოვლენების შესწავლის საუკეთესო პირობას იძლევა. აქ შეისწავლება კომუნიკაციის რთული სისტემა – ქმედება, იდეები, ღირებულებები. პიროვნების მოქმედება სოციალურ გარემოში

ორი პროცესით განისაზღვრება: პირველი – „ღუზის დამაგრება“(ფიქსირება) და მეორე – ობიექტივაცია. პირველ შემთხვევაში წარმოდგენებთან, რეპრეზენტირებასთან, საზღვრებთან, ჩარჩოებთან, სქემატიზებასთან, ცნობილი კონსტრუქტებით მოქმედებასთან, შთაბეჭდილებებთან გვაქვს საქმე; მეორე შემთხვევაში კი – სოციალურ კონსტრუირებასთან, აზროვნებასთან, იდეებთან, ახლის შექმნასთან. ამ თეორიას პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია (14).

ვფიქრობთ, რომ ობიექტივაციის და „სუბიექტივაციის“ საკითხი მნიშვნელოვნად გაამდიდრებს განწყობის თეორიას და შემდგომ ემპირიული კვლევების ჩატარებას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მ. „მე-ს ობიექტივაცია და პიროვნულ ღირებულებათა აქტუალიზაცია“, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, „მაცნე“, №3, 1991, გვ. 54–66.
2. ბალიაშვილი მ. „ობიექტივაციის კვლევის პერსპექტივები“, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, „მაცნე“, №1, 2003, გვ. 15–18.
3. ბჟალავა ი. ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, „მეცნიერება“, თბილისი, 1976.
4. ვახანია ზ. „განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები – ობიექტივაციის ცნება დ. უზნაძის და შ. ნადირაშვილის თეორიაში“, კრებული „ფსიქოლოგია“, ტომი XX, 2007, გვ. 47–61.
5. იმედაძე ი., კენჭაძე ნ. „ობიექტივაცია, განწყობა და ქცევა“, საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, №1, 2009, გვ. 58–67.
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპული თეორია. თბილისი. 2001.
7. უზნაძე დ. შრომები, ტომი III-IV, თბილისი. 1964.
8. უზნაძე დ. შრომები, ტომი VI, თბილისი, 1977.
9. უზნაძე დ. „შენიშვნების რვეული“. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, „მაცნე“, 1988, №2, გვ.72–91.
10. უზნაძე დ. „შენიშვნების რვეული“. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, „მაცნე“, 1988, №4, გვ.53–71.
11. უზნაძე დ. „შენიშვნების რვეული“. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, „მაცნე“, 1989, №1, გვ. 75–94.

12. Имедадзе И.В., Категория поведения в теории установки, «МЕЦНИЕРЕБА» Тб. 1991.
13. Натадзе Р.Г., Воображение как фактор поведения, «МЕЦНИЕРЕБА» Тб. 1972.
14. Jodelet D., Madness and Social Representations. Harvester Wheutsheaf. 1991.
15. Farr R., Moscovici S. (Eds), Social Representations, Cambridge. 1990.
16. Moscovici S., "On Social Representations", In J.P. Forgas (Ed), Social Cognition: perspectives on everyday understanding. L. Academic Press. 1981. pp. 181-209.

Revaz Jorbenadze
Full Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Process of Objectivity and "Subjectivity" through SET Theory

Resume

Dimitri Uznadze formed the SET Theory, according to which the human behavior is going on at two levels - at impulsive and objectivity levels. The former is the direct reaction to the environment, and the latter concerns the obstacle perception. After the publication of D. Uznadze's archive materials, it turned out that the author intended to specify major concepts of his theory and implement novelties. He assumed that along with the objectivity process, the subjectivity process should be reviewed, as these two processes are similar in form, but different in contents. The subjectivity process is going on on the basis of fixed disposition SET, i.e. with consideration of preliminarily accepted views. In the present article we will discuss the views, associated with this concept. After discussion we will find out that the subjectivity process is going on simultaneously with the objectivity process and they have proportional attitudes toward each other. Introducing the subjectivity concept is important for SET Theory, as it creates a new area for behavior explanation. The ways are set with regard to SET Theory semiotics, implicit social attitude theory and social representation Theory based on introducing og this concept.

მარი წერეთელი

მე-19 საუკუნის ევროპელ მოგზაურ-ავტორთა პუბლიცისტურ-დოკუმენტური ნარატივი საქართველოს შესახებ და მისი თანამედროვე ინტერპრეტაცია

მე-19 საუკუნეში კავკასია და საქართველო ევროპელთა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა. მოგზაურებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ. შესაბამისად, განირჩევა მოგზაურ მკვლევარ-გეოგრაფთა და მწერალ-ლიტერატორთა, ჟურნალისტთა „მოგზაურობანიც". ჩვენი დაკვირვების არეალში მოექცა ალექსანდრე დიუმას, ოლივერ და მარჯორი უორდროპების, არტურ ლაისტის, ბარონი დე ბაის, კნუტ ჰამსუნის მოგზაურობის ამსახველი წიგნები, რომლებიც ამ ეპოქას წარმოაჩენს და პუბლიცისტურ-დოკუმენტურ ნარატივს ქმნის საქართველოს შესახებ.

„მოგზაურობები" განირჩევა ტექსტის ფუნქციისა და კომპოზიციურ-სტილური თავისებურებების მიხედვით. არსებობს პუბლიცისტურ-დოკუმენტური სამოგზაურო ტექსტი და „მოგზაურობა", როგორც მხატვრული ხერხი (ამ უკანასკნელის ნიმუშები მრავლად შეიძლება გავიხსენოთ: სერვანტესის „დონ-კიხოტი", სვიფტის „გულივერის მოგზაურობა", დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" და სხვ.) – ევროპელ ავტორთა ტექსტებსაც, როგორც, საზოგადოდ, სამოგზაურო ნაწარმოებებს, გააჩნია ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ქართველოლოგიური, კულტუროლოგიური, კულტურათშორისი ურთიერთობის შესწავლის ასპექტები, რომლებიც, ცხადია, არ არის ჩვენი განხილვის მიზანი. გვინდა, სამოგზაურო ნარატივის პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მხარე წარმოვაჩინოთ კონფერენციის დევიზის კონტექსტში: „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა". აქვე აღვნიშნავთ, რომ სამოგზაურო ტექსტების თანამედროვე ვერსიად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული მიმართულება მასმედიაში,

სადღეისოდ ესოდენ პოპულარული ე.წ. თრეველ-ჟურნალისტიკა (travel journalism), რომელიც მკითხველს პუბლიკაციებს აწვდის ისეთი თემების დამუშავების კონტექსტში, როგორებიცაა: გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, ტურიზმი და სხვ. თრეველ-ჟურნალისტიკა სინთეზური მიმართულებაა, რომელიც ეყრდნობა საგანგებო აღწერასა და ანალიზს.

„მოგზაურობანი" არ დარჩენილა ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმა. ამ თემას ეძღვნება დამხმარე სახელმძღვანელო „მოგზაურობა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში" (ავტ. ნათელა საღირაშვილი), რომელშიც გაანალიზებულია თავად ჟანრის სპეციფიკა და განხილულია მე-19 საუკუნის ქართველი ავტორების სამოგზაურო ნაწარმოებების თავისებურება. მეტწილად, ევროპელ მოგზაურთა ტექსტები შესწავლილია ევროპულ-ქართული ურთიერთობების თვალსაზრისით. არსებული ნაშრომები უფრო ქართველოლოგიურ და კულტურული კომუნიკაციის ასპექტებს წარმოაჩენს. ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი გამოკვლევებიდან უნდა დავასახელოთ ლევან ბრეგაძის ორი წიგნი: „მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე" (2010 წ.) და „მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრირეს" ფურცლებზე (2013 წ.).

ორიოდე სიტყვა მოგზაურობის, როგორც ფორმის, შესახებ. „მოგზაურობის" ჟანრი, ზოგიერთი თეორეტიკოსის დაკვირვებით, "მომეტებულად ძლიერად განიცდის სინამდვილის, უშუალოდ სხვადასხვა არალიტერატურული გარემოების გავლენას". არსებობს მოსაზრება, რომ „მოგზაურობა" მხოლოდ ნარკვევის ან, ყველაზე უფრო, პუბლიცისტიკის ჟანრული სახესხვაობაა ან „ლიტერატურა ლიტერატურაში" – ეს უკვე ერთგვარი „პარალიტერატურაა" (Умеров 2011:181).

მწერალ-ჟურნალისტთა სამოგზაურო ტექსტებს ჟურნალისტიკასთან აკავშირებს:

1. ფაქტობრიობა, ინფორმაციულობა, დოკუმენტალიზმი.

2. ტექსტები კონკრეტულ ეპოქაში იქმნება, ამიტომ, მიუხედავად გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერებისა, მასში მოცემულია თემათა პუბლიცისტური განსჯა.

3. მოზაიკურ სურათს ქმნის ჟურნალისტური ფორმები: რეპორტაჟი, კომენტარი, პორტრეტი, ინტერვიუ, მიმოხილვა, ესეისტური ჩანართები.

ცნობილი ფრანგი მეცნიერის, რონალ ბარტის ერთ-ერთი მიმდევრის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნის ანტუან კომპანონის აზრით, „ლიტერატურულ ტექსტებს საზოგადოება იყენებს თავდაპირ-

ველ კონტექსტთან შეუსაბამოდ და მათი მნიშვნელობა (გამოყენებადობა, რელევანტურობა) არ შემოიფარგლება იმ კონტექსტით, რომლითაც ისინი პირველად იქნენ გამოთქმულნი“ (Компаньон 2001: 39-40). ეს აზრი სავსებით შეიძლება მივუსადაგოთ სამოგზაურო ტექსტებსაც, რომლის ინტერპრეტირებული, რეცეფციული წაკითხვაც აძლიერებს ტექსტის ღირებულებას.

ინტერპრეტაცია, როგორც ცნობილია, თავად არის ტექსტის წაკითხვის მეთოდი. ასევე, კვლევისას მოვიშველიეთ ახსნა-განმარტების (კომენტირების), დედუქციის და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ჰიპოთეზა ამგვარად ჩამოვაყალიბეთ: მიუხედავად მე-19 საუკუნის მოგზაურ-ავტორთა ინდივიდუალური სამოგზაურო ინტერესებისა და ტექსტების მრავალ-თემიანობისა, ავტორების დოკუმენტურ-პუბლიცისტური ნარატივი მოიცავს ეპოქის პუბლიცისტურ განსჯას და სადღეისოდ აქტუალურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების განხილვის კონტექსტში.

სამოგზაურო ტექსტები, უწინარესად, ჩვენთვის საინტერესოა ეპოქის ასახვის თვალსაზრისით. როგორც ვიცით, მე-19 საუკუნეში თვისებრივად იცვლება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური სტატუსი. პოლიტიკური ვექტორის შეცვლა აისახა კულტურულ ორიენტირებზეც და, ზოგადად, საზოგადოებრივ და კულტურულ აზროვნებაზე, რაც ევროპეიზმის, როგორც კულტურული უნივერსალიზმის, სახით გამოიხატა.

ამჟამად, როცა ევროპულ-დასავლური ვექტორი საქართველოს განვითარების ერთადერთ გზად არის გამოცხადებული, აქტუალური რჩება საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ევროპეიზაციის პროცესი, რა ცოდნას ფლობს საქართველოს შესახებ დასავლური საზოგადოება, როგორ აისახება უცხოურ მედიაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები. სამოგზაურო ტექსტების ჩვენეული ინტერპრეტაციის მიზანია, ევროპელ ავტორთა ნააზრევში დავინახოთ დროთა კავშირი და გამოვავლინოთ მისი სადღეისო მნიშვნელობა.

მე-19 საუკუნეში კულტურული მედიატორების როლს ხშირად მოგზაური-ავტორები ასრულებდნენ, ზოგჯერ უნებურად, ზოგჯერ კი სავსებით გამიზნულად, სამოგზაურო მიზნებიდან გამომდინარე, თავისი მრავალმხრივი და საინტერესო წიგნებით, რომლებიც, ცხადია, ინფორმაციული ღირებულების შემცველიც იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მოგზაურობა“, როგორც წესი, ავტობიოგრაფიულია და

მასში თავს იჩენს ავტორის ღირებულებებიც. საბჭოთა პერიოდში უცხოელ ავტორთა ნააზრევი, უმთავრესად, საქართველოსა და ქართველებზე ევროპელების პოზიტიური გამონათქვამების – მეტაფორებისა და ეპითეტების ამარა რჩებოდა და ქართველი მკითხველის მხოლოდ ოდენ ემოციურ თვითკმაყოფილებას იწვევდა. თავისთავად, სამოგზაურო ტექსტების პოზიტიური კონტექსტი (ევროპელებს მართლაც არ დანანებიათ კეთილი სიტყვები მასპინძლების მიმართ – მ.წ.) სულაც არ მიგვაჩნია უმნიშვნელოდ, მით უფრო საბჭოეთში, თავსმოხვეული ხანგრძლივი ეროვნული ნიჰილიზმის არსებობის პირობებში, მაგრამ ყურადღების მიღმა დარჩა და ერთგვარად მიიჩქმალა ტექსტის პუბლიცისტური ტონალობა.

ჩვენ მიერ დასახელებულ ავტორთა სამოგზაურო ტექსტების უმრავლესობა გამოსაცემად მომზადდა სწორედ საბჭოთა პერიოდის შემდეგ და, უმთავრესად, ამ ბოლო წლებში. ავტორები, მეტწილად, ამ ნიშნითაც შევარჩიეთ. მაგალითად, თვით ალექსანდრე დიუმას (1803-1870) „კავკასიის“ სრული ტექსტი გამოქვეყნდა 2009 წელს. ასევე გვიან, 2006 წელს გაიცნო ქართველმა მკითხველმა ნობელის პრემიის ლაურეატის, ფაშისტური იდეოლოგიის მიმდევრობის გამო, კარგა ხანს შერისხული დიდი მწერლის – კნუტ ჰამსუნის (1859-1952) სამოგზაურო წიგნი „ზღაპრული ქვეყანა“ (რომელსაც გამორჩეულობის გამო ექსპერიმენტული სტილის რომანადაც მოიხსენიებენ – მ.წ.). ცნობილი დიპლომატის, ქართული კულტურის დიდი მოამაგის – ოლივერ უორდროპის (1864-1948) „საქართველოს სამეფო“ 2011 წელს გამოიცა. ქართველოლოგის, მთარგმნელისა და ლიტერატორის – მარჯორი უორდროპის (1869-1909) “მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები“ – 2012 წელს. ბევრად ადრე, 1963 წელს დაიბეჭდა გერმანელი ლიტერატორისა და პუბლიცისტის, სახელგანთქმული გაზეთ „Algemaine Zeitung“-ის ჟურნალისტის, კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, „კარგი ევროპიელის“, არტურ ლაისტის (1852-1927) „საქართველოს გული“ (თავდაპირველი გამოცემები 1923, 1927 წლებითაა დათარიღებული – მ.წ.). დაბოლოს, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – ბარონი დე ბაის (1853-1931) წიგნის „საქართველოში“ სრული თარგმანი გამოიცა 2011 წელს. აქვე დავძენთ, რომ ფრანგი მოგზაური ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ ბერტელო (ბარონი დე ბაი) ერთადერთი გამონაკლისია დასახელებულ ავტორთა შორის, რომელიც მეცნიერი-არქეოლოგია, თუმც საზოგადო მოღვაწეც. მისი მოგზაურობის წიგნი, ჩვენი აზრით, ცდება

ვიწრო ეთნოგრაფიულ თუ გეოგრაფიულ ფარგლებს და მასში ჩართული მოგონებების, ლეგენდების, ლიტერატურული ნიმუშებისა და, ზოგადად, ტექსტის კომპოზიციური მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის გამო მოექცა ჩვენი დაკვირვების არეალში.

სამოგზაურო ტექსტების პუბლიცისტური ნარატივის ზოგადი ქარგა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ის მოიცავს პერიოდს მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან საუკუნის დასასრულამდე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს პერიოდი არ იყო ერთგვაროვანი. 50-იანი წლების ბოლოს (დიუმას მოგზაურობის დროს – მ.წ.) თითქმის მთავრდება კავკასიის დაპყრობის პროცესი. საქართველო რუსეთის იმპერიის ახლადშეერთებული კოლონიაა, ამდენად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული რეალობის ყველა იმ ნიშნის მატარებელია, რომელიც კი შეიძლება ახასიათებდეს ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას. 60-იანი წლებიდან ვითარება იცვლება და დგება „დიდი მოძრაობის ხანა“, როგორც თერგდალეულთა კულტურტრეგერული მოღვაწეობის შედეგი.

„ქართველი ერის დეზინტეგრაციული მოვლენები, რომლებიც გვიან შუასაუკუნეებში დაიწყო, XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ეს პროცესი ემთხვევა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლას, ქვეყნის დაქუცმაცებასა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. მართალია, რუსეთის იმპერიაში საქართველო ტერიტორიულად გაერთიანდა, მაგრამ ოფიციალურად აღარსად არ იხსენიებოდა ქვეყნის სახელი „საქართველო“. ქართულ ეკლესიას წაერთვა ავტოკეფალია (1811) და აიკრძალა ქართული წირვა-ლოცვა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილად იქცა. სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა“ (თოფჩიშვილი 2002: 14).

ვნახოთ, როგორ ასახეს ევროპელმა ავტორებმა ზემოთ მოხმობილ ამონარიდში წარმოჩენილი ისტორიული ვითარება.

ამგვარად, ალექსანდრე დიუმამ საქართველოში იმოგზაურა 1858 წელს, კავკასიის ომის დამთავრების მიწურულს. მისი „კავკასია“ აცოცხლებს ეპოქის დოკუმენტურ სურათს. მნიშვნელოვანია გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერები, სიტუაციები, ეპიზოდები, პასაჟები, რაც, კავკასიის ომის მძიმე ფონის მიუხედავად, მწერლის ხელწერისათვის დამახასიათებელ ფეიერვერკს ქმნის, რის გამოც იკითხება წიგნი ესოდენ ლაღად და დიდი ინტერესით. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დიუმას „კავკასიის“ წინასიტყვაობის ავტორს, ცნობილ მეც-

ნიერ აკაკი გაწერელიას, რომ „ალ. დიუმა ძირითადად რჩება მწერლად რომანტიკოსი-ბელეტრისტის ნიადაგზე, რომლისთვისაც გამონაკლისი უფრო საყურადღებოა, ვიდრე ჩვეულებრივი და ტიპიური“ (დიუმა 1964:5). როგორც იმავე წინასიტყვაობაშია აღნიშნული: „დიუმამ ვერ დაინახა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შიდა სარჩული“ (დიუმა 1964:5). ჩვენი დაკვირვებით, ასეთი მიზანი მას აშკარად არ აქვს და ვერც ექნებოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ მწერალი-მოგზაური საქართველოს იმდროინდელ სინამდვილეს გვერდს უვლის. დიუმა უთუოდ ქმნის ზოგად-დოკუმენტურ ფონს, წარმოაჩენს ეპოქის გამჭვირვალე სურათს და იმ პროცესსაც, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობას მოჰყვა. იგი აშკარად არ მსჯელობს საქართველოს ანექსიის შესახებ, უფრო ნეიტრალური დამკვირვებელია, თუმცა ცალკეულ ეპიზოდებს მიღმა პოლიტიკური და სოციალური სურათი უთუოდ იკვეთება. მაგ.: დიუმა ჩვეული, რაინდული შეუპოვრობით ცხენით აივლის მოყინულ, სახიფათო გზას და იხილავს გელათს. მრავლისმთქმელი ფრაზებით აფასებს ნანახს: „ეკლესიის შიგნითა ნაწილი საერთოდ უსუფთაო, სევდიანია და მკვდარი. მასში იგრძნობა დაცემული ქვეყანა“ (დიუმა 2009: 273) (დაცემული ანუ დაკნინებული, დაპყრობილი ქვეყანა – მ.წ.).

საქართველოში რუსეთის პოლიტიკას ალექსანდრე დიუმა, როგორც აღვნიშნეთ, პუბლიცისტური განსჯით არ ეხება. უნდა დავეთანხმოთ აკაკი გაწერელიას, რომ: „დიუმა ბელეტრისტის ისტორიზმი სრული ფიქციაა, საინტერესო ეპიზოდი, უტრირებული და გაზვიადებული, წარმტაცი და დინამიური ამბებით მდიდარი ფაბულა, აი, ჩარჩო, რომელშიც მწერალი ათავსებს ცალკეულ მხატვრულ სურათებს“ (დიუმა 2009:6), თუმცა კოლონიური ომის სისასტიკეს იგი ამ „წარმტაცი და დინამიური ამბებით მდიდარ ფაბულაში“ გვერდს არ უვლის და კავკასიის მომავალზე დაფიქრებული დაასკვნის: „ინდუსტრია შემოიტანს ცივილიზაციას, ხოლო ცივილიზაციის შედეგად იქნება მშვიდობა“ (დიუმა 2009: 337).

სოციალური ფონის სიმძიმე „კავკასიაში“ აშკარაა, ავტორს თვალში ხვდება როგორც ეკონომიკურად დაქვეითებული ქართული არისტოკრატიის მდგომარეობა, ისე დაბალი ფენების სიდუხჭირე, რაც გამოხატულია ფრაზებით:. „სიმდიდრე ძონძებში გახვეულა“ (დიუმა 2009:418), „უკიდურესი გაჭირვება და სიღატაკე,“ „საშინელი სიღატაკე“ (დიუმა 2009:415) და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი 1919-1921 წლებში, ინგლისელი დიპლომატი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე ოლივერ უორდროპი საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ინგლისის აგენტად წოდებული, შერისხული აღმოჩნდა, რის გამოც მისი შესანიშნავი წიგნი „საქართველოს სამეფო" კარგა ხანს ტაბუდადებული იყო.

მოვლენების ოლივერ უორდროპისეული განსჯა ხასიათდება ღია სახელდებით. თუ დიუმას შემთხვევაში თხრობა მე-19 საუკუნის 50-იანი წლების პოლიტიკური სიმძიმის შესაფერისია, „საქართველოს სამეფო", როგორც გვიანდელი ტექსტი (ლონდონში გამოიცა 1888 წელს – მ.წ.), მკვეთრი პუბლიცისტური აქცენტებით არის აღბეჭდილი. წიგნის ერთ თავში, რომელსაც „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა" ეწოდება, ოლივერ უორდროპი შეუფარავად აცხადებს, რომ საქართველო იმჟამად რუსეთის იმპერიის ნაწილია და რომ „რუსეთის საზღვრებში არიან ხალხები, რომლებიც თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და ინტელექტუალური ცხოვრებით არაფრით ჩამოუვარდებიან გაბატონებულ ერს" (უორდროპი 2001:160). **რუსეთის** პოლიტიკას საქართველოში ოლივერ უორდროპი „უფრო და უფრო გამაღიზიანებელს", ასევე, „მკაცრს" უწოდებს.

ოლივერ უორდროპის აზრით, რუსეთს არ შეუძლია ევროპის სანაცვლო ეკონომიკური განვითარება შესთავაზოს საქართველოს, ანუ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური პროგრესი ვერ იქნება ევროპულის ტოლფასი. მისი დაკვირვებით, ამას, უწინარესად, ქართველები გრძნობენ, რადგან „რუსები უგულვებელყოფენ ქვეყნის ინდუსტრიულ და კომერციულ განვითარებას, ამიტომ ქართველებს ურჩევნიათ ევროპელი ინვესტორების მომსახურებით ისარგებლონ. სხვებთან ერთად როტშილდებს არ დაუგვიანიათ დაენახათ, რომ ამიერკავკასიის ღვინოები, წიაღისეული და ნავთობი დიდი ყურადღების ღირსია" (უორდროპი 2001:168).

„საქართველოს სამეფოს" ავტორი არსებული რეალობის განვითარების კანონზომიერების ლოგიკით ასკვნის: „რუსეთის პოლიტიკა, როგორც დამპყრობლის, ოდესმე აუცილებლად გახდება ქართველთა პროტესტის საგანი: „თუ რუსეთი ოდესმე დიდ ომში ჩაება, საქართველო უეჭველად დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და შეეცდება დარიალის სამხედრო გზის დაკავებას" (უორდროპი 2001:168).

მარჯორი უორდროპი (საქართველოში იმოგზაურა 1894-1895 წლებში – მ.წ.) კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას, ამიტომაც რუსეთს დამპყრობელ ქვეყნად განიხილავს. ისტორიული ექსკურსი პუბლიცისტურ სათქმელს კიდევ უფრო შეუფერადებლად და მამხილებლად ამკვეთრებს: „რუსეთი ქრისტიანული ქვეყანაა, რომელსაც დასახმარებლად მიმართა ერეკლე II-მ, როცა თითქმის მოიშუშა 1795 წლის აღა-მაჰმად-ხანის სასტიკი ლაშქრობის შედეგად მიყენებული ჭრილობები, ისეთივე მტრად მოევლინა საქართველოს, როგორც მაჰმადიანები. რუსეთი განზრახ ცდილობდა ქართული ენის ამოძირკვას, აიკრძალა მისი სწავლება სკოლებში. მხოლოდ როგორც უცხო ენას ისე ასწავლიდნენ და ისიც დაწყებითი სკოლის ფარგლებში. როგორც დაპყრობილთ, თვით გარუსებულებსაც კი, რუსები ზიზღით ეკიდებიან“ (უორდროპი 2012:44). მისი თქმით: „ძლიერი ერი ფეხქვეშ ქელავს მცირე ერის ეროვნულ ცხოვრებას, თავისუფლებას და უძვირფასეს იდეებს“ (უორდროპი 2012:45).

1922 წელს ჟურნალ „ლომისში“ გამოქვეყნებულ არტურ ლაისტისადმი მიძღვნილ წერილში „კარგი ევროპიელი“ კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „მთელ საუკუნეს ბატონობდა იმპერიალისტების რუსეთი საქართველოში და მაჩვენეთ მათი ერთი წიგნი საქართველოზე, რომელშიც იმდენი ცოდნა და სიყვარული გამოკრთოდეს, როგორიც არტულ ლაისტის „ქართველ ხალხში“ ("Das Georgische Volk"). ამიერიდან საქართველო არ იქნება არც კურორტი და არც რესტორანი, რომელშიც უცხოელები მოვლენ, დასტკბებიან ჩვენი სტუმართმოყვარეობით და წავლენ. თუ აქამდე ყოველ გადამთიელს ქართველები ხვდებოდნენ ხელებგაშლილი, ამიერიდან ჩვენ ისეთ უცხოელებს დავაფასებთ, რომელნიც ჩვენს ამაგს დააფასებენ“.

არტურ ლაისტი 1884 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მისი პირველი სამოგზაურო შთაბეჭდილებები ასახულია ტექსტით „საქართველოში“ (კერძოდ, „კოლხიდაში – პირველად საქართველოში“, გვ.201-223. ასევე, ავტორის დაკვირვებები საქართველოს შესახებ გადმოცემულია სხვადასხვაგვარად დასათაურებულ მონაკვეთებში – მ.წ.), რომელიც შესულია წიგნში „საქართველოს გული“. არტურ ლაისტი კონკრეტულად არსად მსჯელობს საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ, მას ეთნოგრაფიული და კულტურული სივრცე უფრო აინტერესებს, თუმცა ისტორიულ პერიპეტიებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს დამოუკიდებლობისათვის ქართველთა ბრძო-

ლაზე და თბილისის დათვალიერებისას დასძენს: „საქართველოს უკანასკნელი მეფის ირაკლის სასახლისა და რამდენიმე ნაგებობის გარდა თბილისში აღარაფერი გვიამბობს ქვეყნის სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების შესახებ“. იქვე დასძენს: „ქართული ეკლესია შეერთებულია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მათ წესებს შორის შემორჩენილია ზოგიერთი ძველი განსხვავებულობანი“ (ლაისტი 1963:.221).

ბარონი დე ბაი საქართველოს ანექსირებულ ქვეყნად მოიხსენიებს, თუმცა შედარებით პოზიტიურ საბურველში ახვევს რუსეთის როლს და მისიას საქართველოში. წერს: „ამ ლამაზ საქართველოში რუსეთი, ისევე როგორც სხვაგან, ბიზანტიის მემკვიდრე გახდა, ქრისტიანული საბერძნეთის ღვაწლის გამგრძელებელი და განმაახლებელი“ (დე ბაი ბარონი 2011:54). მოგზაური საქართველოს „იმპერიული გვირგვინის ლამაზ ყვავილს უწოდებს“.

ქართულ-ევროპული სივრცითი პარალელები, ქვეყნის იმჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს სამყაროს სრულუფლებიან ნაწილად წარმოჩენას ემსახურება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპელი ავტორები კულტურულ ორიენტირებზეც ამახვილებენ ყურადღებას. „დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის წინააღმდეგობა დღემდე ძალიან მწვავეა, ანტაგონისტურია. ვგონებ, ერთადერთი ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის დაპირისპირებულობა თვით „რიგითი“ ადამიანების დონეზეც კი არ არის ანტაგონისტური, საქართველოა“ – აღნიშნავს ლევან ბრეგაძე ესეში „ევროპა ვართ თუ აზია?“ (lib.ge). ის, რომ საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარე ქვეყანაა და მისი კულტურა ამ ნიშანთა მომცველია, საყოველთაოდ ცნობილია. „ქართველი კი თავით ფეხებამდე აბრეშუმისა და ხავერდის ტანისამოსში გახვეული – ეს არის მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი“ – წერდა ალექსანდრე დიუმა „კავკასიაში“ (დიუმა1964:114).

მე-19 საუკუნეში, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესატყვისად, შეინიშნება კულტურული ვექტორის ცვლილებაც, რასაც სამოგზაურო ტექსტებიც ადასტურებს: ოლივერ უორდროპის აზრით, ქვეყნის პოლიტიკური იდეალები დასავლეთ ევროპიდან არის ნასესხები: „არ არსებობს შემთხვევა, როცა ხალხი ფეოდალიზმიდან პირდაპირ ლიბერალიზმში გადასულიყოს. მონარქთა შვილიშვილები – ადამიანები, რომლებიც თითქმის მეოთხედი საუკუნის უკან უდიდესი რაოდე-

ნობის ყმების მფლობელები იყვნენ, ახლა დემოკრატიული იდეების მგზნებარე დამცველები არიან და ხმამაღლა აცხადებენ თავადისა და გლეხის, მეპატრონისა და მუშის თავისუფლებას, თანასწორუფლებიანობასა და ძმობას“ (უორდროპი 2001:167) და დაასკვნის: „ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, რაშიც საქართველომ ზურგი აქცია აზიას და მკლავები გაუშალა ევროპას. პარიზული მოდა, გერმანული რაციონალიზმი, ინგლისური სპორტი და ცივილიზაციის სხვა მონაპოვრები იწყებენ მასზე გავლენას“ (უორდროპი 2001:168).

ყველა ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისი აზიური ქალაქიც არის და ევროპულიც. ასევე, მარჯორი უორდროპის დაკვირვებით „თბილისი ერთდროულად აღმოსავლურიც არის და დასავლურიც“ (უორდროპი. 2012:25). თუმცა, მისივე თქმით, შეიმჩნევა ევროპული ცხოვრების წესის გაძლიერება, რომ თბილისში უამრავი ადამიანი იმოსება ევროპული ტანსაცმლით. „ზღაპრული ქვეყანაა”, – ამ სიტყვათა შეთანხმებით, ნორვეგიელი მწერლის – კნუტ ჰამსუნის მსგავსად გამოხატა მარჯორი უორდროპმა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

არტურ ლაისტსაც ქალაქის ევროპული ნაწილი მოსწონს: „აქ შეიძლება დაგავიწყდეს, რომ აღმოსავლეთში იმყოფები“ (ლაისტი:1963:216); „ხოლო ქალაქის ძველ ნაწილში აზია სუფევს სხვადასხვაგვარი, ჭრელი და გაქვავებული თავისებურებებით“ (ლაისტი 1963:209).

ამ შემთხვევაში „ჭრელი და გაქვავებული თავისებურებები“ აზიური კულტურის ამსახველი მეტაფორებია. აქ ერთგვარი პარალელი შეიძლება დავძებნოთ არტურ ლაისტის დიდი მეგობრის – ილია ჭავჭავაძის სტატიასთან „აზია, წინათ და ახლა“. მწერალი იმდროინდელ ევროპას აზიას ადარებს და აზიის ჩამორჩენის მიზეზებს შემდეგნაირად განმარტავს: „როგორ მოხდა, რომ ერთ დროს „ცივილიზაციის აკვნად“ შერაცხული, ახლა დიდი ხანია, „ჩრდილში“ მიმდგარა. ხელოსნობით, მეცნიერებით, ხელოვნებით ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას და ახლა აზიელობა აღარ არის თავმოსაწონებელი. რა არის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი? დასმულ კითხვას ილია თავადვე პასუხობს: წარმატება იმის კი არ არის, ვინც მარტო თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც დღეს მიღწეულს უერდება, არამედ იმისია, ვისთვისაც დღევანდელობა ხიდია ხვალისთვის. წარმატება გამრჯესი, მხნესია – ამისთანად აღმოჩნდა ევროპელი. ის არის დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და პატრონი. მას ყველაფერი აქვს – მეცნიერება, ჭკუა

და ხელი“ (ჭავჭავაძე 1957:60); იქვე აღნიშნავს, რომ აზია „დასჯერდა თავმოსაწონებელს, თავი ცალკე შეიკეტა და გარედან არა მიიკარა „მზის შუქი და მაცოცხლებელი სიო“.

ფრიად საინტერესო დაკვირვებები აქვს ფრანგ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – ბარონი დე ბაის: მაგ.: „როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული ორმაგი თავალსაზრისით ქართველები ადრიდანვე იდგნენ უკიდურეს აღმოსავლეთში საღრმთო რჯულის გავრცელების ბურჯად და ამიტომ კანონიერი სიამაყით შეახსენებენ რუსებს, რომ ისინი ის ხალხია, რომლებმაც გაუსწრეს მათ ქრისტიანული ცივილიზაციის საკითხში“ (დე ბაი ბარონი 2011:.24). აქვე უნდა დავძინოთ, რომ ტექსტებში შეინიშნება ჩვენთვის კარგად ნაცნობი ევროპული მოზომილობა და ტაქტი, განსაკუთრებით რუსეთის როლის შეფასების მხრივ. თუნდაც, ბარონი დე ბაის შემთხვევაში (რაც ობიექტური გარემოებებითაც არის განპირობებული – მ.წ.), მაგალითად, როცა ფრანგი მოგზაური აღნიშნავს: „ორი ერი – ისეთი, როგორიც რუსები და ქართველები არიან, ერთნაირი სარწმუნოების, ერთნაირი ხვედრის მქონე, წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ მყოფნი, უნდა შეერთებულიყვნენ მას შემდეგ, რაც ორივემ იწვნია ნახევარმთვარის უღელი და სისხლი დაღვარა სარწმუნოების შესანარჩუნებლად“ (დე ბაი ბარონი 2011:.55).

ავტორთა მიზანი ევროპელი მკითხველისათვის შორეული გეოგრაფიული გარემოს გაცნობაა, ამიტომაც ისინი მიზნად ისახავენ უცხოს, ეგზოტიკურის, როგორც სამყაროს “ახლად აღმოჩენილი“ ნაწილის მრავალმხრივ წარმოჩენას, თუმცა ცალკეული ტექსტების შედარებითი ანალიზით დგინდება, რომ ავტორებს, სამოგზაურო ინტერესებისა და მოტივების გარდა, გეოგრაფიული გარემოსადმი პერსონალური დამოკიდებულებაც განასხვავებთ. ამ მხრივ გამორჩეულია კნუტ ჰამსუნი და მისი წიგნი „ზღაპრული ქვეყანა“ (გამოქვეყნდა 1903წ).

ნორვეგიელმა მწერალმა კავკასიაში იმოგზაურა 1899 წელს. ზღაპრული ქვეყანა არ არის უბრალოდ სამოგზაურო წიგნი. მასში მოგზაურობა მწერლისათვის თვითშეცნობის საუკეთესო შესაძლებლობაა. „ზღაპრული ქვეყანა“ სინთეზური ტექსტია და მოიცავს ავტობიოგრაფიული, სათავგადასავლო, ეთნოგრაფიული, დეტექტიური ლიტერატურისთვის, ასევე დღიურებისა და ნარკვევებისთვის დამახასიათებელ მრავალ საინტერესო დეტალს“ (წერეთელი 2010:135).

ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგაძეს ზემოთ მოხმობილ ესეში „ევროპა ვართ თუ აზია“ მაგალითად მოჰყავს გერმანელი მწერლის

_ ჰერმან ჰესეს ზღაპარი „ევროპელი“, „რომელშიც მან დაღუპვა უქადა ევროპულ კულტურას და პირდაპირ განაცხადა, მომავალი აღმოსავლეთისაა“, იქვე აღნიშნავს: „აღმოსავლეთის კულტურული მისიის გადაჭარბებული შეფასება, აღმოსავლეთის გაიდეალება დასავლეთის დაკნინების ხარჯზე, იმდროინდელ მოაზროვნეთა შორის მაშინდელი ევროპული სინამდვილით იმედგაცრუებამ გამოიწვია. ნამდვილად კი აღმოსავლეთი სულაც არ იყო ესოდენ იდილიური“. კნუტ ჰამსუნის შემთხვევაშიც მკითხველი ასოციაციური პარალელებით მუდმივად გრძნობს კონტრასტს დასავლურ, ინდუსტრიულ სამყაროსა და აღმოსავლურ, ჯერ კიდევ „პირველყოფილ“, უძველეს კავკასიას შორის; აშკარაა, რომ ჰამსუნს, ჰესეს მსგავსად, აფრთხობს ტექნიკური პროგრესი და ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი გადარჩენის ერთადერთ გზად თვითმყოფადი კულტურული სივრცე წარმოუდგენია. ასეთი კი მისთვის კავკასიაა, იგი წერს: “ერთი დუქნის წინ ზის კაცი და ფანდურზე უკრავს, ჩუმი, მარტივი მელოდიაა, ქვის ხანის მუსიკა. ვფიქრობ, მადლობა უფალს, რომ ეს კაცი აქ ზის და ფანდურზე უკრავს, ყველას სიამოვნებას ჰგვრის თავის მუსიკით. და რახან ამდენი ხანი უკრავს, ეს მუსიკა მასაც სიამოვნებს. საკვირველი ხალხი ცხოვრობს ამ საკვირველ ქვეყანაში. დიდება შემოქმედს, რომ არსებობენ ასეთი ქვეყნები“ (ჰამსუნი 2008:.51).

ჰამსუნის ცოდნა საქართველოს შესახებ რუსული წყაროების სტერეოტიპულ გავლენებს განიცდის, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იგი არსად ეხება საქართველოს კოლონიურ მდგომარეობას, თუმცა ერთგან დასძენს: „არც ერთი კავკასიელი თავს რუსად არ მიიჩნევს და მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის დაპყრობიდან ამდენი წელია გასული, კიდევ შეხვდები გულუბრყვილო, საომრად განწყობილ მთიელს, რომელიც გიმტკიცებს: რუსი მხოლოდ მაშინ გაბედავს ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმას, თავაზიანად თუ მოიქცევაო“ (ჰამსუნი 2008:67).

ევროპელ მოგზაურთა წიგნები უცხოელ მკითხველს აცნობდა გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, კულტურულ სივრცეს, რაც არანაკლებ მიშვნელოვანი იყო თავად ქართველი მკითხველისთვისაც. ამიტომაც, მე-19 საუკუნის ქართული დემოკრატიული პრესა უყურადღებოდ არ ტოვებდა მათ ვოიაჟებს (კნუტ ჰამსუნი ამ მხრივაც გამონაკლისია – მ.წ.), ბეჭდავდა ინფორმაციებს და შთაბეჭდილებების ფრაგმენტებს.

ამგვარად, ევროპელ მოგზაურ-ავტორთა ინდივიდუალური სამოგზაურო ინტერესებისა და ტექსტების მრავალთემიანობის მიუხედავად, მათი დოკუმენტურ-პუბლიცისტური ნარატივი შეიცავს ეპოქის პუბლიცისტურ რეფლექსიას და სადღეისოდ აქტუალურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების კონტექსტში. მასში იკვეთება მე-19 საუკუნის პოლიტიკური პროცესი, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი. მნიშვნელოვანია საქართველოში რუსეთის ექპანსიონისტული პოლიტიკის მხილება. კრიტიკულად შეფასებული სოციალური სინამდვილე იმის მანიშნებელია, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში შეუძლებელია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარება და მხოლოდ ევროპეიზაციამ შეიძლება მოუტანოს მას პროგრესი. მე-19 საუკუნის ევროპელ ავტორთა ნააზრევში უთუოდ ჩანს დროთა კავშირი, რაც წარსულისა და აწმყოს კონტექსტში გვააზრებინებს ჩვენი დღევანდელობისათვის ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა: რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ასევე, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის საკითხი.

ბოლო წლებში გამოცემული ცალკეული წიგნები თანამედროვე მკითხველს აბრუნებს მრავალმხრივ ყურადსაღებ, ევროპელთა თვალით დანახულ საქართველოს სოციოკულტურულ გარემოში, რომლის კრიტიკული შემეცნებაც არის მისი მიზანი. „მოგზაურობები“ ახალ მნიშვნელობას იძენს სწორედ თანამედროვე ღირებულებების კონტექსტში, ისევე როგორც ქართველოლოგიისა და ევროპის ქვეყნებთან კულტურული კომუნიკაციის განვითარების მხრივ.

ლიტერატურა:

1. ბრეგაძე ლ. „ევროპა ვართ თუ აზია“ , განთავსებულია საიტზე www. lib.ge
2. დე ბაი ბარონი. საქართველოში, თბ., „არტანუჯი“, 2011.
3. დიუმა ალ. კავკასია, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
4. დიუმა ალ. კავკასია, თბ., „აგორა“, 2009.
5. თოფჩიშვილი რ. „ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები“, 2002. მის. http://www.amsi.ge/istoria/div/ToFCiSvili_saqarT.html)

6. Компаньон 2001: Компаньон, А. Демон теории: Литература и здравый смысл. М.: Изд-во им. Сабашниковых 2001.
7. ლაისტი ა. საქართველოს გული. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963.
8. საღირაშვილი ნ. „მოგზაურობანი“ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, თბ., „განათლება“, 1989.
9. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი თბ., ლოგოს პრესი, 2004.
10. Умеров 2011: Умеров Ш.Г. „Пространство и время: заграничное путешествие людей «дна» как протожанр в новейшей русской литературе მის. .http://www.socionauki.ru/journal/files/iis/2011_2/179-193.pdf
11. უორდროპი ო. საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში, თბ., 2001.
12. უორდროპი მ. „მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები თბ., საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012.
13. წერეთელი მ. კნუტ ჰამსუნის ზღაპრული ქვეყანა და კავკასიური კონტრასტები. თბ., გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
14. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IX (წერილები უცხოეთზე), თბ., 1957, გვ.60.
15. ჰამსუნი კ. „ზღაპრული ქვეყანა“, თბ., „ინტელექტი“, 2006.
16. http://en.wikipedia.org/wiki/Travel-literature

Mari Tsereteli
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nineteenth Century European Traveler-Authors Publicistic-Documentary Narrative about Georgia and its Modern Interpretation

Resume

In the 19th century Caucasus and Georgia have become Europeans' subject of special interest. Journey books of the famous authors: Alexander Dumas,

Bertha von Suttner, Oliver and Marjory Wardrop, Arthur Leist, Baron de Baye, Knut Hamsun, exactly represent this epoch.

"Journeys" are distinguished according to text function and composition – stylistic peculiarities. There is a publicist documentary traveling text and "journey" as an artistic mode.

"Journeys" of traveler researcher-geographers, writers and journalists differ from each other. Except the content of the above-mentioned authors' books, permanent continuity toward the time is stipulated by the live, dynamic text, with typical signs of literary journalism: factuality, author's, subjective perception, publicity. Journalistic forms create a united mosaic picture: reporting, comment, portrait, interview, review, essayistic insertion.

The authors' goal is to familiarize European readers with distant geographic environment, so, they set a goal to represent multilaterally something strange, exotic as a "newly discovered" part of the universe, but by the comparative analysis of separate texts it is established that except journey interests and motives, the authors are distinguished with a personal relationship toward the geographical environment.

The political reality of the 19th century Georgia annexed by the Russian Empire is so adequately understood, as far as they are informed from the reliable documentary sources. Despite the centuries-old history and original culture of Georgia, the travelers reflect the realism characteristic of the epoch positively, sometimes sincere pompousness. That is why, the majority of "journeys" were unpublished and tabooed in Georgian during the soviet period.

The texts are significant from the point of view of European-Asian political judgments, despite the country's political status of those times, Georgian-European space parallels, represent Georgian universe as full part.

European travelers' books familiarize foreign readers with the geographic, historical, ethnographic and cultural space, which is no less actual for Georgian readers. That is why, the 19th century Georgian democratic press does not leave their voyage without attention. Printed information and impression fragments, as well as separate books published in recent years, whose goal is critical cognition of the Georgian reality, return modern reader into a significant, multilateral Georgian socio-cultural environment, seen through the Europeans' eyes.

Nowadays "journeys" have gained a new importance both from the point of view of text interpretation and the development of Kartvelology and cultural communication with European countries.

ალექსანდრე წურწუმია

გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრალურობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

პოლიტიკური პროცესები გარკვეული კანონზომიერებით და თავისებურებით ხასიათდება. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მსოფლიოში მიმდინარე გარდამტეხი მოვლენების უმეტესობა ევრაზიულ სივრცეში განვითარებულა და ვითარდება. განსაკუთრებით სივრცეში მდებარე 30-ე და 55-ე პარალელებს შორის.

სწორედ ისტორიული პროცესების ზემოაღნიშნულ სპეციფიკურობაზე ამახვილებდა ყურადღებას ინგლისელი გეოგრაფი და გეოპოლიტიკოსი სერ ჰელორდ ჯორჯ მაკინდერი (1861-1947). 1904 წელს იგი სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი". ეს მოხსენება შემდგომ სტატიის სახით გამოქვეყნდა. მასში მაკინდერი აყალიბებს ხედვას, რომლის მიხედვით გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელი ცენტრალური მდებარეობა აქვს ევრაზიის კონტინენტის ცენტრს, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს. მას მაკინდერმა „ღერძული სივრცე" (**Pivot area**) უწოდა ანუ შემდგომ „**Heartland**" „შუაგული მიწა". კონტინენტალურ მასათა თავმოყრის ამ არეალს იგი ყველაზე მოსახერხებელ გეოგრაფიულ პლაცდარმად თვლიდა მსოფლიოზე კონტროლის დასამყარებლად. ერთ-ერთი გეოპოლიტიკური კატეგორია, რომელიც შემოაქვს მაკინდერს, ეს არის მსოფლიო კუნძული (**World Island**), რომელიც აერთიანებს ევრაზიის კონტინენტს და ჩრდილოეთ აფრიკის სივრცეს.

მაკინდერმა მსოფლიო სამ სარტყლად დაჰყო. პირველი – ეს არის „ღერძული არეალი" (**Pivot area**), რომელსაც გარს ეკვრის მეორე, „შიდა ანუ განაპირა ნახევარმთვარე" (**Inner or marginal crescent**) და მესამე სარტყელი – ეს არის „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე" (**Outer or insular crescent**).

„ღერძულ არეალს“ მაკინდერი იმ სივრცესთან აიგივებს, რომელიც რუსეთს უკავია. იგი ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ რუსეთს ყველა მხრიდან შეუძლია მიიღოს და, თავის მხრივ, განახორციელოს დარტყმა, გარდა ჩრდილოეთისა. ორიოდე სიტყვით გვსურს შევეხოთ მოსაზრებას, რომ ცენტრალური ადგილმდებარეობა არის ყველაზე მომგებიანი.

„რუსეთი ცვლის მონღოლეთის იმპერიას. მისი ზეწოლა ფინეთზე, სკანდინავიაზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთზე, ინდოეთსა და ჩინეთზე ჩაენაცვლა ერთი ცენტრიდან მიმავალი სტეპელების თავდასხმებს. ამ სამყაროში მას უკავია ცენტრალური სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც ევროპაში ეკუთვნის გერმანიას. მას შეუძლია თავს დაესხას და იმავდროულად მიიღოს დარტყმები ყველა მიმართულებით, ჩრდილოეთის გარდა. რკინიგზებთან დაკავშირებული მისი მოქნილობის საბოლოო განვითარება მხოლოდ დროის საკითხია და ვერავითარი სოციალური რევოლუცია ვერ შეცვლის რუსეთის დამოკიდებულებას მისი არსებობის უდიდესი გეოგრაფიული საზღვრების მიმართ. კარგად უწყიან რა თავისი ძალის შესახებ, რუსეთის მმართველები მშვიდად გაშორდნენ ალიასკას, ვინაიდან რუსული პოლიტიკისათვის ფაქტობრივად, წესად იქცა არ ფლობდეს არავითარ ზღვის მიღმა ტერიტორიას, ისევე, როგორც ბრიტანეთის წესია – საოკეანო სივრცეების მართვა“. [მაკინდერი, 361-362:1999].

1774 წლიდან ალიასკა იყო რუსეთის იმპერიის კოლონია და იწოდებოდა „რუსულ ამერიკად“. 1867 წელს რუსეთის იმპერიამ ალიასკა აშშ-ს მიჰყიდა 7,2 მლნ დოლარად.

მოგვიანებით, 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“, მაკინდერი აღნიშნავდა: „ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს Heartland-ზე; ვინც მართავს Heartland-ს, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე; ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, აკონტროლებს მსოფლიოს“ [Mackinder; 106:1999].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ყალიბდება სამთა კავშირი. 1879 წელს ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის ხელმოწერილ კავშირს უერთდება იტალია. ამ კავშირის წევრ ქვეყნებს ეკავათ ევროპის ცენტრალური სივრცე, რაც ქმნიდა იმ შესაძლებლობას, რასაც მაკინდერი თვლიდა ხელსაყრელად ყველა მიმართულებით დარტყმის განსახორციელებლად.

ცენტრალურობის საკითხზე ასევე ამახვილებდნენ ყურადღებას გერმანული „ორგანიციზმული“ სკოლის წარმომადგენლები. შვედი რუდოლფ კელენი (ჩელენი) (1864-1922) სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა უფსალისა და გეტებორგის უნივერსიტეტებში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1891 წელს უფსალის უნივერსიტეტში. თუმცა, გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ის იყო ჩართული პოლიტიკაში (მსგავსად მაკინდერისა). 1905-1908 და 1911-1917 წლებში კელენი იყო შვედეთის პარლამენტის წევრი, გამოირჩეოდა კონსერვატიული შეხედულებებით [Kjellen].

გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდის წარმომადგენელთათვის გარკვეულწილად დამახასიათებელია ერთი მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, მიდრეკილება – ისინი ცდილობენ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შერწყმას. კელენმა დაუდო სათავე მრავალ ტერმინს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მან პირველმა გამოიყენა ტერმინი **გეოპოლიტიკა.**

ჩელენმა გეოპოლიტიკა შემდეგნაირად განსაზღვრა: „ესაა მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განფენილი გეოგრაფიული ორგანიზმის, შესახებ“ [დუგინი; 28:1999].

რუდოლფ კელენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომია 1916 წელს გამოცემული „სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა“. ნაშრომში ხაზგასმულია გერმანიის უპირატესობა ევროპულ სივრცეში მისი ცენტრალურობიდან გამომდინარე. ამ თეზამ ასახვა პოვა „შუაგული ევროპის“ (Mitteleuropa) კონცეფციაში. მისი ავტორია კიდევ ერთი „გერმანული ორგანიციზმული“ სკოლის წარმომადგენელი, ფრიდრიჰ ნაუმანი (Friedrich Naumann 1860-1919). მსგავსად კელენისა, ისიც გამოირჩეოდა კონსერვატიული შეხედულებებით, თუმცა შემდგომ მან შეიმუშავა ლიბერალური იმპერიალიზმის იდეა. ფრიდრიჰ ნაუმანი 1907 წელს გახდა რაიხსტაგის წევრი, ხოლო 1919 წელს დააარსა გერმანიის დემოკრატიული პარტია. 1915 წელს ფრიდრიჰ ნაუმანმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „Mitteleuropa“.

XVIII საუკუნის ბოლოს განხორციელდა ტერიტორიული ცვლილება ევროპაში, რამაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. პოლონეთის სამგზის (1772, 1773 და 1775 წელს) გაყოფის შედეგად რუსეთმა განახორციელა ექსპანსია ბალტიისა და ცენტრალური ევროპის მიმართულებით. ამ პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგად რუსეთის იმპერია უშუალოდ დაუმეზობლდა თავის

ისტორიულ მოწინააღმდეგე პრუსიას. ძალზედ საინტერესოა ნაუმანის ხედვა პოლონეთთან დაკავშირებით: "პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც გერმანულ ჯარებს ჰქონდათ შთამბეჭდავი წარმატებები ფრონტზე, ნაუმანმა გამოსცა წიგნი „რა ელის პოლონეთს?", რომელშიც სთავაზობდა ომის დამთავრების შემდეგ ევროპის რუქის გადაკეთებისას აღედგინათ პოლონური სახელმწიფოებრიობა. ამით მან აღნიშნა მისი გეოპოლიტიკური პოზიცია: გამოყოფოდა პოლონეთის ტერიტორიით რუსეთს, რათა გაერთიანებულიყო ევროპის ცენტრში" [Исаев; 152:2006] (თარგმანი ჩვენია – ა.წ.).

რუსმა მეცნიერებმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პოლონეთის გაყოფით რუსეთმა დაუშვა შეცდომა. კერძოდ, რუსული გეოპოლიტიკური სკოლის (ევრაზიელების) წარმომადგენელი ნიკოლაი ტრუბეცკოი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჯობდა პოლონეთი დარჩენილიყო ბუფერულ სივრცედ რუსეთსა და გერმანიას შორის [Трубецкой].

ისმის კითხვა – არის კი რეალურად მომგებიანი ცენტრალური ადგილმდებარეობა?

მისი უარყოფითი მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რასაც მაკინდერი თავად უსვამს ხაზს, რომ ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შესაძლებელია დარტყმის მიღება ყველა მიმართულებიდან. რუსეთის და გერმანიის ცენტრალურობა ქმნიდა და ქმნის პრობლემას მათი სასაზღვრო ზოლის სიდიდის და მოსაზღვრე სახელმწიფოების სიმრავლიდან გამომდინარე.

რუდოლფ კელენი ერთმანეთს ადრის ინგლისსა და გერმანიის გეოპოლიტიკურ ლოკაციას და აღნიშნავს, რომ გერმანიას არ შეუძლია ისევე ადვილად აირჩიოს მოკავშირეები, როგორც ინგლისს [Р. Челлен;139:2008], რასაც განაპირობებს ის გარემოება, რომ გერმანიას სახმელეთო საზღვარი აქვს 8 სახელმწიფოსთან, რომელთაგან 3 არის ზესახელმწიფო, ხოლო ბრიტანეთს (იმ პერიოდისთვის – ა.წ.) არ ჰყავდა მეზობელი.

ბრიტანეთის მსგავს მაგალითს წარმოადგენდა და წარმოადგენს კუნძული მალტა. მისი ცენტრალური ადგილმდებარეობა განაპირობებდა და განაპირობებს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას. მალტა მდებარეობს ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვაო გზების გადაკვეთაზე.

გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრალურობის საკითხი მკაფიოდ არის დაკავშირებული გეოპოლიტიკური ღერძის საკითხთან.

„გეოპოლიტიკური ღერძი შეიძლება იყოს ორი სახის – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ზოგიერთ ქვეყანას აქვს მხოლოდ ერთი ღერძი. დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიას აქვთ ვერტიკალური ღერძი; ავსტრიას, უნგრეთს, ჩეხეთს – აქვს ჰორიზონტალური ღერძი. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ღერძის დაკავება (ოკუპაცია) არღვევს ამ უკანასკნელის სტაბილურობას. ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნებია ის, რომელთაც აქვთ როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ღერძი“ [Tsurtsumia;94:2010].

თავისთავად სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს სივრცეს წარმოადგენს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ღერძთა გადაკვეთის წერტილი. წარსულში ასეთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა კონსტანტინოპოლი. მისმა დაცემამ გამოიწვია გლობალური მნიშვნელობის გეოპოლიტიკური ცვლილება (ტრანსფორმაცია).

შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზისას, ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავდა:

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ XV საუკუნის საქართველოს საერთო სურათი, იმიტომ რომ, ეს საქართველო დადგა პირისპირ ორი ფაქტის წინაშე, რომელთაც ფატალური შედეგი ჰქონდათ მისთვის.

უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლის დაცემა.

1453 წელს გადაკეტეს სამუდამოდ გზა მიმავალი საქართველოდან ერთმორწმუნე ბიზანტიაში, მისი გავლით – მთელ ქრისტიანულ ევროპასთან.

საქართველო დარჩა მარტო აზიაში უსაზღვროდ ძლიერი, დაუნდობელი, ფანატიკური მტრის წინაშე.

შემდგომ, ამავე ეპოქაში ჩამოყალიბდა უძლიერესი სიდიდე საქართველოს მეზობლად სპარსეთი და თურქეთი, ორივე ერთნაირად მტრული ქრისტიანობის უკანასკნელი დასაყრდენისდმი აზიაში,ამავე დროს მტრული ერთმანეთის მიმართ. ეს ძირითადი პირობებია, რომელთაც განსაზღვრეს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება XV-XIX საუკუნეებში“ [Авалов; 13-14:1901] თარგმანი ჩვენია – ა. წ.].

კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობას ასევე ხაზს უსვამს სერ ჰელფორდ მაკინდერი 1919 წელს გამოცემულ წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“:

„იმ მომენტიდან, როდესაც 1453 ქალაქი კონსტანტინოპოლი გადავიდა თურქების ხელში, შავი ზღვა ჩაიკეტა ვენეციელი და გენუელი მეზღვაურებისათვის“ [Mackinder; 4:1944] (თარგმანი ჩვენია – ა.წ.).

ვფიქრობთ, კონსტანტინოპოლის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის წინდაუხედავი პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდნენ საქართველოსთან მიმართებაში ბიზანტიელი მმართველები. ისინი ვერ აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ძლიერი ერთმორწმუნე საქართველო მნიშვნელოვანი დამცავი ზღუდე იყო იმპერიისთვის. ალიანსი საქართველოსთან გაცილებით მომგებიანი უნდა ყოფილიყო ბიზანტიისთვის. ოსმალეთის იმპერიამ მოიცვა ის არეალი, რომელიც მანამდე ეკავა ბიზანტიის იმპერიას, ხოლო კონსტანტინოპოლის აღებამ მას მისცა ის პლაცდარმი, რომელიც მან შემდეგ საუკუნეებში ეფექტურად გამოიყენა ევროპის შუაგულში შესაღწევად. საქართველოს მნიშვნელობას ევროპისათვის 1453 წლამდე მკაფიოდ წარმოაჩენს ებსტროფის მსოფლიო რუკა (1235). მასზე საქართველო და კავკასია მითითებულია, როგორც ევროპის წინააღმდეგ მიმართული ბარბაროსული ტომების შემაკავებელი ზღუდე [თვარაძე; 232-235:2004] [Ebstorf].

საქართველო აღმოჩნდა მაჰმადიანურ გარემოცვაში – მოწყვეტილი ქრისტიანულ სამყაროს, სრულ იზოლაციაში. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები აღარ გადიოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაზე. საქართველოზე გამავალი აბრეშუმის დიდი გზის განშტოებამ არსებობა შეწყვიტა. კონსტანტინეპოლის დაცემამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ისტორიული და პოლიტიკური პროცესების განვითარება. XV საუკუნის ბოლოს განხორციელებულმა უდიდესმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, კერძოდ, ვასკო და გამას მიერ 1498 წელს ინდოეთისკენ მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენამ განაპირობა სავაჭრო გზების ზღვაზე გადანაცვლება. XVIII საუკუნის მიწურულში აბრეშუმის დიდმა გზამ დაკარგა მნიშვნელობა.

რუსეთს 1780 წლისათვის უკვე გააჩნდა მკაფიო გეოსტრატეგიული დოქტრინა „საბერძნეთის პროექტი“-ს სახელწოდებით, რომელშიც უდიდესი ყურადღება ენიჭებოდა გეოცივილიზაციურ ფაქტორებს, რაც ითვალისწინებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მხარეს კავკასიელი და ბალკანელი ხალხის ჩართვას.

როგორც ცნობილია, გაშლილი სახით „საბერძნეთის პროექტი“ გადმოცემულ იქნა ეკატერინეს მიერ 1782 წლის 10/21 ოქტომბერს ავსტრიის იმპერატორ იოსებ II მიწერილ წერილამდე რამდენიმე ხნით

ადრე, დაახლოებით 1780 წელს. ის დაფიქსირდა ა.ა. ბეზბოროდკოს მემორანდუმში, რომელიც, შესაძლოა, განკუთვნილი იყო ორი იმპერატორის მოგილიევში შეხვედრისათვის. თუმცა აშკარაა, რომ 1799 წელს, დიდი თავადის – კონსტანტინე პავლეს ძის დაბადების დროისათვის პროექტი უკვე არსებობდა საკმაოდ გაშლილი სახით. თვით უფლისწულისთვის სახელის შერჩევა, მისი ამქვეყნად მოვლინების აღსანიშნავად გამოშვებული სამახსოვრო მედალი ანტიკური ფიგურებითა და წარწერით „უკან ბიზანტიაში“, საკმაოდ მკაფიოდ ადასტურებენ ეკატერინე II განზრახვას[Зорин; 1997].

ზემოთქმული ლოგიკურად ეთავსება იმ ხედვას, რომელიც წამოაყენა ბერმა ფილოფილემ (დახ. 1465-1542) ვასილი III მიწერილ წერილში. ამ წერილის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთს უნდა ეტვირთა ქრისტიანულ სამყაროში გამაერთიანებლის და ლიდერის ფუნქცია, რასაც მანამდე ასრულებდა ბიზანტია. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ტერმინი „მოსკოვი მესამე რომი“. ამ იდეის განხორციელებით რუსეთი გახდებოდა გეოპოლიტიკური ცენტრი.

რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებას და ტერიტორიულ გაფართოებას ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით ევროპულ სახელმწიფოთა, პირველ რიგში, ბრიტანეთის, მწვავე რეაქცია მოჰყვა. დაძაბული ურთიერთობა დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც ისტორიაში ცნობილია „დიდი თამაში“-ს სახელწოდებით. ამ დაპირისპირებამ თითქმის საუკუნე (1813-1907) გასტანა [The_Great_Game].

ამ დაპირისპირების დაწყების და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში გამოვლინდა ყველაზე მკაფიოდ ურთიერთობათა ის ფორმა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში ცნობილია ძალთა ბალანსის სახელწოდებით. ვფიქრობთ, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ევრაზიის პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ფურცლები.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ გარკვეული პერიოდულობით პოლიტიკურ პროცესთა გამწვავება და კონფლიქტურ ფაზაში გადასვლა ევრაზიული სივრცის ერთსა და იმავე არეალებში ხდება: ბალკანები, ცენტრალური აზია, აღმოსავლეთ აზიის სანაპირო ზოლი და ახლო აღმოსავლეთი. ამ ჩამონათვალში ალბათ შეიძლება ახლო აღმოსავლეთის სამხრეთ-დასავლეთი არეალის დასახელება, თუმცა აქ მიმდინარე კონფრონტაცია იმდენად საყურადღებოა, რომ მოითხოვს ცალკე განხილვას. ამავე დროს, ევრაზიულ სივრცეში მიმდინარე დაპირისპირე-

ბები საყურადღებოა კოალიციათა შემადგენლობაში წევრთა ცვლილებების თვალსაზრისით. ხშირად პოლიტიკური პარტნიორები მოწინააღმდეგენი გამხდარან და გარკვეული დროის შემდგომ, კვლავ ინტერესებიდან გამომდინარე, – მოკავშირენი.

შესაძლოა, მაკინდერისეულმა ზემონახსენებმა და განხილულმა ხედვამ ცენტრალურობის შესახებ კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის იმპერიის ამბიციები. ალბათ, სწორედ ეს ამბიციები უდევს საფუძვლად ამჟამინდელ რუსულ სამთავრობო წრეებში შემუშავებულ ევრაზიული კავშირის იდეას. რუსეთის მინაზია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, განსაკუთრებით – უკრაინა, ამიერკავკასია და ცენტრალური აზია, გავლენისა და კონტროლის შენარჩუნება.

თუმცა, ჩვენ მიერ ზემომოყვანილი არგუმენტები, წარსულისა და აწმყოს პოლიტიკური პროცესების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ, ალბათ, გაცილებით მომგებიანი ევრაზიასთან მიმართებაში განაპირა ადგილმდებარეობაა, ისეთი, როგორიც უკავია დიდ ბრიტანეთს, იაპონიას და, თუნდაც, ამერიკას.

ლიტერატურა:

1. ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999.
2. ა. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004.
3. ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი. ისტორიის გეოგრაფიული ღერძი. ტექსტი გამოქვეყნებულია – ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999.
4. A. Tsurtsumia. Geopolitical Status of Georgia Before and After the August War. კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, 11, 2010.
5. H. Mackinder. Democratic Ideals and Reality, Washington, DC: National Defence University Press, 1996.
6. H.I. Mackinder. Democratic Ideals and Reality. New York, Pelican Bookcs, 1944.
7. З. Авалов, Присоединение Грузии к России. С.-Петербург, 1901.
8. Очерки истории СССР. Под. ред. А.И. Барановича. М., 1956.
9. Исаев Б. А. Геополитика: Учебное пособие. – СПб.: Питер, 2006.

10. А. Зорин. Русская ода конца 1760-х–начала 1770-х годов. Вольтер и «Греческий проект» Екатерины II. – http://magazines.russ.ru/nlo/1997/24 - Журнальный зал «НЛО», 1997, №24.
11. http://en.wikipedia.org/wiki/The_Geographical_Pivot_of_History
12. http://en.wikipedia.org/wiki/Rudolf_Kjell%C3%A9n
13. http://www.rickriordan.com/ebstorf.htm
14. http://en.wikipedia.org/wiki/The_Great_Game

Alexander Tsurtsumia
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Positive and Negative Sides of Centrality of Geopolitical Space

Resume

Political processes are characterized with certain regularity and features. It may be proved by the fact that the most crucial processes taking place throughout the world were developed in Eurasian space. Especially in space located between the 30th and 55th parallels.

Sir Halford Mackinder identifies “Pivot Area” (Heartland) with the space occupied by Russia. He emphasizes one very important circumstance – Russian can receive and implement impact from and to all the sides except the North side. We would like to mention the opinion, in particular the fact that central location is the most favorable.

15. We think that the negative side of central position is the fact underlined by Mackinder himself; in such a condition, particular impact will be admitted practically from all directions. According to the mentioned, maybe outer location is more favorable to Eurasia, for example, the location of Great Britain, Japan and America. Past and toward political processes also approve our position.

გამომცემლობის რედაქტორები:	მარინე ვარამაშვილი ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი	ნინო ებრალიძე
დაკაბადონება	ხათუთა ბადრიძე
კორექტორი	რუსუდან მიქენაია

TSU Press Editors:	**Marine Varamashvili** **Nana Kachabava**
Cover Designer	**Nino Ebralidze**
Compositor	**Khatuta Badridze**
Proofreader	**Rusudan Mikenaia**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 14 32
www.press.tsu.ge